ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

4

1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვულოცავთ სრულიად საქართველოს ნანატრი დამოუკიდებლობის გამოცხადებას!



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

4

აპრილი

1991

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო“. № 304. გამოცემის 33-ე წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## პოეზია და პროზა

3. ტარიელ ჭანტურია — ლექსები
12. მამუკა დოლიძე — ორი მოთხრობა
22. ლალი თოთაძე — ლექსები
26. სოფიკო ტყეშელაშვილი — ლექსები
28. ალექსანდრე შუღლაძე — მოთხრობები
40. ნანა გოგიჩაშვილი — ლექსები
41. თოთია გიგაური — ლექსები
43. ნოშრევან შარვანელი — ქვაკაცი. მოთხრობა
46. ალექსანდრე დიდებაშვილი — ლექსები
48. შაბურა არაბული — ლექსები
50. აკაკი ვასაძე — ყინულის მარწუხებში. რომანი. გაგრძელება
87. ლენა პაპუნაშვილი — ლექსები
88. ლევ ტროცკი — სტალინი. გაგრძელება; თარგმნეს ელზა მეტრეჭველმა და დავით მჭედლურმა

## აკაკი — 150

109. კორნელი დანელია — აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე

## ჩვენი მილოცვა

118. სილოვან ნარიმანიძე — სათქმელი და საქმენი

## პუბლიცისტიკა

121. სპარტაკ რეხვიაშვილი — აგრესია ჩრდილოეთიდან

## თვალსაზრისი

129. ედუარდ ყიფიანი — დასაბამიდან ფარნავაზამდე

## წერილები

141. ჯემალ დავლიანიძე — თოვლის ქალაქი
144. ლევან ურუშაძე — ტრაპიზონის კომნენთა შტო და საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო კარი

## პოეტის ახალი წიგნი

149. თამარ დაუშვილი — „შანდლის ასული"

## სატირა, იუმორი, პაროდია

151. ნოდარ ზამანაძე — ნინიას ბალი

## ...ფაქტი, კომენტარი

159. „ცისკრის" რედაქციას!
159. ჟურნალ „ცისკრის" მთავარ რედაქტორს ბატონ იორამ ქემერტელიძეს!

მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო მაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი სულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
დავით მჭედლური

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ტარიელ ჭანტურია

●

მიყვარს სიკვდილის უბნელეს
ჭუჭრუტანებში ჭიტინი!
მიყვარს დროსთან და სიკვდილთან
და არყოფნასთან ჭიდილი!

ცხოვრება — ერთხელ სიცოცხლე
და არაერთხელ სიკვდილი!

მაინც იმ ერთხელ სიცოცხლეს
და ასჯერ სიკვდილს მივტირით!

არ გჯერა? — ზის სასაფლაოს
ახალშელებილ მესერთან
ქვრივი, და საფლავს კი არა —
პეპელას ეალერსება...

## სიგრილე ტალანში

ასე მორთული და მოკაზმული სამზარეულოს ზიზილ-პიპილით:
ყვითლად ლადლადა შენი ზაფრანით, ტკბილად შემცდარი შენი პილპილით...

„ხომ არ მოვიდა, ნეტა, ის კაცი! ვისი მანქანის ისმის პიპინი!"
ყვითლად შემცბარი შენი ზაფრანა! ტკბილად შემცდარი შენი პილპილი...

იქ კი, ტალანში, კაი ხანია, სწუხს ორი ბოცა კარდანახული —
მწუხარებასთან შესაბრძოლებლად იარაღივით გადანახული...

## ნიკო ლორთქიფანიძე: იყიდება საქართველო

(გამლექსავი ბოდიშს იხდის დიდი მწერლის
უკვდავი წიგნის არანქირებისათვის)

იყიდება საქართველო ნაწილ-ნაწილ, მთლიანად!
იყიდება მოყვრიანად. იყიდება მტრიანად.
იყიდება მრევლიანად. იყიდება მღვდლიანად.
ძევახ პიტიახშიანად და სერაფიტიანად.
აღმაშენებლიანად და თამარ დედოფლიანად.
მოყმიან-ვეფხვიანად და ვეფხისტყაოსნიანად.
თავის სილარიბიანად, თავის დოვლათიანად.
თავის ეშმაკებიანად, თავისი ღმერთიანად.
თვითონ ჭავჭავაძიანად, თვითონ წერეთლიანად.
იყიდება ნაწილ-ნაწილ, იყიდება მთლიანად.

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყიდება ველიანად, იყიდება მთიანად.
ბულბულის ნისკარტიანად და ტოროლას ფრთიანად.
დეკიანად, ქუჩიანად, ყვავიანად, კლდიანად.
ჯვარის მონასტერიანად და სვეტიცხოვლიანად.
ნიკორწმინდის ტაძრიანად — თავის ჩუქურთმიანად.
სულხან-საბას ჯავრიანად, წმინდა ნინოს ჯვრიანად.
მოკლულ შვილის მოტირალი დედის გაშლილ თმიანად.
იყიდება საქართველო ნაწილ-ნაწილ, მთლიანად.
იყიდება ჭრილობებზე დადებული მტლიანად.
მატყლიანად, შალიანად, აბრეშუმ-ფართლიანად.
იყიდება უსამართლოდ, ვითომც — სამართლიანად...
იყიდება ნაწილ-ნაწილ, იყიდება მთლიანად.

ყიდის სუფრა დიდებული — ვაჟკაცთამადიანი!
რაიკომის მდივანი და ქალი — მდივნის მდივანი!
ალმასკომის თავმჯდომარე! მილიციის უფროსი!
იყიდება უსუფროდ და იყიდება სუფრაზე!

დგას ათასი ლომი ბიჭი — მშიერ-მწყურვალ-ტიტველი! —
გაყიდული საქართველოს ისევ უკან მყიდველი!
გაყიდული საქართველოს ხელმეორედ მყიდველი —
ერთადერთი პატრონი და
ერთადერთი მყიდველი!

1981.

●

ის ღუღუნი მახსოვს შენი:
„საფლავშიაც, აქაც, იქაც...“
დადგა „ლადა“ — გასკდა შინი!
— მიწა ხარ და მიწად იქეც!

საყვარელი საბნის ნაცვლად
საფლავს მჭიდროდ შემოიკეც...

ან საბანი გინდა ან რად —
მიწა ხარ და მიწად იქეც...

ნატვრად გქონდა ათი წელი...
შენი ბედი იყო იგეც...
გოროხს გიწვდის ასი ხელი:
— მიწა ხარ და მიწად იქეც...

●

ვაკვირდები გულმოდგინეთ ჩემს ცხოვრებას — ლაფსუსს!
რა უხინჯო იყო მაინც ის არყოფნა....
აფსუს!

ველარ უძლებს გული ჩემი მოღალატე აფსუას!
რა ლომები იზრდებოდნენ აფხაზეთში
აფსუს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველარ უძლებს გული ჩემი თავზე დასხმულ ლაფს — ოსს!
რა ლომები იზრდებოდნენ ოვსთა წრეშიც!
აფსუს!
მტკვარს და ლიახვს და რიონს და არაგვსა და ფსოუს
როგორ სურდათ ერთმანეთი და უყვარდათ!
აფსუს!

რა დავარქვა, არც კი ვიცი, ყოფნას ჩვენსას — აბსურდს!
ჰარმონია ძველქართული სად გამქრალა!
აფსუს!
მომავლის რომ არა მჯერა, ვის შევჩივლო — წარსულს?
რა წარსული ჰქონდა მართლაც ჩვენს ხალხს, არა?
აფსუს!

ყველასა აქვს დღეს უფლება, ჩემს ხალხს თავზე აფსას!
აფსუს, დავით ბატონო და მზეო თამარ!
აფსუს!

დარჩა ბურთი — ვინმე ფაზილს, მოედანი — რასულს!
ვისღა უნდა რუსთაველის ტკბილ-ქართული!
აფსუს!

ისევ — მათთან? — ჩემს ხალხს ამის გაგონებაც არ სურს!
ვაი, ჩვენო მოსწრებავ და თავო ჩვენო!
აფსუს!

## აკაკი

ალეპოელმა,
ნეაპოლელმა,
რომაელმა თუ
ცინცინატელმა —
ვინ არ ეძება შენი სულიკო,
ვინ არ ეაჯა ციცინათელას!

თბილისო, მცხეთავ, ცხინვალო,
სოხუმო, ფოთო, თელავო,
დროა, ავაწყოთ ჩონგური,
ოდელა-დელა-დელაო!

პოეზიაში მე მხოლოდ შენი
მაღალი შუბლის ვიცი ნათება:
უცხო სიკვდილი — შენი სულიკო!
უცხო სიცოცხლე — ციცინათელა!

საუკუნეზე მეტია,
შოთას ნათელით ელავო!
ჩანგი თვით ზენამ გიკურთხა,
ოდელა-დელა-დელაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყურმოკრული

— წასულია ჩვენი საქმე, წასულია, წასული! —
მომავალი აღარა გვაქვს, დაგვრჩა მხოლოდ წარსული!

— დაგვრჩა მხოლოდ ციხეები მეციხოვნის გარეშე!
ვინც გადარჩა მეციხოვნე, ყველა არყით გალეშეს!

წასულია ჩვენი საქმე, წასულია, წასული:
არ თხოულობს ვაჟი ცოლს და არ თხოვდება ასული!

— დმანისი და ბოლნისი და ძეგამი და კახი და
მთელი ჩვენი სანაპირო ისევ ჩვენმა გაყიდა!

— ლამისაა, დროზე ადრე მივაბარო ცას სული!
წასულია ჩვენი საქმე, წასულია, წასული!

— ჩვენ დაგვრჩება ძეგამიც და კახიც და შოთავარიც,
ჩვენ დაგვრჩება ცოტნეს მიწაც და ხიდებიც თამარის,

გადავრჩებით, დიაცურად თუკი არ ვივიშვიშებთ
და უბიდან საქართველოს დროშას თუკი ვიშიშვლებთ!

1979.

## განტევების ვაცი

მოსკოვს ჩადი არაკაცი! იქ დაგარქვეს „კაცო!"
შე საწყალო, შე რეგვენო, განტევების ვაცო!

გვიანღაა, აწ ნულარას გაიძახი „ვა"-სო!
შე უგულო, შე ურწმუნო — განტევების ვაცო!

რომ დაგხატო, მეც კალამი უნდა ცრემლში ვაწო!
საქართველოს მოღალატევ — განტევების ვაცო!

ვაი, მიწავ დაკარგულო, აჩეხილო ვაზო!
სუ შენგან გვჭირს ყველაფერი — განტევების ვაცო!

როცა მოკვდი, ცრემლთან ერთად მოგაყოლეს ქვაცო!
ჩვენდა ჭირად გაჩენილო — განტევების ვაცო!

●

ყველა მომხდურ იაზონს,
ყველა მომხდურ იაზოვს,
მითიც და სინამდვილეც,
ხალხს რომელიც კი ახსოვს,

ერთნაირად გვტკივა და
ერთნაირად გვაფხიზლებს!
ღმერთო! მშვიდი დილა და
მშვიდი ღამე გვაღირსე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ბიბლიურ იონასავით — ვყავართ მუცელში ყველანი!
იგიცა, ქაჯნი ვინაა, და ჩვენებრ ხორციელანიც!
ბიბლიურ იონასავით ვყავართ იმ ოხერს მუცელში! —
ერი და ბერი, სუყველა! მეომარი და ხუცესი!
ცვლიან აისებს აისნი! ცვლიან დაისებს დაისნი!
ჯოჯოხეთია იმგვარი, თავს რომ ვერაფრით დაიხსნი!
არწევენ ვეშაპს ტალღები! ჩვენც მათთან ერთად გვარწევენ!
ერთს ვფიქრობთ: იონასავით ჩვენც როსმე ამოგვარწყევენ?
ნეტავი, ამოგვარწყევენ?
ნეტავი, ამოგვარწყევენ?

ვყავართ ყველანი მუცელში — ბიბლიურ იონასავით!
იმერელი და ლიტველი! უსწავლელი და ნასწავლი...
თავდადებულიც; უთავოც; პირმშვენიერიც; მახინჯიც...
და, ხალხთა გადამყლაპველი — იოლად იყრის ხალხის
ჯინს!

არწევენ ვეშაპს ზვირთები! ჩვენც მათთან ერთად
გვარწევენ!
ნეტავი, ამოგვარწყევენ?
ოდესმე ამოგვარწყევენ?

1969.

## დები

ჩემო კარგო დებო — მარიამ და მართა —
განშორება თქვენთან — შეხვედრაა მათთან!

სხვა რა უნდა წასულს — საგზლად ცრემლს ხომ მატანთ!
განშორება თქვენთან — შეხვერდაა მათთან!

ულამაზეს ტყუილს ვისმენ, როგორც მართალს...
განშორება თქვენთან — შეხვედრაა მათთან!

ლამარა და ნანი,
მარიამ და მართა.

## ვირის ქება

ვირი რომ ვარ, ვითომ რა —
ნაკლები ვარ ვისზე! —
თვითონ ქრისტე უფალი
ბევრჯერ მჯდარა ვირზე!

უფრო დიდი მხედარი
გაიხსენეთ, სცადეთ! —
ფეხით — მიწას სწვდებოდეს,
ღვთიურ შუბლით — ცამდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვიგონებ მაცხოვარს,
მის ჩოკინა ჩოჩორს,
იმის უკვდავ სიტყვას და
იმის ლამაზ ქოჩორს!

ბეთანიას მიჰმართა
და იერუსალემს —
ვირზე ამხედრებული
არიგებდა სალამს!

მე მის ანდერძს ვასრულებ —
ვშრომობ განუწყვეტლივ...
შრომა არის რჩეულთა
ბედისწერის ეტლი...

არ გეგონოთ ლაჩარი
ანდა მათხოვარი!
ამ ცოდვილ ზურგს დიდება —
ახსოვს მაცხოვარი!

მე არც ტვირთი მაკვირვებს,
არც ტანჯვა და ჯვარცმა!
ღმერთის რჩეულს, რა უნდა
დამიშავოს კაცმა...

ღმერთის რჩეულს — მე მინდა,
გაიხაროს კაცმა...

## თვალები

თვალი რომ ცრემლით სველია,
არახალია, ძველია,
ოღონდ, რაც უფრო სველია,
მით უფრო მომნუსხველია.

როცა თვალები ზღვასავით
არის ლურჯი და უძირო,
არ უნდა ჩააშტერდე და
დიდხანს არ უნდა უცქირო!

თუკი შეცდი და უცქირე,
ტკივილმა იცის მატება.
რაც დაემართა ტარიელს,
სწორედ ის დაგემართება!

რაც დაემართა დარეჯანს,
რაც დაემართა თინათინს,
რაც დაემართა ავთანდილს,
სწორედ ის დაგემართება!

სწორედ ის დაგემართება!

## ერეხელი — შოთა ჩანტლაძის საყვარელი სიმღერა

ერეხელი ვარ, მერეხელი!
ერეხელი ვარ, მერეხელი!
ჯერ — მხრები მიყვარს, მერე —
თმები!
ჯერ — თმები ვკოცნე, მერე —
ყელი!

ეს გრძნობა ძველი, არახალი,
ეს ვნება ძველი, არახალი
შემიძვრა ტვინში, და მე ახლა
ერეხელი ვარ, მერეხელი!

ან გულში ტყვია დამახალე,
ან დანით გამომჭერი ყელი,
ან შენთან ყოფნას ნუ დამიშლი! —
ერეხელი ვარ, მერეხელი!

ჯერ — თმები მომწონს, მერე —
შუბლი!
ჯერ — შუბლი მიყვარს, მერე —
ხალი!

ვარ ისე, ისე მოწყენილი...
ერეხელი ვარ, მერეხელი...

ცხელი შუადღე რომ გადავა —
თორმეტის ზარის მერე გელი!
ერეხელი ვარ, მერეხელი,
ერეხელი ხარ, მერეხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათის პირველი გამოჩენა

გახსოვს უხეში წვერებით
ძილში რომ კაცმა გაკოცა!
საქართველოსთვის ტანჯული —
სწორედ ის იყო ქაქუცა!

სულ შვიდი წელი უცქირა
ტილოზე ამოქარგულ ცას
და საქართველოს ნატვრაში
სული ამოხდა ქაქუცას!

გადაჰკრა მერანს მათრახი
და სამოთხისკენ გაქუსლა...
იქ არის ახლაც ლომგული —
ამაყი სული ქაქუცა!

დღეს მისი სახეც დაჰნათის
ქართულ მიწას და ქართულ ცას!
ცოცხლობდეს აწ და მარადის
ჩოლოყაშვილი ქაქუცა!

## ლექსი სექსის შესახებ

მოიშორა კაცმა
    ბეგთარი და სამკლაური!
მოიშორა ქალმა
    ყოველგვარი სამკაული.
ქალს თვალებში ჩახედა —
    მოეჩვენა, ცას ახედა.
გულისპირი ჩახადა —
    ორი მტრედი ცახცახებდა...
თითქო დენმა დაკრათო —
    ატარებდნენ ხორცნი დენს...
გაშრობოდათ ყანყრატო —
    ბრმად ერთმანეთს კოცნიდნენ...

. . .

ოხერია მთვარე —
    რამდენი რამ უნახავს!
ოღონდ საიდუმლოს
    მხოლოდ მიჯნურთ უნახავს...

## საჩოთირო ლექსი

მინდა დაგიკოცნო ხელები,
მინდა დაგიკოცნო ხალები,
მინდა საიდუმლო გასწავლო
უკვდავ სამიჯნურო ხელობის...
მინდა შეგასწავლო ღალატი,
მინდა შენი გავხდე ჯალათი —
გატკიცინებული — უთოთი —
მინდა დაგიჭმუჭნო ხალათი...
როგორც პერიოდი ცარცული —
მინდა დაგავიწყო წარსული,
მინდა, არც ნაკლები, არც მეტი —
გახდე მთლად ხელიდან წასული...
მინდა დაგისხა და დალიო,
მთვრალი შეგახვედრო ალიონს...
მინდა ჭორაობდეს ქალაქი —
გარყვნილს ახსენებდეს ალიანსს...
მინდა გაგიტეხო სახელი,
რომ მერე ყველა ცოდვა შეგინდო,
და ბოლოს, ცხელი ცრემლის
                    თავსხმაში —
გადაგეხვიო და შეგირთო...

## კორომი

შეიკრიბნენ ხეები მიტინგზე
    (ქვია იმათ მიტინგს „ტყე“).
მუხებმა სხვაგვარად იშრიალეს,
    ჭადრებმა სულ სხვა რამ თქვეს!
გაგრძელდა მიტინგი („ტყე“ ესე იგი!)
    კაი ოცდასამი თვე!
ძენნებმა სულ სხვაგვარად იშრიალეს,
    თელებმა სულ სხვა რაღაც
                    თქვეს...
იდგა მოწყენილი მთლად
                    განმარტოებით
    ერთი დაგრეხილი ხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფოთოლს, რომელიც ქარმა
მიუტანა,
არაფრით აწერდა ხელს...
გაგრძელდა ხეების მიტინგი
დიდხანს —
მრავალ თვესა და წელს!
მოწყენა დაეტყო ფერდობებს
მთებისას,
მოწყენა დაეტყო ველს...
იდგა შრიალი და იდგა ყაყანი და
იყო თვალსაზრისთა სიჭრელე...

შორს კი, ათასი ვერსის დაცილებით,
ცულს დინჯად ლესავდა
ტყისმჭრელი...

●

სანთლად მინთიხარ.
სანთლად მინთიხარ.
სულმთლად მინდიხარ.
სულმთლად მინდიხარ.
სხვა ტკივილი ხარ,
სხვა სიხარული,
სხვა მზე,
სხვა ზეცა,
სხვა ამინდი ხარ...

სანთლად მინთიხარ.
სულმთლად მინდიხარ...

## ანოტაციის მაგიერ

მინდა, ამ წიგნით წარმოვსთქვა
„ტოსტი"
მთლად დედამიწის — ვესტის და
ოსტის...
რომ ყველა, ვინც კი ადამის ძეა,
ძმა იყოს ჩემი და ჩემი დოსტი!

თუმც არ მიჭირავს რაიმე პოსტი,
და არც ფულები მომიდის ფოსტით —
მე სხვაზე ნაკლებ არ მიყვარს,
რა ვქნა,
ეს ჩვენი მიწა — ვესტი და ოსტი!

მათი — ღიმილი უხდება ვისაც,
უფრო კი მისი — ცრემლები რო
სდის —
სამრავალჟამო ეს არის სიტყვა! —
მთლად დედამიწის ეს არის
„ტოსტი!"

●

კაცს კაცის რატომ შურს! —
შორს ჩვენგან შური! შორს!
ან რად მივმართავთ შარს! —
შორს ჩვენგან შარი! შორს!
ან რით ჯობს შარი შურს?
ჯობს ვითომ შარი შურს?
იას რად არ შურს იის?
ვარდს რატომ არ შურს ვარდის?
სალამი ვარდის ღიმილს!
იების შარიშურს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარია კალასი

(ლექსპრომტი კონცერტის მოსმენისას)

კალასი — მომღერალი
კალასალური ძალის:
დედა, მიჯნური, შვილი,
დაი, მეუღლე, რძალი!
კაბა უხდება ჭრელი,
როგორც ხევსურის ქალას!
მე ახლა ვუსმენ კალასს —
კონცერტს, ასე ვთქვათ, გ ა ლ ა ს!
ტალანტა — ბაჯაღლოს, ხალასს —
მშვენიერებას, ძალას,
რომ ეფინება სხივად
ათას გაჭედილ ზალას!
თვით ონასისი თვლიდა
მის ხერხემალზე მალას...

. . .

მიყვარს კალასი მარი...
მე — არ ვუყვარვარ კალასს...

●

უყვარს ჩემს ერთ ძმას — ჯილდოს
მიღება!
უყვარს მეორეს — მსხვერპლის
გაღება!
ხომ დაინახეთ — მისი პერანგი
თავისუფლებამ სისხლით გაღება!
მასთან ღალატმა — ვერ იღალატა!
მასთან კაკებემ — ვერ იკაკება!
ბედნიერია, ბედნიერია —
ელის სამოთხის კარის გაღება!

ჯილდოს მიღება?
მსხვერპლის გაღება? —
ჩემს ძმას ამისიც უჭირს გაგება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

# ორი მოთხრობა

## კოშკი

ვგრძნობ, რომ შეუძლებელია მეტი მოთმენა. ცხოვრების ნახევარი მზადებაში გავიდა, ძალას ვიკრებ, ვეზომები, რამდენჯერ დავიწყე და ისევ მივანებე, სულ მეჩვენება, რომ მზად არა ვარ, ჯერ ადრეა, არადა ვატყობ, ძალა მელევა, ჯერ-ჯერობით შეუმჩნევლად, მაგრამ უკვე მივგორავ დასასრულისკენ, მიზანი კი ისევ მიუღწეველია. ამიტომ ყურადღებას აღარ ვაქცევ არავის და არაფერს, არც სიტყვის სილამაზეზე ვფიქრობ, არც ფორმას დავეძებ; ჩემთვის მისაღებია მხოლოდ ის, რაც თავისით, ძალდატანების გარეშე გაჩნდება აზრის მოძრაობაში, რომელიც არ უნდა შეწყდეს, რათა მთლიანობა არ დაკარგოს ამბავმა, ხოლო ამ მოძრაობით გახსნილი სიტყვიდან სწორედ იმან იფეთქოს, რისი გამოხატვაც მსურს.

ამიტომაც აღარ მაღელვებს არც ოთახში მოთამაშე ბავშვი, არც ჭურჭლის ხმა, არც პნევმატიური უროს გუგუნი; გარეთ რაღაცას თხრიან, ქექავენ, ანგრევენ; სიჩუმისა და სიმშვიდის კედელს ვაშენებ ჩემსა და ქუჩას შორის, რათა თანდათან გავარკვიო და ნათელ ქმნილებად ჩამოვასხა ის, რაც ჯერ ბუნდოვნად, გაუცნობიერებლად არსებობს ჩემში.

სიჩუმის გალავანი თანდათან სიმაგრეს იძენს და ჩემს ფანჯარაში მოქცეული ქალაქიც ნახატს ემსგავსება. ამიტომაც ამ თოვლით გადაპენტილ ქუჩას, თეთრ სუდარაში გახვეულ ხეებს, მავთულებზე მოთამაშე ჩიტებს, ქუჩაში მოძრავ მანქანას, ბოლოს კი ცას, მზეს, ღრუბლებს, ახალი აზრი და მნიშვნელობა ენიჭება, როგორც მინიშნებას, როგორც სიმბოლოს, ერთს რომ გამოხატავს და მეორეს გულისხმობს.

ხოლო თუ ამ განწყობილებას საკუთარ ცხოვრებაზე გადავიტან, ალბათ იმასაც მივხვდები, რომ საკუთარი თავის შეგრძნება, გზა-გავლილი დაბადებიდან სიკვდილამდე, ათას ამბებად დახლართული ქალაქი, არის მხოლოდ სიტყვა. მხოლოდ მეტაფორა, როგორც ყოველივე არსებული, რომლის სახესა და სახელს ჩემი თვალი და გონება განსაზღვრავს.

მაგრამ ამ ფარდობითობას ვივიწყებ, როცა გარეთ გავდივარ. ქუჩაში ყინავს. მშიერი მგლებივით ყმუიან მანქანები. გასაქანი აღარსადაა. თუმცა ესეც არ არის მთავარი. ეს მხოლოდ გარემოა, ფონია, რომელიც ქმნის ტრაგედიის შესაძლებლობას, მაგრამ არ იწვევს მას. გამომწვევი მიზეზი სრულიად შემთხვევითი, სულელური შეიძლება აღმოჩნდეს. ვთქვათ სქესობრივი კავშირით გადაცემული ბაქტერია, ან მოუფიქრებლად ნასროლი სიტყვა.

არც ამ მიზეზების კვლევას აქვს აზრი, დავიღალე, აღარ ვიცი, სად ვეძებო სიმართლე. სიტყვებს აღარ მოაქვთ ის; ძველი გრძნობები დახავსდა. გაიცვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა. სილამაზის ხანა ისტორიას ჩაბარდა, სანაცვლოდ კი არაფერი მოდის ბენზინის ნისლის გარდა, რომელმაც აზრი დაუკარგა ქალაქის არქიტექტურას, სიმწვანეს, უდარდელ სეირნობას რუსთაველის პროსპექტზე; არადა ეს ყველაფერი სულ ახლახან იყო.

მანქანებს გაქცეული, მთაწმინდის ფერდობზე ავდივარ. თითქმის ყოველდღე დავეხეტები ამ ბილიკებზე და მაინც ისეთი განცდა მაქვს, თითქოს პირველად ვიკვლევ გზას, პირველად ავდივარ ზევით და ნაცნობი, ათასჯერ ნანახი და ნავალი ქუჩაბანდები უცხოდ მეჩვენებიან; უეცრად, მზერის ერთი შემობრუნებით კარგავენ თავის ჩვეულ სახეს და თითქოს სხვა, ჯერ უნახავი ქალაქი იხსნება თვალწინ. ეს გაუცხოება პირველი ბიძგია იმისათვის, რომ გადაუხვიო გატკეპნილი გზიდან. მართალია ამ დროს მყარად უკვე ველარ დგეხარ ფეხზე, სამაგიეროდ თვალსაწიერი ფართოვდება, აქამდე ბუნდოვანი მიზანი მეტ სიცხადესა და გარკვეულობას იძენს.

ამ მიზანმა ობსერვატორიასთან ამიყვანა. უბის ჯიბიდან სლაიდი ამოვიღე და დარბაზში შევედი. ვისაც კოშკი იზიდავდა, ყველა იქ დამხვდა. პროექტორი ჩავრთე და დარბაზი ჩავაბნელე. დიდხანს შევცქეროდი ეკრანზე გამოხატულ კოშკს, ვიდრე არ დამეუფლა მასთან შერწყმის საოცარი განცდა, თითქოს მე და სლაიდზე აღბეჭდილი ციხე ერთნი ვიყავით. რაღაც იდუმალი ძალა მიზიდავდა მისკენ. ვიგრძენი, რომ ამ კოშკზე გადიოდა ჩემი გზა, მის კედლებში იმალებოდა ის, რასაც ჯერჯერობით ვერ ვარქმევდი სახელს და რაც ჩემთვის ხსნა უნდა ყოფილიყო.

იმ დარბაზიდან, იმ წუთიდან დაიწყო ჩვენი მოგზაურობა. უკან არცერთი ჩვენთაგანი აღარ დაბრუნებულა. მეორე დილით უკვე ქედი გადავლახეთ და მინდორზე დავეშვით. აქ გადიოდა ქვეყნის საზღვარი. მავთულხლართების ღობე ორ მოსისხლე მხარედ აპობდა სოფელს. ნეიტრალური ზოლი მოხნული და გაფხვიერებული იყო. იქით ლურჯად ციმციმებდა ქართული ტყე, აწ თურქეთის საკუთრებად ქცეული. ლურჯი ზოლივე გადაჰკრავდა უცხოეთის აქაფებულ ცას, რომლის ფონზეც მკაფიოდ იყო გამოჭრილი ნანგრევებად ქცეული კოშკი.

ღამე სოფელში გავათენე. საზღვარზე იქაურმა ბერმა გადაგვიყვანა. არაფერი მახსოვს, მახსოვს მხოლოდ ის, რომ ყველანი სოფლის საყდარში შევიკრიბეთ, მეგზურმა სანთლის შუქზე ფსალმუნი გადაშალა და კითხვა დაიწყო. ხუთი წუთის შემდეგ თავი დამიმძიმდა და კეფაში მარწუხებმა მომიჭირა. „წნევა მაქვს“ ესღა გავიფიქრე და გრძნობა დავკარგე.

ახლა უკვე გაღმა ვარ. მეგზური თავს გვადგას და გვიხსნის, რომ თუ არა ჰიპნოზით, სხვანაირად შეუძლებელია ორი ქვეყნის საზღვარზე გადასვლა, გადასვლა ისე, როგორც ეს ძილში მყოფ მთვარეულებს ძალუძთ; ფეხმიუკარებლად, კვალის დატოვების გარეშე. მეგზურმა ისიც გვითხრა, რომ მძინარე სხეულს გაცილებით მსუბუქი და შეუმჩნეველი გადაადგილება ძალუძს, ვიდრე გამოღვიძებულს, რომელიც გრძნობს ხახუნის ძალას და ითვალისწინებს მიზიდულობის კანონსო.

თუმცა დარწმუნებული არა ვარ, გვეძინა თუ ცხადად ვმოძრაობდით. ყოველ შემთხვევაში, ასკერების ჯგუფმა, რომელსაც უღელტეხილზე გადავეყარეთ, ჩვენს შორის ისე გაიარა, თითქოს არც ვარსებობდით. მერე გაირკვა, რომ ისინი თურმე ჩვენ გვეძებდნენ, მაგრამ გვეძებდნენ როგორც მსტოვრებს და ვერ გვხედავდნენ როგორც მლოცვარებს. ასე თუ ისე, გადავრჩით, სასაზღვრო ზონა უკან მოვიტოვეთ და ახლა უფრო თავისუფლად, მეტი თავდაჯერებითა და რწმენით მივიწევდით ბინდით მოცული ოცნებისაკენ, რომლის მხოლოდ სახელი და ფერგაცვეთილი, მკრთალი სლაიდი არსებობდა ჩვენთვის.

სამი დღის ხეტიალის შემდეგ მთაგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიანი რელიეფი კლდოვანი ზეგანით შეიცვალა. ჩვენი ჯგუფი საგრძნობლად შეთხელდა. ბევრი სოფელ-სოფელ დასახლდა, ოჯახს მოეკიდა და მიწათმოქმედებას მიჰყვა. მხოლოდ რამოდენიმე დავრჩით. თვით არ ვიცოდით, რა ძალა გვეწეოდა იქით, რადგან ყოველი კონკრეტული მიზანი აფერმკრთალებდა და ამარტივებდა იმ დაუშრეტელ მისწრაფებას, რაც ჩვენი ცხოვრების აზრად იყო ქცეული. ჩვენ გვსურდა გაქცევა საკუთარი თავისგან, ყველაფერი იმისგან, რაც მოძველებული გარსივით გვერტყა, რაც ხასიათს არტახებში მოქცეულ სულს სახელს არქმევდა და საზღვარს უსახავდა. სწორედ ამიტომ, ხეობაში აღმართული ციხე ჩვენთვის იყო გასაქცევად გახსნილი კარი და არა ცოდნის მასალა. ამიტომაც არ გვაინტერესებდა არც მისი წარმომავლობა, არც მისი აღნაგობა, ჩვენთვის მთავარი იყო ის, როგორც მთლიანი რამ, როგორც უსახელო და შეუცნობელი არსის სიმბოლო.

ეს აზრი თანაბრად არ ფეთქავდა ყოველ ჩვენგანში. მე აღარაფერი ვიყავი ამ მისწრაფებისა და სურვილის გარდა, მაგრამ ერთ-ერთ ჩვენთაგანს მაინც შეეპარა ეჭვი. ეს მოხდა უკვე ქვეყნის სიღრმეში, როცა უდაბნო გადავლახეთ და სასურველ ციხემდე ერთი დღის სავალი იყო დარჩენილი. ტრაგედია დატრიალდა ღამით, ახალი მთვარის მოლოდინში, ვარსკვლავებით მოკაშკაშე ცის ქვეშ. შემზარავმა ყვირილმა ფეხზე წამოგვყარა ყველა.

— არა მჯერა! — სიზმარ-ცხადში ღრიალებდა ის. — აღარ მინდა! გამიშვით...

როგორ არ ვეცადეთ მის დაწყნარებას, ხელ-ფეხიც შევუბორკეთ, მაგრამ ეჭვი და უნდობლობა თანაგრძნობაზე ძლიერი აღმოჩნდა, კაცმა გაგლიჯა თოკები და თავქვე დაეშვა. აზრი აღარ ჰქონდა დევნას, ჯერ ერთი ვერ დავეწეოდით, მეორეც ინფექციის გავრცელების შეგვეშინდა; ერთი ორი ასეთი ეჭვი და ჯგუფის სხვას წევრებიც მოკურცხლავდნენ უკან, ამიტომ მისი ხსენებაც კი ავკრძალეთ, ვითომ სულ არ ყოფილა ჩვენთან.

როგორც მოგახსენეთ, ყველა ერთნაირი თავდავიწყებით არ მიისწრაფოდა კოშკისკენ. ზოგისთვის მართლაც ძვირფასი აღმოჩნდა ის გარსი, რომელშიც სულმა დაკარგა უსასრულობა და მიწიერი სახე მიიღო. ზოგს ბავშვის სათამაშო ჰქონდა წამოღებული, ზოგს ქორწინების სურათი; ვერც გაამტყუნებდი მათ. წარსულს თავისი მიმზიდველობა და ხიბლი აქვს, ოჯახს თავისი სიმყუდროვე და სითბო. წუთისოფელი უამრავ ცთუნებას წარმოშობს, რომლის დათმობა გიძნელდება და რომელიც მუდამ უკან გეწევა. ამიტომ მეგზურმა ყველას შესთავაზა უკან დაბრუნება, კი არ შესთავაზა, უბრალოდ გაქცევის საშუალება მისცა. ისინიც ნელნელა ჩამოგვშორდნენ, ჯერ სულის მოსათქმელად შეჩერდნენ, შემდეგ კი უკან გაბრუნდნენ. კინაღამ მეც არ გავყევი მათ, მაგრამ როგორღაც ვძლიე თავს, უკანასკნელი მოსახვევიც გავიარე და კედლებით გარშემორტყმულ ფლატეზე დავინახე კოშკი. ჩემი მოგზაურობის აზრი და მიზანი.

რამდენადაც ცუდად გამჟღავნებული და ჟამით გაცვეთილი სლაიდი მქონდა ხელთ, ამდენად ეს ციხე-კოშკიც რაღაც მომწვანო-მოყვითალო ბურუსში იყო დანთქმული. რა არ გავაკეთე, ეკრანი საპნით გავრეცხე, შუქი გავამკვეთრე, ახლოს მივედი, ციხეს მაინც ვერ მოვაშორე ბურუსი, ვიდრე არ მივხვდი, რომ ეს ნიმბივით შემოხვეული ნისლი თვით კოშკის სიღრმიდან იღვრებოდა სათავეს.

— დაკეტილია, — მითხრა მეგზურმა და კიდევ ერთხელ შეაჯანჯღარა ციხის ჭიშკარი.

— იქნებ ავძვრეთ? — შევთავაზე მე.

— აზრი არა აქვს, — სევდიანად გაიღიმა, — კარი თუ არ გაგვიღეს, ნანგრევების მეტს ვერაფერს დავინახავთ.

ვითმინე, ვითმინე, და ბოლოს მაინც ავედი კედელზე. კედელი ოღრო-ჩოღ-

რო იყო და იოლად შეიძლებოდა ზედ ფეხის მოკიდება. ქონგურზე ავძვერი და შიგნით ჩავიხედე: გული მომიკვდა. ხავსმოდებული აბსიდა, ნახევრადჩამონგრეული კონქი; აქა-იქ, მოლზე ჩამოქცეული სვეტის ნაწილი, ხის ტოტებს დაბჯენილი თაღი, რამოდენიმე ოლარი, ქვის მოზაიკაზე მიმობნეული ადამიანთა ძვლები...

უკან, ზედ თივის ზვინზე გადმოვხტი. — შიგ აღარაფერია დარჩენილი — ვუთხარი მეგზურს. — შორიდან ყურება სჯობდა.

მეგზურმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და ზურგჩანთიდან ჟურნალი ამოიღო.

ჟურნალის გარეკანზე სწორედ ეს სურათი იყო აღბეჭდილი: ლურჯი ცა, დაკბილული კლდეები, ყვავილების გორა, მთიდან ამოზრდილი კოშკი.

მეგზურმა ჟურნალი გადაშალა და კითხვა დაიწყო:

— ისტორია ამტკიცებს, რომ ეს სწორედ ის ქაჯეთის ციხეა, რომელიც ტარიელმა აიღო. სავარაუდოა, რომ პოეტს შთაგონების დროს შეუღწევია ამ ციხის კედლებში და თვალი მოუკრავს მეციხოვნეებისათვის, რომლებიც ქაჯებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადამიანებს. მომხდარი ფაქტები გვაფიქრებინებენ, რომ თუ არა შთაგონებით, სხვანაირად შეუძლებელია კოშკში მოხვედრა.

ჩვენამდე მოღწეულია ცნობა, რომ თემურ ლენგმა სცადა მისი აღება. ოთხმოცდღიანი ალყის შემდეგ თავისი რაზმით მან მოახერხა გალავანზე ასვლა. ამის შემდეგ ამტყდარა საშინელი ჰექა-ქუხილი, მიწა იძრა და ციხე-კოშკი უცნაური შუქით განათებულა. საშინელმა ძალამ უკან გადმოისროლა აღმოსავლეთის მბრძანებელი, მისი რაზმი კი უკვალოდ გაქრა.

1897 წელს ქაჯეთის ციხის მიდამოებში მოხვედრილა ვაჭართა ქარავანი, რომელიც სტამბოლიდან საქართველოში მოემართებოდა. ქარავანისათვის უკანასკნელად თვალი მოუკრავს მოპირდაპირე ფერდობზე ასულ მწყემსს. მექარავნეები კოშკს მიუახლოვდნენ და მის გალავანთან დაბანაკდნენ. უეცრად საშინელი გრუხუნი გაისმა, მიწა იძრა და თავზარდაცემული მწყემსის თვალწინ მთელი ქარავანი ხახადაღებულმა ნაპრალმა შთანთქა.

ოფიციალურად მთავრობამ უარყო ვერსია შეითან-კალეში რაიმე ძალების არსებობის შესახებ, მაგრამ შიში და პანიკა იმდენად მოედო ახლომახლო მოსახლეობას, რომ საჭირო გახდა ახალი ექსპედიციის მომზადება.

ციხეს ამჯერად თვითმფრინავით გადაუფრინეს, რათა ზემოდან, ახლო რაკურსით გადაეღოთ მისი ინტერიერი.

— ვუახლოვდები. — გაისმა რადიოში მფრინავის ხმა, — ვიმყოფები დაახლოებით ხუთი წუთის სავალზე; ხეობა გაიხსნა, ვხედავ გალავნის ნანგრევს.

ხუთი წუთის შემდეგ კი: — მიშველეთ! აქ რაღაც საშინელება ხდება! ვერ გადავრჩები!

სიგნალი შეწყდა. თვითმფრინავი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო.

თვითმფრინავის მოსაძებნად მთავრობამ ენერგიულ ზომებს მიმართა. მობილიზებული იქნა ჯარის ნაწილები: ტანკები, არტილერია, ასკერების მთელი დივიზია;

ქვემეხებმა ჯერ შორიდან დაცხრილეს ციხის მისადგომები, შემდეგ შეტევაზე ტანკები გადავიდნენ, მათ კვალდაკვალ ჯარისკაცები მიყვნენ.

იგივე ამბავი განმეორდა; დივიზია ერთი ბათქა-ბუთქით შეიჭრა ციხის კედლებში, ერთხანს კიდევ ისმოდა აფეთქების ხმა და ბრძოლის ყიჟინა, შემდეგ ციხე შეზანზარდა, მიწა იძრა და შემზარავმა სიჩუმემ მოიცვა ყველაფერი.

ამრიგად ერთადერთი, ვინც შესძლო იმ ციხეში შესვლა და უკან უვნებლად დაბრუნება, იყო პოეტი, რომელიც მრავალი საუკუნის უკან დაეხეტებოდა იმ მიდამოებში და შემდეგ შთაბეჭდილებებით სავსე უბრუნდებოდა თავის ხელნაწერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ ახსნეს ეს ყველაფერი? — ვკითხე.

მეგზურმა ჟურნალი გადაშალა და კითხვა გააგრძელა:

მეცნიერებმა გამოთქვეს რამოდენიმე ვერსია:

ა) კოშკის კედლებში ტრიალებს მაგნიტური ქარიშხალი, რაც იწვევს იქ მოხვედრილი სხეულების დაშლას.

ბ) შესაძლებელია აბერაციის მოვლენა, ანუ სივრცის გამრუდება. კოშკში შესული გადადის მეოთხე განზომილებაში და განაგრძობს არსებობას სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის გარეშე.

გ) იგივე მოსდის დროსაც. დრო გარდასახვას განიცდის და გადადის ან წარსულში ან მომავალში.

— დასკვნა ასეთია, — ჟურნალი დახურა მეგზურმა, — ვინც გააგრძელებს მოგზაურობას, მან უნდა დასთმოს ყველაფერი, რაც ამ ცხოვრებასთან აკავშირებს.

გამახსენდა შვილი, ოჯახი, ყველაფერი, რისი მიტოვებაც წარმოუდგენლად მიმაჩნდა: თვალწინ დამიდგა ბავშვი, ახლახან მოვლენილი ამ ქვეყანას; საკმაოდ დიდი მეჩვენა მსხვერპლი, თუმცა შეუცნობლისკენ მისწრაფებაც ასევე ძლიერი იყო და დავიწყე გამოსავლის ძებნა.

— ერთი ხომ მაინც დაბრუნდა... უკან? — ვკითხე მეგზურს.

— ის პოეტი იყო, — მიპასუხა, — თანაც შთაგონების დროს ბედავდა იქ შესვლას.

— მეც რომ გავბედო? — ვკითხე.

— თავს დაიღუპავ. ძალიან ძნელია ერთდროულად ორ სამყაროში არსებობა.

— ამდენი იმისთვის ვიმოგზაურე, რომ უკან დავბრუნდე?

— როგორც გინდა, — მხრები აიჩეჩა, — მე კედლის იქით ვეღარ გამოგყვები.

მეგზური გაქრა. ფოთოლთა სიმწვანეს თუ შეერია მისი სანთლისფერი სახე? მარტო ვიყავი. ძნელი იყო გადაწყვეტილების მიღება. მიჭირდა, ძალიან მიჭირდა იმის დათმობა, რაც აქამდე ჩემი ცხოვრების აზრს შეადგენდა; თანაც ერთი სული მქონდა, გადამეხედა გალავნის იქით, გამეგო ციხის იდუმალებით მოცული ამბავი. შეგრძნება ისეთი მქონდა, თითქოს ბეწვის ხიდზე ვიდექი. აქეთა ნაპირი გავსებული იყო ახლობელთა სახეებით. ათასი ჩემსკენ გამოწვდილი ხელი უკან დაბრუნებას მთხოვდა; ხალხის გუგუნში ქალის ნაზი ხმა და ბავშვის ტირილი იგრძნობოდა... იქითა ნაპირზე კი იდგა მწვანე სიზმრით გარემოცული კოშკი. მისი კედელი შიგნიდან ნათდებოდა და ისევ ქრებოდა. მისი ქონგურებიდან ათასი მზე იფრქვეოდა და ამ სხივთა ძაფებით მოქსოვილი გუმბათისაკენ მიიწევდა ჩემი ფიქრი. აღარ ვიცოდი, რა უფრო მსურდა — უკან დაბრუნება თუ წინ წასვლა. ამიტომ შევჩერდი შუა გზაზე და ყური მივუგდე საკუთარ თავს, რომელსაც ძალდატანების გარეშე უნდა გაეკეთებინა არჩევანი.

თავიდან იყო მხოლოდ გულში ჩარჩენილი ტკივილი, ცეცხლივით რომ დაცოცავდა მკერდის გამოქვაბულში... ნოსტალგია და სინანული კვებავდა ამ ცეცხლს. მისი რუხ-მოცისფრო ნაკვერჩხლები მიმობნეულნი იყვნენ მოგონებათა შორის და ჩემს წარსულს მოვარდისფრო შუქ-ჩრდილებით ქარგავდნენ. აქ უკვე ერთმანეთს იყო შერწყმული შორეული და ახლო წარსული. ახლახან მიტოვებული, ჯერჩაუმქრალი კერა და უკვე არარსებული, ჟამით გაფანტული ბავშვობა. ეს ყველაფერი ხატავდა და ამკვეთრებდა ქალაქს, რომელსაც გავექეცი, ხატავდა მას მომხიბვლელად, ახვევდა შორეთის სურნელში, აფერადებდა ძველი საღებავებით, ამკობდა იმ სიტყვებითა და სახეებით, რომლებსაც საამო ტკივილი მოჰქონდათ თან და ამას ყველაფერს ებრძოდა სადღაც ზემოდან ჩამომდგარი შუქი, შუქი რომელიც არაფერს ანათებდა, რადგან ის წინ იყო მიმართული, წინასწარნაგრძნობ, მაგრამ ჯერარშობილ მომავალს გამოსახავდა, მომავალს, რომელიც უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩნდა ჩემში როგორც უსახელო ძალა, ძალა, რომელიც ანგრევდა ოჯახს, იპყრობდა მთელ ჩემ არსებას, მეწეოდა იქით, სადაც ჯერ არაფერი იყო და მეც არაფერი ვიყავი, რადგან ყველაფერი ის, რაც აქამდე მქონდა, რაც შეადგენდა ჩემს არსებას, ამ ძალის წინაშე იმსხვრეოდა და იფანტებოდა. ეს ძალა მოდიოდა ქაჯეთის ციხიდან, ანგრევდა წარსულის დეკორაციებს, გლეჯდა კულისების ფარდას და მიჩვენებდა სიცარიელეს, არარას, რომელშიც ახალი შესაძლებლობები იყო ჩაქსოვილი.

აღარც კი მახსოვს როგორ გადავდგი ნაბიჯი იქით, როგორ გადავირბინე ბეწვის ხიდი და ქაჯეთის ციხის აღმართს შევუდექი.

„მთავარია უკან არ მივიხედო", კვალდაკვალ ამედევნა ფიქრი, თუ ერთხელ მაინც მოვკარი თვალი ბავშვს, წინ რაღა წამიყვანს".

ერთი ამოსუნთქვა, ერთი ნახტომი და უკვე გავიარე პირველი კარი, ფართოდ რომ დამხვდა ღიაბული. ნანგრევებით მოფენილი ეზო გადავლახე და კოშკში შევედი.

კოშკის შიდა სივრცე მის გარემოცულობაზე გაცილებით დიდი აღმოჩნდა. სხივებისგან მოქსოვილი გუმბათი გაიფანტა და გარღვეული ჰერი თვალისმომჭრელად მოციმციმე ცამ ამოავსო.

და აქ დაიწყო ის, რასაც ველოდი! მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა, ჰაერი შეზანზარდა, მიწა იძრა და ზემოდან ათასფერად . მოელვარე, მარაოსავით გაშლილი უზარმაზარი თეფში ჩამოეშვა! ძრწოლამ ამიტანა, არ ვიცოდი რა მელოდა, რისი მეშინოდა და მაინც ისე წავხდი, მზად ვიყავი მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავმძვრალიყავი. ჩემი განცდა და ფიქრი ვერ იტევდა ამ შთაბეჭდილებებს, მით უფრო შეუძლებლად მიმაჩნია მისი სიტყვით გადმოცემა; შეიძლება შევადარო ის მიწის გასკდომასა და ცის ჩამონგრევას, რაღაც აპოკალიფსურ მდგომარეობას, როცა ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთმანეთში ათქვეფილა და საყოველთაო ორომტრიალში საკუთარ თავს დაეძებ...

— აქეთ! — ვიღაცამ ხელი ჩამავლო და გვერდზე, სამრეკლოში შემიყვანა.

ეს იყო ჩემი მეგზური. შევხედე თუ არა ნაცნობ სახეს, შვება ვიგრძენი, დამიბრუნდა რწმენა და სიმშვიდე. ახლა, შინაგანად დაწმენდილი და კვლავ ერთ არსებად ქცეული, შემეძლო წინ აღვდგომოდი გარემოცულ ქაოსს.

— მაპატიე, რომ მიგატოვე, — გამიღიმა. — სხვანაირად არ შემეძლო. გადაწყვეტილება თვითონ უნდა მიგეღო.

— რა ხდება! — მივიხედ-მოვიხედე.

— კოსმოდრომზე ვართ! — დამიყვირა — ერთი ბიძგიც და მიწას მოვწყდებით.

— არ მინდა! — უნებურად აღმომხდა.

—არჩევანი უკვე გააკეთე და უკან ველარ დაიხევ.

— არ მინდა, — დავიჩურჩულე და მივხვდი, რომ თავს ვიტყუებდი. ჩემს ნება-სურვილზე უფრო ძლიერი რამ მიზიდავდა თეფშისკენ, რომელიც ჯერ კიდევ გუგუნებდა და თავისი ერთადერთი თვალიდან იისფერ სინათლეს აფრქვევდა.

ცოტა ხანში გრუხუნიც შეწყდა, დახეთქილი მიწა ისევ შეერთდა. თეფშიდან კიბე ჩამოუშვეს და ციური არსება ჩამოვიდა მიწაზე.

ძალა არ მყოფნის აღვწერო ის, აღწერისათვის საჭიროა შედარება. ის კი არავის და არაფერს არ ჰგავდა. არაფერს ისეთს, რაც აქამდე მენახა ან რისი წარმოდგენაც შემეძლო. მისი თვალისმომჭრელი სახე ნელ-ნელა მომიახლოვდა და ხელი რბილად, ნელ-თბილად შემეხო.

— მარტო ერთია? — ვიგრძენი ფიქრივით ჩუმი და ცხადი ხმა.

— დანარჩენებმა ვერ გაბედეს, — გაეპასუხა მეგზური. — ხალხი ძალიან მიეჯაჭვა მიწას.

—მაშინ დროს ნუღა ვკარგავთ.—გაი-



საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრა თუ თქვა მან. იმავე წუთს შიში და მღელვარება გამიქრა; ვიგრძენი, როგორ დავკარგე სხეული, როგორ შევუერთდი სინათლეს, როგორ დავტრიალდი თეფშთან ერთად, როგორ მოვწყდი მიწას და რაღაც გაუგებარი, თავბრუდამხვევი სიხარულით გატაცებული, ზეცისკენ გავფრინდი.

# სარაჯიშვილის ქუჩის სათავე

სარაჯიშვილის ქუჩის სათავეს მთაწმინდაზე ასვლისას მივაგენი. გრიბოედოვის ქუჩიდან რუსული ეკლესიისაკენ ავუხვიე, სურსათის მაღაზიასთან ავედი. შემდეგ მეორე მხარეს გადავედი და 8 მარტის აღმართიდან გადმოვხედე ქუჩას. ორ ხეს შუა, კრამიტის სახურავებიდან ამოზრდილი იყო აგურის ვარდისფერი კედელი, ზედ ამოჭრილი ფანჯრით. ვინ იმალებოდა ფანჯრის უკან? ყველგან მწვდომი თვალი, რომლის წინაშე ვთამაშობდით ჩვენს როლს? თუ ეს ცარიელი სარკმელი იყო, შავი ხვრელი, გარღვეული ქაღალდი? ყველაზე ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ფანჯრის მიღმა იყო ოთახი, სადაც ცხოვრობდა ჩვეულებრივი კაცი, დილიდან რომ ფუსფუსებდა ან აქ, ან იქ, კიდევ უფრო ბნელ სამზარეულოში, ჭიანჭველასავით ეწეოდა ცხოვრების ტვირთს და ვერც კი ხვდებოდა, რომ თავისი მუყაითობით, ყოველდღიური ქაოსიდან ძლივს შექმნილი სიმყუდროვით არსებითად არ ცვლიდა სურათს, სადაც ბოლომდე არაფერი იყო შევსებული — სახურავების კომპოზიციას მთლიანობა აკლდა, ლამენათევი ცა ჩამორღვეული იყო, რაღაცა აკლდა გარემოს და მე მასში ჩაქსოვილი როგორც შტრიხი, როგორც ფუნჯის ერთი მოსმა, თან ვატარებდი ამ ნაკლს, ამ სიშავეს. — ალბათ ამიტომ არ ჰქონდა ჩემს სიკეთეს გემო, ჩემს ბოროტებას ძალა; ამ გაურკვეველი, ბინდნარევი შუქივით არც აქეთ ვიყავი, არც იქით; ალბათ ამიტომ არ მყავდა არც მტერი, არც მოყვარე. მე კი არა, ყველა ასე ვიყავით, ვინც ერთხელ მაინც შეიხედა ბნელ ფანჯარაში და გახვრეტილი ფარდის მიღმა დაინახა სიცარიელე, არარა; მიხვდა, რომ ეს სამყარო ნახატი იყო და თვითონაც შიგ ჩახატული, ჩარჩოში ჩამჯდარი, მხოლოდ ერთხელ, წარმოუდგენელი ტკივილითა და სიმსუბუქით გადალახავდა ყოფნა-არყოფნის ზღვარს.

დანარჩენები, ვისაც აზრად არ მოსვლია ფარდის უკან გახედვა, სავსენი იყვნენ. მათთვის ყველაფერი ცხადი იყო, შავი ან თეთრი; მაგრამ ეს იყო ბრტყელი, ორგანზომილებიანი სიცხადე. მათ სრულყოფას მხოლოდ ნახატის ჩარჩოში ჰქონდა ძალა. სურათის იქით ვერ იხედებოდნენ, ჩარჩოს ჰორიზონტად მიიჩნევდნენ; სწორედ ამიტომ ბატონი ტარიელი, სარაჯიშვილის პირველ ნომერში მცხოვრები, თვალებდაყვლეფილი შესცქეროდა ფანჯრიდან ოთახში შემოჭრილ ხეს. მისი თვალები წყურვილს გამოხატავდნენ. წყურვილს და შეუცნობელ ალტკინებას; რადგან თუმც ბრტყელი იყო და ყველაფერს ცხადად მიიჩნევდა, რაღაცა აწუხებდა მუდამ და სასმელით იბრუებდა თავს. ახლაც პირგამშრალი, უაზროდ შესცქეროდა სამზარეულოში მოფუსფუსე ცოლს და ეჩვენებოდა, რომ იქ ქალი კი არა, ხალათში გახვეული ბოთლი ტრიალებდა. ნესტანმა ერბოკვერცხი შეწვა და ჭიქაში მდუღარე ჩამოასხა. შიგ ნაფოტებივით დაცურავდნენ ჩაის ფოთლები, „დალიე, რატომ არ სვამ!“ ჩასძახოდა ქალი და მის შუბლზე ჩამოყრილ თმაში, ვით უღრან ტყეში, ნაკვერჩხლებივით ელავდნენ თვალები.

კაცი წამოხტა, ეს სიმყუდროვე და სიმშვიდე მოჩვენებითი იყო! ისევ დაიძრა არსაიდან უმიზეზო შიშის ტალღა, ისევ დააცხრა ზედ, ისევ აგრძნობინა, რომ ეს მყარი სიცხადე ჰაერში ეკიდა, რომ ეს ყველაფერი ნახატი იყო, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის უკან რაღაცა იმალებოდა, მაგრამ რა? ეს არ იცოდა კაცმა, რადგან მის სახელს არ ასწავლიან, არ წერენ, ყველამ თავისი სიტყვა უნდა მოუძებნოს მას და თავისი გზა მონახოს მის დასაძლევად.

იქ, სადაც კაცი გარბოდა, სურსათის მაღაზიასთან, შორიდანვე მოსჩანდა რიგი. სიცხით გატანჯული ხალხი, ლუდის მოლოდინში მოუთმენლად მიიწევდა წინ; კაციც უკვე მათ შორის იდგა, სახეაგზნებული, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. გრძნობდა, როგორ ინგრეოდნენ უხილავი კედლები, ხედავდა, როგორ ცოცხლდებოდა ნახატი, როგორ სძვრებოდათ გრიმი და ნიღაბი ღიმილით გამთბარ სახეებს. იმასაც გრძნობდა, რომ არავინ შეარჩენდა სიმართლის თქმას, ჩარჩოდან გადმოსვლის მცდელობას, ისე შეატრიალებენ საქმეს, რომ აქეთ დასდებენ ბრალს, აქეთ შეაბამენ ყელზე თავიანთ ცოდვებს. მთავარია არ შეშინდეს, უკან არ წაიღოს თავისი სიტყვები, თვით არ გამოუტანოს განაჩენი საკუთარ თავს, რადგან მაშინ ვერაფერი უშველის. ახსნიან თუ არა ბორკილებს, ფანჯრიდან გადაეშვება ან მტკვრის ტალღებში მონახავს შვებას; რადგან მთელი მომავალი სამსჯავრო, მაუდგადაკრული მაგიდით, ირგვლივ შემომსხდარი მსაჯულებით, გაჭედილი, ხალხის სუნთქვით დამძიმებული დარბაზი, თავისი ბრალმდებლით, დამცველით, მოწმეებითა და მცველებით, მის სულში გადმოინაცვლებს, სადღაც ძალიან ღრმად ჩაჯდება და მთელი ცხოვრება გაუთავებელ, დამტანჯველ პროცესად გადაიქცევა; რადგან ყველაფრის საზომი სიტყვა კი არა, სინდისის ხმაა, ოღონდ უნდა შეგეძლოს ამ ხმის გაგონება, მისი გამორჩევა ყალბი ხმებისაგან, ასე განუკითხავად რომ დაეხეტებიან ქვეყანაზე და ზოგჯერ გულის სიღრმეებსაც აღწევენ. ერთხელ სიმართლის გზაზე შემდგარი, ველარ დაიხევს უკან, მაგრამ ეს გზა მეტად ციცაბოა, მწვერვალზე ასვლის ნაცვლად ქვესკნელში შეიძლება ჩავარდე და მერე გიქვით, ალმა, დინების საწინააღმდეგოდ უნდა იცურო, უნდა მონახო ძალა, რომელიც ნაკადს უკან, სათავისაკენ გამოარღვევს; სადაც ჯერ არ გაჩენილა ექვი, არ თქმულა სიტყვა და არ გამოკვეთილა სიმართლე; რადგან სათავე ყველაფერს მოიცავს, თქმასაც და გაჩუმებასაც, სიკეთესაც და ბოროტებასაც; თვით კი არ წარმოადგენს არაფერს — მიუწვდომელია ის ძალა, რომელიც ამ არაფერს მიმართულებას ანიჭებს, სათავედ აქცევს, არჩევანს ახდენს უსასრულო შესაძლებლობებს შორის. ამიტომ ეს ამბავიც გაგორებული კამათლის ერთი წახნაგია. ეს ყველაფერი ასე მოხდა, ასე დალაგდა, მაგრამ სხვანაირადაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ვთქვათ ბ-ნი ტარიელი დიპლომატიურზე მოხვედრილიყო და დღეს საზღვარგარეთ ყოფილიყო! მაშინ ეს ბროლისცა უფრო ბედნიერ ქვეყანას დაადგებოდა თავზე, ხოლო ეს ორნი, რომლებმაც სიტყვა გააწყვეტინეს და გისოსებიან მანქანაში შეაგდეს, თავაზიანად გამოსდებდენ ხელს და სთხოვდნენ პოლიციაში წამობრძანებას.

— ჩარჩოში ვზივართ! — ყვიროდა კაცი, მაგრამ აღარავინ უგდებდა ყურს. ფერთა თამაშით შემდგარი ციხე ნამდვილივით ყრუ და შეუსმენელი იყო. შიგ ჩახატულ კაცუნებს ნამდვილ ადამიანებად მოჰქონდათ თავი. კაცი თამამად უსწორებდა მათ თვალს; თუმცა როგორც დამნაშავემ მორცხვად უნდა დახაროს თავი, მუხლებზე დაეცეს, ფეხებში ჩაუგორდეს, რომ იქნებ სასწაული მოახდინოს და გული მოულბოს; განაჩენის გამოტანამდე ცემით არ ამოახდევინოს სული. ის კი თვალსაც არ ახამხამებს, მაშინაც კი, როცა მუშტი ხვდება ყბაში, ზამბარასავით ყოველ დარტყმაზე ისევ იმართება, ისევ დგება, რომ ახალი, უფრო მტკივნეული მუშტი იგემოს, უფრო და უფრო იგრძნოს დანაშაულის სიმძიმე; ოღონდ შიში აღარ ელავს მის თვალებში; შიში უკან დარჩა, პირველი დარტყმის მოლოდინთან ერთად, ახლა მხოლოდ ტკი-

ვილია, ფიზიკური ტკივილი, რომელიც ვერ ფანტავს ფიქრებს, ვერ კლავს ეჭვს. ვინ აუხილა თვალი? ვინ აგრძნობინა, რომ ეს სამყარო ნახატი იყო? ეს საბედისწერო დილა ხომ არაფრით განსხვავდებოდა გუშინდელისგან? განთიადმა ძველებურად გაანათა სახურავები, უთვალავმეერთედ ამოვიდა მზე, ათასმეერთედ ჩამოიარა მემაწვნემ და სარაჯიშვილის ქუჩაზე სავსე ქილები დატოვა. არა, დღეს მას უკვე აღარ შეეძლო გაჩუმება, მაგრამ იქ, ზვავის სათავეში, რამოდენიმე საათის უკან, როცა ჯერ კიდევ არ იყო ამოძრავებული სიტყვა, მას შეეძლო არჩევანის გაკეთება და უფრო მშვიდი, უმტკივნეულო როლის თამაში. ამ დილით, როცა სარაჯიშვილის ქუჩის სათავე სისხლისფერი შუქით შეიღება, როცა ფერდობზე შეფენილი უბანი ცერად დაცემულმა მზემ ალიონის სხივებით მოქარგა, გრიბოედოვის ქუჩიდან ჩამოვიდა პიჟამოსამარა კაცი. სახე არ ახსოვდა, დაამახსოვრდა მხოლოდ მისი გრძელი, მელნით მოთხვრილი თითები.

უცნობი მის დანახვაზე შეჩერდა, შემდეგ შეტრიალდა და თითქოს სირბილით აუყვა აღმართს.

არა, ტარიელი არ უნდა აჰყოლოდა ეჭვს, არ უნდა ეფიქრა, რომ ეს ვეფხვივით აღრენილი, ზოლიანი უცნობი მისი თავგადასავლის ავტორი იყო, იქ მოვლენათა სათავეში, მას ჯერ კიდევ შეეძლო ტყვეობიდან გაქცევა და სხვა როლის თამაში, რასაც მერე უკვე ველარ შესძლებდა; რადგან რაც უფრო ავსებს ფერი ან სიტყვა მონიშნულ კონტურს, მით უფრო ძნელია მისი შეცვლა, მასში ახალ-ახალი შტრიხების შეტანა. იკარგება სათავეში ნაპოვნი თავისუფლების განცდა, როცა საითაც გინდა, იქით გაფრინდები. ძლივს მიიკვლევ გზას შენივე ეჭვით შექმნილ რელიეფზე, უკან დარჩენილი გამძიმებს, გაიძულებს ახლადგამოძერწილი უკვე არსებულს შეუფერო, მაგრამ თუ ბოლომდე შეინარჩუნე ფრთები. თუ გაექეცი ფერგამშრალ, გამყიფებულ სიტყვებს, მაშინ ნახატი გაცოცხლდება და წარმოსახვა სინამდვილეში გადმოაბიჯებს; იმ სინამდვილეში, რომელიც არც შავია და არც თეთრი, არც ბოროტებაა და არც სიკეთე, ის უბრალოდ არსებობს, უფრო სწორედ მე ვარსებობ მასში და მნიშვნელობა არა აქვს როგორ ვხედავ მას ან რა სიღრმეზე ვწვდები; კაცისა და ძაღლის თვალებში ერთი და იგივე უმეცრებაა, ორივე შიშის ტყვეა, ორივე გრძნობს მას და ერთი არაფრით არაა მეტი მეორეზე. ყველა მოკვდავია, ყველა მოლოდინშია და ეს ათანაბრებს მათ. განსხვავებათა მიუხედავად, ყოველ არსებაში სიკვდილის შიში ძევს და ეს შიში არავის აძლევს ზემოდან ყურების უფლებას. ამიტომ მართალია ის, ვინც არ ქმნის იერარქიას, ვისთვისაც ერთნაირად მნიშვნელოვანია პირამიდაც და კენჭიც; ვისაც შეუძლია ერთი ფოთლიდან მთელი სამყარო შექმნას, რადგან ფოთოლიც და პირამიდაც ორივე მხოლოდ ფარდის ნახატია, გზაა, საშუალებაა და არა მიზანი. მიზანი სიკვდილია? რომელსაც ალბათ მიუსჯის ეს სახედაბღვერილი სამსჯავრო? რა ქნან? ქვეყანა თავზე ენგრევათ. ამ დამთხვეულმა ის ჩაარჩო ახილა, რომლის დანახვის უფლებაც არ ჰქონდა, სწორედ ამიტომ ქალბატონმა თინათინმა, ჩარჩოში მომწყვდეულთა რწმენის დამცველმა, ბრალდებულის იდეები შეუწყნარებლად სცნო და მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიუსაჯა. ელოდნენ, რომ კაცი მუხლებზე დაემხობოდა მსაჯულთა წინაშე და სიცოცხლის მაოხოვრად ქცეული, ბოლოს მაინც მოულბობდა ქალბატონ მსაჯულს გულს. მასაც ხომ ეს უნდოდა! რა სიამოვნებით გასრესდა მის ფეხქვეშ ჩავარდნილს?! თითქოს ერთის ცოდვა მეორეს შეიძლება აკიდო. და ამ თვალებდაყვლეფილი მათხოვრის დასჯით მთელ კაცთა მოდგმაზე იძიო შური, რომელთა მოციქულმაც ერთ დროს დაურღვია სიმშვიდე, აუღელვა, აუფორიაქა სული და შემდეგ მასზე უკეთესში გაცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განაჩენი საბოლოოა!“ თეფშს ჩაქუჩი შემოკრა თინამ და თვალი მოარიდა სიკვდილმისჯილს, რომელმაც რიკულებიან მოაჯირს გადმოაბიჯა, რათა მადლობა ეთქვა თავის მხსნელისათვის; სიკვდილი იყო შვება, განთავისუფლება ამ ტანჯვისა და თვითგვემისაგან. გადმოლახავდა ბრალდებული მოაჯირს და თავისი მადლობით წაშლიდა ზღვარს შურისძიებასა და შეწყნარებას შორის, სასჯელს საჩუქრად აქცევდა და აზრს დაუკარგავდა ქალბატონის გამარჯვებას კაცთა მოდგმაზე; მაგრამ თინამ მეძებარივით მარცხის სუნი იკრა და მცველებს ანიშნა დააკავეთო და, თუმცა სიკვდილმისჯილს ხმის ამოღებაც აღარ აცალეს, ის საოცრად მშვიდი, განათებული სახით გავიდა კედელთან, თვალი მოავლო მის გასაქრობად აღმართულ თოფებს, მათ ამოფარებულ, ძალით გამკაცრებულ სახეებს, მოჭუტულ თვალებს, გადახედა მათ და გაეღიმა. იგრძნო, რომ მოახლოვდა თავისუფლება, თავისუფლება სხეულისაგან, ამქვეყნისაგან, ყველაფერი იმისგან, რაც ბოჭავდა მის სულს, ხმას უხშობდა და თვალს უბნელებდა; თვალს რომელმაც, როგორც იქნა, მიაგნო ფანჯარას, გაიხედა ფარდის მიღმა, სამყაროს დეკორაციებს იქით და დაინახა სარაჯიშვილის ქუჩის სათავე, ბინდისფერი ბინდივით განაზებული, სადაც ფერთა შეხამებადა თამაში ქმნიდა დროსა და სივრცეს და იგრძნო, რომ ეს ყველაფერი იყო ნახატი და გაიხედა ნახატს მიღმა და იხილა ის, რასაც არა აქვს სახელი და რომლის ხილვა ნებას არ გაძლევს უკან დაბრუნდე, მხოლოდ წინ უნდა გადადგა ნაბიჯი და ტყვიების ცეცხლში გახვეული შეუერთდე იმ ბნელ, მარად დაურღვეველ სიმშვიდეს, საიდანაც ყოველი ჩვენთაგანი ამქვეყნად მოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლალი თოთაძე

## შენ ხარ სამშობლო

ო, დიდო მუხავ, ნაღვლიანად მინდორში მდგარო,
საიდან წვეთავს შენს ფესვებში ზეცის სისველე,
რა გახსოვს ნეტავ: წარმართული შრიალებს ქარი
შენს გრილ ტოტებში, თუ ღვთისმშობლის ხატი ისვენებს.

ო, დიდო მუხავ, იქნებ გახსოვს ჩემი სახელი,
მითხარი, რა გსურს, რა გაშფოთებს, ანდა რას ელტვი.
არ შეიძლება შენი ფიქრი, შენი სათქმელი
ჩემს ფიქრებზე და ჩემს სათქმელზე არ იყოს მეტი.

შორსაა ჟამი შელამების და ფოთოლცვენის,
ზაფხული ჯერაც ანებივრებს მწვანე ბალახებს,
აქ ჩაიარეს წარმართებმა, ძველი ლოცვები
დასავლეთისკენ წაიღეს და მზეში დამარხეს.

დამტოვე შენთან, წარსულს ჩემსას გაუღე კარი.
გადამეფარე ეკლესიად, შვებად და ბინდად,
შენ ხარ სამშობლო, იბერიის მინდვრებში მდგარი,
და მე შრიალა სამშობლოში სიცოცხლე მინდა.

## ყველა სიკვდილი

არა ძველ ბგერებს, არც ძველ სიკვდილს, არცა ძველ მოტივს,
სულ ახალ ჰანგებს იმეორებს დიდი საყვირით,
გაოგნებული, დაბინდული ყელი ევროპის
და მისი ტოტი ამერიკულ ხეზე დამყნილი.

ხოლო მათ მწერალთ, მათ დიდ მხატვართ, მათ დიდ მუსიკოსთ,
რომელთაც ტანჯვა უკვდავებად მუდამ უღირდათ,
შეშლილ სულიდან მარტოობა გადმოუგდიათ,
ვით ჩიტის კვერცხი გაზაფხულის ქარებს ბუდიდან.

მაგრამ მე ვხედავ ოკეანის ელვარე ყურეს,
სხვაგვარ სახეებს, განათებულთ მზის თარიღებში,
ადამის მოდგმის მარტოობა მე შემაძრწუნებს
ქართულ სიტყვაში და საძულველ სიღარიბეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა აღტაცებით დახატული ჩვენი ფერები,
თუმც თავს იგრძნობენ უცხო ცის ქვეშ მუდამ ხიზნებად,
ჩოფიკაშვილის დაჩეხილი ბოლო დღეები
ევროპის ყველა დიდ შეშლილ სულს დაესიზმრება.

დაესიზმრებათ, რომ ჩვენა ტანჯულ სულებს ცრემლითა
სამშობლოს მიწა დაუდალავთ და მოულლიათ
და სიტყვის ძველი ორშიმოთი თბილი ქვევრიდან
ყველა სიკვდილი ბადაგივით ამოულიათ.

## მათ მხოლოდ ტრფობის უძველესი სიმღერა ესმით

მზე გაანათებს ცას და მიწას, მოალხენს როკვით,
მოვა ფუტკარი შორი გზიდან და სიტკბოს დალევს,
წარმართულ ტაძარს მოჰგავს შინდი გაზაფხულობით,
ყვითელ-ყვითელი ყვავილები კი ქურუმ ქალებს.

შეარხევს ტაძარს ბედნიერი ტანი და ფესვი,
აღტაცებული ქურუმები მლოცველთ ელიან,
მათ მხოლოდ ტრფობის უძველესი სიმღერა ესმით,
მათ სხვა ლოცვები არა სმენიათ.

შორი მინდვრებით, რა თქმა უნდა, მლოცველი მოვა,
პირველი სიზმრის გაცოცხლდება უთუოდ ლანდი,
საცეცხლურებში მზის სხივები იწვის და ბოლავს
და ქურუმ ყვავილს სამარხების სურნელი ასდის.

ცის შუაგულში როს იწყებენ სხივები ბიბინს,
მზე თავს გვარიდებს დაბადების მტანჯველი ელდით
და იაკობის ძველ სიზმრებში ნანახი კიბით
ძირს ჩამოდის და ყვავილოვან ტაძარში შედის.

## კვლავ მოაგორებ

კვლავ მღვრიე მოჩანს შენში ზეცის წმინდა თვალები,
ისევ მოდიხარ ამ მინდვრების შვებად და ლხენად.
აწყურს გასცდი და ახლა საით მიეჩქარები,
მტკვარო, მდინარევ — ჯავახეთის უკვდავო ენავ.

გაზაფხულობით, როცა მინდვრებს შეავარდისფრებს
შუქი, ასკილი თეთრ ატლასებს როცა გამოჰფენს,
გახედავ ხოლმე შენს ნაპირთან ყვითელ ყვავილზე
ამოსულ ცის ნამს, პაწაწინას, გრილს და წყაროსფერს.

დაგივლის უცბად ჟრუანტელი და გინდა მაშინ
გაექცე წარსულს, საკუთარ თავს, კალაპოტს ნაჩვევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპატარავდე, ჩაეტიო აკილის ვარდში
და როგორც ნამი, სამუდამოდ მის გულში ჩარჩე.

მაგრამ ქვესკნელი შენში ისევ თავის ძველ ხმებს დებს,
კვლავ მოაგორებ მღვრიე ტალღებს, ისევ არ წყდები,
შენა ხარ ენა ჯავახეთის და ქართლის დიდ მთებს
ვით გაბზარული ზარის კედლებს, ისე აწყდები.

## სუყველა დროში

მითხარით მაინც, წარმართებო, რა ხდება თქვენთან,
მზე რად მოაკლდათ სევდისფერად შეფერილ ყანებს,
განაწყენებულ და ნაღვლიან სალოცავებთან
მზის ამოსვლისას მინახულეთ და წამიყვანეთ.

მამულის მიწავ, გამიმზადე სამარხი თბილი,
შენი ტკივილი ჩამიღვარე ჩახლეჩილ ხმაში,
დამსვი შენს გულთან მწუხარე და შავით მოსილი,
როგორც წაქცეულ წმინდა ხეზე მოზარე შაშვი.

სუყველა დროში ამითრთოლე მზისგან ხელები,
ყოველთვის, როცა გაოგნების ჟამი მაქვს ხოლმე,
დარდის სამშობლოვ, მიწყალობე ელდის ბგერები
და შენი მწარე დღეებივით დამიმახსოვრე.

## ვინ ალმინიშნა

ო, საიდუმლოვ, ჩემი ტანის და ჩემი თმების,
ხავსად ქცეულო, ჩახვეულო სველ ხეებს არშიყს,
ჩემი ცხოვრება, უცნაური, ნავსი და შლეგი,
ქვაზე ნახული სადმე ჩინეთს, მაღრიბს თუ მაშრიყს.

არყოფილ ქვეყნის უჩინარი და დიდი მეფე
ჩემი სურვილით შემოღობავს ყვითელ სამთავროს,
ვინ დამიფანტა ერთი მუჭა ცრემლი და ფერფლი,
ვინ ალმინიშნა წვიმის ჯვრებით დარდის სათავე.

ის საიდუმლო დახავსებულ ქვაზე ნაწერი,
როგორც ნადირთა, ანდა როგორც ხეთა მფარველი,
ან როგორც ვარდი, შეტრუსული და გამომწვევი,
გადმოსროლილი კოცონიდან ხელთათმანივით.

მაწამებს ისევ, თავგზას მიბნევს შინა და გარეთ,
ჩამომაცალა მოკრძალებით ძვლებიდან ხორცი,
შემამკო ხავსით, მიწით და ჯვრით, წვიმით და ქარით,
შუა ქუჩაში ვიდრიკები სამარის ბორცვი.

ლექსები ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცი სიცოცხლე არ დაკარგავს კუთვნილ იმედებს,
გაიულინთება ოქტომბრის თვის მზით და ალმურით,
ვერ გამოტოვებს შემოდგომას, ვერ გაიმეტება —
ზამთრის ღამის წინ წასაკითხი არის ფსალმუნი.

ო, საიდუმლოვ, ჩემი სულის და ჩემი ტანის,
ო, საიდუმლოვ, ჩემი სისხლის და ჩემი თმების,
შენ არ იცოდი გემო ცრემლის, არც წვიმის მტკნარის,
შენ ვერ გატარა ჩემმა სულმა ზრუნვით და თმენით.

და გადაგხატეს უცნობ ქვაზე, იმედის შხეფი
დაეცა ზეცას და სიცოცხლეს მზეში ამთავრებს.
ვინ დამიფანტა ერთი მუჭა ცრემლი და ფერფლი,
ვინ აღმინიშნა წვიმის ჯვრებით დარდის სათავე!

## ჩამოვარდნილი ვარსკვლავივით

როცა ვარსკვლავი ფეთქავს ტანჯვით, რაღაცს დარდობს,
როცა ცა სწყდება — ბედის წიგნის პატრონს და დამწერს,
გაოგნებული სილამაზით, ვერაფერს ვნატრობ,
ვერაფერს ვუთქვამ, ვერაფერს ვცვლი, ვერაფერს ვასწრებ.

აი, წელანაც, როცა ოხვრა აღმოხდა ჩუმი,
გაქრა ვარსკვლავი მომლოდინე სალამოს კართან.
ის არის ზეცის პაწაწინა, გამსკდარი გული,
ამოიკვნესა, ჩაიქროლა და ჩამოვარდა.

მე ვარ ველური, ხან მასველებს ნისლი და თქეში,
ხან ვიწმინდები, მინათდება გული და ტვინი,
ჩამოვარდნილი ვარსკვლავივით ჩაიფრენს ჩემში
სილამაზე და მისი შუქის წინაშე ვტირი.

# სოფიკო ტყეშელაშვილი

●

რას იზამ, შენი ყველა ნაბიჯი განწირულია იმავ წამიდან,
დასტოვა უცებ დეკემბრის თოვლმა მიწა და ღამით სადღაც წავიდა.
დაგუბდა შიში. ცა მოიცელა. სიზმრად გამოჩნდა დამწვარი მოლი
ნუ მოიწყინე, რა მოხდა მერე, თუ არ მოგიხდა შეშლილის როლი.

მარტოა ალვა. ძველ ფუღუროში დიდი ხანია ქარიც არ უზის,
გვაკრთობს სიცხადე, ჩემი სხეული ამომშრალია, როგორც აუზი.
გაშავებული ხეთა ფრჩხილები, დაძველებული და უნდო კიბე,
ნუ დამიძახებ, მე ბევრჯერ მოვკვდი და სიკვდილამდე მოვკვდები კიდევ.

დრომ ყველაფერი დაამახინჯა გაანადგურა და უღვთოდ დახრა,
ნუ მომაბრუნებ, შენ ჩემს მზერაში ჩაგუბებული ცრემლი ხარ ახლა.
გაფითრდა ბაგე და გამხმარ მკლავზე ნატვრის ხეს კაბის ვახვევდი ნახევს,
ნუღარ მიყურებ, მე არ მსურს ახლა, დაგამახსოვრო სხვაგვარი სახე.

●

ვიდექით ერთად, გვინდოდა მაშინ
ამოსულიყო მზე ჩვენს მახლობლად,
შენ დამანახე, რომ თეთრი ნისლი
მთებზე ცხენივით მობალახობდა.
და მზის ამოსვლის ლოდინი ჰგავდა,
რომ არ ამოდის და მაინც ელი,
ამოდიოდა მზე შენს თვალებში.
დიდ მზეზე უფრო თბილი და მწველი.
მერე რა მოხდა არავინ იცის,
ჩემში მდინარედ დარდი ადიდდა,
მე მხოლოდ მიკვირს, როგორ
დაგკარგე,
ან როგორ დაგთმე ასე ადვილად.
როგორ დამთავრდა ლურჯი
ზღაპარი,
სადაც ბოროტმა სძლია კეთილი,
არასდროს სხვასთან და
ერთადერთხელ
დავეშვი შენს წინ მუხლმოკვეთილი.
მე დავუჩოქე ჩვენს მკვდარ
სიყვარულს,
იჩოქებიან ასე საფლავთან,
რის დასასრულის მე არ მჯეროდა,
როგორ გაჰქრა და როგორ გათავდა.
ვივიწყებთ ნებით და ვკარგავთ
ნებით,
თავსაც ვიტყუებთ ჩვენივე ნებით,
მე მესიზმრება შემკრთალი თოვლი
და თოვლზე ქალის მოჭრილი თმები.
მერე ვიღვიძებ, სხეული კივის,
სხეული კივის, თვალები გეძებს,
რატომ დაგკარგე. როგორ გიპოვო,
როგორ გიპოვო ამ პირქუშ გზებზე
მზისფრად იყოფა მზის შემოდგომა,
მინდა დარდს გზები გადავულობო,
რატომ ხარ, მზეო, ასეთი სუსტი,
რატომ ხარ მზეო, ასე ულონო.
მე მესიზმრება შემკრთალი თოვლი
და თოვლზე ქალის მოჭრილი თმები,
შორს, შორს ამოდის მზე შენს
თვალებში.
მე კი აქ ვთბები, ჰო, მაინც ვთბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ათოვდა მაშინ სახურავებს,
ქუჩებს და ხეებს,
კუთხეში ენყო
ბუხრისათვის მარაგი შეშის,
ღამეში ჩანდა
სოფელი ისე,
თითქოს ზამთარმა მოიქნია
პრიალა ეშვი,
მე მახსენებდნენ
იმ წარსულ ტკივილს
არ გახსენება
მინდოდა რომლის,
და მე ვიყავი
რატომღაც მაშინ
მპატიებელი
ყველას და ყოვლის.
და შემავლებდნენ
ყინულის მზერას,
ტანზე სიცივის
ეკლებს მაყრიდა,
საოცარია, გაქცევა მაინც,
არ მიფიქრია მათი სახლიდან
და ვწუხდი ჩუმად,
ჩემს ტკივილს მაშინ,
ალბათ ცასაც ვერ დავატოლებდი
და უპასუხოდ ვტოვებდი კითხვებს,
ქალბატონების და ბატონების.

### სურათი

დღემ უთეთრესი დახუჭა თვალი,
ცამ ვარსკვლავები აისხა მძივად,
აპრილს კი თავი ჩემს მხარზე უდევს,
ჩემს მხარზე უდევს და მშვიდად
ძინავს.

●

მე მესიზმრები ყოველ ღამეს,
დილით კი გხვდები ზუსტად ისე,
თითქოს არასდროს დამსიზმრებოდე.

●

მე შენ მიყვარხარ
და ახლა რადგან
გზის გასაყართან
მაინც მივედით.
არ მითხრა რამე,
უსიტყვოდ წადი,
რომ დაბრუნების
მქონდეს იმედი.

●

მას არაფერი არ დაცდენია
თავის გრძნობაზე
უტყვზე და მწველზე,
და ერთადერთხელ
ო, ერთადერთხელ
ქარმა ხელები შემოხვია
ნოემბერს წელზე.

●

სიზმრად მიმყავდა
იმ საოცარი გობელენების
თეთრი რაშები...
გარეთ კი თოვდა
და დახრილ თვალებს,
ჰო, დახრილ თვალებს
ჰგავდა ქაშვეთი.

●

— ჩვენ დავაბიჯებთ ჩვენს სხეულებზე
მიწა ჩემი და შენი ტანია,
არც არაფერი მიგვაქვს მიწასთან,
არც არაფერი მოგვიტანია.

ჩვენი სიცოცხლე ფოთლის ყოფაა,
რას მოვასწრებდით, ან რას
ვნახავდით,
მე დავიბადე: სალამი, მზეო!
მივდივარ უკვე: მზეო, ნახვამდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე შუღლაძე

# მოთხრობები

## ნახე, ნახე როგორ ქანაობს!

— გადმოხტება, — თქვა ქერათმიანმა და დაბალს შეხედა.

დაბალმა თავი გააქნია და თქვა:

— არა.

— გადმოხტება! — გაიმეორა ქერათმიანმა და კვლავ ზევით აიხედა.

— ვერ გაბედავს, — მიუგო დაბალმა.

— გასაბედი არაფერია... პატარა ნიავიც და...

— არაფერიც არ მოუვა, — გააწყვეტინა დაბალმა.

— გადმოვარდება! — თითქმის წამოიძახა ქერათმიანმა: — ნახე, ნახე, როგორ ქანაობს!

რვასართულიანი სახლის სახურავის დაბალ, განიერ მოაჯირზე შავ კოსტიუმში გამოწყობილი, ჰალსტუხიანი მამაკაცი იდგა და ქანაობდა. დაბლა, სახლის წინ, ხალხი შეჯგუფულიყო. იმათგან ნახევარს პირი ჰქონდა ღია. რადგან როცა თავს ზევით სწევ, პირი ძალაუნებურად გეხსნება. ზოგიერთს თავი არც ჰქონდა აწეული, ისე იყურებოდა მაღლა. ჯგუფის ამ ნაწილს ყველაზე ფართოდ გაეღო პირი. იქვე ახლოს, ვაზის ტალავერში, კვადრატულ მაგიდას ოთხნი შემოსხდომოდნენ, დომინოს თამაშობდნენ და ზემოთ ახედვას არც აპირებდნენ.

— ეგ უკვე ნახევარი საათია, რაც ეგრე ქანაობს, — უთხრა დაბალმა ქერათმიანს.

— ეე, ხალხნო! — დაიძახა ერთ-ერთმა მოთამაშემ. — დაიშალენით, დაიშალენით! ეგ უკვე კარგი სამი თვეა იქნება, რაც ყოველ პარასკევს მოდის აქ და... ჯერ არც ერთხელ არ გადმომხტარა.

— ხომ გეუბნები, — თქვა ნიშნის მოგებით დაბალმა.

— გადმოხტება-მეთქი! — უპასუხა ქერათმიანმა, მოთამაშეს თვალი მოაშორა და კვლავ ზევით აიხედა.

— არა, — დაბალმა თავი გააქნია.

— რა, ნასვამია? — იკითხა ვიღაცამ და ქერათმიანსა და დაბალს წინ ჩაუარა.

— ნასვამი კი არა, გატრეტილი მთვრალია, — გაისმა პასუხად.

— შეაგნებინე ახლა ამათ, — ჩაილაპარაკა მოთამაშემ და წინ მჯდომს მიუტრიალდა: — შენ კიდევ, ითამაშე, თუ თამაშობ!

— ფხიზელია, — თქვა დაბალმა, — წესით, არ უნდა გადმოხტეს.

— ცოლს უღალატნია, — ამცნო ხალხს ვიღაცამ.

— ფხიზელი რომ არის, იმიტომ გადმოხტება, აბა, მთვრალი კი არ... — აღარ დაამთავრა ქერათმიანმა.

— ცოლმა მეც მიღალატა, მაგრამ ეგეთ რაღაცებს კი არ ვაკეთებ, — წამოისროლა მელოტმა, დიდთავა კაცმა.

— მე ძაღლი მომიკვდა ორი დღის წინ, სეტერი, — სინანულით გააქნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი აზმახმა, — ისეთი ჰკვიანი იყო, რომ... ლუჩახო ეოქვა.

— ხვადი იყო? — ჰკითხა მელოტმა.

— არა ძაღლი, — უპასუხა აზმახმა, — ჩემი ლუჩი.

— ვაიმე, ვარდება! — დაიკივლა ამ დროს ოქროსსამაჯურიანმა ქალმა.

კაცი სახურავზე უკვე აღარ ქანაობდა, წინ იყო გადმოხრილი და თანაც ისე ძალიან, რომ ვიღაცამ იკითხა, ფეხისგულებით ხომ არ არის დაწებებულიო.

— კარგით ერთი! — წამოიყვირა დაბალმა. — რა წებო, რის წებო. ვერა ხვდებით, რომ გვამაიმუნებს!

— გადმოხტება, — ჩაილაპარაკა ქერათმიანმა.

— შენ კიდევ რა მოგივიდა?! — დაბალი ახლა ქერათმიანს მიუბრუნდა: — რას აიჩემე: გადმოხტება, გადმოვარდება, გადმოფრინდება...

— სახეზე ემჩნევა.

—რაზე?

— სახეზე.

დაბალმა ზევით აიხედა და ერთიორი წუთი კაცისათვის თვალი არ მოუცილებია. შემდეგ ქერათმიანს მიუტრიალდა და ჰკითხა:

— შენ გინდა თქვა, რომ აქედან მის სახეს ხედავ?

ქერათმიანმა თავი დააქნია:

— ჰო, შავი თვალები აქვს.

— სულელობ რაღაცას, — ჩაიბურდღუნა დაბალმა და ისევ ზევით აიხედა.

— განწირულია, — აღმოხდა სინანულით ქერათმიანს.

დაბალმა არაფერი უპასუხა.

— აშკარად განწირულია. — გაიმეორა ქერათმიანმა.

დაბალმა თავი დახარა და მიწაზე ხმაურით დააფურთხა.

— ბედს ვერსად გაექცევი. — თქვა ქერათმიანმა. — წასულია მაგის საქმე.

დაბალმა ისევ სახლის სახურავს ახედა.

— აღარაფერი ეშველება, განწირულია. — ქერათმიანმა თავი დახარა და ამოიოხრა: — ეჰ.

დაბალი ქერათმიანს მიუტრიალდა, მარჯვენა ხელი გაუწოდა და უთხრა:

— დავნაძლევდეთ.

— რაზე? — ჰკითხა ქერათმიანმა აუღელვებლად.

— იცი შენ, რაზეც...

— არა, არა, იმას ვერ მოგცემ.

— აკი გადმოხტებაო.

ქერათმიანი ჩაფიქრდა.

— ხომ არ შეგეშინდა? — ჰკითხა დაბალმა დამცინავი ღიმილით.

— მაშინ შენ ამას მომცემ! — უპასუხა ქერათმიანმა და საჩვენებელი თითი დაბალს მარჯვენა ხელთან მიუტანა.

დაბალმა თავი დაუქნია.

ორივენი შეტრიალდნენ და ერთდროულად ზევით აიხედეს.

კაცი კიდევ უფრო გადმოზნექილიყო. ორივე ხელი წინ გაეშვირა, ფეხები ერთმანეთზე მიეტყუპებინა, თავი მაღლა აეწია და ცისფერ, ულრუბლო ცას გაჰყურებდა. ყველა ფორმულების, კანონების, წესების და თეორემების თანახმად, ის უკვე ათასგზის უნდა ყოფილიყო მიწის მიერ მიზიდულ-შეწოვილ-ჩაყლაპული.

კაცი კიდევ ცოტათი გადმოიხარა, მერე კიდევ ცოტათი, კიდევ... ხელები განზე გაშალა, მარჯვენა ფეხი მარცხენას მოაშორა და გვერდულად ზევით ასწია. გაშლილი ხელები თავზემოთ აიწვდინა და ასე გაშეშდა.

— ე! — გაიოცა ვიღაცამ.

— ე! — გაიოცა სხვამ.

დანარჩენნი, ისინი, ვინც დაბლა, სახლთან ახლოს იდგნენ, ადგილს მოსწყდნენ და სახურავზე მყოფს ადგილი გაუთავისუფლეს.

— მორჩა! — ჩაილაპარაკა ქერათმიანმა.

უცბად კაცმა ხელები ჩამოუშვა, ფეხები მიატყუპა, უკან გადაიწია, გასწორდა, სწრაფად შეტრიალდა, დაბლა მდგომთ ზურგი შეაქცია, მოაჯირიდან მსუბუქად ჩახტა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და თვალს მიეფარა.

ხალხმა წასვლა-წამოსვლა იწყო. მოთამაშე კვლავ მაგიდას მიუჯდა.

ქერათმიანმა თავი ასწია და თვალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაახილა. მის წინ დაბალი იდგა და უღიმოდა.

— წააგე! — უთხრა დაბალმა და ხელი გაუწოდა.

ქერათმიანმა ჯიბიდან ლამაზი, ოქროსფერი სანთებელა ამოიღო და დაბალს გაშლილ ხელისგულზე დაუდო. მერე შეტრიალდა და თავჩაქინდრული ქუჩას გაუყვა. დაბალი უკან გაჰყვა.

უცბად უკნიდან რაღაც ყრუ, მოგუდული, მძიმე ხმა გაისმა. ქერათმიანი არ შეჩერებულა, დაბალი კი შეტრიალდა და სახლისკენ გაიხედა.

კაცი თავით დაცემულიყო. პირი, ცხვირი, მთელი სახე მართლაცდა ვაერთიანებული ჰქონდა. თავიდან ამოხეთქილი სისხლი მიწაზე გაშლილიყო. ერთი ზოლი იქვე, თავლია საკანალიზაციო ჭაში ჩაედინებოდა.

— ფუ, შენი!.. — დაიღრიალა დაბალმა. — გამყიდა ამ დამპალმა!

მარჯვენა ხელიდან საათი შეიხსნა და ქერათმიანს გადაუგდო.

— ისიც! — შეახსენა ქერათმიანმა, საათი მარცხენა ხელზე გაიკეთა და დააცქერდა. მერე შეანჯღრია, ყურთან მიიტანა, კვლავ შეანჯღრია, დაბალს გადახედა და უთხრა:

— გაჩერებულა.

## ჰოპ... და ისევ ზურგზე გადავტრიალდი

— იფ, რა ფეხები აქვს! — გავიფიქრე, მერე მზეს ავხედე. ცხელი ქვიშა ზურგს მწვავდა.

— ნაყინი! გემრიელი, ცივი ნაყინი!..

— მეგობარო! ნაყინის საყიდლად მიდიხარ? — ვკითხე ათი წლის ბიჭუნას. თავი დამიქნია. ფული მივეცი და ვთხოვე ერთი ცალი ჩემთვისაც წამოეღო.

— ნაყინი! გემრიელი, ქიშმიშის, შოკოლადის...

ზღვა. კარგი რამეა ზღვა. არა, კარგი რამეა, რას მიქვიან, შესანიშნავია, უბრწყინვალესი... სანამ მოგბეზრდება. მე არ მბეზრდება. უკვე თვეა, რაც აქ ვისვენებ. კიდევ ორიც რომ იყოს, მაინც არ მომბეზრდება. მკლავებზე დავიხედე. უკვე საკმაოდ გავშავდი. არ მიყვარს, როცა ზღვაზე მზეს ღრუბელი ეფარება.

— ბიძია! — ბიჭუნა დაბრუნდა ნაყინით.

— გმადლობთ, მეგობარო, — გამოვართვი.

მერე მინდოდა მეთქვა, რომ ხურდა დაეტოვებინა და თავისთვის ნაყინი ეყიდა ან კინოში წასულიყო, მაგრამ მეორე ხელში უკვე ნაყიდი, ოთხი ცალი, პრიალა ქაღალდში გახვეული ნაყინი დავუნახე და გადავიფიქრე, მეხუთეს ხომ არ იყიდდა. კინო აღარ გამხსენებია... ბოლო-ბოლო მე ხომ მამამისი არ ვიყავი.

— გმადლობთ, მეგობარო, — მივაძახე კიდევ ერთხელ.

„— იფ რა მკერ...“ და, „ამმმ...“ ნაყინს ვუკბინე.

რა კარგია თავისუფლება. თავისუფლება და ზღვა. მზე რომ ჩავა, სადმე ბარში მოვკალათდები და მუსიკას მოვუსმენ. არაფერზეც არ ვიფიქრებ, მხოლოდ მუსიკაზე.

გადავტრიალდი და მზეს ახლა ზურგი მივუშვირე. ცხელი ქვიშა და მკერდი... ამმმ... და ნაყინს კიდევ ერთხელ ვუკბინე მეორე მხრიდან. როცა ჭამას მოვრჩები, ზღვაში შევალ და გავცურავ. რას ვიზამ? გავცურავ? მაგრამ, ცურვა რომ არ ვიცი? ეჰ, რატომ ბავშვობაში არ ვისწავლე?! არ მიყვარს, როცა ნაპირიდანვე ღრმაა. არა, აქ ასე არ არის. რაც გინდა შორს წავიდე, წყალი მაინც მკერდამდე მომწვდება. ვიცურავე რამდენიც გენებოს. აი ეს მიყვარს!

— ნაყინი! ნაყინი!

ჰოპ... და ისევ ზურგზე გადავტრიალდი, — ამმმ... — და ნაყინი ჩავკბიჩე.

ეს ვინღაა? არა უშავს, არა? ნაყინს შევჭამ და მერე შენც მოგხედავ!

— უკაცრავად, სიგარეტი ხომ არა გაქვთ?

— არა, არ ვეწევი. — და სხვა მხარეს გავიხედე.

მზე, თავისუფლება, ზღვა, ცხელი ქვიშა, ცივი ნაყინი, ლამაზი ქალი... შვეულმფრენი. ჩვენს თავზე უშველებელმა შვეულმფრენმა გადაიფრინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამმმ. — ნაყინისაგან აღარაფერი დარჩა. ბოლო ლუკმა პირში დავადნე და გადავყლაპე. შემდეგ ხელი გავიწვდინე და შარვლის ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე.

— იფფფ... — ვთქვი მერე. ღრმა ნაფაზი რომ დავარტყი.

ჰორიზონტზე პატარა გემი მოჩანდა. შორს იყო და იმიტომ ჩანდა პატარა. ცურვა რომ ვიცოდე, ეგრევე გემთან ამოვყოფდი თავს. შემდეგ ყვირილს ავტეხდი. და კაპიტანი მოაჯირს მოაწყდებოდა. ალბათ, გაუკვირდებოდა... გაოცდებოდა. ენას გამოვუყოფდი და ლაღად. უკან. ნაპირისაკენ გამოვცურავდი. ეჰ. რატომ არ ვიცი ცურვა?!

მომშივდა. სიამოვნებით დავლევდი ერთ ჭიქა ცივ შამპანურს. ან ორ ჭიქას... არც ლუდზე ვიტყოდი უარს. მწვადი მიყვარს ძალიან... ცხელი მწვადი და ცივი ლუდი. თვალები დავხუჭე. არა... თვალებდახუჭულს სიგარეტი გინდა მოგიწევია და გინდა არა. ნაყინის გამყიდველი აღარ გაჰყვირის. სიჩუმეა... თვალები გავახილე. ჩემს წინ ვიღაც შავკოსტიუმიანი კაცი იდგა, შავი ჰალსტუხი ეკეთა და შავი ფეხსაცმელი ეცვა. მე დამყურებდა. მეც შევხედე. მზე ანათებდა და ამიტომ მის სახეს თითქმის ვერ ვხედავდი. ნაფაზი დავარტყი და თვალები კვლავ დავხუჭე. „სიგარეტს მოვწევ და ზღვაში შევცურავ“, — გავიფიქრე.

—მაპატიეთ...

თავი წამოვწიე. კაცი ისევ იქ იდგა.

— დიახ, — ვთქვი, წამოვიწიე და სანამ რაიმეს მეტყოდა, გავიფიქრე: არა ცხელა?

— უკაცრავად... — თქვა და თავი დაღუნა.

— სიგარეტი გნებავთ? — ვკითხე.

— არა, არა...

— გისმენთ.

— ეს მისი ბოლო სურვილი იყო, — მითხრა კაცმა ხმის კანკალით.

ფეხზე წამოვდექი და უფრო ახლოს მივედი. ლოგიკური იქნებოდა მეკითხა, ვისი ბოლო სურვილი ან რითი შემიძლია გემსახუროთ-მეთქი. მაგრამ იცით, რა ვკითხე?

— მერე?

— არ შეგიძლიათ რამდენიმე წუთით ადგილი დაგვითმოთ? — მკითხა ცოტა უფრო თამამად.

—რა ადგილი?

აი ესო. მიპასუხა მან და იმ ადგილზე მიმითითა. წელან რომ ვიწექი. თავი არც შემიტრიალებია, თითი ჩემი ადგილისაკენ გავიშვირე და ვუთხარი. ასეთი ადგილი პლაჟზე რამდენიც გნებავთ. იმდენი არის, თქვე კარგო ადამიანიშვილებო-მეთქი.

დიახ. — დამეთანხმა შავკოსტიუმიანი. — მაგრამ მას ზუსტად აი ამ ადგილზე უყვარდა წოლა.

გვერდზე გავიხედე და დავინახე, რომ პლაჟზე მყოფნი, ყველანი, ფეხზე წამომდგარიყვნენ და მიყურებდნენ. ისევ შავკოსტიუმიანს შევხედე.

— ვის უყვარდა აქ წოლა? — ვკითხე და მარჯვენა ხელით მარცხენა მკლავი მოვიფხანე.

— აი ამას, — მიპასუხა და თავითა და თვალებით, სადღაც, ჩემს ზურგს უკან მიმითითა.

შევტრიალდი და... გავშეშდი.

ყველანი შავებში იყვნენ — კაცებიც და ქალებიც. თბილი ნიავი ქალებს კაბებს უფრიალებდა... ჩემგან ოთხიოდე მეტრის დაშორებით, ექვს მამაკაცს მხრებზე შავი კუბო გაედო და მე შემომცქეროდნენ.

— ფუი ეშმაკს, — მინდოდა მეყვირა, მაგრამ გამახსენდა, კუბოში მყოფი ღმერთთან შესახვედრად ემზადებოდა.

უკან გავიწიე.

— გმადლობთ, — შავკოსტიუმიანმა ხელით ანიშნა, წამოიღეთო.

მიცვალებული ცხელ ქვიშაზე დაასვენეს. ასეთი შავი კუბო არასოდეს მინახავს.

კაშკაშა, ყვითელი მზე, ულრუბლო, ცისფერი ცა, მომწვანო-მოლურჯო, წყნარი ზღვა, ცხელი ქვიშა, საცურაო კოსტიუმებში ჩაცმული, თითქმის შიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი ხალხი, მიჩუმებული მენაყინე... და შავი კუბო.

არავინ ტიროდა. ყველას თავი ჩაე-ქინდრა.

მიცვალებულს შევხედე და მომეჩვე-ნა, თითქოს სახეზე ოფლი ჩამოსდიო-და... თითქოს... შეუულმფრენმა გადაიფ-რინა. თავი არავის აუწევია.

ის ზღვას ემშვიდობებოდა. მისი უსისხლო სახე, ახლა მთლად თეთრი მომეჩვენა... ის მზეს ემშვიდობებოდა. შავი კუბო ყვითელ, ცხელ ქვიშაზე ეს-ვენა. ერთ-ერთი ქალი აქვითინდა. ეტ-ყობა, ცოლი იყო, ან შეიძლება და... შემრცხვა, შიშველი რომ ვიდექი... საი-ნტერესოა, მკვდრებს მზე თუ ეკიდე-ბათ?

— კარგით, — ჩაილაპარაკა შავკოს-ტიუმიანმა.

მიცვალებულის ბოლო სურვილი ასრ-ულებული იქნა. ერთ-ერთი მათგანი, ვინც ახლა კუბოს ამოუდგა, საცურაო კოსტიუმში ჩაცმული მობანავე იყო. რატომ ამოუდგა, ნეტავი? ფეხები ქვიშაში ეფლობოდათ.

— კიდევ ერთხელ მოგიხდით ბო-დიშს... უკაცრავად, — მითხრა შავკოს-ტიუმიანმა და სამგლოვიარო პროცესიას გაჰყვა.

ორი წუთიც და...

— ნაყინი! გემრიელი, ქიშმიშიანი...

— პეპსი-კოლა! ცივი, შუშხუნა...

— მეგობარო! პეპსი-კოლას საყიდ-ლად ხომ არ მიდიხარ? — ვკითხე თხუთმეტიოდე წლის ბიჭუნას.

მან თავი დამიქნია. ფული მივეცი და ვთხოვე ერთი ბოთლი ჩემთვისაც წა-მოეღო.

— ცხელი ხაჭაპურები! გემრიელი, ცხელ-ცხელი...

ზღვა.

მკლავებზე დავიხედე... მზე საქმაოდ მომკიდებოდა.

— ბიძია, — პეპსი-კოლა მოვიდა.

— გმადლობთ, მეგობარო.

ბულბულბულ — ...ყელი ჩამიწმინდა.

— იფ. რა ფეხები აქვს! — გავიფიქ-რე და ქალს თვალი გავაყოლე.

მერე მზეს ავხედე. ცხელი ქვიშა ზურგს მწვავდა.

## მორიელი

— შენ რა გქვია? — ჰკითხა მოხუც-მა.

— მიშა... მიხეილი, — უპასუხა ძა-ლიან მაღალმა, გამხდარმა კაცმა და ფარდები გადასწია.

ოთახი განათდა.

— არა! — შეჰყვირა მოხუცმა. — სინათლე!.. არ შემიძლია!

მაღალი უცბად მოტრიალდა.

— რა?!

— ვერ ვიტან!.. თვალებს მტკენს.

მიხეილი ფანჯრისკენ შეტრიალდა. ფარდები დახურა და ასევე დარჩა, გა-უნძრევლად.

— ეს აანთე! — თქვა მოხუცმა.

„მთხოვს თუ მიბრძანებს?" — გაუე-ლვა მიხეილს და ჰკითხა: — რა ავან-თო?

— აი, ეს... ვერა ხედავ?! აი, ეს!

მაგიდაზე ნავთის ლამპა იდგა.

— ასანთი... — მიხეილმა მაგიდა მო-ათვალიერა.

— მანდ უნდა იყოს, სადღაც, კარგად ნახე, — თქვა მოხუცმა და გაძვალტყა-ვებული ხელი სახეზე ჩამოისვა. შემდეგ სავარძელში ოდნავ დაბლა ჩაიწია და მატყლის საბანი ნიკაპამდე წაიფარა.

— ჰო... აგერ... — ჩაილაპარაკა მი-ხეილმა და ასანთი აიღო. — რა, ნათუ-რაა გადამწვარი?.. თუ შუქი არა გაქვთ?

— ბევრსა წვავს, — უპასუხა მო-ხუცმა, — ძალიან არ აუწიო, ამის მე-ტი ნავთი აღარა მაქვს.

შპალერგაცრეცილ კედელზე დაკი-დულმა საათმა ექვსჯერ დაიწკარუნა.

— რომელი საათია? — იკითხა მო-ხუცმა.

— ექვსი.

მიხეილი სკამზე ჩამოჯდა, მოხუცმა თვალები დახუჭა.

— ცივა, თუ მე მცივა? — თვალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაახილა, მარჯვენა ხელი ამოჰყო და საბანი გვერდებში ამოიგო.

— მე წავალ. — თქვა მიხეილმა.

— არა, არა, იყავი რა, კიდევ. რა გეჩქარება?! ვილაპარაკოთ.

მაღალმა გაიღიმა და ფეხზე წამოდგა.

— მიდიხარ? — შეშფოთდა მოხუცი. — არ წახვიდე, მეტს აღარ მოხვალ... არადა, სულ მარტო ვარ. მთელი კვირა ველარ გავალ სახლიდან. დავსუსტდი, ფეხები მეკეცება. შენ რომ არ ყოფილიყავი, ვინ მიშველიდა?.. გაწყენინე რამე? არა... ხომ არა? სინათლეზე თვალები მტკივა, ნერვებიც მოშლილი და დაფუტკნილი მაქვს... საჭმლის მომტანი არავინაა.

— კარგით, ცოტა ხანს ვიქნები კიდევ — მიხეილი ისევ დაჯდა.

— ჰო, ჰო, იყავი. მარტო მეშინია. შუქი თვალებს მტკენს... სიბნელეში კი შიში მკლავს.

— შვილები არა გყავთ? ან ნათესავები, ან ვინმე...

— არავინ. მარტო ვარ. აღარავის ვჭირდები, — მოხუცმა ღრმად ჩაისუნთქა და უცბად მთელი ხმით დაიღრიალა: — აღარ შემიძლია!

ხველება აუტყდა, თავი გვერდზე გადაუვარდა, მოიკრუნჩხა, თვალები მიელულა. პირიდან პროთეზი რომ არ ამოვარდნოდა, ხელი მიაშველა და ნახევრად ამოვარდნილი, უკანვე ჩააბრუნა... ცოტა სული მოითქვა, ღრმად ჩაისუნთქა. თავი წამოსწია და ერთხელ კიდევ. მაგრად ჩაახველა. ბებერი ფილტვებიდან წამოსულ ჰაერს, ყელიდან ნახველი ამოჰყვა და პირი გაუვსო.

— წყალი მომიტანე, რა. — სთხოვა მიხეილს და ხელი სამზარეულოსაკენ გაიშვირა.

მიხეილმა თავი დაუქნია, ადგა, ოთახიდან გავიდა, სამზარეულოს კართან გაჩერდა... გამოაღო და თავი კარის ზედა ჩარჩოსათვის რომ არ აერტყა, დაიხარა. იატაკზე დაგდებული კასრი კი ველარ შეამჩნია. თუნუქის კასრი ხმაურით გადაყირავდა და გაგორდა.

— რა მოხდა?! — მოისმა ოთახიდან მოხუცის ხმა.

— არაფერი, — უპასუხა მიხეილმა და სამზარეულო მოათვალიერა.

ერთადერთი, პატარა, ჭუჭყიანი ფანჯრიდან შემოსული სინათლე ოთახს ძლივძლივობით ანათებდა... შმორისა და ნესტის სუნი იდგა... რაღაც ყარდა. მიხეილმა კართან მიმაგრებულ ჩამრთველს თითი ჩამოჰკრა... „ა, ნათურა არ ჰქონია“, დაასკვნა. სამზარეულოდან გამოვიდა და ოთახში დაბრუნდა. მოხუცს თვალები ჰქონდა დახუჭული. „სძინავს?“ — გაიფიქრა მიხეილმა, ნავთის ლამპა ჩუმად აიღო და სამზარეულოში გაიტანა.

მაგიდაზე ძალიან დიდი ხნის გაურეცხავი თეფშები, ჭიქები, დანა-ჩანგალი ეყარა. აქვე იყო კბილის ჯაგრისი, ცარიელი ბოთლები, სანთელჩამოღვენთილი შანდალი, ქამარი, ხელთათმანი, ფეხებმოგლეჯილი თოჯინა, გატეხილი ტელეფონის აპარატი... კედელზე ნახატი ეკიდა. ვიღაც ქალის პორტრეტი იყო. ქალს ცალი თვალი შუშის ჰქონდა. „რატომ შუშის?“ — მიხეილმა ლამპა ასწია და ნახატთან ახლოს მიიტანა. მარჯვენა თვალი მართლაც შუშის ჰქონდა... ქვევით საღებავით ეწერა: „ბრმა ქალის პორტრეტი, 19... წელი“. მიხეილი კვლავ ქალის თვალებს ჩააშტერდა. ახლა მოეჩვენა, რომ მას ორივე თვალი შუშის ჰქონდა. ცოტა გვერდზე გაიწია და იქიდან შეხედა... შემდეგ დაიხარა და ქვემოდან დააკვირდა... ფეხის წვერებზეც აიწია... რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და შეეცადა თვალი არ მოეშორებინა. არა და არა. ქალს არ სურდა მისკენ გამოხედვა. ის პირდაპირ იყურებოდა, ძალიან შორს, უსასრულობაში... არ აყოლებდა მზერას, არც მარცხნივ, არც მარჯვნივ...

მიხეილი უცბად მოტრიალდა. მოპირდაპირე კედელზე კაცის პორტრეტი ეკიდა. ახლა ამ ნახატთან მივიდა და დააცქერდა. იგივე თვალები, იგივე გამოხედვა, იგივე, ოდნავ შესამჩნევი ღიმილი ბაგეზე. წარწერა: „ბრმა კაცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი, იმ ქალის ქმარი, 19... წელი".

— რას შვრები, ამდენ ხანს? — მოისმა ოთახიდან.

ამ მოულოდნელი შეძახილისაგან მიხეილს კინაღამ ლამპა გაუვარდა...

მარცხენა ხელი მიაშველა... „ცოლქმარი... ერთმანეთს უყურებენ..." — და დაიყვირა:

— მოვდივარ!

შემდეგ ონკანთან მივიდა, წყალი მოუშვა. ჟანგიანი, მოყვითალო-მოყავისფრო წყალი წამოვიდა. დაელოდა, სანამ დაიწმინდებოდა, მაგიდიდან ქონით გაპოხილი ჭიქა აიღო და რეცხვას შეუდგა. ცივი წყალი ქონს არ აცლიდა, მაგრამ ჭუჭყიანი ჭიქით მიტანა უხერხული იყო.

მიხეილმა ჭიქას ხელი უშვა, ქვევით დაიხედა, შარვლის ტოტი აიწია და ფეხი ძლიერად დაიქნია, კიდევ დაიქნია, კიდევ მერე ზევიდან დაირტყა ხელი, მერე გვერდზე, ცოტა მაღლა, აქეთ, იქით...

— შენი!.. — შეჰყვირა, შარვალი ელვის სისწრაფით გაიხსნა და ჩაიძრო.

შარვლიდან რაღაც გადმოვარდა და იატაკზე მოადინა ტყაპანი. მიხეილი ლამპას ეცა და ის ადგილი გაანათა. მის წინ მორიელი ეგდო. მიხეილმა ერთი ხელით შარვალი აიწია, ლამპა სადაც იდო, იქვე დადგა, მერე შარვალი შეიკრა და ხელი დაგდებულ ქვაბს დაავლო. მორიელი უკვე კარადის ქვეშ შეძრომას აპირებდა, მაგრამ მიხეილმა დაასწრო და იქვე მიასრისა.

—რა ხდება? — გაისმა ოთახიდან.

— არაფერი! — უპასუხა მიხეილმა. „კიდევ კარგი, არ მიკბინა", — გაიფიქრა.

...და ის-ის იყო, ისევ ონკანთან უნდა მისულიყო, რომ პატარა ფანჯარაში ვიღაც წვერგაბურძგნილი კაცის სახე დაინახა. კაცი ოთახში იყურებოდა, მაგრამ, ეტყობოდა, სიბნელის გამო შიგნით ვერაფერს ხედავდა და ამიტომ წამდაუწუმ ხელით იჩრდილავდა თვალებს. თავზე ჭუჭყიანი, ნაქსოვი ქუდი ეხურა.

გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მიხეილს მოხუცი რომ არ გახსენებოდა, არ გახსენებოდა ეს, ეგრეთ წოდებული სამზარეულო, რომელიც მეშვიდე სართულზე, მიწიდან ოცდაათი-ორმოცი მეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდა.

ოთახში რომ ვერაფერი გაარჩია, წვერებიანმა მინაზე მოაკაკუნა. შემდეგ ხელი სადღაც ქვევით წაიღო, სიგარეტი ამოაძვრინა და პირში გაიჩარა. ამოიღო სანთებელაც, სიგარეტს მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა, ისევ ოთახში შემოიხედა და უფრო ენერგიულად დააკაკუნა.

მიხეილმა უცებ ვერ მოისაზრა, თუ რა უნდა ექნა. შიშით არ შეშინებია, მაგრამ ამ სიმაღლეზე კაცის დანახვამ, აშკარად გააოგნა. მოიხარა და ასე მოკუნტული, ისე რომ ქვაბისათვის ხელი არ გაუშვია, ფანჯარას გვერდიდან ჩუმად მიეპარა, უცბად წელში გასწორდა და წვერებიანს შიგნიდან სახე სახესთან მიუტანა. წვერებიანი შეხტა, სწრაფად გადაიწია უკან, სიგარეტიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა. მიხეილი ფანჯრის სახელურს დასწვდა და თავისკენ მოსწია. ვერ გააღო. კიდევ ერთხელ, უფრო მძლავრად მოსწია, მაგრამ კვლავ უშედეგოდ, მაშინ მთელი ძალით მოქაჩა და... ფანჯრის ცალი ჩარჩო, მინიანად მთლიანად ამოგლიჯა ბუდიდან. ფიქრის დრო აღარ იყო, ქვაბი ერთ მხარეს გადაისროლა, მოგლეჯილი ჩარჩო მეორე მხარეს და მოემზადა... ალბათ, თვითონაც არ იცოდა, რისთვის.

— მოძვრა, — თქვა წვერებიანმა და იმ ცარიელ ადგილზე მიუთითა, სადაც რამდენიმე წამის წინ ჩარჩო იყო ჩასმული.

— მოძვრა, — დაეთანხმა მიხეილი. — არა უშავს.

— ჰო, არაფერია, — მიუგო სასწრაფოდ წვერებიანმა. — ხდება ხოლმე.

ამ მოკლე დიალოგით ოდნავ დაწყნარებული მიხეილი წინ გადაიწია და სცადა დაენახა, რაზე იდგა წვერებიანი და, საერთოდ, იდგა თუ არა რამეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ამ მოქმედებას წვერებიანის რეაქცია მოჰყვა, ის უკან გადაიწია. მიხეილი კიდევ, ოდნავ გადაიხარა წინ და ამ დროს თქვა:

— კედლებს ვათეთრებთ, გარედან... შუშებს... — აქ წვერებიანი შეჩერდა, ცოტა ხანი ყოყმანობდა, და მერე განაგრძო: — შუშებს ქაღალდი ჩამოაფარეთ... თორემ დაგესვრებათ.

მღებავმა კიდევ ერთხელ, თანაგრძნობით მოათვალიერა ნაფანჯრალი, ქვევით ჩაიხედა და დაიღრიალა:

— წავიდა! წავიდა!

და მართლაც წავიდა... მეზობელი ბინისაკენ გასრიალდა. მიხეილმა თვალი გააყოლა. დაბლა, სახლის წინ ამწე იდგა. იქიდან, ზევითა სართულებისკენ ამოდიოდა რაღაც კიბის მსგავსი... ბოლოზე მოჩანდა რკინის გისოსებით მორკალური პატარა მოედანი და მღებავი... წვერებიანი... ჭუჭყიანი ქუდით...

მიხეილი ისევ ონკანთან მივიდა, ჭიქა წყლით აავსო, ნავთის ლამპა აიღო და სამზარეულოდან გავიდა. გასვლისას კიდევ ერთხელ შეავლო თვალი დაჭყლეტილ მორიელს და გაიფიქრა: „მოწმე".

— რა ხმაური იყო? — იკითხა მოხუცმა და სავარძელში ოდნავ წამოიწია.

— კედლებს ათეთრებენ და ფანჯრებს მორიელი ააფარეთო.

— რა ააფარეთო?

— მო... უჰ, — მიხეილმა თავი გააქნია და წამით თვალები დახუჭა. — არა, არაფერი... ქაღალდიო, — უთხრა ეს მერე, როცა თვალები გაახილა.

— წყალი არ მინდა... გადამიარა, — თქვა მოხუცმა. — შენ რა გქვია?

— მიხეილი.

— შენ რომ არ ყოფილიყავი, რა მეშველებოდა... ერთხელ მომივიდა ეგრე... ერთხელ კიდევ, იმის წინ... ველარ ვდგებოდი, სული შემეხუთა... ხომ არ მიდიხარ? არ წახვიდე, რა... მაშინ არავინ ამაყენა, დიდი ხანი ვეგდე... სასწრაფომ მომიყვანა. აი, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ. არადა... — მოხუცი რაღაცის გახსენებას ცდილობდა. — იცი, ყველაფერი ისე შეიცვალა, აღარაფრის თავი არა მაქვს. არადა, ადრე... ხელოვნების მონა ვიყავი. ცოტაც და, ის გახდებოდა ჩემი სალოცავი, ჩემი ნახატები... ახლა ხელი აღარ მემორჩილება. არა, ეტყობა სულმა მიღალატა, თორემ თითები რა შუაშია. აღარაფერი მინდა, — მოხუცი გაჩერდა და მიხეილს თვალებში ჩააცქერდა. — ფული მასესხე, რა... ცოტა მინდა. გაქვს? თუ გაქვს, მასესხე, დაგიბრუნებ.

მიხეილმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, რამდენიც ჰქონდა, ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

— სულ მაძლევ? — აფორიაქდა მოხუცი — სუულ? არა, მე დაგიბრუნებ... ან იცი... აბა კარადასთან მიდი. მიდი! მიდი! ახლა გამოაღე! ამოიღე... არა, ეგ არა, არც ეგ... იქით ნახე! ჰო, ჰო, ეგ...

მიხეილს ხელში ნახატი ეჭირა.

— მოგწონს? — ჰკითხა გალიმებულმა და ნასიამოვნებმა მოხუცმა. — ამ ფულში მოგცემ.

სიბნელეში ძნელი იყო რაიმეს დანახვა, მაგრამ მიხეილმა ტილოზე მაინც გაარჩია კაცი, რომელიც ღორს უპირებდა დაკვლას, იქვე, გვერდზე, ახალგაზრდა ქალი ჩვილ ბავშვს ძუძუს აწოვებდა, უკანა ფონზე კი ჭუჭყიანი, სამოსშემოძონძილი კაცი ცაში იყურებოდა.

— რას იტყვი? მოგწონს? —გაუმეორა კითხვა მოხუცმა.

მიხეილმა თავი დაუქნია და უპასუხა, რომ ძლიერ მოეწონა. ისიც უთხრა, რომ სულაც არ აპირებდა ამ ნახატის ყიდვას, და რომ ფული, ისე, სრულიად უანგაროდ შესთავაზა.

— არა, ეტყობა... ეტყობა, ვერაფერი გაიგე... თუმცა, შენი საქმისა შენ იცი. მე...

მიხეილმა მოხუცს აღარ მოუსმინა. ისევ კარადასთან მივიდა და ის-ის იყო, ნახატის უკან ჩადებას აპირებდა, რომ ამ დროს ღორის ჭყვიტინი მოესმა. მიხეილი გაშრა, თავი ოდნავ მოაბრუნა და ოთახი მოათვალიერა.

„ღორი... მსუქანი... მომესმა... ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზარეულოში, კედელზე... კაცი... ჰყვიტინი..." — გაიფიქრა და მოხუცს შეხედა.

— რა?! — ეშმაკურად გაუღიმა მოხუცმა.

მიხეილმა სწრაფად გამოაღო კარადის კარი... და კვლავ მოესმა განწირული, მსუქანი ღორის ჰყვიტინი. ნახატი შიგნით შეაგდო, კარი დახურა, შემოტრიალდა და ზურგით მიაწვა.

— რამე ხომ არ მოგესმა? — ჰკითხა მოხუცმა.

მიხეილმა არაფერი უპასუხა, არც თვალი მოაცილა, მხოლოდ თავი გააქნია ოდნავ.

— არაფერია, ცოტა ხანი კიდევ იხმაურებს და გაჩერდება. ისე კი მიკვირს, ერთი წლის წინათ დავკალი და რატომ უნდა... — აქ მოხუცმა ძალზე სერიოზული სახე მიიღო, და უცბად, მთელი თავისი ბებრული, ჩახრინწული ხმით გადაიხარხარა, — ჰა, ჰა, ჰა, ჰა... ჰი, ჰი, ჰი... ვხუმრობ, ვხუმრობ, რამ შეგაშინა?!

წკრრრ... — დაიწკარუნა საათმა.

— ნახევარია? — იკითხა მოხუცმა უკვე დამშვიდებული ხმით და სავარძელში კიდევ უფრო წამოიწია, — რამდენი ხანია არ დამიქოქია. და მაინც მუშაობს, ძველებურია და იმიტომ, ბებიაჩემის ბებიის დროინდელია. რომ გაჩერდეს, ალბათ, ვერც კი შევწვდები, ვერ დავქოქავ.

მიხეილი კარადას მოსცილდა და ნელი ნაბიჯით საათთან მივიდა.

— ეგ ფული კარგა ხანს მეყოფა, — განაგრძობდა მოხუცი. — რამდენია მანდ?

რადგან ისინი ერთმანეთთან ზურგშექცევით იყვნენ, მიხეილის მხრების აჩეჩა მოხუცმა, რაღა თქმა უნდა, ვერ დაინახა.

— პური... ასანთი — 3 კაპიკი, პური — 40 კაპიკი, ნავთი... ნავთი არ მინდა. კარტოფილი... კიდევ, რა? ასანთი, ასანთი ვთქვი... ეგეც არ მინდა. ფეხსაცმელი ხომ არ ვიყიდო? — მოხუცმა ფეხებზე დაიხედა — არა, არ მინდა. ბინის ქირა... რძე, საპონი. საპონი არ მინდა... ფეხსაცმელი არ მინდა. ნავთი ხომ არ ვიყიდო?.. არა, ახლა გრძელი დღეა... არა უშავს. პური ვთქვი, ერთი ლატარიის ბილეთს ვიყიდი... არა, ორს. კარაქი... არა... კიდევ? კიდევ, რა?

მოხუცი ჩაფიქრდა.

— საღებავებს... — თქვა მიხეილმა, ისე რომ არც კი მოუხედია.

— არა, რძეს არ ვიყიდი... კონსერვი, რამე... ან კიდევ, იცი რა, ოთხ ლატარიის ბილეთს ვიყიდი. რა იცი, რა ხდება. ეს რამდენი გამოდის? პური მინდა? კი, პური მინდა. ცოტას შევინახავ. ექიმმა რაღაც წამალი მითხრა... ნო... ნო... ელი... აღარ მახსოვს. სავადმყოფოში დასაწოლად მეყოფა ეს ფული? შენ... შენ... ის...

— მიხეილი.

— ჰო, მიხეილ, რამდენია მანდ?

— ორმოცდაათი.

— ორმოცდაათი... — მოხუცი ჩაფიქრდა.

— საღებავებს... საღებავებს და ფუნჯებს არ იყიდით? — ჰკითხა მიხეილმა. — მე კიდევ მოგიტანთ.

— რამდენს მოიტან კიდევ? — დაფაცურდა მოხუცი, თავი მოატრიალა და მიხეილს შეხედა: — რამდენს?

— რამდენსაც შევძლებ... ოღონდ საღ...

— არ მინდა, — გააწყვეტინა მოხუცმა, — რად მინდა?! აღარ მინდა! მორჩა... მე მშია.

— თქვენ არ...

— კარგი, გეყოფა! მომბეზრდა... რა მომიტანა?! რა მომცა, შიმშილისა და სილატაკის გარდა:! არაფერი. თავი გავიუბედურე. სად არიან ახლა ჩემები? აღარ არიან, მარტო ვარ... აქ აღარაფერი დარჩა, — მოხუცმა ხელი გულზე დაიდო. — აღარაფერი! სისულელე ყოფილა... ღორი ღრუტუნებს... დედაჩემი ბრმა იყო, მამაჩემიც. ცხენის ჭიხვინი გესმის? გააღე კარადა და გაიგებ. მერე რა?! შენ გყავდეს ეგ ღორი... გიყვარს ღორის ხორცი? ტილო არ იჭმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა! შეხედე ჩემს ფეხსაცმელს! გინდ ამით გივლია და გინდა ფეხშიშველი.

— მე...

— შემეშ...

— ...დაგეხმარებით.

— ...ვი! —, მოხუცს ხელები უკანკალებდა. — მთელი ცხოვრება მშიერი ვიყავი. არც სადებავი იქმევა! გესმის?! ჩემი არავის ესმის, არც არასოდეს ესმოდათ. სად იყვნენ აქამდე? სად იყავი შენ? მე წესიერი ადგილი მინდა სასაფლაოზე! მე ტვინი გადამეკეტა... ხელები მიკანკალებს.

— ხელებს ეშველება, — გააწყვეტინა მიხეილმა. — თქვენ ხომ ცოცხ...

— ჰო, ცოცხალი ვარ, ცოცხალი ვარ და მშია. მე დავაგვიანე. ადრევე უნდა მომესპო ყველაფერი, დამეწვა, დამემტვრია, გადამეყარა. ახლა ნამდვილად ცოცხალი ვიქნებოდი. შენ რა, გგონია ყველაფერი ეს...

მიხეილმა ხელი საათის ქანქარისაკენ წაიღო და გააჩერა. „რაღას ველოდებოდი?!" — გაიფიქრა. სკამს ორივე ხელი მოჰკიდა, ოდნავ ზევით ასწია და საკიდრებიდან ჩამოხსნა.

— ...ხუთი თუმანი მეყოფა?! კიდევ მომიტან, არა? ან მომიტან, ან არა, მერე კი დაიკარგები, როგორც სხვები. მე კი რა ვქნა? ვუყურო ჩემს ნახატებს და... დატკბე!!! — დაიღრიალა მიხეილმა, მოხუცის თავზემოთ აღმართული, მძიმე კედლის საათი მთელი ძალით დაიქნია და უკნიდან თავში ჩასცხო.

. . .

უბის წიგნაკის თეთრ ფურცელზე, ავტოკალმმა ლურჯი კვალი დატოვა:

„მოვკვდი,
19... წელი"

ფურცელი მიხეილმა მოხუცის ბინის კარის სახელურს ჩამოაცვა... და ქუჩას გაუყვა.

— პი-პიიპ! ბიძია!

პატარა ბავშვმა ჩაუქროლა, ველოსიპედით.

„...ბავშვი... ველოსიპედით... შვიდი საათია, ჯერ ადრეა... ეს თვე რამდენით არის? ოცდაათით, არა?.."

— უკაცრავად, რამდენით არის ეს თვე?

კაცი გაცილებით დაბალი იყო მიხეილზე, ქალს კი ძალზე ლამაზი, შავი თვალები ჰქონდა... უბრწყინავდა.

— ორმოცდახუთით, — უპასუხა კაცმა და მიხეილისკენ ორი ნაბიჯი გადმოდგა.

— მატყუებ! — შესძახა მიხეილმა. — არ შეიძლება თვეში ორმოცდახუთი დღე იყოს!

— წვიმდა სადმე? — ჰკითხა ქალმა.

— წადი, დაიძინე! — გამოსცრა კაცმა, — თორემ, თავს გაგიტეხავ!

მიხეილმა არაფერი უპასუხა. კაცმა ქალს ხელკავი გამოსდო და თავისი გზა განაგრძეს.

—ეეეე!!! — დაიღრიალა უცბად მიხეილმა.

კაცი მოტრიალდა. დაბრუნებას და მიხეილისთვის თავის გატეხას აპირებდა, მაგრამ ქალი არ უშვებდა, ეტყობოდა, ეუბნებოდა: გიჟია... ვერა ხედავ, გიჟია?!, არ გესმის, გიჟია?!

მიხეილი ცოტა ხანს კიდევ იდგა, სულ ცოტა ხანს, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იქვე, სახლიდან მისთვის წყალი დაესხათ თავზე, თმა ერთიანად დაუსველდა... კისერშიც ჩაუვიდა.

ზევით აიხედა.

მეორე სართულის მოაჯირზე ვიღაც ბანჯგვლიანი კაცი გადმოკიდებულიყო, ხელში ტაშტი ეჭირა.

— რა გაღრიალებდა? — ჰკითხა ბანჯგვლიანმა.

— ისე... — უპასუხა მიხეილმა.

— გაგრილდი?

— კი.

— კიდევ ხომ არ გინდა?

—არა, გმადლობთ.

ამ დროს მოაჯირს ვიღაც ქალი მოაწყდა, თმა ასწეწოდა და... და საერთოდ, აფორიაქებული ჩანდა. ბანჯგვლიანს სწვდა და ოთახში შეათრია. მერე ისევ გამოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აპატიეთ... ნასვამია.... ასე ემართება, ხოლმე, — მოუბოდიშა მიხეილს და ისევ სახლში შევარდა.

— ყველაფერი რიგზეა, — ჩაილაპარაკა თავისთვის მიხეილმა და ამღვრეული თვალებით ქუჩა მოათვალიერა.

ყველაფერი რიგზე იყო...

ოღონდ... ოღონდ, ვიღაც მოხუცებული ქუჩაზე გადადიოდა. არა, უფრო სწორად, ვერ გადადიოდა... კუზიანი იყო... ფეხები უკანკალებდა... ხელებიც, თავიც. საწვიმარივით ჰქონდა რაღაც მოსხმული. ფეხსაცმელი დაღრეცოდა და ხელში რაღაც უშველებელი ჩანთა ეჭირა.

ორი წამიც და...

—მოგეხმარებით, — მიხეილი უკვე გვერდით ედგა.

— არ მინდა, შვილო, — უპასუხა კუზიანმა და გაუღიმა.

— არ გიჭირთ?.. მოგეხმარებით, — არ მოეშვა მიხეილი.

— არ მინდა, მე თვითონ. აქვე ვცხოვრობ, ორ ნაბიჯზე.

— არ გიმძიმთ?

— არა, არ არის მძიმე... გმადლობთ.

— მე ვიფიქრე...

—არა უშავს, როგორმე მივაღწევ, გმადლობთ.

მიხეილმა ორი ნაბიჯი გადადგა, მერე ისევ შებრუნდა და მოხუცს უთხრა:

— ყველაფერი რიგზეა.

ყველაფერი რიგზე იყო.

## რას ინებებთ?

— ხომ არ შევსულიყავით? — მკითხა გიამ და ხელით რესტორნის კარზე მიმითითა.

— შევიდეთ, თუ გინდა, — ვუპასუხე.

შევედით.

— რომელ მაგიდასთან დაბრძანდებით? — გვკითხა ადმინისტრატორმა და პიჯაკზე რესტორნის ემბლემის ნიშანი გაისწორა.

— ნებისმიერთან, — ვუპასუხეთ მე და გიამ ერთდროულად.

— მაშინ, აი აქ მობრძანდით, — ადმინისტრატორი წინ გაგვიძღვა და ერთ-ერთ მაგიდასთან მიგვიყვანა. მერე ფარდები გადასწია და ფანჯრიდან ქალაქის შესანიშნავი ხედი გამოჩნდა.

— ახლავე გამოვგზავნი ვინმეს, — თქვა ადმინისტრატორმა და ფეხის წვერებზე წავიდა.

— როგორია, ლევან? — მკითხა გიამ.

— შესანიშნავი, — ვუპასუხე მე.

თეთრპიჯაკიანი, შავშარვლიანი კაცი მოგვიახლოვდა.

— რას მიირთმევთ? — გვკითხა.

გიამ შემომხედა, მე მხრები ავიჩეჩე.

— პითონი შეგვიწვით ხახვში! — უპასუხა გიამ.

— პ-ი-თ-ო-ნ-ი, ხა-ხ-ვში, — დამარცვლა თეთრპიჯაკიანმა და ჩაიწერა.

— გააქვთ? — ჰკითხა გიამ.

— ვიშოვით, — უპასუხა კაცმა. — რას დალევთ? ღვინო, შამპანური, კონიაკი, არაყი?

გიამ მე შემომხედა. მე მხრები ავიჩეჩე.

— მანდარინის წვენი მოგვიტანეთ! — სთხოვა გიამ.

— მ-ა-ნ-დ-ა-რ... — ოფიციანტი უცბად გაჩერდა. გიას შეხედა. ერთხანს თვალებით ზომავდნენ ერთმანეთს. გიას გაეღიმა. ოფიციანტსაც გაეღიმა.

— რას დალევთ? ღვინო, შამპანური, კონიაკი, არაყი, ლიქიორი, ბრენდი?

— მანდარინის წვენი მოგვიტანეთ, თუ შეიძლება, — გაუმეორა თხოვნა გიამ.

შავშარვლიანმა გიას შეხედა, მერე მე შემომხედა. მე ენა გამოვუყავი, იმანაც გამომიყო, მერე გაეღიმა.

— რას დალევთ? ღვინო, შამპ...

— მანდარინის წვენს!.. დაიღრიალა გიამ.

ოფიციანტმა ცოტა სხვანაირად შემოგვხედა... და გაიქცა.

ცოტა ხანში დაბრუნდა ადმინისტრატორთან ერთად. მოშორებით გაჩერდნენ და გაგვიღიმეს.

— რას დალევთ? ღვინოს, შამპანურს, კონიაკს, არაყს, ლიქიორს, ბრენდის, კოქტეილს, ვისკის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წვენს დავლევთ, მანდარინისას, მანდარინისას! — გამოსცრა კბილებში გიამ.

ადმინისტრატორმა ოფიციანტს ხელი ჩაჰკიდა და ორივემ მოჰკურცხლა.

დაბრუნდნენ სამნი. მესამეს თეთრები ეცვა და თეთრი ქუდი ეხურა. ქუდზე, რატომღაც, წითელი ჯვარი ეხატა. სამივენი იღიმებოდნენ.

— რას დალევთ? ღვინოს, შამპანურს, კონიაკს, არაყს, ლიქიორს, ბრენდის, კოქტეილს, ვისკის, რომს, ლუდს? — გვკითხა თეთრებში ჩაცმულმა და ჯიბიდან ხის ჩაქუჩი ამოიღო.

გიამ ბოკალს დაავლო ხელი და ესროლა. სამივენი იატაკზე დაწვნენ. შემდეგ წამოხტნენ და ხელიხელჩაკიდებულნი, სადღაც გაიქცნენ.

მეოთხე მოიყვანეს. მოლურჯო-მონაცრისფრო კოსტიუმი ეცვა, რატომღაც სამხრეები ეკეთა და სამხრეებზე კიდევ — ვარსკვლავები ეხატა. ჰო, ქუდი ეხურა, გერბიანი.

ადმინისტრატორმა, წითელჯვრიანმა და ოფიციანტმა გაგვიღიმეს. სამხრეებიანმა თვალები ბუდეებიდან გადმოყარა და გვკითხა:

— რას დალევთ? ლუდს, სპირტს, ოდეკალონს, ანტიფრიზსსს, — და ხელი უკან წაიღო.

— არაყს! — დავიყვირე მე. — და კიდევ, ლიქიორს!

— მე შამპანური მომიტანეთ, ლუდთან ერთად, — დაასლოკინა გიამ.

ოფიციანტმა ჩაიწერა, ადმინისტრატორს ხელკავი გამოსდო, თეთრხალათიანს ანიშნა, წავიდეთო და სიმღერა „შენ ხარ ვენახის" ღიღინით, ნელნელა მაგიდებს შორის გაუყვნენ.

სამხრეებიანი კიდევ ცოტა ხანს იდგა ჩვენთან, წარბშეჭმუხნილი, მერე თითი დაგვიქნია და გვითხრა:

— დუტ!!!

— ...

— როგორია, ლევან? — მკითხა გიამ, — სამხრეებიანი ფანჯრიდან რომ გადახტა.

— შესანიშნავი, — ვუპასუხე მე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნანა გოგიჩაშვილი

●

ხანდახან ფრენა მომინდება
მხოლოდ იმისთვის,
რომ ფეხქვეშ ბალახს
არ ვატკინო ნაბიჯი ჩემი.
არავინ იცის
არგამხელილი ტკივილის ფასი,
არავინ იცის,
და არც ის იცის
საკუთარ თავს რად ვეურჩებით,
ეს მაშინ,
როცა ფრენა არ ვიცით,
ეს მაშინ,
როცა სამწუხაროდ
არა გვაქვს ფრთები...
და მაინც ფრენა მომინდება
ხშირად იმისთვის,
რომ ფეხქვეშ ბალახს
არ ვატკინო ნაბიჯი ჩემი.

●

დაყეფა ძაღლმა,
დააფეთა ღამის სიმშვიდე,
და ვარსკვლავებად დაახილა
თვალები ზეცამ,
მე ჩემი ცოდვის პერანგი მეცვა,
ვიდექი ბნელში მუხლმოყრილი,
ვილევრებოდი ლოცვად და ცრემლად.
პერანგს მაფლეთდა
სიმარტოვის შიში და სევდა.
მე ჩემი ცოდვის პერანგი მეცვა
და დაღლილ მკლავებს ვიკრეფდი
გულზე,
ერთადერთ მოწმედ თავზე მადგა
ვარსკვლავა ზეცა.
და ძაღლი ყეფდა
ბნელეთს გაღმიდან.

●

დიდი ხნის შემდეგ
ისევ მოვედი,
ვნახე — ობივით მოსდებია
შენს ნავთსაყუდარს
უჩემობა,
ვნახე — სხვა გემი მოსდგომოდა
და გული დამწყდა.

●

დამადგი ფეხი,
შეიმოკლე გზა და სავალი,
ჩემზე გადავლა
თუ გიშველის —
დამადგი ფეხი.

●

არ სთქვა,
რა უნდა ცის ტატნობზე
ჩემს სამოსახლოს,
არ გაიკვირვო
ჩემი წასვლა
და იქ დარჩენა,
შენ შორს იყავი,
მეგულებოდი როდესაც ახლოს,
შენ არ იყავი,
მეგულებოდი როდესაც ჩემად.
ქარწაღებული
დღეები მახსოვს
და მახსოვს დარდთან
ჩემი შეჩვევაც,
არ სთქვა,
რა უნდა ცის ტატნობზე
ჩემს სამოსახლოს,
არ გაიკვირვო
ჩემი წასვლა
და იქ დარჩენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოთია გიგაური

## სიცოცხლე

ძმას რომ სიცოცხლე შენი დაჭირდეს,
როგორ დაადებ სიცოცხლეს
ბოქლომს.
ცოცხალს რაღაცა ხომ უნდა
გწყინდეს,
სხვაფრივ სიცოცხლეს შეიგრძნობ
როგორ?

არც ღელე დაშრა, არც ფიქრი მორჩა,
ფიქრი ფიქრია, ღელე ღელეა.
რაღაც ხომ უნდა გტკიოდეს
ცოცხალს,
სხვაფრივ სიცოცხლე სისულელეა.

## მგონია

რა ცეკვა, სიმღერა, ლხინი.
დე, ბედმა ყოველ-დღე მიმტროს.
მგონია, სუყველა ტირის,
როდესაც შენ ტირი, იმ დროს.

გვალვაა, ბალახი ხმება,
ქარს ბზარი უჩნდება ხმაში.
მგონია, სუყველა კვდება,
როდესაც შენ კვდები. მაშინ.

ილვრება ცრემლებად ბინდი,
ღრუბლებში აჟრჟოლებს მნათობს.
მგონია, სუყველა მიდის,
ამ ქვეყნად მე ვრჩები მარტო.

## მხატვარი

რა ჯავრიანი დაგყვება ქარი,
რა გაანელებს შენს ფიქრებს ობოლს.
აღარსად თეთრი ყვავილი არი,
არც ყვავილივით ცქრიალა გოგო.

ხევი ჩაჰბლავია დრო-ჟამს
მოცელილს
და ქარაფებში ატანს გულამდე.
და ვილაც ხატავს დღეებს
მოწყენილს,
მოწყენილ ქალებს და სხვა სურათებს.

და გულს იოხებს ამით მხატვარი,
არჩევს სხვა და სხვა ფუნჯებს,
ფერადებს.
მალე ჩამოდის მთებში ზამთარი,
ხატავს მაგიდებს. თასებს, ხელადებს.

და ხატავს ქორწილს, თავის ოცნებას
გოგოს შავთვალას, ლამაზს ძალიან.
და თუკი სალი აზრი მორჩება,
სიცოცხლისათვის აღარ სცალია

და ხატავს შემდეგ სანთლებს,
კელაპტრებს,
შავ კუბოსა და ცრემლიან ქალებს.
და ჩაფლულია ჯავრში ყელამდე,
როგორც ღამე და ღრუბლებში
მთვარე.

ჩატეხილია ის ბოლო ხიდიც,
მზე ჩასულია მთებში ტარამდე.
დგება მხატვარი და სადღაც მიდის,
ტოვებს ნახატებს, ცრემლებს.
ბარათებს...

## ვინ მაპატიებს

სიმთვრალით თავი ვიტყუე დღემდე,
ცივი დღეები ქარდაქარ ვხარჯე.
დავიღალე და შენ კართან შევდეგ,
ცრემლებით შველა ვევედრე გამჩენს.

დუმდა უფალი, ხოლო ზეციდან
ცივ-ცივი თოვლი ცვიოდა ჯილღოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლე გზა-გზა ჩამომეწრიტა,
სიცარიელე როდემდე ვზიდო?

ვით გემი ზღვაში, ჩავრჩი ვალებში,
მოგონებები ყინულით ვკვებე.
ვინ მაპატიებს, იმ სიმთვრალეში
უქმად ჩამოცლილ დღეებს და
ვნებებს?

### მოთმენა

დღეს შენი სისხლი ისევ მიხსენებს
და ძარღვებიდან ჩქერად გადმოდის.
ისევ წამომცდა „ღმერთო მიშველე"
რასაც ოდესღაც თრთოლვით
ვამბობდი.

არა, არ მიკვირს ამდენი მტერი,
ძაღლების გროვა, მათი ღავღავი,
ასე მგონია სიცოცხლე მთელი
მაგ შენს სისხლიან გულთან დავყავი.

ვსინჯავ კედელზე ფარს და იარაღს.
ჟამით დაღლილებს და დაჟანგულებს.
ვიღაც ხნავს მიწას, მიწას კი არა
ბელტებად მხოლოდ ჩემს გულს
აბრუნებს.

ჩემს გულზე ხნავს და ჩემს გულზე
თესავს,
ჩემი გულიდან ღებულობს სარჩოს,
სხვის ხატს ლოცულობს, სხვის ფარას
მწყემსავს,
სხვას უდღეგრძელებს წამსვლელს და
დამრჩომს.

და მე კი მხოლოდ მწყევლის და
მლანძღავს
და წყალში მიყრის სიკეთეს ამდენს,
ვკარგავ რწმენას და აღარც რა არ
მწამს,
რა არის კარგი, რომ უნდა მწამდეს.

და როცა ხელი მიმიდის ხმალზე
ვიღაც მოთმენას მირჩევს და მაჩვევს,
მოთმენა ისეც, მოთმენა ასეც,
ვერ ავუდივარ მოთმენის საჯელს.

### ლ. ხ. ს.

გზა და გზა ბედი აშარი
ფინიასავით მიღრენს.
ხან თუ ვარ ციხის ნაშალი,
ხან მთაზე მდგარი ციხე.

მზე დასალიერს მისულა,
ზღვა ნაპირისკენ მორბის.
ხან იმედს გადამიწურავ,
ხან ფრთებს შემასხამ ორბის.

და გაუვლია ასე წლებს,
მაინც ვერაფერს მივხვდი,
ზოგჯერ სიცოცხლეს მასესხებ,
ზოგჯერ მარგუნებ სიკვდილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოშრევან შარვანელი

# ქვაკაცი

### მოთხრობა

მაგას ეხლა ეძახიან ქვაკაცს, თორემ თავის დროზე კაცი იყო, ჭაბუკი სულმზითნათელი და მეტრფე უებრო.

ოქია ერქვა მაგ ქვას კაცობაში, კაცობაში ოქიამ ცხრამეტი წელი დაჰყო, მას მერე ქვაა.

ოქიას ხორა ჰყვარებია და ხორასაც ჰყვარებია ოქია.

ოქია ამ სოფლელი ყოფილა, ხორა კი აგერ, გაღმა რომ სოფელი მოჩანს, მანდაური.

იმ მეზობელ სოფელში რომ ხორას თითი წამოსტკივდებოდა, ამ სოფელში ოქიას გულს დარდის გუთანი ხნავდა.

აქ რომ ოქიას მტკიცე და ნათელ შუბლს ნაოჭი გაღარავდა, იქ ხორაის თაფლისფერი თვალები ტივტივებდა სევდის მორევში.

უყვარდათ, უყვარდათ ერთმანეთი და ეს საბედისწერო ტრფობა შვიდგზის შეკრული იყო ფოლადზე უმტკიცესი ფიცით.

მწყურვალთაებრ ენატრებოდათ ერთურთის ხილვა და ის იყო გაუწევდათ გული შეყრად, რომ მთელი ცა და ხმელი, წყალ-ჭალა და ტყე-ველ-ყოილი უცებ ჩაიბამდა ფერხულს და სევდიანი ვედრებით იწყებდა:

ბიჭო, ჩქარ-ჩქარა ნუ მხედავ,
სიყვარულს დაგვატყობენო,
დაგვაშორებენ ერთმანეთს
თოელივით დაგვადნობენო.

და მომოჰქონდა ნიავს მიჯნურთა ოხვრით ნაწერი უსტარი.

ხორა და ოქია ერთად მდგომი ერთ თანასოფლელს ერთადერთხელ ეხილა ველად და ეთქვა:

— აღარა მინდა, ჩემ წილ სანახავ მაჩვენა ღმერთმა!

ხოლო ხორას დეიდა ჰყავდა ამ სოფელში, სანდუა.

სანდუა შინაბერა იყო.

სანდუა შინაბერა იყო და საშინლად ანჩხლი (იქნებ ამიტომ?!).

სანდუა შინაბერა იყო და ხვთის პირის მკაწრავი.

სანდუა შინაბერა, ხვთის პირის მკაწრავი, ანჩხლი და ჭორიკანა იყო.

სანდუა მარტო ცხოვრობდა. საკუთარსა და ბედისწერის ნებას სიმარტოვის ღვთაების ტარიგად ექცია.

ერთიც: ყველაფერი ყველაფერი და, სანდუა სანდო არამც და არამც არ იყო.

ხორა დეიდასთან გააგზავნა დედამ — კალოობაში ხელს წააშველებ მემარტოეს, მადლს მოისხამო.

იდგა თმაყვითელი სთველი, გაცრეცილი, პირში რომ თოვა უჭირავს და ხელით სუსხს აშლის.

სთველმოძალებულ სოფელში ხორა გაზაფხულივით შემოვიდა და მორცხვი ღიმილიც თან მოიტანა.

სოფელში გახურებული კალოობა იდგა, დილაუთენია დგებოდნენ და მთვარის შუქზე იწყებდნენ კალოობას. დაბლა ენარცხებოდნენ თავმომწონე სერკვები, კალოზე ბრუნავდნენ ხარები თუ ცხენები, ტყრიალებდა ფიცხი ძნა, ანია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებდნენ ხვავს, მერე ცხრილავდნენ და ივსებოდა ბეღლები ქერით.

სიმწიფისა და სინოყივრის სუნი მეფობდა.

და შველოდა ხორა სანდუას და კმაყოფილი იყო სანდუა.

მოშორებით ოყია იდგა სერკვზე ფიწლით ხელში და ძნას ყრიდა კალოზე. აიღებდა ულოთი წელშეკრულ ძნას და ხორას ტან-წელს ხედავდა. დახედავდა სავსე, მწიფე თავთავებს და ხორაის მკერდი ელანდებოდა. ყრიდა თავთავით დახუნძლულ ძნას კალოზე ოყია და ფიქრობდა: ხორაიც ხო მწიფე თავთავია წმინდა კალოზე გასალეწი!..

სულ ტყუილია, მთვარეს არ შურს მიჯნურთ ალერსი, ამად როდი შედის ღრუბლის კარავში, იცის, რომ მიჯნურთათვის სრული სიმარტოვეა ყველაზე დიდი მადლი. იმ ღამესაც ამად განერიდა მთვარე. სანდუას ჩალის ნახევრამდე ამოგებულ ზვინში მთვარის ამოსვლამდე ჩახტა ოყია და ჩალის მსუყე სურნელში სიამოვნებით გაიტრუნა. ცოტა ხნის შემდეგ ჩალის ზვინი მეორედ შეინძრა და მთვარემაც ამოყო მწვერვალებიდან ვერცხლისფერი რქა.

ქალ-ვაჟი ღიმილით შეჰყურებდა ერთმანეთს და დუმილითაც კარგად მუსაიფობდნენ.

ოყია და ხორა ყოველ შეხვედრისას ასე იყვნენ, ისხდნენ ჩალის ზვინში და უხმოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთის მთვარით განათებულ სახეებს. მერე, როცა მთვარე ბრმაჩრდილაის ქედს გადაივლიდა, კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ თავიანთი გზით.

ახლაც ასე ისხდნენ. მთვარე რომ ღრუბლებში შევიდა, მაშინ დაარღვია სიჩუმე ოყიამ:

— ხორა...

— ჰაო...

— ცისპირტეხისას სანადიროდ მივალ.

ეწყინა ხორას, მაგრამ იყუჩა.

— მე რო ნადირობით დავბრუნდები, შენ აღარ იქნები აქ, შინ წაბვალ.

— ჰოო...

ოყიამ მხრებზე გადახვია ხელი და ფრთხილად ემთხვია ტუჩებზე. ხორა ჯერ მინებდა, მერე ხელიდან გაუსხლტა და, რას ჩადიო, მიაძახა ხმადაბლა.

გაჩუმდნენ.

მთვარემ წუთით გამონათა და ისევ მიიმალა.

— ხორა!

ისევ დაიწყო ოყიამ.

— ჰაო...

— შენ ამბორს გავიყოლებ.

— არ შეიძლების!

— რა?

— მენადირის ქალთან შეხება.

— რად? — გაიცინაა ოყიამ.

— დაითარსები, მენადირე ხუცესივით უნდა წმიდობდას.

— მხოლოდ ამბორი!..

— მაინც...

გაჩუმდნენ.

— ხორა!.. — გაბედა ოყიამ.

— ჰაო...

— ერთის თქმაც მწადის...

— აი, თქვე ჯანაბეს წასავლებო, აქ რას აკეთებთ, ჰა!.. გაისმა უცებ ურჩხულის შემზარავი წივილი.

ოყიამ მთვარეს გახედა, ბრმაჩრდილაის ქედიც გადაევლო და გარსიმთათაც დაღირებოდა. მაშინ კი იშვირა ფეხი და თივის ზვინებს შორის გაუჩინარდა.

ხორას მუხლი მოეკვეთა, ადგილზე გაშეშდა.

— მე ამას ვიძევ და ეს თურმე ვისთან ღლაბუცობს, უ, შე მიწის ქათორო, შე მიწის გასაჩიქავაო, შენა, ჰა!

და ფიწალი ზურგზე უთავაზა ქალწულს. მაშინ კი გადმოხტა ხორა ჩალის ზვინიდან და შეეხვეწა დეიდას:

— მაპატიე, დეიდა, მაპატიე!..

დეიდა თავზე წაადგა და ყვირილი ატეხა:

— რა, რა, ოყიას ძირში გდება?

— ნუ, დეიდა, ღმერთს ნუ სცოდავ!

— არა მაშ და ჯღნებს ასხამდით!

— ერთხელ მაკოცა... — ტირილით აღიარებს ხორა.

— ოოოო, ერთხელ კოცნას მოსდევს

სწორედ, აი! — უარესად გაცოფდა სანდუა.

— ნუ, დეიდა, ნუ სცოდავ, ოქია ჩემი საქმროა, — ტირის ხორა.

— რას ამობ, ქალო, რამ გაგარეტა?!

— ეგრე არის და, რა ვქნა...

— უი, უი, უიმეეე, ხალხო, უიმეეე!..

— დეიდა, სიყვარულს სახალხოდ ნუ გამიხდი! — აღარ ტირის ხორა.

— ხალხო, ხალხოოო!..

წკიოტნიალებს სანდუა.

— ნუ, დეიდ, მე ხო გულახდილად გითხარი...

აღარ ტირის ხორა, ემუდარება და გაურბის მოქნეულ ფიწალს.

— მიიიშველეთ, ხალხოოო!.. — ფიწალი დააგდო და მთვარეს შეჰყმუვლა სანდუამ.

— დეიდ, ნუ გამისახალხოებ სიყვარულს, თორემ თავს არ ვიცოცხლებ!

— ხალხო, ხალხოოო, მიიიშველეთ, ხალხოოო!..

და აი, სწორედ ამ სიტყვების მერე გაქრა ხორა.

სანდუას კალოზე დაფეთებული მეზობლები მოცვივდნენ და მოთქმა-გოდების მიზეზი იკითხეს.

— ემ ბათხს, ჩემ დიშვილს, ბალღი ჰყვარებია! — თქვა სანდუამ.

— რა იყო, შე დალოცვილო, რამ გაგაგიჟა მერე? — დატუქსა სოფლის უფროსმა.

— რაღა რა იყო, ოქია ჰყვარებია!

— მერე? არ გიხარის? — ახლა სხვამ წაუსკლიტა.

ამასობაში ნახევარი სოფელი იქ მოგროვდა.

— რას ამბობთ? ვის გაუგონია? — გაცხარდა სანდუა.

— ვის გაუგონია და კაცთ, ქვეყანას! — თქვა სოფლის უფროსმა, ხვავის სანიავებელი ნიჩაფი მხარზე გაიდო და წრე გაარღვია.

სანდუა ჩაცხრა.

ხალხი დაიშალა.

მაგრამ მზის ამოსვლამდე ერთხელ კიდევ შეყარა სანდუამ სოფელი, — ხორა გაქრაო!

ვიღაცას დაენახა ფხის ხევისკენ გაჩქარებით მიმავალი.

ბოლოდროინდელ, აჭრილებულ თოვლზე მისდიეს კვალს, რომელიც ყრუ ხეობის ჩხატთან წყდებოდა.

სანდუას ვაებამ ცა გააპო...

ხალხი მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებს მოედო.

ვიღაცამ თოფიანი კაცი შენიშნა მთაზე აღმა მიმავალი და გაკვირვებით იკითხა:

— ვინ არის, სად მიდის ამ დროს?

ყველამ იცნო, ერთხმად თქვა ყველამ:

— ოქია! სანადიროდ თუ...

— ოქია კი არა, ქვაა, — დაეჭვდა ერთი.

— იქნებ ხეიც, — გაიქილიკა მეორემ.

— ხე კი არა, კლდეა! — წამოიძახა მესამემ.

ყველამ მზერა დაძაბა.

ყველა დაეჭვდა.

— ქვაკაცა ყოფილა, — თქვა და დურბინი ჩულში ჩადო მეოთხემ.

— კაცო, ოქია იყო! — ხმას აუწია ერთმა.

— ოქია იყო!

— ოქია იყო!

— ოქია იყო!

აყვირდა ხალხი, გადაავიწყდა თავისი საქმე.

— მიდით და ნახეთ, — მშვიდად თქვა მეოთხემ, ოქიაც სწორედ ამ სიტყვების მერე გაქრა!

მივიდნენ, ნახეს და დამარცხდნენ: ქვა იყო, კაცივით ქვა.

კაცობაში ოქიამ ცხრამეტი წელი დაჰყო, დანარჩენი ქვაა.

ქალობაში ხორამ თექვსმეტი წელი დაჰყო, დანარჩენი მთვარემ იცის...

ხოლო სანდუა შინაბერა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე დიდებაშვილი

●

რით ვარ ამაყი?
გეტყვი მარტივად:
ბრძოლის და ლოცვის მაქვს
ისტორია,
წინაპრის ძვლებზე კრძალვით
დავდივარ,
სხვათა მიწაზე არ მიცხოვრია.

ცბიერი ლიქნით,
ფარული ზრახვით,
მივკედლებივარ არასდროს სხვა
ტომს.
ბევრჯერ უკუღმა ბრუნავდა ჩარხი,
უფსკრულის პირას ვრჩებოდი მარტო.

ძმობას ვეძებდი,
შინა თუ გარეთ,
ვერ ავცდი ზოგჯერ ძმობილის
ღალატს.
ჭირში სიობლის ცრემლებიც ვღვარე,
ბოლოს ჩემშივე ვპოვებდი ძალას.

უფლის სახლები მიქციეს თავლად,
თუმც ვერ დაშრიტეს ქართული
დვრიტა.
გუგულის კვერცხიც მიჩეკა
მრავლად
ჩემი ბაღნარის კეთილმა გვრიტმა.

უხუნდოდ ყოფნის შემრჩა ღირსება,
იმ ნანატრ მთაზე შევდგე მწადია,
საგარიურაჟო ცა იცრემლება,
ღმერთთან მართალი ველი განთიადს.

●

მტრისგან ქანცგაცლილს
დამიმეზობლდა...
თოხიც ითხოვა
ჩემი ეზოდან.
დაჰკრა მიწას და...
კალო აევსო, —
ეს მირჩევნია
იმ ჩემს მხარესო...
დამკვიდრდა მშვიდად,
ნერგიც იყარა...
თავის ნათლიაც
ჩამოიყვანა...

მე ძმას ვეძახი,
ის კი ცბიერობს...
შეუნდე ცოდვილს,
ღმერთო, ძლიერო.

### ვედრება

დრო მიდის,
დრო მიდის,
ქანცვით და ჯახირით.
დაღმართზე ქროლვისთვის
მოვჭიმე აღვირი.

იცვლება ამინდი,
ქარი ქრის ქირქილით.
იმედო, აგვიხდი,
გვარიდე სირცხვილი.

განგებამ ინებოს
გზახსნილი შენების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკაზმეთ, შვილებო,
უხედნი ცხენები.

მოაწვა მცხუნვარე
მზის ლანდი განთიადს.
სულთკრთომას ვუბარებ
ლუნიას დარდიანს.

უფალო, შეგვინდე,
უსახო რამ არის, —
გვბოჭავს და
წელს გვირყევს
საერთო ქამარი...

●

სანთლით დავეძებ
ადამიანს,
დიოგენივით,
რომ სული ჰქონდეს
ღვთიურ განძად
შემორჩენილი,
რომ სანთლის შუქზე
აკიაფდეს
თვალი სიკეთის,
რომ იასავით
გაიფურჩქნოს
ხვალის იმედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შაბურა არაბული

●

მე ყველაფერი ვიცი. არ ვიცი
მხოლოდ ეს: როდის გარდავიცვლები.
კენწერო ზეცას კოცნის ალვისა
და შრიალებენ წითლად ცირცლები.

შარშან ჩემი ძმის მეკვლე ვიყავი,
წლეულს კი გულში ვაგროვებ ეკლებს,
ცარიელ ცაში ჭყივის ჭილყვავი,
არ მოდის თოვლის ბაბუა —
მეკვლე.

იმედით ვხვდები „ცხენის
წელიწადს"
და ისევ ცხენზე ვზივარ სალარზე,
მტერიც, მოყვარეც მე მომერიდა
და მარტო ვხვდები ახლა ახალ
წელს.

●

როგორც გარეთ,
ისე ცივა შიგნით...
სიცივეში იწერება წიგნი...
ჩემს სიზმრებში
არ ამოდის მთვარე...
შიგნითაც წვიმს,
ისე, როგორც გარეთ...

●

არავის არას ვპარავ,
ნუვინ მომპარავს ნურას,
ჩემი დამიდის ფარა,
ჩემს ვკაზმავ „არაბულას".
ჩემი ძროხა და ხარი
ჩემს ძოვენ ბალახ-ბულახს.
ჩემი მიჭირავს ცელი
და ჩემსას ვფერავ სახნისს,
ვწერ ჩემს დასაწერ წერილს
და ჩემი მიდგას სახლი
და ჩემი სახლის კარზე
ჩემი მიბია ძაღლი...
მოგწონს ეს ლექსი, არაენ,
კაცს, სათიბისგან დაღლილს?..

●

დავასკვენი, რომ ყოფნა არა ღირს,
მოვვლე ამ ქვეყნის კუთხე-კუნჭული,
ზეპირად ვიცი ასი ქალაქი,
აღმოვაჩინე ასი კუნძული.
და ტაიგაში მარტოდ დარჩენილს
უკან დამდევენ მგლები ძუნძულით,
არ ჩამითვალოთ, მე გთხოვთ,
ლაჩრობად
და არ დაარქვათ ამ ლექსს წუწუნი.
ვინაც მიყვარდა, ისიც სხვას დარჩა
და სხვას დანებდა თეთრი ქალწული,
ბუნებამ რუხი ჩაიცვა ფარჩა,
სად ხარ, რა მქონდა მე დასაწუნი...
ცხოვრების კუდში ამნაირ ჩანჩალს
სიკვდილს არჩევდა კაცი კაცური.

●

მე გამოვაღე ფართოდ ფანჯარა,
შინ შემოვუშვი ყვავი-ყვანჩალა
და ყვავურ ენით მესაუბრება,
ლეგა ნისლებში მთები არ ჩანან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შავმა დაფარეა ზეცა ღრუბლებმა,
ხელში მიჭირავს პატარა სარკე,
ვხედავ: დათრთვილეს ჭალა
მტრედებმა

და ახლა დღეა ისეთი კარგი,
დასალამებლად არ მემეტება.

●

ცელებს რომ გალესავენ და
წყალს რომ დალევენ მთიბლები,
ყველაზე კაი მთიბელ კაცს
თიბვაში შევეჯიბრები.

ცხენებსაც რომ შეჰკაზმავენ,
ჩემი ფეხთეთრი ტაიჭით
მე მხედრებს შევეჯიბრები,
ვინ ვის აჯობებს, რა იცი!..

ალუჩა — თეთრი ქალწული
სახლიდან გამოპარულა
და კუდში არც მე მივყვები
მელექსეების მარულას!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ვასაძე

# ყინულის მარწუხებში

რომანი

## წარსულის ლანდებთან

3.

ლევანი ათას ცხრაას ორმოცდაორი წლის გაზაფხულის დამდეგს ჯარში გაიწვიეს. განჯაში გაამწესეს, სადაც უპირატესად ქართველებისგან შემდგარი დივიზია, ომში გამგზავრების წინ, საბრძოლო მზადებას გადიოდა. უმცროსი ლეიტენანტის წოდებით უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულს და სათანადო სამხედრო ცოდნით აღჭურვილს, სულ მალე ათეულის უფროსობა მიანდეს. მასთან ერთად განჯაში დაბანაკებულ დივიზიაში გაამწესეს მისი უნივერსიტეტელი თანაკურსელები და მეგობრები — პოეტი გიორგი ჭედია, დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ასპირანტი ვახტანგ შაიშმელაშვილი, ფილოლოგიის ფაკულტეტის ლაბორანტი აბო მირზაშვილი, ფილოსოფიის კათედრის ასპირანტი მიხეილ გაბაშვილი, ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტები რატი კაცაძე, ზაალ ვაჩნაძე და, ამათ გარდა, მრავალი ნაცნობი ენათმეცნიერების და ლიტერატურის ინსტიტუტებიდან. ლევანმა პირველივე კვირის თავზე თინათინს ვრცელი ბარათი გაუგზავნა, დაწვრილებით აუწერა თავისი ახლებური ცხოვრების პირობები და, ბოლოს, ასე დაასრულა: „მიმიხვდები, რა სიხარულია ჩემთვის, რომ ბედმა აქაც არ დამტოვა მეგობრების გარეშე. სხვაც ბევრი გავიცანი და უკვე კიდეც შევიტკბე ძმურად, საოცრად კარგი ხალხი, საოცრად გონიერი, სულიერი და ჭეშმარიტად ქართლისმიერი. რა ბევრი გავაგრძელო, განჯაში თბილისის მოაზროვნე ახალგაზრდობის ელიტაა, — ვის არ შეხვდები აქ: ფილოლოგს, ენათმეცნიერს, მწერალს, მხატვარს, მუსიკოსს, ისტორიკოსს, ფილოსოფოსს, ფსიქოლოგს და, საერთოდ, ყველანაირი ჯურის მოაზროვნეს და სპეციალისტს. თუ კიდევ დიდხანს გაგვაჩერეს აქ, ყველა სამეცნიერო ძალებია საიმისოდ, რომ გავხსნათ ქართულ ჯართან არსებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პატარა უნივერსიტეტი თავისუფალ მსმენელთათვის. ჩვენს უნივერსიტეტში სწავლის მსურველთა ნაკლებობაც არ იქნება — საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან შესანიშნავ ახალგაზრდობას უკრეს თავი განჯაში. ხუმრობა იქით იყოს და, ყველა აქაური გაჭირვება გადაწონა ამდენი კარგი ხალხის გაცნობამ, მათთან დაახლოებამ...“. თითქმის ყოველდღე სწერდა ბარათებს და, ზოგჯერ, სამხედრო ფორმაში გადაღებულ ფოტოსურათებსაც უგზავნიდა. თინათინიც, როგორც კი მცირე რამ სანოვაგეს თავს მოუყრიდა და ლარბის დატოვებას შეძლებდა მშობლებთან, ლევანს წინასწარ შეატყობინებდა, ამა და ამ დღეს ჩამოვდივარო და მის სანახავად განჯას გაემგზავრებოდა. დათქმულ დღეს, ლევანი თავის მეგობრებთან ერთად, სამხედრო მწყობრით და შეძახილებით

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვდებოდა სადგურზე; ჩამოართმევდნენ სანოვაგით დატენილ ჩანთას და სიმღერ-სიმღერით გასწევდნენ თავიანთი ყაზარმისკენ. ლევანს და მის სამ მეგობარს ერთი დიდი, ნათელი ოთახი ჰქონდათ დაკავებული და ყველანი, ასე ათითორმეტი კაცი, იმ ერთ ოთახში შეიკუჰებოდნენ, თინათინის ჩატანილ ხორაგს მაგიდაზე დააწყობდნენ, სუფრას გაშლიდნენ, როგორღაც მიიყუჟ-მოიყუჟებოდნენ მაგიდასთან და როცა ლევანი ერთნახადი არაყით სირჩებს შეავსებდა, კაფიების მოყვარული თედო წიკლაური ხუმრობით წაიმღერებდა:

ლევანის ქალო თინაო,
გვესტუმრე რა ნადავლითა, —
ხარჯი მაილე დიდძალი
ნათესავების დავლითა, —
ალავსე ჩვენი მაგიდა
რახით, ყველით, სათალითა, —
ჩვენ ჯერ მაგ ხორაგს შევმუსრავთ,
მერე დაგტოვებთ ქმარითა.

ფაშისტთა ჯარები კავკასიონს მოსდგომოდნენ და ამათ კი შიშისა არაფერი ეტყობოდათ — მხნედ გამოიყურებოდნენ, სუფრასთან ლაღად ილხენდნენ და სადღეგრძელოებში ომახიანად იქადნებოდნენ გამარჯვებას.

— ნუთუ სულ არ გაგიჭირდა? — ალერსით ჩაეკითხა თინათინი, როდესაც, ერთხელ მარტოკები დარჩნენ ოთახში.

— წუწუნს რომ მოვყვე, განა აზრი აქვს? თავიდან ძალიანაც გამიჭირდა, განსაკუთრებით პირველ დღეებში, როდესაც სხვადასხვა ხიბინძურეების წმენდა-რეცხვა დამაწყებინეს. ამის უფლება არ ჰქონდათ, რადგან თავიდანვე ოფიცრის წოდებით გამამწესეს, მაგრამ, სადისტები და ცინიკოსები ყველგან არიან. თანდათან აქაურ ცხოვრებასაც გავუგე მუღამი და, უკვე ველარც ბედავენ ჩემს გაცურებას. სიკეთეც და რიგიანი ხალხიც ბევრია აქ. მოკლედ, როგორც წესია და როგორც შემფერის, ახლა ისე ვირჯები. მთავარია, მეგობრები გვერდში მყავხან. ეს კი დიდი ძალაა, დიდი.

— მე სხვა მქონდა მხედველობაში... რომ ველარ წერ, ძველებურად შენს მაგიდასთან ღამეებს ველარ ათევ, შენს საყვარელ საქმეს რომ მოსწყდი...

ლევანმა ნაღვლიანად ჩაიღიმა და გაეხუმრასავით:

— რა დროს წერაა, ჩვენ აქ ყველანი ისედაც წერას ატანილებივით ვართ. და როგორც შენთვის კარგად ცნობილმა ერთმა დიდმა პოეტმა ბრძანა, „როცა სამშობლო განსაცდელშია და ხალხის ბედი უნდა გადაწყდეს", მაშინ, ჩემო თინიკო, ყველა სხვა გრძნობა, ყველა სხვა საქმე, სხვა მიზანი და სულის სწრაფვა უკან იხევს, თითქმის უქმდება, — წამით, გაჩუმდა; მერე, თითქოს ადრე, იქვნეულ ფიქრებთან ჭიდილში წვდომილ გადაწყვეტილებას უმხელდაო, ისე განაგრძო: — რა იქნებოდა დოსტოევსკი, ტოლსტოი, პუშკინი ან ბლოკი, რუსეთი რომ არ ყოფილიყო! რა იქნებოდა სერვანტესი უესპანეთოდ; ჯოტო, პეტრარკა იტალიამ დაბადა და იტალიისთვის იყვნენ; ვის რად ენდომება ილია, ვაჟა, აკაკი, ბარათაშვილი და თვით რუსთაველიც, თუ საქართველო არ იქნება და ისინიც, პირველ ყოვლისა, საქართველოსთვის იყვნენ... ასე რომ, საქართველო. უპირველეს ყოვლისა!

ამ ხუმრობანარევი მაღალფარდოვანი წამოძახილით შეწყვიტა ლაპარაკი და თინათინმა იგრძნო, რომ სულ სხვა, მთავარ სათქმელს წინასწარგანზრახულად დაუდო ზღვარი ლევანმა. მაგრამ აღარაფერს ჩაძიებია, აღარც რაიმე უკითხავს. ასეთ წამებში, განჯაში ერთი დღით ჩასულს და ლევანთან ძლივს განმარტოებულს, მსოფლმხედველობრივი, ლიტერატურული თუ ეროვნულ-მოქალაქეობრივი მოსაზრებების გაზიარებაზე მეტად, მისი ალერსი, მისი სიყვარულის შეგრძნება, მასთან თავდავიწყება სწყუროდა.

განჯის დივიზიაში სამი თვე დაჰყო ლევანმა. იმ ხნის მანძილზე თბილისშიც ჩამოდიოდა ხოლმე. ერთხელ მწერალთა კავშირიდანაც მოიწვიეს, ანტიფაშისტურ საღამოში მონაწილეობის მისაღებად. თინათინი მწერალთა კავშირის ხალხით გაჭედილი დარბაზის წინა რიგებ-

ში მოთავსდა ლარბისთან ერთად და გაბრწყინებული სახით შეჰხაროდა შემაღლებულ ადგილზე, პრეზიდიუმში, ცნობილ მწერალთა გვერდით მჯდარ ლევანს, რომელიც სამხედრო ფორმაში საოცრად ლამაზად, ყველასგან გამორჩეულად ჩანდა მის თვალში. იჯდა მხრებგაშლილი, ფეხიფეხზეგადადებული, დიდრონ თაფლისფერ თვალებს ფიქრიანად შეავლებდა ხოლმე დარბაზს და, როცა თინათინის გაბრწყინებულ სახეს წააწყდებოდა, მსუქან დიდრონ ტუჩებზე ოდნავი, მოალერსე ღიმი გაუქრთებოდა. მისი გამოსვლის ჯერიც რომ დადგა, თავდაპირველად ჯარში მყოფი ქართველი ლიტერატორების საბრძოლო მზადების, მათი პატრიოტული გუნება-განწყობილებისა და შემართების ამბავს მოჰყვა და, ბოლოს წაიკითხა თავისი ერთ-ერთი, თუმც ადრინდელი, მაგრამ დაუბეჭდავი და ქვეყნად შექმნილი ვითარებისთვის გარკვეულწილად შესაბამისი ლექსი „და საქართველო, როგორც ფენიქსი“.

ლარბი პირდაფჩენილი და თვალებდაჭყეტილი მიშტერებოდა ლევანს. როდესაც ლევანმა კითხვა დაასრულა და დარბაზში ტაშმა იგრიალა, ლარბი ფეხზე წამოხტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დასჭყივლა: — მამააა!... დარბაზი აყრიამულდა და ლარბიმაც იქამდე არ მოისვენა, სანამ ლევანი ძირს არ ჩამოვიდა, მკერდზე არ მიიკრა და, თინათინის გვერდით მიმჯდარმა, მუხლებზე არ დაისვა.

ლევანი თბილისში როცა ჩამოვიდოდა და შინ იყო, ლარბი წუთითაც არ სცილდებოდა — ხან ყელზე ეჭდებოდა, ხან ბრჭყვიალა ვარსკვლავიან სამხრეულებს უსინჯავდა, ხან ჩექმებს უპრიალებდა და სახელდახელოდ მოფიქრებულ ახალ-ახალ კითხვებს უსვამდა:

— მამა, ცხენი გყავს?

— მამა, სროლა კარგად იცი?

— მამა, გერმანელები ნახე? მართლა რქები აქვთ?

ქალბატონი ელისაბედი მათ მორიახლო სკამზე დაჯდებოდა წელში გამართული და თავალერილი, მზრუნველ-მოამაგის კმაყოფილებით ადევნებდა თვალყურს თავისი ნაშიერების ლაღობას და, თუ დიდხანს რჩებოდა უყურადღებოდ, წყრომით დასძახებდა — გეყოთ ტახტზე ბულრაობა, საქმეს მიხედეთ, კაცებო! თითქოს მართლა რაიმე საქმე ჰქონდა ადრე დაბარებული ან სასწრაფოდ დასაკისრებელი.

ლევანის ყოველ ჩამოსვლაზე ის თავის ძველმოდურ საგარეო კაბაში გამოეწყობოდა, შევერცხლილ თმას კოხტად დაივარცხნიდა და დედის ნაქონ ძველისძველ გულსაბნევს გაიკეთებდა. ეს გულსაბნევი ერთადერთილა შერჩენოდა, როგორც საკუთარი, ასევე ქმრის მშობლების დანატოვარი ძვირფასი ნივთებიდან და სამკაულებიდან, ოციანი და ოცდაათიანი წლების შიმშილობამ და სხვა ათასგვარმა გასაჭირმა რომ შეიწირა. — ზოგი გაჰყიდა და ზოგიც ლომბარდში დაკარგა, რადგან მათ გამოსასყიდად საჭირო თანხას თავი ვერასგზით ვერ მოუყარა. დედის ნასახსოვრებ გულსაბნევს კი უკიდურეს გასაჭირშიც ვერ შეელია და, შემდეგ, რძალთან და შვილთან, თითქოს თავის მართლებით იტყოდა ხოლმე — სადღაც ძველმანებში გამებნა და თვალთაგან მიმეფარა, თორემ ესეც არ შემრჩებოდაო. ლუქმაპურის საშოვნელ კაპიკებში გაცამტვერებულ ქონებაზე მხოლოდ ღიმილით, მსუბუქად თუ ამოიოხრებდა თინათინთან საუბრისას და დასძენდა: მთავარი სიცოცხლეა, ლევანი რომ ჯანმრთელად გავზარდე და სწავლა არ დავაკელი, ესაა მთავარი...

ლევანი სულ ერთი დღით თუ გაითავისუფლებდა ჯარიდან თავს და, ქალბატონი ელისაბედი, სხვა დროს ხელიდან რომ სტაცებდა თინათინს ხან მტვრის ტილოს, ხან გასარეცხ ქვაბებსა და თეფშებს და ცოცა-ქალასავით პურზეც გაეგზავნებოდა, იმ დღეს ხელს ხელზე არ დაიკარებდა — ყველაზე საშურ საქმესაც სამერმისოდ გადასდებდა და სამზარეულოსაც ერთთავად თინათინის ანაბარა მიატოვებდა: სუფრის

გაწყობაშიც კი არ წაეხიდებოდა და დროდადრო გასძახებდა: აბა, მოგვემსახურე, ჩემო კეთილო რძალოო. იმ დღეს ლევანს უთმობდა, თვალებში შესციცინებდა; და როცა ლევანი ან რაიმე საქმეზე, ან კიდევ, თინათინთან ერთად სასეირნოდ გავიდოდა, ქალბატონი ელისაბედი ფანჯარასთან, რაფაზე იდაყვდაყრდნობილი, საათობით ელოდებოდა მათ დაბრუნებას, — მიყვარს იმის დანახვა, ქუჩაში სახლისკენ ლამაზად რომ მოსეირნობთო. ასეთ დღეებში ქალბატონი ელისაბედის ხასიათი მთელი სისავსით ვლინდებოდა: ოჯახისთვის მტლად დადებული, ყველა ოჯახის წევრის მონასავით მსახური და, იმავ დროს, გოროზა ქალბატონი, რომელიც ყველანაირ ვითარებაში ინარჩუნებდა ოჯახის უფროსობას.

იყო ქალბატონი ელისაბედის ხასიათში კიდევ რაღაც ისეთი, რასაც თინათინი დიდხანს ვერც იაზრებდა და ვერც ეთვისებოდა. ოჯახში ყველასადმი ფიანდაზად გაფენილ და ყოველივე პირადულის დამთმობ სიყვარულს, ოჯახის მეურვეობას და ახლობლებზე დღენიადაგ მზრუნველ გარჯას, ის თითქოს რაღაც გარეშე ძალას უქვემდებარებდა და უშურველად გაცემულ მადლს იმგვარად განასხვისებდა საკუთარი თავისგან, რომ, ნებით თუ უნებურად, განკერძოებული და ამაგის დამამადლებელიც ჩანდა. ზოგჯერ, მიუკერძოებელი შემფასებლის სიტყვას ისე იტყოდა, რომ ყველაზე ახლობელსაც უხერხულად აგრძნობინებდა თავს. თავდაპირველად, ახალი რძლის კვალობაზე, ქალბატონ ელისაბედთან დედაშვილური ურთიერთობის დასამყარებლად როცა მოიმართა და, რამდენჯერმე, მისი შორიშორ ცივად განმსჯელი მზერა იგრძნო, თინათინმა გულში გადაწყვიტა: დედამთილია მაინც და შვილის სიყვარულის მოქიშპედ, თავისთვის მაინც უცხო სხეულად მთვლის და ამიტომ მითვალყურებს ასეთი შემმოწმებელის თვალით — ვნახოთ, რანაირი ცოლი და დედა გამოდგებიო. მერე და მერე, როდესაც დარწმუნდა, რომ ლევანსაც ზუსტად ასევე, უცხოსავით ადევნებდა თვალყურს და გოროზად უფასებდა ქცევას, თინათინმა გაიფიქრა — ამპარატავანი და გულქვა ქალიაო. თუმცა მალე იმაშიც დარწმუნდა, რომ ქალბატონ ელისაბედს ცივი კი არა, უაღრესად მხურვალე — ყველანაირი სატკივარ-გასაჭირის უმალ გამზიარებელი და უმძაფრესად განმცდელი გული ჰქონდა. ქალბატონი ელისაბედის ასეთი საპირისპირო თვისებები თინათინს აბნევდა — არ აძლევდა საშუალებას, თავისთვის ზუსტად გაერკვია, რომელი იყო მისი ნამდვილი სახე: ქალბატონურად თავაღერილი და გოროზა, თუ დღენიადაგ ოჯახისთვის თავდაუზოგავად მოფუსფუსე. წლები გადიოდა და თინათინი კი იმაშიც რიგიანად ვერ გარკვეულიყო, თვითონ მას უპირატესად რომელი გრძნობა ამოძრავებდა ქალბატონი ელისაბედისადმი, ამიტომაც, ხან დედას ეძახდა და ხან ქალბატონ ელისაბედს.

ერთი ცხადი იყო: სიყვარულზე და ოჯახურ ახლობლობაზე მეტად, დედამთილისადმი პატივისცემა, კრძალულება და, კიდევ უფრო მეტად, გაკვირვების გრძნობა ჩასახოდა. თანაც, ეს გრძნობა დროსთან ერთად კი არ უნელდებოდა, პირიქით — ეზრდებოდა. ყველაზე მეტად ის აბნევდა, რომ ქალბატონი ელისაბედი მარტო დიდედობის — მარტო დედის, ბებიის და დედამთილის თვით უზომო, უგულწრფელესი სიყვარულით კი არა, თითქოს კიდევ რაღაც სხვა აღსასრულებელის ნიშნითაც მსახურებდა ოჯახს; ოჯახში და ოჯახისთვის ყველასავით ჩვეულებრივად კი არ ცხოვრობდა — ოჯახურ ცხოვრებას, თითქოს ღადარსო, სულს უბერავდა და, ყოველ წვრილმანზე ერთთავად დაყურადებული, რაღაცნაირი განსაკუთრებული ჟინით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ირჯებოდა. ჟამი-ჟამ, ხან რეცხვისას, ხან სადილის მზადებისას, ხან ოთახების ლაგებისას ქალბატონი ელისაბედი თითქოს თავისთვის, თითქოს სახხვათაშორისოდ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაინც თინათინის გასაგონად ჩალაპარაკებდა: „ოჯახი რაა. წვეთია ქვეყნის უსაზღვრო ზღვაში; გარედან რომ შეხედოს ამ ზღვას ადამიანისშვილმა, ის ერთი წვეთი არაფერია და მისი გაქრობა არ დაეტყობა თითქოს ვეებერთელა წყალს. მაგრამ — რომ დაუფიქრდე, ამ ერთ წვეთშიც მთელი ზღვაა. ოჯახში მთელი ქვეყანაა და ვინც თავის ოჯახს ამძლავრებს, ის ღმერთსაც და ქვეყანასაც სანთელს უნთებს". ასეთი და ამის მსგავსი ჭეშმარიტებების მარაგი ქალბატონ ელისაბედს არ ელეოდა. ზოგჯერ, ყველაფერი ეს დამღლელი და მომაბეზრებელი ხდებოდა თინათინისთვის, მაგრამ არაფერს იმჩნევდა: უჩუმრად ისმენდა დედამთილის შეგონებებს და მის ყველაზე უცნაურ ქცევასაც თავაზით უსაბამებდა საპასუხო ნაბიჯს.

როდესაც ლარბი გაუჩნდათ და, ომის წინა წლებში, ცხოვრება გაუმჯობესდასავით, ქალბატონი ელისაბედი, ლევანს და თინათინს სადილზე ან ვახშამზე ქვეყნის და ცხოვრების სიავკარგეზე სასაუბროდ რომ იხელთებდა, აუცილებლად დასძენდა: „ძალიან ნუ დააყოვნებთ და დროულად შეიმატეთ მეორე ბავშვიც. ხომ გაგიგიათ, ერთი შვილი — არაშვილიო. არაშვილი როგორაა ეს ჩემი ზურმუხტი, ჩემი სიხარული და ჩემი სულდგმა, ჩემი პატარა ლარბიკონა, მაგრამ, ასეა მაინც". ამაზე ლევანი ხუმრობით მიუგებდა: „მაშინ, დედი, ორი შვილიც ცოტაშვილიო". „დიახაც", — გულდაჯერებით დაუდასტურებდა ქალბატონი ელისაბედი. ამაზე თინათინი წამოიკივლებდა: „ასეა, დედა, სამიც რომ გვეყოლოს, მაინც შემომიტევთ, სამი შვილი ვითომ შვილიო. ხოდა, მე საბავშვო ბაღი გამიხსნია სახლში და სამსახურისთვისაც თავი დამინებებია და ესაა". ქალბატონი ელისაბედი, თუმც კი ხუმრობაში ამყოლის კილოთი, მაგრამ მაინც თავისას დაბეჯითებით იტყოდა: „ჩვენი გვარი საჯიშე გვარია. ყოველ ხალხს თავისი სულის და ღონის საჯიშე ოჯახები ჰყავს. ხალხისთვის ეს საჯიშეა მთავარი. ის ამძლავრებს ხალხის ცხოვრებას. დავლიანთა გვარიდან რომ ერთი ლევანი შემომრჩა, საქმეა ეს? ხოდა, თქვენ და თქვენმა შთამომავლობამ უნდა აანაზღაუროთ დანაკლისი".

და მართლაც, თვით შვილიშვილისადმი ქალბატონი ელისაბედის გაგიჟებულ სიყვარულს მუდამ თან ერთვოდა თითქოს სამომავლოდ გადასარჩენ ნერგზე დაყურადებული ბოტანიკოსის სიფრთხილე და მკაცრად შემოწმებული შეფასებაც. რაც შეეხება თინათინს, აქ ხომ ყველაფერი გაცილებით უფრო აშკარა იყო: თუ საჭიროება მოითხოვდა, დედამთილი მისი ფეხის ბანასაც არ ითაკილებდა, მაგრამ — ამ შემთხვევაშიც, უცხადესად აგრძნობინებდა, რომ იგი დავლიანთა ოჯახის რძალს, დავლიანთა ჯიშის გამგრძელებელს, დავლიანთა ოჯახზე მზრუნველს უდგებოდა მსახურად. თინათინი კი, როგორც თავისთავადი არსება, მისთვის თითქოს არც არსებობდა, ისევე, როგორც თვითონ ქალბატონ ელისაბედს თავისი პირადობა თითქმის სავსებით განექრო ოჯახის წევრთა შეობაში. ასეთი დამოკიდებულება თინათინს თან ალიზიანებდა და თან, ისევ და ისევ აკვირვებდა. ყველაზე მეტად ის აოცებდა, თუ როგორ შეინარჩუნა ამ უკვე სამოცს გადაცილებულმა და ამდენ ჭირვარამგამოვლილმა ქალმა ასეთი მედიდური იერი და, რაც მთავარია, ასეთი ურყევი სი რწმენა საკუთარ ძალასა და მნიშვნელოვანებაში; ანკი როგორ ახერხებდა წლების მანძილზე გულის უჩუმრად მღრღნელი შიშის ისე ჩახშობას, რომ არავის არაფერს შეამჩნევინებდა და იქით სხვებს დაუდგებოდა ხოლმე მანუგეშებლად. ხოლო გულს ფარულად და გამუდმებით რომ უღრღნიდა შიში, ეს თინათინმა მალე შენიშნა, დავლიანთა ოჯახში სულ რამდენიმე თვის ფეხშედგმულმა, ოცდათექვსმეტი რომ იწურებოდა და მცირე ხნით მინავლებული მასობრივი რეპრესიების ცეცხლი ხელახლა რომ გააჩაღეს. მაშინ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შიშს შვილის ბედ-იღბალზე ფიქრი უღვივებდა მას შემდეგ, რაც დიდი ლევანი ოცდაათხში დახვრიტეს; და ეს შიში მაშინაც არ გაქრობია, როდესაც ლევანი, ომის წინა წლებში, სამწერლო და სამეცნიერო სარბიელზე გამძლავრდა. სახლიდან ლევანის ყოველ გასვლაზე, ქალბატონი ელისაბედი კარში მიაძახებდა — ფრთხილად იარე, შვილო, ათასი მანქანა, ათასი ჯიბგირი და ათასი ავი თვალია გარშემოო; და თინათინი გრძნობდა, რომ ქალბატონი ელისაბედის ასეთ გაფრთხილებებს ჯიბგირისა ან ავი თვალის კი არა, მისი გულის სიღრმეში ჩაბუდებული სულ სხვა შიში იწვევდა. თუმცა, ქალბატონი ელისაბედის ასეთ მოშიშარ ზრუნვაში, ცხოვრებისეული თვალსაზრისითაც არაფერი იყო გასაკვირი და მოულოდნელი, — იგი სასოებით შეჰხაროდა თავის „ნაბოლარა ბიჭს", რომელიც, როგორც იტყვიან, სიბერეში შეეძინა. ორმოცს მიბჯენილს ეყოლა ლევანი და მის მეტი შვილი აღარ შერჩენოდა: უფროს ვაჟს გულის მანკი განუვითარდა ყმაწვილკაცობაში და მას შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია, ცხრაას ოც წელს გარდაეცვალა; ხოლო ქალიშვილი, მშობიარობას გადაჰყვა ოცდახუთში. თინათინს ისიც აოცებდა, რომ ქალბატონ ელისაბედს არასდროს არც ერთზე მწუხარე მოგონება, არც ერთის დაღუპვაზე ჩივილი არ წამოსცდებოდა ლევანის თანდასწრებით. დიდ ლევანსაც თუ ახსენებდა — მხოლოდ ისე, როგორც, ვითომ, ავტოკატასტროფაში ან სამსახურეობრივი მოვალეობის აღსრულებისას დაღუპულს. ის თითქოს წინასწარგანზრახულად ცდილობდა, ლევანის სიცოცხლით მომძლავრებულ ოჯახს წარსულის მწუხარების ჩრდილიც არ გაჰკარებოდა და, რაც მთავარია, ოჯახის თვით ხსოვნიდანაც განედევნა დიდი ლევანის, როგორც რეპრესირებულის, დამალი იცოდა, რომ ამის ხსოვნაც კი ხიფათთან იყო დაკავშირებული და, შვილის გამო, ქმარზე მონაღვლე გულის კვნესასაც აყუჩებდა. მეტიც, თუმცა მაცხოვრის უსაზღვრო სიყვარული, რწმენა და შიშიც ჰქონდა, ყველა მარხვას მკაცრად იცავდა და დიდუბის ეკლესიაში თითქმის არც ერთ სადღესასწაულო წირვა-ლოცვას არ აკლდებოდა, მაგრამ ოჯახის გადასარჩენად, აქაც დათმობაზე წავიდა: როდესაც, ოცდაათიან წლებში, ხმა გავარდა და გაზეთშიც წაიკითხა, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების მსახურთ ღვთისმოსავობისა და ეკლესიაში სიარულის მიზეზითაც დევნიდნენ, ეკლესიაში აღარ წასულა — ჩემი გულისთვის ლევანს რაიმე უბედურება არ დააწიონ, ცხოვრების საქმე არ შეუფერხონო. საკუთარი სინდისის წინაშე იმით იმართლებდა თავს, რომ საბედისწერო ჟამს, თვით პეტრემაც სამგზის უარჰყო ქრისტე, თუმცა სული მაცხოვრის რწმენით ჰქონდა ჩადგმული; ხოდა, მამაზეციერი არ გამკიცხავს, თუ ჩემი შვილის სიცოცხლისთვის ეკლესიაში აღარ ვივლიო, — ასე გაიფიქრა და, სამაგიეროდ, თავისი ოთახის ერთ კუთხეში მოიწყო სამლოცველო. ყოველ დილა-საღამოს იქ ლოცულობდა, ღვთისმშობლის ხატთან მუხლებზე დამხობილი; და თავის ლოცვებში, ყველაზე მხურვალედ, ლევანს ავედრებდა.

ის შიში თითქმის გაუქრა, როდესაც ლევანი ჯარში გაიწვიეს და ქალბატონმა ელისაბედმა საბჭოთა ოფიცრის ფორმაში იხილა იგი. სახელმწიფო ნდობის აღმნიშვნელმა საბჭოთა მეომრის ფორმამ მას ყველანაირი ძველი შიში განუქარვა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ლევანის ჯარში გაწვევა, სხვა დედებივით არ შეუცხადებია და ერთხელაც არ წაუვიშვიშია ომის საშინელებაზე. იქით აგულიანებდა ლევანს, მამაშენმა პირველი მსოფლიო ომიდან წმინდა გიორგის ორი ჯვარი ჩამოიტანა და, აბა, შენ იცი, ამ მეორე მსოფლიო ომიდან როგორ მკერდდამშვენებული ჩამომიხვალო. ფიქრადაც არ გაუვლია, რომ ლევანი შეიძლებოდა ომში დაღუპულიყო. „დავლიანი ომში დაცემული ან დამარცხებული მე არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მახსოვს და არც გამიგია“, — ამაყად იტყოდა და ოჯახის მოსანახულებლად ყაზარმებიდან ერთი დღით ჩამოსულ ლევანს. ამავე სიტყვებით გაისტუმრებდა ხოლმე.

მაშინაც ამ სიტყვებით გაისტუმრა.

ზაფხულის მიწურულს ლევანი განჯიდან გორში გადაიყვანეს. მისი მეგობრებიდან გაბაშვილი და ქედია ავჭალის სამხედრო ბანაკში გაამწესეს, სხვები კი იქვე, განჯაში დატოვეს. გორში მას ახალი, უკვე საბრძოლო ხაზზე გასაყვანად მომზადებული ოცეული ჩააბარეს.

ერთხელ, როდესაც თინათინი გორში ჩავიდა ლევანის სანახავად, სამხედრო ბანაკის რადიორეპროდუქტორით გამოაცხადეს, რომ ლევან დავლიანის ოცეულმა საბრძოლო მომზადებასა და საჩვენებელი ოპერაციების შესრულებაში პირველი ადგილი მოიპოვა, რისთვისაც მადლობა ეცხადებოდათ.

— ხედავ, რა ოფიცერი გყავარ?! — თავმომწონედ გადახედა თინათინს ლევანმა. — აქამდე არც მეგონა, რომ ხასიათში ჯარისკაცის გეშიც მქონია. გახსოვს? „რა შეედრება პოეტის სახელს, გმირის სახელი უფრო მეტია! მიყვარს მართალი მიწა ქართული, რაც ვაჟკაცებით მონახვეტია!“

ლევანმა ტიციან ტაბიძის სტრიქონები ისე ხმამაღლა და ისეთი გატაცებით წარმოთქვა, რომ თინათინმა სასწრაფოდ მიმოიხედა და შეშინებულმა შეუტია:

— ჩუმად, ბიჭო! შენ რა, აქ ყველაფერი დაგავიწყდა?! ის... ის ხომ რეპრესირებულია, აკრძალულია... გაგონილა მისი ხსენება?!

— ეჰ, თინიკო, — გაეღიმა ლევანს და ხელი ჩაიქნია. — აქ ვინაც ქართული და ტიციანის ლექსი დაუსახელებლად იცის, ყველა ჩემი ჰკუისაა, ხოლო, ვისაც არ ესმის — ვერც ვერაფერს მიხვდება, — წამით ნაღვლიანად მიაჩერდა და დასძინა, — რანაირად დააბეჩავეს ხალხი... ომში ათიათასობით იხოცებიან! აგერ, კავკასიონს მოადგნენ გერმანელები, ხვალ-ზეგ, ეგებ, ჩვენს მიწაზეც ჯოჯოხეთი დატრიალდეს და, ასეთ დროს, შენ პოეტის სახელის ხსენებასაც ეკრძალები. „მისიო“ ამბობ, მე კი პოეტის საყვარელი სტრიქონის წარმოთქმის უნდა მეშინოდეს, — უცებ, შეიმართა დ უწინდელზე უფრო ხმამაღლა წარმოთქვა:

და როგორც ერთი ურჩი მიურიდი,
ვფიცავ საყვარელ ვაჟკაცთა
წვერებს,
შამილის ფაფარს და თეთრ
ჰალარას,
ალექსანდრეს წვერს დროშად
ნაკერებს,
რომ მე დავტოვებ პოეტის სახელს,
თუ ვაჟკაცობას შენთვის ვერ
ვამხელ...

ვიღაც ჯარისკაცმა გვერდით ჩაუარა მათ და ლევანს სამხედრო სალამი მისცა. ვიღაც სხვა, ორი ჯარისკაცი მორიახლო იდგა და, თინათინს ასე მოეჩვენა, რომ მათ მისჩერებოდა.

— ლევან, რა მოგდის? აკი გთხოვე... გულს რატომ მიხეთქავ. ნუ იქნები ასე, ასე... თავს გაუფრთხილდი, ვიღაც გვიყურებს, ვიღაცამ ჩაგვიარა...

— ეჰ, თინიკო, რაღა დროს სიფრთხილეა... აკი გითხარი, აქ სხვა ხალხია, სხვა ბიჭებია ჯარში თავმოყრილი, რომ იცოდე, რამდენია ალალი, შემმართებელი, გულის სწორი, მართალი უთქვამთ, ზოგი ჭირიც მარგებელიაო, ჯარში რომ არ გავეწვიე, ალბათ, ამდენ კარგ ხალხს ვერც ვნახავდი და ვერც დავუახლოვდებოდი.

ოქტომბრის მიწურულს პოლკი, რომელშიც ლევანის ოცეული ირიცხებოდა, უკვე უნდა გაეყვანათ კავკასიის დასაცავ საბრძოლო ხაზებზე. ოქტომბრის შუა რიცხვებში, შაბათ დილას, ლევანი თბილისში ჩამოვიდა ისე, რომ თინათინი არც მოელოდა. თვითონ აპირებდა მასთან ჩასვლას, მაგრამ ლარბი გაცივდა, ანგინა გაურთულდა და ვერ მიატოვა.

— რა კარგია, შენ რომ ჩამოხვედი, გულმა გიგრძნო, რომ ხვალ ვერ ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდოდი? ლარბი გამიცივდა. ნახე, რა გაბუსუნებული წევს. ვღელავდი. ვიცოდი, ხვალ მომელოდი.

— მაშ, გული რაღასთვის აქვს კაცს, თუ არ უგრძნო...

ლარბიმ დაირცხვინა, ავადმყოფი რომ დახვდა მამას და თვალზე ცრემლმომდგარმა ღნავილი ატეხა, აღარ ვარ ავად, ამაყენეთო. ქალბატონი ელისაბედი ხან სიხარულით შეეფოფქვეოდა ლევანს, ხან უწყრებოდა — რატომ არ შეგვატყობინე შენი ჩამოსვლა, ცოტას მაინც რაღაც თადარიგს დავიჭერდითო.

— ახლა, უკვე, ყოველდღე შეიძლება გაგვიყვანონ და, შაბათ-კვირას დავეთხოვე, ეგებ მეტი ველარც მოვახერხო ჩამოსვლა და ბარემ დაგემშვიდობებით. ვინ იცის, როდემდე. ბიჭებთანაც შეხვედრა მაქვს დათქმული. დღეს საღამოს ან ხვალ დილას ავჭალიდან და განჯიდან ჩამოვლენ საბაშვილი, ძიგრაშვილი, კაცაძე და, ალბათ, კიდევ ორი-სამი მეგობარი. იმათაც გამოვემშვიდობები. დედა, თინიკო, ხვალისთვის პატარა სადილსაც თავი მოვაბათ, კარგი იქნება.

ლევანმა ლარბის ფერებით და მასთან ბუღრაობით გული რომ იჯერა, შუადღისთვის თინათინს უთხრა — მოდი, უნივერსიტეტში გავიდეთ. ომში წასვლამდე იქაურობასაც თვალს შევავლებ, კათედრაზე ნაცნობებს მოვინახულებო.

უნივერსიტეტამდე ფეხით იარეს. ლევანი მოალერსე მზერას ისე ავლებდა ქალაქის ხიდებს, ქუჩებს, ბაღებს და შუკებს, თითქოს მათაც ეთხოვებოდაო. უნივერსიტეტის ბაღში შეისვენეს, სკამერზე ჩამოსხდნენ: ერთხანს უხმოდ მისჩერებოდნენ უნივერსიტეტის თეთრ შენობას და თავ-თავიანთთვის იხსენებდნენ იქ გატარებულ სტუდენტობის წლებს. უცებ, ბაღში დათო ფანცულაია შემოვიდა, ლევანის თანაკურსელი, ფილოლოგიის კათედრის ლაბორანტი, რომელიც ჯერჯერობით არ იყო ჯარში გაწვეული. ის გამალებით მიეშურებოდა უნივერსიტეტის შენობის შესასვლელისკენ. მაგრამ თვალი მოჰკრა თუ არა ლევანს და თინათინს, ხელი დაუქნია და მათკენ გამოემართა. შეშფოთებული სახე ჰქონდა და შორიდანვე გასძახა: „გაიგეთ, თქვენც გაიგეთ?!". ლევანმა ღიმილით შეაგება:

— ჯერ გამარჯობა თქვი და მერე ისიც გვიბრძანე, რა უნდა გაგვეგო, ჩემო დათუნია, — და როგორც სტუდენტობის წლებში აბრაზებდნენ ხოლმე თანაკურსელები, ლევანმა ფერებით წარმოთქმულ მის სახელს დამცინავად გაუ-რითმა, — აბა, ახლა, ის გვითხარი, ისევ გიყვარს თაფლუნია?

დათიკომ ხელი აიქნია და გაცხარებით შეუტია:

— რა დროს შაყირია, ლევან. მაშ, არაფერი გაგიგიათ. მისმინე. ავჭალიდან ჭედია და გაბაშვილი, განჯიდან კაცაძე და კიდევ რამდენიმე აუყვანიათ. ჩვენი უნივერსიტეტის ბიჭებიდან მარტო მათი გვარები ახსენეს. სულ რამდენი აუყვანიათ, დაზუსტებით არ ვიცი. რომ დაგინახე, ვიფიქრე, შენც იცოდი, ჩემზე უკეთ. იქით შენთვის მინდოდა მეკითხა ამბავი. შენ როდის ჩამოხვედი?

ლევანს ფითრმა გადაჰკრა და თინათინს ასე მოეჩვენა, რომ მან ზედმეტად გულგრილად, თითქმის უხმოდაც მიუგო დათიკოს:

— არა, არაფერი გამიგია. მე ამ დილით ჩამოვედი. საინტერესოა, შენ საიდან მოგდის ასეთი ცნობები?

— საიდან... საიდან და, აი, ახლახან დამირეკეს კათედრიდან გაგიჟებულებმა. ამ დილას პარტკომი თურმე ბრდღვნიდა გარშემო ყველაფერს. იმას უთქვამს...

— რაო, რა უთქვამს? რისთვის აიყვანესო?

— ვითომ ფარული ორგანიზაცია ჰქონიათ, სამხედრო გადატრიალებას ანიჭებდნენ... ვითომ ფაშისტურ ძალებთან იყვნენ დაკავშირებულნი... რაღაც ასეთები... შენ როგორ გგონია, ლევან? რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

— მე რა უნდა მეგონოს?! სხვა, კიდევ რაო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა ვიცი. ჩვენმა ლაბორანტმა დამირეკა-მეთქი. თუ გახსოვს, ეთერი, იმან. ყურმილში შეშლილივით გაჰკიოდა, თან ტიროდა... ხომ გესმის... ის მითხრა კიდევ, ვინც თბილსში ვართ თანამშრომლები, უმალ უნივერსიტეტში გამოვცხადდეთო. გიჟივით გამოვვარდი. რა იცი, რა ხდება?! შენც წამოდი. მივიკითხ-მოვიკითხოთ, კათედრაზე შევიდეთ... გაეხარდებათ შენი ნახვა...

— არა, მეჩქარება, — უწინდელზე უფრო ცივად შეაწყვეტინა სიტყვა, — ჩვენ ვერ შემოვალთ, — წამოდგა და მხარზე ხელის დადებით თინათინსაც ანიშნა, ამდგარიყო, — უკვე წასვლას ვაპირებდით. სასწრაფო საქმეა... დღესვე სამხედრო ნაწილში უნდა დავბრუნდე...

ლევანი რიგიანად არც გამომშვიდობებია დათიკო ფანცულაიას, შებრუნდა და თინათინი ხელკავით წაიყოლია უნივერსიტეტის ბაღიდან გასასვლელისკენ. ქუჩაში რომ გავიდნენ, ლევანმა ნაბიჯს უმატა.

თინათინს ავის მომასწავებელი ხიფათის ბუნდოვანი შეგრძნება ჯერ კიდევ მაშინ დაეუფლა, როდესაც დათიკო ფანცულაიამ კაცაძის, ჭედიას და ლევანის სხვა უახლოესი, ლევანთან ერთად ჯარში მყოფი მეგობრების დაპატიმრება აუწყა. გარეტიანებული მინებებოდა ლევანის მკლავს; მერე, აწრიალებული ფიქრები მოთოკა და შეეცადა დალაგებით გაეაზრებინა დათიკოს და ლევანის საუბარი და ხიფათის უეცარ, გულისმომწურავ შეგრძნებაშიც გარკვეულიყო.

მელიქიშვილის ქუჩა ისე გაიარეს, ხმა არ გაუღიათ. თინათინს სუნთქვა ეკვროდა. ლევანი კი სულ უფრო უმატებდა ნაბიჯს. „ლევან, ველარ გეწევი, ხელი მაინც შემიშვი, მკლავი მეტკინა“, — უთხრა თინათინმა და სცადა, ლევანის ხელიდან მკლავი გაეთავისუფლებინა. ლევანი შედგა, თინათინის მკლავს მძლავრად ჩაჭიდებული თითები მოადუნა; თვალებში ჩააცქერდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ყოყმანით ამომარცვლა: „ეს ცუდი... ხო, ძალიან ცუდი ამბავია... თინათინ... ჩვენი ბიჭები თუ მართლა დააპატიმრეს, ეს, ძალიან ცუდია... ძალიან“. თუმცა, თინათინს ამის განმარტება აღარც სჭირდებოდა, — ის უკვე გარკვევით გრძნობდა, რომ კაცაძის, გაბაშვილის, ჭედიას და სხვათა დაკავების ამბავი ლევანთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. პასუხად არაფერი უთქვამს და განზე ისე გაიხედა, თითქოს თავი აარიდა „ცუდი ამბის“ დასტურს.

ოდნავ სული რომ მოითქვა, გზა განაგრძეს. ლევანმა წმინდა ნიკოლოზის ეკლესიისკენ მარცხნივ შეუხვია და ვერის ხიდისკენ, პროსპექტის გვერდის ავლით, შუკა-შუკა გავიდნენ. ვერის დაღმართს რომ დაადგნენ, თინათინს, წამით, თავბრუ დაეხვა — ასე მოეჩვენა, თითქოს დაღმართი ცერად გადაქანდა მტკვარისკენ. შებორძიკდა, ორივე ხელით ჩაებღაუჭა ლევანს და ამოიკვნესა: „ლევან... რა ქენი, ლევან!“ ლევანმა ორივე ხელი ჩასჭიდა, შედგა და ფრთხილად გაიხედ-გამოიხედა. „მუხლები მეკეცება, წამით მაინც სადმე ჩამოვჯდეთ, სულს მოვითქვამ“, — უთხრა თინათინმა, იქვე, პატარა სკვერში შევიდა და, რადგან უკვე ხვდებოდა, რომ ლევანი გაურბოდა გამოსაჩენ ადგილზე ყოფნას, სკვერის სიღრმეში, ბუჩქებს შორის, კუნძზე ჩამოჯდა.

მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც უნივერსიტეტიდან წამოვიდნენ, თინათინი ცდილობდა გაეხსენებინა ლევანისა და მისი მეგობრების საქციელში რაიმე ისეთი, რაც ოდნავ მაინც გააცნობიერებინებდა მიზეზს მათ თავს მოწეული ხიფათისა. ერთ ხანს, საგულისხმო არაფერი ახსენდებოდა. მერე, როგორღაც თავისთავად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მისი ცნობიერების ზედაპირზე, მკვეთრი და ფერადოვანი ჩანახატებივით იფეთქეს ლევანის და მისი მეგობრების ზოგიერთმა შეხვედრამ და საუბრებმა, რომელთაც თინათინი წამიერად, მხოლოდ გარედან და შემთხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით შესწრებია და რომლებშიც მხოლოდ ახლა, ხიფათის შეგრძნებით აღძრული გეშით, ჰვრეტდა რაღაც მნიშვნელოვანს, რაღაც დაფარული ქვეაზრის მქონეს. დავით ფანცულაიას ნათქვამთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, განსაკუთრებულად ენიშნა ის კვირადღე, როდესაც გორიდან შინ ჩამოსულ ლევანს, საღამო ხანს, კაცაძე, გაბაშვილი და ჭედია ესტუმრნენ, ისინიც საკვირაოდ გამოთხოვილები თავთავიანთი სამხედრო ნაწილებიდან. ლევანი მათ მოსვლას დილიდანვე ელოდა. ლევანის სამუშაო ოთახში დასხდნენ და, როგორც ყოველთვის, მასლაათი ერთმანეთის ხმაურიანი, მოსიყვარულე გახუმრებით დაიწყეს. ელისაბედმა ლარბი სასეირნოდ გაიყვანა. თინათინი დედასთან გავარდა, რადგან სასმელი არ ჰქონდა ოთხი კაცის სამყოფი და იქ, დედასთან ეგულებოდა სოფლიდან ნათესავის ჩამოტანილი არაყიც და ხილიც. შინ მალე მობრუნდა და გაუკვირდა, რომ ბინაში ჩამიჩუმიც არ ისმოდა არსაიდან. სავახშმოდ სადმე ხომ არ გაუტიესო, იფიქრა და ლევანის ოთახისკენ გაქანდა ისე, რომ ხელჩანთა სამზარეულოშიც არ გაუტანია. ლევანის ოთახის კარი მიხურული დახვდა. ის იყო შესვლა დააპირა, რომ იქიდან ლაპარაკი მოესმა. გაეხარდა, რომ არსად წასულიყვნენ. კიდეც შეტრიალდა — სამზარეულოში ჩანთას გამოვათავისუფლებ და ვახშმის მზადებას შევუდგებიო — მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და მიხურულ კართან მიაჯაჭვა. ძირითადად კაცაძე ლაპარაკობდა, სხვები კი დროდადრო ჩაურთავდნენ სიტყვას:

— ხო, ლევან, ეს ის შალვა მაღლაკელიძეა, გასაბჭოებამდე თბილისის გენერალ-გუბერნატორად რომ დანიშნეს. საზღვარგარეთ წასული, „ორნატს“, „ქართლოსს“ და სხვა ქართულ პატრიოტულ ორგანიზაციებს თავმჯდომარეობდა. ახლა, ქართული ბატალიონების შედგენა-მომზადება მას დააკისრეს და გენერლის ჩინიც უბოძეს. დღეისთვის, უკვე, სამი ბატალიონი შეუდგენიათ. მერედა, რა სახელები მიუნიჭებიათ თითოეულისთვის, არ იკითხავთ; „გიორგი საკაძე“, „დავით აღმაშენებელი“, „თამარ მეფე“... მაღლაკელიძეს გვერდში სხვებიც უდგანან. ბოლო ხანს, რობაქიძეც აქტიურად ჩაბმულა საქმეში. მისი წინადადებით, ახალ ბატალიონს, ილია ჭავჭავაძის სახელი მიენიჭება. ილიას სახელი ძალიან აღუზევებიათ ჩვენს ემიგრანტებს. მომავალში ილიას ეროვნული პროგრამით უნდა წარიმართოს საქართველოს ცხოვრებაო, უბრძანებია გრიგოლს.

— მომავალში ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდაც თუ დასრულდება...

— მომავალზე ლაყაფს მოვეშვათ. ახლანდელი ვთქვათ, თუ ყელაფერი ეს მართალია, რასაც რატი გვეუბნება...

— ეგებ, ჭორიცაა, ანკესზე ჩვენს წამოსაგებად გადმოგდებული სატყუარა.

— ცხადია, ამ ინფორმაციებს შემოწმება, დაზუსტება სჭირდება, ოღონდ, ჯერ დამაცადეთ, ბოლომდე გითხრათ..

— ხო. თქვი, რატი.

— ამ წლის ოცდაექვს მაისს... იმედია, გაიხსენებთ ამ თარიღს... ხოდა, ოცდაექვსს მაისს, პოლონეთში, ქალაქ ვესელას მიდამოებში, საზეიმოდ გამწკრივებული ჩვენი ბატალიონების თავზე თურმე, დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა აუფრიალებიათ...

— კაი, კაცო! — წამოიძახა ჭედიამ.

— იმ დღეს თურმე ფიცი უნდა მიეღო ახლად ჩამოყალიბებულ ქართულ ბატალიონებს. ფიცის მიღებას ესწრებოდნენ გენერალი კესტრინგი და თვით ფონ დერ შულენბერგი.

— ეს ვინღაა?

— დიდი ტვინიკოსი და დიდი პოლიტიკოსი. ათიან წლებში ელჩი გერმანიისა რუსეთში, ცხრაას თვრამეტში საქართველოშიც ნამყოფი. მისი დახმარებითაც ყოფილა, რაიხის სარდლობამ საგანგებო უფლებებით რომ აღჭურვა ქართული ბატალიონები. გერმანულ არმიაში, ჩვენზე ადრე, სხვა ეროვნებათა სამხედრო განაყოფებიც შექმნილა. ყველანი ერთნაირ სამხედრო ფიცს სდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდნენ და გერმანელებივით ადოლფ ჰიტლერის სახელით იფიცებოდნენ. ქართულ ბატალიონებს კი თავისი საკუთარი ფიცი დაუთქვამთ. ამ ფიცში თურმე წმინდა გიორგის ძალას, თავისუფლებისთვის მარად მებრძოლი ჩვენი წინაპრების ნათელს და საბჭოეთის იმპერიიდან საქართველოს დახსნას იფიცებიან....

— ზღაპარივით ჩამესმის, ჩემო რატი, ეს ყველაფერი.

— მეც სიზმარივით მეჩვენება...

— ზოგმა სიზმარმა ახდენა იცისო...

— ღმერთმა ქნას!

— ღმერთი რასაც იზამს, ეს ჩვენ არ გვეკითხება. ჩვენ ჩვენი უნდა ვილონოთ. ხომ გაგიგიათ, რა უპასუხა მამაზეციერმა იმ კაცს, რომ იხრჩობოდა და ღმერთს შესთხოვდა, მიშველეო. ხოდა, თუ ჩვენ თვითონ არ გავანძრიეთ ხელი, ღმერთი არ გვიშველის. ბედოვლათებს ღმერთიც არ სწყალობს. ჩვენ თვითონ უნდა ვივარგოთ. ისინი უკვე ურუხთან არიან.

— შენ რომ ამბობ, ყველაფერი მართლაც ასე რომ იყოს, რატი...

რაც ამის შემდეგ ლევანმა რატი კაცაძეს მიუგო, თინათინმა ველარ გაიგონა, რადგან სწორედ ამ დროს ელისაბედმა შემოაღო შემოსასვლელი კარი და შინ შემოვარდნილმა ლარბიმ დერეფანშივე დასჭექა — მამა სად არის, მამა მინდაო.

თინათინმა სასწრაფოდ მიაშურა სამზარეულოს. ლევანი თავისი ოთახიდან გამოვიდა, ბავშვს მიეალერსა; მერე, თინათინს გასძახა, ვახშმად რამე მოახზირეთ, ჩვენც მალე გამოვალთო და ისევ მეგობრებთან ჩაიკეტა.

კაცაძის მონაყოლმა გააკვირვა და თან შეაშინა — ეს რაებს მიედ-მოედებიანო. გერმანელთა არმიაში რაღაც ქართული ბატალიონების, უბრალოდ სხენებამაც შეაშინა, თორემ ბოლომდე განა ჩასწვდა საზრისს მათი საუბრისა —-განა გაიაზრა, საით უმიზნებდნენ. მეგობრების სალაყბო საგნად მიიჩნია მხოლოდ. სხვას, აბა, რას წარმოიდგენდა. მერე, სუფრას რომ მიუსხდნენ, ყოველ მათ სიტყვაზე დაყურადებული იყო, მაგრამ იმგვარი აღარაფერი უხსენებიათ. ღამით, როდესაც ლევანის მეგობრები დაიშალნენ, თინათინი კიდევ კარგა ხანს ფიქრობდა კაცაძის მონაყოლზე — ნეტავ, მართალი თუა ის ყველაფერიო. ორშაბათ დილიდან კი, ლევანიც რომ გაემგზავრა თავის სამხედრო ნაწილში, სამსახურისა და სახლის გაწამაწიაში გაბმულს, თითქმის სულ გადაავიწყდა ის ამბავი. მხოლოდ მეორე კვირას, ლევანთან გორში ჩასულს მოაგონდა და თვითონ ჩამოუგდო სიტყვა გერმანელთა არმიაში ქართულ ბატალიონებზე. ლევანი გამომცდელად შეაცქერდა და თამაშად ჩაეკითხა: „ჩემო ლამაზო ქალბატონო, ასეთი ინფორმაციებით ვინ გამარაგებთ?“ თინათინი დაიბნა, ხომ ვერ ეტყოდა, რომ მის ოთახში ჩაკეტილი მეგობრების საუბარს მცირე ხნით დაყურადებულმა გაიგონა რატი კაცაძის მონაყოლი გენერალ მაღლაკელიძეზე და, ასე უთხრა, — ჩვენს ინსტიტუტში ჩურჩულებდნენ ქალებიო. ლევანმა კოპები შეიკრა: — ეს ქალების საჭორაო არ არის, ჩემთან გითქვამს და სხვაგან არ წამოგცდეს, თორემ, ავყია კაცის ყური თუ მისწვდა, — გაუღიმა და დატუქსვით თითი დაუქნია. თინათინი მაინც ჩააცივდა, ნეტავ მართლა თუ შეადგინეს გერმანელებმა ქართული ბატალიონებიო. მაშინ ლევანმა დაცინვით მიუგო, ამხელა ქალი ხარ, ჭორს და ზღაპრულ მონაჩმახს კი ვერა ხვდებიო. თინათინმაც ლევანის ოთახში ჩაკეტილი მეგობრების საუბარი უბრალო ლაყბობად ჩათვალა, მით უმეტეს, თვითონაც ზღაპარივით ეჩვენა კაცაძის მონაყოლი და თავისთვის გაიფიქრა — რამ გამასულელა, რა დროს თამარ მეფე, გიორგი სააკაძე და დავით აღმაშენებელიაო. მას შემდეგ აღარც გახსენებია ეს ამბავი. ან კი სად ეცალა, ასეთ ყურმოკრულ ჭორებს ჩაჰკირკიტებოდა საქართველოს საზღვრებთან მოახლოებული ომის ქარცეცხლით დამფრთხალს და გაუსაძლისად ძნელი ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საზრუნავით თავრეტდასხმული. თანაც, ლევანმა ლამის საცინრად რომ აიგდო ამ „ზღაპრული მონაჩმახის" დაჯერებისთვის, მასზე ბრმად მინდობილი და მისი შემართული იერით დაიმედებული, სხვას რანაირად იფიქრებდა. ან რაღას ჩაუძიებოდა მსგავსი ჭორების მრუდსა თუ მართალს. ეს ხომ ლევანისადმი უნდობლობაც იქნებოდა. ახლა კი არათუ ამის მსგავსი მათი საუბრები. სახელდახელო საღამობო სუფრებზე მათ სადღეგრძელოებში საქართველოზე, წინაპრების ანდერძსა თუ მრწამსზე, ერთმანეთის ძმობაზე, მომავლის ნათელზე წარმოთქმული სიტყვებიც ორაზროვნად და ხიფათის მაუწყებლად ესახებოდა.

— ლევან... შენც?.. რა მოხდა, ლევან? რატომ? — ჩურჩულებდა მიწას ჩაშტერებული და მუხლებს იზელდა. ლევანი იქვე, მის ფერხთით, მიწაზე დაჯდა და შუბლი მუხლისთავებს მიაყრდნო. რამდენჯერმე ისე ასწია თავი და ისე შეხედა თინათინს, თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაც აეხსნა, განემარტა, მაგრამ თავს ვერ უბამდა სათქმელს, უჭირდა საჭირო სიტყვების გამონახვა.

— ლევან, შენც გჯერა, ხომ, მათი ამბავი...

ლევანი დუმდა.

— ლევან, რატომ არაფერს მეტყვი? ადრე რატომ არაფერი მითხარი, ლევან?!

უცებ გაახსენდა: სულ ახლახან, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინათ, ლევანი და გიორგი ჭედია გათენებამდე ისხდნენ. მეზობლის მორთმეული ჩარექა კახურისთვის მეტი გემო რომ ჩაეტანებინათ, წელში გამოყვანილ პატარა ჭიქებში გამოზოგვით ისხამდნენ, ცოტ-ცოტას წრუპავდნენ და მეგობრულად მასლაათობდნენ. თინამ ჯერ იყო და ლარბი გაიყვანა დასაძინებლად. მერე ელისაბედთან სამზარეულოში სახვალიო საზრუნავზე ბჭობას მოჰყვა. ერთი სული ჰქონდა, ჭედია გაესტუმრებინა და ლევანთან მარტო დარჩენილიყო. ელისაბედსაც მიეძინა რუდი და თავის საძილე ოთახში გავიდა. თინათინი სამზარეულოს შერჩა, მიალაგა იქაურობა და უკვე ლევანთან გასვლას აპირებდა, რომ ჭედიამ მისი სახელი ახსენა:

— თინიკოსაც რომ განუმარტო ვითარება, მე მგონი, აჯობებს. მე ჩემს დას, მზიას, ნაწილობრივ მივახვედრე ყველაფერი. რომ იცოდე, როგორი აღფრთოვანდა. მოგეხსენება, არც ისე ბევრი ხალხია სანდო და საქმისათვის გამოსადეგი. თინიკო ჭკვიანი და ყოჩაღი ქალია...

— არა, გიორგი. არა. შენი მზია სხვა ხასიათის ქალია, სხვა ტიპი. თანაც, გაუთხოვარია. თინათინი კი... თინათინი დედაა. ბუნებითაც არ არის ასეთი საქმისკენ მიდრეკილი. საქმიანიცაა, ყოჩაღიცაა, ამტანიცაა, ოღონდ, ცხოვრების და ოჯახის ქალია ჩემი თინიკო. დატვირთულია ძალიან, ძალიან მგრძნობიარეცაა... არა, თინიკო არა.

— შენ იცი, ეს შენი საქმეა.

თინათინმა ყური კი ცქვიტა, მაგრამ რიგიანად ვერაფერი გაიაზრა ვერც ჭედიას ნათქვამიდან და ვერც ლევანის შეპასუხებიდან. რომ მიხვდა, ამით მოასრულეს მასზე ლაპარაკი, მაშინვე შევიდა სასადილო ოთახში, ველარ მოითმინა და ხუმრობით დაუცაცხანა ორთავეს — რას შვრებით, თავზე დაგათენდათ.

ჭედია უხერხულად შეიშმუშნა; ჯერ საათს, მერმე ბოთლში თითქმის ფსკერამდე დასულ ქარვისფერ სითხეს დახედა, წამოდგა და წამოიძახა — ეს დალოცვილი, აქამდე ვერა და ვერაფრით ვერ ამოვხაპეთო. დარჩენილი ღვინო ჭიქებში ძლივ-ძლივ გაანაწილა, თქვენ გაგიმარჯოთო, დაილოცა და, ვითომ მეტისმეტად დამთვრალიყო, ბარბაც-ბარბაცით და კედელ-კედელ წაფორთხიალდა გასასვლელი კარისკენ. სიცილ-ხორხოცით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

— რაო, ჩემზე რას გეუბნებოდა გი-

ორგი? — ქედიას წასვლისთანავე ჩაეკითხა ლევანს.

ლევანი, წამით დაიბნა.

— რაზე მეკითხები?

— აი, იმაზე, თინიკოსაც უთხარი საქმის ვითარება, ყოჩაღი გოგოაო და...

— ისე, დიდი არაფერი.

— მაინც?

ლევანმა პასუხი დააყოვნა; ხელი აიქნია და სიტყვა ბანზე აუგდო:

— ქართველი მებრძოლებისთვის, ომში რომ არიან, ახალ-ახალ დახმარების ჯგუფებს ადგენენ. მოწყალების დების მსგავსი რაღაც, აქტივისტების მსგავსი... ომში გასაგზავნი საჩუქრები, ჰოსპიტალიზებული დაჭრილი ჯარისკაცების მოვლა და სხვა ამდაგვარი. უპირატესად უშვილო, დაუსაქმებელი ქალებისგან არჩევდნენ აქტივისტებს. ძალიან გინდა აქტივისტობა? არა, ჩემო კარგო, შენ ლარბის და დედაჩემის მოვლა-პატრონობაც გეყმაროს. თანაც, მსახურობ, ოჯახის მარჩენალი დედა ხარ. გაგიგონია?! ამდენს რას გასწევ?! შენ ხომ ჩემი ნაზი, ჭკვიანი, ლამაზი გოგო ხარ... ხოლო, ახლა დროა, დავიძინოთ. სამხედრო სამსახურს, ჩვენი ოჯახიდან, მე მარტოკაც ვეყოფი, — თქვა და ხელები მოხვია, მიეფერა.

თინათინი მაშინ აღარც ამას ჩასძიებია, თუმცა, ქედიას ნათქვამთან სულ მთლად მისადაგებულად არ ეჩვენა ლევანის განმარტება. ახლა კი ქედიასთან ლევანის ის საუბარიც სხვაგვარად ენიშა. ახლა უცხადესად იგრძნო, რომ სულ სხვა ჰქონდა მხედველობაში გიორგი ქედიას. უცებ თავი ვეღარ შეიკავა და შესტირა:

— ლევან! ლევან, შენ ხომ სულ იმას ამბობდი... ხომ გახსოვს, თვითონ მეუბნებოდი ამას, მწერალი კაცი პოლიტიკაში არ უნდა გაერიოსო, ვისაც უნარი შესწევს, ნამდვილი მწერალი ან მეცნიერი დადგეს, თავჩაღუნულმა უნდა იშრომოს, რომ ხსნა. ახლა, მხოლოდლა ამაშია... გახსოვს, ბატონმა ერეკლემაც ასე გითხრათ, ასე გაგაფრთხილათ, ასე დაგაბარათ, ლევან... ხოლო, რა მოხდა... რატომ... ხომ იყო ასე, ხომ ამბობდი...

— ხო, თინა, ასე იყო, ასე ვამბობდი და, მაშინ მართლაც ასე მწამდა... იმ პირობებში სხვა გზა არ ჩანდა, არავითარი ხსნა, არავითარი საშველი, — ლევანმა ერთბაშად, გამწარებით ამოთქვა ეს სიტყვები და თითქოს ყელში მომდგარი ცრემლი გადაყლაპაო, ისე გაჩუმდა.

— მერე... ახლა რა მოხდა... რატომ...

— თინა, ომმა ვითარება სულ მთლად შეცვალა... დღეს თუ არა, ხვალ, გერმანელები აქ შემოვლენ. დგება ჟამი, როცა ჩვენ ჩვენს თავს უნდა მივხედოთ. ჩვენთვის ჩვენი ულვაშა ტირანისგან თავდასხნის გზა ისახება. მაგრამ, ამავე დროს, მეორე ტირანის ხელში ჩავარდნაც მოსალოდნელია. ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად მზად უნდა იყოს ქართველი ხალხის თუნდაც ერთი, თუნდაც მცირე ნაწილი. სულ მთლად გაბედოვლათებულები არ უნდა დავხვდეთ ჰიტლერს. ისე არ მოხდეს, რომ ვაიდან თავდაღწეულებმა, ვუის შევეყაროთ. ფაშისტებს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ამ მიწაზე ღირსეული ხალხი ცხოვრობს და ჩვენი ქართველობაც სხვა გზას, თავდახსნის გზას, თავისუფლებისთვის ბრძოლის გზას და საშუალებას ქვლავ რომ იგრძნობს, რომ დაინახავს, ისიც შეიმართება და იარაღს აისხამს. ასე იზამს უკრაინელიც, ბელორუსიც, სომეხიც და, საერთოდ, ყველა ჯურის ხალხი... ჰიტლერს დიდი დღე არ ექნება, ბოლომდე ვერ გაიმარჯვებს... ამ ომმა ტირანიის დამხობის ჟამიც დააყენა, თინა. ამ ომში ორივე ტირანი უნდა დაემხოს, აღმოსავლეთისაც და დასავლეთისაც...

— და შენ გგონია..

— მე არაფერი არ მგონია. ჩვენ ასე ვფიქრობთ. უფრო სწორად, ასე ვიმედოვნებთ. და ჩვენი სწრაფვა წმინდა არის...

— ეს ხომ სიგიჟეა!

— ეგებ ასეცაა. და თუ ასეა, მაინც, გაგიჟება სჯობს ულვთობის და ბოროტების უენოდ მორჩილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლევან...

— მეტს ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. რაც გითხარი, ესეც ჩათვალე, ვითომ არც მითქვამს. დრო წარმოაჩენს ყოველივეს.

თინათინი გაოგნებული მიჩერებოდა ლევანს და, უცებ გამწარებულმა მიახალა:

— შენ ლარბიზე არ გიფიქრია... შენ... ლარბი, ლევან?!

— რას ამბობ, თინა! მაშ, ვისთვის, ვისი გულისთვის ეს ყველაფერი?! კაცად კაცი რომ ალიზარდოს ლარბი... და ყველა ქართველი, ყველა ჩვენი შვილი... ჩვენსავით არ ენახოს და არ განეცადოს ხალხის დევნა, ხოცვა, გადასახლება... რომ ყოველ ნაბიჯზე მართალ სიტყვას ყელში არ გუდავდეს და არ აბეჩავებდეს ფარული შიში... რომ იცოდეს, რა არის კაცური ღირსება, კაცური ნება, თავისუფლება... რომ ქართულ მიწაზე ისე იაროს...

— ლევან! გეყოფა! — წამოიყვირა თინათინმა და მზერა გაეყინა. ჩურჩულით დასძინა: — მეშინია, ლევან, გევედრები, გაჩუმდი.

ლევანმა, თითქოს გამოფხიზლდაო, თავი გაიქნ-გამოიქნია, კისერი დაისრისა, ღრმად ამოისუნთქა და დანანებით ჩაილაპარაკა:

— მაპატიე, ცოტა ავღელდი... ისე ჩათვალე, მე არაფერი მითქვამს და შენ არაფერი გაგიგონია, არც ერთი სიტყვა. ლარბი ახსენე და, სული ყელში მომებჯინა.

— წავიდეთ, ლევან, მე უკეთ ვარ, წავიდეთ... შინ მივიდეთ...

სკვერიდან გასულები ჩქარი ნაბიჯით დაუყვნენ დაღმართს. აქეთ კანტიკუნტად მიმოდიოდა ხალხი. ხიდზე გავიდნენ. ხიდის შუაწელს რომ მიაღწიეს, შორიდან, ჯარისკაცის ფარაჯიან კაცს მოკრეს თვალი. ხიდის ბოლოში, მარჯანიშვილის ქუჩის დასაწყისში, იმ მხრიდან, სადაც მათი სახლი იდგა, ჯარისკაცის ფარაჯიანმა ქუჩა გადაკვეთა და ხიდისკენ წამოვიდა; მაგრამ, უცებ, შედგა, უკან გაბრუნდა და გამომცემლობა „ფედერაციის" შენობასთან აწრიალდა; მერე, იქვე აყუდებულ სააფიშო სტენდთან დადგა და აფიშების თვალიერება დაიწყო.

თინათინმა ბეჭზე ლევანის ხელის გამაფრთხილებელი შეხება იგრძნო. ლევანს მისკენ არ მიუხედავს, ისე უთხრა:

— არაფერი შეიმჩნიო, არც არაფერი მკითხო. აი, ასევე, ჩვეულებრივად იარე. გამომცემლობასთან რომ აფიშების სტენდია და იქ ფარაჯიანი ჯარისკაცი დგას, ხომ ხედავ? კარგად დააკვირდი, ოღონდ, არ შეგატყოს, რომ მას უყურებ. მე არ მინდა მისკენ გახედვა, ვითომც არ დამინახავს, ისე მინდა გავიაროთ. აფიორიძე ხომ არ არის?

— ვინ?

— უნივერსიტეტში ჩვენს დროს სწავლობდა ისტორიულზე. განჯაშიც შეხვედრიხარ, ჩვენთან განჯაში პურ-მარილზეც გვწვევია... აფიორიძე.

უკვე ხიდის ბოლოში რომ გავიდნენ და თინათინმა, ვითომ სასხვათაშორისოდ, გამომცემლობისკენ რომ გაიხედა, სტენდთან მდგარ ფარაჯიან ჯარისკაცში უმალ შეიცნო აფიორიძე. სტენდს მიფარებულმა აფიორიძემაც მათკენ ქურდულად გამოაპარა მზერა და, როდესაც ლევანი და თინათინი, ქუჩის მეორე მხარეს მიმავალნი, სტენდს გაუსწორდნენ, გამომცემლობაში შევარდა.

— ხო, ლევან, აფიორიძეა. ნამდვილად ის არის. გამახსენდა, იმანაც ჩვენკენ გამოიხედა და სასწრაფოდ გამომცემლობაში შევიდა.

ლევანმა ბრაზიანად და თან ზიზღით გამოცრა კბილებში:

— აბა, იმ კაცის ნდობა იქნებოდა, ვისი ბიძაშვილიც შინსახკომში მუშაობს?! რამდენჯერ გავაფრთხილე კაცაძე, არ დამიჯერა. ჩემი თანაკურსელი იყოო, კარგად ვიცნობო. გაგონილა ამხელა სიშტერე?! ხოდა, მივიღეთ საკადრისი. წესით, ის არ უნდა ჩამოსულიყო თბილისში. ან როგორ გამოუშვეს, ან ჩვენ რატომ არ გვითხრა... ყველაფერი გასაგებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლამდე ათიოდე ნაბიჯილა რჩებოდა. მაგრამ ლევანი. უცებ. შედგა.

— თინა. ჩემი აქ დაყოვნება აღარ იქნება. სასწრაფოდ გორში უნდა დავბრუნდე. ახლა. პირდაპირ სადგურში გავვარდები. მოკლე გზებით გავუყვები, შიში ნურაფრის გექნება. თინა. ჩვენ. პრაქტიკულად. ისეთი არაფერი გვიქნია. რომ... მოკლედ. ამის განმარტების დროც არ არის. გორიდან თითქმის დღეგამოშვებით აგზავნიან ეშელონებს საბრძოლო ხაზზე. შევეცდები. პირველივე ეშელონს გავყვე. ყოველ ლონეს ვიხმარ. თუ ეს მოხერხდა... ხო. თუ ამ ორ დღეში ჩემგან ბარათი არ მიიღე. ესე იგი. ბრძოლის ხაზზე გავაღწიე. მშვიდობით. თინა. — ყველაფერი ეს საჩქაროდ უთხრა. წამიერად შეაცქერდა და. თინამ დაინახა. აქამდე დაგეშილ თვალებში როგორ ჩაეღვარა ნაღველი. რა სიმწრით იკბინა ქვედა ტუჩზე და რა თავგამეტებულის გადაწყვეტით შეტრიალდა. მერე სწრაფად შეუხვია მტკვრის სანაპიროსთან მიმდებარე შუკაში და გაუჩინარდა.

თინათინი. ერთხანს. ადგილიდან ვერ იძროდა. უცებ. ისეთმა შეგრძნებამ გამოაფხიზლა, თითქოს ვიღაც უთვალთვალებდა. მაშინვე იმ აზრმა გაუელვა, რომ ასე. მარტოკა. შუა ქუჩაში. ლევანის კვალს მზერით დადევნებული, არ უნდა მდგარიყო. სახლისკენ დაიძრა.

არა. ახლა შინ მისვლა არ შეეძლო, — მცირე ხნით მაინც გაევლო. გონს მოგებოდა. — ასე არეული არ უნდა დანახვებოდა არც ლარბის და არც ელისაბედს. ისინი ლევანს ელოდებოდნენ და, რაიმე უნდა მოეგონა. ელისაბედს ეტყოდა, გზად ლევანს მეგობრები შეხვდნენ. საშური საქმე გამოუჩნდათ. დაყოვნება არ იქნებოდა და სასწრაფოდ დაბრუნდნენ სამხედრო ნაწილშიო... ჰო. რამე ამდაგვარს მოიგონებდა და ამას ეტყოდა.

სახლს ისე გასცდა. სადარბაზოსკენ არც გაუხედავს; მარჯანიშვილის თეატრსაც ჩაუარა და პლეხანოვის გამზირისკენ აუყვა ქუჩას. სკვერში ლევანის ნათქვამმა ათასი ფიქრი ერთდროულად აუწრიალა. მაინც. ეს რაები უთხრა?! უთუოდ ვიღაცამ აუბნია გონება... უთუოდ. რაღაც დაემართა. რაღაცამ გაამწარა... ეს რაები განუზრახავთ?! რა ეშმაკი შეუჩნდათ?! რაო. ჯერ არაფერი გვიქნია ისეთიო? ვითომ ლაქლაქი ცოტა მიზეზია! ვინმე ფარცაგთან წამოსცდათ ეს სისულელეები... ალბათ... თუმცა. რაღა საალბათოა? აგერ. აფიორიძე... ფუჰ!... ეს რა ბავშვებივით... რანაირად გადაავიწყდათ. სად ცხოვრობენ. რა დროა... ვაიმე. დედიკო! თვითონაც, ახლა ამეებზე რომ ფიქრობს. ვინმე რომ მიუხვდეს?! უცებ შიშის ჟრუანტელმა დაუარა ძარღვებში. თითქოს იმას. რასაც ახლა ფიქრობდა და იხსენებდა. სხვაც ისმენდა. „არა. ნამდვილად შევიშლები! აღარ უნდა ვიფიქრო ამაზე“! ჰო. ლევანმაც ასე დაარიგა. ასე ურჩია. ასე უბრძანა — რაც გითხარი. ვითომ არც მითქვამსო; რაც გითხარი. ვითომ არც გაგიგონიაო... არაფერი გაუგონია! ლევანს არაფერი უთქვამს! მან არაფერი იცის!.. სხვაგვარად შეიშლება!.. ჰო. დაესიზმრა... არა, არც დასიზმრებია. უბრალოდ. არაფერი იცის. არაფერი გაუგონია ამის მსგავსი. თუ ამაზე იფიქრა და თუ ეს ეცოდინა, დაიღუპება. და განა მარტო თვითონ დაიღუპება — ლარბიც! „ვაიმე. დედიკო!“. ცხადია, ლარბის სიცოცხლე თუ სურს, უნდა ამოიგლიჯოს თავიდან ეს... ეს სიგიჟე!.. ეს საშინელება!.. ლარბი... ლარბი... „ხო, არაფერი არ ვიცი. არაფერი გამიგონია ლევანისგან. არაფერი ამის მსგავსი... რა სისულელეა?! მორჩა! არაფერი!“ — გადაწყვეტით რამდენჯერმე გაიმეორა ეს სიტყვები და. უეცრად. ასე იგრძნო. თითქოს მართლა მოელანდა იმ სკვერში ლევანთან საუბარი. არასასურველი ფიქრი ისე მოიცილა. როგორც ავი სიზმრის გახსენება. ის სადღაც. მისი არსების სიღრმეში, გონებაჩაუღწეველ ფსკერზე ჩაიძირა და გახდა უჩინარი. უმოქმედო. თითქოს გზა-კვალიც აღარ იცოდა მისი.

მთავარი ახლა ლარბი იყო! ლარბიზე

უნდა ეფიქრა: ლარბი უნდა დაეცვა — ყველანაირი მოსალოდნელი ხიფათისგან. წამით, შიშის ქრუანტელმა რომ დაუარა ძარღვებში — ასეთი ფიქრებისთვის მეც რამე უბედურება არ დამაწიონო — ესეც ლარბის გამო იყო. ახლა მხოლოდ ლარბი უტრიალებდა გონებაში. ლევანი თითქოს დაშორდა... იმ სკვერში მოულოდნელად დაშორდა, გაუცხოვდა. ლევანიც, თურმე, იმ კაცებივით ყოფილა, რაღაცას რომ აიკვიატებენ და იმას მისდევენ და შვილებსაც ივიწყებენ და აღარ ფიქრობენ, რა მოელით, ან თვითონ მათ, ან მათ შვილებს... მამები ასე არიან... დედები კი იმისთვის არიან, რომ შვილებისთვის იცოცხლონ. თინათინსაც, ახლა, ლარბისთვის უნდა ეცოცხლა მხოლოდ, რადგან ლევანი წავიდა, უეცრად, მოულოდნელად... ლარბი ხელში შეატოვა და თინათინსაც, ახლა, იმისთვის უნდა ეცოცხლა, რომ ლარბი ყოფილიყო უვნებელი და ჯანმრთელი. ამ გაჭირვებაში და ორომტრიალში როგორმე უნდა გაეტანათ თავი, როგორმე უნდა გადარჩენილიყვნენ... თანაც, ბოლო ხანს, ლარბი ძალიან დასუსტდა, გახდა... ეგებ, სოფელში წაეყვანა, ნათესავებთან, ერთი თვით მაინც. სოფლის ჰაერი, სოფლის მიწა გამოაკეთებს, გამოაჯანსაღებს... ამ ორ დღესაც დაელოდება ლევანისგან რაიმე ცნობას, ის გავა, გავა, აუცილებლად გააღწევს თავს, ბრძოლის ხაზზე გავა, როგორც თვითონ თქვა... ნეტავ... გავიდეს... წავიდეს.. თინათინი კი სოფელში წაიყვანს ლარბის.

თვითონაც არ იცოდა, რატომ აეკვიატა ნათესავებთან სოფელში წასვლა. ან რატომ ეჩვენებოდა გამუდმებით, რომ ვიღაც უთვალთვალებდა. მიმოიხედა. ხალხი ჩვეულებრივად მიმოდიოდა და არც არავინ აქცევდა ყურადღებას. „ოქტომბერი იწურება. სოფელში, ალბათ, რთველი მომთავრდა... სანამ აცივებულა, წავიყვან ლარბის... ზაფხულში მაინც ვერსად ვერ გავიყვანე დასასვენებლად, ამიტომაც მოუხშირა გაციებას; ჰაერს გამოიცვლის, მომაგრდება“. — საბოლოოდ გადაწყვიტა სოფელში გამგზავრება და პლეხანოვის გამზირიდან, ძაღლის შესახვევით, შინისკენ გასწია.

სადარბაზოში რომ შევიდა, წამით, შეყოვნდა; სახეზე ხელი რამდენჯერმე გადაისვა, რომ დაღლილ-დატანჯული იერი მოეცილებინა. წინასწარ არაფრის თქმას არ აპირებდა დედამთილთან. რა აზრი ექნებოდა მის აფორიაქებას. ეგებ, ლევანს ასცდენოდა ხიფათი; ეგებ, ის არაფერშია გარეული; ეგებ, მას არ ახლონ ხელი; ეგებ, ბრძოლის ხაზზე გაეღწია... მერე კი... მერე... თინათინი მძიმედ აუყვა კიბეს. მესამე სართულამდე როცა ააღწია, შორიდან თავიანთი ბინის კარი ფარლალალად გაღებული დაინახა. ავად ენიშნა ეს და, თითქოს ძალით მოიშორაო სხვა ვარაუდი, ისე გაიფიქრა — ნამდვილად დედამთილს რაღაც დაემართა! კიბის დარჩენილი საფეხურები სასწრაფოდ აირბინა და პირდაპირ დედამთილის ოთახს მიაშურა.

ქალბატონი ელისაბედი ლოგინზე პირაღმა გაშოტილი იწვა. ჭერს მიშტერებოდა და გალურჯებულ ტუჩებს ძლივს ამოძრავებდა:

— წყეულიმც იყავით.. ვაი, შვილო... ლევან!... სად ხარ, შვილო... წყეულიმც იყავით...

დედამთილი ასეთ დღეში რომ დაინახა, თინათინი მისი ოთახის ზღურბლზევე გახევდა. ერთ ხანს, სიტყვაც ვერ დაძრა. მხოლოდ მაშინ, როდესაც დედამთილმა თავი ძლივ-ძლივ შეაბრუნა მისკენ, თინათინი რატომღაც ჩურჩულით შეეკითხა:

— რა მოხდა, დედა?

— სად არის ლევანი? — კითხვაზე კითხვა მიაგება ქალბატონმა ელისაბედმა, იდაყვებზე წამოიწია და თვალებით შეაცივდა თინათინს.

— რა იყო, რა მოხდა, დედა?!

— ხომ შენთან ერთად გავიდა და, სად არის? მოვიდა? შენთან ერთად დაბრუნდა? — დაჟინებით ჩაეკითხა ქალბატონი ელისაბედი და, იდაყვებზე დაყრდნობილს, მხრები აუცახცახდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სასწრაფო საქმე გამოუჩნდა.. კომისარიატში.. იქიდან პირდაპირ გორში გავემგზავრებიო...

— სასწრაფო საქმე?.. კომისარიატში?.. გორში გავემგზავრებიო... მაშ აგრე რისთვის მარიდებ თვალებს?!

— რა დროს თვალებია, დედა.. რა მოხდა, აღარ იტყვი?

— მაშ იმათ აქ რაღა უნდოდათ...

— ვის იმათ... ვინ იყვნენ, დედა?!

— ისინი... ისინი იყვნენ... ისევ ისინი. — ამოიგმინა ქალბატონმა ელისაბედმა და ულონოდ დაეშვა ბალიშზე. — აღარ მომცილდნენ... დღედაღამ ღვთისმშობელს ვავედრებდი ლევანის სიცოცხლეს, აკი, მაშინ, გადამირჩინა იმის ნათელს ვენაცვალე... მაგრამ ახლა ისეთი შავი ღრუბელი ჩამოწვა და დედამიწა შემობურა, რომ მისი სხივი, ალბათ, აქეთ ველარ აღწევს... ვაი, ჩემს დღეს უბედურს... რა ხდება... ლევანი სად არის...აქ რა უნდოდათ, რას ეძებდნენ!..

— აღარ იტყვი, დედა, ვინ იყვნენ... რას ამბობ, რას ეძებდნენ?!.

— აკი გითხარი, ისინი იყვნენ... რა ქვია... დამავიწყდა... რად არ გაწყდება მათი სახსენებელი, ისევ ეშვები მოგვაძგერეს ჩვენს გვარს და ჯილაგს... ისევ მოსწყურდათ ჩვენი ტანჯვა, ჩვენი სისხლი... ვით ვერ დაძღნენ?!

თინათინი ლევანის ოთახში გავარდა.

ლევანის ოთახში საწერი მაგიდის უჯრები გამოღებული, წიგნის თაროები აღრეული, ხელნაწერი ფურცლები იატაკზე მიმოყრილი იყო. თვალები გაუშტერდა, ძარღვებში თოშმა დაუარა, ყელზე თითქოს ყინულის მარწუხები შემოექჭდო და კინაღამ გაჰგუდა. უცებ, ელდასავით დაჰკრა — ლარბის ხმა არსაიდან ისმოდა, ადგილს მოსწყდა, სხვა ოთახები დაირბინა, ლარბი არსად ჩანდა, ლარბის საწოლთან მიმდგარმა შეჰკივლა — ლარბი სად არის?! — და ისევ დედამთილის ოთახისკენ გაქანდა, ჩურჩულით შეეკითხა:

— ლარბი სადაა, დედა...

— მეზობელთან გავიყვანე... ვაი, რა თვალებით უყურებდა... ერთს მუშტიც მოუღერა... გული გამისკდა... ავაყენე ლოგინიდან და მეზობელს ჩავაბარე... ვაი, შვილო, ლევან...

— დედა, წინასწარ ასე ნუ დასტირი, გევედრები... ჯერ ხომ... თქვეს რამე? შენ არ კითხე არაფერი?

— რა უნდა მეკითხა... ენა წამერთვა... ისლა მოვახერხე, ბავშვი მეზობელთან გამეყვანა... თქვენ სულ რაღაც ორი ნაბიჯით გაასწარით... მთელი საათი ჩხრიკეს, რაღაც ნაწერები და წიგნები წაიღეს... ვაი, შვილო, ლევან...

თინათინი შეეცადა, როგორმე დაემშვიდებინა ელისაბედი, თუმცა თვითონ ძლივს იკავებდა თვალთ მომდგარ ცრემლს და უკვე სრულიად უაზროდ უმეორებდა:

— წინასწარ ასე ნუ დასტირი... გევედრები... აკი გითხარი, რაღაც საქმე გამოუჩნდა და სასწრაფოდ გაემგზავრა გორში... გეფიცები, აი, ახლახანს, ათი წუთიც არ გასულა რაც გამოვემშვიდობე...

— ისე წავიდა, რომ დედას არ დახედა... ისე წავიდა, ლარბი არ ნახა... გორში სასწრაფოდ გაემგზავრა... გული ავს მითქვამს, გული იგლოვს, თინიკო, გული. — უცებ გაჩუმდა, ფრთხილად წამოიწია, სახე დაეძაბა, თვალები გაუფართოვდა და დაიყვირა: — ლევან... ლევან... ის დაიჭირეს!... ვხედავ.. სადგურზე... სამი კაცი მიუახლოვდა... ის დაიჭირეს!

ეს რომ წამოიყვირა, სახეზე მიტკლის ფერი გადაეკრა, ოფლმა დაასხა, მზერა გაეყინა და უგონოდ დაენარცხა ლოგინზე

ის დღე, თითქმის ღამის დამდეგამდე, თინათინი დედამთილის მოსულიერებას, მეზობლად მცხოვრები ექიმის მოყვანას და წამლების მოტანას მოუნდა. მხოლოდ საღამო ხანს გავიდა მეზობელთან ლარბის შემოსაყვანად.

— პირი არაფერზე დაუკარებია, ფანჯრის რაფაზე იჯდა სულ და თავისთვის რაღაცას ბუზღუნებდა, — უთხრა მეზობლის ქალმა დასძინა, — თინათინ, შვილო, არ მოგერიდოს, როცა დაგჭირდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოიყვანე და დამიტოვე ბიჭი. კი იცი შენ, ჩვენთვისაც არაა ეს უცხო ამბავი... შენ ღმერთმა გაშოროს ყველაფერი ავი! გაუგებრობა იქნება რაღაც... ხომ თქვეს, მორჩაო... ახლა მაგის დრო აქვთ, ომის ცეცხლში?

ლარბი მუხლებზე მოხვეოდა თინათინს და ზლუქუნებდა — მამა მინდა, დე... მამა მინდა, დე... მამა არ მოვა, დე...

— ომში, ომში წავიდა, შვილიკო. შენ კი დაგიბარა, ჭკვიანად მოიქეცი და დიდი ბიჭი გაიზარდეო, — თინათინმა ლარბი ხელში აიყვანა, მადლობა გადაუხადა მეზობელს და, როგორღაც უნებურად, იავნანას მიმღერებით და რწევა რწევით შეიყვანა ლარბი შინ; ლარბის უკვე თვალები ეხუჭებოდა; ლოგინში ჩააწვინა, თვითონაც გვერდში მიუწვა. ლარბი დროდადრო წაიბორგებდა, რაღაც გაურკვეველ სიტყვებს წამოიყვირებდა ძილში და, მაშინ, თინათინი თავზე ხელს გადაუსვამდა და ჩასჩურჩულებდა — აქ ვარ, დედიკო, ნუ გეშინია, დაიძინე, მშვიდად, ტკბილად, სხვა აქ არავინ არის, მარტო მე ვარ, დედიკო, შენთან ვარ... მეორე ოთახიდან კი, დასამშვიდებელი წამლებით ძლივ-ძლივ დაშოშმინებული და ულონოდ მივარდნილი ქალბატონი ელისაბედის კუთვა მოისმოდა.

ლარბის მოუსვენრად ეძინა და თინათინმა გადაწყვიტა არ მოშორებოდა. მაინც არ ეძინებოდა. შეეცადა დალაგებით მოეფიქრებინა, რა ექნა, ვისთვის მიემართა მას შემდეგ, რაც სახლი გაჩხრიკეს. ეგებ, არავისთვისაც არ უნდა მიემართა — მჯდარიყო შინ და დალოდებოდა. რას? მთავარი ის იყო, ლევანი ბრძოლის ხაზზე გააღწევდა თუ ვერა. ჯერ გორში თუ ჩააღწია? ის რა მოელანდა ელისაბედს — სადგურიიო, დაიჭირესო... აბა, აქედან რას დაინახავდა, სადგურში რა მოხდა? ხო, ლევანმა ასე უთხრა, ორი დღე ჩემს ბარათს გორიდან დაელოდე და თუ ბარათი არ მიიღო, ესე იგი, ბრძოლის ხაზზე გასული ვარო. კი მაგრამ, გორში თუ ვერ ჩავიდა?! ის ფარაჯიანი ჯარისკაცი აფიორიძე, ტყუილა ხომ არ დაუდარაჯდებოდა, ნამდვილად დადარაჯებულივით ირჯებოდა. გამომცემლობაშიც, ალბათ, იმიტომ შევარდა თავქუდმოგლეჯილივით, რომ ტელეფონით ეცნობებინა ლევანის გამოჩენა. ვინც გასაჩხრეკად მოვიდა, რატომღა ლევანს აღარ დაელოდა? ეგებ, არც იცოდნენ, რომ ლევანი თბილისში იყო ჩამოსული? ან, იქნებ, მჩხრეკავები სხვა ხალხია და, რომ იჭერენ, ის სხვა ხალხია... ფუ, ხალხი-მეთქი... მეტი არაა ჩემი მტერი, მაგენი ხალხი იყვნენ... ან, ეგებ, შინ აყალმაყალის ატეხა არ უნდოდათ და იმიტომ დაგვასწრეს წასვლა. ვინ გაიგებს მათსას. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ყველაფერ ამას. ასეა თუ ისე, ორი დღე მაინც უნდა დაველოდო და, რომც არ დაველოდო, საით ვქნა პირი, რა ვიღონო.

იმდენად დაღლილი იყო, ძილი თავისთავად მოერია და ძილში ის ფიქრი ჩაჰყვა — რა სჯობდა, მიეღო გორიდან ლევანის ბარათი, თუ არ მიეღო. რომ არ მიეღო, რანაირად მიმხვდარიყო, რომ ლევანმა საბრძოლო ხაზზე გააღწია; რომ მიეღო, კიდევ უარესი — ესე იგი, გორში ჩარჩა და იქ კი აუცილებლად აიყვანდნენ. გამთენიისას ძილის სიღრმიდან მოვარდნილმა კითხვებმა გამოაღვიძა: ბინა გაჩხრიკეს და, ლევანი, აწი, გინდაც გასულიყო საბრძოლო ხაზზე, ვითომ რა, იქ ვერ მისწვდებოდნენ? და თუ ლევანი გორში კი არ გაემგზავრა, არამედ სადღაც, მთებში გავიდა და დაიმალა, შენ რა გეშველება? განა შენ კი დაგაყენებენ?!

ამ კითხვებმა სული აუწრიალა, მერე, ისევ ის სცადა, დალაგებით გაეაზრებინა შექმნილ ვითარებაში ყველანაირი სავარაუდო უბედურება, რაც კი თვითონ მას შეიძლებოდა თავს დასტეხოდა. გაიხსენა, რომ წინათ, ოცდაათიანი წლების რეპრესიების დროს, დამნაშავე ქმრების ცოლებსაც ადებდნენ გარკვეულ სასჯელს და, ხშირად, ქმრებთან ერთად ასახლებდნენ. ოცდაათიან წლებში რეპრესირებულ ნაცნობთა თუ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესავთა ოჯახების გახსენებამ, როგორღაც უნებურად, ახლანდელი მისი უბედურება გაუჩვეულებრივა და კიდეც გაუნელა ორიოდე წუთის წინათ აღძრული შიში იმ სავარაუდო სასჯელის გამო, რომელიც მას, როგორც ლევანის ცოლს მოელოდა, ვთქვათ, პატიმრობა, ან გადასახლება. ლევანთან ერთად ხალისითა და მომავალზე იმედოვნებით გატარებული ბოლო ოთხი წელიწადი თინათინის თვალთახედვაში დაპატარავდა, შემოკლდა, თითქმის გაუჩინარდა; სამაგიეროდ, მწუხარების გამომეტყველი სახეები, იმ ოთხი წლის სულ უბრალო და ხანმოკლე ბედნიერებამ ასე უსინდისოდ რომ გადაავიწყა — ოციანი და ოცდაათიანი წლების რეპრესიების შიშით გარეტიანებული სახეები — თინათინის ხსოვნიდან ამოენთნენ, ამოიზარდნენ, გარს შემოეხვივნენ და თითქოს თანაგრძნობით უღიმოდნენ, თითქოს ანუგეშებდნენ კიდეც: ეს არაფერი, ასეთები გვინახავს, ასეთი გადაგვხდენიაო, და თინათინმაც, სანამ ლარბი გაიღვიძებდა, თითქოს შორიდან, თითქოს იმ სახეთა ხსოვნიდან შეაფასა საკუთარი მდგომარეობა და ასე გადაწყვიტა: მოსახდენი, რაც არ უნდა ქნა, მაინც მოხდება; ორ-სამ დღეს დაველოდები ლევანის ბარათს და, მერე, ვნახოთ; მანამდე კი... მანამდე, ვინ იცის, ეგებ თვითონ მას მოაკითხონ... ამისთვისაც უნდა ყოფილიყო მზად. ლარბი? ქალბატონი ელისაბედის ანაბარა მისი დატოვება შეუძლებელი იყო. ლარბიზე გაფიქრებამ უმალ დაძაბა, ყველა სხვა წუხილი გადაავიწყა.

კვირა დილას, როდესაც ლარბიმ გაიღვიძა, თინათინმა სიცხე გაუზომა. სიცხე აღარ ჰქონდა. სასწრაფოდ ჩააცვა, ასაუზმა და მასთან ერთად დედასთან გაქანდა.

— დედა, ლევანის საქმე არ უნდა იყოს კარგად.

— რა იყო, რა მოხდა?

— ზუსტად არაფერი ვიცი, მაგრამ... გუშინ ბინა გაგვიჩხრიკეს.

— რაო? — ამ ერთი შეკივლებით შეიცხადა დედამ თინათინის ნათქვამიც და მისი მდგომარეობაც; მერე, სახე რაღაცნაირი ნაღვლიანი, სასოწარკვეთილი და, იმავ დროს, მკაცრად თავშეკავებული გაუხდა და დინჯად ჰკითხა. — თქვენ რამე?

— მე და ლევანი შინ არ ვიყავით. ელისაბედი კი...

— ლევანი?

— ლევანი შინ არ დაბრუნებულა. სასწრაფოდ გორში გაემგზავრა. მან არც იცის. ჩვენი ბინა რომ გაჩხრიკეს.

— ის იცის, რომ მისი საქმე ცუდად არის, — ჰკითხა და თავი დახარა, თვალი მოარიდა.

— კი, იცის, — ხანმოკლე დუმილის შემდეგ უპასუხა თინათინმა და გაუკვირდა, რომ დედამ ასე მშვიდად აღიქვა ეს ამბავი. მუდამ ფეთქებადი, მუდამ ემოციური და ხმაურიანი, ყოველი ცხოვრებისეული უსიამოვნების ფეთიანად შემცხადებელი, ამ ამბის გაგონებაზე თითქოს გრძნობებისგან ამოშრა, თითქოს გამკაცრდა კიდეც. იმგვარად ესაუბრებოდა თინათინს, თითქოს იცოდა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო. თინათინმა ისიც იგრძნო, რომ ახლა მასთან მეტის თქმა და მეტის განმარტება არ იყო საჭირო და, ამიტომ, ესღა დასძინა: — ლარბის თქვენთან დავტოვებ. ხომ იცი, ცოტა გაციებული იყო და, ძილის წინ წამალი დაალევინე. სიცხე არ შეუბრუნდეს. ელისაბედიც ვერ არის კარგად, უნდა მივხედო...

— მერე?

— მე შინ უნდა წავიდე. არ ეგონოთ, ვიმალები... ხომ გესმის?

— მესმის.

— შესაძლოა, იმაზე მეტ ხანსაც მომიხდეს ლარბის თქვენთან დატოვება, ვიდრე...

დედამ ხელით ანიშნა, ყველაფერს მივხვდიო და შეაწყვეტინა სიტყვა. თანხმობის ნიშნად თავიც დაუქნია. დააპირა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაუჭირდა და, თანაც, არ უნდოდა ყელში მომდგარი ცრემლით გაბზარული ხმით თინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინთან დალაპარაკება. წამოდგა. სამზარეულოში გავიდა; იქიდან უფრო მხნედ. თმაზე და შუბლზე შერჩენილი წყლის წვეთებით, ლარბისთვის დიდი ვაშლით ხელში გამოვიდა და თინათინს უთხრა:

— მესმის, შვილო. მესმის... წადი. ელისაბედს მიხედე. ლარბის დარდი ნუ გექნება.

— ხო. მართლა. მამა სად არის?

— ამას წინათ აქ გითხარი. ბიძაშვილმა როველზე დაპატიჟა და პარასკევს საღამოს სამსახურიდან პირდაპირ სოფელში გაემგზავრა. ცოტა ყურძენს, ფელამუშს და ბადაგს ჩამოვიტანო. ჩურჩხელები ავაცვათო. ღვინოს დავაყენებო. ლევანისთვის გასაგზავნად დაგვჭირდებაო. გაეხარდებაო. — მოთქმასავით ზედიზედ მიაყოლა დედამ. — კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

— ხო. სულ დამავიწყდა. ერთი პირობა მეც ხომ ვაპირებდი წაყოლას სოფელში... ტვინი ამერია სულ მთლად...

— აგერეოდა ტვინი. შვილო და. მეტიც არ იქნებოდა...

— მამასაც არ შეუჩდნენ. რამე არ დააწიონ...

— ამაზე მეტი რაღა უნდა გვეწიოს. დიდი-დიდი დაკითხონ. რა უნდა უთხრას? ჩვენზე გულს ნუ გაიხეთქავ. ჩვენ რა. ნეტა ლევანს ეშველოს და შენ შენს თავს მიხედე. გამაგრდი.

— წავედი. დედა.

— ხო. — წამით შეყოვნდა. თითქოს ვერ გადაეწყვიტა სათქმელი. — რაიმე თბილი ჟაკეტი არ დაგავიწყდეს. ჩაიდე მაინც ჩანთაში. ყოველი შემთხვევისთვის. მზად იყავი. მოულოდნელად იციან. არ დაგცალდება, თუ თადარიგი თავიდანვე არ აიღე... ხო. ყოველ შემთხვევისთვის.

თინა დედას გაოცებული მიაშტერდა. ერთხანს ასე უსიტყვოდ იდგნენ, ერთმანეთს მისჩერებოდნენ და თვალებში სულ უფრო და უფრო ასკდებოდათ ცრემლი. მერე, თინათინი ადგილს მოსწყდა, დედა გადაკოცნა და გარეთ გავარდა.

შინ რომ დაბრუნდა. პირველყოვლისა იქ გასამგზავრებლად ყველა საჭირო ნივთი გადმოალაგა კარადიდან და პატარა ჩანთაში ჩააწყო. ჩანთა გასასვლელ კართან კუთხეში დასდო და. უცებ, მთელ არსებაში თითქოს სიმშვიდე ჩაეღვარა. მხოლოდ იმ ფიქრმა გაუელვა გამაღიზიანებლად — როდის შეიძლებოდა მოსულიყვნენ მის წასაყვანად. ან, ეგებ, დაიბარებდნენ? ან. ეგებ. სულაც ხელს არ ახლებდნენ?

ის კვირა დღე სახლიდან აღარ გასულა. გვიან ღამით მამა მოვარდა. სოფლიდან ახლად დაბრუნებული, დაღლილ-დაქანცული და სახეშეშლილი. წვრილ-წვრილად გამოჰკითხა. რაც კი თინათინმა ლევანის საქმისა იცოდა; ყოველ წვრილმანს ჩაეძია, ყოველ წვრილმანზეც ათასგვარ შეკითხვებს უსვამდა ნაცადი ვექილივით; თავისი მხრიდან ერთი ვარაუდიც. ერთი მოსაზრებაც არ გამოუთქვამს. საუბარი რომ მოასრულა, კარგა ხანს ჩაფიქრებული იჯდა. მხოლოდ ერთი-ორჯერ. ვაი ჩვენს მოსწრებასო. ისე ამოიოხრა. თითქოს გულიც ამოაყოლაო. წასვლის წინ. უკვე კარში მდგარმა ურჩია: თუკი რაიმე იმაზე მეტი იცი, რაც მიამბე. ვითომ ესეც არ გცოდნია და, დასაკითხავად რომ გამოგიძახებენ. ყოველი სიტყვა აწონ-აწონეო.

ორშაბათიც, ერთი მხრივ, ლევანისგან ბარათის მიღების და, მეორე მხრივ, საეგებისოდ მის წასაყვანად მოსასვლელი პირების მოლოდინში გაატარა. რამდენჯერმე ძალიან მოუნდა ლარბის სანახავად გასულიყო დედასთან, მაგრამ არ წავიდა: თითქოს შეეცადა, თავიდანვე განეცადა, რამდენად მტკივნეული იქნებოდა შვილის უნახაობა. მიხვდა, რომ ის სულ სხვა იქნებოდა, რადგან საკუთარივე ნებით შვილის ნახვის ალკვეთას არავითარი მძაფრი გულისტკივილი არ გამოუწვევია. ახლა, საერთოდ, არც არაფერს გრძნობდა, გარდა გამარეტიანებელი შიშისა და უსაშველობისა. დილიდან დაწყებული, სულ უაზროდ წრიალებდა ოთახებში, — ხან აუთოვებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხან რეცხავდა, ხან წამლებს ასმევდა ქალბატონ ელისაბედს, რომელიც ახლა თითქოს სულ დაცხრა. ის მშვიდად და ფხიზლად აწყობდა სამომავლო ცხოვრების გეგმებს. დიდად მოუწონა თინათინს, რომ ლარბი დედასთან გაიყვანა; ისიც მოუწონა, რომ ჩანთა წინასწარ გაიმზადა და დასძინა — ზოგი რამ თბილი საცვალი მეც ჩამილაგე, ეგებ, მეც შენიან ერთად წამიყვანონ; აბა, მარტოკამ აქ რა უნდა ვქნა, როგორ გავძლოო! თინათინი დაჰპირდა, გასამგზავრებლად შენც ჩაგილაგებ ჩანთასო, მაგრამ მისი ნივთებისთვის, ცხადია, ხელი არ უხლია. დარწმუნებული იყო, რომ ლოგინად ჩავარდნილ მოხუც ქალს არც ერთის მიზეზით არ დააპატიმრებდნენ.

სამშაბათ დილით კარზე დააკაკუნეს. თინათინს არც უკითხავს, ვინ ხართო, ისე გაალო კარი. სამი სამხედრო იდგა — ერთი ოფიცერი და ორი ჯარისკაცი. ოფიცერმა სამხედრო სალამი აძლო თინათინს და ლევანი იკითხა. როდესაც თინათინმა უთხრა, რომ ლევანი არ იყო შინ, მათ ბინაში შესვლის ნებართვა სთხოვეს და საგულდაგულოდ დაათვალიერეს ყოველი კუთხე; ისიც შეამოწმეს, ბინას მეორე გასასვლელი ხომ არ ჰქონდა ეზოსკენ. გორიდან ვართ ჩამოსულები და ლევანს ვეძებთო. ოფიცრის ნათქვამმა თინათინი გააოცა. შაბათს გორში გამოემგზავრაო, დაიფიცა. კვირა საღამოს უნდა გამოცხადებულიყო და არ ჩამოსულაო, განუმარტა ოფიცერმა და გამომშვიდობებისას დასძინა:

— მე თქვენს ქმარს კარგად ვიცნობ. ყოველთვის შეგნებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ასეთი რამ მისთვის არასდროს შემჩნევია. ხო, თქვენც მინახიხართ გორში ჩამოსული... თუ იცით, სად არის, ან, თუ გამოჩნდა, გადაეცით, რომ სისულელეს თავი დაანებოს. ცუდ დღეში ნუ ჩაიგდებს თავს და დროზე გამოცხადდეს პოლკში.

თინათინმა ისევ ის მიუგო, რომ თვითონ მათზე უფრო შეშფოთებული იყო. ის კი აღარ უთხრა, მათი ბინა რომ გაჩხრიკეს, — ვერ გადაწყვიტა, საჭირო იყო თუ არა ამის თქმა მათთვის.

საღამო ხანს უბნის სამხედრო რწმუნებული, ლევანის და თინათინისაც კარგი ნაცნობი, პოლიკარპე ცხვარაძე ესტუმრათ. ის შინაურულად გაესაუბრა თინათინს და უთხრა:

— სამხედრო ნაწილიდან შენს ქმარს მეორე დღეა ეძებენ, მეც შემიწუხეს სული, ძალიან მერიდებოდა ამ საქმეზე მოსვლა, მაგრამ... დასავით გეუბნები, თუ არ გამოცხადდა, დეზერტირობას მიაკერებენ და ცუდი ამბავი მოჰყვება ამას.

— შენ არაფერი იცი, პოლიკარპე? — ჰკითხა თინათინმა და თავი დახარა.

— არა, რა უნდა ვიცოდე? მე რომ მისი ამბავი გამეგო...

— მაგაზე არ გეუბნები.

— აბა, რაზე?

— არა, არაფერი... ალბათ, გაიგებ მალე, მე მართალს გეუბნები. შაბათს გავაცილე ლევანი გორში, კი არ გავაცილე, აი, ამ ქუჩაზე, ჩვენს სახლთან დავემშვიდობე და ის სადგურისკენ გაეშურა, გორში გასამგზავრებლად.

— კეთილი, თუ ასეა, — თქვა პოლიკარპემ და წამოდგა. — მაგრამ, მაინც, რომ გამოჩნდეს, რაც გითხარი, გადაეცი.

— ღმერთმა ქნას, გამოჩნდეს, შენზე მეტად ეს მე მინდა.

პოლიკარპე ცხვარაძე თავის ორჭოფული ქნევით გამოემშვიდობა თინათინს, მაინც დაეჭვებული წავიდა.

უბნის სამხედრო რწმუნებულის მოსვლამ თინათინი სულ მთლად დააბნია; აღარ იცოდა რა ევარაუდა — სად უნდა ყოფილიყო ლევანი, ეგებ, დაიმალა, ვინმე ნაცნობ-მეგობართან შეაფარა თავი, ან სადმე მთებში გადაიხვეწა. ქალბატონ ელისაბედსაც გაენდო თავისი ფიქრები, „ნეტავი, ნეტავი", — მკერდში მჯიღის ჩაკვრით აღმოხდა დედამთილს და თინათინმაც, უნებლიედ, ინატრა, ლევანი სადმე გახიზნული ყოფილიყო, თუმცა, ამასთანავე, ლევანის დამალვა-გახიზვნა შეუძლებლად მიაჩნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ასეთ შემთხვევაში, ვინმეს პირით რაიმეს აცნობებდა, როგორმე აუცილებლად აცნობებდა. ქალბატონი ელისაბედიც თუმცა „ნეტაი"-ს თქმით მკერდში ხელს იკრავდა და პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე, მაგრამ, მეორე წამს, ისევ აკვნესდებოდა: — ვაიმე, შვილო... გული ავს მიგრძნობს, თავს ვიტყუებ... გული ავს მითქვამს...

თინათინი პარასკევამდე ელოდა ლევანისგან რამე ცნობას. იმ ხნის მანძილზე სამხედრო ნაწილიდანაც აღარ მოუკითხავთ. არც პოლიკარპე ცხვარაძე და არც ვინმე სხვა არ გამოჩენილა.

პარასკევს დილას, გადაწყვიტა, უნივერსიტეტში გასულიყო და იქ გაეკითხა ლევანის ამბავი. თავდაპირველად ლევანის ფაკულტეტის დეკანატში მივიდა. დეკანატში უთხრეს, ლევანის საქმისა ჩვენ იმდენივე ვიცით, რამდენიც თქვენო — ყველას აჯობებს პარტკომს მიმართოთ. პარტკომი იმ დღეს ხან დერეფნებში კარივით დაჰქროდა, ხან კაბინეტში იყო ჩაკეტილი, ხანაც სასწრაფო საქმეზე ქალაქში გადიოდა. უცებ, თინათინმა ლევანის ყოფილ თანაკურსელს და ახლა კი უნივერსიტეტის კომკავშირის მდივანს, რობერტ ჭინჭიკაძეს მოჰკრა თვალი და გახარებული მისკენ გაქანდა. მართალია, ლევანს და რობერტს დიდი მეგობრობა არასოდეს ჰქონიათ, მაგრამ რობერტ ჭინჭიკაძე, თავის მხრივ, მუდამ იმას ცდილობდა, მისდამი ახლობლობა გამოევლინა, ხოტბასასხამდა მის ნიჭსა და უნარს და თინასაც, ჯერ კიდევ ლევანთან შეუღლებამდე, „ჩვენო რძალოს" შეძახილით ეგებებოდა ხოლმე. როდესაც რობერტ ჭინჭიკაძემ სალამზე რიგიანად არ უპასუხა, თინათინი დაიბნა — ეგებ, შევცდი და ვინმე სხვას მივამსგავსეო, დაკვირვებით შეაცქერდა. მხოლოდ მაშინ დაიჯერა, რომ მართლაც რობერტ ჭინჭიკაძის წინ იდგა, როდესაც ამ უკანასკნელმა, მცირე ყოყმანის შემდეგ, მასზე გაოცებით მიშტერებულ თინათინს ცივად მიმართა: „გისმენთ, რა გნებავთ, ამხანაგო თინათინ", რობერტ ჭინჭიკაძის ასეთმა შეხვედრამაც და შეკითხვამაც თინათინი უმალ მიახვედრა, რომ ლევანის საქმე მართლაც ცუდად იყო. „მე ლევან დავლიანის ამბის გასაგებად... თქვენ, ალბათ...", ძლივს გამომარცვლა თინათინმა. რობერტ ჭინჭიკაძემ წინადადებაც არ დაასრულებინა, ისე მიუგო: „მაგ საქმეზე პარტკომს მიმართეთ", და ისე, რომ არც გამომშვიდობებია, სასწრაფოდ გაშორდა.

პარტკომი ადგილზე არ იყო, მდივანმა უთხრა, დღეს აღარ დაბრუნდებაო.

შუადღისთვის მწერალთა კავშირში მივიდა. იქ ხელები გაასავსავეს — რაღაც კი გვაცნობეს, ტელეფონით, მაგრამ ზუსტი მითითებები და ცნობები ჯერ არ მიგვიღიაო. თავიანთი წუხილი მხოლოდ ასეთი, გაურკვეველი უფრო საყვედურის სიტყვებით გამოხატეს: — ეს რა ქნა?! რა ქნა ეს? ჰა?!

პარტკომმა მხოლოდ მეორე დღეს, შაბათ დილას შეძლო თინათინის მიღება და თავიდანვე უდიერად მიახალა:

— თქვენ აქ რა გინდათ?! თქვენ უკვე იქ უნდა მისულიყავით, უკვე კარგა ხნის წინათ, იქ, პერედაჩით!

თინათინი მოცელილივით დაეშვა კართან მდგარ სკამზე და სრულიად გაუაზრებლად იკითხა:

— რატომ? რა მოხდა... რა გააკეთა?!

— რა გააკეთა და, ყველანი ცუდ, უაღრესად, აღმაშფოთებლად ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაგდო თქვენმა ქმარმა ლევან დავლიანმა!

რობერტ ჭინჭიკაძემ, რომელიც პარტკომის კაბინეტში დახვდა თინათინს, კვერი დაუკრა პარტკომს:

— დიახ, არ გაგვიმართლა ნდობა, ოჯახიც არ დაინდო, საკუთარი ცოლშვილი...

პარტკომმა თინათინს მხოლოდ ზოგადად მიანიშნა, რომ გორის, ავჭალის და განჯის სამხედრო ბანაკებში ლევანი და მისი მეგობრები ფარულად აყალიბებდნენ ნაციონალისტურ ორგანიზაციას, რომლის მიზანი იყო ფაშისტურ გერმანიასთან ომში საბჭოთა ხელისუფლების ინტერესთა წინააღმდეგ მოქმედება და, ამ გზით, „საქართველოს განთავისუფლებაო", — ეს ბოლო სიტყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვები გაოგნებულის ხარხარით, თითქოს ჰერს შესტყორცნაო პარტკომმა. „საიდან? რისგან გათავისუფლება?! საქართველოს ღირსების ვითომც გამთელავი, სინამდვილეში კი, ეს ყველა პატიოსანმა ადამიანმა იცის, ქართველი ხალხის და მსოფლიო ხალხების გადამრჩენი და გამაკეთილშობილებელი, დიადი რუსეთის ძალმოსილებით გაშუქებული, საბჭოთა რესპუბლიკების ძმური კავშირიდანო?!", უცებ, თვალებში ჩააშტერდა თინათინს და სწრაფად ჩაეკითხა:

— თქვენ რაიმე გქონდათ გაგონილი ამ განზრახვის შესახებ?

— არა... არა... გეფიცებით, მე არაფერი ვიცოდი... არაფერი უთქვამს... არც არაფერი შემიტყვია.. რატომ არ მითხრა... რომ ეთქვა...

პარტკომს გაეღიმა.

— შესაძლოა, ეს ასეცაა, როგორც ამბობთ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ არცერთხელ არ დასწრებიხართ შეთქმულთა შეკრებებს...

— შეკრებებს?!

— დიახ, ეს გარეწრები, ხალხის მტრები, დათქმულ დღეებში იკრიბებოდნენ და ბჭობდნენ, რანაირი ძირგამომთხრელი მუშაობა ჩაეტარებინათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პარტკომმა ზიზღით ხელი ჩაიქნია. შემდეგ იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ ლევან დავლიანის მხატვრული თუ სამეცნიერო შემოქმედების, ასევე პედაგოგიური პრაქტიკის ღრმად გაანალიზებამ არა მარტო გამოამზეურა, არამედ უეჭველიც გახადა ჯარში მისი ნაციონალისტური საქმიანობის მავნებლური ხასიათი. ამასთან დაკავშირებით, პარტკომმა დაასახელა ლევანის ბიბლიოთეკიდან ამოღებული ის ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, რომლებშიც „ხალხის მტრად" აღიარებულ მწერალთა მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერები იბეჭდებოდა და რომლებიც ოფციალურად აღკვეთილი იყო ხმარებიდან:

— თვით იმ გარეწარი ფაშისტის რობაქიძის ეგრეთ წოდებულ ლიტერატურასაც ინახავდა თურმე სათუთად, გესმით?! აღარას ვამბობთ იმ კონტრრევოლუციონისტ-ტროცკისტ ტაბიძეზე და იაშვილზე, ფაშისტ ნაციონალისტ მიხეილ ჯავახიშვილზე და სხვებზე, სხვებზე და სხვებზე... გესმით, თვით რობაქიძის, რომელიც ახლა ფაშისტებთან მუშაობს დაქირავებულ ლაქიად...

— არა! არა! — უნებურად აღმოხდა თინათინს. — მე არასდროს თვალითაც არ მინახავს ეს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, არც ის შემინიშნავს, ლევანს სჭეროდეს ხელში, ან ოდესმე გამოეყენებინოს... შესაძლოა, სადმე, როგორღაც, ჩვენთვის შეუმჩნევლად შემორჩა... რა თქმა უნდა, შემთხვევით შემორჩებოდა... ალბათ, მამამისის ბიბლიოთეკიდან... დიახ, ეს მამამისის... ძალიან ძველი...

— დროულად ახსენეთ, თვითონვე ახსენეთ... დამასწარით მთავარი სათქმელი, მიზანში მოხვდით, მამამისიო! სამწუხაროდ, თქვენი ქმარი მამამისის წარსულიდანაც ვერ გათავისუფლდა, და არა მარტო ბიბლიოთეკის თვალსაზრისით, არა მარტო! გვარი არ იკმარა — თვით სახელიც შეინარჩუნა მამამისის! პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე სახელს კი არა, გვარსაც მოიშორებდა ასეთი სახიფათო ხალხის მტერის, ასეთი გარეწარი თავად-აზნაურობის უბადრუკი წარმომადგენლის, როგორიც ის, პირველი, დიდი კი არა, გაბეყილი და შტერი ლევან დავლიანი ბრძანდებოდა, მან კი ის დაგმობილი სახელი და გვარი პრესაშიც, პერიოდიკაშიც და უნივერსიტეტშიც კი აგვიხმაურა! ესეც არ იკმარა და, ხომ ხედავთ... მერედა, ვინ იყვნენ მისი მეგობრები-ორგანიზატორები? თითქმის ყველა, მასავით, ხალხის მტრების ჩამომავლები!

აქ რობერტ ჰინჰიკაძემ ბოდიშის მოხდით სიტყვა შეაწყვეტინა პარტკომს და დანანებით ჩაილაპარაკა:

— ჩვენ ბევრზე თვალს ვხუჭავდით და, ესეც უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრზე ბევრსაც ვერ ვამჩნევდით, და ეს ხდებოდა მისით აღფრთოვანებული, მისი მაფერებელი იმ რამდენიმე ძველი ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელიგენტიკი პროფესორის წყალობითაც, რომლებიც, კიდევ კარგი, ცოცხლები აღარ არიან, თორემ, ახლა პირველ რიგში მათ მოვთხოვდით პასუხს საყვარელი შეგირდების ასეთნაირად აღზრდისათვის... გახსოვთ, ალბათ, ლევანის სადიპლომო ნაშრომი ბარათაშვილზე, — რობერტ ჭინჭიკაძემ ირონიულად ჩაიცინა და თინათინს გადახედა: — გაგახსენდათ?

თინათინს, უცებ, ელდასავით დაჰკრა ლევანის სადიპლომო ნაშრომის ხსენებამ. ნაშრომში ლევანი იმ აზრს ატარებდა, რომ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა" დასმული უმთავრესი, რუსეთთან საქართველოს დაკავშირების მართებულობის საკითხი ღიად რჩება და მასზე პასუხის გაცემა პოეტმა თვით ცხოვრებას — მომავალში ქართველი ხალხის ნებას, გონებასა და სულისთქმას მიანდო. მეტიც, ლევანმა აქ ის აზრიც გაატარა, რომ პოემაში თვით პოეტის პოზიცია გაორებულია და უფროსი სოლომონის (რუსეთთან საქართველოს დაკავშირების უარმყოფელის), ვიდრე ერეკლე მეორის მხარეს იხრება. თინათინმა და ლევანის რამდენიმე მეგობარმა გააფრთხილა ლევანი, რომ ასეთი თვალსაზრისის გატარება, ოფიციოზის წინაშე, ბარათაშვილსაც და მასაც რეაქციონერად წარმოაჩენდა, რადგან ოფიციალურად დადგენილი შეფასებით რუსეთთან საქართველოს დაკავშირება ყველა დროს, ყველა მოაზროვნისთვის, ყველაზე მართებული, საქართველოსთვის მხოლოდ სასიკეთო აქტი იყო. ამაზე ლევანმა ნიშნისგებით უპასუხა: — ძვირფასებო, არ წაგიკითხავთ ლენინის ნაშრომი „რუსეთის ხიშტის 100 წლისთავი კავკასიაში". მე კი წავიკითხე. ლენინმა ეს წერილი მიუძღვნა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის და, ძირითადად, საქართველოს შემოერთების 100 წლის თავს, რომელსაც ზეიმობდნენ 1901 წელს, ერთი მხრივ, ცარიზმის სატრაპები და, მეორე მხრივ, ბედოვლათი ქართველები. ლენინი სწორედაც იმას ამტკიცებს, რომ შეუძლებელი იყო ცარიზმს მშვიდობა და სიკეთე მოეტანა კავკასიაში. მაშ, რა ცარიზმი და რაღა დასამხობი იმპერიალისტური ხელისუფლება იქნებოდა, აქეთ-იქით მეგობრობა და სიკეთე რომ ეთესა. ასე რომ, ძვირფასებო, კარგად შეისწავლეთ დიდი ლენინი. ეს ცვალებადი პოზიციების პოლიტიკოსი, ზოგჯერ, სიმართლესაც ქადაგებდა და, სამწუხაროდ, რაც დრო გადის, მაინცდამაინც მისი მართლად თქმული ეძლევა დავიწყებას.

თინათინს ისიც გაახსენდა, რომ ლევანს იმ ნაშრომში ჭარბად ჰქონდა ციტირებული ლენინის გამონათქვამები საკუთარ დებულებათა განსამარტავადაც და გასამყარებლადაც. ამან დაცვაზე დიდი არევ-დარევა გამოიწვია, რადგან იქ დამსწრე უმეტესობას, ზოგს აღარ ახსოვდა და ზოგსაც არ წაეკითხა ლენინის ის ნაშრომი. დაცვის შემდეგ, ლევანი ხუმრობდა — ლენინმა საიქიოდან მიშველაო. კინაღამ ჩაუგდეს დაცვა. გადამწყვეტი აღმოჩნდა ერეკლე ძიძიშვილის შეფასება, რომელსაც მისმა მეგობარმა, ორმა ძველმა პროფესორმაც მხარი დაუჭირა. ლევანის დაცვის ამბავიც, მისი ნაშრომის სიახლეც და გაბედულებაც, მთელ უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის გარეთაც გახმაურდა. თინათინს ახლა ისიც გაახსენდა, რომ რობერტ ჭინჭიკაძე პირველი ულოცავდა ლევანს ბრწყინვალე გამარჯვებას; მაგრამ პარტკომის კაბინეტში, ასეთ ვითარებაში, ამის შეხსენებას რანაირად გაუბედავდა.

— ჰო, იმ ნაშრომს მეც გადავავლე თვალი, — გაიღიმა პარტკომი, — იმ ვაჟბატონს ლენინის ციტატებით რომ შეუნიღბავს თავისი რეაქციონერული წაკითხვა ჩვენი ტატოსი. რაც მთავარია, დიდი ლენინის იმ ნაშრომის ციტირება მოუხდენია, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებში გამოსაყენებელი ლიტერატურების ოფიციალურად ნებადართულ სიაში არ აღირიცხება და, როგორც ვიცი, ხმარებაში არ არის. რატომ მაშინ არ იკითხეთ, სად მოიძია ეს ნაშრომი, ჰა? — უცებ რისხვით მიუბრუნდა რობერტ ჭინჭიკაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტკომისგან იმ ძველი შეცდომის შეხსენებაზე რობერტ ჭინჭიკაძე უსიამოდ შეიშმუშნა: მაშინ ის ფილოლოგიური ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი იყო და, მართალია, მეტი სიფხიზლე, მეტი პრინციპულობა უნდა გამოეჩინა ლევან დავლიანის სადიპლომო ნაშრომის შეფასებისას, დროულად უნდა ამოეცნო მისი რეაქციონერული შინაარსი; ახლა კი, პარტკომი თუ მოინდომებდა და ლავან დავლიანის საქმესთან დაკავშირებით ამ საკითხზეც თუ გაამახვილებდა ყურადღებას, ეს რობერტს დიდ მინუსად ჩაეთვლებოდა — ისეთ მინუსად, რომელიც, შესაძლოა, სავალალოდ შეაფერხებდა მის წინსვლას კომკავშირულ და პარტიულ სარბიელზე. შექმნილ ვითარებაში რობერტი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა გარჯილიყო; უნდა როგორმე მოეთაფლა პარტკომი და, ახლაც, სიტყვა სხვა საგანზე უნდა გადაეტანა:

— სად მოიძიებდა? უნდა დავასკვნათ, ისევ და ისევ მამამისის ბიბლიოთეკაში, სადაც, როგორც გვარწმუნებს ამხანაგი თინათინი, მის მეუღლეს ერთხელაც არ ჩაუხედავს... ჰმ, ლენინი! საქმე ის არის, რომ ყველას არ შეუძლია სწორად წაიკითხოს დიდი ლენინის ნაშრომები!

განსაკუთრებით კი იმას არ შეუძლია, ვინც თავიდანვე არ არის მომართული ლენინის სწორად გააზრებისათვის!

— სტუდენტობამ უნდა იკითხოს და გამოიყენოს ის ლიტერატურა, რაც რეკომენდირებულია ბიბლიოთეკებში და სასწავლო პროგრამებში, — არ ცხრებოდა რობერტ ჭინჭიკაძე.

პარტკომი და კომკავშირის მდივანი განსჯის ეშხმა აიტაცა. თინათინი ლამის გადაავიწყდათ. ისინი უკვე ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს არარსებულ დამსწრე საზოგადოებას და განსაკუთრებით კი კედელზე დაკიდულ სურათებზე აღბეჭდილ სტალინისა და მისი ერთგული თანამებრძოლების სულებს უმტკიცებდნენ თავიანთ პარტიულ სიფხიზლეს და მაღალმოქალაქეობრივ პოზიციას.

— დიახ, ყველგან, ყველა სფეროში, მწვავედ ნაციონალისტური თემატიკა, გარემოსთან შეუგუებლობა, საბჭოთა სინამდვილესთან შეუსაბამო სარკაზმი, რეაქციული ისტორიზმი, შეფასებათა ინდივიდუალიზმი... ჩვენ კი იმის მაგიერ, რომ დროულად ჩავკვირვებოდით მის საქმიანობას და დროულად გაგვეფრთხილებინა, იქით ველოლიავებოდით, ტაშს ვუკრავდით, ვბეჭდავდით, გზებს ვუხსნიდით თურმე რა საეჭვო, რა ოსტატურად შენიღბულ მის საქმიანობას...

თინათინი ისე იჯდა, თითქოს სკამს შეზრდოდა; გარეტიანებულს სეტყვასავით აცვივოდა ლევანის გასაკიცხი სიტყვები და, ახლა, მართლაც ასე ეჩვენებოდა, თითქოს ლევანის ნაწერებში გამოსჭვივოდა მწვავე ნაციონალიზმიც, რეაქციული პროტესტანტული განწყობილებაც, სინამდვილის შეურაცხმყოფელი სარკაზმიც და ყველა ის თვისებები, რომლებსაც ადრე ასეთნაირად ვერ იაზრებდა. თანდათან, მისდაუნებურად, მის არსებაში იბადებოდნენ პარტკომის სიტყვების თანხმიერი ბგერები, რომლებიც სულ უფრო მძლავრად იმღვრეოდნენ ლევანის სასაყვედუროდ — თუ რატომ სხვაგვარად არ დაწერა სადიპლომო ნაშრომი ბარათაშვილზე, რატომ გამოიყენა ლენინის ნაწერები, რატომ მსჯელობდა ხოლმე ასე დამდუღრულივით საქართველოს ბედზე და მის ისტორიაზე, რატომ არ გადასინჯა მამამისის ბიბლიოთეკა და სხვებივით არ გადაწვა ან არ გადაყარა ხალხის მტრებად დამტკიცებულ მწერალთა და მეცნიერთა წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, სურათები... ხომ იცოდა, რომ ასეთი წიგნების შენახვაც კი დანაშაული იყო, ხომ იცოდა?!

უცებ, პარტკომმა გაშმაგებით ხელი დასტაცა მაგიდის კუთხეში საქაღალდეს, სწრაფად გახსნა, რამდენიმე ფურცელი ამოიღო და თინათინს მიაჩალა:

— სულ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს რა არის?! — ფურცლები ჰაერში ისე აფრიალა, რომ თინათინს კარგად დაენახა, — ნაცნობია თქვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ეს ფურცლები, ეს ხელწერა?! ფურცლები თუ არა, ხელწერა, უთუოდ, ნაცნობია. ის თქვენი ქმრისაა. ან, ეგებ, წაგიკითხავთ კიდევ მისი ნაციონალისტური ბოდვები. თუმცა, მე ამას არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად წაგიკითხავთ, ანუ წაგაკითხათ ისინი თქვენმა ქმარმა, — ეს თქვა და, სათვალემომარჯვებულმა, ენის ბორძიკით და გაოცებულ-აღშფოთებული სახით წაიკითხა:

მე ისევ მინდა ვიყო ჩვილივით
და დედის კალთას ბრმად გამოვება.
რომ არ მსჭვალავდეს გულს ეს
ტკივილი —
მტანჯველი ფიქრის ამოება...

რომ არ ვხედავდე, ოდით ჩვეული
გზები ადრევე გადამიკეტეს.
რომ ნაფლეთებში გამოხვეული
და უსახლკაროდ დაძრწის სიკეთე. —

რომ არ ვხედავდე, ვით გადათელავს
ეს ეამი ყველა მაღალს და კეთილს
და არ ვუცქერდე ამ საქართველოს,
როგორც სიგიჟის სასტიკ
გაკვეთილს. —

აქ პარტკომმა ბრაზიანად შესწყვიტა სიტყვა და ღმეჭით დასძინა:

— ნეტა, რას ფიქრობდა, ამისთანებს რომ წერდა? მისი გიჟური ბოდვის გამგებს და თანაზიარს ბევრს ვიპოვნით? რავარია, პა?! ამაზე უარესი ბოდვაც მრავლად ჩაუწერია თქვენს ქმარს, — მერე ქინქიკაძეს მიუბრუნდა: — თქვენ ეს მასალები ჯერ არ წაგიკითხავთ? არა? თუ არა, აბა, მისმინეთ, ამ ერთ შედევრსაც მოგასმენინებთ, რომელშიც მისი ნაციონალისტური, კლასობრივი და რასისტული თვალსაზრისიც აშკარად სჭვივის, უაშკარავესად... დააკვირდით:

უკვე მითია ციხე ერისთვის,
უკვე დაერღვა ამაყი კოშკი, —

ეს ქსნის ერისთავის ციხეზე დაუწერია, სათაურადაც ასე აწერია: „ქსნის ერისთავის ციხესთან თქმული ლექსი". როგორ მოგწონთ, პა? თავად-აზნაურობის ამ საცოდავ ნაბოლარას თურმე სულ ერისთავები და ციხე-კოშკები ელანდება. აი, თურმე, სად ჰქონდა ძაღლის თავი ჩამარხული. უსმინეთ, უსმინეთ, რაებს ბოდავს?!

აღარც მხედრული ზათქი ერის ხმის.
აღარც ფრიალი ლომგულა დროშის...

გესმით, საიდან და როდიდან იხმის ნაციონალისტური ორგანიზაციების და პოლიტიკური ჯანყის შესაქმნელად მოხმობა?! ახლა, ამასაც დაუკვირდით, რას წერს?!

უკვე მითია ციხე ერისთვის,
მხედრულიც უქმად მოსჩანს ამ
დროში. —
ჩვენ გვამზადებენ სხვა სიმღერისთვის,
ხან ალმასკომში,
ხან რაიკომში...

გესმის? გესმის, ძვირფასო რობერტ?! მას არც ალმასკომი სდომებია, არც რაიკომი! არა, გესმის?! ვისთან გვაქვს საქმე! თუმცა, ჯერ სად ხარ?!

უკვე მითია ციხე ერისთვის,
უცხო მგზავრისთვის —
ბუტაფორია,
და უმტკიცესი ციხე მერმისის
ძალზე ძნელია,
ძალზე შორია...

აქ კი შეცდა! არც ისე ძნელი და არც ისე შორი გამოდგა ციხე! ენამ უყივლა! თვითონ მოხვდა შიგ! აღარც მითი და აღარც ბუტაფორია! ნამდვილი! საბჭოთა! მაგისთანებისთვის ზედ გამოჭრილი! მაგრამ... ახლა, ნახე, სად გარეკა?!

ქსანში ნაშალი ყრია თაღები
და სადაც სჭიდა წინაპართ ძალი,
იქ ახლა ყვავის ბაღჩა-ბაღები
მაჰმუდის, პაჯის, მამლუდის, ალის...

გამქრალა ციხის მცველთა სახელიც,
აღარსად ჯიშიც სილაღით მჩენი,
და ქსნის ჭალებში თათართ სახლები
წმინდა საფლავებს ტერფებით
ქელემენ.

ამას კომენტარიც არ სჭირდება, ყველაფერი დღესავით ნათელია, აქ უაშკარავესად დანახეულია არა მარტო ნაციო-

ნალისტური, არამედ კლასობრივ-სოციალური და რასისტული შხამი!

— რა საშინელებაა! ვინ იფიქრებდა?! — ამოიოხრა რობერტ ჰინჰიკაძემ.

— საოცარი მარტო ეს არ არის. მაგისი მამა ჯერ კიდევ ოცდასამ წელს წაეყინჩა ორჯონიკიძეს — საქართველოს მიწებს სხვებს რატომ აძლევთო. მისთვის აზერბაიჯანელები, სომხები თუ ოსები სხვები იყვნენ. ის ვინც იყო და რაც იყო, მაშინვე გაირკვა და კუთვნილი სასჯელიც მიეზღო. აქ კი, მისი ნაშიერი, იმაზე გვემდურის, ქართულ მიწაზე თათრებს რატომ ახარებთ, ჩვენს წმინდა საფლავებს აბინძურებენო... გესმით?! ასეთი სეპარატიზმი, ასეთი მტრობა მოძმე ხალხებისადმი, ასეთი... ასეთი... ეკონომიკური დივერსია! ბალჩა-ბაღები რატომ ყვავისო?! გესმით? ქვეყნად მოსავალი რომ იყოს, ესეც არ უნდა! ეს უკვე პოეტური ბოდვა არ არის. ეს პოლიტიკური პროკლამაციაა! — წამოიძახა პარტკომმა და, ახლა, პირდაპირ თვალებში შეაშტერდა თინათინს. — დარწმუნებული ვარ, ასეთებს არც დაგანახვებდათ. უთუოდ, ოჯახშიც შენიღბულად აწარმოებდა საბჭოთა სინამდვილის წინააღმდეგ იდეოლოგიურ დივერსიებს, როგორც ჩანს, კარგა ხნის წინათ, როგორც ჩანს, თქვენთან შეუღლებამდე. რადგან აქ თარიღებიც დაუსვამს, — ისევ რობერტ ჰინჰიკაძეს მიუბრუნდა და დაბეჯითებით თქვა, — უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელსაც ახლა, ჯარში ახორციელებდა, იქ, ამ ბოდვების ჟამს, მის ყმაწვილკაცობაში იბადებოდა.

პარტკომმა ნაწერი ფურცლები საქაღალდეში ჩააბრუნა, ამოიოხრა, დაჯდა და დიხჯი. მტკიცე კილოთი თინათინს მიმართა:

— ჩვენ გადმოგვცეს საჭირო მასალები, რადგან უახლოეს ხანს ლევან დავლიანის და სხვა უნივერსიტეტელი რეაქციონერ-ნაციონალისტების საკითხი საერთო-საუნივერსიტეტო კრებაზე უნდა გავიტანოთ. სასურველი იქნება, თქვენც თუ მიიღებთ კრებაში მონაწილეობას და თქვენი მხრიდან დაგმობთ მათ საქმიანობას... მე თქვენ მახსოვხართ, კარგად მახსოვხართ. ხომ ჩემი სტუდენტიც იყავით? პარტიის ისტორიის კურსს გიკითხავდით. პირველ კურსზე... კარგად მახსოვხართ, კარგი სტუდენტი იყავით. თუ არ ვცდები, ხუთოსნის დიპლომით დაამთავრეთ, არა? ხო, კარგი და ჭკვიანი სტუდენტი იყავით... თქვენი ბედი, რომ ახლა სხვა დროა და პარტია მეტ ლმობიერებას, ზოგიერთ შემთხვევაში, მეტისმეტსაც იჩენს. ეს თქვენ არ გეხებათ... და მაინც, სხვა დროს, თვითონაც მოგეხსენებათ, როგორც იყო და როგორც იქნებოდა... მჯერა და მინდა კიდეც ვირწმუნო, რომ თქვენ თქვენი ქმრის შენიღბული საქმიანობისა არა იცოდით... ძიება ჯერ ბოლომდე არ დასრულებულა, არც აქ, უნივერსიტეტში, და არც იქ... გირჩევთ, პირად ინიციატივობანას თავი დაანებოთ და საკუთარ თავს გაუფრთხილდეთ, შვილის დედა ხართ, დიახ, ვისაც დასჭირდებით და როცა დასჭირდებით, თვითონ გამოგიძახებენ... დიახ, რაც შეეხება ლევან დავლიანის ამბავს, იქ მიაკითხეთ, იქ, ხომ გესმით?!

გამომშვიდობებისას თინათინმა სრულიად უაზროდ რამდენჯერმე მადლობის სიტყვები ჩაიჩურჩულა და რაღაცნაირი ყრუ, მთელი არსების შემზარავი შიშით ატანილმა, თითქმის სირბილით გასწია სახლისკენ.

შინ მისული, ელისაბედსაც არ გალაპარაკებია, ლოგინზე დაეხარცხა. ვერ გაერკვეულიყო, ეძინა თუ გონწასული ეგდო ღამის დამდეგამდე. მას შემდეგ, რაც პარტკომის ნალაპარაკევიდან მიხვდა, რომ თვითონ მას არ ერჩოდნენ და, ჯერჯერობით, არ აპირებდნენ მის აყვანას, ლევანზე დარდი ლავასავით მოასკდა გულში. სწორედ ამ ლავამ დაახარცხა ლოგინზე ასე უგონოსავით. როცა გამოფხიზლდა, პირველი, რაც გაახსენდა, ლარბი იყო. უკვე შეეძლო ლარბი შინ დაებრუნებინა, სული მოეწურა, ისე მოენატრა. მაშინვე წამოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა. პირზე წყალი შეისხა და დედასთან გაიქცა.

დედას უკვე ლოგინში ჩაეწვინა ლარბი; საღამოს სიცხე მისცათ, უთხრა შეწუხებულმა. თინათინი გვერდით მიუჯდა ლარბის და რატომღაც მთელი სხეულის სინჯვა დაუწყო. მუდამ ანცი და ანჩხლი ლარბი განაბული და თვალებმოჭუტული ისე მალულად ადევნებდა თვალ-ყურს თინათინს, თითქოს არ უნდოდა შეემჩნევინებინა, რომ ხედავდა მის სულში აბორგვილ შიშს; თვითონ კი რაღაც ბუნდოვანი წუხილი უწიოდა ჯერ სულ პატარა გულის სიღრმეში.

●

ღამე გაიცრიცა. ოთახში უკვე რძისფერი გამოილვარა ფანჯრებიდან; თინათინი კი ისევ მაგიდასთან იჯდა და თუმცა დეპეშას მიშტერებოდა, მის თვალწინ ფოტოგრაფიული სისწრაფით მონაცვლეობდნენ წლების მანძილზე გულის სიღრმეში ჩაზმულ-ჩაგმანული გარდასული ცხოვრებიდან უეცრად და მტკივნეული სიაშკარავით ამოშუქებული სახეები. ისინი მოძრაობდნენ, ესაუბრებოდნენ და, ზოგჯერ, ისეთ შემთხვევებსაც ახსენებდნენ, რომლებიც სულ მთლად გადავიწყებოდა. გადაიკითხავდა ლარბის სიკვდილის მაუწყებელ სიტყვებს და, მერე, გაწამებული ფიქრით ისევ მიუბრუნდებოდა წარსულიდან მოდენილ სახეებს, რომლებიც, ხანმოკლე წყვეტის შემდეგ, ხან მაგიდის ზედაპირიდან, ხან ოთახის ჩაბნელებული შორი კუთხიდან, ხანაც დერეფანში გასასვლელი ღია კარიდან ამოცურდებოდნენ, ამოილანდებოდნენ, ამოიზრდებოდნენ. ამ სახეთა ხილვა ღლიდა, ტანჯავდა და ის კი, მაინც, თითქოს უხმობდა მათ და ისედაც დაძძიმებულ სულს თითქოს საგანგებოდ შანთავდა მივიწყებული ტკივილებით — თითქოს შვებას გვრიდა სულ მეტი და მეტი მტკივნეული მოგონების ცხადლივ განცდა — თავის თავს თითქოს სჯიდა შვილის სიკვდილის გამო. იმავ დროს, ცდილობდა, თავიდან მოეშორებინა ლარბის გარდა ყველა სხვა სახე, ყველა სხვა ფიქრი; ლარბის გარდა არ უნდოდა სხვა დაენახა, სხვა გაეხსენებინა. მაგრამ ლარბი თითქოს თვითონ, თავისთავად, სრულიად უნებურად იწვევდა ლევანზე და ლევანთან გატარებულ ცხოვრებაზე ნაღველს, თვითონ იწვევდა იმ გარდასული ცხოვრების მტანჯველ სახეებს; და ყველა ის სახე, მთელი ის ცხოვრება, თითქოს ლარბის სხივით იმსჭვალებოდა, — ის ყველგან იყო, ყველგან გაკრთებოდა — იქაც კი, სადაც, სინამდვილეში, არც არასდროს ყოფილა. ახლა ის ყველგან იყო და სადაც არ ჩანდა, იქაც იძროდა მისი სუნთქვა.

აი, ახლაც, თეთრად რომ ინათა, თინათინს თავისი თეთრი კაბა გაახსენდა; იქვე, გაკრთა მოღიმარი ლარბის სახეც; და იქვე — ლევანი...

ლევანმა განჯაში, სამხედრო სამსახურში მიღებული პირველი ხელფასით უყიდა ის თეთრი კაბა. ასე კაბა არ მოხდენია. ლარბიმ პირველად რომ დაინახა იმ კაბაში გამოწყობილი, თვალებდაჭყეტილს ლოყები აუჭარხლდა და წამოიძახა: „ჩემი დედიკო ყველაზე ლამაზია!“. მას შემდეგ, თუკი სადმე ერთად წავიდოდნენ, ლარბი იქამდე არ მოეშვებოდა, სანამ იმ კაბას არ ჩაიცვამდა.

იმ კვირა დღესაც, როდესაც შინსახკომში ლევანისთვის ამანათის წაღებად ემზადებოდა, თინათინმა ის კაბა ჩაიცვა. ასე გაიფიქრა, ეგებ, ლევანიც მანახოს; რატომღაც ისიც მოუნდა, ხალხში დაბეჩავებულის იერით არ გასულიყო. თითქოს საგანგებოდ, თითქოს ლევანთან შესახვედრად გამოეწყო თავის ყველაზე საყვარელ, ლევანის ნაყიდ კაბაში.

ქალბატონმა ელისაბედმა ვარია შეწვა და ბაჟას წვენში ჩააწყო საუკეთესო ნაჭრები. ქადი გამოაცხო, ყველი პიტნაში გადაზილა. ეს საჭმელი უყვარს ლევანსო, თქვა და სანოვაგე ჩანთაში ჩასდო. როდესაც თინათინი შინსახკომის საპატიმროს ამანათების მიმღებ ოთახში შევიდა, იქ უკვე ოცამდე ქალი

იდგა რიგში. ოთახში გარედან შესასვლელი კარის გარდა კიდევ ერთი, დაკეტილი, შიგნითა კარი იყო. იმ კარში გამოჭრილი იყო საკმაოდ დიდი სარკმელი ქვემოთ დატანებული ფიცრის რაფით. მას შემდეგ რაც მორიგე სარკმელში გამოჩნდებოდა და მექანიკურად, უხალისოდ და როგორღაც თითქოს დამამადლებლად დაიღრენდა „შემდეგი!“ — ქალები, რიგის დაცვით, ჩანთებიდან ამოალაგებდნენ და რაფაზე აწყობდნენ თავიანთი პატიმრებისთვის მიტანილ სანოვაგეს. თინათინმა შენიშნა, რომ ყველა მხოლოდ ქაღალდში გახვეულ საჭმელს აფენდა რაფაზე, რომ არც ერთს ქვაბი ან ჯამი არ ჰქონია, მაგრამ ამაზე ყურადღება აღარ გაუმახვილებია. ამანათების მისაღები ოთახი უსიამოვნო შეგრძნებას ჰგვრიდა. ოთახი ასანთის კოლოფს ჰგავდა და თითქმის სრულიად ცარიელი იყო. მხოლოდ ერთ მხარეს, კედელთან, ვიწრო სკამმერხი იდგა და მის ზემოთ სტალინის სურათი ეკიდა. სკამმერხზე ორი მოხუცი ქალი იჯდა, რომლებსაც დიდხანს ფეხზე დგომა უჭირდათ. უსიცოცხლო უაზრო გამომეტყველებით მიჩერებოდნენ იატაკს და მხოლოდ ზოგჯერ გახედავდნენ ერთმანეთის უკან ჩამწკრივებულ ქალებს, ჩვენმა რიგმა ხომ არ მოაწიაო. მიუხედავად იმისა, რომ ამდენ ქალს ერთად მოეყარა თავი, ოთახში სიჩუმე იყო. დუმილს მხოლოდ მორიგე-მიმღების ღრენასავით ხმა არღვევდა — „შემდეგი“. თინათინის უკან კიდევ რამდენიმე ქალი ჩადგა რიგში. რიგი უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე ილეოდა. უცებ, ახლად მოსულ ქალებს შორის თინათინმა კაცაძის ცოლი დაინახა; შორიდან გაუღიმა და მასთან გასაუბრებაც გადაწყვიტა; მაგრამ კაცაძის ცოლმა ჯერ ბრაზიანად შეანათა თვალები და, მერე, ცივად და სწრაფად შებრუნდა. თინათინს სახეზე ღიმილი შეაშრა; გაუკვირდა; გაიფიქრა, ნეტავ, რაზე შემდურისო და შეეცადა, გაეხსენებინა, წარსულში რაიმე საწყენი თუ მომხდარა მათ შორის. თვალები მილულა და ისე დაიწყო კაცაძის ცოლთან მისი შეხვედრების და, საერთოდ, მასთან ურთიერთობის გახსენება. არა, არასოდეს ყოფილან იმდენად დაახლოებულ-დამეგობრებულები, რომ რაიმე მნიშვნელოვანი და თვით ასეთ ვითარებაშიც გულში ხინჯად ჩასატოვებელი საწყენი სიტყვა ეთქვა მისთვის ოდესმე, სინამდვილეშიც, არც არასდროს შელაპარაკებულან.

თვალებმილულული რომ იდგა და კაცაძის ცოლთან წარსულში მის ურთიერთობებს იხსენებდა, უცებ, ზედ ყურთან მოესმა „უი, თინიკო“ და მკლავზეც ვიღაცის ხელი შეეხო. თვალები გაახილა და მის გვერდით გიორგი ჭედიას, ლევანის უახლოესი მეგობარი პოეტის და, მზია დაინახა. ერთმანეთს გადაეხვივნენ. მზიას ცრემლი მოადგა.

— მე კი, ეს დღეები აქ ერთხელაც რომ ვერ გნახე, ვიფიქრე, ლევანი... — მზიას უნდოდა ეთქვა, ლევანი ამათ გადაურჩაო, მაგრამ დროულად შეწყვიტა სიტყვა, — როდის?

— ესეც არ ვიცი. გასულ შაბათს, შუადღისას, ჩვენს სახლთან გამომემშვიდობა და სასწრაფოდ სადგურში გაქანდა, გორში გასამგზავრებლად. ის კი ვიცი, რომ იმავ შაბათ დილას, მანამდე, უნივერსიტეტის ბაღში ვისხედით, დათიკო ფანცულაია გამოჩნდა და შენი ძმის, საბაშვილის, კაცაძის და, მგონი, კიდევ რამდენიმე ლევანის მეგობრის აყვანა გვაცნობა. ლევანს ელდა ეცა. ხო, მანამდე ის მითხრა, შაბათს საღამოს ან კვირას თბილისში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ხოდა, დათიკომ ეს რომ აცნობა, ლევანმა მაშინვე გორში დაბრუნება გადაწყვიტა. რაღაც-რაღაცები კიდევ იყო. შინ რომ ვბრუნდებოდით უნივერსიტეტიდან, ჩვენს სახლთან ფარაჯიანი ჯარისკაცი დაინახა და ძალიან არ ესიამოვნა მისი დანახვა. ახლა, აქ ყველაფერს ვერ მოგიყვები. მთავარი ის არის, რომ შაბათს გაემგზავრა გორში და, მის მერე, გუშინდელ დღემდე, მისი ამბისა დაზუსტებით არაფერი ვიცოდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გორში კი არა, ჩემი ძმის და სხვების აყვანა თუ გაიგო, სადმე უნდა... — ისევ შუა გზაზე შეწყვიტა სიტყვა მზიამ და მიმოიხედა. — გორში რაღაზე ბრუნდებოდა?

— საბრძოლო ხაზზე ეგებ გავაღწიოთ.

— ვაი, დედა, ამათგან სადმე...

— შენ ის მითხარი, უკან რომ დგას, კაცაძის ცოლი არ არის? ხომ არ მეშლება? — ჰკითხა თინამ, რომ საუბარი რაიმე სხვაზე გადაეტანა.

— კი, ისაა.

— მივესალმე, ჯერ ბრაზიანად მომაჩერდა და მერე სახე ამარიდა.

— ნუ მიაქცევ ყურადღებას, მგონი, ჭკუას ასცდა ან რაღაც ამგვარი. მაგ ხომ ჩემთან ერთად სწავლობდა სკოლაში, ერთ მერხზე ვისხედით. ეს უბედურება რომ გვეწია, პირველად მაგასთან გავქანდი. ვიფიქრე, მივუსამძიმრებთ ერთმანეთს და საუბარში გულს გადავაყოლებთ-მეთქი, რომ დამინახა, კარშივე მიკივლა და შინ არ შემიშვა — ჩემი ქმარი შენმა ძმამ და მისმა მეგობრებმა დამიღუპეს, ჩაითრიეს...

— საწყალი, — ჩაიჩურჩულა თინათინმა და გული მოეწურა: ლევანის თავს დატეხილ უბედურებაზე ფიქრისას, ისიც, ზოგჯერ, სხვებს აბრალებდა რაღაც სახიფათო საქმეში მის ჩათრევას, ახლა, ეს რომ გააახსენდა, მზიას უთხრა, — არაფერია, ადამიანს სჩვევია საკუთარი უბედურების სხვებზე გადაბრალება. არავის უნდა, საკუთარი მიზეზით ჩათვალოს თავი გაუბედურებულად.

— კი, მესმის, ასეა ეს. მაგრამ მაგ გოგო... მაგას ნამეტანი მოუვიდა და, მისმა მეზობლებმაც თქვეს, ცოტა ვეღარ არის კარგადო.

— ღმერთმა დაიფაროს. ორი შვილი ჰყავს, არა?

— ხო, ერთცახე. მეც უკვე აღარ მწყინს მაგისგან მაშინდელი საქციელი. ოღონდ პირველად კი გავმწარდი, ისედაც გამწარებული... ახლა მეცოდება, რომ იცოდე, როგორ მეცოდება... უჰ, რა გამეხარდა, რომ გნახე...

თინათინს გაეღიმა.

— რა ვთქვი, რა სისულელე, ნეტა აქ არ შემხვედროდი ლევანისთვის მოსული, ის მინდოდა მეთქვა, შენი ნახვა გამეხარდა...

— მესმის, მზია, მეც გამეხარდა შენი ნახვა, ძალიან.

— აქამდე იმიტომ არ გინახულე შინ, რომ, მეგონა, სხვანაირად იყო საქმე და იქით შენზე ვიყავი ნაწყენი, რატომ არ მნახა-მეთქი, რა დროს ვინმეზე წყენაა, ჩვენს მდგომარეობაში, მაგრამ, მაინც...

— კარგიც გიქნია, რომ არ მოხვედი ჩვენსას. მე მგონი, არცაა საჭირო ჩვენს შორის, ესე იგი, დაპატიმრებულთა ოჯახებს შორის ზედმეტი მიმოსვლა... თანაც, ბინა გაგვიჩხრიკეს.

— ჩვენც... გიორგის ნაწერები წაიღეს, რაღაც წიგნები... ვინ დაასმინა, ნეტავ, ვიცოდე...

— მაგაზე არ უნდა იფიქრო, მზია. მაგის ცოდნაც არ უნდა იყოს ჩვენთვის მაინცდამაინც საჭირო და სასარგებლო... ერთი კი უნდა გჯეროდეს და მეც ასე მჯერა, ლევანის და გიორგის ახლო მეგობრებს შორის ასეთი არავინ იქნებოდა, სხვებიც იყვნენ, — ეს რომ თქვა, თინათინს მაშინვე მის სახლთან ჯარისკაცის ფარაჯაში დადარაჯებული აფიორიძე და საათიშო სტენდიდან მისი ქურდული გამოხედვა გაახსენდა.

— თუ შევიტყე, ვინ გასცა და დაასმინა, ფრჩხილებით ამოვთხრი თვალებს...

— არცაა საჭირო ჩვენთვის ამის ცოდნა, ალბათ, არც ვიცნობთ. მთავარი ისაა, რომ ეს უბედურება გვეწია და, ახლა, ისიც რომ არ ვიცით, რა გააკეთეს, რა მოელით, რას მიუსჯიან...

— რა უნდა მიუსაჯონ, რა, როცა, სინამდვილეში, არც არაფერი უქნიათ ისეთი, რასაც საქმე და გაკეთება ჰქვია?! მათმა უფროსობამ, თავიანთ პოლკებში, არც არაფერი იცოდა, ისე აუყვანიათ, ასე მომწერა ავჭალიდან გიორგის ერთმა მეგობარმა, თვითონ დაუნახავს, შინსახკომის სამ ოფიცერს, გიორგი როგორ გაუჩერებიათ ხიდთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი თურმე მარტოკა გადმოდიოდა ხიდზე. ხოლო იმათ წაუყვანიათ. მე მეორე დღესვე წავედი ავჭალის ყაზარმებში, ვინახულე გიორგის პოლკის უფროსი და იმანაც ასე მითხრა. ჩვენ არაფერი ვიცით და ჩვენ ვართ გაბრაზებულები. ჩვენს დაუკითხავად და ჩვენთვის შეუტყობინებლად, ჩვენი ოფიცერი რატომ დააპატიმრესო. როგორც გავიგე, საბაშვილიც და კაცაძეც ზუსტად ასევე დაუკავებიათ. ლევანსაც ასე აიყვანდნენ.

— რა უცნაურია? რატომ რა ქნეს?

— აკი გითხარი, არაფერიც არ უქნიათ. მე ვიცი, რამე რომ ექნათ ან თუნდაც დაეპირებინათ რამის გაკეთება, განა სამხედრო ნაწილში ვერ შენიშნავდნენ? იქ რა, ცოტაა სამხედრო წესრიგზე და უსაფრთხოებაზე დადარაჯებული თვალი? შენ, ალბათ, ლევანი არაფერს გეუბნებოდა, გიორგი კი, ზოგჯერ, გამანდობდა რაღაც-რაღაც მოსაზრებებს. მაგათ ჰიტლერის ხელში საქართველოს გაბითურებულად ჩაგდება არ უნდოდათ, ფაშისტები რომ შემოვიდოდნენ, იმათ წინააღმდეგ შეიარაღებული სამხედრო ფარული ორგანიზაცია უნდა აემოქმედებინათ, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ და მთელი ქართველი ხალხი აემხედრებინათ ფაშისტების გასარეკად. ახლა არაა ამის სალაპარაკო ადგილი და დრო, მერე, თუ დაგვცალდა, აგიხსნი ყველაფერს. შენ, ალბათ, ჯერ სასამართლოშიც არ მიგიკითხავს...

— არა.

— არც ის იცი, ვინ არის გამომძიებელი ამ საქმის. საქმე სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს. გამომძიებელი შინსახკომიდან არის, ვინმე კაპიტანი მარქარიანი, მდივანი ვართანოვი.

— მანდ, რა, სულ სომხები მუშაობენ?

— აბა?! არ იცოდი? იმას შემდეგ, ერთმა ქართველმა ჩეკისტმა რომ ვერ გაუძლო საკუთარივე ხელით ქართველების ტანჯვას და მესამე სართულის ფანჯრიდან ქვაფენილზე დაენარცხა... ოციან წლებში მოხდა ეს, შენც გექნება გაგონილი, თბილისში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამაზე... ხოლა, მას შემდეგ, ჩვენს შინსახკომში, უპირატესად, სომხები და სხვა ჯურის ხალხი დააყენეს... მარტო ჩვენთან კი არა, ყველა რესპუბლიკაში ასეა...

— შენ რა იცი?

— ვიცი, ასეა ეს. ქართველს ქართველის, რუსს რუსის, სომეხს სომეხის, უკრაინელს უკრაინელის წამება და გაწირვა უფრო გაუჭირდება, თანაც, ძალიან შესამჩნევი რომ არ გამხდარიყო ეს ხრიკი, უმეტესობას გვარები შეუცვალეს...

— ვაი ჩვენს თავს!

—ამათ ხელში, რა ხანია, ჩვენს თავს ვაიც არის და ვუიც...

— ჩუ, ქალო, — თინათინმა მიმოიხედა, ხომ არავინ გვაყურადებსო, — შენ ეს მითხარი, სასამართლო იქნება?

— კი, უახლოეს ხანს, ამ დღეებში სამხედრო პროკურორს ელოდებიან მოსკოვიდან.

— საქმისა ჯერ არაფერი იცი?

— დაზუსტებით არაფერი, საიდან?! რამდენს არ ვეცადე და, მარქარიანი ვერა და ვერ ვნახე, არ მიმიღო. სცადე შენ, ეგებ გაგიმართლოს. მდივანი ვართანოვი კი გულთბილად შემხვდა, მაგრამ... ვართანოვზე არაფერი არაა დამოკიდებული, თანაც, მართალს იქ ძნელად თუ გეტყვის ვინმე.

— მაშ, აზრი არა აქვს, მეც რომ მივაკითხო?

— რატომ, სცადე მაინც, ცდა ბედის მონახევრეაო, თუმცა, სადღაა ბედი. ახლა კი უნდა წავიდე, ისედაც დამაგვიანდა. სამსახურიდან ძლივს დავეთხოვე, რომ ამანათი მომეტანა. დედა ლოგინად ჩავარდა, მისი მიმხედავი, ჩემს გარდა, არავინ დაგვრჩა... წავედი, თინიკო, რა დრო დაგვიდგა, ერთმანეთის მონახულებაც გვიჭირს, რომ იცოდე, როგორ მინდა შენი ბიჭის ნახვა, ალბათ, ძალიან გაიზარდა, რამდენი ხანია, არ მინახავს... თუ კეთილად მიწყნარდა ყველაფერი და გადავურჩით ამ ოромტრიალს, მოვალ და გნახავ... ეჰ, შვილი მაინც მყოლოდა... ღმერთმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქნას, ჩვენ თუ არა, ლარბიმ მაინც შვებით ისუნთქოს ამქვეყნად... ღმერთმა ქნას... მშვიდობით მენახე.

თინათინმა თვალი კარამდე გააყოლა მზიას, ხელი დაუქნია და, შემობრუნებისას, მზერა კაცაძის ცოლს შეავლო. კაცაძის ცოლი, ბრაზიანად კრიჭაშეკრული, გაყინული თვალებით ჰერს მიშტერებოდა.

თინათინის რიგმა რომ მოაწია, მანაც, სხვებსავით, სარკმლის რაფაზე დაალაგა, რაც კი ლევანისთვის გადასაცემად მოეტანა. მორიგემ სარკმლის შიგნიდან წვრილი, შავი ბურთულებივით თვალების მზერა დაასო, პატარა ქვაბს მოჰკიდა ხელი, ხუფი მოხადა, ჩახედა, შეანჯღრია ბაჟას სითხე; ისევ შეხედა თინათინს, ჩოფურა, ხმელი სახე ბოლმიანად დაეძაბა, ნაჭრილობევი ზედა ტუჩი აუთამაშდა, „რა არის ეს!" — ტყვიასავით ამოისროლა ეს სიტყვები და ხელების სწრაფი მოძრაობით ქვაბი თინათინისკენ მიმართა — კი არ მიაწოდა, ხელებში კი არ ჩაჩარა, — ხელებში ქვაბს ვერც ჩაჩრიდა, რადგან თინათინი უკვე მკლავებჩამოყრილი და დამნაშავესავით აძურწული იდგა, — მორიგემ ქვაბი თინათინს, მკერდს ქვემოთ, ზედ მუცელთან მიაბჯინა, ლამის მიახეთქა და იქვე ხელი შეუშვა. თინათინმა ინსტინქტურად ხელის შეშველება კი სცადა, მაგრამ ვერ მოასწრო: ქვაბი მხოლოდ კაბის კალთასთან დაიჭირა, უკვე ნახევრად გადაბრუნებული. ბაჟას წვენი კაბის კალთაზე მიესხა, ნარჩენი ხელის მტევნებზე ჩამოეწურწურა. მორიგემ გონს მოსვლა არ დააცალა თინათინს, ბრაზიანად დაკრეჭილი კბილებიდან, ავტომატის ჯერივით, გამოსცრა: „რამდენი! რამდენი! რამდენი გაგაფრთხილო! წვნიანი არაფერი ვლებულობთ! თუ ასე იქნება, სულ აღარა მიიღება ამანათები!". თინათინის უკან მდგარმა ქალმა სცადა მორიგეს დაშოშმინება, ხვეწნით უთხრა: „ამხანაგო მამედ, ჩვენო ძვირფასო, ამან არ იცოდა, ალბათ, პირველად მოვიდა, გვაპატიე, გვაპატიე...". თინათინის უკან მდგარი ქალები აჩოჩქოლდნენ. თინათინმა შიშით და თან გაოცებით ახედა მორიგეს. ქალის მიუმხვდარმა მზერამ ის კიდევ უფრო გააცოფა.

— რაო, კიდევ გაგიმეოროთ?! — ერთხელაც მიახალა და ისე მოშორდა სარკმელს, თითქოს შეუგნებელ, უწესო დედაკაცთა ყურება აღარ შეეძლო.

„ვაიმე, მართლა რომ აღარ მიიღოს ამანათები და წავიდეს", — ავიშვიშდა ერთი ქალი. „არა, სარკმელი ხომ არ მიუხურავს", — დაამშვიდა მეორემ. „მაგის სინსილა გაწყდა, ისე გვამადლის ამანათების მიღებას ეს თათარი, თითქოს საკუთარი ნებით და გულკეთილობით გვემსახურებოდეს", — წყევლასავით მოისმა მოშორებით, კედელთან მიდგმული მერხიდან ერთ-ერთი მოხუცის ამოკვნესა. „ჩუ, ქალო, არ გაიგოს", — ჩასჩურჩულა მეორე მოხუცმა ქალმა. „მე აღარავის აღარ მეშინიან და აღარც არავინ შემრჩა, რომ იმის გამო გავფრთხილდე და ენას კბილი დავაჭირო... სამაგისო კბილებიც კარგა ხანია მომიცვთა და კიდეც ჩამომივარდა", — არ ცხრებოდა მორიგეს უზეშობით მოთმინებიდან გამოსული მოხუცი და ჯიბრზე თანდათან ხმასაც უმაღლებდა.

თინათინი იატაკზე მიმობნეული ქათმის ნაჭრების კრეფას შეუდგა. აქეთ-იქიდან ქალებიც შეეშველნენ. იატაკიდან აკრეფილი ნაჭრები ცხვირსახოცით გადაწმინდა; გახსნა ქილოლდი, რომელშიც მჭადი იყო გახვეული; ქათმის ნაჭრები მჭადს გვერდით დაუწყო. მორიგე მობრუნდა სარკმელთან. თვალი შეავლო რაფაზე დალაგებულ სანოვაგეს, მჭადი რამდენიმე ადგილას გადატეხა. სანამ ამანათს გაიტანდა, სარკმლიდან ტილო გადმოისროლა იატაკზე და დაიძახა: „გაწმინდე, რაც მოსვარე! მაშ, თქვენი ჩაგავი, რა, მამედოვმა გაწმინდოს?! წყალი გარეთ მოდის! ტილოც, მერე, გაირეცხოს და სუფთად ჩამაბარო!".

თინათინმა იატაკი სასწრაფოდ მოწმინდა; ონკანთანაც საგულდაგულოდ გაავლო წყალში ტილო და გაწურა;

ცხვირსახოციც იქვე გაირეცხა. ტილო რომ დაუბრუნა მორიგეს, ბოდიში მოუხადა შეწუხებისთვის ყველას და, როცა გავიდა და ოდნავ დასცილდა შინსახკომის შენობას, მხოლოდ მაშინ გაბედა, ყელში მოწოლილი ცრემლისთვის ავალა მიეცა. უცებ ვიღაც ოფიცერმა ჩაუარა გვერდში და თითქოს წყრომით გადახედა. თინათინმა სველი ცხვირსახოცი სახეზე და შუბლზე მოისვა და ოდნავ გონს მოეგო. „ჩემი ბრალია, მეკითხა ვინმესთვის, რისი გადაცემა შეიძლება და რისი არა", — მორჩილად უსაყვედურა თავის თავს და თვალებზე ისევ მოადგა ცრემლი.

ის იყო, რუსთაველის გამზირზე გავიდა, რომ პირდაპირ შეეჩეხა უნივერსიტეტის მხცოვან პროფესორს, არნოლდ ჩიქოვანს, რომელიც ენათმეცნიერების ლექციებს უკითხავდა. არნოლდ ჩიქოვანმაც იცნო თინათინი; ის ლევანს კარგად იცნობდა და, მისი დაპატიმრების ამბავიც გაგონილი ჰქონდა. შეჩერდა, მისალმებისას შლაპა მოიხადა და შეწუხებულმა ჰკითხა:

— იქ იყავი, შვილო?

— დიახ, ბატონო არნოლდ. ამანათი წავუღე ლევანს.

— მერე, რა არის ეს? — არნოლდ ჩიქოვანი კაბის კალთაზე მიაშტერდა წამით და ისევ ნამტირალევ თვალებში ჩახედა.

თინათინი ისე დაიბნა და ისე დაიხედა კაბაზე, თითქოს აქამდე არ იცოდა, რომ კალთები ბაჟას წვენში ჰქონდა მოთხვრილი. მართალია, ონკანთან წყლით მოწმინდა ის ადგილები, მაგრამ მოყვითალო ლაქები მაინც დარჩენილიყო ჯერ შეუმშრალ ქსოვილზე. ჯერ შერცხვა, ბატონმა არნოლდმა ასეთ დღეში რომ დაინახა. მერე, უცებ, ისეთმა შეგრძნებამ შეაძრწუნა, თითქოს პატივახდილი, ძალადობით შეურაცხყოფილი იდგა მის წინაშე.

— რამეთი ხომ არ შემიძლია დაგეხმაროთ? — ჰკითხა არნოლდ ჩიქოვანმა.

— არა, გმადლობთ, მაპატიეთ... ეს შემთხვევით გადამესხა... მაპატიეთ... მშვიდობით, ბატონო არნოლდ. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა თინათინმა და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა.

გამზირი იქვე კავშირგაბმულობის შენობასთან გადაკვეთა და ჯორჯიაშვილის დაღმართით დააპირა შინისკენ ისეთი ქუჩებით გასვლა, სადაც ნაკლები ხალხი მიმოდიოდა.

რამეთი ხომ არ შემიძლია დაგეხმაროთო, — გაიმეორა თავისთვის მოხუცი პროფესორის თავაზიანი შეკითხვა და სიმწრით გაეღიმა.

უნივერსიტეტის პარტკომის გაფრთხილების მიუხედავად, — ამ საქმეში მაინცდამაინც დიდ დაინტერესებას და პირად ინიციატივას ნუ გამოიჩენთო, რომ ურჩია, — თინათინს გულმა არ მოუთმინა და შინსახკომის კაპიტანს მარქარიანს მიაკითხა, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა. კაპიტანმა მარქარიანმა თინათინი არ მიიღო. რაც შეეხება სასამართლოს მდივანს, ვართანოვს, ის თავაზიანად შეეგება თინათინს, — მართალია, წამიწამ მარტოკას ტოვებდა ოთახში, მაგრამ როცა კი ბრუნდებოდა, არც დროს და არც სიტყვას არ იშურებდა მასთან სასაუბროდ. თინათინის ზოგიერთ შეკითხვაზე როგორიღაც საიდუმლო იერს მიიღებდა, თაფლისფერ კრიალა თვალებს აქეთ-იქით გააცეცებდა და ჩურჩულით გაანდობდა საქმის ამა თუ იმ, ვითომც დაფარულ და არსაგზით არსათქმელ დეტალებს. ვართანოვისგან თინათინმა შეიტყო, რომ ლევანთან ერთად კიდევ ოცდათექვსმეტი ქართველი ოფიცერი და ჯარისკაცი ჰყავდათ დაკავებული ერთსა და იმავ საქმეზე; ოცდაჩვიდმეტივეს ბრალად ედებოდა შეიარაღებული აჯანყების მზადება, საქართველოს ფარგლებში სამხედრო გადატრიალების მოხდენის სურვილი და, ამდენად, საბჭოთა კავშირის ღალატი; ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ მათი ორგანიზაცია, წინასწარი ძიებით, ფაშისტურადაც იყო მიჩნეული, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ქართველ ფაშისტთა ჯგუფი.

— არა, ძიება ჯერ ბოლომდე არ მიუყვანია ჩვენს კაპიტანს, მაგრამ... ზოგის ჩვენება.. ზოგიერთი მასალა... არა, წინასწარ გულს ნუ გავიხეთქავთ, რადგან, შესაძლოა, ყველაფერი შეატრიალოს რაიმე მოულოდნელმა, სულ უმნიშვნელო დეტალმაც, — ყველაფერ ამას ვართანოვი ისეთი დაამებით, ისეთი თავაზით ეუბნებოდა, თითქოს წვრილმანი ხულიგნობისთვის დაკავებული ყმაწვილკაცების წინდაუხედაობას და ცუღლუტობას განუმარტავდა იმის დანუგეშებით, რომ ასეთი რამეები ხდება ხოლმე და, თუ ახლა უნდა დაისაჯოს მათი უსაქციელობა, ეს ისევ და ისევ იმათ საკეთილდღეოდ, რომ მომავალში უფრო გონივრულად მოიქცნენ. თინათინისათვის საიდუმლო იერით განდობილ თითოეულ საშინელ ბრალდებას აკი დასძენდა კიდეც ხელის ჩაქნევითა და თვალების ეშმაკურად ალიცლიცებით: — ეს არაფერი, მასეთები გვინახავს, ეს არაფერი, ეგებ, ციხეც არ მიუსაჯონ. სხვა დროა ახლა.

ვართანოვის მიერ განდობილ საქმის არსსა და მის გამომეტყველებას შორის შეუსაბამობამ ისე დააბნია თინათინი, რომ, წამით, კინაღამ თავბრუ დაეხვა. რომ უსმენდა და უყურებდა, ერთი ორჯერ იმ აზრმაც გაუელვა, ეს კაცი ხომ არ დამცინისო. მართლაც, ვართანოვი საუბარში, აქა-იქ, ხუმრობებსაც გაურევდა და როცა ემშვიდობებოდა, მაშინაც ხუმრობის კილოთი დასძინა:

— ხო, მართლა... რა სასაცილოა! რა გულუბრყვილობაა! საქმის ზოგიერთ მონაცემს თუ დაუჯერებს კაცი, მინისტრთა პორტფელებიც უკვე დანაწილებული ჰქონიათ. ჰა? ეჰ, ომი, ომი! ბევრს ურევს გზა-კვალს, ბევრსაც ჭკუას! ეჰ, ახალგაზრდული ოინები?! რას იზამთ, უნდა ვიმედოვნოთ, უნდა ვიმედოვნოთ. არა მგონია, სერიოზულად მიიღოს გამოძიებამ ეს ყველაფერი. არც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ასეთი სისულელეების სერიოზულად განსჯა? მთავარია, პროკურორი! ხვალ თუ არა, ზეგ პროკურორი ჩამოვა. პროკურორია მთავარი!

თინათინს შიშის ზარი მხოლოდ მაშინ დაეცა, როდესაც ვართანოვის ოთახიდან გავიდა და, შინისკენ მიმავალმა, მთლიანობაში გაიაზრა ყოველივე, რაც მისგან გაიგო. მიხვდა, რომ ვართანოვის მანუგეშებელი კილოც, თაფლისფერი თვალების მოალერსე ლიცლიციც, თანაგრძნობით და მიამიტურად მოღიმარე სახეც — იყო არა მარტო ტყუილის, არამედ დაცინვის ნიღაბიც. იმასაც მიხვდა, რომ გამომძიებელი მარქარიანის რუდუნებით ლევანისა და მისი მეგობრების საქმე ბევრად გასცილებოდა სამხედრო დანაშაულებრივ სფეროს და, ამდენად, გამოძიებით წაყენებულ ბრალდებათა სამართლებრივ შეფასებაშიც და განაჩენის გამოტანაშიც, სამხედრო პროკურორს ვერანაირად ვერ ექნებოდა მიკუთვნებული გადამწყვეტი სიტყვა. საქმეში, ალბათ, სამხედროზე უფრო მეტად, სხვა საბრალდებო მასალები ჭარბობდა. მარტო უნივერსიტეტის პარტკომის ხელთ არსებული მასალებიც საკმარისი აღმოჩნდებოდა იმისთვის, რომ ლევანი სახელმწიფო დამნაშავედ ეცნოთ. სამხედრო გადატრიალებაო?! რა სისულელეა? სად? ჯარში?! რა ძალებით — ოცდაჩვიდმეტი კაცით?! არა, დანაშაულს კი დაუდასტურებდნენ, მაგრამ — სასჯელი? რა ზომის? რანაირი? ვართანოვის თქმისა არ იყოს, ხომ შეიძლება, რაღაც მოულოდნელი წარმოჩნდეს, რაღაც უბრალო დეტალმა შეცვალოს ვითარება და სასჯელის შესამსუბუქებლად იმოქმედოს. ლევანი ხომ, მაინც, სამხედრო პირია და სამხედრო პროკურორიც ხომ ანგარიშგასაწევი ძალაა სამხედრო სასამართლოზე?!

თინათინმა როგორღაც უნებურად დაუწყო საკუთარ თავს დამაიმედებელი მოსაზრებების შეგროვება, რომ სულ მთლად არ მოქცეულიყო უსაშველო სასოწარკვეთის ტყვეობაში, ლევანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისი მეგობრებისადმი გამოძიებით წაყენებულ ბრალდებებშიც ცხადზე უცხადესი ალოგიკურობა დაინახა: რანაირად შეიძლებოდა მათთვის „ფაშისტური ჯგუფის“ შერქმევა, თუკი მათი სამომავლო სამოქმედო გეგმა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლასაც მოიცავდა? თინათინმა თუ დაინახა ეს შეუსაბამობა, პროკურორი და მოსამართლეები ვეღარ შენიშნავდნენ? სასამართლოში მარტო მარქარიანი ხომ არ იმეფებდა? სამხედრო სასამართლოზე განაჩენს ჩეკისტები ხომ ვერ გამოიტანდნენ? „ხომ იქნებიან სამხედრო მოსამართლენიც? იქნება სამხედრო პროკურორიც. ომია და, სამხედროებს აღარ მოეკრძალებიან?“. თინათინი უკანასკნელი საშველივით ებღაუჭებოდა სამხედრო პროკურორის მოლოდინთან დაკავშირებულ იმედს.

ცენტრიდან ჩამოსული სამხედრო პროკურორი რეშეტნიკოვი, შუახანს გადაცილებული, სანდომიანი გარეგნობის, ზრდილი კაცი იყო და მოსაცდელში მჯდარი თინათინი მან თვითონ შეიპატიჟა მისთვის მიკუთვნებულ კაბინეტში სასაუბროდ. საუბარიც თვითონ დაიწყო, ძალიან უბრალოდ და ყოველგვარი ნათამაშევი გულთბილობის გარეშე:

— მე თქვენი ქმარი უკვე ვნახე და გავესაუბრე, — უთხრა და სკამი შესთავაზა თინათინს, — ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. იერითაც და სულითაც რაინდი კაცია. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მპასუხობდა, არავითარი გასაძრომ-გამოსაძრომების ძებნა არ უცდია. გამოგიტყდებით, დიდი ხანია ასეთი პირდაპირი, ზრდილი და გონიერი ოფიცერი არ შემხვედრია პატიმრობაში.

პროკურორმა მარცხნივ ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და საწერ მაგიდასთან დაჯდა.

— მისი პოლკის ხელმძღვანელობასთანაც მქონდა საუბარი და, არ დაგიმალავთ, ცუდად არ დაუხასიათებიათ. სამხედრო საქმის მხრივ ფაქტიური დანაშაული არ ჩანს. ყველაზე ზუსტი ცნობები, ჯერჯერობით, თვითონ თქვენმა ქმარმა მომცა. დაუფარავად მითხრა ყოველივე. სხვა პატიმრებთან გასაუბრებამაც დამარწმუნა, რომ საბუზე მხოლოდ განზრახვა, შეიძლება ითქვას — ოფიცერთა და ჯარისკაცთა ერთი ჯგუფის მიერ დასახული პოლიტიკური ხასიათის იდეა. ეს იდეა მათ უნდა განეხორციელებინათ იმ შემთხვევაში, თუკი ფაშისტები კავკასიაში და საკუთრივ საქართველოში შემოვიდოდნენ. ხსენებულ შემთხვევაში, მათ აქტიური ორგანიზაციული მუშაობა უნდა გაეშალათ საქართველოში ეროვნულ-დემოკრატული პარტიის სახელით, გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა და ემოქმედათ ფაშისტთა განსადევნად საქართველოდან. რომანტიკული იდეაა, ცხადია, მცდარია თავისთავადაც და განსახორციელებლადაც შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ გერმანელებს კავკასიაში არ შემოუშვებენ ჩვენი ჯარები. როგორც პოლიტიკური იდეა, იგი მკრეხელურია, საბჭოთა სინამდვილისადმი, მაგრამ, მაინც, სამხედრო სამართლებრივი თვალსაზრისით, იგი რეალურ და მძიმე დანაშაულად ვერ ჩაითვლება. დანაშაულია თვით ჯგუფის, ერთგვარი პოლიტიკური თანამოაზრეების ერთ ჯგუფად შეკვრა საბჭოთა ჯარის შიგნით და, ამით, გარკვეული სახის, თუნდაც სულიერ-აზრობრივი ფორმით, მთელი პოლკის სამხედრო-პოლიტიკური სულისკვეთებისგან გამიჯვნა. აი, ამისთვის კი უსათუოდ არ ასცდებათ სასჯელი.

— როგორ ფიქრობთ, რას მიუსჯიან? — კითხვა შეაგება თინათინმა.

— ძნელია წინასწარ თქმა. შეიძლება ვივარაუდოთ საჯარიმო ბატალიონი ან ციხე ხუთი-ათი წლით. ოღონდ, გამოგიტყდებით, საქმეს კარგად ვერ გავეცანი, გუშინ ჩამოვედი. ხვალ კი სასამართლო იწყება. ვნახოთ, რა ბრალდებებს წამოაყენებს გამოძიება და რანაირად წარმოჩნდება საქმე. არა მგონია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკაცრი დასჯის მოთხოვნები წამოაყენონ. მე კი, სიტყვას გაძლევთ, როგორც სამხედრო პროკურორი, ჩემი მხრიდან, არ მოვითხოვ იმაზე მეტი სასჯელის დაწესებას, რასაც ისინი დაიმსახურებენ საქმის მიხედვით. ისედაც ბევრი უბედურებაა გარშემო და მათაც თავიანთი უბედურება ეყოფათ.

პროკურორთან საუბრის შემდეგ თინათინი ოდნავ დამშვიდებული, დაიმედებულიც კი დაბრუნდა შინ და გულში იმეორებდა: „ნეტაი ციხე მიუსაჯონ, თუნდაც ათი წლით, თუნდაც ოცი წლით... ოღონდაც იმ საჯარიმო ბატალიონში ნუ გაამწესებენ“. ქალბატონ ელისაბედსაც მოუყვა პროკურორთან საუბრის ამბავი. დედამთილს თითქოს იმედი მიეცა, მაგრამ ბოლომდე ვერა და ვერ იჯერებდა რაიმე სიკეთეს. სულ იმას ჩიოდა ქალბატონი ელისაბედი, ყოველღამ ჩემი ქმარი, ჩემი ლევანი მესიზმრებაო. მართლაც, თინათინი ხედავდა, დილდილაობით ქალბატონი ელისაბედი რა გამწარებული სახით მიდიოდა სააბაზანოში, როგორ საგანგებოდ მოიხრებოდა წელში ონკანთან და რა დიდხანს ებუტბუტებოდა წყალს. როცა ჰკითხა, რას აკეთებო, დედამთილმა უპასუხა — სიზმარს წყალს ვატან. წყალმა წაიღოს, წყალმა წაიღოს...

სამხედრო სასამართლო დახურულად ჩატარდა. ის მანქანაც დახურული, უფანჯრებო იყო, რომლითაც პატიმრები მოჰყავდათ. მანქანიდან ისე გადმოიყვანდნენ და ისე შეიყვანდნენ სასამართლოს შენობაში, რომ მიმოხედვასაც არ აცლიდნენ და სასამართლოს ეზოში შექუჩული ახლობელ-ნათესავებიც ძნელად თუ მოჰკრავდნენ თვალს თავისიანს. თინათინმა ერთხელ მხოლოდ ლევანის კეფას გაადევნა თვალი.

პროცესი როცა დასრულდა, თინათინმა ისევ სასამართლოს მდივანს ვართანოვს მიაკითხა განაჩენის გასაგებად. ვართანოვმა კვლავინდებურად თავაზით მიიღო, მაგრამ, ამჯერად, მოკლედ მოუჭრა სიტყვა:

— მალე, მალე მიიღებთ პასუხს წერილობით. სხვას ვერაფერს გეტყვით, არ არის წესი. მაპატიეთ, ბევრი საქმე მაქვს.

პასუხი ერთი კვირის თავზე მოვიდა — ათი წლით პატიმრობა ნახვისა და მიმოწერის უფლების აღკვეთით. ასეთივე განჩინება გამოუტანეს კიდევ თექვსმეტს და, მათ შორის, ლევანის უახლოეს მეგობრებს — ჰედიას, კაცაძეს, გაბაშვილს, შაიშმელაშვილს... სხვებისთვის გაგზავნილ შეტყობინებებში, რომლებიც მათმა ოჯახებმა მიიღო, მართალია, იმგვარადვე ათ-ათი წლით პატიმრობა ეწერა, ოღონდ, ზედ აღარ იყო დართული „ნახვისა და მიმოწერის უფლების აღკვეთა“, რასაც ნიშნავდა ასეთი და ამის მსგავსი მინაწერები, წარსულის რეპრესიების გახსენებამ უმალ გააცნობიერებინა ჭირისუფლებს.

სასამართლოს შეტყობინება როცა მოიტანა ფოსტალიონმა, თინათინი შინ არ იყო. დედამისმა გამოართვა, რომელიც, ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ, თითქმის ერთთავად თინათინთან გადასახლებულიყო, რათა შვილსაც წაეხმარებოდა ოჯახის საქმეში და ლარბისთვისაც ედევნებინა თვალ-ყური, როდესაც თინათინი სამსახურში მიდიოდა. თინათინმა შინ ფეხი შედგა თუ არა, დედამისი დერეფანშივე შეეგება; ხელით ანიშნა, შეჩერებულიყო; სასოწარკვეთილი მზერით შეაცქერდა და ჩასჩურჩულა: — არაფერი შეიცხადო, შვილო, ლარბია შინ... ლევანზე შეტყობინება მოიტანეს, სასამართლო განაჩენის... წერია, ათი წლით... ნახვის და მიმოწერის გარეშეო, გამაგრდი, შვილო, ამათგან შენდობის და გულმოწყალების იმედი არც უნდა გვქონოდა. შეტყობინება მაგიდაზე დევს, სასადილო ოთახში, ოღონდ... არაფერი შეიცხადო, ლარბია სახლში, ლარბის არაფერი ვაგრძნობინოთ, როგორც აქამდე, ომში წასული ეგონოს... ასე აჯობებს, შენ კი, გამაგრდი, შვილო.

თითქოსდა ეული სიტყვა ისე მომნუსხველად შეაგონა, რომ თინათინი, ჯერ იყო და, ადგილზე გაშეშდა; მერე, სასადილო ოთახში მაგიდაზე დადებულ ბარათს კი არ მივარდა, — იმ ბარათს კარგა ხნის შემდეგ, ლარბი რომ დასაძინებლად ლოგინში ჩააწვინა, მხოლოდ მაშინ მიუჯდა და მთელი ღამე არ მოსცილებია, — არა, დედის თითქოს მომნუსხველი სიტყვების შეგონებით, ჯერ ლარბის სანახავად გაქანდა.

ლარბი საბაზანოს და სამზარეულოს შორის მდებარე საკუჭნაო ოთახში შესასვლელთან იდგა. უყვარდა ხოლმე საკუჭნაოში შეყრილ ძველ ნივთებში ქექვა და იქ თამაში, ახლა კი შეღებულ კართან უძრავად იდგა. თინათინი მიუახლოვდა და დაინახა, რომ ის გარინდებულივით უყურებდა თეთრ კაბას, რომელიც თინათინმა ამანათების მიღებ ოთახში მომხდარი იმ შემთხვევის შემდეგ ისე შეიჯავრა, რომ შინ დაბრუნებულმა მისგან ლაქების გამოყვანაც კი აღარ სცადა, — დაკუჭა და ძველმანებისთვის განკუთვნილ სკივრში ჩააგდო. ლარბის, საკუჭნაო ოთახში ქექვისას, როგორც ჩანს, იმ კაბისთვის მიეგნო; გაეშალა კაბა, სკივრზე გადაეფინა და, ახლა, როცა თინათინი მიუახლოვდა, ნაღვლიანად და წყენით ჰკითხა:

— რატომ, დედა?

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლენა პაპუნაშვილი

## იმედი

ბევრჯერ გადირბენს
სეტყვის ღრუბელი,
დატოვებს სიოს
დამცხრალს,
ხვალის იმედი
რომ არა ჰქონდეს
როგორ იცოცხლოს
კაცმა?

ავი თვალისგან...
ავი სულისგან...
ნაკაწრ გულს
ცრემლად დაცლილს,
შენი იმედი
რომ არა ქონდეს,
როგორ გაუძლებს
კაცი?..
მზე თავის კალთას
იმედით სავსეს
კაცისთვის მაშინ
დაცლის,
როცა ყველაზე
დიდი იმედი
კაცი გახდება
კაცის...

## შავი აპრილი

მუდამ ალმასით,
მუდამ არმაზით,
ჭრელი პეპლებით
დამშვენებული,
წელს აღარ იყო
ისე ლამაზი,
შავად აყვავდა
თეთრი აპრილი.

დაჯდა მუხლთ-მოყრით
სიონის კარზე,
ჩამოიფარა
შავი მანდილი,
და იმდურება
საზარელ ხმაზე,
ღანვზე ცხელ კურცხალ
ჩამოვარდნილი.

●

როცა შენთან ვარ, მშვიდი ვარ,
სხვაგან ვარ, შენთვის ვლოცულობ,
შენი ხის ტოტზე ვკიდივარ,
ცისკრის სხივებით მოსულო.

არ მომეშალოს ღიმილი,
არც მარტოობა მბოჭავდეს,
ვიდგე შენს ცვრიან ბალახში
ფეხს ვისველებდე კოჭამდე.

## მიდიან ღრუბლები

მიდიან ღრუბლები, მიდიან,
სავსე ჯიქნები ჰკიდიათ,
სავალი მეტად დიდია,
არც გზაა, არცა ხიდია.

პლანეტას შემოივლიან,
მთებს გაირბენენ თოვლიანს,
მინდვრებს მორწყავენ მოლიანს
და ისევ ჩვენთან მოვლიან.

ნეტავ თქვენ თავისუფლებო
და ბედნიერო ღრუბლებო!..

ისტორიის თეთრი ფურცლები

## ლევ ტროცკი

# სტალინი

როგორც არაიშვიათად გვხვდება სტალინის მონათხრობში, ქრონოლოგია აქაც არეულია. ციტატის შინაარსიდან ისე გამოდის, რომ პირველი რევოლუციის წლები კობამ გაატარა კავკასიის პროლეტარულ ციხე-სიმაგრეში, ბაქოში; სინამდვილეში ასე არ არის. კობა ბაქოში 1908 წელს დააპატიმრეს. თუ სტალინის სიტყვებს ვენდობით, გამოდის, რომ მას ბაქოში ორი კი არა, სამ წელზე მეტი გაუტარებია; ბიოგრაფიაში კი, რომელიც მისი ერთ-ერთი მდივნის მიერ არის დაწერილი, ნათქვამია: „1907 წლიდან იწყება სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბაქოს პერიოდი. პარტიის ლონდონის ყრილობიდან დაბრუნებული ი. სტალინი ტოვებს თბილისს და ბაქოში მკვიდრდება". ლონდონის ყრილობა 1907 წლის ივნისში ჩატარდა. ამგვარად, სტალინი ბაქოში გადასვლას ივლის-აგვისტომდე ვერ მოახერხებდა, პირველ ყოვლისა, თბილისის ცნობილ ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით, რომელზე საუბარიც ჩვენ ქვემოთ მოგვიწევს. ამ „მაღალოფიციალურ" ბიოგრაფიას თუ დავუჯერებთ, აღმოჩნდება, რომ „ბაქოს პერიოდი", რომელმაც კობა მოსწავლიდან ქარგლად ჩამოაყალიბა, სამ წელზე მეტხანს ან ორ წელს კი არ გრძელდებოდა, არამედ სულ 8-7 თვეს მოიცავდა. წინააღმდეგობა ამჯერად ერთობ დიდია. ვცადოთ, გავერკვეთ — ერთი და იგივე წყაროზე დაყრდნობით მიღებული ამ ორი ვერსიიდან რომელია უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან.

„იმდროინდელი ბოლშევიკური გაზეთები თბილისში, — ამბობს პირველი რევოლუციის პერიოდის შესახებ ენუქიძე, — [illegible] სტალინს მიჰყვებოდნენ". ბუნებრივია, შესაძლებელია კობა ამ დროს თბილისში არ ცხოვრობდეს. 1905 წლის 12 ივნისს იგი პატარა დასახლება ხონში ჩვენთვის უკვე ნაცნობი რევოლუციონერის, 28 წლის ასაკში ჭლექით დაღუპული წულუკიძის დაკრძალვაზეა. ბერია გვაცნობებს, რომ „დაკრძალვას 10 000-ზე მეტი კაცი ესწრებოდა" და რომ „ამხ. სტალინმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა". შეკრებილნი, ალბათ, ამდენი არ იქნებოდნენ, რადგან ხონის მოსახლეობა სამნახევარ ათასსაც არ შეადგენდა. გვიჭირს, წარმოვიდგინოთ სტალინიც, რომელიც „ბრწყინვალე სიტყვას" წარმოთქვამს. ყოველ შემთხვევაში, 1906 წლის შუახანებში იგი ბაქოში კი არა, საქართველოს ცენტრში იმყოფებოდა. ესეცაა, ბოლშევიკ გოლუბევის მოგონებებში ვხვდებით ცნობას, რომ 1905 წლის ზაფხულში ბაქოში ჩამოვიდა „ცკ-ის წევრი, ამხ. კობა". სინამდვილეში ცკ-ის წევრი კობა მხოლოდ 7 წლის შემდეგ გახდა. თუ ამ ეპიზოდური ჩამოსვლის ამბავი სიმართლეს შეეფერება, მაშინ ფაქტია, რომ კობა ბაქოში არ ცხოვრობდა. ოფიციალური ბიოგრაფია პირდაპირ აცხადებს, რომ „1905 წლის ოქტომბრის მანიფესტმა სტალინს თბილისში მოუსწრო". თვითონ ბერია გვიმოწმებს, ნოემბერში და დეკემბერში კობა თბილისში „კავკასიელ მუშათა ფურცელს" რედაქტორობდა. 1905 წლის ბოლოს იგი თბილისის კომიტეტისათვის პროკლამაციებს ადგენდა. დეკემბრის მარცხის შემდეგ კობა კვლავ თბილისში ცხოვრობდა. 1906 წლის აპრილში იგი თბილისელი ბოლშევიკების წარმომადგენელი იყო სტოკჰოლმის პარტიულ ყრილობაზე. 1906 წლის ივნის-ივლისში თბილისში „სტალინის ხელმძღვანელობით" კვლავ ჩნდება ქართულენოვანი ლეგალური გაზეთი. ორჯონიკიძე, მძიმე მრეწველობის მომავალი მეთაური, სტალინს პირველად 1906 წელს შეხვდა თბილისში, ბოლშევიკური გაზეთის რედაქციაში. საეჭვო აღარაფერია: პირველი რევოლუციის პერიოდი კობამ გაატარა არა ბაქოში, სადაც სომეხ-თათართა გამწვავებული ურთიერთობის გამო მუშათა მოძრაობაც მწვავე კრიზისს განიცდიდა, არამედ თბილისში, რომელიც კობამ მოგვიანებით თვითონვე დაახასიათა, როგორც უძრავი მენშევიკური ჭაობი.

როგორი იყო რევოლუციის წლების კობას

---

გაგრძელება. იხ. „ცისკარი" № 1, 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისური ორგანიზაცია? ამის შესახებ მოგვეპოვება უდავო მოწმობა, რომელიც ერთი დარტყმით ამსხვრევს ყველა ლეგენდას. ლენინის „პროლეტარებში“ აგვისტოში დაიბეჭდა ოფიციალური „ანგარიში თბილისის ბოლშევიკთა მოღვაწეობის შესახებ 1905 წელს“. ციტატა მოგვყავს სიტყვა-სიტყვით: „თბილისი. 1 ივლისი. ხუთიოდე კვირის წინ აქ საერთოდ არ იყო „უმრავლესობის“ ორგანიზაცია. იყვნენ ცალკეული პირები, პატარა ჯგუფები, მაგრამ ყველაფერი ამით ამოიწურებოდა. ბოლოს, ივლისის დასასრულს შედგა განსხვავებული შეხედულებების მქონე ელემენტების გაერთიანებული კრება... დაიწყო შეკრების პერიოდი, რომლიდანაც ჯერაც არ გამოვსულვართ. მასების ჩვენდამი დამოკიდებულება შეიცვალა: მკვეთრად მტრული დამოკიდებულება ამჯერად მერყევ დამოკიდებულებად გადაიქცა... კომიტეტი ფიქრობს, კვირაში ერთხელ გამოუშვას პროპაგანდისტული ფურცლები“.

აი, ის სამწუხარო სურათი, რომელსაც გვიხატავენ თბილისელი ბოლშევიკები, იქნებ სულაც კობას უშუალო მონაწილეობითაც კი, რადგან იგი 1905 წ. ივლისში, იმ დროს, როცა იწყებოდა ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნა, განზე არ იდგებოდა.

1904 წელს გადასახლებიდან თბილისში დაბრუნებული კობა შეუცვლელად და ძლევამოსილად „ხელმძღვანელობს ბოლშევიკების მუშაობას“. თუ გამოვაკლებთ იმ ხანმოკლე მოგზაურობების პერიოდს, როცა კობა მშობლიური ქალაქიდან გადიოდა, ვნახავთ, რომ 1904-05 წლების დიდი ნაწილი მან თბილისში გაატარა. უახლესი მოგონებების თანახმად, მუშები ამბობდნენ: „კობა ტყავს აძრობს მენშევიკებს“. თუმცა, როგორც ვნახეთ, ქართველ მენშევიკებს ამ ქირურგიულმა ოპერაციამ თითქმის ვერაფერი დააკლო. მხოლოდ 1905 წლის მეორე ნახევარში იწყება განსხვავებული შეხედულებების მქონე თბილისელი ბოლშევიკების „გაერთიანების პერიოდი“ და „ფიქრი“ პროპაგანდისტული ფურცლების გამოშვებაზე. რომელ ორგანიზაციას ეკუთვნოდა კობა 1904 წელს და 1905-ის პირველ ნახევარში? თუ ის საერთოდ მუშათა მოძრაობის მიღმა არ იდგა, რაც დაუჯერებელია, მაშინ, ყველაფერ იმის მიუხედავად, რაც ბერიასაგან მოვისმინეთ, კობა, შეუძლებელია, მენშევიკური ორგანიზაციის წევრი არ ყოფილიყო. 1906 წლის დამდეგისათვის თბილისელ ბოლშევიკთა რიცხვმა 300 მიაღწია, მენშევიკები კი 3000 შეადგენდნენ. მარტო ძალთა ასეთი შეფარდებაც კი აიძულებდა კობას, ყოფილიყო ლიტერატურულ ოპოზიციაში რევოლუციის ყველაზე დიდი აღმავლობის ჟამს.

„ნავთობის მრეწველობის მუშათა შორის რევოლუციური მოღვაწეობის ორმა წელმა (1906-1907), — გვარწმუნებდა სტალინი, — გამომაწრთო“.

წარმოუდგენელია. დავუშვათ, რომ საკუთარი სიტყვის გულდასმით რედაქტირებულ ტექსტში ორატორმა აურია, სად გაატარა მასების რევოლუციური ნათლობის მეტად მნიშვნელოვანი 1905 და მისი მომდევნო, 1906 წელი, როცა მთელი ქვეყანა კონვულსიებისაგან თრთოდა და დასასრულის მოლოდინით ცხოვრობდა. ასეთი რამ არ ავიწყდებათ! ძნელია განთავისუფლდე იმ აზრისაგან, რომ სტალინმა შეგნებულად აუარა გვერდი პირველ რევოლუციას, რომლის თაობაზეც მას, უბრალოდ, არაფერი ჰქონდა მოსაყოლი, რამდენადაც ბაქო გაცილებით გმირულ ფონს უქმნიდა, ვიდრე თბილისი. მან რეტროსპექტულად გადაიყვანა საკუთარი თავი ბაქოში ორნახევარი წლით ადრე, ვიდრე ეს სინამდვილეში მოხდა. [illegible] ისტორიკოსებისაგან შეკამათებისა მას, რასაკვირველია, არ ეშინოდა. და მაინც, კითხვა რას აკეთებდა კობა 1905-ში, ძალაში რჩება.

•

რევოლუციის წელი მეფესთან პეტიციით მიმავალი პეტერბურგელი მუშების დახვრეტით დაიწყო. 9 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებული კობას მიმართვა დაგვირგვინებულია მოწოდებით: „გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი და დავირაზმოთ პარტიული კომიტეტების ირგვლივ. წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ პარტიულ კომიტეტებს ძალუძთ ღირსეულად გვიწინამძღვრონ, მხოლოდ ისინი გაგვინათებენ გზას აღთქმული მიწისაკენ...“ და სხვ. „კომიტეტჩიკის“ როგორი მტკიცე ხმა! სწორედ ამ დღეებში და, იქნებ, საათებშიც, შორეულ ჟენევაში მყოფი ლენინი ერთ-ერთი თანამშრომლის სტატიაში ურთავს მოწოდებას აღმდგარი მასებისადმი: „მიეცით გზა მრისხანებას და სიძულვილს, რომელიც საუკუნეობრივი ექსპლუატაციის, ტანჯვა-წამებისა და მწუხარების შედეგად დაგროვდა თქვენს გულებში!“ ამ ფრაზაში მთელი ლენინია მოქცეული. მას მასებთან ერთად სძულს და იბრძვის, სულის სიღრმემდე გრძნობს რევოლუციას და არამც და არამც არ მოითხოვს აღმდგარი მასებისაგან, იმოქმედონ მხოლოდ „კომიტეტების“ ნებართვით. შეუძლებელია, უფრო ლაპიდარულად წარმოვაჩინოთ კონტრასტი ამ ორ ნატურას შორის იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც მათ პოლიტიკურად აერთიანებდა — სწორედ რევოლუციასთან კავშირში!

[illegible] თვე გავიდა პარტიის მესამე ყრილობიდან, რომელზეც კობასთვის ადგილი არ მოინახა, და დაიწყო საბჭოების შექმნა. ინიციატივა მთლიანად ეკუთვნოდა მენშევიკებს, რომელთაც ეს კი, არც დაესიზმრებოდათ, სად მიიყვანდა მათი ხელიდან გამოსული საქმე. საბჭოებში მენშევიკური ფრაქციები ბატონობდნენ, რადგან მენშევიკები რევოლუციურმა მოვლენებმა ჩა-

ითრია, ზედა ფენები კი თავგზააბნეულნი აკვირდებოდნენ, როგორ იზრებოდნენ მათივე ფრაქციები მარცხნივ. ისეთმა სიახლემ, როგორიც იყო მებრძოლი მასების უპარტიო წარმომადგენლობა, შეაშფოთა პეტერბურგის ბოლშევიკების კომიტეტი. მან უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და საბჭოებს ულტიმატუმი წაუყენა: ან დაშლილიყვნენ, ან დაუყოვნებლივ მიეღოთ სოციალ--დემოკრატიული პროგრამა. საბჭოს, რომელშიც მუშა-ბოლშევიკებიც შედიოდნენ, თვალიც არ დაუხამხამებია, ისე წაუყრუა ულტიმატუმს. მხოლოდ ნოემბერში, ლენინის ჩამოსვლიდან იწყება საბჭოებისადმი „კომიტეტჩიკების" პოლიტიკის რადიკალური შემობრუნება. მაგრამ თავდაპირველმა მცდარმა გადაწყვეტილებამ შეასუსტა ბოლშევიკების პოზიცია. პროვინცია ამ საკითხშიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა დედაქალაქს. სწორედ ამ დროიდან იწყება საბჭოების ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში წარმოშობილი ღრმა უთანხმოება. მენშევიკები ცდილობდნენ, დაენახათ მათში მუშათა წარმომადგენლობის მხოლოდ ეპიზოდური ფორმა, „პროლეტარული პარლამენტი", „რევოლუციური თვითმმართველობის ორგანო" და სხვ. ყველაფერი გაურკვეველი იყო. ლენინს, პირიქით, კარგად ესმოდა პეტერბურგელებისა, რომლებიც საბჭოებს „პროლეტარულ მთავრობად" მიიჩნევდნენ, და მაშინვე განსაზღვრა ორგანიზაციის ეს ახალი ფორმა, როგორც ხელისუფლებისათვის ბრძოლის ბერკეტი.

კობას 1905 წელს შექმნილ, ფორმითა და შინაარსით მწირ ნაწერებში ვერსად ვერაფერს წააწყდებით საბჭოების თაობაზე და ეს მარტო იმის გამო კი არა, რომ საქართველოში ისინი არ არსებობდნენ. მან საერთოდ ვერ გაიგო საბჭოების მნიშვნელობა, ყურადღებაც არ მიუქცევია, ისე აუარა გვერდი. ხომ გასაოცარია? უძლიერესი აპარატის სახით ჩამოყალიბებული საბჭოები, ერთი შეხედვით, უდავოდ უნდა მოსწონებოდა მომავალ „გენერალურ მდივანს". მაგრამ მის თვალში ეს იყო სხვისი აპარატი, რომელიც უშუალოდ წარმოადგენდა იდუმალებით მოცულ მასას. საბჭო არ ემორჩილებოდა კომიტეტის დისციპლინას და, ამდენად, ხელმძღვანელობის გაცილებით რთულ და მოქნილ მეთოდებს საჭიროებდა. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, კომიტეტის მოწინააღმდეგე ძალად ჩამოყალიბდა. მაშასადამე, 1905 წლის რევოლუციაში კობა საბჭოებისაკენ ზურგშექცევით იდგა, მეტიც: იგი, გამწყრალივით, ზურგით იდგა თვით რევოლუციისაგანაც.

ამ წყენის მიზეზი ის იყო, რომ კობამ ვერ გაიგო, როგორ მისულიყო რევოლუციასთან. მოსკოველი ბიოგრაფები და მხატვრები ცდილობენ, წარმოგვიდგინონ იგი, როგორც მანიფესტანტთა წინა რიგებში მიმავალი „სამიზნე", როგორც მგზნებარე ორატორი და ტრიბუნი. ყველაფერი ეს სიცრუეა. სტალინი მაშინ კი არა, უფრო მოგვიანებითაც ვერ იქცა ორატორად. მისი „ცეცხლოვანი" სიტყვა არასოდეს არავის მოუსმენია. მთელი 1917 წლის მანძილზე, როცა თითქმის ყველა აგიტატორი, თვით ლენინის ჩათვლით, ხმაჩახლეჩილი დადიოდა, სტალინი საერთოდ არ გამოსულა შეკრებებზე; სხვანაირად არც 1905-ში მოხდებოდა. კობა ისეთი მცირე მასშტაბის ორატორიც არ იყო, როგორც სხვა კავკასიელი რევოლუციონერები: კნუნიანცი, ზურაბოვი, კამენევი, წერეთელი. პარტიის დახურულ კრებაზე იგი საკმაო დამაჯერებლობით გადმოსცემდა საკუთარ აზრს, რომელიც მტკიცედ ჰქონდა გაცნობიერებული. აგიტატორის ნიჭი კი ნამდვილად არ გააჩნდა. აზრის გადმოსაცემად გაჭირვებით აკოწიწებდა უკოლორიტო, ცივ, უმახვილო ფრაზებს. კობას ნატურის ორგანული სისუსტე, ასე საპირისპირო მისივე ძლიერებისა, მდგომარეობდა იმაში, რომ მისთვის სრულიად უცხო იყო აფეთქება, ყოველდღიურობაზე ამაღლება, აუდიტორიასთან ცოცხალი კავშირის დამყარება და ამ აუდიტორიაში მისი საუკეთესო თვისებების გამოღვიძება. რადგან თვითონ არ იწვოდა, არც სხვათა ანთების უნარი გააჩნდა. ცივი სიძულვილი სრულიადაც არ არის საკმარისი, რომ დაიპყრო მასების სული.

1905 წელმა ყველას მისცა ლაპარაკის უფლება. ქვეყანა, რომელიც მთელი ათას წელს დუმდა, პირველად ამეტყველდა. ყველა, ვისაც შეეძლო მკაფიოდ გამოეხატა ბიუროკრატიისა და მეფის სიძულვილი, მაშინვე ექცეოდა მოუღალავი და მადლიერი მსმენელის ყურადღების ცენტრში. საკუთარ ძალებს ვფიქრობთ: კობაც მოსინჯავდა, მაგრამ ხალხის დასანახად სხვა იმ პროვინციალურ ორატორებთან გამართული შეჯიბრება მეტისმეტად არახელსაყრელი გამოდგა. ამის ატანა კობას არ შეეძლო. სხვებთან დამოკიდებულებაში უხეში კობა, იმავე დროს, მეტისმეტად მგრძნობიარეა და, როგორი უცნაურიც უნდა იყოს, პირვეულიც. ამასთან, ძალზე პრიმიტიულად რეაგირებს: როგორც კი იგრძნობს, რომ ვინმემ დაჯაბნა, მაშინვე ზურგს აქცევს იდამიანებსა და მოვლენებს, კუთხეში მიკუნჭული პირქუშად ლეჭავს ჩიბუხს და რევანშის აღებაზე ოცნებობს. ასე, 1905 წელსაც, გაურკვეველი მიზეზით ნაწყენი, თვალს მოეფარა და რაღაც რედაქტორის მსგავსი გახდა.

მაგრამ, მისი ბუნებიდან გამომდინარე, კობა არც რედაქტორად იყო გაჩენილი. იგი ძალზე ნელა აზროვნებს, აქვს ერთგვაროვანი ასოციაციები და მეტად მოუქნელი და ღარიბი სტილის პატრონია. გამოხატვის ძალის უქონლობას იგი უხეშობით ცვლის. რამდენადმე ყურადღებიანი და მომთხოვნი რედაქცია არ მიიღებდა მის არც ერთ სტატიას. მართალია, იატაკქვეშა გამოცემების დიდი ნაწილი მაღალი ლიტერატურული თვისებებით არ გამოირჩეოდა, რადგან მათ რედაქტორებს უწევდნენ ადამიანები, რომლებსაც კალამი მოწოდებამ კი არ აალებინა,

არამედ აუცილებლობამ. ყოველ შემთხვევაში, კობა ამ დონეს არ აცილებია. მართალია, იგი ნაწერებში ცდილობს მეტი ყურადღება დაუთმოს თემის სისტემურ გადმოცემას. მაგრამ ეს, ძირითადად, მასალის სქოლასტიკური გადმოცემით, არგუმენტების ერთმანეთის მიყოლებით ჩამოთვლით, ხელოვნური რიტორიკული შეკითხვების დასმით და მქადაგებლური ფრაზების მოუქნელი განმეორებებით ამოიწურება. ბანალურობის დაღს ასვამს მის ყოველ ფრაზას საკუთარი აზრის, ორიგინალური ფორმისა და ცოცხალი სახეების უქონლობა. მას არ შეუძლია, თავისუფლად გადმოგვცეს თავისი ნააზრევი. მხოლოდ სხვათა აზრს გვაცნობს და ისიც ისე, თითქოს თავისი თავის რწმენა არა აქვსო. სტალინთან მიმართებაში, ალბათ, მოულოდნელი აღმოჩნდება ეს სიტყვები: „თავისი თავის რწმენა არა აქვს". მაგრამ, მიუხედავად ასეთი შეუთავსებლობისა, ისინი კავკასიის პერიოდიდან დღემდე ზუსტად ახასიათებენ სტალინი-მწერლის გაუბედავ მანერას.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ასეთი სტატიები ვერ ახდენენ ზემოქმედებას, ისინი აუცილებელი იყვნენ, რამდენადაც შეეფერებოდნენ დროის მოთხოვნებს. ამ სტატიების ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ ახაზავდნენ რევოლუციის იდეებსა და ლოზუნგებს; მასობრივი მკითხველისათვის ისინი მრავალ სიახლეს შეიცავდნენ. სწორედ ამისი სწავლა არ შეიძლებოდა ბურჟუაზიული ბეჭდვითი ორგანოებიდან.

ამ სტატიების ხანმოკლე ზემოქმედება ამოიწურებოდა იმ წრით, რომლისთვისაც იყო განკუთვნილი. შეუძლებელია დღეს მათი გადათვალიერება სირცხვილისა და სინანულის გრძნობის გარეშე. კაცს ზოგჯერ უნებურად ხარხარი აგივარდება სრულიად უადგილოდ ქაღალდის ყვავილებით დამშვენებული ამ მშრალი, უთავბოლო, არცთუ მთლად გამართული ფრაზებით დაწერილი რიტორიკის კითხვისას.

პარტიაში კობას ჟურნალისტად არავინ მიიჩნევდა. 1905 წლის ოქტომბერში პეტერბურგში ლენინის ხელმძღვანელობით დაარსებულ პირველ ყოველდღიურ ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნ"-ში თანამშრომლობდა ყველა ბოლშევიკი ლიტერატორი: დიდი და პატარა, დედაქალაქელიც და პროვინციელიც. მათ შორის სტალინის გვარი არსად მოიხსენიება. კავკასიიდან გაზეთში სათანამშრომლოდ მიიწვიეს არა სტალინი, არამედ კამენევი. კობა მწერლად არ დაბადებულა და ვერც გახდა მწერალი. ხოლო თუ 1905 წელს რამდენადმე გულდასმით მოკიდა ხელი კალამს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად ფლობდა მასებთან ურთიერთობის სხვა საშუალებებს.

დაუსრულებელი მიტინგების, მღელვარე გაფიცვებისა და ქუჩის მანიფესტაციების ხანა ბევრ „კომიტეტჩიკს" ზრდის და აყალიბებს. რევოლუციონერებს უხდებათ მოედნებზე სიტყვით გამოსვლა, იქვე, მოედნებზე, მუხლზე დადებულ ფურცლებზე წერა, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების სასწრაფოდ მიღება. სტალინს არც ერთი შეუძლია, არც მეორე და არც მესამე. მისი ხმა ისევე სუსტია, როგორც წარმოსახვის უნარი; მისი ფრთხილი აზროვნებისათვის, რომელიც ნიადაგის მოსინჯვით მიიწევს წინ, უცხოა იმპროვიზაცია. კავკასიის მასშტაბითაც კი მას ავიწროებენ უფრო გამოკვეთილი ფიგურები. რევოლუციას კობა ნერვული ღელვითა და თითქმის სიძულვილით მიჰყვება. ეს არ არის მისი სტიქია.

ენუქიძე წერს, რომ „იგი მუდამ, თუ კრება ან წრეებში მეცადინეობა არ იყო, განმარტოებით იჯდა წიგნებითა და გაზეთებით გატენილ პატარა ოთახში ან ბოლშევიკური გაზეთის რედაქციის ასეთივე „ფართო სამყოფელში". ზედმეტი არ იქნებოდა, წუთით წარმოვიდგინოთ „შეშლილი წლის" პათეტიკური მორევი, რათა სათანადოდ შევაფასოთ. განმარტოებული პატივმოყვარე ახალგაზრდა, პატარა, ვფიქრობ, არცთუ მთლად ფაქიზად დალაგებულ ოთახში რომ ჩაკეტილა კალმით ხელში და თავგამოდებით დასდევს მოუხელთებელ ფრაზას, რომელიც რამდენადმე მაინც შეძლებს, გადმოსცეს ეპოქის სული.

მოვლენები ერთმანეთზე ხვავდებოდა. როგორც სხვებით, ისე საკუთარი თავით უკმაყოფილო კობა კვლავ განზე რჩებოდა. გამოჩენილი ბოლშევიკები, — მათ შორის ისინიც, ვინც იმ წლებში კავკასიაში მუშაობას წარმართავდნენ: კრასინი, პოსტალოვი, სტოპანი, ლემანი, გალპერინი, კამენევი, ტარატუტა და სხვ. — სტალინს გვერდს უვლიან, არსად არ მოიხსენიებენ მოგონებებში და სტალინიც არაფერს გვეუბნება მათ შესახებ. ზოგ მათგანს, მაგალითად, კურნატოვსკის და კამენევს, უეჭველია, მოუწევდათ მასთან თანამშრომლობა. სხვები, ალბათ, ხვდებოდნენ ხოლმე კობას, მაგრამ არაფრით არ გამოარჩევდნენ სხვა „კომიტეტჩიკებისაგან", ამიტომაც არსად არ აღიარებენ მის დამსახურებას და არც სიმპათიით იგონებენ, რითაც ყველანაირ საშუალებას უსპობენ მომავალ ოფიციალურ ბიოგრაფებს, დაეყრდნონ თანაგრძნობით აღსავსე გამოხმაურებებს.

პარტიის ისტორიის ოფიციალურმა კომისიამ 1926 წელს გამოაქვეყნა 1905 წლისადმი მიძღვნილი მასალების გადამუშავებული, ე. ი. ახალ, ლენინის შემდგომ გამეფებულ შეხედულებებთან შეხამატკბილებული გამოცემა. აქ ასზე მეტი დოკუმენტია, მათ შორის ლენინის 40 სტატია გამოქვეყნებული, დაახლოებით ამდენივე — სხვადასხვა ავტორებისა. მიუხედავად იმისა, რომ ტროცკიზმთან ბრძოლა უკვე უახლოვდებოდა პაროქსიზმს, მართლმორწმუნე რედაქციამ ვერაფრით ვერ მოახერხა, რომ კრებულში არ შეეტანა ტროცკის 4 სტატია. სამაგიეროდ, 455

გვერდზე ვერ შევხვდებით სტალინის ვერც ერთ სტრიქონს ალფაბეტურ მაჩვენებელში, რომელიც რამდენიმე ასეულ, მათ შორის რევოლუციის წლის ასე თუ ისე ცნობილი ყველა მოღვაწის სახელს შეიცავს. სტალინი არც ერთხელ არ არის მოხსენიებული. აქ ვხვდებით მხოლოდ პარტიის ტამერფორსის კონფერენციის (1905 წ. დეკემბერი) მონაწილის — ივანოვიჩის გვარს, ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ რედაქციამ 1926 წელს ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ივანოვიჩი და სტალინი ერთი და იგივე პიროვნებაა. ეს პირუთვნელი დეტალები ყველა რეტროსპექტულ პანეგირიკზე უფრო დამაჯერებელია.

სტალინი როგორღაც 1905 წლის მიღმა დარჩა. მისი „მოწაფეობა" ემთხვევა რევოლუციის წინა წლებს, რომლებიც მან თბილისსა და ბათუმში, შემდეგ კი ციხესა და გადასახლებაში გაატარა. ქარგალი იგი, მისივე სიტყვით, ბაქოში, ე. ი. 1907-1908 წლებში ხდება. მომავალი „ოსტატის" მომზადების პროცესიდან საერთოდ ამოვარდნილია პირველი რევოლუციის პერიოდი თავის თავზე რომ მოგვითხრობს, სტალინი იმ დიდებულ წელს, რომელმაც უფროსი თაობის ყველა მეტნაკლებად ცნობილი რევოლუციონერი წარმოშვა და ჩამოაყალიბა, როგორც ცარიელ ადგილს, ისე უვლის გვერდს. კარგად დავიხსომოთ ეს ფაქტი, იგი სრულებითაც არ არის შემთხვევითი. 1917 წელი ამ ბიოგრაფიაში ისეთივე ბურუსიანი ლაქა იქნება, როგორც 1905. უკვე სტალინად ქცეულ კობას ჩვენ კვლავ შევხვდებით პეტერბურგის „პრავდის" მოკრძალებულ რედაქციაში, სადაც იგი აუჩქარებლად ამუშავებს ბრწყინვალე მოვლენებისადმი მიძღვნილ ულიმღამო კომენტარებს. ამ რევოლუციონერს ისეთი თვისებები აქვს, რომ მასების ყოველი ჭეშმარიტი აღორძინება კალაპოტიდან აგდებს და გვერდზე მიჰეჭყავს. შემდგომშიც ყველა ახალი რევოლუცია — გერმანიაში, ჩინეთში, ესპანეთში — მას, როგორც წესი, სრულიად მოულოდნელად წამოადგება თავს. იგი შობილია აპარატისათვის და არა მასების შემოქმედებითი მუშაობის ხელმძღვანელობისათვის. რევოლუცია ანგრევს არსებულ აპარატებს და აღმართავს ახალს, უფრო ნაკლებად მორჩილს. იგი ეფუძნება იმპროვიზაციას, გაბედულ ინიციატივას, მასების სულისკვეთებას და ამავე თვისებებს ეძებს ბელადებშიც. ყველაფერი ეს მიუწვდომელია კობასთვის. იგი აჯანყების არც ტრიბუნი ყოფილა, არც სტრატეგი და ბელადი. იგი რევოლუციის ბიუროკრატი გახლდათ და ამიტომ, თავისი თვისებები რომ წარმოეჩინა, მისჯილი ჰქონდა ნახევრად პასიურ მდგომარეობაში მყოფს ეცადა, როდის ჩადგებოდნენ კალაპოტში გაშმაგებული მდინარეები.

ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვების შემდეგ, რომელმაც მეფეს კონსტიტუციური მანიფესტი წაგლიჯა და მუშათა კვარტლებში ოპტიმიზმი და შემართება დაბადა, ორივე ფრაქციაში დაუძლეველი ძალა შეიძინა გაერთიანების ტენდენციამ. ადგილებზე იქმნება მენშევიკებისა და ბოლშევიკების ფედერაციული ან გაერთიანებული კომიტეტები. ბელადები დინებას მიუყვებიან. საბოლოო გაერთიანებისათვის თითოეული ფრაქცია მოსამზადებელ კონფერენციას იწვევს. მენშევიკური კონფერენცია ნოემბრის ბოლოს გაიმართა პეტერბურგში, სადაც ჯერ კიდევ მეფობდა „თავისუფლება", ბოლშევიკები კი დეკემბერში იძულებულნი არიან ფინეთის ქალაქ ტამერფორსში შეიკრიბონ, რადგან რეაქციამ უკვე დაიწყო შეტევა.

თავდაპირველად ბოლშევიკური კონფერენცია ჩაფიქრებული იყო, როგორც პარტიის საგანგებო ყრილობა, მაგრამ სარკინიგზო გაფიცვამ, მოსკოვის აჯანყებამ და პროვინციებში მომხდარმა მთელმა რიგმა ექსტრაორდინალურმა მოვლენებმა ბევრი დელეგატი აიძულა, ადგილზე დარჩენილიყო, რის გამოც წარმომადგენლობა მეტისმეტად არასრული გამოვიდა. 28 ორგანიზაციიდან ჩამოვიდა 4000 ხმით ამორჩეული 41 დელეგატი. ეს ციფრი ძალზე უმნიშვნელოა რევოლუციური პარტიისათვის, რომელიც ემზადება, დაამხოს ცარიზმი და კუთვნილი ადგილი დაიკავოს რევოლუციურ მთავრობაში. ეს კია, ამ ოთხი ათასს უკვე ნასწავლი აქვს, როგორ გამოხატონ ასეულობით ათასების ნება.

გადაწყდა, წევრთა სიმცირის გამო ყრილობა კონფერენციად გადაეკეთებინათ. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენლები ამ კონფერენციაზე არიან კობა, ივანოვიჩის სახელით, და მუშა თელია. გაცხარებულ მოვლენებს, რომლებმაც მოიცვეს იმ დღეების თბილისი, ხელი არ შეუშლია კობასთვის, მიეტოვებინა რედაქცია.

მოსკოვის კანონადაში მოყოლილი ტამერფორსის დებატების ოქმები დღემდე არ ჩანს. მონაწილეთა მაშინდელი მოვლენების გრანდიოზულობით დაწნეხილ ხსოვნასაც ცოტა რამ თუ შემორჩა.

„რა სამწუხაროა, რომ ვერ შემოვინახეთ ამ კონფერენციის ოქმები, — წერდა 30 წლის შემდეგ კრუპსკაია, — რა აღმავლობით ჩაიარა! ეს იყო რევოლუციის ყველაზე ცხარე გამოხატულება. თითოეული ამხანაგი საბრძოლო ენთუზიაზმს შეეპყრო. შესვენებებზე სროლას სწავლობდნენ... ალბათ, ძნელად მოიძებნება ყოფილ დელეგატთა შორის ისეთი, ვისაც დაავიწყდებოდა ეს დღეები. აქ იყვნენ ლოზოვსკი, ბარანსკი, იაროსლავსკი, ბევრი სხვაც. ეს ამხანაგები იმით დამამახსოვრდნენ, რომ ძალზე საინტერესოდ მეჩვენა მათი მოხსენებები ადგილებიდან". ივანოვიჩს კრუპსკაია არ ასახელებს; მას იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დასხომების, კონფერენციის პრეზიდიუმის წევრის გორევის მოგონებებში ვკითხულობთ. „...დელეგატთა შორის იყვნენ სვერდლოვი, ლოზოვსკი, სტალინი, ხევსკი და სხვები". ინტერესმოკლებული არ არის სახელების თანმიმდევრობა. ჩვენთვის კიდევ ისაა ცნობილი, რომ ივანოვიჩი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების ბოიკოტის წინადადებით გამოვიდა, ამ საკითხთან დაკავშირებული კომისიის წევრად აირჩიეს.

ჩვირთცემის ტალღები ჯერ კიდევ ისე ძლიერი იყო, რომ საკუთარი ოპორტუნისტული შეცდომებით შეშინებული მენშევიკებიც კი ვერ ბედავდნენ პარლამენტარიზმის მერყევ ფიცარზე ორივე ფეხით შედგომას.

ისინი წინადადებას აყენებდნენ, რომ აგიტაციის ინტერესებიდან გამომდინარე, მონაწილეობა მიეღოთ მხოლოდ არჩევნების პირველდაწყებით სტადიაში, სათათბიროში კი არ შესულიყვნენ. ბოლშევიკებში ჭარბობდა „აქტიური ბოიკოტის" განწყობილება. ლენინის პოზიციაზე თავისებურად გვიამბო სტალინმა. ეს მოხდა 1920 წელს, ლენინის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ უბრალო ზეიმზე: მახსენდება, რომ ლენინმა, ამ გოლიათმა, ორჯერ აღიარა მის მიერ დაშვებული შეცდომები. პირველი ეპიზოდი — ფინეთი, 1905-ის დეკემბერი, სრულიად რუსეთის ბოლშევიკური კონფერენცია. ვიტებსკის სათათბიროსათვის ბოიკოტის გამოცხადების საკითხი იდგა... გაჩაღდა დებატები. შეტევა პროვინციელებმა: ციმბირელებმა, კავკასიელებმა წამოიწყეს და, რამდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როდესაც ჩვენი გამოსვლების შემდეგ ლენინი ადგა და განაცხადა, რომ იგი არჩევნებში მონაწილეობის მომხრე იყო, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ ცდებოდა და ემხრობა ფრაქციას. ყველანი გავშტერდით. ლენინის ამ სიტყვებმა ელექტროდარტყმის ძალა იქონია. გრანდიოზული ოვაცია გავუმართეთ".

სტალინის მეტს არავის ახსოვს ეს „ელექტროდარტყმა", ისევე, როგორც „გრანდიოზული ოვაცია", რომელშიც 50 წყვილი ხელი მონაწილეობდა. შესაძლოა, სტალინი ეპიზოდს ძირითადად სწორად გადმოგვცემს. ბოლშევიკების „სალკლდეობა" იმ დროს ჯერ კიდევ არ ერწყმოდა ტაქტიკურ მოქნილობას, განსაკუთრებით ეს ითქმის სრულიად მოუმზადებელ და ვიწრო გონებრივი თვალსაწიერის მქონე „პრაქტიკოსებზე". დასაშვებია, რომ ლენინი მართლაც მერყეობდა, რადგან არ იყო გამორიცხული, პროვინციული შემოტევა რევოლუციური სტიქიის დაწოლად მიეჩნია. ასე იყო თუ ისე, კონფერენციამ დაადგინა: „ჩაიშალოს პოლიტიკური სათათბიროს არჩევნები — არავითარი მონაწილეობა მასში!" უცნაურად მხოლოდ ის გვეჩვენება, რომ 1920 წელს, მას შემდეგ, რაც ლენინს კარგა ხნის აღიარებული ჰქონდა, რომ ბოიკოტისათვის მხარდაჭერა არ შეიძლებოდა, სტალინს შეცდომად კვლავ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის მისი თავდაპირველი მზადყოფნა მოაჩნდა.

სათათბიროს საკითხთან დაკავშირებულ კამათში ივანოვიჩის მონაწილეობის თაობაზე მოგვეპოვება ვინმე დმიტრიევსკის მხატვრულად გამართული, მაგრამ, ჩანს, მთლიანად გამონაგონი მონათხრობი. „თავიდან სტალინი დუმდა. მას პირველად უწევდა პარტიის ხელმძღვანელი ჯგუფის კრებაზე გამოსვლა. პირველად ლაპარაკობდა ლენინის თანდასწრებით. მაგრამ ლენინი დაინტერესებული მისჩერებოდა და შიგადაშიგ თავს გამამხნევებლად უქნევდა. სტალინის ხმაში სიმტკიცემ იმძლავრა. სიტყვის დასასრულისათვის საერთო მხარდაჭერას მიაღწია და მისი შეხედულება გავიდა".

საიდან მოიპოვა ავტორმა, რომელიც კონფერენციაზე არ ყოფილა, ასეთი ცნობები? დმიტრიევსკი, — ყოფილი საბჭოთა დიპლომატი, შოვინისტი და ანტისემიტი, ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას დროებით მიემხრო სტალინურ ფრაქციას, შემდეგ კი საზღვარგარეთ გაიქცა თეთრი ემიგრაციის მემარჯვენეებთან. აღსანიშნავია, რომ აშკარა ფაშისტი დიმიტრიევსკი კვლავ დიდად აფასებდა სტალინს, ვერ იტანდა მის მოწინააღმდეგეებს და დაჟინებით იმეორებდა კრემლში შექმნილ ლეგენდებს. თუმცა, მოდით, კვლავ მას მოვუსმინოთ:

„სათათბიროს არჩევნებისადმი მიძღვნილი სხდომის შემდეგ ლენინი და სტალინი „სახალხო სახლიდან", სადაც კონფერენცია მიმდინარეობდა, ერთად გამოვიდნენ. ციოდა, ხუსხიანი ქარი უბერავდა, ისინი კი დიდხანს სეირნობდნენ ტამერფორსის ქუჩებში. ლენინი დიდად დაინტერესა ამ კაცმა, რომელზეც უკვე სმენოდა, რომ ეს იყო ამიერკავკასიელ ბოლშევიკთაგან ერთ-ერთი ყველაზე გაბედული და მტკიცე რევოლუციონერი. სურდა, ახლოს გაეცნო იგი. ლენინი დიდხანს და ყურადღებით ეკითხებოდა, როგორ მუშაობდა, როგორ ცხოვრობდა, რა წიგნები წაეკითხა, სურდა გაეგო იმ ადამიანის, ვისთანაც კობას ურთიერთობა უწევდა. დროდადრო მოკლე შენიშვნებს ჩაურთავდა ხოლმე... და მათ ტონში იგრძნობოდა, რომ ლენინი კმაყოფილი იყო. ეს ზუსტად ის კაცი გამოდგა, რომელიც მას ჰირდებოდა".

ტამერფორსში დმიტრიევსკი არ ყოფილა, ლენინისა და სტალინის საუბარს ქალაქის ღამეულ ქუჩებში იგი ვერ მოისმენდა. რამდენადაც წიგნიდან ჩანს, ავტორს არასოდეს უსაუბრია სტალინთან და არც იმოწმებს მას. მიუხედავად ამისა, მის მონათხრობში არის რაღაც დამაჯერებელი და... ნაცნობი. მეხსიერების დაძაბვის შემდეგ მივხვდი, რომ დმიტრიევსკიმ ფინეთის კლიმატს მიუსადაგა ჩემი მონათხრობი 1902 წლის შემოდგომაზე ლენინთან პირველი შეხვედრისა და ლონდონის ქუჩებში გასეირნების შესახებ. ფოლკლორი სავსეა შემთხვევებით, როცა ანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ იმ მითოლოგიური გმირისათვის დამახასიათებელი თვისებები თუ ეპიზოდები მეორესათვისაც მიუწერიათ. ბიუროკრატიულ მითთამთხზველობაც იგივე მეთოდებს იყენებს.

კობა ზუსტად 28 წლისაა. მან პირველად გადალახა პროვინციული ნაჭუჭი და გამოვიდა პარტიის არენაზე, თუმცა მისი გამოჩენა ბევრს არ შეუმჩნევია. გაივლის კიდევ შვიდი წელი, ვიდრე მას ცენტრალურ კომიტეტში შეიყვანენ. და მაინც, ტამერფორსის კონფერენცია მნიშვნელოვანი ეტაპია კობას ცხოვრებაში. იგი ჩადის პეტერბურგში, ეცნობა პარტიის შტაბს, მის მექანიზმს, საკუთარ თავს სხვა დელეგატებს ადარებს, მონაწილეობს კამათში, ირჩევენ კომისიაში და, როგორც ოფიციალური ბიოგრაფია გვამცნობს, „საბოლოოდ უკავშირდება ლენინს", სამწუხაროდ, ყველაფერ ამის თაობაზე ძალზე ცოტა რამ ვიცით.

ლენინის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, 1924 წლის 28 იანვარს გამართულ სამგლოვიარო საღამოზე სტალინმა კრემლის წითელ იუნკრებს უამბო, როგორ შეხვდა პირველად ლენინს. მისი ეს ერთობ პირობითი და გაცვეთილი მონათხრობი შეხვედრის წარმოსადგენად ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდის, მაგრამ იგი იმდენად ახასიათებს თვით მთხრობელს, რომ ზედმეტი არ იქნება, მთლიანად მოვიყვანოთ აქ.

„პირველად ამხ. ლენინს 1905 წლის დეკემბერში ტამერფორსის (ფინეთში) ბოლშევიკთა კონფერენციაზე შევხვდი, — ასე დაიწყო მოყოლა სტალინმა. — ვიმედოვნებდი, რომ ვნახავდი ჩვენი პარტიის მთის არწივს, უდიდეს ადამიანს, უდიდესს არა მარტო როგორც პოლიტიკოსს, არამედ, თუ გნებავთ, ფიზიკური აგებულობითაც, რადგანაც ამხ. ლენინი ჩემს წარმოსახვაში იხატებოდა გოლიათის სახით, ტანადი და წარმოსადეგი. როგორ გამიცრუვდა მოლოდინი, როცა დავინახე სრულიად ჩვეულებრივი, საშუალოზე დაბალი, რიგით მოკვდავთაგან არაფრით გამორჩეული..."

წუთით შევჩერდეთ! ამ დახასიათების მოჩვენებით გულუბრყვილობაში, რომლითაც „მთის არწივს" „გოლიათად" გვიხატავს, ავტორის საკუთარი გამორჩენის მიზნით შეფარული ეშმაკობა ჩანს. სტალინი წითელი არმიის მომავალ ოფიცრებს ეუბნებოდა: „ნუ მოგატყუებთ ჩემი ულიმღამო ფიგურა, აკი არც ლენინი გამოირჩეოდა სიმაღლით, ტანადობითა და სილამაზით", კურსანტებს შორის შერჩეული აგენტები ამ გადაკრულ ნათქვამს შემდეგ საპირო გულახდილობას მატებდნენ.

სტალინი განაგრძობს: „მიღებულია, რომ „დიდი ადამიანი", როგორც წესი, იგვიანებს შეკრებაზე, რათა მონაწილეები გულისძგერით ელოდნენ მის გამოჩენას, ამასთან, მისი გამოჩენის წინ ისმის გაფრთხილება: „სს... წყნარად... მოდის". მე მეჩვენებოდა, რომ ეს ჩვეულება სულაც არ არის ზედმეტი, რადგანაც მეტ ინტერესსა და პატივისცემას შთაგინერგავს. როგორ გამიცრუვდა იმედები, როცა შევიტყვე, რომ ლენინი სხვა დელეგატებზე ადრე მოსულა და სადღაც კუთხეში, როგორც უბრალო მოკვდავი, კონფერენციის რიგით დელეგატებთან საუბრობს, არ დავმალავ, მაშინ ასეთი საქციელი აუცილებელი წესების ერთგვარ უგულებელყოფადაც კი მომეჩვენა. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, ეს უბრალოება და თავმდაბლობა, მისწრაფება, დარჩენილიყო შეუმჩნეველი, ყოველ შემთხვევაში, გამორჩეულად თვალში არავის მოხვედროდა და ხაზგასმულად არ წარმოეჩინა თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა, წარმოადგენს ამხ. ლენინის, ახალი მასების ბელადის, უბრალო და ჩვეულებრივი ხალხის, „კაცობრიობის ყველაზე დაბალი ფენის" ბელადის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მხარეს".

ეს ვულგარული ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებები კარგად მოფიქრებულ ტყუილზეა აგებული. ცრხაასხუთამდელ თბილისსა და ბათუმში კობას, არა მგონია, ისეთი რანგის ბევრ შეკრებაში მიეღო მონაწილეობა, რომელზეც „დიდ ადამიანებთან" შეხვედრის წესებს ასე გულდასმით დააკვირდებოდა. პარტიის იატაკქვეშა მუშაობის ეპოქაში შეუძლებელია ადგილი ჰქონოდა „ბელადების" ეფექტურ გამოჩენას, აღტაცებულ შეძახილებსა და მსგავს საზეიმო წესებს. სტალინისათვის ნაკლებ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო ასეთი შეხვედრა პარტიის ხელმძღვანელთა ვიწრო წრის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე. როცა იგი მოჩვენებითი გულუბრყვილობით ინანიებს, რომ საზეიმო შეხვედრა „სულაც არ მიაჩნდა ზედმეტად", მას, უბრალოდ, სურს, გათამაშებული მიამიტობით მოიპოვოს მსმენელთა ნდობა. აშკარა სიცრუე კი იმაში მდგომარეობდა, რომ სტალინმა წარსულს მოარგო ახალი, საბჭოთა ეპოქის ზნეობა, როცა პოპულარული ბელადებისადმი ოვაციები — ყოველგვარი წინასწარ მომზადებისა და „წეს-ჩვეულებების" გარეშე — არაიშვიათად იყო მქუხარე. ასეთი მიხალმებებისგან ვერც ლენინი იზღვევდა თავს. უფრო სწორად, ოვაციებით შეწუხებული ლენინი უფრო ნაკლებად ახერხებდა მათ თავიდან აცილებას, ვიდრე ვინმე სხვა. სტალინისთვის იმ დროს საერთოდ უცხო იყო „ოვაციები". მისი გამოჩენა ტრიბუნაზე სრულიად შეუმჩნეველი რჩებოდა და სულაც არა იმიტომ, რომ თვითონ ცდილობდა, „თვალში საცემი არ ყოფილიყო". პირიქით, ლენინზე მისი მონათხრობი აშკარად გვიჩვენებს, როგორ მწვავედ განიცდიდა, რომ მასები არ იცნობდნენ. სწორედ ამიტომ ცდილობს იგი, სასაცილოდ წარმოაჩინოს სხვა საბჭოთა ბელადების პოპულარობა და, ლენინის ფიგურას ამოფარებულმა, საკუთარი არაპოპულარულობა თავმდაბლობით ახსნას. თუ გავიხსენებთ, რომ სტალინის მოხსენება მიმართული იყო კრემლის სამხედრო კურსანტებისადმი, მაშინ ძნელი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება. გავიგოთ, პირველ ყოვლისა, ვის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს სიტყვიერი მანევრირება.

„მოგვხიბლა, — განაგრძობს სტალინი, — ამხ. ლენინის ორმა მოხსენებამ, რომლებიც მან კონფერენციაზე წაიკითხა. ისინი ეხებოდა მიმდინარე მოვლენებს და აგრარულ საკითხს. სამწუხაროა, რომ ამხ. ლენინის ეს სიტყვები არ შემონახულა. ეს იყო შთამაგონებელი გამოსვლები, რამაც მთელი კონფერენცია აღაფრთოვანა. არაჩვეულებრივი დამაჯერებლობა, მარტივი და ნათელი არგუმენტები, მოკლე, ყველასათვის გასაგები, ყოველგვარ პრანჭვას მოკლებული ფრაზები, შთაბეჭდილებების მოსახდენად გამიზნული თავბრუდამხვევი ჟესტებისა და ეფექტური გამოთქმების უარყოფა, — ყოველივე ეს მკვეთრად განასხვავებდა ამხ. ლენინის გამოსვლებს ჩვეულებრივი „პარლამენტის“ ორატორთა გამოსვლებისაგან. მაგრამ მაშინ მე დამატყვევა ამხ. ლენინის სიტყვების არა ამ მხარემ. მე გამაოცა ამხ. ლენინის ლოგიკის გადაულახავმა ძალამ, რომელიც რამდენადმე მშრალად, მაგრამ საფუძვლიანად იპყრობდა აუდიტორიას, თანდათან დააელექტროებდა და შემდეგ საბოლოოდ ატყვევებდა მას. მახსოვს, მაშინ ბევრი დელეგატი ამბობდა: „ამხ. ლენინის სიტყვის ლოგიკა — ეს რაღაც ყოვლისშემძლე საცეცებია, რომლებიც ყოველი მხრიდან გიჭერენ მარწუხებს და რომელთაგან თავის დახსნის ძალა აღარ შეგწევს: ან უნდა დანებდე, ანდა ჩავარდნისთვის ხარ განწირული“. ვფიქრობ, ამხ. ლენინის სიტყვებისათვის დამახასიათებელი ეს თვისება მისი ორატორული ხელოვნების ყველაზე ძლიერი მხარეა“.

აქაც სტალინი იმდენად ლენინზე არ ლაპარაკობს, რამდენადაც ცდილობს, შეიგუოს აუდიტორია, როგორც ორატორმა. იგი ესწრაფვის, ჩაუნერგოს ახალგაზრდა მსმენელს, რომ კარგი ორატორები მხოლოდ ბურჟუაზიულ პარლამენტში თუ გამოდგებიან, დარწმუნების უდიდესი უნარი კი სწორედ იმას გააჩნია, ვინც ვერ ახერხებს ლაპარაკს. აღსანიშნავია ლენინის ორატორული ხელოვნების მისეული დახასიათება: „შთამაგონებელი სიტყვა“, რომელიც „რამდენადმე მშრალად“ იპყრობს აუდიტორიას, „დააელექტროებს“ მას და შემდეგ „ატყვევებს“ „ყოვლისშემძლე საცეცების“ დახმარებით, „რომლებიც ყოველი მხრიდან გიჭერენ მარწუხებს!“

თუ ეს საგულდაგულოდ მოფიქრებული სტრიქონები ლენინზე, როგორც ორატორზე, ერთობ ზოროულ წარმოდგენას გვიქმნიან, სამაგიეროდ ისინი მეტად გამომსახველად ახასიათებენ სტალინს — ადამიანს და ორატორს.

გამაერთიანებელი ყრილობის ჩატარება მოხერხდა მხოლოდ 1906 წელს სტოკჰოლმში. ამ დროისათვის უკვე დაპატიმრებულია პეტერბურგის საბჭო, ჩახშობილია მოსკოვის აჯანყება; რეპრესიის საგორავმა მთელ ქვეყანას გადაუარა. მენშევიკები მარჯვნისაკენ ეხეთქებოდნენ. მათი განწყობილება პლეხანოვმა ფრთიანი ფრაზით გამოხატა: „საჭირო არ იყო იარაღის ხელში აღება“. ბოლშევიკები განაგრძობდნენ აჯანყების მზადებას. რევოლუციის ძვლებზე მეფე პირველ სათათბიროს იწვევს, რომელშიც უკვე არჩევნების დასაწყისშივე გამომჟღავნდა აშკარა მონარქიულ რეაქციაზე ლიბერალთა უპირატესობა. მენშევიკებმა, რომლებიც სულ რამდენიმე კვირის წინ სათათბიროს არჩევნებში სანახევროდ ბოიკოტის პოზიციებზე იდგნენ, მთელი იმედები რევოლუციური ბრძოლიდან კონსტიტუციურ მონაპოვარზე გადაიტანეს: სტოკჰოლმის ყრილობის დროს მათ სოციალ-დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდათ ლიბერალებისათვის მხარდაჭერა. ბოლშევიკები გლეხთა აჯანყების შემდგომ განვითარებას ელოდნენ, რომელსაც უნდა აელორძინებინა პროლეტარიატის შეტევითი ბრძოლა და მოესპო მეფის სათათბირო. მენშევიკებისაგან განსხვავებით, ისინი კვლავ ბოიკოტის პოზიციებზე იდგნენ. როგორც ყოველთვის, დამარცხების შემდეგ, უთანხმოებამ უცბად მიიღო მწვავე ხასიათი. გამაერთიანებელი ყრილობის გახსნას წინ უძღოდა ავის მომასწავებელი ნიშნები.

ყრილობაზე 118 დელეგატს ჰქონდა გადამწყვეტი ხმის უფლება, მათ შორის 62 მენშევიკი იყო, 46 ბოლშევიკი. რამდენადაც თითოეული დელეგატი, პრინციპში, წარმოადგენდა 300 ორგანიზებულ სოციალ-დემოკრატს, გამოდის, რომ პარტიაში დაახლოებით 34000 წევრი იყო. მათ შორის 19000 მენშევიკი, 14000 ბოლშევიკი. ეს ციფრები არჩევითი კონკურენციის კანონთა ძალით, ეჭვგარეშეა, გაბერილია, ამასთან მნიშვნელოვნადაც. ყოველ შემთხვევაში, ყრილობის მოწვევის დროს პარტია აღარ მატულობდა, პირიქით, იკლებდა. 118 დელეგატიდან თბილისზე 11 მოდიოდა. ამ თერთმეტიდან 10 მენშევიკი გახლდათ, 1 ბოლშევიკი. ეს ერთადერთი ბოლშევიკი იყო ივანოვიჩის ფსევდონიმით ჩამოსული კობა. აქ ძალთა თანაფარდობა არითმეტიკის ზუსტი ენით მეტყველებს. ბერია ამტკიცებს, რომ „სტალინის ხელმძღვანელობით“ კავკასიელმა ბოლშევიკებმა მენშევიკები მასებს ჩამოაცილეს. ციფრები არ ადასტურებენ ამ ჩვენებას. მტკიცედ შეკავშირებული კავკასიელი მენშევიკები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ თავიანთ ფრაქციაში.

ივანოვიჩი ყრილობის მუშაობაში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა და ეს ოქმებშიც აისახა; მაგრამ ვინც არ იცის, რომ ივანოვიჩი და სტალინი ერთი და იგივეა, ოქმების კითხვის დროს არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს მის სიტყვებს და რეპლიკებს. ჯერ კიდევ ათი წლის წინათ არავინ არ ახდენდა ამ სიტყვების ციტირებას და თვით პარტიული ისტორიკოსებიც კი არ აღნიშნავდნენ, რომ ივანოვიჩი და პარტიის გენერალური მდივანი ერთი და იგივე პიროვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაა. ივანოვიჩი შეიყვანეს ერთ-ერთ ტექნიკურ კომისიაში, რომელსაც უნდა გამოერკვია, როგორ ხდებოდა ყრილობის დელეგატთა არჩევნები. მიუხედავად იმისა, რომ ეს დავალება მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობის არ იყო, იგი ერთობ სიმპტომატურია: აპარატის მექანიკის სფეროში კობა თავის ადგილზე იდგა. გზადაგზა მენშევიკებმა ორჯერ ამხილეს იგი ფაქტების მცდარ გადმოცემაში. ვერავინ დაამტკიცებს, რომ თვით ბრალმდებლები მიუკერძოებლები იყვნენ, მაგრამ შეუძლებელია კვლავ არ აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ინციდენტები ყოველთვის ჩნდება კობას სახელის ირგვლივ.

ყრილობის მუშაობის ცენტრში იდგა აგრარული საკითხი. გლეხთა მოძრაობა პარტიას, არსებითად, მოულოდნელად წამოესწრო. ძველმა აგრარულმა რეფორმამ, რომელიც თითქმის არ ეხებოდა მსხვილ მიწათმფლობელობას, მარცხი განიცადა. მემამულეთა მიწების კონფისკაცია გარდუვალი გახდა. მენშევიკები კვლავ „მუნიციპალიზაციის" პროგრამას იცავდნენ, ე. ი. მოითხოვდნენ მიწის გადაცემას ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიულ ორგანოთა განმგებლობაში. ლენინი დაჟინებით ადგა ნაციონალიზაციის გზას ძალაუფლების ხალხის ხელში გადასვლის აუცილებლობის გათვალისწინებით.

ლენინი დაჟინებით მოითხოვდა რევოლუციური გლეხური კომიტეტების მიერ მემამულეთა მიწების მითვისებას და ამ მითვისებაზე დაფუძნებული კრების სანქციას ნაციონალიზაციის თაობაზე კანონის მიღებით.

რევოლუციის ცენტრალურ საკითხზე ივანოვიჩი ლენინს არ ეთანხმებოდა. იგი ყრილობაზე მტკიცედ გამოვიდა ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა კონფისკებული მიწების გლეხებისათვის გადაცემას. მისი ამ თვალსაზრისის შესახებ, რომელიც სრულადაა ასახული ოქმებში, საბჭოეთში ახლა ცოტა ვინმემ თუ იცის, რამდენადაც არავის აქვს აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ კამათში ივანოვიჩის გამოსვლის არც ციტირების, არც კომენტირების უფლება. არადა, ეს გამოსვლა იმსახურებს ყურადღებას. „რამდენადაც ჩვენ მებრძოლ გლეხობასთან დროებით კავშირს ვამყარებთ, — ამბობდა ივანოვიჩი, — რამდენადაც, როგორც ჩანს, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ამ გლეხობის მოთხოვნები, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ მათ, თუკი ისინი საერთოდ ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს და რევოლუციის წინსვლას არ ეწინააღმდეგებიან. გლეხები მოითხოვენ მიწების განაწილებას. განაწილება არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ გარემოებებს (?). ესე იგი, ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ მიწის სრულ კონფისკაციას და განაწილებას. ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის ერთნაირად მიუღებელია როგორც ნაციონალიზაცია, ესე მუნიციპალიზაცია".

კრემლის სამხედრო კურსანტებს სტალინმა უამბო, რომ ტამერფორსში ლენინმა აგრარულ საკითხზე წარმოთქვა სიტყვა, რომელმაც საყოველთაო ენთუზიაზმი გამოიწვია. სტოკჰოლმში აშკარად გამოჩნდა, რომ ამ სიტყვამ ვერ შეძლო, შეებოჭა ივანოვიჩი თავისი „მარწუხებით". იგი არამარტო წინააღმდეგი წავიდა ლენინის აგრარული პროგრამისა, არამედ „ერთნაირად" მიუღებლად გამოაცხადა პლეხანოვისა და ლენინის პროგრამები.

შეუძლებელია, პირველ ყოვლისა, გაოცება არ გამოიწვიოს თვითონ ფაქტმა, რომ ახალგაზრდა კავკასიელმა, რომელიც სრულებით არ იცნობდა რუსეთს, საკუთარი ფრაქციის ბელადის საწინააღმდეგო პოზიცია აირჩია აგრარულ საკითხში, სადაც ლენინის ავტორიტეტი განსაკუთრებულად შეუვალი იყო. ფრთხილ კობას საერთოდ არ უყვარდა არც მოუსინჯავ ყინულზე ფეხის შედგმა, არც უმცირესობაში ყოფნა: იგი მხოლოდ მაშინ ებმებოდა კამათში, თუ ზურგს უმრავლესობა უმაგრებდა ანდა, როგორც უფრო მოგვიანებით ხდებოდა, მიუხედავად მოწინააღმდეგეთა სიმრავლისა, აპარატი უზრუნველყოფდა მის გამარჯვებას. მით უფრო შეუვალი ჩანს ის მოტივები, რომელმაც აიძულა იგი, ამჯერად გამოსულიყო ნაკლებ პოპულარული განაწილების დასაცავად. ასეთი მოტივი, რამდენადაც 30 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ შესაძლებელია მათი გამოცნობა, ორი იყო და ორივე ძალზე დამახასიათებელი გახლდათ სტალინისათვის.

კობა რევოლუციაში მოვიდა, როგორც პლებეური დემოკრატი, პროვინციალი და ემპირიკოსი. მისთვის უცხო და მიუწვდომელი იყო ლენინის მოსაზრებები საერთაშორისო რევოლუციაზე და გაცილებით ახლომდგომ „გარანტიებს" ეძებდა. ქართველ გლეხობაში, რომლისთვისაც უცხო იყო თემი, მიწისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულება უფრო მკვეთრად და უშუალოდ ვლინდებოდა, ვიდრე რუსეთში. სოფელ დიდილილოელი გლეხის შვილი თვლიდა, რომ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ყველაზე საიმედო გარანტია გახდებოდა წვრილ მესაკუთრეთათვის მიწის დამატებითი ნაკვეთის გამოყოფა. ამდენად, „გაყოფა" მისთვის არ ყოფილა დოქტრინიდან გამომდინარე დასკვნა, — ასეთ დასკვნებზე ის იოლად ამბობდა უარს, — ეს იყო მისი ორგანული პროგრამა, რომელიც შეესატყვისებოდა კობას ბუნების ღრმა ტენდენციებს, გარემომცველ სამყაროს და აღზრდას. „გაყოფის" რეციდივებს ჩვენ კვლავ შევხვდებით მასთან 20 წლის შემდეგ.

თითქმის ასევე უეჭველი ჩანს მეორე მოტივიც: დეკემბრის მარცხს არ შეეძლო არ დაემცირებინა ლენინის ავტორიტეტი კობას თვალში. იგი ხომ ყოველთვის მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა ფაქტს და არა იდეას. ლენინი ყრილობაზე უმცირესობაში აღმოჩნდა. მის გვერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით კობა ვერ გაიმარჯვებდა. ეს მიზეზი უკვე ამცირებდა მის ინტერესს ნაციონალიზაციის პროგრამისადმი. ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც მიწის გაყოფას მიიჩნევდნენ გაცილებით ნაკლებ ბოროტებად, ვიდრე მოწინააღმდეგე ფრაქციის პროგრამას. კობას შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ყრილობის უმეტესობა, ბოლოს და ბოლოს, უფრო ნაკლებ ბოროტებას დაუჭერდა მხარს. ასე ერწყმოდა რადიკალი დემოკრატის ორგანული ტენდენცია კომბინატორის გამოანგარიშებებს. მაგრამ კობა ანგარიშში მოტყუვდა: მენშევიკების მხარეს დიდი უმრავლესობა იდგა. ამდენად, მათ არ ჰქირდებოდათ ნაკლები ბოროტების ამორჩევა, რადგან არჩევდნენ უფრო უარესს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამომავლოდ იმის აღნიშვნაც, რომ სტოკჰოლმის ყრილობის პერიოდში სტალინი, ლენინის დარად, პროლეტარიატის გლეხობასთან კავშირს განიხილავდა, როგორც „დროებით", ე. ი. მხოლოდ დემოკრატიული ამოცანებით განპირობებულ კავშირს. მას თავშიც არ მოსდიოდა, რომ გლეხობას, როგორც ასეთს, შეეძლო გამხდარიყო სოციალისტურ გადატრიალებაში პროლეტარიატის თანამებრძოლი. ოცი წლის შემდეგ გლეხობისადმი ეს უნდობლობა გამოცხადდა „ტროცკიზმის" მთავარ ერესად. სხვათა შორის, 20 წლის შემდეგ ბევრ რამეს კიდევ მიეცემა სხვა სახე. 1906 წელს კი ბოლშევიკებისა და მენშევიკების აგრარულ პროგრამებს „ერთნაირად მიუღებლად" რომ აცხადებდა, სტალინი თვლიდა, რომ მიწის გაყოფა, „არ ეწინააღმდეგება ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს". იგი აქ კაპიტალისტური განვითარების ტენდენციას გულისხმობდა, რაც შეეხება მომავალ სოციალისტურ რევოლუციას, იმ დროისათვის კობას ჯერ კიდევ არ უფიქრია მასზე სერიოზულად. მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა ერთ რამეში: მის მოსვლამდე ბევრი ათეული წელი ჩაივლის, რომელთა განმავლობაშიც კაპიტალიზმის კანონები სოფლის მეურნეობაში კონცენტრაციისა და პროლეტარიზაციის გარდაუვალ სამუშაოებს ჩაატარებენ. ამაოდ არ უწოდებს შორეულ სოციალისტურ მიზანს კობა ბიბლიურ სახელს: „აღთქმული ქვეყანა".

ივანოვიჩის ორი დანარჩენი გამოსვლა ამ ყრილობაზე წარმოადგენდა ლენინის სიტყვებისა და სტატიების პერიფრაზს. საერთო პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვით იგი მართებულად დაესხა თავს მენშევიკების მისწრაფებას, დაემცირებინათ მასების მოძრაობა და შეეხამებინათ იგი ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკური კურსისათვის. „ან პროლეტარიატის ჰეგემონია, — იმეორებდა იგი გავრცელებულ ფორმულას, — ანდა დემოკრატიული ბურჟუაზიის ჰეგემონია — აი, როგორ დგას საკითხი პარტიაში, აი, ამაშია ჩვენი უთანხმოებანი". მაგრამ ორატორი ძალზე შორს იყო ამ ალტერნატივის შემდგომი ისტორიული შედეგების გაგებისაგან. „პროლეტარიატის ჰეგემონია" ნიშნავს მის პოლიტიკურ ძალაუფლებას ქვეყნის ყველა დანარჩენ რევოლუციურ ძალაზე, პირველ ყოვლისა — გლეხობაზე. რევოლუციის სრული გამარჯვების შემთხვევაში „ჰეგემონიამ", ბუნებრივია, უნდა მიგვიყვანოს პროლეტარიატის დიქტატურამდე მისგან გამომდინარე ყველა შედეგით. მაგრამ ივანოვიჩი მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ რუსული რევოლუცია მხოლოდ ბურჟუაზიული რეჟიმისათვის გზის გაკაფვას შეძლებს. პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას კობა აერთიანებდა გლეხობის დამოუკიდებელი პოლიტიკის იდეასთან, რომელიც თვითონ ითავისუფლებს თავს მიწის პატარ-პატარა ნაჭრებად გადანაწილების საშუალებით.

ყრილობის დამთავრებისთანავე, ლენინმა დაუყოვნებლივ დაწერა მოწოდება პარტიისადმი, რომელშიც თავშეკავებულად, მაგრამ არაორაზროვნად აკრიტიკებდა მიღებულ გადაწყვეტილებებს. მოწოდებას ხელი მოაწერეს „ბოლშევიკთა ყოფილი ფრაქციის" (ქაღალდზე ფრაქციები დაშლილად ითვლებოდა) დელეგატებმა. მაგრამ მოხდა ასეთი რამ: ყრილობის 42 ბოლშევიკი მონაწილისაგან მოწოდებას ხელი მოაწერა მხოლოდ ოცდაექვსმა. ივანოვიჩის ხელმოწერა მოწოდებაზე, ისე როგორც მისი ჯგუფის ხელმძღვანელ სუვოროვისა, არ არის. გაყოფის მომხრეები, როგორც ჩანს, განხეთქილებას იმდენად მნიშვნელოვნად თვლიდნენ, რომ უარი თქვეს ლენინის მომხრეებთან ერთად გამოსულიყვნენ პარტიის წინაშე მოწოდებით, მიუხედავად იმისა, რომ მოწოდება ერთობ ფრთხილ ფორმულირებას აძლევდა აგრარულ საკითხს.

ტყუილუბრალოდ დავიწყებდით ამ ფაქტის კომენტარების ძიებას პარტიის ოფიციალურ გამოცემებში. მეორე მხრივ, სტოკჰოლმის ყრილობის შესახებ დაწვრილებით გვიამბობს ლენინი. იგი ჩამოთვლის კამათის მონაწილე როგორც ბოლშევიკ, ისე მენშევიკ ორატორებს და არსად, არც ერთხელ არ ახსენებს ივანოვიჩის გამოსვლებს: ჩანს, ლენინს ეს გამოსვლები სულაც არ მოჩვენებია ისე მნიშვნელოვნად, როგორც ცდილობენ, წარმოგვიდგინონ 30 წლის შემდეგ. პარტიაში სტალინის მდგომარეობა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, არ შეცვლილა. არავის არ წამოუყენებია მისი კანდიდატურა ცენტრალურ კომიტეტში, რომელიც 7 მენშევიკისა და 3 ბოლშევიკის: კრასინის, რიკოვისა და დესნიცკის შემადგენლობით აირჩიეს. სტოკჰოლმის ყრილობის შემდეგაც, ისე როგორც მანამდე, კობა „კავკასიური მასშტაბის" მოღვაწედ რჩება.

❁

რევოლუციის წლის ბოლო ორი თვის განმავლობაში კავკასია ქვაბივით თუხთუხებდა დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კემბერში საგაფიცვო კომიტეტმა, რომელმაც ხელში აიღო ამიერკავკასიის რკინიგზისა და ტელეგრაფის მართვა, დაიწყო თბილისის სატრანსპორტო მოძრაობისა და ეკონომიკური ცხოვრების რეგულირება. ქალაქის გარეუბნები შეიარაღებული მუშების ხელში აღმოჩნდა, მაგრამ ძალზე მცირე ხნით — სამხედრო ხელისუფლებამ მალე შეავიწროვა მოწინააღმდეგე. თბილისის გუბერნიაში სამხედრო რეჟიმი გამოცხადდა. შეიარაღებული ბრძოლები მიმდინარეობდა ქუთაისში, ჭიათურაში და სხვა პუნქტებში. დასავლეთ საქართველო გლეხთა აჯანყებამ მოიცვა. 10 დეკემბერს კავკასიის პოლიციის უფროსი შირინკინი დეპარტამენტის უფროსს პეტერბურგში ატყობინებდა: „ქუთაისის გუბერნიაში საგანგებო ვითარებაა... ჟანდარმები განაიარაღეს, დაიკავეს გზის დასავლეთი ნაწილი, თვითონ ყიდიან ბილეთებს და იცავენ წესრიგს.. ქუთაისიდან ცნობები არ მოდის, ჟანდარმები მოვხსენით ამ ხაზიდან და თბილისში გადავისროლეთ. შეტყობინებით მიმავალ შიკრიკებს რევოლუციონერები ჩხრეკდნენ და ბარათებს ართმევდნენ. პირდაპირ აუტანელი მდგომარეობაა... მეფის ნაცვალი ნერვულ გადაღლილობას უჩივის...“

ყველაფერი ეს თავისთავად არ ხდება. მთავარი, რა თქმა უნდა, იყო გამოღვიძებული მასების კოლექტიური ინიციატივა, მაგრამ მას ყოველ ნაბიჯზე ესაჭიროებოდა ინდივიდუალური აგენტები, ორგანიზატორები, ხელმძღვანელები. კობა მათ რიცხვში არ ყოფილა. იგი მოგვიანებით უკეთებდა მოვლენებს კომენტარს. სწორედ ამან მისცა საშუალება, რომ ასეთ დაძაბულ დროს ტამერფორსში გამგზავრებულიყო, მისი არც წასვლა და არც ჩამოსვლა არავის შეუმჩნევია.

კობას განმარტებით, პროლეტარიატმა განიცადა ეპიზოდური მარცხი, „უპირველესად იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა ანდა ძალიან ცოტა ჰქონდა იარაღი; როგორი შეგნებულიც უნდა იყო, ტყვიას შიშველი ხელით წინ ვერ აღუდგები“. ასეთი ახსნა აშკარად ამარტივებდა საკითხს. ტყვიის წინააღმდეგ შიშველი ხელით „აღდგომა“, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ ამ მარცხს უფრო ღრმა მიზეზები ჰქონდა: გლეხობა მთლიანად არ ჩაბმულა მოძრაობაში, მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა არმიის მიმხრობაც. პროლეტარიატმა კი ჯერჯერობით ბოლომდე ვერც თავისი სიძლიერე გააცნობიერა, ვერც მოწინააღმდეგისა. 1905 წელი ისტორიაში შევიდა, — და სწორედ ამაშია მისი განუზომელი მნიშვნელობა — როგორც „გენერალური რეპეტიცია“, მაგრამ ასეთი განსაზღვრების გაკეთება ლენინმა მოგვიანებით შეძლო; 1906-ში კი იგი სხვებივით ელოდა კვანძის გახსნას უახლოეს ხანებში. იანვარში კობა, როგორც ყოველთვის, გადმოსცემდა რა ლენინის აზრებს გამარტივებული სახით, წერდა: „ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ უარი ყოველგვარ ყოყმანზე, მოვიშოროთ გაურკვევლობა და უპოკმანოდ დავადგეთ შეტევის გზას... ერთიანი პარტია, მის მიერ ორგანიზებული აჯანყება და შეტევის პოლიტიკა — აი, რას მოითხოვს ჩვენგან აჯანყების გამარჯვება“. მენშევიკებიც კი ვერ ბედავდნენ, ხმამაღლა ეთქვათ, რომ რევოლუცია დასრულდა. სტოკჰოლმის ყრილობაზე ივანოვიჩს შესაძლებლობა ჰქონდა განეცხადებინა, თანაც ისე, რომ წინააღმდეგობის არ შეშინებოდა: „ჩვენ ვდგავართ ახალი აფეთქების წინაშე... ამ საკითხში ყველა ერთსულოვანი ვართ“. სინამდვილეში კი ამ დროისათვის „აფეთქება“ უკვე უკან იყო მოტოვებული. „შეტევის პოლიტიკა“ სულ უფრო და უფრო მეტად გადაიქცა პარტიზანული გაფიცვებისა და ცალკეული აფეთქებების პოლიტიკად. ქვეყანაში გავრცელდა ე. წ. „ექსპროპრიაციები“, ანუ შეიარაღებული თავდასხმები ხაზინაზე, ბანკზე და სხვა დაწესებულებებზე.

რევოლუციის დაქვეითება შეტევის ინიციატივას უთმობდა ხელისუფლებას, რომელმაც ამ დროისათის უკვე მოიწესრიგა ნერვები. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში რევოლუციური პარტიები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ. დაიწყო შეუნიღბავი ბრძოლა. მეფის პოლიციამ უკვე სახით გაიცნო მტერი — თითოეული ცალცალკე და ყველა ერთად. ანგარიშსწორება დაიწყო 8 დეკემბერს პეტერბურგის საბჭოს დაპატიმრებით. ყველა ეჭვმიტანილს, ვინც მიმალვა ვერ მოასწრო, რიგრიგობით იჭერდნენ. რეპრესიებს განსაკუთრებულად მძვინვარე ხასიათი მისცა მოსკოველ რაზმელებზე ადმირალ დუბასოვის გამარჯვებამ. 1905 წლის იანვრიდან პირველი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე, 1906 წლის 27 აპრილამდე, მიახლოებითი გამოთვლით, მეფის ხელისუფლებამ მოკლა 14 000-ზე მეტი ადამიანი, დასაჯა 1000-ზე მეტი, დაიჭირა 20 000; დააპატიმრეს და გადაასახლეს 70 000-მდე კაცი; მსხვერპლის დიდი წილი 1905 წლის დეკემბერსა და 1906 წლის პირველ თვეებზე მოდის. კობა „სამიზნედ“ არ მდგარა. იგი არც დაუპატიმრებიათ და არც გადაუსახლებიათ. დამალვაც კი არ დასჭირვებია — ძველებურად თბილისში რჩებოდა. შეუძლებელია ეს მისი პირადი სიმამაცით ან ბედნიერი შემთხვევით აიხსნას. კონსპირაციული წესით, ანუ მალულად ტამერფორსის კონფერენციაზე გაპარვა კი შეიძლებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო 1905 წ. მასობრივი მოძრაობისათვის მალულად ხელმძღვანელობა. პატარა თბილისის პირობები აქტიური რევოლუციონერისათვის „ბედნიერ შემთხვევასაც“ გამორიცხავდა. ერთადერთი სიმართლე ესაა: კობა იმდენად განზე იდგა ყოველდღიური დიდი მოვლენებისაგან, რომ პოლიციის ყურადღების მიღმა დარჩა. 1906 წლის შემოდგომაზე იგი კვლავ მშვიდად იჯდა ხოლმე ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის რედაქციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს ლენინი ფინეთში, კუოკალაში იმალებოდა და მუდმივი კავშირი ჰქონდა პეტერბურგთან, მთელ ქვეყანასთან. აქ იყვნენ ბოლშევიკური ცენტრის სხვა წევრებიც. აქედან ხდებოდა არალეგალური ორგანიზაციების განუყვეტელი კავშირების აღდგენა. „რუსეთის ყველა კუთხიდან, — წერს კრუპსკაია, — ჩამოდიოდნენ ამხანაგები, რომელთაც ვეთათბირებოდით მუშაობის თაობაზე". კრუპსკაია ასახელებს რამდენიმე მათგანს, მათ შორის, სვერდლოვს, რომელიც ურალში „უზარმაზარი გავლენით სარგებლობდა", გაკვრით იხსენიებს ვოროშილოვს და სხვებს. მაგრამ, მიუხედავად ოფიციალური კრიტიკის მრისხანე შეძახილებისა, იგი ამ პერიოდში ერთხელაც არ მოიხსენიებს სტალინს, და არა იმიტომ, რომ გაურბის მისი სახელის ხსენებას, პირიქით, როგორც კი ფაქტები სულ პატარა შანსს აძლევენ, მაშინვე ცდილობს, წარმოაჩინოს იგი. უბრალოდ, კრუპსკაია ვერ პოულობს სტალინს საკუთარ მეხსიერებაში.

კავკასიელი ბოლშევიკები, ტამერფორსის და სტოკჰოლმის გადაწყვეტილებათა კვალდაკვალ, ერთიანდებიან მენშევიკებთან. გაერთიანებულ საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში კობა არ შედიოდა. სამაგიეროდ, ბერიას თუ ვერწმუნებით, იგი გახდა კავკასიის ბოლშევიკური ბიუროს წევრი, რომელიც პარტიის ოფიციალური კომიტეტის პარალელურად 1908 წელს საიდუმლოდ არსებობდა. ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა არც ამ ბიუროს და არც მასში კობას მოღვაწეობის შესახებ. ერთი რამ უეჭველია: თბილის-ბათუმის პერიოდის „კომიტეტჩიკის" ორგანიზაციულმა შეხედულებებმა, თუ შინაარსით არა, გარეგნულად მაინც ცვლილება განიცადა. ახლა კობა ვეღარ გაბედავდა, მოწოდებით მიემართა მუშებისათვის, მოენანიებინათ, რომ ჯერ კიდევ ვერ ამაღლდნენ კომიტეტების დონეზე. საბჭოებმა და პროფკავშირებმა წინა პლანზე წამოსწიეს მუშა-რევოლუციონერები, რომლებიც, როგორც წესი, მასების ხელმძღვანელობისათვის გაცილებით უკეთ მომზადებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე იატაკქვეშელი ინტელიგენციის უმეტესობა. „კომიტეტჩიკები" იძულებულნი გახდნენ, როგორც ადრევე ვარაუდობდა ლენინი, გადაემოწმებინათ საკუთარი შეხედულებები ან, უკიდურეს შემთხვევაში, საკუთარი არგუმენტაციები მაინც. კობა ახლა ბეჭდვით ორგანოებში მოითხოვდა ისეთი პარტიული დემოკრატიის აუცილებლობას, როცა „მასები თვითონ წყვეტენ ამა თუ იმ საკითხს და თვითონვე მოქმედებენ". მარტო არჩევითი დემოკრატიზმი არ არის საკმარისი. „ნაპოლეონ III საყოველთაო კენჭისყრით აირჩიეს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს არჩეული იმპერატორი უდიდესი დამპყრობელი იყო". საკუთარი მომავლის განჭვრეტა რომ შეძლებოდა, ბესოშვილი (კობას მაშინდელი ფსევდონიმია), ალბათ, თავს შეიკავებდა ამ პლებესციტების დამოწმებისაგან. მაგრამ ის ბევრ რამეს ვერ ჭვრეტდა. მისი განჭვრეტის უნარი მხოლოდ მოკლე დისტანციას წვდებოდა. ამაში იყო, როგორც ვნახავთ, სტალინის არა მარტო სუსტი, არამედ ძლიერი მხარეც, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული დროის განმავლობაში მაინც.

პროლეტარიატის მარცხი აიძულებდა მარქსიზმს თავდაცვაზე გადასულიყო. მტრები და მოწინააღმდეგეები მძლევარი თვეების მანძილზე მიყუჩებულნი, ახლა თავს მაღლა სწევდნენ. რეაქციის თვითნებობის საპასუხოდ როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან მოუხშირდნენ მატერიალიზმსა და დიალექტიკას. მარჯვნივ ლიბერალები, დემოკრატები და ხალხოსნები იდგნენ, მარცხნივ — ანარქისტები.

1906 წლის მოძრაობაში ანარქიზმს არავითარი როლი არ უთამაშია. პეტერბურგის საბჭოში არსებობდა მხოლოდ სამი ფრაქცია: მენშევიკების, ბოლშევიკების და სოციალისტ-რევოლუციონერებისა, მაგრამ საბჭოების ლიკვიდაციამ და საერთო იმედგაცრუებამ ხელსაყრელი პირობები შეუქმნა ანარქისტებს. მიქცევის ტალღებმა ჩამორჩენილ კავკასიაშიც იჩინეს თავი, სადაც ანარქიზმისათვის ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები იყო, ვიდრე სხვა კუთხეებში. მარქსიზმის შემტევი პოზიციების დაცვაში მონაწილეობისას კობა ქართულ ენაზე აქვეყნებს საგაზეთო სტატიების სერიას თემაზე: „ანარქიზმი და სოციალიზმი". ეს სტატიები, რომლებიც მიგვანიშნებენ ავტორის საუკეთესო მიზნებზე, არ გვაძლევენ საშუალებას, გადმოვცეთ მათი შინაარსი, რამდენადაც თვითონ წარმოადგენენ სხვისი ნაშრომების შინაარსს. ძნელია მათი ციტირებაც, რადგან სტატიებისათვის დამახასიათებელი უფერულობა არ იძლევა რაიმენაირი ინდივიდუალური ფორმულირების ამორჩევის საშუალებას. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ეს ნამუშევარი ხელმეორედ აღარასოდეს გამოცემულა.

ქართველი მენშევიკების მარჯვნივ, რომლებიც თავს ისევ მარქსისტებად მიიჩნევდნენ, გაჩნდა ფედერალისტების პარტია. ეს გახლდათ ნაწილობრივ რუსი სოციალისტ-რევოლუციონერების, ნაწილობრივ კადეტთა ადგილობრივი პაროდია. ბესოშვილი სამართლიანად ამხელდა ამ პარტიას და აღნიშნავდა მის მიდრეკილებას ფრთხილი მოქმედებისა და კომპრომისისადმი. მაგრამ, ამასთან, იყენებდა ერთობ თამამ სახეებს. „როგორც ცნობილია, — წერდა იგი, — ყოველ ცხოველს საკუთარი შეფერილობა აქვს; მაგრამ ამას ვერ ეგუება ქამელეონის ბუნება. ლომთან იგი ლომის ფერს იღებს, მგელთან — მგლისას, ბაყაყთან — ბაყაყისას, იმის მიხედვით, როდის რომელი ფერი აძლევს ხელს..." ზოოლოგი, ალბათ, გააპროტესტებდა ქამელეონის მიმართ წამოყენებულ ასეთ ცილისწამებას, მაგრამ, რამდენადაც საქმის არსიდან გამომდინარე, ბოლშევიკი-კრიტიკოსი მართალი იყო. შესაძლებლად

მიგვაჩნია, ვაპატიოთ არშემდგარი სოფლის მღვდლის ეს სტილი.

აი, ყველაფერი, რაც შეიძლება გაცნობოთ პირველი რევოლუციის წლებში კობა-ივანოვიჩ-ბესოშვილის მოღვაწეობაზე. თვით წმინდა რიცხობრივი თვალსაზრისითაც კი ეს ძალზე ცოტაა. ამასთან, ავტორი ცდილობდა, არ გამოეტოვებინა არაფერი, რაც ყურადღებას იმსახურებს. საქმე ის გახლავთ, რომ კობას ინტელექტი, მოკლებული წარმოსახვასა და უჩანგარობას, ნაკლებ მწარმოებელია. ამასთან, ეს შეუპოვარი, ბოლმიანი, მომთხოვნი ბუნება. უკანასკნელ წლებში შექმნილი ლეგენდის საწინააღმდეგოდ, სულაც არ არის შრომისმოყვარე. მას არ გააჩნია გონებრივი შრომის კულტურა. ყველამ, ვინც შეხვედრია მას უფრო მოგვიანებით, იცოდა, რომ სტალინს არ უყვარდა მუშაობა. „ზარმაცი კობა" — არაერთხელ უთქვამთ მასზე ნაზევრად შემწყნარებლური დაცინვით ბუხარინს, კრესტინსკის, სერებრიაკოვს და სხვებს. ამავე თვისებაზე ფრთხილად გადაუკრავდა ხოლმე ლენინიც. არაფრის კეთებისადმი ამ პირქუშ მიდრეკილებაში აისახებოდა, ერთი მხრივ, აღმოსავლური წარმოშობა, მეორე მხრივ, დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობა. ხანგრძლივი და სისტემატური დატვირთვისათვის გამოსადეგარებლად კობას ყოველთვის ესაჭიროებოდა მძლავრი პირადი მოტივი. რევოლუციაში, რომელიც ავიწროებდა მას, კობა ასეთ მოტივებს ვერ ხედავდა. ამის გამოა, რომ მისი წილი რევოლუციაში ასე მიზერული ჩანს იმასთან შედარებით, რაც რევოლუციამ მოუტანა მის პირად ცხოვრებას.

## რეაქციის პერიოდი

**იატაკქვეშა** რევოლუციონერთა პირადმა ცხოვრებამ უკანა პლანზე გადაიწია და უჩინარი გახდა, მაგრამ იგი არსებობდა, როგორც პალმები დიეგო რივიერას პეიზაჟებზე. ლოდებს ქვეშ მოყოლილი სიყვარული მზისკენ იკვალავდა გზას და ესეც თითქმის ყოველთვის რევოლუციასთან იყო დაკავშირებული.

იდეების ერთობა, ბრძოლა, ხიფათი, ხიზილოვე და დანარჩენი სამყაროსაგან იზოლირება ხელს უწყობდა მტკიცე კავშირების ჩამოყალიბებას. წყვილები ერთდებოდნენ იატაკქვეშეთში, შორდებოდნენ ციხეებში და კვლავ პოულობდნენ ერთმანეთს გადასახლებაში. ახალგაზრდა სტალინის პირად ცხოვრებაზე ჩვენ ცოტა რამ ვიცით, მაგრამ ეს ცოტაც მეტად მნიშვნელოვანია მისი ხასიათის გასაგებად.

„1908 წელს, — მოგვითხრობს ირემაშვილი, — მან ცოლი შეირთო; როგორც თვითონ მიაჩნდა, ქორწინება ბედნიერი იყო. მართალია, სქესთა თანასწორობა, რომელსაც ახალ სახელმწიფოში ქორწინების ძირითად საფუძვლად მიიჩნევდა, მის ოჯახში არ დამკვიდრებულა. ვინმესთან თანაბარ მდგომარეობაში ყოფნა კობას ხასიათს არ შეეფერებოდა. ქორწინება იმით იყო ბედნიერი, რომ ცოლს, მართალია, არ შეეძლო ქმრის გზას გაჰყოლოდა, მაგრამ მას აღმერთებდა. თანაც, როგორც ქართველი ქალი, ოჯახისა და მეუღლის ერთგულების წმიდათაწმიდა ტრადიციებზე იყო აღზრდილი". თვით ირემაშვილს, მიუხედავად იმისა, რომ თავს სოციალ-დემოკრატად თვლიდა, ხელუხლებლად შემორჩა ტრადიციული შეხედულება ქართველი ქალის, ანუ, არსებითად, ოჯახის მონის შესახებ. იგი ისეთადვე ხატავს კობას ცოლს, როგორც დედამის კეკეს: „ეს ჭეშმარიტად ქართველი ქალი... მთელი გულით ზრუნავდა ქმარზე, ღამეებს მხურვალე ლოცვაში ატარებდა და ელოდა თავის სოსოს, როცა ის საიდუმლო კრებებში მონაწილეობდა. ლოცულობდა, რათა სოსოს უარი ეთქვა ღვთის საწინააღმდეგო იდეებზე და მშვიდ ოჯახურ ცხოვრებას შესდგომოდა".

გაოცებას იწვევს, რომ კობას, რომელმაც ცამეტი წლის ასაკში აქცია ზურგი რელიგიას, ღრმადმორწმუნე ცოლი ჰყავდა. ეს ვითარება ჩვეულებრივი იქნებოდა სადმე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც შეიძლება აგნოსტიკოსი ქმარი მასონური რიტუალებით ერთობოდეს, მაშინ, როდესაც ცოლი, მორიგი ღალატის შემდეგ, აღსარებას აძლევს კათოლიკური ეკლესიის მღვდელს.

შეხედულებათა განსხვავების გამო, როგორც ჩანს, არავითარი დრამა არ წარმოქმნილა. „შინაგანად ესოდენ მშფოთვარე ადამიანი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე და ყოველი მოქმედებისას განიცდიდა მეფის საიდუმლო პოლიციის დევნასა და თვალთვალს, სიყვარულს მხოლოდ საკუთარ ოჯახში პოულობდა. იმ საერთო სიძულვილიდან, რასაც განიცდიდა ყველა სხვა ადამიანის მიმართ, კობა გამორიცხავდა თავის ცოლს, შვილსა და დედას". იდილიური ოჯახური სურათი, რომელსაც გვიხატავს ირემაშვილი, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კობა შემწყნარებლურად ეკიდებოდა მისთვის აბლობელი არსების რელიგიურ რწმენას. მაგრამ ეს ნაკლებად თავსდება ამ ადამიანის ტირანულ ბუნებაში. სინამდვილეში, შემწყნარებლობა აქ ზნეობრივ განურჩევლობად გამოიყურება. მეუღლეში კობა არ ეძებდა მეგობარს, რომელიც გაიზიარებდა მის შეხედულებებს ან თუნდაც ამზიარებს. იგი კმაყოფილდებოდა ერთგული და მორჩილი ქალით. თავისი შეხედულებებით ის მარქსისტი იყო, განცდებითა და სულიერი მოთხოვნილებებით დიდი ლიოლოელი ბესოს შვილი. კობა ცოლისაგან იმაზე მეტს არ თხოულობდა, რაც მამამისმა ჰპოვა უდრტვინველ კეკეში.

საერთოდ, ირემაშვილის ქრონოლოგია შეუვალი არ არის; იგი უფრო სანდოა, როცა საქმე ეხება პირად ცხოვრებას, ვიდრე მაშინ, როცა პოლიტიკის სფეროში იჭრება. ამჟღერად ინტერესის აღმძვრელია კობას ქორწინების თარიღი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

1903 წელი. იგი დააპატიმრეს 1902 წლის აპრილში და გადასახლებიდან 1904 წლის თებერვალში დაბრუნდა. გამორიცხული არ არის, რომ ქორწინება ციხეში შედგა. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ იყო. მაგრამ გამორიცხული არც ის არის, რომ ქორწინება შედგა გადასახლებიდან გაქცევის შემდეგ, 1904 წლის დასაწყისში. ამ შემთხვევაში საეკლესიო ჯვარისწერა „არალეგალისათვის" ადვილი არ იყო, მაგრამ მაშინდელ პირველყოფილ პირობებში, განსაკუთრებით კავკასიაში, პოლიციურ დაბრკოლებათა გვერდის ავლა შეიძლებოდა. თუ ქორწინება გადასახლებიდან გაქცევის შემდეგ შედგა, ამით, ალბათ, ნაწილობრივ აიხსნება კობას პოლიტიკური პასიურობა 1904 წელს.

კობას ცოლი — ჩვენ მისი სახელიც კი არ ვიცით*, — როგორც ამბობენ, ფილტვების ანთებით გარდაიცვალა 1907 წელს. ამ პერიოდისათვის ორი სოსოს ურთიერთობამ დაკარგა მეგობრული ხასიათი. „მისი მწვავე ბრძოლა, — ჩივის ირემაშვილი, — მიმართული იყო ჩვენი, ყოფილი მეგობრების წინააღმდეგ. იგი გააფთრებით გვესხმოდა თავს ყოველ კრებაზე, დისკუსიაზე და ყველგან ცდილობდა ჩვენს მიმართ შხამი და სიძულვილი დაეთესა. რომ შეძლებოდა, ცეცხლით და მახვილით ამოგვბუგავდა... მაგრამ ქართველი მარქსისტების უმეტესობა ჩვენთან რჩებოდა, ეს ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებდა მის გაბოროტებას".

პოლიტიკურ განხეთქილებას ხელი არ შეუშლია ირემაშვილისათვის, მისულიყო კობასთან და ნუგეში ეცა მისთვის ცოლის გარდაცვალების გამო. ტრადიციული ქართული ჩვეულებები ჯერ კიდევ ძალას ინარჩუნებდა. „იგი ძალზე დამწუხრებული იყო და შემხვდა როგორც ოდესღაც — ძალზე მეგობრულად. მისი ფერმკრთალი სახე ღრმა სულიერ განცდებს გამოხატავდა, რაც ცხოვრების ერთგული თანამგზავრის დაკარგვამ მოუტანა ამ გულქვა ადამიანს. მისი სულიერი რყევა... ძალზე ღრმა და ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო, რადგან ველარ ახერხებდა ხალხის წინაშე თავისი განცდების დამალვას".

მიცვალებული მართლმადიდებლური წესის დაცვით დამარხეს. ამას დაჟინებით მოითხოვდნენ მისი მშობლები და კობას წინააღმდეგობა არ გაუწევია. „როცა მცირერიცხოვანმა პროცესიამ სასაფლაოს შესასვლელს მიაღწია, — მოგვითხრობს ირემაშვილი, — კობამ მაგრად მომიჭირა ხელზე ხელი, მიმითითა კუბოზე და მითხრა: „სოსო, ამ არსებამ გაალღო ჩემი ქვის გული. — ის მოკვდა და მასთან ერთად გაქრა უკანასკნელი თბილი გრძნობა ადამიანებისადმი". მან მარჯვენა ხელი მკერდზე დაიდო: „აქ ყველაფერი განადგურებულია, ენით უთქმელი სიცარიელეა". ეს სიტყვები შეიძლება თეატრალურ-პათეტიკურად და არაბუნებრივად მოგვეჩვენოს, მაგრამ სიმართლეს მიაგავს არა მხოლოდ იმიტომ, რომ საქმე ეხება ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ცხოვრებაში პირველი მძიმე დარტყმა განიცადა, არამედ, იმიტომაც, რომ შემდგომშიც შევხვდებით სტალინის მშრალ პათეტიკას, რაც, საერთოდ, გულქვა ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი. თავისი გრძნობების გამოთქმის მოუქნელი სტილისტიკა კი მას სემინარიული პომილეტიკიდან მოსდევდა.

ცოლმა კობას პატარა, ნაზსახიანი ბიჭუნა დაუტოვა. 1918-1920 წლებში ის თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა, სადაც ირემაშვილი მასწავლებლად მუშაობდა. მალე მამამ იაშა მოსკოვში გადაიყვანა. ჩვენ მას კიდევ შევხვდებით კრემლში. აი, ყველაფერი, რაც ამ ქორწინების შესახებ ვიცით, რაც ზუსტად ემთხვევა პირველ რევოლუციას (1905-1907). ეს შემთხვევითი არ არის: რევოლუციონერთა პირადი ცხოვრების რიტმი მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიდი მოვლენების რიტმთან. „დაწყებული იმ დღიდან, რაც ცოლი დამარხა, — ამტკიცებს ირემაშვილი, — მან დაკარგა ადამიანური გრძნობის უკანასკნელი ნატამალი. მისი გული აივსო ენით უთქმელი ზიზღით და სიძულვილით, რისი ჩანერგვაც ყმაწვილის სულში ჯერ კიდევ მისმა ულმობელმა მამამ დაიწყო. იგი სარკაზმით თრგუნავდა მორალის ხმას, რაც სულ უფრო და უფრო იშვიათად ისმოდა მის არსებაში. შეუბრალებელი საკუთარი თავის მიმართ, სხვების მიმართაც შეუბრალებელი გახდა". ასე შევიდა კობა რეაქციის პერიოდში, თანდათან რომ ეუფლებოდა ქვეყანას.

●

პარტიის V ყრილობა, რომელიც 1907 წლის მაისში ლონდონში გაიმართა, განსაკუთრებული ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. „სოციალისტური" მრევლი წარმოდგენილი იყო გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე 302 დელეგატით (ერთი დელეგატი პარტიის 500 წევრზე), დაახლოებით 50 სათათბირო ხმის მქონე დელეგატით და არცთუ ცოტა სტუმრით. აქედან ბოლშევიკი იყო 80, მენშევიკი 85; ნაციონალური დელეგაციები გაფორმდა როგორც „ცენტრი"; წინა ყრილობაზე, რამდენადაც მახსოვს, წარმოდგენილი იყო 13 ათასი ბოლშევიკი და 18 ათასი მენშევიკი (ერთი დელეგატი პარტიის 800 წევრზე).

„ლონდონში, — წერს ფრანგი ბიოგრაფი, — სტალინმა პირველად ნახა ტროცკი, მაგრამ ამ უკანასკნელმა, ალბათ, ვერც შენიშნა იგი; პეტროგრადის საბჭოს ბელადი არ იყო ის კაცი, რომელიც იოლად გაბამდა ნაცნობობას და დაუმეგობრდებოდა ვინმეს ნამდვილი სულიერი სიახლოვის გარეშე". არ ვიცი, მართალია თუ არა ეს, მაგრამ ფაქტია, მე მხოლოდ სუვარინის

* სტალინის პირველი ცოლი იყო ეკატერინე (კატო) სვანიძე (მთარგ. შენიშვნა).

წიგნიდან გავიგე, რომ კობა ლონდონის ყრილობაზე იყო და შემდეგში ვიპოვე ამის დამადასტურებელი მასალა ოფიციალურ ოქმებში. ისევე როგორც სტოკჰოლმში, ივანოვიჩი ამ ყრილობაზეც იყო არა გადამწყვეტი ხმის მქონე 302 დელეგატს შორის, არამედ იმ 42-ში, რომელთაც სათათბირო ხმა ჰქონდათ. როგორი სუსტი უნდა ყოფილიყო ბოლშევიზმი საქართველოში, რომ კობამ თბილისში ვერ შეძლო 500 ხმის შეგროვება! „თვით კობასა და ჩემს მშობლიურ ქალაქ გორშიც,— წერს ირემაშვილი, — არ იყო არც ერთი ბოლშევიკი". კავკასიაში მენშევიკთა სრული ბატონობა ყრილობაზე თავის გამოსვლაში დაადასტურა შაუმიანმა — კავკასიელ ბოლშევიკთა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, კობას მეტოქემ და ცკ-ის მომავალმა წევრმა: „კავკასიელი მენშევიკები, — ჩიოდა იგი, — სარგებლობენ რიცხობრივი უპირატესობით და ოფიციალური ბატონობით კავკასიაში და ყველა ზომებს იღებენ, რათა ბოლშევიკები არ იქნენ არჩეულნი". განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ იგივე შაუმიანი და ივანოვიჩი, ვკითხულობთ: „კავკასიის მენშევიკური ორგანიზაციები თითქმის მთლიანად ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიისაგან შედგება". 18 ათასი კავკასიელი პარტიის წევრიდან მხოლოდ 6 ათასი იყო მუშა, მაგრამ მათი უმეტესობაც მენშევიკებს მიჰყვებოდა.

ივანოვიჩის სათათბირო ხმით აღჭურვას თან ხდევდა არცთუ ინტერესს მოკლებული ინციდენტი. ლენინმა, როგორც ყრილობის მორიგე სხდომის თავმჯდომარემ, წინადადება შემოიტანა კამათის გარეშე დაემტკიცებინათ სამანდატო კომისიის წარდგინება და სათათბირო ხმის უფლება მიეცათ ოთხი დელეგატისთვის, რომელთა შორის იყო ივანოვიჩი. დაუდგრომელმა მარტოვმა ადგილიდან იყვირა: „მე გთხოვთ, აგვიხსნათ, ვის ეძლევა სათათბირო ხმის უფლება, ვინ არიან ისინი, საიდან და ა. შ." ლენინი: „ეს მართლაც უცნობია, მაგრამ ყრილობას შეუძლია ენდოს სამანდატო კომისიის აზრს". უეჭველია, რომ მარტოვს რაღაც კულისებსმიღმური ცნობები ჰქონდა ივანოვიჩის მუშაობის ხასიათზე, — ამაზე მალე გვექნება საუბარი — და ამიტომ იჩქარა ლენინმა სახიფათო რეპლიკის სამანდატო კომისიის ავტორიტეტით გამაგრება. ყოველ შემთხვევაში, მარტოვმა საჭიროდ ჩათვალა „ამ პირების" როგორც უცნობების დახასიათება: „ვინ არიან ისინი, საიდან? და ა. შ."

თავის მხრივ, ლენინმა არათუ უარყო, არამედ დაადასტურა კიდეც ეს დახასიათება. 1907 წელს სტალინი სრულიად უცნობი ფიგურა იყო არა მარტო პარტიის ფართო წრეებში, არამედ ყრილობის დელეგატებისთვისაც. კომისიის წინადადება მიიღეს, თუმცა დელეგატთა დიდმა ნაწილმა კენჭისყრისას თავი შეიკავა.

ყველაზე მეტად ღირსშესანიშნავი მაინც ის არის, რომ ივანოვიჩმა ერთხელაც ვერ ისარგებლა მისთვის ბოძებული სათათბირო ხმით. ყრილობა თითქმის სამ კვირას გრძელდებოდა. იყო ვრცელი დებატები, მაგრამ მრავალრიცხოვან ორატორთა შორის ჩვენ ვერც ერთხელ ვერ ვხვდებით ივანოვიჩის გვარს. მხოლოდ კავკასიელ ბოლშევიკთა ორ მოკლე წერილობით განცხადებაში, რომელიც მენშევიკებთან მათ შინაურ კონფლიქტს ეხება, არის კობას ხელმოწერა და ისიც რიგით მესამე; მისი ყრილობაზე ყოფნის სხვა კვალი არ ჩანს. ეს ვითარება რომ გავიგოთ, საჭიროა, ვიცოდეთ, რა ხდებოდა ყრილობის კულისებს მიღმა. ყოველი ფრაქცია ან ნაციონალური ორგანიზაცია ოფიციალურ სხდომებს შორის შესვენებისას იკრიბებოდა თავისი ძირითადი ხაზისა და მოქმედების განსაზღვრისათვის. აქვე ნიშნავდნენ ორატორებს. ამგვარად, სამკვირიან დებატებში, სადაც გამოვიდა პარტიის ყველა, ასე თუ ისე თვალსაჩინო წევრი, ბოლშევიკურმა ფრაქციამ საჭიროდ არ ჩათვალა, დაევალებინა ივანოვიჩისათვის თუნდაც ერთი გამოსვლა.

ყრილობის ერთ-ერთი ბოლო სხდომის დასასრულს ერთი ახალგაზრდა პეტერბურგელი დელეგატი გამოდიოდა. ყველა ჩქარობდა დარბაზიდან გასვლას და მას თითქმის არავინ უსმენდა. ორატორი იძულებული გახდა სკამზე შემდგარიყო, რათა ყურადღება მიეპყრო, მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი მდგომარეობისა. მან მიზანს მიაღწია: დელეგატებმა მის გარშემო შეკრება დაიწყეს, დარბაზი მიჩუმდა. ამ გამოსვლამ დებიუტანტი ცენტრალური კომიტეტის წევრად აქცია. მდუმარებისათვის განწირული ივანოვიჩი ახალგაზრდა უცნობის წარმატებას — ზინოვიევი მაშინ 24 წლისა იყო — ალბათ, დიდი თანაგრძნობით არ შეხვდებოდა; აი, შურს კი უსათუოდ აღუძრავდა. მის გარშემო თითქოს ყველას ერთხმად გადაეწყვიტა — არ შეემჩნიათ სათათბირო ხმის მქონე პატივმოყვარე კავკასიელი. ყრილობის ერთი რიგითი მონაწილე ბოლშევიკი განდურინი თავის მოგონებებში მოგვითხრობს: „შესვენებისას ჩვენ გუნდად ვეხვეოდით რომელიმე გამორჩეულ მუშაკს და შეკითხვებს ვაყრიდით". განდურინი დელეგატთა შორის იხსენიებს ლიტვინოვს, ვოროშილოვს, ტომსკის და სხვებს, მაშინ ნაკლებად ცნობილ ბოლშევიკებს, მაგრამ არსად არ ახსენებს სტალინს, მიუხედავად იმისა, რომ მოგონებები 1931 წელს არის დაწერილი, მაშინ, როცა სტალინის დავიწყება ათასწილად უფრო ძნელი იყო, ვიდრე გახსენება.

ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში ბოლშევიკებისაგან აირჩიეს: მეუკოვსკი, როჟკოვი, თეოდოროვიჩი და ნოგინი; კანდიდატებად: ლენინი, ბოგდანოვი, კრასინი, ზინოვიევი, რიკოვი, შანცერი, სამარი, ლეიტაიზენი, ტარატუტა. ა. სმირნოვი. ფრაქციის ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენლები კანდიდატებში აღმოჩნდნენ, რათა წინა პლანზე წამოწეულიყვნენ ის ადამიანები, რომელთაც რუსეთში მუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა შეეძლოთ. მაგრამ ვერც წევრებში და ვერც კანდიდატებში ივანოვიჩი ვერ მოხვდა. არასწორი იქნება ამის მიზეზად მენშევიკები მიგვეჩნია. ყოველი ფრაქცია თავად ირჩევდა თავის კანდიდატებს. ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკი წევრებიდან ზინოვიევი, რიკოვი, ტარატუტა, ა. სმირნოვი ასაკით ივანოვიჩის თაობას ეკუთვნოდნენ, ზოგი კი მასზე უმცროსიც იყო.

ბოლშევიკური ფრაქციის ბოლო სხდომაზე, უკვე ყრილობის დახურვის შემდეგ, აირჩიეს საიდუმლო ბოლშევიკური ცენტრი, ე. წ. „ბც“ 15 წევრის შემადგენლობით. მათ რიცხვში ვხვდებით მაშინდელი და შემდგომი პერიოდის თეორეტიკოსებსა და ლიტერატორებს: ლენინს, ბოგდანოვს, პოკროვსკის, როჟკოვს, ზინოვიევს, კამენევს, ასევე თვალსაჩინო ორგანიზატორებს: კრასინს, რიკოვს, დუბროვინსკის, ნოგინს და სხვებს. ივანოვიჩი არც ამ კოლეგიაშია. ძალზე ჩვეულებრივი ფაქტია. სტალინი შეიძლებოდა ცკ-ის წევრად არ აერჩიათ, რადგან მთლიანად პარტიისათვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი ანდა დავუშვათ — კავკასიელ მენშევიკთა მტრობის. წყალობით. მაგრამ თუ მას რაიმე წონა გააჩნდა საკუთარ ფრაქციაში, იგი უსათუოდ შევიდოდა ბოლშევიკურ ცენტრში, რომელსაც ესაჭიროებოდა ავტორიტეტული წარმომადგენელი კავკასიიდან. თვით ივანოვიჩს არ შეიძლება არ ეოცნება „ც“-ს წევრობაზე, მაგრამ მისთვის იქ ადგილი ვერ მოიძებნა.

ასეთ ვითარებაში საერთოდ რისთვის ჩამოვიდა კობა ლონდონში? მას არ შეეძლო ხელი აეწია, როგორც დელეგატს; არავის ჭირდებოდა, როგორც ორატორი; აშკარაა, არავითარ როლს არ თამაშობდა ბოლშევიკური ფრაქციის დახურულ სხდომებზე. შეუძლებელია, მხოლოდ იმიტომ ჩამოსულიყო, რომ სხვებისთვის ესმინა და ეყურებინა. მას უსათუოდ სხვა ამოცანებ ჰქონდა. სახელდობრ, როგორი?

ყრილობა დამთავრდა 19 მაისს. უკვე პირველ ივნისს პრემიერმა სტოლიპინმა სათათბიროს წაუყენა მოთხოვნა, დაუყოვნებლივ გაერიცხა 55 სოციალ-დემოკრატი და მიეცა მათგან თექვსმეტის დაპატიმრების დასტური. ისე, რომ სათათბიროს თანხმობას არც დალოდებია, 2 ივნისის ღამეს პოლიცია შეუდგა მათ დაპატიმრებას. 3 ივნისს სათათბირო დათხოვნილად გამოცხადდა და სახელმწიფო გადატრიალების შესაბამისად გამოქვეყნდა ახალი საარჩევნო კანონი, ადგილებზე ჩატარდა წინასწარ მომზადებული მასობრივი დაპატიმრებები, ნაწილობრივ, რკინიგზელებშიც, რათა თავიდან აეცილებინათ საყოველთაო გაფიცვები. შავი ზღვის ფლოტსა და კიევის ერთ-ერთ პოლკში აჯანყების მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. მონარქია ზეიმობდა. როცა სარკეში იყურებოდა, სტოლიპინს იქიდან თითქოს წმინდა გიორგის სახე უმზერდა, რომელმაც სასიკვდილოდ განგმირა ურჩხული.

ბუნებრივია, რევოლუციის დამარცხებამ მთელი რიგი ახალი კრიზისები გამოიწვია პარტიასა და ბოლშევიკურ ფრაქციაში, რომელიც ბოიკოტის პოზიციაზე დადგა. ეს იყო თითქმის ინსტინქტური რეაქცია მთავრობის ძალადობის წინააღმდეგ და, ამასთანავე, რადიკალური ჟესტით საკუთარი სისუსტის მიჩქმალვის მცდელობა. მოიცალა რა ყრილობის შემდეგ ფინეთში მყოფმა ლენინმა ყოველმხრივ აწონ-დაწონა მდგომარეობა და გადაჭრით გამოვიდა ბოიკოტის წინააღმდეგ. მისი მდგომარეობა საკუთარ ფრაქციაში საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა, რადგან საერთოდ ძნელია რევოლუციური დღესასწაულიდან ბუნდოვან ყოველდღიურობაში დაბრუნება. „ლენინისა და როჟკოვის გარდა, — წერდა მარტოვი, — ბოლშევიკური ფრაქციის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი (ბოგდანოვი, კამენევი, ლუნაჩარსკი, ვოლსკი და სხვები) ბოიკოტს მიემხრო“. ეს ციტატა იმითაც არის საინტერესო, რომ „თვალსაჩინო წარმომადგენლებში“ მოხსენიებულია არა მარტო ლუნაჩარსკი, არამედ დიდი ხნის წინათ მივიწყებული ვოლსკიც, სტალინზე კი არაფერია ნათქვამი. 1924 წელსაც კი, როცა მოსკოვის ოფიციალურმა ისტორიულმა ჟურნალმა გაიხსენა ყრილობის მუშაობაზე მარტოვის ეს სიტყვები, რედაქციას აზრად არ მოსვლია, დაინტერესებულიყო, ვის დაუჭირა მხარი სტალინმა.

ამ დროს კობა ბოიკოტისტებს შორის არ იყო. მენშევიკებიდან მომდინარე აშკარა მოწმობებთან ერთად ამის დასტურად არსებობს, მართალია, არაპირდაპირი, მაგრამ ერთობ დამაჯერებელი ცნობა: ახლანდელ ოფიციალურ ისტორიკოსთაგან არავინ იხსენებს სტალინის პოზიციას III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით. გადატრიალების შემდეგ, მოკლე ხანში გამოსული ბროშურა „III სათათბიროს ბოიკოტის შესახებ“ გვამცნობს, რომ ლენინი ემხრობოდა არჩევნებში მონაწილეობას, ბოიკოტისტების შეხედულებას იცავდა კამენევი. კობა ამ შემთხვევაშიც ინკოგნიტოდ დარჩა, რადგან 1907 წელს არავის მოუვიდოდა აზრად, მისთვის წინადადება მიეცა თავისი პოზიციის შესახებ სტატიით გამოსულიყო.

პირველი რევოლუციის წლებში კობას რევოლუციური მოღვაწეობის შინაარსი იმდენად უმნიშვნელოა, რომ თავისთავად იბადება კითხვა: ნუთუ ეს იყო ყველაფერი? მოვლენათა იმ გრიგალებში, მის გვერდით რომ მიმდინარეობდა. არ შეიძლებოდა კობას არ ეძებნა თავის გამოჩენის საშუალება, რათა დაემტკიცებინა თავისი სწორუპოვრობა. უდავოა კობას მონაწილეობა ექსპროპრიაციებსა და ტერორისტულ აქტებში, თუმცა ამ მონაწილეობის ხასიათის გარკვევა ადვილი არ არის.

„მებრძოლთა საქმიანობის მთავარი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო თვითონ ლენინი, — წერს სპირიდოვიჩი, — რომელსაც ეხმარებოდნენ ახლობელი და სანდო პირები“. ვინ იყ-

ვნენ ისინი? ყოფილი ბოლშევიკი ალექსინსკი, რომელიც იმის დროიდან იქცა ბოლშევიკთა მხილების სპეციალისტად, საზღვარგარეთულ პრესაში მჰყვებოდა, რომ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში იყო კიდევ მცირე კომიტეტი, რომლის არსებობა არ იცოდა არათუ მეფის პოლიციამ, არამედ თვით პარტიის წევრებმაც კი. ეს მცირე კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ლენინი, კრასინი და კიდევ მესამე პირი, ძირითადად აგვარებდა პარტიის ფინანსების საკითხებს". „ფინანსების მოგვარებაში" ალექსინსკი გულისხმობს ექსპროპრიაციების ხელმძღვანელობას. „მესამე პირი" გახლდათ ჩვენთვის უკვე ნაცნობი ბუნებისმეტყველი, ექიმი, ეკონომისტი და ფილოსოფოსი ბოგდანოვი. ალექსინსკის არავითარი საფუძველი არა ჰქონდა დაემალა სტალინის მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში, მაგრამ თუ ამის შესახებ არ მოგვითხრობს, მაშასადამე, არაფერი იცის. სხვათა შორის, იმ წლებში ალექსინსკი არათუ მარტო ახლოს იდგა ბოლშევიკურ ცენტრთან, არამედ ხშირად ხვდებოდა სტალინს. საერთოდ კი ეს მამხილებელი მოგვითხრობს იმაზე მეტს, რაც მისთვის ნამდვილად ცნობილია.

კრასინის შესახებ ლენინის „თხზულებათა" კომენტარებში ნათქვამია, რომ „ხელმძღვანელობდა" ცკ-თან არსებულ მებრძოლთა ტექნიკურ ბიუროს". „პარტიულებმა ახლა იციან, — წერდა, თავის მხრივ, კრუპსკაია, — ის დიდი მუშაობა, რომელსაც ეწეოდა კრასინი ცხრაას ხუთი წლის რევოლუციაში რაზმელების მოსამზადებლად და შესაიარაღებლად. ეს ყველაფერი კეთდებოდა კონსპირაციულად, უხმაუროდ, მაგრამ ამ საქმეს სჭირდებოდა უზარმაზარი ენერგია. ვლადიმერ ილიას ძე ყველაზე უკეთ იცნობდა კრასინის ამ სამუშაოს და აქედან გამომდინარე, ყოველთვის ძალზე აფასებდა მას". ვოიტინსკი, პირველი რევოლუციის დროის გამოჩენილი ბოლშევიკი, წერს: „მე დამრჩა წარმოდგენა, რომ ბოლშევიკურ ორგანიზაციაში ნიკიტიჩი (კრასინი) იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ლენინი პატივისცემითა და სრული ნდობით ეპყრობოდა". მართალია, კრასინი მთელ თავის შესაძლებლობებს პეტერბურგში უყრიდა თავს, მაგრამ მსგავსი ოპერაციების ხელმძღვანელად კავკასიაში კობა რომ ყოფილიყო, შეუძლებელია ამის შესახებ არ სცოდნოდათ კრასინს, ლენინს და კრუპსკაიას. ამასთანავე, კრუპსკაია, ცდილობს რა დაამტკიცოს თავისი კეთილსაიმედოობა, ძალზე ხშირად ასახელებს სტალინს, მაგრამ სრულიად არ იხსენებს მის როლს პარტიის საბრძოლო საქმიანობაში.

1938 წლის 8 ივლისს მოსკოვის „პრავდამ" მოულოდნელად შენიშნა, რომ კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის არნახული გაქანება 1905 წელს დაკავშირებულია უშუალოდ ამხანაგ სტალინის მიერ პირველად აქ შექმნილ ჩვენი პარტიის ყველაზე მებრძოლ ორგანიზაციებთან". მაგრამ ერთადერთი ოფიციალური აღიარება სტალინის მონაწილეობისა „პარტიის ყველაზე მებრძოლ ორგანიზაციებში" განეკუთნება 1905 წელს, როცა ექსპროპრიაციების საკითხი ჯერ არ იყო წამოჭრილი. ის არ იძლევა რაიმე ცნობას კობას ნამდვილი საქმიანობის შესახებ და ბოლოს, ეს ცნობა საერთოდ საეჭვოა, რადგან ბოლშევიკური ორგანიზაციები თბილისში მხოლოდ 1905 წლის მეორე ნახევარში აღმოცენდა.

ვცადოთ მოვუსმინოთ ირემაშვილს. გამოხატავს რა თავის აღშფოთებას ტერორისტული აქტების, ექსების და სხვათა შესახებ, იგი აცხადებს: „კობა იყო ინიციატორი ბოლშევიკების მიერ საქართველოში ჩადენილი დანაშაულებებისა, რომელიც რეაქციას ემსახურებოდა". ცოლის სიკვდილის შემდეგ, როცა „დაკარგა ადამიანური გრძნობის უკანასკნელი ნატამალი", იგი იქცა იმგვარი ბოროტგანზრახულობების გულმოდგინე დამცველად და ორგანიზატორად, როგორიც იყო თავადების, სამღვდელოებისა და ბურჟუაზიის მკვლელობები". ჩვენ ერთხელ უკვე დავრწმუნდით, რომ ირემაშვილის ჩვენებები მით უფრო სანდო ხდება, რაც უფრო სცილდება პირად ცხოვრებას და პოლიტიკაში გადადის, ხოლო სიყრმისა და სიჭაბუკის წლებიდან კი მოწიფულობაში.

სიყმაწვილის მეგობრებს შორის პოლიტიკური კავშირი ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის წლებში შეწყდა. მხოლოდ 17 ოქტომბერს, კონსტიტუციური მანიფესტის გამოქვეყნების დღეს, ირემაშვილმა თბილისის ქუჩებში შემთხვევით დაინახა — მხოლოდ დაინახა და არა მოუსმინა — რკინის ფარანზე ასული კობა როგორ წარმოსთქვამდა ბრბოში სიტყვას (იმ დღეს ყველანი ფარნებზე მიძვრებოდნენ). ირემაშვილს, როგორც მენშევიკს, კობას ტერორისტული მოღვაწეობის შესახებ შეეძლო მოესმინა მხოლოდ მეორე ან მესამე პირისაგან. ამიტომ მისი მონათხრობი მეტად არასაიმედოა. ირემაშვილს მოაქვს ორი მაგალითი: „თბილისის ცნობილი ექსპროპრიაცია 1907 წელს, რომელზედაც ჩვენ კიდევ მოგვიხდება საუბარი და ქართველი ცნობილი მწერლის თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

ექსპროპრიაციის შესახებ, რომელსაც ის შეცდომით აკუთვნებს 1905 წელს, ირემაშვილი შენიშნავს: „კობამ ამჯერად შეძლო პოლიციის მოტყუება. მათ არ აღმოაჩნდათ საკმარისი მონაცემები ამ სასტიკი თავდასხმის ინიციატორებზე ეჭვის მისატანადაც კი, თუმცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ამჯერად კობა ოფიციალურად გარიცხა თავისი რიგებიდან". ირემაშვილს აგრეთვე არავითარი საბუთი არ მოაქვს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სტალინის მონაწილეობის თაობაზე და მხოლოდ არაფრისმთქმელი შენიშვნით შემოიფარგლება: „კობა ასევე უშუალოდ იდგა მკვლელობის უკან, ის იყო ყველა მძულვარებისა და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშაულის წამქეზებელი", ირემაშვილის მოგონებათა ამ ნაწილს მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც შუქს ჰფენს კობას ავტორიტეტს მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შორის. კარგად ინფორმირებული ავტორი, სავარაუდოა, ქართველი მენშევიკი, ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში (4 სექტემბერი, 1932 წ.) ხაზს უსვამს, რომ მეგობრები და მტრები ძალზე აზვიადებენ კობას ტერორისტულ თავგადასავლებს. „მართალია, სტალინს ჰქონდა განსაკუთრებული მიდრეკილება და უნარი ამგვარი ხასიათის თავდასხმების ორგანიზებისათვის, მაგრამ ამ საქმეში ის უმეტესად ორგანიზატორის, შთამაგონებლისა და ხელმძღვანელის სამუშაოს ასრულებდა და უშუალოდ არასოდეს მონაწილეობდა". ამიტომ, ყოვლად დაუჯერებელია, როცა მას ზოგიერთი ბიოგრაფი წარმოსახავს ყველაზე უფრო ჯიქურ ავანტიურაში ბომბებითა და რევოლვერებით მონაწილედ. ასეთივე მონაგონთა რიცხვს ეკუთვნის კობას ვითომ პირდაპირი მონაწილეობა თბილისის დიქტატორის გენერალ გრიაზნოვის მკვლელობაში 1906 წლის 17 იანვარს. „ეს საქმე განხორციელდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) პარტიის დადგენილების თანახმად, პარტიის მიერ სპეციალურად დანიშნული ტერორისტის მიერ. სტალინს, როგორც საერთოდ ბოლშევიკებს, არავითარი გავლენა არა ჰქონდა საქართველოში და ამ საქმეშიც იგი არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა". ანონიმი ავტორის ეს ცნობა ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ მისი ერთი ნაწილი შინაარსმოკლებულია. ანონიმი აღნიშნავს, რომ სტალინს ჰქონდა „განსაკუთრებული უნარი და მიდრეკილება" ექსპროპრიაციებისა და მკვლელობებისადმი, მაგრამ ამ დახასიათებას არავითარი მონაცემებით არ ამტკიცებს.

ძველი ქართველი ბოლშევიკ-ტერორისტი კოტე ცინცაძე, სერიოზული და ხალდი მოწმე, მოგვითხრობს, რომ გრიაზნოვზე თავდასხმის საქმეში მენშევიკთა ზოზინით უკმაყოფილო სტალინმა, წინადადება მისცა მას, კოტეს, საამისოდ შეედგინა საკუთარი რაზმი, მაგრამ მენშევიკებმა თავად მოახერხეს თავისი მიზნის აღსრულება. იგივე კოტე იგონებს, როგორ განიზრახა 1906 წელს საბრძოლო რაზმის შექმნა თავადებზე თავდასხმის მოსაწყობად. „ჩვენმა მოწინავე ამხანაგებმა, უმეტესად კობა-სტალინმა, მოიწონეს ჩემი ინიციატივა". ეს ცნობა ორმაგად საინტერესოა: ჯერ ერთი, ჩანს, რომ ცინცაძე კობას თვლიდა მოწინავე ამხანაგად ე. ი. ადგილობრივ ბელადად. მეორე მხრივ, ის თავს ნებას აძლევს აღნიშნოს, რომ ამ პერიოდში კობა სხვათა განზრახვის მოწონებაზე შორს არ მიდიოდა. აქვე შევნიშნავთ, რომ თავისი „მოწინავე ამხანაგის" კობა-სტალინის მიერ ციმბირში გადასახლებული კოტე 1930 წელს გარდაიცვალა.

მენშევიკური ცენტრალური კომიტეტის აშკარა წინააღმდეგობის მიუხედავად, მაგრამ ლენინის აქტიური მხარდაჭერით, პარტიის მებრძოლ ჯგუფებს საშუალება მიეცათ 1906 წელს ტამერფორსში მოეწვიათ საკუთარი კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეთა შორის ვხვდებით ამ რევოლუციონერთა სახელებს, ვინც შემდგომში დიდი თუ მცირე როლი ითამაშა პარტიაში: კრასინს, იაროსლავსკის, ზემლიაჩკას, ლალაიანცს, ტრილისერს და სხვებს. სტალინი მათ შორის არ არის, თუმცა ამ დროს ის თავისუფლად ცხოვრობდა თბილისში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მან კონსპირაციული თვალსაზრისით არ ისურვა რისკის გაწევა და კონფერენციაზე გამოჩენა. მაგრამ იგივე კრასინი, რომელიც მთავარ როლს ასრულებდა პარტიის მთელ საბრძოლო საქმიანობაში და ყველაზე უფრო ცნობილი იყო, კონფერენციის ერთ-ერთ ხელმძღვანელადაც მოგვევლინა.

საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1918 წლის 18 მარტს, მენშევიკთა ბელადი მარტოვი წერდა თავის მოსკოვურ გაზეთში, რომ: „კავკასიელი ბოლშევიკები აიკვიატებდნენ ექსპროპრიატორული ხასიათის მოქმედებას, რაც კარგად იყო ცნობილი იმავე სტალინისათვის, რომელიც თავის დროზე გარიცხა პარტიიდან ექსპროპრიატორებთან კავშირის გამო". სტალინმა მარტოვი რევოლუციურ ტრიბუნალს გადასცა: „არასოდეს ჩემს ცხოვრებაში, — ამბობდა ის ბრაზით გაჯედილ დარბაზში, — არ გავურიცხივარ პარტიულ ორგანიზაციას. ეს წმინდა წყლის ცილისწამებაა". თუმცა სტალინს ექსპროპრიაციები არ უხსენებია. „ისეთი ბრალდებებით გამოსვლა, როგორც გამოვიდა მარტოვი, შეიძლება მხოლოდ დოკუმენტებით ხელში, ხოლო არა გქონდეს ფაქტები და ჭორების საფუძველზე თავს ლაფი დაასხა ადამიანს — ეს უსინდისობაა".

მაინც რაში მდგომარეობდა სტალინის თავგამოდების პოლიტიკური წყარო? ბოლშევიკები რომ ექსპროპრიაციების მონაწილენი იყვნენ, საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ლენინი პრესაშიც კი აშკარად იცავდა ექსპროპრიაციებს. მეორე მხრივ, მენშევიკური ორგანიზაციიდან გარიცხვას ბოლშევიკები, ალბათ, სამარცხვინოდ არ მიიჩნევდნენ, მით უფრო, ათი წლის შემდეგ. ამიტომ, სტალინი მაინცდამაინც არ შეეცდებოდა მარტოვის მიერ წაყენებული „ბრალდებების" უარყოფას. ამ შემთხვევაში ჭკვიანი და მოხერხებული მოწინააღმდეგის სამართალში მიცემით მას საშუალება ეძლეოდა გამარჯვება ეზეიმა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მარტოვის ბრალდებები ტყუილზეა აგებული? უნდა ითქვას, რომ პუბლიცისტის ტემპერამენტით შეპყრობილი და ბოლშევიკების მოძულე მარტოვი ბევრჯერ გადასულა ზღვარს, რაც ღირსებას არ მატებს მის უდავოდ კეთილშობილ პიროვნებას. ამჯერად კი საქმე სასამართლოს ეხება. მარტოვი კატეგორიულად იცავს თავის მტკიცე-

ხებს, ითხოვს მოწმეთა გამოძახებას: „ისინი, უპირველეს ყოვლისა, არიან ქართველი სოციალ-დემოკრატები: ისიდორე რამიშვილი — იმ რევოლუციური სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც დაადასტურა სტალინის მონაწილეობა ბაქოში, გემ „ნიკოლოზ I“-ზე მომხდარ ექსპროპრიაციაში; ნოე ჟორდანია, ბოლშევიკი შაუმიანი და კავკასიის საოლქო კომიტეტის სხვა წევრები 1907-1908 წლებში. ამათ გარდა, მოწმეთა ჯგუფი, ახლანდელი ფინანსთა კომისრის მეჟკოვსკის მეთაურობით, რომლის თავმჯდომარეობითაც იქნა განხილული მუშა ჟარონოვზე თავდასხმისა და მისი მკვლელობის საქმე. მეჟკოვსკიმ პარტიული ორგანიზაციის წინაშე ექსპროპრიაციის მონაწილეობაში ამხილა ბაქოს კომიტეტი და მისი ხელმძღვანელი სტალინი“.

თავის რეპლიკაში სტალინი არაფერს ამბობს არც გემზე მომხდარ ექსპროპრიაციასა და არც ჟარონოვზე თავდასხმის შესახებ. სამაგიეროდ კვლავ განაგრძობს მტკიცებას, რომ: „მე არასოდეს გავუსამართლებივარ, თუ მარტოვი ამაში მდებს ბრალს, ის წმინდა წყლის ცილისმწამებელია“. ექსპროპრიატორების „გარიცხვა“ იურიდიულად შეუძლებელი იყო, რადგან ისინი წინდახედულად მოიქცნენ და თვითონ გავიდნენ პარტიიდან. მათთვის მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციაში შესვლის აკრძალვა იყო შესაძლებელი. პირდაპირი გაგებით, პარტიული სამსჯავრო შეიძლებოდა მხოლოდ იმათ დასტყდომოდათ თავს, ვინც ამგვარი აქციების შთამაგონებელი იყო და პარტიის რიგებში რჩებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კობას მიმართ პირდაპირი სამხილები არ არსებობდა. იქნებ მარტოვი გარკვეულწილად მართალიც იყო, როცა ამტკიცებდა, სტალინი გარიცხესო, „პრინციპში“ ეს ასეც მოხდა, მაგრამ, თავის მხრივ, სტალინიც არ ცრუობდა: ინდივიდუალურად ის არავის გაუსამართლებია. ყოველივე ამაში გარკვევა ტრიბუნალისათვის მეტად ძნელი აღმოჩნდა მოწმეთა გარეშე, მათ გამოძახებას კი სტალინი ეწინააღმდეგებოდა და იმ დღეებში კავკასიასთან დაკავშირებულ სიძნელეებს იმიზეზებდა. რევოლუციურ ტრიბუნალს არსებითად არ განუხილავს საქმე, რადგან პრესაში გამოქვეყნებული ცილისწამება მსჯელობისათვის არასაკმარისად აღიარა, მაგრამ მარტოვს მაინც გამოუტანა „საზოგადოებრივი გაკიცხვა მთავრობის შეურაცხყოფისათვის“ („ლენინ-ტროცკის მთავრობის“, როგორც ირონიულად ჟღერს სასამართლოს ანგარიში მენშევიკურ პრესაში).

არ შეიძლება არ შევჩერდეთ იმ შეშფოთებაზე, რაც გამოიწვია მუშა ჟარონოვის სიცოცხლის ხელყოფის წამოტივტივებამ მის მიერ ექს-პროპრიაციების წინააღმდეგ პროტესტის პასუხად. თუმცა ჩვენ აღნიშნული ეპიზოდის შესახებ მეტი არაფერი ვიცით და ამ ბოროტმოქმედების ამოხსნა მომავლის წილად რჩება.

1925 წელს მენშევიკი დანი წერდა, რომ ბოლშევიკურ ფრაქციას კავკასიიდან თანხებით უზრუნველყოფდნენ ისეთი ექსპროპრიატორები, როგორიც იყვნენ ორჯონიკიძე და სტალინი, მაგრამ ეს, ალბათ, იმის გამეორებაა, რასაც წყაროს დაუსახელებლად ამტკიცებდა მარტოვი; კონკრეტული ცნობა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მცდელობა არ დაუკლიათ, რათა ფარდა აეხადათ კობას ცხოვრების რომანული პერიოდისათვის. ემილ ლუდვიგმა, მისთვის დამახასიათებელი ღირსეული მოურიდებლობით სთხოვა სტალინს, მოეთხრო „რაიმე“ თავისი ახალგაზრდობიდან, ვთქვათ, მაგალითად, ბანკის გაძარცვის შესახებ. პასუხად სტალინმა ცნობისმოყვარე თანამოსაუბრეს ბროშურად გამოცემული თავისი ბიოგრაფია მიაჩეჩა. აქ ყველაფერია ნათქვამიო, თუმცა სინამდვილეში იქ ძარცვის შესახებ არაფერი ეწერა. თვით სტალინს თავის საბრძოლო თავგადასავლებზე სიტყვა არასოდეს დასცდენია. რატომ მოხდა ასე, ამის ახსნა ძნელია. ავტობიოგრაფიული მოკრძალებით იგი არ გამოირჩევა, რისი მოყოლაც თავად ეუხერხულება, ამას მისი დავალებით, სხვები აკეთებენ. თავისი თავბრუდამხვევი აღზევების ჟამს შეიძლება სტალინი სახელმწიფოებრივი „პრესტიჟის“ მოსაზრებით ხელმძღვანელობს. მაგრამ რევოლუციის პირველ წლებში ასეთი საზრუნავი მისთვის სრულიად უცხო იყო, არც მისი თანამებრძოლებისაგან გამოუჟონავს რაიმე ცნობას პრესაში, თუნდაც იმ პერიოდში, როცა სტალინი ჯერ კიდევ არ აკონტროლებდა ისტორიულ მოგონებებს. მისი საბრძოლო საქმეთა ორგანიზატორის რეპუტაცია ვერც სხვა დოკუმენტებით მტკიცდება: არაფერია ნათქვამი არც პოლიციის აქტებში, არც დამსმენთა ჩვენებებში. მართალია, პოლიციის დოკუმენტები სტალინს მტკიცედ უჭირავს ხელში, მაგრამ ჟანდარმერიის არქივებში რაიმე ცნობა რომ იყოს ექსპროპრიაციებში ჯუღაშვილის მონაწილეობის შესახებ, უეჭველია, მას მეტი სისასტიკით მოექცეოდნენ.

მთელი ამ ჰიპოთეზებიდან სიმართლესთან ახლოს მხოლოდ ერთია: „სტალინი ნებას არავის აძლევს მიუბრუნდეს იმ ტერორისტულ აქციებს, რომლებიც ასე თუ ისე, დაკავშირებულია მის სახელთან, — წერდა სუვარინი. — სხვანაირად უსათუოდ აღმოჩნდებოდა, რომ აქციებში მონაწილეობდნენ სხვები, ის კი მათ შორიდან ხელმძღვანელობდა“. ამასთანავე, სრულიად შესაძლებელია — და ეს შეეფერება კობას ხასიათს — რომ, სადაც საჭირო იყო, ფაქტის მიჩქმალვით ან წარმოჩენით იგი ფრთხილად მიიწერდა იმ დამსახურებებს, რაც სინამდვილეში არა ჰქონდა. მისი შემოწმება იატაკქვეშა კონსპირაციის პირობებში შეუძლებელი იყო. აქედანვე მომდინარეობს მისი შემდგომი დაუინტერესებლობა დეტალების გახსნით. მეორე მხრივ, ექსპროპრიაციის ნამდვილი მონაწილენი თავის მოგონებებში კობას არ იხსენიებენ მხოლოდ იმიტომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სათქმელი არაფერი აქვთ, იბრძოდნენ სხვე-ბი, სტალინი მათ შორიდან ხელმძღვანელობდა.

„მენშევიკების რეზოლუციიდან, — წერს ივა-ნოვიჩი ბაქოს არალეგალურ გაზეთში ლონდო-ნის ყრილობასთან დაკავშირებით, — გავიდა მხოლოდ რეზოლუცია პარტიზანული გამოსვ-ლების შესახებ, ისიც სრულიად შემთხვევით. ბოლშევიკებმა არ მიიღეს ბრძოლა, უფრო სწო-რად, არ ისურვეს მისი ბოლომდე მიყვანა. უბ-რალოდ, იმის გამო, რომ უნდოდათ ერთხელ მაინც გაეხარებინათ მენშევიკები". ეს განმარ-ტება გვაოცებს თავისი არასერიოზულობით. „გაეხარებინათ მენშევიკები", — ამგვარი კაცთ-მოყვარეობა და მზრუნველობა არ ახასიათებდა ლენინის პოლიტიკურ ზნეობას. ბოლშევიკებმა სინამდვილეში იმიტომ „არ მიიღეს ბრძოლა", რომ ამ საკითხში მათი წინაღმდეგი იყვნენ არა მარტო მენშევიკები, ბუნდელები და ლატვიელე-ბი, არამედ მათი ახალი მოკავშირეები — პოლო-ნელებიც, რაც მთავარია, თვით ბოლშევიკთა შორის იყო უთანხმოება ექსპროპრიაციების საკითხში, თუმცალა ზეცდომა იქნებოდა იმის ვა-რაუდი, თითქოს სტატიის ავტორი, რაიმე წინას-წარი ჩანაფიქრის გარეშე, მხოლოდ ლამაზმა სიტყვებმა გაიტაცა. სინამდვილეში მას სჯერო-დებოდა ყრილობის მიერ მიღებული მოკრძალე-ბული რეზოლუციის კომპრომეტირება მებრძოლ-თა თვალში, ეს ჩანაფიქრიც, რასაკვირველია, არანაკლებ უაზროა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია სტალინის მანერა, როცა სურს საკუთარი მიზნე-ბის დაფარვა, ის არ ერიდება ყველაზე უფრო უხეში ფანდების გამოყენებას, სწორედ ამ წი-ნასწარგანზრახული უხეშობით მისი მოსაზრე-ბები ხშირად აღწევს მიზანს და გათავისუფლებთ უფრო ღრმა და საფუძვლიანი მოტივების ძიე-ბისაგან.

პარტიის სერიოზული წევრი მხოლოდ გაო-ცებით აიჩეჩავდა მხრებს, როცა წაიკითხავდა თუ როგორ არ ისურვა ლენინმა ბრძოლა, რათა მენ-შევიკებისათვის „ცრემლიანი სიხარული მიენი-ჭებინა", მაგრამ პრიმიტიული „მებრძოლი" სა-ლისით დაითანხმდებოდა იმ აზრს, რომ ექსპრო-პრიაციების „სრულიად შემთხვევითი" აკრძალვა სერიოზულად არ უნდა მიეღოთ, უახლოესი საბრძოლო ოპერაციებისათვის ეს სავსებით საკ-მარისი იყო.

12 ივნისს, 10 საათსა და 45 წუთზე, თბილის-ში, ერევნის მოედანზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა კაზაკ მცველთა რაზმზე, რომელიც ფულიან ტომარას მიაცილებდა. აქტი გამოირჩე-ოდა განსაკუთრებული უტიფრობით და ოპე-რაცია გათვლილი იყო საათის მექანიზმის სი-ზუსტით, თანამიმდევრობით ისროლეს უჩვეულო ძალის რამდენიმე ბომბი, არც რევოლვერით სროლა დაუკლიათ. ფულიანი ტომარა (241000 მანეთი) უკვალოდ გაქრა რევოლუციონერ[illegible] ერთად პოლიციამ ვერც [illegible] შეიპყრო. ადგილზე დარჩ[illegible]

ლი. ორმოცდაათამდე კაცი მსუბუქად დაიჭრა. მანამდე ოფიცრის ფორმაში გადაცმული აქციის მთავარი ორგანიზატორი მოედანზე დასეირნობ-და, უთვალთვალებდა მცველთა რაზმისა და მებრძოლთა მოქმედებას, ამასთანავე, მარჯვე ნი-ნიშვნებით მომავალი ოპერაციის ადგილიდან ერეკებოდა ხალხს, რათა ზედმეტი მსხვერპლი არ გამოეწვია. კრიტიკულ მომენტში, როცა ყვე-ლაფერი დაკარგული ჩანდა, ხსენებული ოფი-ცერი საოცარი სიმარჯვით დაეუფლა ფულიან ტომარას და დროებით დამალა სწორედ იმ ობ-სერვატორიის დირექტორის დივანში, სადაც ერთ დროს ახალგაზრდა კობა ბუღალტრად მუ-შაობდა. ეს ორგანიზატორი იყო წარმოშობით სომეხი პეტროსიანი, რომელსაც მეტსახელად კამოს ეძახდნენ და რომელზეც აუცილებელია აქ მოკლედ მოგითხროთ.

გასული ასწლეულის ბოლოს თბილისში ჩა-მოსული კამო მოხვდა პროპაგანდისტების ხელ-ში, რომელთა შორის კობაც იყო. მან თითქმის არ იცოდა რუსული ენა და ერთხელ კობას ჰკითხა: — „Камо (кому-ს ნაცვლად) отнести?" კო-ბამ იგი სახაცილოდ აიგდო: Эх, ты, Камо, Камо!

ამ არცთუ დელიკატური ხუმრობიდან წარ-მოიშვა რევოლუციური მეტსახელი, რომელიც ისტორიაში შევიდა, ასე მოგვითხრობს კამოს ქვრივი მედვედევა. თუმცა ამ ორი ადამიანის ურთიერთობის შესახებ სხვას არაფერს გვეუბ-ნება. სამაგიეროდ გვიამბობს კამოს გულისშემძ-ვრელ სიყვარულზე ლენინისადმი, რომელსაც იგი პირველად ეწვია 1906 წელს ფინეთში. „ეს სიმამაცით გამორჩეული, შეუდრეკელი ნების-ყოფის უშიშარი მებრძოლი, — წერს კრუპსკაია, — ამავე დროს განსაკუთრებით მორიდებული ადამიანი, ცოტა მიამიტი და ნაზი ამხანაგი იყო. იგი ძალზე დაუახლოვდა ლენინს, კრასინს და ბოგდანოვს... მეგობრობდა დედაჩემთან, მოუთხ-რობდა მას დედასა და დებზე. კამო ხშირად მოგზაურობდა ფინეთიდან პიტერში, თან დაჰ-ქონდა იარაღი და დედაჩემი ყოველთვის მზრუნ-ველად უმაგრებდა რევოლვერს ზურგზე". აღვ-ნიშნავ, რომ კრუპსკაიას დედა იყო მეფის ჩი-ნოვნიკის ქვრივი და რელიგიის მოძულეობის წლებში გაიზარდა".

თბილისის ექსპროპრიაციამდე ცოტა ხნით ადრე კამო კვლავ ეწვია ფინეთის შტაბს. მედვე-დევა წერს: „კამო ოფიცრის ფორმით გაემგზავ-რა ფინეთში, იყო ლენინთან და თბილისში ია-რაღითა და ასაფეთქებელი მოწყობილობებით დაბრუნდა". ეს მოგზაურობა განხორციელდა ან ლონდონის ყრილობამდე ცოტა ხნით ადრე, ან მისი დამთავრებისთანავე. კამომ ბომბები მიიღო კრასინის ლაბორატორიიდან. განათლებით ქიმი-კოსი, ლეონიდი ჯერ კიდევ სტუდენტობისას ი[illegible] ნებობდა [illegible] ბომბების დამზადებაზე — 1890-ან წლებში მან საშუალება მისცა გაჩვე-[illegible] ძიებები ამ მიმართულებით.

მართალია, ვერ მიაღწია თავის იდეალს კაკლის ზომებში, მაგრამ ლაბორატორიები, რომელთაც ის ხელმძღვანელობდა, გამანადგურებელი ძალის ბომბებს ამზადებდნენ. რაზმელებმა ისინი პირველად არ გამოსცადეს თბილისის ქუჩებში.

ექსპროპრიაციის შემდეგ კამომ ბერლინში ამოჰყო თავი. აქ იგი დააპატიმრეს პროვოკატორ ჟიტომირსკის დასმენით, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი ეკავა ბოლშევიკების საზღვარგარეთულ ორგანიზაციებში. დაპატიმრებისას პრუსიის პოლიციამ იპოვა ჩემოდანი, რომელშიც, როგორც ვარაუდობენ, იყო ბომბები და რევოლვერი. მენშევიკთა ცნობით (გამოძიებას აწარმოებდა მომავალი დიპლომატი ჩიჩერინი), კამოს ბომბები თითქოს გამიზნული იყო ბერლინში, მენდელსონის კანტორაზე თავდასხმისათვის. ეს „დაუჯერებელია, — ამტკიცებდა კარგად ინფორმირებული ბოლშევიკი პიატნიცკი, — ბომბები კავკასიისათვის იყო გამიზნული". დავტოვოთ აღნიშნული ბომბები კითხვის ნიშნის ქვეშ. კამო ციხეში წელიწადნახევარზე მეტი იჯდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში, კრასინის რჩევით, შეშლილის როლს თამაშობდა. როგორც განუკურნებელი ავადმყოფი, იგი გადასცეს რუსეთს და კიდევ წელიწადნახევარი გაატარა თბილისში, მეტეხის ციხეში, სადაც უმკაცრეს შემოწმებას გადიოდა. კამომ შესძლო ყველა დაერწმუნებინა თავის შეშლილობაში და საპატიმროდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, საიდანაც გაიქცა. „შემდეგ ტრიუმში დაიმალა და პარიზს გაემგზავრა ილიჩთან შესახვედრად". ეს იყო უკვე 1911 წელი. კამო ძალზე სწუხდა, რომ მოხდა განხეთქილება, ერთი მხრივ, ლენინსა და მეორე მხრივ, კრასინსა და ბოგდანოვს შორის „მას სამივე მხურვალედ უყვარდა". — იგონებს კრუპსკაია. შემდეგ მოდის იდეალური სურათი: კამომ ითხოვა ეყიდათ მისთვის ნუში, იჯდა სამზარეულოში, რომელიც მისაღების მაგივრობასაც ეწეოდა. შეექცეოდა ნუშს და ჰყვებოდა თუ როგორ გარდაისახა შეშლილად, როგორ მოაშინაურა ციხეში ყვავი. „ილიჩი უსმენდა და ეცოდებოდა ეს მხურვალე გულის მქონე, თავგანწირული და მამაცი ადამიანი, რომელიც მზად იყო უდიდესი გმირობის ჩასადენად და აღარ იცოდა, გაქცევის შემდეგ რა საქმეს მოჰკიდებოდა". რუსეთში დაბრუნებული კამო კვლავ დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს. იგი რომანოვების დინასტიის 300 წლისთავთან (1913 წ.) დაკავშირებულმა ამინისტიამ იხსნა. სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორღით შეუცვალეს. ოთხი წლის შემდეგ თებერვლის რევოლუციამ მას თავისუფლება მოუტანა. ოქტომბრის რევოლუციამ ბოლშევიკებს ხელთ მისცა ძალაუფლება, მაგრამ კამო მწყობრიდან ამოვარდა. ის ნაპირზე გამორიყულ უზარმაზარ თევზს დაემსგავსა. სამოქალაქო ომის დროს მე ვცადე ჩამება იგი მტრის ზურგში გაშლილ პარტიზანულ მოძრაობაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ბრძოლის ველი მისი საქმე არ იყო. გარდასულ საშინელ წლებსაც უკვალოდ არ ჩაუვლია. კამოს სული ეხუთებოდა. განა იმისათვის შეაგდო სასწორზე თავისი და სხვების სიცოცხლე არაერთგზის, რომ სვებედნიერ ჩინოვნიკად ქცეულიყო? კოტე ცინცაძე — მეორე ლეგენდარული ფიგურა, სტალინის მიერ გადასახლებული, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მსგავსი აღსასრული ელოდა, ალბათ, კამოსაც, თბილისში შემთხვევით მანქანა რომ არ დაჯახებოდა და არ დაღუპულიყო 1922 წელს. სავარაუდოა, რომ მანქანაში ვინმე ახალი ბიუროკრატიის წარმომადგენელი იჯდა, კამო კი სიბნელეში თავისი მოკრძალებული ველოსიპედით მიემგზავრებოდა; მან კარიერა ვერ გაიკეთა, კამოს დაღუპვაც სიმბოლური ხასიათისაა.

თარგმნეს ელზა მეტრეველმა და დავით მჭედლურმა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კორნელი დანელია

# აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე

**აკაკის** მხატვრულ ენასა და ზოგადად ქართული ენის შესახებ თვით აკაკის შეხედულებებზე ბევრია დაწერილი როგორც მის სიცოცხლეში, ასევე შემდგომაც. იწერება ახლაც და დაიწერება მომავალშიც, რადგან აკაკის უზარმაზარი, მასშტაბური ნაღვაწი მძლავრი და „სიტურფით სავსე ქართულის" ლალი, ბუნებითი და კლასიკური უბრალოების ისეთი გათვალსაჩინოებული რეალობაა, რომელთანაც შეხებისას, დიდი ილიას სიტყვები რომ განვაზოგადოთ, „არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს თუ აზრი სიტყვას, ისე შეზავებულია, ისე შეხამებული, ისე შეზორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან".

აკაკის ენაზე წერა იოლიცაა და რთულიც. ვფიქრობთ, ეს განმარტებას არ საჭიროებს. დღეს ბევრს არ ნიშნავს იმის თქმა, რომ აკაკის ენა **ხალხურია**, რომ აკაკი ილიასთან ერთად ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამამკვიდრებელია, სამწერლობო ენის სამეტყველო სასაუბროსთან შეგნებულად დამაახლოებელი და სხვ. ასეთი რამ მეტ-ნაკლებად შეიძლება ითქვას ილიას სხვა თანამებრძოლებზეც: ვაჟასა თუ ყაზბეგზე, გოგებაშვილსა თუ ე. წ. „ხალხოსან მწერლებზე". როცა შექმნილია მდიდარი აკაკიანა, შეიძლება ზედმეტადაც მოგვეჩვენოს კითხვა: ენის სფეროში რა გამოარჩევს აკაკის სხვათაგან? მაგრამ თუ ვეცდებით პასუხის გაცემას არა მკითხველის შთაბეჭდილებით, არამედ მეცნიერულად, ფაქტებისა და არგუმენტების მოხმობით, გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. ასე არ შეიძლება გაგრძელდეს.

აკაკი წერეთელს ენა საზოგადოდ და, კერძოდ, ქართული წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით სპეციალურად საკვლევ ობიექტად არასდროს გაუხდია და ეს სრულებით გასაგებია: მწერლის ენობრივი სტიქია და ენობრივი პოზიციაც მთლიანად მხატვრულ თხზულებებში ცხადდება და ნაკლებად ან საერთოდ არ საჭიროებს მეცნიერულ ან პუბლიცისტურ მანიფესტაციას. აკაკიმაც უპირველესად დიდი და ორიგინალური მხატვრული შემოქმედებით გამოავლინა არა მარტო თავისი ენობრივი **სტიქია** და ენობრივი **პოზიცია**, არამედ ქართველი ერის გრძნობა და გონება გააჯერა და მძაფრად განმსჭვალა დედაენის ფენომენის ტკბილი, მშობლიური სითბოთი, გაუცნობიერა მისი შეუტოლებლობა სხვა ენასთან, მისი შეულევლობა და მტკივნეულად მოასურვა მთლიან საქართველოს ნაირგვარ კილოთა ერთიან ქართულად შეხმატკბილება, ერთიან ქართულად ამეტყველება. დაუდუმებლად გახმიანდა აკაკის ყრუანტელის მომგვრელი გალობა: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო". შეიძლება ითქვას, აკაკიზე მეტად, აკაკიზე უფრო ვერავინ შეძლო უპირატესად მუსიკალურ, რიტმულ და სხვა ესთეტურ კომპონენტებზე აქცენტირებით ქართული ენა ბუნებრივად, დაუძალებლად, სიმღერ-სიმღერით ჩაეყენებინა ქართველი ერის თვითდამკვიდრების ძნელ სამსახურში. აკაკის ენის გამორჩეულობის მექანიზმის დადგენა, ვფიქრობთ, უპირველესად ასეთ ასპექტშია შესაძლებელი.

როგორც აღვნიშნეთ, აკაკის სპეციალური შრომები არ დაუწერია ენის საკითხებზე, მაგრამ თავის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში ლიტერატურასა, თეატრსა თუ კულტურაზე ხშირად გამოუთქვამს სწორი და საყურადღებო აზრი ენის **რაობასა და დანიშნულებაზე**. აკაკის დაინტერესება ზოგადენათმეცნიერული საკითხებით არსებითად **ეროვნული მრწამსით**

იყო მოტივირებული. მას მტკიცედ სწამდა, რომ მწერლური „კიური ნიჭი **ქვეყნის სახამხა-ხუროდ** და არა საპირადო რამედ ეძლევა კაცს.... მწერლობა ზნეობითი და გონებითი მესარკეობაა ხაწყრებში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება, მისის სისწორსიმრუდით, რომ საისტორიო სურათებად გადაეცეს მომავალ დროებს".

აკაკიმ იცოდა: მწერალმა რომ თავისი მისია შეასრულოს, ის სხვაზე მეტად უნდა სწვდებოდეს მშობლიური ენის როგორც სიღრმისეულ, ასევე სიბრტყისეულ შრეებს, ე. ი. ფლობდეს როგორც წერილობითი თუ ზეპირი ტრადიციით ხაანდერძევ სიმდიდრეს, ასევე სასაუბრო ენის რეგიონულ სიმდიდრეს, კილოურ სინონიმებს. „როცა უცხო ენებიდან რასმე კთარგმნით და სიტყვებს ველარ ვპოულობთ, ჩვენ ყოველთვის იმით ვიმართლებთ თავს, რომ ქართული ენა ღარიბია და იმას კი არ ვფიქრობთ, რომ ჩვენ თვითონ ვართ ცოდნით ღარიბი! ძველ წიგნებს ჩვენ აღარ ვკითხულობთ, ხალხში ჩამდგარი არა ვართ, რომ მათს სიტყვა-პასუხს ყური ვუგდოთ". აკაკი კითხვას სვამს ენისადმი მწერლის დამოკიდებულების თაობაზე: „რა ეპირვება (=სჭირდება — კ. დ.) მწერალს?" პასუხი ასეთია: „ის, რომ იმან არ წარმოიდგინოს **საერთო ქართულ ენად** ის ენა, რომელიც მის სოფელში გაუგონია. (მას) მთელილი უნდა ჰქონდეს **ყველა** კუთხეები საქართველოში, ყური დაუგდოს **ყოველი** მხარის საუბარს, დაუკვირდეს, ამოჰკრიფოს ის ქართული სიტყვების მარგალიტები, რომელიც (!) დღეს აქა-იქ გაბნეული არიან". სწორედ ამ მრწამსით გვევლინება ჩვენ აკაკი ერთიანი, მთლიანი ქართულის და, ამდენად, სრულიად საქართველოს დიდ მესიტყვედ.

აკაკი უცთომელი პოეტური ალღოთი გრძნობდა ქართული ენის გამომხატველობითი შესაძლებლობათა ამოუწურაობას, როცა მას თვლიდა ქართველი ერის შორეული და ღრმაშინაარსიანი ისტორიის მაუწყებელ, ნარად განვითარებად და სხვა ენებთან ხანგრძლივ ჭიდილში საბოლოოდ ძლევამოსილ ფენომენად: „ჩვენი ენა მდიდარი არის, ძვირათ დარჩენილა ენა, რომელსაც არ შემოეწიროს ჩვენთვის რამდენიმე სიტყვა. ჩვენს ენაში ვხვდებით სხვადასხვა ენების სიტყვებს: სპარსულს, არაბულს, სომხურს, ბერძნულს, თათრულს, რომაულს. ამ მიზეზით ხშირად ერთი და იმავე საგნის გამოსახატავად ჩვენ გვაქვს რამდენიმე სიტყვა. საკვირველი ეს არის, ამდენ ჯარ-ჯაგლახში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა, ვერც ერთი ენას ძალას ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადაურევია, ვერ გადაურჯულებია, დაუთმია ჩვენი ენისათვის და ჩვენკენ თვითონ გადმორჯულებულა".

აკაკი სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ ქართველებთან სხვა ხალხების ისტორიული ურთიერთობის უტყუარი მოწმე უცხოენოვანი ნასესხობანია: „ბევრი სიტყვები გვაქვს შემოღებული სხვადასხვა ენებიდან. მათი წყალობით შეგვიძლია შევიტყოთ, თუ რა დამოკიდებულება ჰქონია ჩვენს ხალხს ამა თუ იმ ხალხთან".

აკაკის სწორად ჰქონდა წარმოდგენილი არა მარტო ქართულის, არამედ საერთოდ **ენის რაობა და დანიშნულება**, როცა წერდა: „ენა, როგორც ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი, ადამიანის განვითარებას თან მიჰყვება და მიტომაც ივსება და მდიდრდება და დღევანდლისაგან მომავალი უნდა განსხვავდეს, უნდა გაიზარდოს, მაგრამ ამ ზრდასაც თავისი კანონები აქვს, ამ კანონების გადახვევა ყინითა და ხმის უმეტესობით არ შეიძლება".

აკაკისებური სისადავით ნათქვამ ამ სიტყვებში ოთხი ზოგადენათმეცნიერული ჭეშმარიტება ცხადდება: 1. ენა აზროვნების საშუალებაა, ადამიანის „ნაგრძნობ-ნაფიქრალის გამომხატველი იარაღი". 2. ენა იცვლება, ვითარდება მისი მატარებელი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებისა და განვითარების კვალობაზე. 3. ენის განვითარებას ზოგადად საზოგადოების განვითარება კი განსაზღვრავს, მაგრამ არა მექანიკურად, არამედ განვითარების აუცილებლობა თვით ენის ონტოლოგიური, უშინაგანესი ბუნებაა, ენის „ზრდასაც თავისი კანონები აქვს", ე. ი. ენის განვითარება მისი შინაგანი კანონებით წარიმართება. 4. ენის განვითარების კანონები ობიექტურია, მისი თვითნებური შეცვლა არა თუ ინდივიდს, თვით ენის მატარებელ კოლექტივსაც არ ძალუძს.

ახლა ძნელია იმის დადგენა, აკაკის ასეთი სწორი შეხედულება ენის რაობაზე პეტერბურგში მიღებული ფილოლოგიური განათლების შედეგია თუ პოეტური ბუნებითი ენობრივი ალღოს გამოხატულება, მაგრამ ერთი კი ცხადია: ენის რაობაზე სწორმა შეხედულებამ შეაძლებინა მწერალს, გამოეთქვა მართებული, საყურადღებო აზრები ისეთ კონკრეტულ საკითხებზე, როგორიცაა: ერისა და ენის ისტორიული ურთიერთობა, სალიტერატურო ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართება, სამწერლობო ენის როლი ერის კონსოლიდაციის საქმეში, უცხოენობრივი ელემენტების ადგილი მშობლიურ ენაში, სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, კილოთა და უმწერლობო ქართველურ ენათა როლი სალიტერატურო ქართულის განვითარებაში და სხვ. გავეცნოთ ამ საკითხებზე აკაკის ზოგ ნააზრევს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს შემეცნებითი ღირებულება.

### 1. ენის ისტორია — ერის ისტორია და თავგადასავალია

აკაკი წერეთელი სრულიად სწორად ქართული ენის პირველ ფესვებს ქართველი ერის ძალიან შორეულ წარსულში ხჭვრეტდა: „სათავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობისა და ქართული ენის ჯერ არა აქვს ისტორიას გარკვეული, მაგრამ ნიშნებს კი ძალიან შორს მივყავართ" ან: „ჩვენ, ქართველები, ერთ უძველეს ხალხთაგანს ვეკუთვნით. მრავალი საუკუნეების განმავლობაში რამდენიმე ათასი წელი გვიცხოვრია საკუთარი ეროვნული ელფერით, ყოველთვის გვქონია საკუთარი სამეფო და ვხსენებულვართ მსოფლიოდ ქართველ ერად თუმცა ხან გიორგიანებად, ხან კოლხიდელებად, ხან ივერიელებად, ხან გურჯებად, ხან გურგანელებად და ხან კიდევ რად? მაგრამ მაინც ქართველებად. ამ ხნის განმავლობაში ბევრი სხვადასხვა ხალხი და სამეფო გაბრწყინებულა მსოფლიო მნიშვნელობით, მაგრამ გამქრალა და დღესაც აღარსად სჩანს, ზოგი **სულ** ამოფხვრილა ქვეყნის პირისგან და ზოგიც უმნიშვნელოდ დარჩენილა... მაგრამ საქართველოს კი გაუვლია ჭირვარამი, ეს გრძელი ხანა, გადარჩენილა დამხობას და მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე მოუტანია თავისი თავის არსებობა და თავისივე სურვილით შეკედლებია სხვა, უცხო ხალხს სამოყვროდ და არა სამონაოდ თავის გუნებაში!"

აკაკის სურდა, აეხსნა, თუ რამ გადაარჩინა ქართველი ერი მუდმივ თანამდევ ძნელბედობას. სხვათაგან განსხვავებით აკაკის ქართველთა მძიმე ქარტეხილებში გამოვლა და გადარჩენა არ აუხსნია არც ოდენ უსაზღვრო პატრიოტიზმით და შეუპოვარი სიმამაცით, არც ოდენ ნაირგვარი გეოგრაფიული გარემო-რელიეფით, არც ოდენ ეკონომიკური სიძლიერით და ა. შ. მან მიუთითა ერთ მეტად საყურადღებო გარემოებაზე. საზოგადოების სოციალურ ფენებს, წოდებებს შორის არსებულ თანხმობაზე, მოწესრიგებულ ურთიერთობაზე, როგორც **შიდასახელმწიფოებრივი სტაბილიზაციის პირობაზე**. კითხვას: „რას უნდა მივაწეროთ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში ქართველთა გადარჩენა", აკაკი ასე მიუგებდა პასუხს: „იმას, რომ ქართველები დროს შესაფერისად და გარემოებების საკადრისად ყოველთვის ეკუთვნოდნენ მოწინავე ერთაგანს და შინაგანი წესწყობილება მტკიცე ჰქონდათ, მით რომ წოდებათა შორის ზნეობითად დიდი განსხვავება არ ყოფილა და ყველა ერთად ერთი მიზნით ყოფილა განმსჭვალული. ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოები კი (ასურეთი, ბაბილონი, ძველი ევიპტე...) წოდებათა უთანხმოებამ დაამხო".

აკაკის ყურადღებას იპყრობდა არა მარტო საქართველოს ისტორიულად გადამრჩენელი „შინაგანი წესწყობილების სიმტკიცე", არამედ დედაენისადმი, მშობლიური სიტყვიერებისადმი ქართველი ერის, მისი ყველა წოდების ერთიანი, გამძაფრებული, მომეტებული სიყვარული: „**მხოლოდ საქართველო** წარმოადგენს **ერთადერთ მაგალითს**, სადაც „ბატონყმობის" დროს ზოგიერთ გლეხებს მთელი გვარეულობით ზღაპრებისა და შაირების მეტი არა ემართათ-რა გადასახადი".

აკაკი სხვა წერილშიც იმეორებს: „არც ერთ ერს ჩვენგვარი და ჩვენოდენი ზეპირსიტყვაობა არა აქვს..., ადრე გლეხებს „ბეგარა" ემართათ... იყვნენ მისთანა გლეხებიც, რომ **ზღაპარი ემართათ**, სხვებრ ყოველგვარად თავისუფალი იყვნენ და ბატონისა და ბატონის ცოლ-შვილისათვის მხოლოდ ზღაპრები უნდა ეთქვათ ხოლმე. აი, ამ მეზღაპრეებს შესწავლილი ჰქონდათ დიდძალი... ყოველგვარი ზეპირსიტყვაობა, მამაპაპათაგან გადმონაცემი და იმას ავრცელებდნენ. ეს იყო „**ზეპირი ლიტერატურობა**". „ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გარდასულ ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველი..., ჩვენი, ქართული „ზეპირგადაცემები" მით უფრო შესანიშნავი არიან სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობის გარდა, მსოფლიო ხასიათიც აქვთ: საქართველო იყო ხიდად და გზად იმ დიდი მოძრაობის დროს, როდესაც სხვადასხვა ერი აზიიდან ევროპაში გადადიოდა. მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი და მოწამე..., თანაც ქართველი საზოგადოთ ბუნებათზიარია... არსად ისე გავრცელებული არ ყოფილა „მეზღაპრეობა", „მესიტყვეობა" და „მეშაირეობა", როგორც ჩვენში! საშვილიშვილოდ გადმოიცემოდა ხოლმე ერთიმეორისაგან ასის და ათასის წლის ამბები და ამის გამო უმაღლეს წერტილამდე იყო აყვანილი ჩვენი „**სახალხო პოეზია**".

აკაკიმ ისიც კარგად იცოდა, რომ სახელმწიფოებრივად ერთიანად შეკრულ-შემტკიცებული საქართველო და ერთიანი ქართული ენა ერთმანეთს აპირობებდნენ: „საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვქონდა, ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული. ამას გვიმტკიცებენ „ვეფხისტყაოსანი", „ვისრამიანი", „დარეჯანიანი", „რუსუდანიანი" და სხვ. აგრეთვე, აღარც ის არის საეჭვო, რომ სამეფოს გაყოფისა, დაცალცალკევების შემდეგ ენასაც ხრწნილება შეჰპარვია, ადგილობრივი კილო მიულია და ისე შელახულა, რომ დღეს ის კანონიერი ენა აღარსად ისმის". ამავე აზრს იმეორებს აკაკი სხვაგანაც: „რუსთველის დროს ქართული ენა გაწმენდილი, ძლიერი და გაერთიანებული იყო ისე, როგორც თვით ქართველი ერიც. მონგოლებმა რომ მუსრი გაავლეს საქართველოს და თათრობამ ნაწილ-ნაწილად დაჰყო, მაშინ ენაც დაკნინდა. სხვადასხვა კუთხეებში სხვადასხვა ზედ-გავლენით ქართული სიტყვების ადგილი უცხო სიტყვებმა დაიჭირა. მთლიანი ქართული ენა იმდენად გაიყო, რომ ერთ კუთხეს მეორის ენა ეჩთირებოდა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 2. უმწერლობო ქართველური ენების როლი სალიტერატურო ქართულის გაძლიერების საქმეში.

აკაკის სწორად ჰქონდა შეგნებული, რომ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წვრილ-წვრილ სამეფო-სამთავროებად დაყოფას ხელს უწყობდა არა მარტო ვიწრო კუთხური კეთილდღეობისა და პირადი ძალაუფლების მოპოვების მსურველ ქართველ ხელისუფალთა ცდა, არამედ უცხო, დამპყრობი ქვეყნების ხელმძღვანელთა ვერაგული „დაყავი და იბატონე"-ს პოლიტიკა. მაგრამ, პოეტის რწმენით, შინაური არეულობა-აშლილობის დროსაც საერთო ქართველური შეგნება მაინც საბოლოოდ დაურღვეველს ხდიდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულს: „მონღოლობამ გათიშა საქართველო იმერ-ამერად, მერმე სამთავროებად. მაგრამ არც მაშინ გურიას, აფხაზეთს, სვანეთს, სამეგრელოს არ დავიწყებიათ, რომ ქართველები იყვნენ. წირვა-ლოცვა, მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი ყველასი იყო ქართული და ქართული...., მართალია, ერთმანეთში, შინაურობაში, ხშირად ჰქონდა კინკლაობა, მაგრამ გარეშეებთან არ ავიწყდებოდათ თავისი ერთტომობა, სისხლხორცობა და კავშირის გაუწყვეტლობა".

აკაკიმ ცხრაასიან წლებში მწერალთაგან ერთ-ერთმა პირველმა მოითხოვა უმწერლობო ქართველური ენების შესწავლა ქართულის ლექსიკის გამდიდრების მიზნით. ამის აუცილებლობა იმით დაასაბუთა, რომ ქართულს უცხო ენების ზეპირი და განსაკუთრებით ლიტერატურული გავლენით ბევრი რამ საკუთარი დაუკარგავს და უცხო დაუმკვიდრებია. ხოლო უმწერლობო ენები ნაკლებად განიცდიან უცხო ენათა ლიტერატურულ გავლენას და ამდენად, მეტად ინარჩუნებენ საერთო ქართველურ ლექსიკას. ეს სწორი აზრი აკაკის გამოთქმული აქვს 1899 წელს: „მართალია, მეგრული კილო ჩამორჩენილი ქართულია (აკაკი იზიარებს სულხან-საბას, ვახუშტის და სხვათა ტრადიციულ აზრს მეგრულის „ცუდ" ქართულად მიჩნევისა — კ. დ.), მაგრამ მიუხედავად ამისა, სამაგიეროდ იგივე **მეგრული დღეს ნამდვილი საუნჯეა ქართული სიტყვებისა**. აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღიათ, რომელიც ქართველის ყურს ცუდათ ეჩხირება და გულსა სწყინს... და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებათ ის ძველი სიტყვები... ჩვენ **(ვ)ურჩევთ ჩვენს მწერლებ-მწიგნობრებს მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს**, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ქართული ლექსიკონი".

1911 წელს დაბეჭდილ მრავალმხრივ საყურადღებო წერილში „ნადული" აკაკი კონკრეტული მაგალითის მოხმობით იმეორებს ამავე აზრს: „ქართველი მწერალი წერის დროს „ჩემიან-შენიანებით" კი არ უნდა სარგებლობდეს. უნდა ყოველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გამოკვლეული. და თუ რაიმე ქართული ნახოს, ამოკრიბოს და იმით კი არ იხელმძღვანელოს, რომ ეს ქართლი არ არის და სხვა კუთხეა. მაგალითად, ჭრილობის შესახვევ ანუ ნაღრძობის შესაკრავ ფირფიტებს ქართველები **არტაშნებს** ვეძახით. ეს სიტყვა, ცხადია, რომ სომხურიდან გვაქვს გადმოღებული და ნუთუ ქართველებს თავისი საკუთარი სიტყვა არ ექნებოდათ? ექნებოდათ, მაგრამ დაკარგულია. მეგრელებში კი დარჩენილა, აქ არტაშნები არ იციან რა არის და **„ხერკალს"** ეძახიან, რაიცა ქართულია, და მაშ უფლება აღარა გვაქვს „ხერკალი" ვიხმაროთ, რადგანაც ქართლში აღარ იციან?"

სხვა ადგილას აკაკის მოჰყავს მეგრული **პატონი** და ჭანური **პატრონი** (ლათინურიდან შემოსული) რომ ქართული **ბატონ**-ის ადრინდელი „კეთილშობილური" შინაარსი დაუპირისპიროს მის გვიანდელ „გამკაცრებულ" მნიშვნელობას „ბატონყმობის" კონტექსტში რომ ცნაურდება: „**ბატონი** მეგრულად **პატონია** და ჭანურად **პატრონი**...., ეს სიტყვები ერთად ნიშნავენ: მზრუნველი, მფარველი და არა უფალი. აგრეთვე ჩვენი ძირეული სიტყვა „ყმა" არ ნიშნავს მონას. ყმა, ე. ი. ყმაწვილი ანუ ახალგაზრდა, რუსთველი ხშირად „ყმას" ეძახის თვით ტარიელსა და ავთანდილსაც. ამნაირად ბატონყმობა ნიშნავდა თანასწორ, ძმურ, **უფროს-უმცროსულ დამოკიდებულებას** (აქ გაცნობიერებულია **პატრონყმობის** ეტიმოლოგიური მნიშვნელობა, **როგორც** „უფროს-უმცროსობისა"!), განაწილებას და არა ძალადევ მბრძანებლობას".

## 3. სალიტერატურო ენის დიალექტებთან დამოკიდებულება.

ამ საკითხზე აკაკის აბსოლუტურად სწორი შეხედულება ჰქონდა და სამ პრინციპულ დებულებას იცავდა: 1. სალიტერატურო ენის გაძლიერება, გამდიდრება, „გასუქება" უნდა ხდებოდეს დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებით, 2. სალიტერატურო ენაში არ უნდა გაეხსნას გზა ისეთ ლექსიკურ და ფონეტიკურ-გრამატიკულ დიალექტიზმებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან დედაენაში არსებულ საერთო კანონებს. 3. სალიტერატურო ქართულის შენებაში ყველა კილოს თანაბარი უფლება აქვს და რომელიმესთვის პრიმატობის მინიჭება ისტორიული როლის გამო გაუმართლებელია, რადგან ის მხოლოდ „შენჩემობის", კუთხური პარტიკულარიზმის გამოვლინებად აღიქმება. ამ სამ, თითქოსდა ურთიერთშეუთანხმებელ დებულებას აკაკი ფაქიზად გაარჩევდა და სხვა მწერალთაგანაც მკაცრად მოითხოვდა მათ დაცვას.

აკაკი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის მაცოცხლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროები უნდა ყოფილიყო: 1. ცოცხალი კილოები და 2. ძველი წერილობითი მემკვიდრეობა. ის გულისტკივილით წერდა 1911 წელს: „ჩვენ, ინტელიგენტებმა, რასაც ტყუილა არ ვიჩემებთ, ენა არ ვიცით და ვეძალებით შეთხზვას, მაშინ როდესაც ის წმინდა ქართული სიტყვები ხალხში დარჩენილა და ჩვენ კი არ ვიცით". უფრო ადრეც, 1898 წელსაც ასე ჩიოდა: „ძველ წიგნებს ჩვენ აღარ ვკითხულობთ, ხალხში ჩამდგარი არა ვართ, რომ მათ სიტყვა-პასუხს ყური ვუგდოთ, ვიგონებთ, რაც მოგვაგონდება ენაზე და მორჩა, გათავდა..."

ამ ნაკლის გამოსწორების მიზნით აკაკი დაბეჯითებით მოითხოვდა ფოლკლორული და დიალექტური მასალების შეგროვებასა და გამოცემას. აკაკის ცოცხალი, სასაუბრო ქართულის ამოუწურავი ლექსიკური მარაგის ნიმუშად ხშირად მოჰყავდა თვალსაჩინო მაგალითები, ერთგან წერდა: „დიდი კამათობა გამოიწვია იმან, თუ როგორ უნდა ითარგმნოს რუსული სიტყვა „ვოდოპად?" ზოგმა „წყალვარდნილი" იხმარა, ზოგმა „ჩანჩქერი", ზოგმა რა და ზოგმა კიდევ რა? ვერ შეთანხმდნენ და ერთ გადაჭრილს ვერ დაადგნენ.. არ იციან, რა დაუძახონ. მაშინ როდესაც სიტყვა „ვოდოპადი" ქართულად სხვადასხვა წოდებით (=სახელდებით — კ. დ.) იხმარება, მათ-მათი განსაკუთრებული ხასიათის შესაფერისად: „**ჩქერი**" ანუ გადამახინჯებული „**შაქერი**" ჰქვია მდინარის იმ ადგილას, სადაც ქვები ყრია და გაქანებული წყალი ქაფად გადამსქდარი, თავზე ევლება ლოდებს...., რუსები იმას „პოროგს" ეძახიან, — სიტყვა „**ჩაქერი**" „ჩქარისგან" უნდა იყოს წარმომდგარი — როდესაც მაღლიდან კლდეზე გადმოჩუხჩუხებს წყალი, კლდის კედლებს კი არ შორდება, იმას ეძახიან „**ჩანჩქერს**" ანუ „**ჩენჩქერს**". როდესაც მაღლიდან შორსა სცემს ცოტად და კლდის კედელს არ ეკარება, იმას „**საჩქეფი**" ჰქვია. აგრეთვე როცა მაღლიდან უფსკრულისაკენ ექანება, ჯურღმულში ჩადის და კაცი ზეიდან დაჰყურებს, თუ პატარა წყალია, „**ჩახრიალა**" ჰქვია და თუ დიდი წყალი — „**ჩაქუხა**". ეს ხალხმა კარგად იცის და არ ვიცით მხოლოდ ჩვენ, რადგან კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთ".

აკაკი სრულებით სწორად ფიქრობდა, რომ სალიტერატურო ქართულში გზა უნდა გახსნოდა მხოლოდ ისეთ კილოურ **ლექსიკასა** და **სადერივაციო** ელემენტებს, რომლებიც იქნებოდა „დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებული". ის შეგნებულად წინააღმდეგი იყო როგორც ა) გრამატიკული დიალექტიზმებისა, ასევე ბ). ფონეტიკური პროცესების შედეგად სიტყვის ეტიმოლოგიური სტრუქტურის საგრძნობი დეფორმაციით მიღებული კილოური ვარიანტებისა. სწორედ ამ პრინციპული მოსაზრებით უწუნებდა აკაკი **გრამატიკულ დიალექტიზმებს** ვაჟასა და მის ძმებს — თედოს და ბაჩანას. მათი თხზულებებიდან მოჰყავდა ასეთი კილოური გრამატიკული ფორმები: ჩაუხოცავის, გაურეკავის, გავხედნებ, შეიბრალოდეთ, მიიბაროდეთ, შეინანოდეთ... და წერდა: „ნეტავი რა ფრაზებია და გრამატიკულს რომელ კანონთაგანს ეთანხმებიან?.. გვეტყვიან: „მათ მხარეში, მთებში ხალხი სწორედ მაგრე ხმარობს მაგ სიტყვებს და ეს პროვინციალიზმიაო!" ჩვენ საზოგადოდ პროვინციალობის (=დიალექტიზმის — კ. დ.) წინააღმდეგი არა ვართ. სხვადასხვა მხარეებში ბევრი მისთანა სიტყვები ჩარჩენილი, განსაკუთრებით მთა-ადგილებში, რომ მათი გამოძებნა და მითი **ჩვენი დღეს დაკნინებული ენის შევსება საჭირო**, აგრეთვე ახალი რამ სიტყვის ხმარება, თუ კი სადმე პროვინციაში გასპეტაკებულა და დედაენის კანონის თანახმად აღმოცენებულა. მისაბაძავია საყოველთაოდ, ამგვარი კანონიერი რამეებით რომ შევავსოთ და გავასუქოთ ქართული ენა საჭიროც არის. მაგრამ ის რაც დედაენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში გადაუმახინჯებიათ და გაუფუჭებიათ, ხელმოსაკიდები კი არა, პირიქით, გასადევნია". აკაკის სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელი ფონეტიკურად დეფორმირებულ ოდენობათა ნიმუშებად მოჰყავდა სხვადასხვა კილოდან ბრწყინვალედ შერჩეული ტიპური მაგალითები: გურიაში ამბობენ: „**ნენა!** რას **უუუნცულებ?** დროა **პაწა** შუკიდოთ ცეცხლს და **ჩა** სვათ" (დედა! რას უცდი, დროა შევუკიდოთ ცეცხლს და ჩაი დავლიოთ). იმერეთში: „**ჲანები მოსულარიან და აქანეი ჯილარიან**" (დები მოსულან და აქ ჯიან, ანუ სხედან), რაჭაში: „**ქვე ქნიან ფონ ქვერე ჩემ გოჭუკელას**" (ფონს ქვევით, წყლის პირას, ასოასო სჭრიან ჩემ გოჭს), ქართლში: „**ჭალაბი ობაზე** წავასხი და ჩვენთან ერთად **ფოფოდიაც მოაბოტებდა**" (სახლობა ხატობაზე, ჯვარობაზე ანუ დღეობაზე წავიყვანე და ჩვენთან ერთად მღვდლის ცოლიც მოაბოტებდა). ამგვარი რამ ყოველ კუთხეშია — ესენი ყველა პროვინციალიზმია. მაგრამ ქართულ ენაში ამგვარი რამეების შემოტანა, აქაოდა, ჩვენს კუთხეში ასე ხმარობენ, ნუთუ ენის გარყვნა არ იქნება?"

აკაკი არა თუ წერით, არამედ ზეპირ ლიტერატურულ (თეატრალურ) მეტყველებაში აუტანლად თვლიდა ისეთ, ასე ვთქვათ, ფონეტიკურ დიალექტიზმს, როგორიცაა: **ახთე**, **მაქანეი**, **გოუშვი**, **შავიტყვე** და სხვ.

აკაკისთვის მნიშვნელობა ჰქონდა დიალექტური მასალის თავისთავად ღირსებას, მის დედაენის კანონებთან შეთანხმებითს თვისებას და არა იმას, თუ რომელი რეგიონის, დიალექტისა იყო. ამ მხრივ მას პრინციპული დავაც ჰქონდა იაკობ გოგებაშვილთან, რომელიც სინონიმურ (აღმოსავლურ და დასავლურ) ფორმათაგან პრიმატობას აღმოსავლურს, კერძოდ, ქართლურს ანიჭებდა და აკაკის დასავლურ, იმერულ ფორმებს უწუნებდა. საინტერესო პარალელია: აკაკიმ რომ გრამატიკული დიალექტიზმები დაუწუნა ვაჟას, ამ უკანასკნელმა მტიკვნეულად აღიქვა, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხური თავმოყვარეობის შელახვა და ნაწყენი კილოთი თქვა: ენის „უვარგისობის მიზეზი **ფუშა-ვლობა** არის სწორედაო" და გულმართლად აღიარა **ყველა კილოს თანაბარი უფლება** (და არა როლი!) ქართული სალიტერატურო ენის გაძლიერების საქმეში: „მე არც ერთ კილოს არ ვსწუნობ, თუ ქართულის გვარისა-ო. ზუსტად ვაჟასნაირი პოზიცია დაიკავა აკაკიმ, როცა ი. გოგებაშვილმა მას იმერიზმები დაუწუნა და სინონიმურ ფორმათაგან ქართლიზმებს მისცა აპირატესობა. აკაკი იცავს სინონიმურ ფორმებს, თუ ისინი დედაენის კანონებს არ ეწინააღმდეგებიან, მისთვის მისაღებია **ათვალისწუნებაც** და **ამოჩენებაც, გონებრივი და გონიერიც, ღონიანი და ღონიერიც.** ის სამართლიანად უარყოფს იაკობის შემოთავაზებულ ქართლურ **სწორე** ფორმას (**სწორის** ნაცვლად) და წერს: „მართალია, ზოგან ქართლში ხმარობენ **სწორე**-საც, მაგრამ ეს ხომ ნაძალადევი კანონია და საბუთად არ გამოდგება. ეტყობა ბატონი იაკობი სულ სხვა აზრისაა, თვარა ის რომ მნიშვნელობას აძლევდეს საქართველოს სხვა კუთხეებსაც, გარდა ქართლის ერთი კუნჭულისა და ძველ წიგნებსაც უჯერებდეს, მაშინ სხვების ნამდვილ ქართულს წუნს აღარ დასდებდა. აკაკი ამას წერდა 1894 წელს გაზეთ „კვალში" (№ 30), მაგრამ მოგვიანებითაც, ათას ცხრაას ათიან წლებშიც მეტი თავგამოდებით იცავდა დასავლური ქართულის კანონიერ ფორმებს. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა წერილი — ნადული" („თემი", № 12, 1911) რომელიც ყველაზე უკეთ გადმოსცემს აკაკის ენათმეცნიერულ შეხედულებას სხვადასხვა კონკრეტულ საკითხზე. კერძოდ, აქ იმერული კილოს კანონიერი მონაცემების გათვალისწინების აუცილებლობას მეტი საბუთიანობით იცავდა: „საქართველოს ერთი რომელიმე კუთხე კი არ შეადგენს, რომ მთლიანი საქართველოს ენა მას დაუმორჩილოთ. იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი, მიტომაც იმერლობას ნურვინ მიკიჟინებს. ღმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობაა, ქართველი მწერალი წერის დროს „ჩემიანშენიანობით" კი არ უნდა სარგებლობდეს, უნდა ყოველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გარკვეული".

აკაკის ღრმად სწამდა, რომ რომელიმე კილოსათვის (თუნდაც ქართლურისათვის) უპირატესობის მინიჭება გზას გადაუღობავდ ლექსიკურ და დერივაციულ საშუალებათა სინონიმებს და გააღარიბებდა სალიტერატურო ქართულს. მისთვის თანაბრად მისაღები იყო როგორც აღმოსავლური **ქუჩა,** საქონლის **წახხმა, ხნედან,** ასევე დასავლური **შუკა,** საქონლის **გარეკვა, ჭიან,** კიდევ მეტი: სალიტერატურო ქართულის შენებაში ყველა კილოს **თანაბარი უფლების** (ვიმეორებთ: უფლების და არა როლის!) მოთხოვნით აკაკიმ აღიარა, ზოგი სიტყვის კილოური **ფონეტიკური ვარიანტების** კანონიერებაც, რაც, ცხადია, არ იყო სწორი. ვთქვათ, მისთვის კანონიერი იყო როგორც ქართლურის **ხთველი, ყველაფერი, ვგა-ვარ,** ასევე იმერული: **რთველი, ყოლიფერი, ვგა-ვარ.** ცხადია, დღეს ადვილია გარჩევა, აკაკის მიერ მოყვანილ ფორმათაგან რომელმა მოიპოვა ლიტერატურულის სტატუსი, მაგრამ აკაკის დროს ეს იოლი არ იყო, რადგან სალიტერატურო ქართული არ იყო ნორმირებული სახელმწიფოებრივად. აქ მთავარია აკაკის გამოკვეთილი პოზიცია: სალიტარატურო ქართულში კილოური მონაცემის მოხმარების კანონიერების კრიტერიუმად არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის, მოდის თუ არა ის ისტორიულად დაწინაურებული **ქართლური კილოდან. ყველა კილოს ფორმას აქვს სალიტერატურო ქართულში შემოსვლის უფლება, თუ ის საერთო ქართულის კანონებს არ ეწინააღმდეგება და რაღაცით ფერხორცს ჰმატებს, ამდიდრებს ქართულს. ეს „შენ-ჩემიანობის". კუთხურობის საწინააღმდეგოდ მიმართული პრინციპული მნიშვნელობის დებულება** იყო.

აკაკი აშკარად წყენაგარეული კილოთი ამბობდა: „აქაოდა ქართლია, მიტომ აქ რაც შემოღებული სიტყვებია, გინდა უკანონოდაც იყოს, უნდა მივიღოთ და სხვა კუთხეებში კანონიერადაც რომ იყოს, დავიწუნოთ. ქარგონი დავუძახოთ?"

ამავე წერილში „(ნადული") აკაკი გამოთქვამს აზრს, რომ ენაში მოქმედებს არა მარტო გრამატიკული კანონები, არამედ კეთილხმოვანების პრინციპი (ეს ისაა, რასაც დღეს ბუნებრივ, კანონიკურ ბგერათმიმდევრობას ვეძახით), რომელიც ხშირად „გრამატიკას ეწინააღმდეგება". კეთილხმოვანების გამო სიტყვაში ერთი ბგერა იცვლება მეორეთი, მაგ., კანონიერი დაბოლოება **ურ-ი** (აფხაზური, სვანური...) იცვლება **ულ-ით,** და ამიტომაც ქართური, იმერური, მეგრური კი არა გვაქვს, არამედ ქართული, იმერული, მეგრული, „იმიტომ რომ კეთილხმოვანება მოითხოვს ერთ სიტყვაში ორი ერთი და იგივე ასო (-ბგერა — კ. დ.) არ განმეორდეს, ორი „რ" აქ აკაკის დისიმილაცია არა აქვს ნახსენები, თორემ ენობრივი ფაქტი სავსებით სწორადაა შეფასებული. **კეთილხმოვანების პრინციპის აღიარება ერთგვარ გასაღებს იძლევა თვით აკაკის ენაში ფონეტიკური და გრამატიკული დიალექტიზმების არსებობისა.** ზოგი აშკარა იმერიზმის კანონიერების დასაბუთებასაც ცდილობდა აკაკი. მაგალითად: „იმერეთში ხმარობენ „უდგიან" და მეც ვხმარობ. ეს სიტყვა წარმოსდგება სიტყვისაგან „დგომა". აკაკის ასეთი ენობრივი პოზიციიდან გასაგებია, რომ ის ბევრ იმერიზმს იმერიზმად არ თვლიდა, მის ყურს არ ეჩოთირებოდა მშობლიური კილოს ასეთი ფორმები: ბძანეთ, მართალს ბძანებთ, გთხოვთ მიბძანდეთ, თვარა, ვარესი, **დ/ად→თ/ათ:** თვენებურათ, ვრცლათ, უეცრათ, ადვილათ, პოეტურათ და ძლიერათ, **ინა>ია:** გადაათარგმნია, გადააკეთებია, დააჭერია, „იმერეთში ამბობენ: „ჭიან". ეს სიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვა წარმოსდგება სიტყვისაგან „ჭდომა". „იმერეთში ამბობენ: „ყოლიფერი" და მეც ასე ვხმარობ..., ძირი ამ სიტყვისა არის „ყოველი ფერი" და შემოკლებით, ქარაგმით უნდა გამოითქვას „ყოლიფერი" და არა „ყველაფერი". ასევე ცდილობდა აკაკი გრამატიკული იმერიზმების გამართლებას კეთილხმოვანების მოტივით, კერძოდ, **ნენ—ენ-ისა:** „იყვენ, წამოვიდენ, გაიქცენ და სხვანი ვარგონი კი არ არის, ახალი ფორმა არის და მიტომაც ვხმარობ **იყვნენ, წარმოვიდნენ** და **გადაიქცნენ**-ის მაგიერ, ისე როგორც კანონი ქართული სიტყვის შემოკლებისა ან: **თ—ენ:** „მაგის **ყავდენ** ამხანაგები".

ასევე არ აღიქვამდა აკაკი იმერიზმებად ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა: „სხვების ბანაკში **გადაშპა**"... და რუსულად **დამიბაბახინა**", ჩვენი დრამატული ხელოვნება... მხოლოდ უბრალო ტიკინობაა ანუ ბავშვური **ბურჭალაობაა** უსულო დედოფალებითან, ის ძალას ატანდა მოძრაობას, **ხვანხვალობდა**, კედლების **ჯუჯუტანებიდან** უბერავდა, ყურცხვად **წამოპლაკულხარ**, შენ ხომ ხატის სანთელი არა ხარ, რომ **დაგახორხოლაკოთ** და სიგრძე მოგიმატოთ და სხვა.

აკაკი მზად იყო, სალიტერატურო ქართულში გზა გაეხსნა სასაუბრო ქართულში მოპოვებული მისთვის ახალი სიტყვისათვის, ერთხელ მას მოუსმენია, თუ როგორ უპასუხა შვილმა დედას, როცა ამ უკანასკნელმა ცხვირის მოხოცვაზე მიუთითა: რა ვქნა, რომ **სატე** არ არის და მიჭირს. რამდენიმე თვის შემდეგ **სატე** კვლავ გაუგონია: „წისქვილის შენებისას ერთ ხუროს მუშებისათვის მიუმართავს: კაცო, მაგ ღარს **„სატე"** დიდი უყავით, აკაკი წერს: „მე ვიკითხე და მხოლოდ მათგან გავიგე, რომ „სატე" სწარმოებს სიტყვისაგან **დატევა**. ამისთანა სიტყვები ათასობით მოიპოვება დაბალ ხალხში და ჩვენ კი არ ვიცით!"

შეიძლება დავასკვნათ, რომ აკაკის ენობრივი პოზიცია კილოებსა და სალიტერატურო ენის ურთიერთდამოკიდებულებაზე სწორი იყო, ოღონდ სწორი იყო **ზოგადთეორიულ** ასპექტში, პრაქტიკულად კი მწერლის ენა არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც იყო დაზღვეული ლექსიკური თუ ფონეტიკურ-გრამატიკული დიალექტიზმებისგან, რადგან მწერლის მოღვაწეობის ჟამს არ მოქმედებდა სალიტერატურო ენის ნორმების დამცველი ერთიანი სახელმწიფო მექანიზმი და, ამდენად, სუბიექტივიზმიც მეტ-ნაკლებად გამოურიცხავი რჩებოდა, თანაც, აკაკის ენაში დიალექტიზმები თვალშისაცემი არ არის არა მარტო მცირე მასშტაბურობის გამო, არამედ უფრო იმიტომაც, რომ ისინი გაზავებული არიან მწერლისეული მაღალმხატვრულ ორიგინალურ ენობრივ ფენომენში.

## 4. მწერლისეული ეტიმოლოგიები.

აკაკი წერეთელს, როგორც ჭეშმარიტ მწერალს, ჰქონდა ფაქიზი ალღო სიტყვების ეტიმოლოგიურ მნიშვნელობებში წვდომისა და მისი მახვილგონივრულად მოხმობისა რაიმე ისტორიული, ლიტერატურული თუ კულტურის საკითხებზე მსჯელობისას.

პოეტი როცა განიხილავდა 1902 წელს ნ. მარის გამოცემულ „ქართველ მეხოტბეებს", წერდა: „**ჩახრუხაული**" იმასვე ნიშნავს, რასაც კრი**მანჭული**". ეს ორივე სასიმღერო და საგალობელი ტერმინები იყო ძველად. მაგ., სასულიერო გალობის დროს **კრიმანჭულა** ანუ **კნინმანჭვულა** იმ **წვრილ** ხმას ერქვა, რომელიც ბანს, მაღალბანს, თქმულს და სხვებს ერთმანეთს უკავშირებდა, გადააბამდა ხოლმე. ახლა კი კრიმანჭულს საერო სიმღერებშიც ხმარობენ, მაგ., გურია-იმერეთში კრიმანჭულს ერთისა და იმავე ხმის სულ-მოუბრუნებლად ამოსკვნას ეძახიან. იმასვე ნიშნავს, რასაც **ტრელი**, **და ჩახრუხაული**ც ამავე ტრელს უნდა ნიშნავდეს იმ განსხვავებით კი, რომ სიტყვები უნდა იყოს ჩართული... ჩახრუხაული ჩახრუხაძისგან არ უნდა მოდიოდეს, მისი სათავე სხვაგან უნდა ვეძიოთ, მაგ., **ჩახრუხი** სპარსულად ერთგვარ **ბულბულის** მსგავს მოჭიკჭიკე ჩიტს ჰქვია და ახლაც რომ ვამბობთ ხოლმე, სიმღერა რომ მოგვეწონება, **ჩააბულბულა**, **ჩაბულბულებულაო** და სხვა. და რატომ ამგვარადვე არ წარმოსდგა სიტყვა „ჩახრუხაულიცა".

აკაკი როცს ეხება რუსთველის ეპოქაში პატრონყმურ ურთიერთობას და ქალის როლს, აღნიშნავს: „რუსთველმა აამაღლა ქალი და აიყვანა მამაკაცის სისწორემდე და რვაასი წლის წინ თქვა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია"... სქესთა თანასწორობა ადრე სხვაგვარად ესმოდათ ჩვენ ძველებს, ვიდრე დღეს ესმის ზოგიერთებს. ადრე, წინად ქალს **დედაკაცი** ერქვა. ეს სიტყვა „ქალი" VIII საუკუნიდან შემოიტანეს არაბებმა ჩვენში და ნიშნავს სიტყვა-სიტყვით რომ ვსთარგმნოთ „მშობიარეს". მანამდის ქალს „დედა-კაცს" ვეძახდით, მაგრამ დღეს ისე გადარჯულებულა „ქალის" მაგიერ -დედა-კაცი" უთხრა ვისმეს, საუკადრისოდ მიიღებს. აგრეთვე „ცოლი", „მეუღლე" — გვიხატავს ხალხის შეხედულებას ქალზე: „მეუღლე ნიშნავს უღლის ცალსა", თანასწორად გაბმულა ცხოვრების უღელში ქალი და კაცი, ერთი მეორის დაუჩაგრავად უნდა მიისწრაფოდენ თანასწორად. აგრეთვე მეორე სიტყვა „ცოლი" წარმოდგება სიტყვიდან **„ცვალი"**, ე. ი. საჭიროების დროს ერთი მეორის ადგილის დამ**ჭერი**, აქედან ის იგულისხმება, რომ ქართველი კაცის შეხედულებით „ქალსა" და „კაცს" თანასწორი ადგილი უნდა ეჭიროსთ ცხოვრებაში და ისტორიულად სწორედ ასეც იყო ეს (ეს დაკავშირება, ცხადია, არ მტკიცდება — კ. დ.).

ასევე აკაკის სწორად აქვს დანახული „უ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოს" კავშირი „საუცხოოსთან" და ტკივილგარეული ირონიით წერს: „ჩვენ, ქართველებს, ყოველივე გარეული მოგვწონს. სიტყვა „უცხო" კარგს ნიშნავს, „საუცხოვო" — საქებს. შინაური კი ცამდინაც რომ მაღალი იყოს, არაფრად მიგვაჩნია".

აკაკი როცა ეხება ქართველთა წვლილს მსოფლიო ცივილიზაციაში, წერს: „მითების სამშობლოდ საერთოდ ბერძნებია ცნობილი. მათ გაიტანეს სხვა ქვეყნებიდან სხვადასხვა ხალხის ამბები, თავისებრ გადააკეთეს და ფერცვლილი უკანვე დააბრუნეს. ამას ამტკიცებს პრომეთეოსის და მედეას მითები. ერთიცა და მეორეც ჩვენი ქვეყნის შვილია. — აქ შობილან, აქ გაზრდილან და კოლხეთით ასე გადასულან ზღაპრულად ელლადაში. „პრომეთეოსი" ნიშნავს „შორსმჭვრეტელს" და ჩვენს ამირანსაც შორსმჭვრეტელობას მიაწერენ: ცაში არა გამოეპარებოდა რა, ქვესკნელში ჭიანჭველებს ხედავდაო. ბერძნული გადმოცემით პრომეთეოსი **ამარანტის** მთაზე იყო მიჯაჭვული კავკასიაში. აპოლონ როდოსელიც (ძვ. წ. III ს.) ამტკიცებს, რომ მდ. ფაზისი ამარანტის მთიდან გამოდისო, სადაც პრომეთეოსი იყო მიბმული. რაა ეს? **ამარანტი** იგივე ჩვენი **ამირან-მთა** არის, სადაც ამირანი იყო მიბმული... ან რა არის **ფაზისი?** ესაა რიონი, რომელიც **ფახის** მთიდან და რომელსაც სათავეში **ფახისწყალს** ეძახიან".

მაგრამ რაიმე აზრის თვალსაჩინოების მიზნით პოეტი ზოგჯერ ზედმეტად ენდობა საკუთარ ენობრივ ალღოს, ინტუიციას, როცა რომელიმე სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის ამოკითხვას უკავშირებს **ბგერობრივ** მსგავსებას, მაგრამ ისტორიულ **სულ სხვა** წარმოშობის ფუძეს. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, სიტყვათა ნამდვილი მნიშვნელობა მეცნიერულად არადამაჯერებლადაა ამოკითხული, მაგრამ თვით ასეთი ე. წ. „ხალხური ეტიმოლოგიები" რაიმე აზრის დასამტკიცებლად მარჯვედ არიან მოხმობილნი. მაგალითად, ძველ წყაროებში მოხსენიებული ქალაქი **ეა** (ნოქალაქევი) **აია-ს** (იების) ქალაქადაა მიჩნეული და **ჯუტი აათა** მეფედ (ნამდვილად კი აეტი (აიეტი ბერძნულია და „არწივს" ნიშნავს — კ. დ.). **მედეა** იგივეა, რაც **მე-დია** (დია „დედაკაცი", მდრ., სახელები მევარკაცი, მევარქალი. ან ან მედეა სამკ. ბალახი „მოლი" იგივე ჩვენებური მოლი არ არის?

კერპთაყვანისცემლობის დროს მოფიცარს კერპის წინ ჩამოკიდებულ ზვარაკისათვის ტყავი უნდა გაეძრო ანუ ანთებული ლამპარი გაექრო სულის შებერვით, „ფუ"-თი უნდა შეებერა სული. აქედან წარმოსდგა სიტყვა **ფუცი** ანუ **ფიცი**".

აკაკის სიტყვებით, ქართველებმა ზარით (მოთქმით) ტირილი იცოდნენ ადრე, რასაც შესხმით ხასიათი ჰქონდა, მოიხსენიებდნენ მკვდრის ვაჟკაცობას, სტუმართმოყვარეობას, ქველმოქმედებას. მიზანი ის იყო, რომ ცოცხლებს ეგულისხმათ: ოდესმე მათ სიცოცხლეში ნამოქმედარი იქნებოდა ასე სახალხოდ მოსახსენებელი. მერმე გაყალბდა. ასეთი სხვა ქვეყანაშიც იყო: „ილიადაში" ჰექტორის დატირება დედის, მამის, ცოლის მიერ. გეგონება ქართველები ტირიანო, ისე ჰგავს ჩვენსას. საკითხავია, ვინ ვისგან გადაიღო. ახლა ზარი ტირილზე. „ზორვა" ნიშნავდა ძველად კერპთმსახურებას. „მზარველებად" იწოდებოდნენ კერპთა მღვდელნი და „ზარი" ერქვა მსხვერპლის შეწირვის დროს საგალობელს.

### 5. სამწერლო ენის სიწმინდისათვის ბრძოლა.

აკაკი თავგამოდებით იბრძოდა ქართული სალიტერატურო ენის სახელმწიფოებრივი სტატუსისა და საზოგადოებრივი პრესტიჟისათვის, დაუნდობლად კიცხავდა იმ ფსევდოინტელიგენტებს, რომლებიც თავმოწონებით გაიძახოდნენ: „ჩვენ **კარტული არ ვიცით!**" „რად გვინდა **კარტული?**" და ასეთი განაჩენი გამოჰქონდა: „ვისაც მამა-პაპების არ სწამს-რა, შინაურები ეჯავრება, თავის ოჯახის გარეწარია, განა იმას შეუძლიან სხვისი სიყვარული და გარეშესთან შეკედლება?! არა! ის არის უგულო და უგულოებაზე დიდი ხანია გადაჭრით თქვა რუსთველმა: „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია".

აკაკის სწამდა, „მწერლობის მოვალეობაა, რომ დამახინჯებულ სიტყვებს ასწორებდეს და არა თუ ამახინჯებდეს".

აკაკის შეგნებული ჰქონდა, რომ სალიტერატურო ენა უნდა განრიდებოდა: 1. ისეთ ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ **დიალექტიზმებს**, რომლებიც ქართული ენის საერთო კანონების შესატყვისი არ იქნებოდა, 2. სოციალურ **ჟარგონებს** და 3. აშკარა **ბარბარიზმებს**.

ერთიანი სალიტერატურო ენის ნორმების განმტკიცების საშუალებად პოეტს ლიტერატურასთან ერთად მიაჩნდა თეატრი, სწორი სასცენო მეტყველება. აკაკი არა ერთგზის ჩიოდა, რომ თეატრის სცენიდან ხშირად ისმოდა ჟარგონული და კილოური ქართული. „ბაბილონურად არეული ენით გადმოგვძახიან სცენიდან, თათრულ-სომხურით, სკვითურ-ბრითულით შეზავებულ ჩიქორთულს ქართულს ეძახიან". არტისტებს რაც უნდა გაუსწორო, „ისინი მაინც თავისას გაიძახიან, „ასთე", „მაქანეი", „გოუშვი", „შავიტყე" შევიტყვეს მაგიერად, „დავიწყობ", დავიწყებ" მაგიერ... ზოგი „განხორციელების" მაგიერ განხორცებას ამბობს... ზოგმა არ იცის **უფლისწული** რას ნიშნავს და **უფლისწულებს** იძახის". ან კიდევ: „დღეს ქართულ თეატრში ქართულ სცენაზე დედაენა განსაცდელშია ჩავარდნილი. გულითაც რომ უნდოდეს კაცს, **ჩიქორთულის** მეტს ვერაფერს გაიგონებს... თავს იმართლებენ: მწერლები ვერ წერენ კარგი ენით, ცუდად თარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გმნიანო, ასე არაა: კარგი ენით დაწერილი პიესაც მინახავს ისე შეცვლილი, რომ ავტორს ვეღარ იცნობს: „აქანეი", „ჩაქანეი", „მასთე", „ბიჭი ვცემე", „ფაიტონი დაიძახე", ჭკვისაგან შეშლილაო" და სხვ.

აკაკიმ სრულიად სამართლიანად აღიმაღლა ხმა ისეთი რუსიციზმის წინააღმდეგ, როგორიც იყო **გრამატიკული სქესის** ქართულში გადმოღების ცდა. მან 1898 წელს ჟურნ. „მწყემსის" ერთ-ერთ ნაკლად ის ჩათვალა, რომ **„რუსულის წამბაძურობით** ქართულში შემოაქვს სქესი და მდედრობით სქესს ხმარობს: „მეფა", „ხელმწიფა"... და სხვანი".

„გამტკიცულ-გასპეტაკებული" ქართულისათვის მებრძოლი აკაკი 1884 წელს წერდა: ზოგიერთებს, ქართული ენის „ცოდნის მჩემებლებს, **ქალაქური, კინტოური,** სხვადასხვა ენებისგან შემდგარი ენა ჰგონია ნამდვილი ქართული, ზოგს სიტყვებდაკარგული იმერული და ზოგს სხარტულობით გაცეტებული იმერული. მაგრამ ყველანი კი სტყუიან და სანამ ყოველ კუთხეს არ მოივლიან, ყველგან არ გამოსძებნიან სიტყვებს და არ შეასწორებენ ძველთან, ცუდად მოყვრობენ სამშობლო ენას".

აკაკის მოღვაწეობის ჟამს ქართული ენა დიდ დაწოლას განიცდიდა რუსული ენისა, რასაც პრინციპულად ებრძოდა აკაკი. მაგრამ ზოგი აქტიური ხმარების ლექსიკური რუსიციზმები მის პუბლიცისტურ წერილებშიც პოულობდა ადგილს: **სტაქანი, ზალა, კასა, სტოროჟი, კარანდაში.** მაგრამ მწერალი ხშირად ასეთ რუსიციზმებს სხვათა სიტყვებში **ირონიის გამოხატვის სტილურ** საშუალებად იყენებდა: „სად არიან? — ვკითხულობდი და **„საგულაოთო"** გვეუბნებოდნენ. დღევანდელ ქალებს ტრაგედიად აქვთ გადაქცეული თუ კადრილი არავინ **ეტანცავა.** ი. დავითაშვილი ნატრობდა: ნეტავი **სტოროჟის** ადგილს ვიშოვიდეო.

შეიძლება აკაკის თხზულებებში აქა-იქ ფრაზეოლოგიური **კალკებიც** მოიპოვებოდეს („მე აქ შრომა **მაქვს ხაზეში, ხაზეში** ის ქალი **ჰყავდა"**. მაგრამ გასაკვირი ის კი არაა, რომ აკაკის ენაში ბარბარიზმები ან დიალექტიზმებია, არამედ ის, რომ ასე ცოტაა ისინი. დასასრულ, აკაკის სავსებით სწორი ენობრივი პოზიცია ჰქონდა სალიტერატურო ენის საკითხებზე და თავისი პუბლიცისტური და განსაკუთრებით ორიგინალური მხატვრული თხზულებებით, ილიასთან ერთად, საბოლოოდ განსაზღვრა და მიმართულება მისცა ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას. მან ქართული სალიტერატურო ენის თვისობრივ გარდაქმნაში ისეთივე როლი ითამაშა, როგორც პუშკინმა რუსული სალიტერატურო ენისაში, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1915 წელს პროფ. ი. ყიფშიძე.

ეს წერილი 12 აპრილისათვის უნდა გამოქვეყნებულიყო, მუხრან მაჭავარიანის დაბადების 60 წლისთან დაკავშირებით. 1989 წელს. მაგრამ...

საქართველოს უცებ გლოვის დღეები დაუდგა. — 9 აპრილის სისხლიანმა ღამემ ელდად და მოთქმად გადაუყარა ქვეყანას...

დილით ქალაქში ხმა გავარდა, მუხრანი დაჭრესო...

იგი არ დაჭრილა, ხოცვა-ჟლეტიდან სასწაულად გამოაღწია. მაგრამ იმ ღამის მერე ყველა ჩვენგანის გულს დაღი დაესვა...

ქვეყანა გლოვობდა...

საიუბილეოდ ვის ეცალა...

მუხრან მაჭავარიანს ერთი წლის მერე, უკვე 61 წლისას, მიულოცა ქართველმა საზოგადოებრიობამ დაბადების 60 წელი...

უცვლელად ვბეჭდავთ სილოვან ნარიმანიძის ამ წერილს და ჩვენც ვულოცავთ ჩვენს საყვარელ მუხრანს დაბადების 62-ე წელს.

# სათქმელი და საქმენი

პოეტის შემოქმედებითი შესაძლებლობანი სამყაროს დანახვისა და აღქმის უნარში მჟღავნდება. ლექსი, რომელიც ყველაზე უფრო დახვეწილ ფორმებს მოითხოვს, ნათქვამის ერთადერთობაში (ყველაზე სრულყოფილში) აღწევს თავისთავადობას და ეფექტს. უმეტეს შემთხვევაში ფორმა გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება (ბარათაშვილი), ლექსის აზრობრივი, მუსიკალური, იდეური ძალის აღსაჩენად.

მუხრან მაჭავარიანმა შესძლო თავისი ალკაზმულობით გამოხულიყო პოეზიის იმ ასპარეზზე, რომელსაც შოთაული ტრადიციები გააჩნია. ამ სარბიელიდან ბევრი გამარჯვების ყიჟინა და ბევრი აბჯრის მხხვრევის ხმა გვსმენია. ბევრი გვირგვინები გვინახავს დანაცრებული და დანარცხებული. უმეტეს წილად კი, ეს ასპარეზი ნამდვილი რაინდული რკინების მომსწრე ყოფილა. მუხრანმა შესძლო პოეზიის დიდ სარბიელზე თავისი სიტყვა ეთქვა. წინაალმდეგობებით აღსავსე ძნელი გზა გაევლო, გადაეტანა მრავალი განსაცდელი თვითნაბადი ნიჭისა, დაემტკიცებინა ახალი დიდი შესაძლებლობანი ქართული სიტყვისა, დაემორჩილებინა სიტყვა და სიტყვის თანაბარზომიერი გაეხადა. მისი ნათქვამი თავისებურია, შემართებულია, მორგებულია დროისა და ჟამის მოთხოვნებზე. და რაც მთავარია, — ყველაზე უწინარესად: ერისა და ქვეყნის უპირველესი გათავისების დიდ აუცილებლობაში გადაწყვეტილი.

ერთი შეხედვით, თავისი მოქალაქეობრივი და პოეტური გამოკვეთილობით, ის ჩვენი კლასიკის გზას აგრძელებს, თავისი ხმით ყველასგან განსხვავებულია, ცალკე დგას მისეული პოეტური კომპონენტებით.

შეიძლება ისიც ითქვას, რომ მისი გავლენა ბევრმა ცნობილმა პოეტმა განიცადა და განიცდის ახლაც, ეს ის პოეტებია, რომლებმაც მუხრან მაჭავარიანის ლექსის ფორმაში დიდი შესაძლებლობანი აღმოაჩინეს აბა დაუკვირდით, ხასიათს ნიშნებსაც კი, ის რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მის ლექსებში ყველა სიტყვას თავისი ფუნქცია აქვს, სათქმელს უმორჩილებს ყველაფერს, — მიზანს, რისთვისაც თვითონ ლექსი იწერება, ამასთან მთავარია მაინც ემოციური დატვირთვა, არცერთი ზედმეტი შტრიხი, სათვალავი ალღოთი გრძნობს სად დასვას წერტილი. ზოგჯერ ვკითხულობთ რა ზოგიერთი სხვა პოეტების ლექსებს, გვრჩება შთაბეჭდილება: ლექსის ხერხემალი, რომელზედაც ბრწყინავს მრავალი მარგალიტი, ვერ უძლებს სიმძიმეს და ლექსი თითქოს წელში იღუნება, უჭირს იმ ტვირთის ტარება, რომელიც მას დააკისრეს. მუხრანის ლექსი კი, ამ მხრივ გამონაკლისია, მსუბუქად ირგებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმას, ბუნდოვნად არ წარმოიქმნება. ლაკონიურია, მახვილი ალმართულია. იქ, სადაც ეს საჭიროა. არ კარგავს ბუნებრივობას, მკითხველს არ აღიზიანებს, პოეტმა იცის რომ საკუთარი აგური უნდა მოსჭრას. და ისიც თავის ბეჭედს სვამს მასზე. სხვა ვერ გაეკარება.

მისი მთავარი მანერაა, ქვეტექსტი. უხილავის ხილულად წვდომა, სადღაც სიღრმეში სტრიქონი ფეთქდება; გრძნობთ სიღრმისეულ ტალღებს, რომლებიც ზღვის ზედაპირისაკენ მოემართებიან და სხვადასხვა მხარეს იწყებენ იმპულსებად განფენას.

ჩემის აზრით მისი მოძღვარი ხაბაა. კიდევ აკაკი, და პაოლო. მაგრამ, მაინც მინდა გამოვარჩიო გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც განსაკუთრებული უნარი ჰქონდა ლექსში აზრის მობილიზება გაეკეთებინა და დიდი მაშტაბები მოკლე სათქმელში მოექცია. მუხრანიც მასავით ეძებს და პოულობს უმოკლეს გზას მიზნამდე მისაღწევად. რამდენიმე სტრიქონში თქვას სათქმელი, რაზედაც ზოგნი მთელ სამელნეს ხარჯავენ.

როცა მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაზე ვფიქრობ, ვრწმუნდები, რომ ისევე როგორც მათემატიკაში ან ფიზიკაში, სხვადასხვა ინტეგრალებისა და ფიზიკური სხეულების არსის შეცნობის თვალსაზრისით, მოსალოდნელია დაუსრულებელი ძიებები და ახალი აღმოჩენები, მისი პოეზიის (გამოთქმის) ფორმები და შესაძლებლობანიც განუსაზღვრელია, ამაოდ ცდილობენ ზოგიერთები ამტკიცონ, თითქოს ქართულმა პოეზიამ ვერსიფიკაციის თვალსაზრისით დღესდღეობით უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობანი. არ მეჩვენება ეს სწორად, რადგან, ჩვენს საუკუნეს აქვს თავისი პოეტური აღმოჩენები, მას ჰყავს თავისი ვესპუჩები და მაგელანები. ყველა სათქმელს ხომ თავისი ფორმა უნდა მოერგოს, ეს კი დიდ პრობლემებს აყენებს და ნაღდ შთაგონებას მოითხოვს. კარგი ოსტატი ფონს ვერ გადის, თუ შთაგონება არ მიუძღვება იმ ოსტატობას. — როცა ლექსი დიდი იმპერიული მოვლენებიდან ყველაზე უფრო საგრძნობ ცხოვრებისეული იმპულსებით იტვირთება და ახალი კალაპოტით მიედინება.

საქართველოა მუხრან მაჭავარიანის შემოქმედების ყველაზე დიდი პარნასი. სამშობლოს დაბურული ტყეებიდან, მთიდან გადმომსკდარი ნაკადულებიდან, ცხოვრების თვალის შეუღწეველი წიაღიდან იწყებენ დენას მისი ლექსის სტრიქონები. გამოივლიან მრავალ ხეობებსა და ბილიკებს, გაივლიან შარაგზებს და ისევ ქოხებს უბრუნდებიან. მთავარი კი, მაინც ის არის რომ ბიოგრაფია შესისხლხორცებულია მის სულიერ სამყაროსთან. მისი ლექსებიდან აშკარად რეალური სახეები და ფიქრები წარუდგება მკითხველს. დაუსრულებლად შეიძლება წერა პოეტის თვალსაწიერისა და მამულის წინაშე მხედრული მოვალეობის შემართებაზე, ის კი არა და, ისეთი სიჭარბეა ამ თემატიკისა, რომ შეიძლება პოეტს უსაყვედურო კიდეც.

ერთ ფაქტზე მინდა შევჩერდე: მუხრან მაჭავარიანი პირველივე სტრიქონებიდანვე ადრეული ლექსებიდანვე მოგვევლინა დასრულებული ფორმისა და აზრის პოეტად. ადრიდანვე შეცნობილი იყო თითქოს მისთვის პოეტური იდუმალების საოცრებანი. თითქოს იმთავითვე მან უკვე იცოდა სირბილი, ხტომა, ახალგაზრდული კაცის თვალებით ემზირა ცხოვრებისათვი[illegible] ეთვალისწინებინა და განესაზღვრა შორ[illegible] მომავალი ნაბიჯებიც კი, შეცდომებს არ უშ[illegible]და, ინტუიციით გრძნობდა მიმალულ შესაძლებლობებსა და მწვერვალებს, მზისა და მთვარის კეთილშწნეობა სწამდა და ავლენდა კიდე[illegible] ამას.

— ნუთუ მართლა სამოცი წლის[illegible] მუხრანი?..

— რას მოვესწარით, — გახსოვს [illegible] ხნის წინათ რომ მითხარი.

მართლაც რომ ყველაფერს მოვესწარით. უფრო მეტი ჭირი გვინახავს, ვიდრე [illegible]ბარული. ცხოვრება ხომ ბრძოლაა და მასში იჭედება მომავალიც და ახალიც. და ყველაზე მძიმე წუთებში, შენ იქ ხარ, სადაც შენი ხალხია. მთავარია რომ ძველი დღეები გახსოვს, — ჩვენი წარსული. გვახსოვს ყველაფერი ის, რაც ჩვენმა ხალხმა გადაიტანა. ცრემლიანი და ტკივილიანი წლები გვახსოვს, ათასმა უბედურებამ რომ გადაიარა ჩვენს თვალწინ და შეუხორცებელი ჭრილობები დაგვიტოვა. ის ჭრილობები არ გვამშვიდებს და საიმედო გზისაკენ, თავისთავადობისაკენ მოგვიწოდებს. ლექსსაც სჭირდება ბორკილის ახსნა, დღესაც ძალაშია მოწო[illegible]ა: ბრძოლის ველისკენ გასწი პოეტო!

ჯერ კიდევ ოციოდე წლისა იყავი „სულხანხაბა", რომ დასწერე და მეორე დღეს, კიროვის (ვერის) ბაღში შენს მეგობრებს წაგვიკითხე. გუშინდელივით მახსოვს როგორ ელოდი რეაგირებას. საზეიმო განწყობილება დაგვეუფლა ყველას. და თუ რაიმე აკლდა მაშინ ჩვენს აღმაფრენას, ახლა მინდა პატიება გთხოვო.

მერე იმ ლექსით გიორგი ლეონიძის აღფრთოვანებაც შესძელი. მახსოვს როგორ დარწმუნებული იტყოდა ხოლმე:

— მუხრანი საოცარი მგრძნობელობით ფლობს სიტყვასაო.

დროშ ბევრი მეგობარი წაგვართვა. საოცრად შეცოტავდა მათი რიგები. გაუხარელი და სევდიანი წავიდა ბევრი მათგანი.

ისინი ჩვენს ხსოვნაში დარჩნენ მარადისად.

დადგა დრო, როცა შეგიძლია ის იყო, რაცა ხარ! როგორც სათქმელს არ უფრთხოდი, ისე საქმესაც არ უფრთხოდე!

შენ გიყვარს თქმა: შეძახილი და მეგობრის გვერდში დგომა გამხნევებსო. მე ვიტყოდი, ამა-

შიც ბედი გაქვს. არჩევანი შენზეა, და ბოლომდე გაყევი მას.

თუ შეცდი, აღიარებ: — ესეც კარგი თვისებაა შენი.

შენი სამოცი წელი, ბრძოლით გაქვს მოპოვებული, მთავარი ახლა იწყება. იყავი და ხარ ცხოვრების გარდაქმნათა დიდი მსურველი და მონაწილე. შენს ბიოგრაფიას ახალი კეთილი საქმეები უნდა შემატო.

დრო გქონდა გეფიქრა!

დრო გაქვს იმოქმედო!

სიტყვა ბარაქიანი, სადღეისო და სამერმისო, ტევადი, მძებნელი და მპოვნელი მოქმედებისა და აზრისა, მაშტაბური და ბასრი, გამომჩენელი ჩვენი ზეობისა და ზნეობისა, სამოსელი ჩვენის სულისა, სიტყვა ქართული, ბორკილიცა და მშვენებაც ჩვენი არსობისა, ტვირთიცა და სიამეც, მიზეზიც ჩვენი ტკივილისა და ცრემლისა, მზრდელი ჩვენი მომავლისა და ღირსებისა. აი, რის იმედით ენაცვლებიან შენს ცხოვრებაში დღეები ერთმანეთს.

ასე იყო და ასე არის.

— გახსოვს?.. — ათასჯერ შემიძლია გითხრა ეს სიტყვა და მივაბედო იქით, სადაც ხთვლემენ ჩვენი სიჭაბუკის დღეები და ყველაზე ნაღდი წუთები, როცა ჩვენ ყველაზე უფრო გულწრფელები და ხალასნი ვიყავით. გვიჭირდა, გვტკიოდა, მაინც მცირე რამ გვახარებდა და დღეებისა გვჯეროდა.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ამ სამი ათეული წლის წინათ შენი ლექსი: „მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა" რომ გამოვაქვეყნეთ. თუ რა დიდი განსაცდელი და სულიერი მღელვარება გადავიტანეთ ორივემ. თუ როგორ აგორდა, აზვირთდა ეროვნული ტალღა, — თითქოს ქვეყანამ ერთბაშად გაიღვიძა. იმ ტალღის გამოძახილია, რაც ხდება და რის მომსწრენიც დღესა ვართ.

„ილრუბლება საშიშრად,
ქვეყანა აირია...
დღე, რომელიც გზაშია,
ნეტა რანაირია?!..
ილრუბლება საშიშრად,
ქვეყანა აირია..."

რეკავს გზად ჩანიშნული დედო ზარი და შეშფოთებული შევყურებთ შავი ღრუბლების მოძალებას...

ცხოვრებამ დიდი მოვალეობა დაგაკისრა და ახლა შენ იცი.

„დღეს,
რაკი უკვე აღსრულდა,
ის რასაც ზღაპარს ვადრიდი:
რა პატარაა! —
რაც მსურდა!
რაც მსურს,
დღესაა რა დიდი".

გაიჭერ, აიტაცე, აიმართე, კვლავ შენებურად. კვლავ მხნედ და ჯიქურად.

იცოცხლე, იდღეგრძელე!

კვლავ მრავალჯერ გვეთქვას ეს ორი სიტყვა:

— რას მოვესწარით! (კარგი გაგებით).

სილოვან ნარიმანიძე.

24.IV.89 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სპარტაკ რეხვიაშვილი

# აგრესია ჩრდილოეთიდან

1918 წლის მარტში თერგის ოლქში მშვიდობიანი გზით გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ. შეიქმნა მთავრობა ნ. ბუაჩიძის ხელმძღვანელობით, რომლის შემადგენლობაში კიდევ ორი ქართველი რევოლუციონერი შევიდა, ვ. ძნელაძე და ვ. ელიოდოვი (ელიოდაშვილი).

ვ. ი. ლენინს დეპეშით აცნობეს თერგის კაზაკთა და მთიელთა მეორე ყრილობის გადაწყვეტილება, თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს ცნობის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ქართველი ბოლშევიკების აქტიურობა თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში შემთხვევითი არ იყო. მათ კარგად ესმოდათ, რომ თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა საქართველოს შემდგომი ბედისათვის, რადგან მათი ფიქრით თერგზე მიმდინარე პოლიტიკური ამბები, ცხადია, გავლენას მოახდენდა საქართველოს მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაზე. რაც მთავარია ჩრდილო კავკასია გადაიქცეოდა, ბოლშევიკების მიერ ინსპირირებულ გლეხთა აჯანყებებისათვის იარაღის მიწოდებისა და ჩრდილოეთიდან მათთვის ხელმძღვანელობის გაწევის ძლიერ ბაზად.

ამრიგად, როგორც თვით საბჭოთა წყაროებით დასტურდება, „1918 წლის თებერვალ-მარტიდან ამიერკავკასიაში მოვლენების განვითარებაში იწყება ახალი ეტაპი, ბოლშევიკები ორგანიზებული ბრძოლის ტაქტიკაზე გადავიდნენ“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1972, გვ. 585).

1918 წლის 20-28 თებერვალს ქუთაისში გაიმართა რსდმპ ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქების არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ფ. მახარაძე, ს. გეგეჭკორი და სხვები. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობებისა და პარტიების წინააღმდეგ საბრძოლველად შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მშრომელთა ფართო მასების დარაზმვის შესახებ. შეიქმნა დასავლეთ საქართველოს საბრძოლო შტაბი ს. გეგეჭკორის მეთაურობით. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ნ. სვანიძე, ა. სილაგაძე, ბ. ყურაშვილი, ს. ხეცურიანი, ბ. ლიპარტელიანი, გ. ხეცურიანი, ა. ბრეგვაძე და სხვები.

ბოლშევიკების წაქეზებით ლეჩხუმელ მუშათა და გლეხთა ნაწილმა მოწოდებით მიმართა საქართველოს მშრომელებს მხარი დაეჭირათ მათთვის საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში და დამდგარიყვნენ იმ დროშის ქვეშ, რომელსაც ეწერა: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, „გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას!“, „დიდება სოციალისტურ მოძრაობას!“ და რუსეთის რევოლუციასთან ხელიხელჩაკიდებულნი წასულიყვნენ იმ გზით, რომელიც მათ მიიყვანდა სოციალიზმთან“ (გაზ., „ჩვენი ცხოვრება“ 15. III. 1918). ამ მყვირალა და არაფრისმთქმელი ლოზუნგებით სრულიად ნათლად ჩანდა ბოლშევიკ ლიდერთა განზრახვა ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად რუსული შაბლონით აეწყოთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრება.

ქართველმა ბოლშევიკებმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადება შეაფასეს, როგორც მენშევიკების კონტრრევოლუციური, ანტისახალხო ნაბიჯი და ფართო კამპანია გააჩაღეს მის წინააღმდეგ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე ი. ბ. სტალინიც.

ბოლშევიკები მორჩილად ასრულებდნენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებს. არ უწევდნენ ანგარიშს ქართველი მოსახლეობის ეროვნულ ინტერესებს, წეს-ჩვეულებებს და ტრადიციებს, რამაც წარმოშვა კონფლიქტი დაპირისპირებულ ძალებს შორის.

ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ ეროვნული პრო-

გრესისა და თავისუფლების საქმეს მარტო ისინი ემსახურებოდნენ. ყველა დანარჩენი პარტია, ნაციონალისტური, კონტრრევოლუციური იყო თავისი ბუნებით. დემაგოგიური ლოზუნგებითა და მოწოდებებით რომ ვერაფერს გახდნენ, დაიწყეს საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მომზადება. მათი აგიტატორები, შიკრიკ-მეკავშირეები ხალხში ჭორებს ავრცელებდნენ, მენშევიკებსა და ესერებს ბრალს დებდნენ ანტიეროვნულ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონტრრევოლუციურ მოქმედებაში, ეროვნებათაშორის შუღლისა და მტრობის გაღვივებაში, იმ დროს, როცა პირიქით ხდებოდა.

კარგად ცნობილია შიდა ქართლის ოსების აჯანყება 1918 წელს. რას ისახავდა იგი მიზნად? საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას არა მარტო სამაჩაბლოში, არამედ მთელ საქართველოში. ეს იყო ამბოხება, რომელიც მოეწყო რუსი და ქართველი ბოლშევიკების დავალებით.

ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამბოხებულებს თავიანთი მზაკვრული ჩანაფიქრი და მიზანი არ დაუმალავთ, რაც ნათლად ჩანს მათ მიერ ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილი დეპეშის შინაარსიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „სამხრეთ ოსეთის მშრომელები ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე აშკარა ბრძოლას აწარმოებენ მენშევიკური საქართველოს მთავრობასთან. მენშევიკური საქართველოს შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთი არასოდეს არ შესულა და არც შედის, სთვლის რა თავის თავს საბჭოთა რუსეთის განუყოფელ ნაწილად" (ს. ბერიძე, 1917-1921 წლები საქართველოში, თბ., 1941, გვ. 247).

ამბოხებულთა ანტიქართული, ანტიდემოკრატიული გამოსვლა მარცხით დამთავრდა.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელი გახდა საქართველოში ბოლშევიკების შემდგომი საქმიანობა. 1918 წლის მაისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გაძევებულმა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრთა უმრავლესობამ ფ. მახარაძის მეთაურობით თერგის რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ცენტრ ვლადიკავკავს შეაფარა თავი. შეიქმნა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიურო მ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით, რომელიც ადგილზე დარჩა და მოქმედების ცენტრის როლს ასრულებდა.

ჩრდილო ოსეთში გახიზნულთა შორის იყვნენ: ფილიპე და ნინო მახარაძეები, ს. ქავთარაძე, ს. გეგეჭკორი, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე, სილიბისტრო და სოფიო თოდრიები, გ. ჩხეიძე, ა. ნაზარეტიანი, ი. კარაპეტოვი, ი. მარტინოვი, ა. ათაბეგოვი, გ. ათარბეგოვი, პ. პოლიუსუკი, ი. წივწივაძე, ი. მგელაძე, ნ. ლეჟავა, თ. ადამაძე, დ. აფციაური, ი. დოვლათბეგოვი, ე. აშბა და სხვები.

მათ კვალს გაჰყვნენ სამაჩაბლოს ამბოხებულთა დამარცხებული რაზმები და მათი ბოლშევიკი თავკაცები.

უმძიმესი დრო იყო. ჩრდილო კავკასიაში სამოქალაქო ომის ხანძარი მძვინვარებდა. თერგის რესპუბლიკას დენიკინის არმიისა და ადგილობრივი კონტრრევოლუციის საფრთხე დაემუქრა.

1918 წლის 11 ივლისს ვ. ი. ლენინის დავალებით ვლადიკავკავში ჩამოვიდა სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი ს. ორჯონიკიძე, რომელმაც მთელი ძალაუფლება აიღო ხელში.

ჩრდილო კავკასიაში გახიზნულმა ქართველმა და ოსმა ბოლშევიკებმა მჭიდრო კავშირი დაამყარეს ს. ორჯონიკიძესთან. მათ ორ ფრონტზე უხდებოდათ ბრძოლა. ერთი მხრივ, დენიკინის არმიასა და შინაგან კონტრრევოლუციასთან, მეორე მხრივ, მათი საბრძოლო მახვილი მიმართული იყო მშობლიური საქართველოსადმი, მიზნად ისახავდნენ რა მშრომელთა ფართო მასების აჯანყებას, გარეშე ძალების ჩარევით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების ხალხისათვის ძალდატანებით თავსმოხვევას.

ეს იყო ღალატი ქართველი ხალხის მიმართ რომელსაც სათავეში ედგნენ: ი. სტალინი, ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი, ს. ქავთარაძე, მ. ორახელაშვილი, ბ. კვირკველია, მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, ს. გეგეჭკორი და სხვ., რომლებიც მოქმედებდნენ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ვ. ი. ლენინის მითითებებითა და დირექტივებით.

მათ ჯერ კიდევ 1918 წლის ზაფხულისათვის უკვე შემუშავებული ჰქონდათ საქართველოს მშრომელთა აჯანყების ხელოვნურად მოწყობა-ინსპირირება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის დამხობა და გარეშე ძალების დახმარებით საქართველოში ხალხის ნების საწინააღმდეგოდ საბჭოთა ხელისუფლების რუსული მოდელის დამკვიდრება. უხეში ძალით საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის საგულისხმო მაგალითია ს. ორჯონიკიძის საუბარი პირდაპირი მავთულით ბ. კვირკველიასთან, რომელსაც უბრძანებს: „დააწექით ჩრდილო ოსეთიდან გორის მაზრას, ეს საბოლოოდ დაქსაქსავს მთავრობის ძალებს" (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი, ფ. 85, აღწ. 18, საქ. 39, ფურც. 1-3).

პარტიის ბოლშევიკ ლიდერებს ჰყავდათ თავისი აგენტები, ან, როგორც ზოგჯერ მათ უწოდებდნენ შიკრიკ-მეკავშირეები, კურიერები. მაგალითად ტროცკის დასტურით ი. სტალინს აგენტად კავკასიაში ჰყავდა ს. ორჯონიკიძე.

თავის მხრივ ს. ორჯონიკიძესა და ს. კიროვსაც ჰყავდათ აგენტები და შიკრიკ-მეკავშირეები.

ს. ორჯონიკიძე და მისი თანამზრახველნი შიკრიკების, კურიერებისა და მეკავშირეების ფართო ქსელით აზერხებდნენ ჩრდილო კავკასიიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში და სოფლებში შეღწევას და მათი საშუალებით პოლიტიკურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელ გლეხთა ნაწილის მოტყუება-გადაბირებას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებას. 1919 წლის ზაფხულში მათ შეძლეს დუშეთის მაზრის სოფლებში აჯანყების მოწყობა და ერთი თვით საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ბოლშევიკების მიერ გამოწვეულ ამ ძმათამკვლელ ბრძოლებს მრავალი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. მიუხედავად ამისა ჩრდილოეთიდან ბოლშევიკების მიერ საბრძოლო რაზმების გამოგზავნა არ შეწყვეტილა.

მაგალითად, 1919 წლის 8-ა ივლისს, როცა ჟინვალში, ანანურსა და ფასანაურის ვიწრო ხეობებში გაიმართა ბრძოლა დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხთა და მენშევიკურ სახალხო გვარდიელებს შორის, ფასანაურთან მომხდარ მოწინააღმდეგეთა შერკინებაში მონაწილეობდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის მიერ ვლადიკავკავიდან გამოგზავნილი შეიარაღებული რაზმი.

ამ დროს, ნ. ლეჟავა, რომელიც ვლადიკავკავში იმყოფებოდა რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დავალებით, ენერგიულ დახმარებას უწევდა დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხებს. ჩრდილოკავკასიიდან აწვდიდა იარაღს და თვითონაც იარაღით ებრძოდა მშობლიური საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჯარს.

ასევე, ვლადიკავკავიდან კომიტეტის დავალებით, დუშეთის მაზრის აჯანყებულ გლეხობას დახმარებას უწევდა ი. დოვლათბეგოვი.

11 ივლისს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დუშეთის მაზრაში თანამოძმეთა წინააღმდეგ საბრძოლველად გააგზავნა სამეგრელო-რაჭა-ლეჩხუმის გლეხებისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი ს. გეგეჭკორის მეთაურობით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ზურგიდან ძირის გამომთხრის ჭეშმარიტი დასტური გახლდათ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება დუშეთის მაზრის აჯანყებული გლეხების დახმარების საბაბით, ს. გეგეჭკორის რაზმთან ერთად, ძმათამკვლელ ბრძოლაში, თერგის პირველი ბატარეის 2 ქვემეხის გაგზავნა ი. ზენკინის მეთაურობით, რომლის საერთო ხელმძღვანელობა ს. ქავთარაძეს დაევალა.

12-14 ივლისს ბოლშევიკების მიერ პოლიტიკურად მოტყუებული დუშეთის მაზრის გლეხთა რაზმი, გუდაურისა და კობის მიდამოებში ძმათამკვლელ შერკინებაში დამარცხდა და გადარჩენილ ს. გეგეჭკორის რაზმის ნაწილებთან ერთად თერგის საბჭოთა რესპუბლიკას შეაფარა თავი.

თერგის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესაფერი პირობები შეუქმნა იქ გახიზნულ ქართველ ბოლშევიკებს, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე ენერგიულად ჩაებნენ საბრძოლო მოქმედებაში. თუ რა იყო მათი მთავარი მიზანი ამის შესახებ თვით ფ. მახარაძე დაუფარავად წერს: „რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ფიქრობდა, რომ იქიდან უფრო ადვილი იქნებოდა საქართველოს აჯანყებული გლეხებისათვის დახმარება და ხელმძღვანელობის გაწევა, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მშრომელთა ფართო მასების ამხედრება“ (ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, თბ., 1927, გვ. 180).

ამ თვალსაზრისით საგულისხმო ცნობებს გვაწვდის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე კ. ცინცაძე, რომელიც გვაუწყებს: „ვლადიკავკავში გადახვეწილი ქართველი ბოლშევიკები ეხმარებოდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ მათი მთავარი საზრუნავი იყო საქართველოს გასაბჭოება, ყოველმხრივი ბრძოლა კონტრრევოლუციური ჯგუფებისა და პარტიებისადმი. ამ მიზნით სხვადასხვა არხებით ახერხებდნენ იარაღის მიღებას. ძირითადად მას აძლევდა თერგის მთავრობა. ნაწილს კერძო პირებისაგან იძენდნენ. რაზმებს ამზადებდნენ საქართველოდან და სამხრეთ ოსეთიდან თერგის ოლქში ემიგრირებული ქართველი და ოსი მოსახლეობის ბაზაზე.

რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრებიდან ამ საქმეზე მუშაობდნენ ლ. დუმბაძე, კ. ცინცაძე და სხვები. ადგილობრივი ქართველებიდან ამ მხრივ ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა ვასო ელერდოვი (ელერდაშვილი). მოხალისეთა გადაბირებას ახდენდა ი. კარაპეტოვი.

ქართველი ბოლშევიკები არა მარტო იდეური ზეგავლენით აღვივებდნენ თანამზრახველთა შორის ანტიმენშევიკურ სულისკვეთებას, არამედ იარაღითა და ფულითაც ეხმარებოდნენ დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველოს მოწინააღმდეგეებს. ჩრდილო ოსეთის პარტიზანულ რაზმებს, რომლებიც დენიკინელთა წინააღმდეგ იბრძოდნენ.

„ჩვენ, — იგონებს კ. კესაევი, — ვმოქმედებდით განსაზღვრული გეგმით. საქართველოდან დაბრუნებულმა ძანდორ თაკოევმა ჩამოიტანა 50000-მდე ფული, რომელიც გამოვიყენეთ რაზმის შეიარაღებისათვის“.

შემდეგ იგი, იქვე დასძენს, — „ქუთაისში ოსი ლტოლვილების მხარდაჭერისათვის მამია ორახელაშვილმა მოაწყო საღამო-დისპუტი. შემოსავალმა 5000 მანეთამდე შეადგინა. ქართული ფულით, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა“.

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიეროვნული საქმიანობისათვის ს. ორჯონიკიძის თავკაცობით მოქმედ მეკავშირეობა-შიკრიკობის ფართო ქსელს, ნათლად ჩანს დუშეთის მხარეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცოდნეობის მუზეუმში დაცულ, ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ, გ. მწითურის 1918 წლის 14 ივნისის ბარათიდან, რომელიც მიძღვნილია „თოლენჯის მფრინავი რაზმის" მეთაურისა და აჯანყების ორგანიზატორ შაქრო გელოვანისადმი.

აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის ზაფხულში თუ, როგორ აქტიურობდნენ ჩრდილო კავკასიაში მყოფი ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი, რომ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მათ მიერ შემოგზავნილი მეკავშირეების და შიკრიკების საშუალებით აჯანყებინათ დუშეთისა და თიანეთის მშრომელები. აგიტატორები ანტიმენშევიკურ პროპაგანდას ეწეოდნენ გლეხებში, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ავტორიტეტისა და გავლენის შელახვისა და მშრომელთა ფართო მასებში მათდამი უნდობლობის სულისკვეთების გასაღვივებლად. გლეხებს მოუწოდებდნენ ამბოხებისაკენ, ამავე დროს, აჯანყების ხელმძღვანელებს ჩრდილო კავკასიიდან იარაღით დახმარებას ჰპირდებოდნენ, სამხედრო ძალითაც მოგეშველებითო. ამისათვის ყოველმხრივ დახმარებას მოითხოვდნენ, რათა მე-11 არმიის ნაწილები დარიალის ხეობით შემოსულიყვნენ საქართველოში.

შეთქმულთა ეს მზაკვრული საბრძოლო გეგმა იმხანად ვერ განხორციელდა, ჩრდილო კავკასიაში ვითარების გამწვავებისა და დარიალის კარის სახალხო გვარდიელების მიერ საიმედოდ ჩაკეტვის გამო. მაგრამ დემოკრატიული საქართველოს საშინაო საქმეებში სამხედრო ძალით გარედან ჩარევის მათი მისწრაფება მაინც არ დამცხრალა, რასაც ნათლად მეტყველებს აღნიშნული დოკუმენტი. მასში ნათქვამია: „საქართველოს ბოლშევიკები მოითხოვენ რუსეთის ბოლშევიკებისაგან დახმარებას, რათა დავამხოთ საქართველოს მენშევიკური მთავრობა. თერგის ოლქში დგას ბოლშევიკების არმია, რომელსაც მეთაურობენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი. მათ უნდა შემოვიდნენ დარიალიდან. მაგრამ დარიალის კარები შეკრულია მენშევიკ გვარდიელთა მიერ. ჩვენთან მოვიდნენ ს. ორჯონიკიძის მიერ გამოგზავნილი ხევსურები, რომლებიც გვატყობინებენ, რომ სოფლებში მოვაწყოთ აჯანყებები და შევუტიოთ დუშეთისა და თიანეთის სამაზრო ცენტრებს. ჩვენი რაზმები შევუერთოთ და შევუტიოთ დარიალში მდგომ მენშევიკების გვარდიას, რათა გზა გავუხსნათ ბოლშევიკებს შემოვიდნენ თერგის ოლქიდან. შენი და ვანო ქისტაურის რაზმები შეუერთდით და წამოდით დავათისაკენ. ჩვენ ვდგავართ დავათის ტყეში. ჩვენი კაცი დაგხვდებათ გონარის თავზე და გზას გასწავლით. აქ ვითათბიროთ აჯანყების მოწყობის დღეზე" (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ერთაშორის ურთიერთობის კვლევის ცენტრის ფოტოთეკა №0-8800).

ამ ქართველ ბოლშევიკთა შორის, ვინც რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ს. ორჯონიკიძის მითითებით მოქმედებდა და აქტიურ მეკავშირის როლს ასრულებდა იყო დუშეთის მაზრის გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გაბრიელ (გაბო) მწითური. იგი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა დუშეთში და ჩაება ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში. მან თ. შუშიაშვილთან ერთად სოფელ ბაზალეთში ჩამოაყალიბა ბოლშევიკური ორგანიზაცია. გლეხთა შორის ეწეოდა პოლიტიკურ აგიტაციას, ხალხმრავალ მიტინგებზე გამოდიოდა ანტიმენშევიკური მოწოდებებით.

1918 წლის ივნისში დუშეთის მაზრაში მომხდარ გლეხთა შეიარაღებული აჯანყების დროს გ. მწითური სათავეში ჩაუდგა ბაზალეთის თემის ბოლშევიკურ რაზმს და როგორც აჯანყების შტაბის წევრი, ხელმძღვანელ როლს ასრულებდა.

1918 წლის 25 ივნისს დუშეთის მაზრის გლეხთა ყრილობაზე გ. მწითური მაზრის კომისრად აირჩიეს. დუშეთში საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების შემდეგ გ. მწითური და თ. შუშიაშვილი, ო. ჩუბინიძესთან და მ. პაპუნაშვილთან ერთად განაგრძობს ბრძოლას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

გ. მწითურის წერილობით მოწოდებას უქმად არ ჩაუვლია. სწორედ ამ მოთხოვნის საფუძველზე ვ. ქისტაურმა შექმნა ხევსურთა შეიარაღებული პარტიზანული რაზმი, რომელსაც თვითონვე მეთაურობდა. თავისი რაზმი შემდეგ მან შ. გელოვანის პარტიზანულ რაზმს შეუერთა, გადავიდა დუშეთის მაზრაში და დიდი დახმარება გაუწია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ გლეხობას, დუშეთისათვის გამართულ ბრძოლაში.

საქართველოს „წაღმაუკუღმა გადახვნის" შავბნელი მისწრაფება არა მარტო მისი მკვიდრი მოსახლეობის დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტითა და ქართული მიწების უღვთოდ გასხვისებით გამოიხატებოდა, არამედ ისტორიაში უძველესი დროიდან ცნობილი უფრო ვერაგული წესითაც ხორციელდებოდა. კერძოდ, დასახლებული ადგილების, საუკუნეების სიღრმეში შობილი ქართული ტოპონიმიკური ტერმინების, სრულიად უცხო და მიუღებელი სახელებით შეცვლის გზით, რასაც იმთავითვე შორსგამიზნული, მკვიდრი მოსახლეობის ნაკვალევის წაშლა, ძველის, სრულიად შეუფერებელი ახალი ტოპონიმით შეცვლა და ქართველთა იმ სამემკვიდრეოს ახალ მოსულთა ისტორიულ საკუთრებად გამოცხადება ედო საფუძვლად, რაც სამაჩაბლოს მწარე ხვედრითაც ნათლად დასტურდება.

მაგალითად, როცა 1918 წლის 28 ივნისს ბოლშევიკების წაქეზებით საჩხერეში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა, საქართველოს დემოკრატიულ მონაპოვართა დამცველ სახალხო გვარდიელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ ბრძოლაში ისაკ ჟარებოვის ოსური რაზმიც იღებდა მონაწილეობას. ი. ჟარებოვი ამ ბრძოლაში დაიღუპა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ი. ჟარებოვის სახელის უკვდავსაყოფად (რაც მას არაფრით არ დაუმსახურებია) სრულიად უსამართლოდ, მშვენიერი და დიდი წარსულის მქონე ქართული ტოპონიმი გიორგიწმინდა, შეუფერებელი და არაფრისმთქმელ ისაკუთ შეცვალეს, სოფელს ისაკუ უწოდეს.

ასეთივე განუკითხაობა იქნა ჩადენილი ისტორიულ ქართულ სოფელ ოქონას მიმართ, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის აქტიური მებრძოლის ზნაურ აიდაროვის სახელი მიაკუთვნეს და დღემდე ამ შეუფერებელი სახელით მოიხსენიება.

ბოლშევიკური რეპრესიებისა და საქართველოს „წალმაუკულმა გადახვნის“ მოსურნეთა მტრული საქმიანობის ნაყოფია აგრეთვე, ევრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ წარმონაქმნისა და ეთნიკურ-ტერიტორიულ სახელწოდებათა ხელოვნურად გახლეჩა — „ჩრდილო ოსეთისა“ და „სამხრეთ ოსეთის“ სახით, რადგან ისტორია მხოლოდ ერთ ოსეთს იცნობს. ისტორიული სინამდვილის ხელოვნურად დარღვევა, დღესაც ბევრ გაუგებრობას ქმნის, ეროვნებათაშორის შუღლისა და მტრობის საბაბი ხდება.

1919 წლის დამდეგს ვითარება თერგის რესპუბლიკაში საგრძნობლად გამწვავდა. დენიკინმა დაიპყრო მთელი ჩრდილო კავკასია, გარდა მთიანი ჩაჩნეთისა და ინგუშეთისა. ს. ორჯონიკიძემ და მისმა თანამებრძოლებმა ინგუშეთის მაღალმთიან აულებს შეაფარეს თავი. ასეთ დაძაბულ ვითარებაში რევოლუციონერთა სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით, რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა ს. ორჯონიკიძე და კომიტეტის სხვა წევრები არალეგალურად თბილისში გაეხიზნა, რომ იქიდან გაეწიათ ხელმძღვანელობა ჩრდილო კავკასიაში პარტიზანული მოძრაობისა და იატაკქვეშა პარტიული ორგანიზაციებისათვის. ამავე დროს აუჯანყებინათ ქართველი მშრომელები საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით.

საქართველოდან გაძევებულ ბოლშევიკთა უკან დაბრუნება ძნელი საქმე იყო, მაგრამ კამოს, ჯ. ხუტულაშვილის, ა. ელბაქიძის, ზ. ფალავანდიშვილის და სხვების ხელშეწყობით მოხერხდა ს. ორჯონიკიძის, ფ. მახარაძის, ა. ნაზარეტიანის, ა. ცინცაძის, ს. გეგეჭკორის და სხვების ფარული გზებით თბილისში გადაყვანა, სადაც ა. მიქოიანის დახმარებით მათ აქტიური ანტიმენშევიკური და ანტიეროვნული ბრძოლა გააჩაღეს.

„თბილისში ს. ორჯონიკიძემ ერთი თვე დაჰყო. აქ იგი არალეგალურ რევოლუციურ და პარტიულ საქმიანობას ეწევა; ამყარებს კავშირს პარტიის სამხარეო კომიტეტის წევრებთან და მათთან ერთად განიხილავს ჟორდანიას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებს, ატარებს თათბირს პარტიულ მუშაკებთან. სერგო პარტიის სახელით მოითხოვდა მენშევიკურ და სხვა ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას“ (ა. იოსებაძე, ჩვენი სერგო, თბ., 1986, გვ. 74-75).

ამრიგად, როგორც ვხედავთ შეთქმულთა ვერაგული გეგმის ხაძებრად, შორს არ გვჭირდება წასვლა, თვით საბჭოთა ცნობებით დასტურდება მათი განზრახვა, „ჟორდანიას რეჟიმის“ ანუ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის დამხობას რომ ითვალისწინებდა. ქართველი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ. მათი უპირველესი ამოცანა იყო ამ მიზნით აჯანყების მომზადება. ამის შესახებ ფ. მახარაძე დაუფარავად წერს: „ვლადიკავკავიდან სხვადასხვა დროს დაბრუნდნენ რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრები და შეუდგნენ შეიარაღებული აჯანყების მზადებას საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გასამარჯვებლად“.

1919 წლის 30 სექტემბერს რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია „საქართველოს ყველა გლეხებს!“, რომელიც მოუწოდებდა მათ დაემხოთ მენშევიკური მთავრობა და დაემყარებინათ საბჭოთა ხელისუფლება.

ქართველი ხალხის დემოკრატიულ მონაპოვარს დიდი საფრთხე დაემუქრა. შეთქმულთა გაბოროტებას ბოლო არ უჩანდა. ამის ნათელი გამოხატულება იყო რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. გადაწყდა, აჯანყება დაეკავშირებინათ ოქტომბრის რევოლუციის ორი წლისთავისათვის, აჯანყების დღედ დაინიშნა 24 ოქტომბერი. იგი ჯერ უნდა დაწყებულიყო თბილისში. აჯანყების მოსამზადებლად შეიქმნა სამხედრო შტაბი (ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, თბ., 1927, გვ. 181).

ქუთაისში შედგა ბოლშევიკური ორგანიზაციების საგუბერნიო კონფერენცია, რომელმაც აირჩია სამხედრო-ტექნიკური კომისია შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

შეთქმულთა აჯანყება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის აქტიური მოქმედების შედეგად ჩაიშალა. მაგრამ რკპ(ბ)

ეროვნულ ბიბლიოთ

კავკასიის სამხარეო კომიტეტმა გადაწყვიტა აჯანყების გადადება და განაგრძობდა მზადებას. მალე ს. ორჯონიკიძე თბილისიდან კამოს დახმარებით არალეგალურად ბაქოს გავლით მოსკოვში წავიდა.

1920 წლის თებერვალში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ჩრდილო კავკასიაში შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების აღმდგენი ბიურო. მის თავმჯდომარედ დაინიშნა ს. ორჯონიკიძე, მოადგილედ ს. კიროვი. ამავე დროს, ს. ორჯონიკიძე აირჩიეს კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად.

ახლოვდებოდა დენიკინის არმიის დამარცხების დღე. წითელი არმიის ნაწილები წინ მიიწევდნენ. 1920 წლის 31 მარტს გამარჯვებული წითელი არმია ვლადიკავკავში შევიდა. თერგზე საბჭოთა ხელისუფლება აღდგა.

1921 წ. 25 თებერვალს მე-11 არმიის ნაწილები თბილისში შევიდნენ.

ს. კიროვი, რომელიც იმ დროს ჩრდილო კავკასიაში იმყოფებოდა, შეიტყო თუ არა ს. ორჯონიკიძის მეთაურობით საქართველოში მე-11 არმიის ნაწილების წარმატებით წინსვლის ამბავი, ენერგიულ საბრძოლო მზადებას შეუდგა. დაიწყო საქართველოში სალაშქროდ გასაგზავნი ცხავალრიცხოვანი და კარგად შეიარაღებული რაზმების, პოლკების და ბრიგადების ჩამოყალიბება. მისი აგენტები საზოგადოებრივი აზრის დამუშავების მიზნით კავკასიელ მთიელებში ავრცელებდნენ ქორებს თითქოს საქართველო მშრომელთა აჯანყებებს მოიცავს და მათგან დახმარებას ითხოვდნენ.

21 თებერვალს ს. კიროვმა ალაგირის რევკომის მდივან ნ. გოზიუმოვთან და რაიონის სხვა აქტივთან ერთად ჩაატარა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: თერგის ფრონტის სარდალი სმირნოვი, 33-ე დივიზიის მეთაური გუსელნიკოვი, 98-ე მსროლელი ბრიგადის მეთაური ნ. პლიუსნინი, პოლკების მეთაურები გ. გაბიევი, ი. ზოლოტოვი, ა. ხუდიაკოვი, პარტიზანული ბრიგადის მეთაური ს. გაგლოევი, პარტიზანული რაზმის მეთაური დ. ხუგაევი, სამხედრო კომისრები: შ. ჯაფარიძე, კ. გობეჯიშვილი, 98-ე მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსი, ი. ნიკიტინი.

ს. კიროვმა, — იგონებს ნ. გოზიუმოვი, — გაგვაცნო საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და მოგვიწოდა დახმარება აღმოგვეჩინა აჯანყებული ქართველი მშრომელებისათვის.

1921 წლის თებერვალში, — იგონებს კ. ბოტოევი, — მე გამომიძახეს ვლადიკავკავის საოლქო კომიტეტში. იქ დამხვდნენ ს. თაკოევი, ს. მამსუროვი და თერგის რესპუბლიკის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კ. ცინცაძე. მათ გვაცნობეს, რომ საქართველოს მშრომელები აღსდგნენ მენშევიკური მთავრობის ბატონობის წინააღმდეგ და მოძმეთა დასახმარებლად მამისონის უღელტეხილით უნდა გავილაშქროთ.

ამ დროს წითელი არმიის 33-ე დივიზიის, 98-ე მსროლელი ბრიგადა არდონ-ალაგირის რაიონში იმყოფებოდა და სალაშქროდ ბრძანებას ელოდა.

მზადყოფნაში იყვნენ აგრეთვე ოსი პარტიზანთა რაზმები ს. გაგლოევისა და შ. სანაკოევის მეთაურობით.

ს. კიროვმა ნალჩიკიდან ვლადიკავკავში გამოიძახა რევოლუციონერები: კანდიდ და ილიკო გობეჯიშვილები, მიხა ლაშხი-ლობჯანიძე, ილიკო ლობჯანიძე, ანგი ელბაქიძე, რომლებიც იმ დროს ნალჩიკში ცხოვრობდნენ და ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის საგანგებო დავალებით რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. საქართველოში სალაშქროდ ემზადებოდნენ.

მათთან ერთად ს. კიროვმა გამოიძახა ოსი რევოლუციონერები ძანდორ თაკოევი, გიორგი ელეკოევი და სხვები.

ს. კიროვის წინადადებით, ქართველი და ოსი მებრძოლებისაგან შეიქმნა რაზმი, რომელსაც ეწოდა: „დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი". მის შემადგენლობაში შევიდნენ: ძანდორ თაკოევი (რაზმის მეთაური), გიორგი ელეკოევი (რაზმის კომისარი), მიხა ლაშხი-ლობჯანიძე, ილიკო ლობჯანიძე, ილიკო გობეჯიშვილი (რაზმის სამხედრო საბჭოს წევრები).

რაზმი რომ ძირითადად ქართველი და ოსი მებრძოლებისაგან იყო დაკომპლექტებული, შემთხვევით არ მომხდარა. ს. კიროვმა კარგად იცოდა, რომ მოსაზღვრე ქართველ და ჩრდილოკავკასიელ მთიელებს შორის უძველესი დროიდან არსებობდა კეთილმეზობლობისა და ურთიერთობის კარგი ტრადიცია.

ქართველი მეგობრები ან, როგორც ოსები უწოდებდნენ ლიმანები, რომლებმაც კარგად იცოდნენ მოძმე ხალხების ენა და წეს-ჩვეულებები, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ოსი მოსახლეობაში, მათ სიტყვასა და რჩევა-დარიგებას დიდი დამაჯერებლობა და გავლენა ჰქონდა ხალხში. ასეთივე პატივისცემით სარგებლობდნენ ქართველ მთიელებში ოსი კერძმოკეთეები, რომლებმაც იცოდნენ ქართული ენა და პატივს სცემდნენ ქართველთა წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

ს. კიროვისა და მის თანამზრახველთა ამოცანა იყო კავკასიელ მთიელთა არამარტო იარაღითა და რეკრუტებით დაშინება და მათი პოლიტიკური მოტყუება, არამედ ამ მიზნის განსახორციელებლად კერძმოკეთეობის უწყინარი ტრადიციის გამოყენებაც: რათა ზამთრის ძნელ პირობებში, ყოველ აულსა თუ სოფელში შესვლისას მოსახლეობის ნდობა და მორჩილება მოეპოვებინათ.

როგორც სპეციალური ლიტერატურით დასტურდება, ჯარის ნაწილები და პარტიზანები რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მიერ წინასწარ დასახული საბრძოლო გეგმით მოქმედებდნენ. ამოცანა, რომელიც კონკრეტულად, ვითარების შესაბამისად ს. კიროვმა დაუსახა სალაშქროდ მიმავალთ: იყო თოვლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი საფარით შებოჭილ საქართველოს სოფლების უიარაღო მოსახლეობის სამხედრო ძალით დაშინება, აჯანყებების მოწყობა და შემდეგ აჯანყებულებისთავის დახმარება, სახალხო გვარდიელთა საგუშაგოების განადგურება, ურჩთა მიმართ რეპრესიების ჩატარება, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ სოფლების შანტაჟითა და იარაღის ძალით დაკავება, დემოკრატიული საქართველოს სასოფლო და სადაბო ერობების თვითნებურად დათხოვნა და რევკომების შექმნა, მათი თავმჯდომარეების დანიშვნა, ერთობლივი ძალებით ონის, ტყიბულისა და ქუთაისის დაკავება მე-11 და მე-9 არმიებთან შეერთება და მთელ დასავლეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

თუ როგორ ხდებოდა აჯანყების ინსპირირება ნათლად ჩანს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ა. ენუქიძისადმი გაგზავნილ 1921 წლის 12 აპრილის მოხსენებითი ბარათიდან, რომელშიც ვკითხულობთ:

„მე-11 არმიის ნაწილები გადავიდნენ რა შეტევაზე საქართველოს საზღვრებში წარმატებითი ბრძოლებით მიაღწიეს თბილისს და ახორციელებენ ოპერაციებს მის დასაკავებლად.

ასეთი ვითარება, არდონ-ალაგირის რაიონში დისლოცირებულ 98-ე ბრიგადას აიძულებს უმოკლეს დროში მიიღოს სამხედრო ფორმა, მოწესრიგდეს და დაიძრას მამისონის უღელტეხილით საქართველოსაკენ, რომელსაც მიზნად დასახული აქვს აჯანყების მოწყობა და შემდეგ მისი ხელშეწყობა.

ამ დროისათვის მე-11 არმიის დისლოცირების რაიონში შეცვლილი ვითარება გადაუდებელ ამოცანად უსახავს ბრიგადას არ დაელოდოს სამხედრო ფორმის მიღებას და სასწრაფოდ განახორციელოს წითელი არმიის ნაწილების წინსვლა მამისონის უღელტეხილით, გადამწყვეტი მოქმედებით მიაღწიოს დასახული მიზნის აღსრულებას, დაიკავოს ქუთაისი და იქ შეუერთდეს მე-11 და მე-9 არმიებს... (ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. 1285, აღწ. 98, საქ. 80, ფურც. 1-2).

ხალხში შეგზავნილი აგენტების საშუალებით ს. ორჯონიკიძის მითითების საფუძველზე თუ, როგორ აწყობდნენ ბოლშევიკები ხელოვნურად აჯანყებებს ან, როგორც თვითონ ამბობდნენ „ცეცხლის ანთებას", ნათლად ჩანს ვლადიკავკავიდან ბ. კვირკელიას პირდაპირი მავთულით საუბრიდან ბაქოში ს. ორჯონიკიძესთან, რომელსაც ეუბნება: „გადმოგვეცი დირექტივა და შევუდგებით საქმეს, გავგზავნით ხალხს ცეცხლის ახანთებად" (ა. ირემაძე, განთიადის სათავეებთან, თბ.,1984, გვ. 378).

სმირნოვის მეთაურობით მამისონის უღელტეხილით დაიწყო 98-ე მსროლელი ბრიგადის ლაშქრობა. მას მიჰყვნენ კირტიშოსა და როკის უღელტეხილებით მიმავალი „დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი" ძანდორ თაკოევის მეთაურობით და სამაჩაბლოსაკენ მიმავალი ოსეთის პარტიზანული რაზმები ს. გაგლოევისა და მ. სანაკოევის წინამძღოლობით.

ამრიგად, საფუძველი ჩაეყარა ჩრდილოეთიდან საქართველოს დიდ ანექსიას.

წითელი არმიის ნაწილებმა ზამთრის უძნელეს პირობებში გადალახეს მთა და პირველსავე შემხვედრ სოფლებში ღურშევში, გლოლაში და ასევე რაჭის სხვა სოფლებში, ისე, რომ არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინდივიდუალიზმს, ადგილობრივ თავისებურებებსა და პირობებს, რუსული შაბლონით აწყობდნენ ქართულ საუკუნოვან სამეურნეო წესებითა და ტრადიციებით ქებული სოფლების ყოფაცხოვრებას. გზადაგზა დაუნდობლად ანადგურებდნენ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის ერთგულ დამცველ სახალხო გვარდიელებს და მათ საგუშაგოებს, აუქმებდნენ ერობებს და მათ ადგილზე ხელაღებით ქმნიდნენ რევკომებს, ქართველ მთიელთათვის სრულიად უცხო, გაუგებარ და მიუღებელ ორგანოებს, რევკომის თავმჯდომარეებად ნიშნავდნენ შემთხვევით პიროვნებებს და ასე უგულვებელყოფდნენ ქართველ მთიელთა ბუნებრივი განვითარების ისტორიულ გზებსა და საფუძვლებს, რაც მშრომელთა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. მაგრამ იმ დროს ამის აშკარა თქმას ვერ ბედავდნენ თოფიანი რუსი ჯარისკაცების შიშით.

წითელი არმიის ნაწილები სოფელ უწერაში შეჩერდნენ და დაელოდნენ კირტიშოს უღელტეხილით მომავალ ძანდორ თაკოევის პარტიზანულ რაზმს, რომ შემდგომ ერთობლივი ძალებით განეგრძოთ გზა ონისა და ქუთაისისაკენ.

ამ დროს, წითელ არმიელთა ერთი ნაწილი, რიონის ხეობით, სოფელ ჭიორისა და ღებისაკენ გაეშურა იქაური მოსახლეობის მორჩილებაში მოსაყვანად. ამ ამბის მომსწრე და თვითმხილველი ლექსო და რუხო რეხვიაშვილების, ლუკა გობეჯიშვილის გადმოცემით, ამდენი შეიარაღებული რუსის ჯარის გამოჩენას დიდი შიში და დაბნეულობა გამოუწვევია მთიელთა შორის.

დიდი თოვლი იდო, ხალხს გასაქცევი არსად ჰქონდა; თვარა შინ აღარავინ დარჩებოდა, ტყეში გავიხიზნებოდითაო, ამბობენ ჭიორლები.

ასეთ ყოფაში სოფლის უიარაღო მოსახლეობას, შეიარაღებულ რუს ჯარისკაცებთან კონფლიქტისათვის თავი აერიდებიათ და მორჩილების ნიშნად თეთრი ბაირაღითა და პურ-ღვინით მიეგებებიან დაუპატიჟებელ სტუმრებს, ოღონდ მათი გული მოელბოთ როგორმე და უვნებლად გადარჩენილიყვნენ.

ამ დროს, სოფელში სტუმრად ყოფილან ოსი კერძები ცარაი მედოევი და თემურ სავლაევი. ისინი ბოლშევიკებს საეჭვო პირებად მიუჩნევიათ და მათი შეპყრობა დაუპირებიათ. ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუღელვებია სოფლის მოსახლეობა. უთქვამთ, ცოცხალი თავით სტუმრებს შეურაცხყოფას ვერავინ მიაყენებსო, ჯერ არ მომხდარა, რომ ქართველ მთიელებს სტუმარი ღალატით გაეცეს და მტრის ხელში ჩაეგდოს და ეს არც ახლა მოხდებაო. მოსალოდნელი საფრთხე რომ თავიდან აეცილებინათ სოფლის თავკაცებს ოსი კერძები ღამით ფარულად გაუპარებიათ. ამის შესახებ შეუტყვიათ ჯარისკაცებს, მაგრამ უკვე გვიანღა იყო, სტუმრები სოფელს გასცდნენ და სამშვიდობოზე გავიდნენ, მაგრამ საბოლოოდ ისინი ბოლშევიკების რეპრესიებს მაინც ვერ გადაურჩნენ.

ურუხის ხეობის შორი და უძნელესი გზით მომავალი „დიგორის პირველი რევოლუციური რაზმი" ძ. თაკოევის მეთაურობით კირტიშოს უღელტეხილის მთისძირა აულ სტურდიგორში დაბანაკდა, ღამეც იქვე გაათიეს. აი, სწორედ ამ აულში შეუფარებიათ თავი სოფელ ქირრიდან გამოქცეულ, დაღლილ-დაქანცულ და ხელფეხ მოყინულ ც. მედოევსა და თ. სავლაევს თავიანთ მეგობართა ოჯახებში. წითელ პარტიზანებს მათი იქ ყოფნა რომ შეუტყვიათ, სრულიად უმიზეზოდ და უსამართლოდ შეუპყრიათ.

რაზმის ერთ-ერთი მეთაური ი. გობედაშვილი (გობეჯიშვილი) თავის მოგონებაში ამ შემზარავი და საძრახისი ქმედების შესახებ დაუფარავი სიამაყითა და ცინიზმით წერს: აულ სტურ-დიგორში ჩვენს ხელში მოხვდნენ ძალიან მნიშვნელოვანი „ენები" — ინგლისის სამსახურის პოლკოვნიკი თ. სავლაევი და მსხვილი მეცხვარე კულაკი აულ ქრისტოლავიდან ც. მედოევი, რომელიც ის-ის იყო გადმოსულიყო საქართველოდან მენშევიკური მთავრობისაგან დიდსაპასუხისმგებლო დავალებით. უღელტეხილზე გადმოსვლის დროს მათ მოყინვიათ ხელები და ამის გამო პოლკოვნიკმა თავის ჩვენებას ძლივს მოაწერა მარცხენა ხელით. ეს ენები ჩვენ გავაგზავნეთ თერგის საგანგებო კომისიაში («Гражданская война в Северной Осетии». г. Орджоникидзе, 1965, с. 362).

მალე ორივენი დახვრიტეს.

რაზმმა სტურ-დიგორში ჩატარებული მკაცრი რეპრესიების შემდეგ, დიდი ტანჯვით გადალახა კირტიშოს უღელტეხილი, რომელსაც 800 მებრძოლიდან 145 გადაჰყვა და მდინარე ჭანჭახისა და ჩვეშურის ხეობებით ჩავიდა სოფელლებში.

გარიყრაუზე პარტიზანებმა სოფელს ალყა შემოარტყეს. შეშინებულმა მოსახლეობამ თეთრი ბაირაღითა და პურ-ღვინით სოფლის დელეგაცია შეაგება წინ მომხდურებს. ბიჭია ლობჯანიძისა და დიოდი გობეჯიშვილის თავკაცობით, ყალბი აგიტაციით მოტყუებულმა და იარაღით შეშინებულმა სოფლის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ბოლშევიკურ მოწოდებებს. განდევნეს სახალხო გვარდიელები. დაითხოვეს საერობო სასოფლო მმართველობა. შექმნეს რევკომი და სოფელში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება გამოაცხადეს. ღების რევკომის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსი ლობჯანიძე.

„დიგორის პირველმა რევოლუციურმა რაზმმა" მალე დატოვა ღები, როგორც გათვალისწინებული იყო სოფელ უწერაში შეუერთდა 98-ე მსროლელ ბრიგადას, საიდანაც გაერთიანებული ძალებით დაიძრნენ ქუთაისისაკენ, იარაღის ძალით დაიკავეს ონი, ს. ორჯონიკიძემ არ დააყოვნა და 11 მარტს ი. ბ. სტალინს კრემლში ჟორდანიას მთავრობის ქუთაისიდან განდევნა ახარა, თან იქვე დასძინა: „გუშინს აქეთ ქუთაისში ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა".

ქუთაისში შეიქმნა რევკომი, რომელიც შეუდგა თავისი ფუნქციების შესრულებას, რევოლუციური წესრიგის დაცვაში მას ეხმარებოდა წითელი არმია.

ჩვენი ისტორიკოსები უმთავრესად ყურადღებას ამახვილებენ აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან საქართველოში მე-11 არმიის ლაშქრობაზე, რითაც შეიარაღებული სამხედრო ინტერვენციის ფართო ხასიათს მეტ-ნაკლებად შერბილებული ფორმით წარმოგვიდგენენ, იმ დროს როდესაც, როგორც დავინახეთ, წითელი არმიის საქართველოს საზღვრებში შემოჭრა ყოველი კუთხე-კუნჭულიდან მოხდა. კბილებამდე შეიარაღებულ ჯარის ნაწილებთან ერთად ამ ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ პარტიზანული რაზმები და ბრიგადები. ჩრდილოეთიდან დაძრული ოსი პარტიზანები სამაჩაბლოს მიუსიეს. 5 მარტს მომხდურთა მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარები და სახალხო გვარდიელები განდევნილი იქნენ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლიდან. 7 მარტს ცხინვალში კავბიუროს დადგენილებით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რევკომი, რომლის წევრთა შორის არცერთი ქართველი არ იყო. ასე ჩაეყარა საფუძველი სამაჩაბლოს ტერიტორიულ გასხვისებას.

დაიწყო ქართული ტოპონიმების ოსურით შეცვლა, ვითომდა მენშევიკების მიმართ შურისძიების საბაბით ქართველი მოსახლეობის დევნა-შევიწროება, რასაც მოჰყვა ქართული მოსახლეობის შემცირება და ოსური მოსახლეობის მოძალება. ამან შიდა ქართლის ქართველი მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარება სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. სამაგიეროდ დაჩქარდა ოსების გამრავლება. ჩვენს წინ იშლება სამწუხარო სურათი ე. წ. დემოგრაფიული ანექსიისა. ამას ნათლად მეტყველებს სამაჩაბლოს ქართველი მოსახლეობის დემოგრაფიული დინამიკის ანექსიონისტური ცვლა რაც დღემდე გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ედუარდ ყიფიანი

# დასაბამიდან ფარნავაზამდე

დასავლეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა კაცთა მოდგმა. შვიდი ათასი წლის წინ, ანუ ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულის დასაწყისისათვის, ერთ-ერთი ტომი ეკონომიკურად განვითარდა, მომძლავრდა და ახალი მიწების ათვისებას მიჰყო ხელი.

ეს ტომი დიდ არეზე გავრცელდა — კავკასიიდან შორს, სამხრეთ-დასავლეთით, მან მცირე აზია მოიცვა, სამხრეთით შუამდინარეთამდე უწია, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინდოეთამდე, ხოლო ჩრდილოეთით შორს გასცდა კავკასიონის ქედს.

ამ ტომის კავკასიური ეთნიკური ჯგუფის შთამომავლებმა შექმნეს პირველი სახელმწიფოები, მათ წიაღში დაირწა მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი, მათ შექმნეს ინტენსიური მიწათმოქმედება, ურთულესი საირიგაციო ნაგებობანი, მოიშინაურეს პირუტყვი, შემოიღეს იეროგლიფური და ლურსმული დამწერლობა, მათემატიკა, ასტრონომია, გრამატიკა...

ეს სახელმწიფოები, და მათი კულტურები დიდხანს არსებობდა, ვითარდებოდა. მართალია, შემდგომ მათ სამოსახლოზე სხვა წარმომავლობის ხალხები ჩასახლდნენ, მაგრამ ცივილიზაცია არ გამქრალა, მომხდურმა ტომებმა, აბორიგენთა მემკვიდრეობა მიიღეს და განავითარეს.

პირველის საცხოვრისიდან — კავკასიიდან — ძალზე შორს წასულმა ტომებმა ათასი, ათასნახევარი, ორიათასი წლის შემდეგ დამოუკიდებელი არსებობა შეწყვიტეს, ისინი სხვა ხალხებში გაითქვიფნენ. უფრო დიდხანს გაძლეს ურარტუელებმა და მცირეაზიის ტომებმა, მაგრამ მათაც დაუდგა ძნელბედობის ხანა. გამრავლება და დიდ არეზე გავრცელება იწყეს ინდოევროპულმა ტომებმა, მათ კავკასიელები შეავიწროვეს; ნაწილი თავის წიაღში გათქვიფეს, ნაწილმა კი უკან, კავკასიაშივე შემოაფარა თავი, ეს პროცესი კარგა ხანს და რამდენიმე ეტაპად მოხდა.

შემობრუნებულები თითქმის არ შეხებიან ცენტრალურ ამიერკავკასიას, აქ ისევ ცხოვრობდნენ კავკასიელთა შთამომავლები, ისინი, ვინც ადგილიდან არ დაძრულან. მეოთხე ათასწლეულის დასასრულიდან და მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან იქ დარჩენილი ტომი ისევ დაწინაურდა. ესენი იყვნენ ქართველების წინაპრები, იგი ისევ ალზევდა, მსოფლიოში პირველმა დაამუშავა ლითონის ხვნეულნი და საბრძოლო იარაღები, ამან საშუალება მისცა, ისევ მომრავლებულიყო, ჭარბმა მოსახლეობამ იწყო დიდ მიწა-წყალზე განფენა, რადგან სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით სემურ და ინდოევროპულ ტომებს თითქმის ათვისებული ჰქონდათ მეურნეობისთვის გამოსადეგი მიწები, პროტოქართველებმა (პირობითად ასე ეწოდებათ მათ) სამხრეთ-დასავლეთით იწყეს განფენა, ნელნელა ისინი გავრცელდნენ მცირე აზიაში, ბალკანეთის, აპენინების და პირინეის ნახევარკუნძულებზე, ბრიტანეთის კუნძულებზეც კი.

ამ ტომებმა დასაბამი მისცეს ევროპულ ცივილიზაციას. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ისინი იწოდებოდნენ პელასგებად, აპენინებზე — ეტრუსკებად, პირინეებზე და ბრიტანეთის კუნძულებზე — იბერიელებად. ეს საერთო, კრებითი სახელები იყო; მათ წიაღში მრავალი ტომი ჩამოყალიბდა და ყველას საკუთარი სახელი დაერქვა.

უფრო დიდხანს შეინახეს თავი მცირეაზიელმა, აგრეთვე, სევანის, ვანის და ურმიის ტბის სამკუთხედში მცხოვრებმა პროტოქართველებმა.

გავიდა კიდევ ათასი, ათასხუთასი წელი, ერთმანეთს დაშორებული პროტოქართველები, რა თქმა უნდა, ენობრივადაც დაცილდნენ ერთმანეთს. ადგილზე დარჩენილთაგან (ისინი მოსახლეობდნენ დღევანდელი დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს მიწა-წყალზე) ჩამოყალიბდა სვანური ტომი, მცირეაზიელ ქართველთაგან — კოლხები (ზანები ანუ მეგრელ-ჭანები), ხოლო სამხრეთელთაგან — ქართები.

აი, დაახლოებით ამ ხანებში მოხდა საერთო ქართველური ტომის დაშლა ქართებად, კოლხებად და სვანებად.

მეორე ათასწლეულის შუახანებში მცირე აზიაში დიდი ძვრები მოხდა, მას შემოუტიეს მრავალრიცხოვანმა ინდოევროპულმა ტომებმა, განსაკუთრებით ძლიერი იყო ბერძენთა მოწოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამან კიდევ უფრო დაქსაქსა კოლხური მოსახლეობა. მათი სახელი ნელ-ნელა გაქრა... თითქმის მთელ მცირე აზიაში — მხოლოდ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეშიღა შემორჩნენ. მაგრამ მანამდე. მრავალი მათგანი აიყარა და ისევ კავკასიას შემოაფარა თავი. ისინი დასახლდნენ დღევანდელი საქართველოს სამხრეთ, დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებში. ადგილობრივი სვანური მოსახლეობა შეიერთეს და გააზანეს — სვანეთის მთიანეთის გარდა.

ასე, რომ ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე, მის მთაშიც და ბარშიც, აღმოსავლეთში და დასავლეთში დასახლდა კოლხური (ზანური) მოსახლეობა — სვანეთის მთიანეთის გარდა.

ქართები კიდევ კარგა ხანს ცხოვრობდნენ სამხრეთით. მხოლოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნის დამდეგისთვის შემობრუნდნენ წინაპართა ნასახლარზე — მიდიელების. სპარსელების და პართელების გადამკიდეს იქ აღარ დაედგომებოდათ. მათ მალე მიაღწიეს სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ჰეგემონიას. კოლხური ტომები: იბერები, მესხები გააქართეს და უკვე მეოთხე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძლიერი სამეფო შექმნეს. ფარნავაზ მეფის დროს „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების... და აღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა".

ქართლის მეფის ფარნავაზის და კოლხეთის მთავრის ქუჯის შემდგომ საქართველოს ისტორია ცნობილია.

●

ასეთია მოკლედ ქართველ ტომთა „ისტორია" დასაბამიდან ფარნავაზამდე (თუ ისტორია შეიძლება ეწოდოს ასეთ ცნობას).

ეს მოსაზრება არც ახალია და არც, მაინცდამაინც, ორიგინალური. მრავალი მეცნიერი იზიარებს მას, მაგრამ...მართლაც ასე იყო თუ არა, ამის მტკიცება ჭირს. ჭირს სრულიად უბრალო მიზეზის გამო: იმდროინდელ ქართველ ტომთა ყოფის შესახებ ძალიან მწირი ცნობებია. ერთია ვარაუდი და მეორე — მეცნიერული დასაბუთება.

რა ეჭვებია გამოთქმული ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ?

1. დასავლეთ ამიერკავკასიაში უძველესი დროიდან ცხოვრობდა ხალხი. მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, ამის გადაჭრით თქმა არ შეიძლება.

2. ნეოლითის ბოლოს აქ, ამ დროისთვის მძლავრი კულტურა შეიქმნა და დიდ არეალზე გაიფინა, მაგრამ ვინ იყო ეთნიკურად მისი მატარებელი?

3. მესამე ათასწლეულში მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში შეიქმნა იმ დროისთვის მოწინავე ბრინჯაოს კულტურა — მტკვარ-არაქსის კულტურად წოდებული. ისიც ძალზე ფართო არეალზე გაიფინა; მაგრამ მისი შემქმნელები რატომ იყვნენ მაინცდამაინც პროტოქართველები?

4. მეორე ათასწლეულში კვლავ აღორძინდა აქ „თრიალეთის კულტურა". მაგრამ მისი მატარებლები ნამდვილად ქართველები იყვნენ, მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელთა შთამომავლები?

5. კი, მრავალი თავის ქალა და მატერიალური კულტურის ძეგლები გამოვლინდა აქ, მაგრამ, ბ. კუფტინის თქმისა არ იყოს, სამწუხაროდ, თავის ქალები და ქოთნები არ ლაპარაკობენ, ძნელია ისინი რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მივაკუთვნოთ.

ამ ეჭვებს აძლიერებს ის, რომ, ხშირად, ერთიდაიგივე ადგილას, სხვადასხვა დროს, სულ სხვადასხვა ხალხი ქმნიდა კულტურას — შემდეგ მოსულთ არავითარი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა ადრინდელთან. უფრო მეტიც: რაღაც გარკვეულ მიწა-წყალზე ცხოვრობდა ერი, სახელიც ერქვა, შემდეგ მოვიდოდა სხვა ხალხი, ადგილობრივს ან გაჟლეტდა, ან შეირევდა, და ახალ კულტურას ქმნიდა, დამხვდურის სახელს კი ითავისებდა.

(რაღა შორს წავიდეთ: ჩვენი წელთაღრიცხვის მეშვიდე, მერვე საუკუნეებში ნეჯდის უდაბნოდან აყრილი არაბები უამრავ ქვეყნებს მოედვნენ და იქ ჩასახლდნენ. სირიაში მისულებს სირიელები დაერქვათ, ეგვიპტეში მისულებს — ეგვიპტელები და ასე შემდეგ).

ორ უძველეს სახელმწიფოზე — კოლხეთზე და იბერიაზე — მხოლოდ უცხოური წყაროები არსებობს... ვინ იყვნენ კოლხები და იბერები, რატომ არ ჩანს მათი სახელები ქართულ წყაროებში? დღეს ასეა მიღებული: იბერია იგივე ქართლი იყო. თუ ეს მართლაც ასეა, რატომ არის ორი სხვადასხვა სახელი? იქნებ კოლხებიც არაქართველები იყვნენ?

კი, ახლა ასე გვწამს, რომ კოლხებიც და იბერებიც ქართველები იყვნენ, მაგრამ რწმენა მეცნიერული საბუთი არ არის. ასე, რომ მიწა-წყლის ერთიანობა არ ნიშნავს მაინცდამაინც აქ მოსახლე ხალხთა შთამომავლობით ერთიანობას.

ამ საკმაოდ შთამბეჭდავ ეჭვების მიუხედავად ზემოთმოყვანილი „ისტორია" უფრო სარწმუნო ჩანს, ვინემ მის მოწინააღდეგეთა მოსაზრება.

რა გვაძლევს ამის თქმის უფლებას?

ამ წერილის შემდგომი ნაწილი ამ „ისტორიის" დასაბუთების ცდაა.

რა მასალას იყენებს, საერთოდ, ისტორიკოსი რაიმე პრობლემის გადაწყვეტისას? მას უნდა ჰქონდეს მონაცემები არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ონომასტიკური, აგრეთვე, წერილობითი წყაროები და ლინგვისტური მასალა.

დავიწყოთ არქეოლოგიით. ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასია — ისტორიული საქართველოს მიწა-წყალი — ოთხჯერ იყო მსოფლიო ცივილიზაციის მედროშე (ეს განუმეორებელი მოვლენაა). იგი დაწინაურდა ჩვენს ერამდე მეხუთე ათასწლეულში, შემდეგ: მესამე ათასწლეულში, მეორე ათასწლეულში და ჩვენი წელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაღრიცხვის მეთორმეტე საუკუნეში. აქ არ ღირს ლაპარაკი მეთორმეტე საუკუნეზე. იმ დროს რაც იყო, კარგად ვიცით. ჩვენს ყურადღებას ადრეული ეპოქები იპყრობს.

კაცობრიობის ცხოვრების მანძილზე საკმაოდ ხშირად ხდებოდა, რომ ერთი ხალხი, ან ნაწილი თავისი საცხოვრისიდან აიყრებოდა და სხვა ადგილზე გადასახლდებოდა. ახლა აქ გაიდგამდა ფესვს. არქეოლოგები არჩევენ ერთმანეთისგან სხვადასხვა კულტურას. მათ გადაჭრით შეუძლიათ თქვან, რომ ზოგიერთ ადგილას მოსახლეობის მკვეთრი ცვლა მოხდა გარკვეულ დროს. არქეოლოგიურ კულტურებში არის ეგრეთწოდებული წყვეტილები.

ჩვენთვის საყურადღებო საკითხს საგანგებო ნაშრომი, წიგნი უძღვნა ოთარ ჯაფარიძემ — „ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისთვის“. იგი უზარმაზარი არქეოლოგიური მასალის გამოწვლილვით გაანალიზების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დასაბამიდან მეორე ათასწლეულის დადგომამდე დასავლეთ ამიერკავკასიის მიწა-წყალზე მკვეთრი არქეოლოგიური წყვეტილი არ ჩანს, ისეთი, რაც მოსახლეობის ცვლას გვაფიქრებინებდა. კი, მართალია, შეინიშნება სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან წამოსული გავლენები (კავკასიელების, შემდეგ, პროტოქართველების შემობრუნება). მაგრამ ამას ადგილობრივი კულტურის ძირფესვიანი შეცვლა არ გამოუწვევია...

ძალიან კარგი, მაგრამ რა მოხდა შემდგომ, ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დადგომიდან ფარნავაზამდე?

ამ საკითხზე გამოკვლევა აქვს თეიმურაზ მიქელაძეს: — „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან“.

ამ ეპოქის არქეოლოგიური, ლინგვისტური და წერილობითი მონაცემების ანალიზის შემდეგ იგი ასეთ დასკვნამდე მივიდა: „კოლხეთი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ასცდა არსებითი ხასიათის აღმოსავლურ ზეგავლენასაც და ელინიზაციასაც და მისი ისტორია შინაგანი განვითარების გზით წარიმართა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ კოლხეთის ისტორიის პერიოდიზაცია აიგოს ისტორიულ წყაროებში შემჩნეული და არქეოლოგიურ მასალებში არეკლილი კოლხეთის შინაგანი განვითარების ეტაპების მიხედვით. ამ პრინციპის საფუძველზე კოლხეთის ისტორიის სამი პერიოდი უნდა გამოიყოს: ძველი სამეფოს პერიოდი, რომელიც იფარგლება ძვ. წ. მეცამეტე საუკუნიდან მეექვსე საუკუნის შუახანებამდე, შუა სამეფოს პერიოდი — ძვ. წ. მეექვსე საუკუნის შუახანებიდან — ძვ. წ. პირველ საუკუნემდე და ახალი სამეფოს, პერიოდი — ახ. წ. პირველი საუკუნიდან მეექვსე საუკუნემდე“.

ესე იგი, ნეოლითიდან მოკიდებული ელინისტურ ხანამდე, ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე არ შეინიშნება არქეოლოგიურ კულტურათა შორის მნიშვნელოვანი წყვეტილები. ყოველი შემდგომი მაღალი კულტურა ადგილობრივი წარმომავლობის არის და გენეტიკურად უკავშირდება წინა კულტურას. უფრო მეტიც, ამ კულტურათა აღმავლობის ხანებში მათი გავლენა შეინიშნება ძალზე შორს: წინა აზიაში, მცირე აზიაში, ევროპაში.

ისე, რომ არქეოლოგიური მასალები წინ არ ეღობება, პირიქით, შესაძლებელს ხდის ცენტრალური და დასავლეთ ამიერკავკასიიდან ეთნიკურ ერთეულებს შორის განფენის იდეას. მაგრამ ერთია შესაძლებლობა და მეორე — აუცილებლობა. იმის მაგალითებიც არის (თუმცა, იშვიათად), რომ შემდეგ მისულ ხალხს არ დაუნგრევია დამხვდურთა კულტურა, პირიქით, შეუთვისებია და განუვითარებია კიდეც. ასე იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. პელაზგთა მაღალი კულტურა მოსულმა ბერძნულმა ტომებმა (აქაველები) შეითვისეს და დროთა განმავლობაში მაღალი კულტურა შექმნეს — მიკენის კულტურა. ჩვენ, რომ სხვა წყაროებით არ ვიცოდეთ პელაზგთა არსებობა, აქაველთა იქ ჩასახლების დროც, მხოლოდ არქეოლოგიური მასალებით ამას, ალბათ, ვერ მივხვდებოდით. მართალია, შემდეგ გამოჩენილმა დორიელებმა მიკენური კულტურა გაანადგურეს და ეს არქეოლოგიურადაც კარგად ჩანს.

ამიტომ, ამიერკავკასიაში კულტურათა უწყვეტობა საკმარისი არ არის ეთნიკური უწყვეტობის სამტკიცებლად. მეცნიერებაში ასეა, თუ რამეში ეჭვის შეტანა შეიძლება, არ უნდა ირწმუნო.

მხოლოდ არქეოლოგიას არ შეუძლია, გადაჭრით თქვას, დღევანდელი ქართველები, მართლაც, ვთქვათ, მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელთა შთამომავლები თუ ვართ. ეჭვი რჩება: ვინ იყვნენ კოლხები, რატომ დღეს აღარავის აქვია ეს სახელი, ან, ვინ იყვნენ იბერები, რატომ იწოდებოდა აღმოსავლეთ საქართველო იბერიად? ხომ შეიძლება, არაფერი საერთო არ ჰქონდეს კოლხებს ზანებთან და იბერებს — ქართებთან?

ეს ეჭვი საკმაოდ საფუძვლიანია. დღევანდელ ეთნიკურ თვითსახელად, აღარც კოლხი არსებობს და აღარც — იბერი. უფრო მეტიც, ქართული ტრადიცია იბერიას საერთოდ არ ახსენებს. აი, რას წერს ამის შესახებ თ. მიქელაძე: „ასეთ ვითარებაში მესხების ქართებად მიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ტერმინში კოლხური აღმოსავლურ-ქართული ერთობის აღმნიშვნელი ცნება ვიგულისხმეთ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ არა თუ კოლხი, არამედ, შეიძლება, იბერ ეთნიკური ცნებაც არ აღმოჩნდეს ქართის შესატყვის სახელწოდებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი ასახსნელია ის თანმიმდევრული იგნორაცია, რომელსაც იჩენენ ქართული წყაროები იბერების მიმართ. რა თქმა უნდა, არ იქნებოდა დამაჯერებელი გვეფიქრა, თითქოს სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალო საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობი დარჩა ИБЕР, ИБЕРИЯ ტერმინები, როგორც ქართველისა და ქართლის აღმნიშვნელი სახელწოდებანი".

„ეს ძალიან საინტერესო ფაქტია და იგი ახსნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული ვარაუდი, რომ იბერები ქართების წინარე მოსახლეობას შეადგენდნენ და ქართველ მემატიანეთა მხრით მათი თანმიმდევრული მოუხსენებლობა გამოწვეული უნდა იყოს გაბატონებული ეთნოსის ტენდენციით — აღმოეფხვრათ არაქართ იბერების კვალი!".

რადგან გარკვეულ ადგილს ჯერ იბერია ერქვა და შემდეგ ქართლი, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იბერები იგივე ქართები იყვნენ.

ჩვენს მეზობლებს ჩვენ, სომხებს ვეძახით, ევროპელები — არმენებს, ხოლო თავის თავს ისინი ჰაოებს უწოდებენ. რატომ მოხდა ასე, რატომ ჰქვია ერთიდაიგივე ხალხს სამი სახელი?

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ თვით სახელი სწორია, არმენი და სომეხი კი შერქმეული. სომხები ერად ჩამოყალიბდნენ არა იქ, სადაც ახლა სახლობენ, არამედ, ბევრად უფრო სამხრეთით (ზოგი ცნობით — კილიკიაში). ევროპული ორიენტაციის ხალხებმა ისინი მაშინ გაიცნეს, როცა არმენიაში გადმოსახლდნენ, ხოლო ჩვენ — როცა ჩრდილოეთით გადმოინაცვლეს (როცა დაგვიმეზობლდნენ). ესე იგი, არმენია და სომხეთი მანამდე არსებული მხარეები იყო, მანამ იქ ჰაოები დასახლდებოდნენ (ისინი სომხეთში ურარტუს დაცემის შემდეგ — ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში — გამოჩნდნენ).

რა გვინდა, ამით ვთქვათ! სომხები სხვა ხალხი იყო, ჰაოები კი — სხვა, მაგრამ ჩვენ ჰაოებს სომხებს ვუწოდებთ, ხომ შეიძლება მსგავსი რამ მომხდარიყო აქაც: იყვნენ კოლხები და იბერები, მათ ადგილას კი ზანები და ქართები დასახლდნენ. აქვს რაიმე კავშირი სიტყვა კოლხს ქართთან, მეგრელთან, იბერთან? ამ კითხვებზე არქეოლოგია პასუხს ვერ გაგვცემს, ანთროპოლოგია უნდა მოვიშველიოთ.

მოგეხსენებათ, ადამიანის ძვლები, განსაკუთრებით, თავის ქალა, დიდხანს, ძალიან დიდხანს ძლებს, ამდენად, ანთროპოლოგებს შეუძლიათ, ძველი სამარხების საშუალებით დაადგინონ, მოხდა თუ არა ამა თუ იმ მხარეში რასიულად განსხვავებული მოსახლეობის ცვლა.

ამ საკითხებზე მუშაობს ქართველი ანთროპოლოგი მალხაზ აბდუშელიშვილი. მან გამოსცა წიგნი: „ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორია", იგი წერს: „ამრიგად, მთელი კავკასიის ბრინჯაოს ხანის მოსახლეობა ეკუთვნოდა ერთ ანთროპოლოგიურ ტიპს, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში სამხრეთ-ევროპეიდული რასის ხმელთაშუაზღვისპირული ტიპის სახელით არის ცნობილი.

საქართველოს გვიანბრინჯაოს და, შემდგომ, რკინის ფართო ათვისების პერიოდის მოსახლეობა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით ტიპიურად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რაც გამორიცხავს რაიმე ახალი, ადგილობრივისაგან განსხვავებული ელემენტების შემოსვლას საკვლევ ტერიტორიაზე დროის აღნიშნულ მონაკვეთში".

მ. აბდუშელიშვილი სხვა ეპოქებსაც იხილავს და ასეთი დასკვნა გამოაქვს: „ელინისტური ხანით სრულდება' იმ მოვლენათა გრძელი ჯაჭვი, რომელსაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჰქონდა ადგილი. მიჯნა აბსოლუტურად პირობითია, მაგრამ ორიენტაციის გაადვილების მიზნით ჩვენ მაინც გვინდა თვალი გავადევნოთ ანთროპოლოგიურ მასალებს მთლიანად უძველესი დროიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული იყო ერთი, დოლიქოკრანული, ვიწროსახიანი, მკვეთრად პროფილირებული ანთროპოლოგიური ტიპი. ამ ტიპის ცვლა დროში, შინაგანი ტრანსფორმაციის სახეს ატარებს. ეს ტრანსფორმაცია შეეხება მხოლოდ ზოგიერთ ნიშანს, სახელდობრ: თავის ქალის მაჩვენებლის მომატებას, შუბლის უდიდესი სიგანის შემცირებას, სახის სიგანის მომატებას და სხვა".

მ. აბდუშელიშვილი სხვა ნაშრომში ამტკიცებს, რომ „კავკასიური" პალეოანთროპოლოგიური ტიპი გაფენილი იყო კავკასიაში, წინააზიაში, ტიგროსის და ევფრატის შუამდინარეთში, მდ. ინდის აუზში, მცირეაზიაში, ხმელთაშუაზღვის აუზში, მანამ, სანამ იქ ინდოევროპელები და სემიანები გამოჩნდებოდნენ — ესე იგი, დღეს იქ მაცხოვრებელი ხალხი.

ანთროპოლოგიური მონაცემების ანალიზი წინ არ ეღობება, პირიქით, ამაგრებს კიდეც კავკასიური ერთობის და მათ შორის განფენის იდეას, თუმცა, ეჭვს მაინც ვერ ფანტავს, განა, არ შეიძლებოდა, ევროპაში, კავკასიაში და, ვთქვათ, ინდოეთში აღმოჩენილი თავის ქალების პატრონები ერთი ქვერასის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, მაგრამეროვნულად (ეთნიკურად) სხვადასხვა?! რა თქმა უნდა, შეიძლებოდა!

გავიხსენოთ ბორის კუფტინის ნათქვამი, სამწუხაროდ თავის ქალები და ქოთნები არ ლაპარაკობენო. ჩვენი „ისტორია", რომ ოდნავ მაინც სარწმუნო იყოს, თავის ქალები და ქოთნები უნდა ავალაპარაკოთ, სხვა გზა არ არის!

ერის განსაზღვრისას ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ენას. „იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის პრობლემის კვლევა შეიძლება სამ საფეხურად დაიყოს: ამ ენათა, ცალკეული ჯგუფების შინაგანი ნათესაობა, მონათესაობა ცალკეულ ჯგუფებს შორის და, ბოლოს, იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობა წინა აზიის არაინდოევროპულ და არასემურ ჯგუფებთან" (ა. ჩიქობავა).

ესე იგი, ჯერ ერთმანეთს უნდა შევუდაროთ საკუთრივ კავკასიური (აფხაზურ-ადიღეური, ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველური, ვეინახურ-დაღესტნური) ენები. მოინახოს ძველი ფუძე-ენა და, ამის შემდეგ, დაეძებნოს პარალელები სხვა იბერიულ ენებთან (პელასგური, ეტრუსკული, ხათური, სუბარული, შუმერული).

ამ მხრივ მუშაობაც ტარდება. გამოვლენილია უამრავი შეხვედრები ქართველურ-კავკასიურ, ქართველურ-პელასგურ, ქართველურ-ეტრუსკულ, ქართველურ-ბასკურ, ქართველურ-სუბარულ, ქართველურ-შუმერულ ენებს შორის. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ეჭვი ეჭვად დარჩა; არ დამტკიცდა არათუ კავკასიურ მკვდარ ენათა ნათესაობა, არამედ, ბევრ მეცნიერს არ სჯერა თვით კავკასიური ენების ნათესაობაც კი. მართალია, საკუთრივ კავკასიურ ენებს ბევრი საერთო აქვს, მაგრამ ეს, შეიძლება, დიდხანს მეზობლად ცხოვრების შედეგი იყოს. გამოითქვა აზრი, რომ ეს ენები თუ მართლაც დაცილდნენ ერთმანეთს, ეს ძალიან ადრე მოხდა და მარტივმა მასალამ საგრძნობი ცვლილებები განიცადა. მათი ნათესაობის მტკიცება უეჭველი არ არის, ეს, უფრო, რწმენის საკითხია, ვინემ მეცნიერული ჰიპოთეზისა.

თუ „დაჯგუფებების" თეორიას დავუჯერებთ, კავკასიურ სამყაროს ჯერ უნდა ჩამოცილებოდნენ ის ხალხები, ვისაც, სუბარები, ხათები, პელასგები, ეტრუსკები და იბერები შეერქვა. ამის შემდეგ კი უნდა დაშლილიყო საკუთრივ კავკასიური ერთობა. ამის საბაბს კი არც არქეოლოგია იძლევა და არც — ლინგვისტური ანალიზი.

რადგან საკუთრივ კავკასიელები (ქართველები, ადიღეელები, ვეინახ-დაღესტნელები) მდებარეობით ერთმანეთის მეზობლები ვართ, ამიტომ სულაც არ არის აუცილებელი, ბოლოს დავცილებოდით ერთმანეთს. საერთო კავკასიურს თავდაპირველად შუმერული, სუბარული, აფხაზ-ადიღეური და ვეინახ-დაღესტნური ჩამოცილდა, მათი მატარებელი ხალხი ძალიან დიდ არეალზე გაიფინა, სულ ცოტა ორი ათასი წელი სხვა ხალხების ენებთან ჰქონდა ურთიერთობა, შემდეგ კი მისი ნაწილი ისევ უკან შემობრუნდა კავკასიაში.

მხოლოდ ამის შემდგომ — უკვე მესამე ათასწლეულის დასაწყისისთვის — საერთო ქართველურიდან ჩამოცილება უნდა დაეწყო პელასგურს, ეტრუსკულს, ბასკურს.

თუ ამას გავითვალისწინებთ, უცნაური აღარ მოგვეჩვენება ის ფაქტი, რომ პელასგური და ეტრუსკული ქართულთან უფრო ახლოს დგას, ვინემ, აფხაზურ-ადიღეური და ვეინახურ-დაღესტნური.

ამასთან ერთად, შეხვედრების ძებნისას დაცული არ არის შედარებით-ისტორიული მეთოდი. დღევანდელ ქართველურს უდარებენ დღევანდელ ბასკურს, დღევანდელ ქართველურს, დაახლოებით, ორიათას ხუთასი წლის წინანდელ პელასგურს და ეტრუსკულს და, უფრო მეტიც, დღევანდელ ქართველურს შვიდ-ექვსი ათასი წლის წინანდელ შუმერულს.

თუ ამ წერილის დასაწყისში მოთხრობილი „ისტორია" სინამდვილეს შეეფერება, დასამტკიცებელია: 1. დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილზე მართლაც სახლობდნენ თუ არა სვანები. 2. შემდგომ, თითქმის მთელ საქართველოში და მის სამხრეთითაც სახლობდნენ თუ არა კოლხები. 3. ქართები მართლაც ყველაზე გვიან შემობრუნდნენ თუ არა უკან. 4. კოლხებს და ქართებს მართლაც ერთი წარმომავლობა აქვთ თუ არა?!

შემდგომი კვლევა ამ ოთხი საკითხის განხილვას მოვანდომოთ.

ამის გასარკვევად ისეთი სიტყვები უნდა მოვნახოთ, საკვლევ დროშიც რომ იყო ხმარებაში და ახლაც არის, ესე იგი, ისეთი სიტყვები, დიდხანს, ძალიან დიდხანს, რომ ინარჩუნებს მნიშვნელობას და, მართალია, სახეს იცვლიდა, მაგრამ მაინც მოაღწია ჩვენამდე. ასეთი სიტყვები არ არის ცოტა.

ავიღოთ ონომასტიკა. ხშირია, როცა ერთ ხალხს რამდენიმე სახელი ჰქვია. ეს სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა. ჩვენ რუსები გრუზინებს გვიწოდებენ, მაგრამ საკუთარი სახელი, მოგეხსენებათ, სხვა გვაქვს. ასევე გამძლეა ადგილთა სახელები და წარმართულ ღვთაებათა სახელები. ღვთაებათა სახელებს მითოლოგია ინახავს.

სვანები ადრე და, შემდეგ კოლხები, დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში რომ ცხოვრობდნენ, ეს უდაოა: ტოპონიმიის შესწავლა ამას უეჭველად ამტკიცებს. ჩვენ დასამტკიცებელი გვაქვს, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოშიც თუ ცხოვრობდნენ კოლხები.

კავკასიელი იბერები რომ კოლხური მოდგმის ხალხი იყო, ცხადია. ქართველ მეცნიერთა ერთობლივი აზრით, იბერებისგან მომდინარეობს სატომო სახელი იმერეთი. მაგრამ რატომ უნდა რქმეოდა აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სახელმწიფოს იბერია? ამაზე დიდხანს იყო კამათი.

ბერძნულ სამყაროში (ძველბერძნები, ბიზანტიელები) და მათი გავლენით მთელი დასავლეთი ქართლს იბერიას უწოდებდა. თ. მიქელაძის მართებული დასკვნით, ეს იყო გაბატონებული ეთნოსის ტენდენცია, აღმოეფხვრა ადგილობრივი ეთნოსის ტრადიციით შემორჩენილი სახელი, ესე იგი, აქ სახლობდნენ იბერები და შემდეგ მოსულმა ქართებმა საკუთარი პოლიტიკური ჰეგემონია დაამკვიდრეს. რადგან იბერები კოლხური მოდგმისანი იყვნენ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი აღმოსავლეთ საქართველოშიც სახლობდნენ და მათ წიაღში შემოვიდნენ ქართები. ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის დამდეგის ბერძენმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ჰეროდოტემ დაწერა, ზღვიდან ზღვამდე (მეწამული ზღვიდან შავ ზღვამდე) ოთხი ხალხი ცხოვრობს: სპარსელები, მიდიელები, სასპერები

და კოლხებით. სასპერები იმ ადგილზე არიან მოხსენებული, სადაც მცირე ხნის შემდეგ ქართები გამოჩნდნენ. სასპერები, მეცნიერთა ვარაუდით, სპერები, იგივე იბერები იყვნენ.

იქნებ, კოლხების აღმოსავლეთში ყოფნის სხვა საბუთის მოშველიებაც შეიძლება?!

1. ჩვენი წელთაღრიცხვის შუა ხანებამდე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები საერთო სახელით — წანარებით — მოიხსენებოდნენ. წ ა ნ ა რ-ში დაბოლოება არ სვანური მრავლობითის ნიშანი უნდა იყოს. თუ მართლაც კოლხური ტომი სვანურ სამყაროში შემოვიდა, ბუნებრივია, მათ შეერქმიათ სახელი მოხულთათვის. დაბოლოების ჩამოცილების შემდეგ რჩება წ ა ნ ფუძე. მეგრულ-სვანური წ ქართულ ჭ-ს შეესაბამება, ესე იგი, უნდა ყოფილიყო ჭ ა ნ, ჭანები. ჭანები, მოგეხსენებათ, კოლხური მოდგმის ტომი იყო და არის.

2. რატომ ჰქვია თბილისის ახლომდებარე ადგილს ორთაჭალა? ორთა აქ ორს არ ნიშნავს. ორთა მეგრულში ცნობილი ღვთაების სახელია. მისი სახელდების უნდა ყოფილიყო ჭალაც — ორთაჭალა. ორთას ქართულში ანთა შეესიტყვება.

3. ყოვლად გაუგებარი იქნება აღმოსავლეთ მთიანეთის მითოლოგიური პერსონაჟის, ნადირთმწყემსის ო ჩ ო პ ი ნ ტ რ ე-ს არსებობა თუ აქ მეგრულენოვანი მოსახლეობის კვალი არ დავინახეთ. ო ჩ ო პ ი ნ ტ რ ე მეგრული მითოლოგიის პერსონაჟია. მხოლოდ კოლხური ენის გათვალისწინებით შეიძლება მისი გაშიფრვა: ო ჩ ო მეგრულად ვაცს ნიშნავს.

4. საყოველთაოდ მიღებული აზრია, რომ მცხეთა სახელი მესხების აქ სახლობის კვალია. მესხები რომ კოლხურენოვანი ხალხი იყო, ახლა ეჭვს აღარ იწვევს.

5. ქართლური ხმოვანი ა კოლხურ ო-ს შეესაბამება (კაცი-კოჩი, ფათი-ფოთი) ამიტომ, წინსართი ს ა (სა-მტრედია, სა-ირმე) კოლხურში ს ო-დ უნდა ჟღერდეს, მაგრამ დროთა განმავლობაში ს ჩამოცილდა და დარჩა მხოლოდ ო (ოჟირაბა, ოტობაია, ოფშკვითი, ოზურგეთი, ოხურეი). თუმცა ზოგან დარჩა არქაული ს ო-ც (სოჩხეთი). საიდან გაჩნდა ეთნიკური სახელი სომხეთი? ეს სიტყვა თავად სომხებს არ მოუტანიათ — მათ არ აქვთ და არც ჰქონიათ ასეთი სიტყვა. იგი ჩვენი შერქმეულია და მაშინდელი, როცა მეგრულ ს ო-ს წინა ასო ჩამოცილებული არ ჰქონდა. სომხეთი სომეხ-ისგან არის ნაწარმოები. ხ ჩანს სხვა ქართულ სატომო სახელებშიც (კარდუხი, კოლხი, ტაოხი, ვიტერუხი, მესხი, ჯავახი, კახი...). სო-მ ე ხ-ი, აქ ადვილად მიხვდება კაცი, რომ ეს სიტყვა მესხს ნიშნავს. ფუძის ს ამოვარდნილია წინა ს-ს გავლენით: სომესხი-სომეხი. როგორც ჩანს ჰაოები მესხების ახლომახლო უნდა ჩამოსახლებულიყვნენ. ეს უნდა მომხდარიყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნის შემდგომ — იმ ხანებში დაეცა ურარტუ და ჰაოებმა ჩრდილოეთით იწყეს გადმონაცვლება.

აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეებში კოლხური მოსახლეობის სხვა კვალიც არის, მაგრამ ახლა ეს ვიკმაროთ.

ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში ქართები კავკასიაში არ ჩანან. ამის შესახებ „მოქცევაი ქართლისაჲში" არის ცნობა. იქ ნათქვამია, რომ ქართლის პირველი მეფე აზო არიან-ქართლით მოვიდა ქართლში და გამეფდა. ამ მოსვლას ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობას უკავშირებს. სინამდვილეში ალექსანდრეს ქართლში არ ულაშქრია, მაგრამ საყურადღებოა დამთხვევის წადილი — ქართების შემოსვლა ქრონოლოგიურად მაკედონელის ლაშქრობების ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო.

სწორედ აქედან იწყება ქართლის სამეფოს ჩამოყალიბება და ფარნავაზის მეფობა — „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების..."

თუ, მართლაც, კავკასიაში ჯერ კოლხები შემოვიდნენ და, შემდეგ, ქართები, დასამტკიცებელია, ოდესმე ერთნი იყვნენ თუ არა. რანაირად შეიძლება მათი ერთიანობის დამტკიცება? გავაანალიზოთ თვითსახელები საქართველო და კოლხეთი, რა თქმა უნდა, ყველაფრის თავიდათავი ეთნიკური თვითსახელია. ჩვენ დღეს ქართველები გვქვია, ჩვენს ქვეყანას კი — საქართველო, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იყო. სიტყვა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მეთერთმეტე საუკუნემდე არ არსებობდა. იყო ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი და ასე შემდეგ, მაგრამ არ იყო საქართველო. მაშ, რა ერქვათ ჩვენს წინაპრებს?

ქართველური ენები (სვანური, კოლხური, ქართლური) ადრე ერთ ენას წარმოადგენდა. იგი ერთი ტომის კუთვნილება იყო. შემდგომ, ის ტომი გამრავლდა და მთელ მხოფლიოში განიფინა, რამაც ამ ენების მეტნაკლებად დაცალკევება გამოიწვია.

ენათმეცნიერებს შორის განმტკიცდა აზრი, რომ წინარექართული ენისგან სვანურს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის დასაწყისში უნდა დაეწყო ჩამოცილება, კოლხურს კი — მეორე ათასწლეულის შუახანებში.

დღეს რა ჰქვიათ ამ ენათა მატარებელ ტომებს, ცხადია, ვიცით: ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები. ეს ვიცით, მაგრამ არ ვიცით, რა ერქვა წინარექართველურ ტომს, ვისგანაც წარმოვდგებით დღევანდელი ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები. ის სახელი დაკარგულია, არადა, ალბათ, საინტერესოა, ვიცოდეთ ის სატომო, ეთნიკური სახელი!

იქნებ შესაძლებელია მისი აღდგენა?! აი, მივყვეთ და ვნახოთ! ავიღოთ ორი სატომო სახელი — ქართველი და კოლხი, ცალცალკე განვიხილოთ.

ქართველი ანუ, ქართუელი ნაწარმოები სიტყვაა: დაბოლოება ე ლ ი სადაურობის აღმნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელია — ქართუ ქვეყნის მაცხოვრებელი. ასე უწოდებდა, როგორც ჩანს, ქართების ტომი თავის ქვეყანას. ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის დამდეგის გეოგრაფი ჰეროდოტე. ცოტა მოგვიანებით კი (იგივე საუკუნე) ქსენოფონტი ახსენებენ ქართულ ტომს კ ა რ დ უ ხ ე ბ ს. კარდუხ იგივე ქართუს ნიშნავს (ხ კუთვნილების აღმნიშვნელი ასო იყო). ეს კარგა ხანია გარკვეულია. თავისთავად ქ ა რ თ უ-ც შედგენილი სიტყვაა. სიტყვის ძირი აუცილებლად ერთმარცვლიანი უნდა იყოს. იგი ორი მარცვლისგან შედგება ქ ა რ-თ უ. შვიდ-ექვსი ათასი წლის წინ მცხოვრები, იმ დროს ყველაზე მეტად კულტურული შუმერები ისტორიულად ცნობილ ხალხს მ ა რ-ებს მ ა რ თ უ-ს უწოდებდნენ, ხოლო — ს უ ბ ა რ-ებს ს უ ბ ა რ თ უ-ს. კაცობრიობის აღმნიშვნელ სიტყვად ა მ ა ლ ე თ უ ჰქონდათ. იგივე ხალხებს (მარები, სუბარები) მესოპოტამიაში შემდეგ ჩასახლებული სემური მოდგმის ხალხი (ბაბილონელები) მ ა რ თ ი ს და ს უ ბ ა რ თ ი-ს უწოდებდნენ. ამიტომ, ბუნებრივია, დავასკვნათ, რომ თუ მარცვალი სატომო სახელს ემატებოდა და ხალხის მნიშვნელობას ანიჭებდა, ქ ა რ თ უ დღევანდელ ჩვენს ენაზე ნიშნავს ქ ა რ ე ბ ს. ასე, რომ საქართველოდან, ქართველიდან დაგვრჩა სატომო სახელის ძირი ქ ა რ.

ახლა, ვნახოთ მეორე სატომო სახელი კ ო ლ ხ ი.

„მეკატიოსს აგრეთვე კოლხთა ერთ-ერთი ტომის სახელად მოხსენებული აქვს „კორა" — ქსოი, ესე იგი, „კორახი", იმიტომ, რომ „ქს" უდრის „ხ"-ს და ზოგიერთ ენაკილოკავებში „ხ"-ს მაგიერ „კ" ისმის. ამგვარად, ჩვენ გვაქვს „კორა" და „კოლ". მეორე უეჭველია უნდა „კორ"-ისაგან წარმომდგარიყო. „რ"-ს „ლ"-ად ქცევა ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა" (ივანე ჯავახიშვილი).

ესე იგი, სატომო სახელი კოლხი მომდინარეობს კ ო რ სიტყვა-ფუძისგან. ორი ძირითადი ქართველური სატომო სახელისგან დაგვრჩა ქ ა რ და კ ო რ.

დროებით დავიხსომოთ ეს!

სამაგიეროდ, გავიხსენოთ ერთი კანონზომიერება. ერთიდაიგივე წარმომავლობის სიტყვებში, სადაც ქართლურში გვაქვს ა ხმოვანი, მეგრულში, უმეტეს შემთხვევაში ო ზის (კაცი-კოჩი, ვაცი-ოჩო, ცხრა-ჩხორო, ქართუ — ქორთუ, და-დო და ა. შ.). ქართლურ-კოლხური ენების დაცილებისას რაღაც ბგერა ერთმა ენამ ა-დ დაამკვიდრა, მეორემ — ო-დ. ის ბგერა არ უნდა ყოფილიყო არც ა და არც — ო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უცვლელი, ორივეში საერთო დარჩებოდა. ამავე დროს იგი არ უნდა ყოფილიყო მთლად გარკვეული. დახვეწილი და გარკვეული ბგერა ძნელად იცვლის სახეს (ასეთი გაურკვეველი ბგერები ახლაც არის ენებში).

რა ბგერა უნდა ყოფილიყო ის, რამაც ქართლურში ა მოგვცა და მეგრულში ო? მცირე წიაღსვლა კიდევ დაგვჭირდება.

ძველი ასურული, ურარტული, ბერძნული, ჩვენივე წერილობითი წყაროებით მრავალ ქართულ ტომთა სახელი ვიცით. ყველას არ ჩამოვთვლი. დავასახელებ მას, განსხვავებულად რომ გამოითქმოდა და იწერებოდა, მაგრამ ნამდვილად ერთდაიგივე ტომს აღნიშნავდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კულხა | | თუბალი<br>ტუბალი | მუსკი | კუხეთი | მუშუნ |
| | კარდუხი<br>ქართუ | ტაბალი | მესხი<br>მასხი | კახეთი | სვანი |
| კოლხა | ქორთუ | თობელი<br>თობალი | მოსხი<br>მოსოხი | კოხეთი | შონ |

რატომ უნდა გამოთქმულიყო ეს სატომო სახელები სხვადასხვანაირად?

ამას ორი მიზეზი შეიძლება ჰქონოდა. ერთი ის, რომ სხვა ხალხს სხვა ენაზე ვერ გამოეთქვა ქართული ბგერები (ქართველს ვერ იტყვის რუსი: უნდა თქვას — კარტველი), ხოლო, მეორე, თავად ქართულადვე ყოფილიყო სხვადასხვანაირად გამოთქმული. ძირითადად მეორე უნდა ყოფილიყო, რადგან კუხეთი, კახეთი, კოხეთი და მუშუნ, სვანი, შონი ქართულსავე წიაღშია განსხვავებულად გამოთქმული. რატომ უნდა დაეწერა ქსენოფონტეს ქართუს ნაცვლად კარდუხი?! მან საკუთარი ფეხით გაიარა კარდუხების ქვეყანა და ეს სიტყვა პირადად მათგან გაიგონა. ბერძნულში ქ-ც იყო და თ-ც.

ზემოთჩამოთვლილ სატომო სახელებში ო ხმოვნიანი სიტყვები კოლხური წარმომავლობის არის, ა ხმოვნიანი კი — ქართლური.

ამ მოსაზრებას თითქოს ხელს უშლის კოლხას გვერდზე კალხას უქონლობა. ამის ახსნა ძნელი არ არის. სიტყვა კ ო ლ ხ ი ბერძნული წერილობითი წყაროებით შემოგვრჩა: თვით ქართულს არ შემოუნახავს. კოლხები კი ბერძნების უშუალო მეზობლები იყვნენ. ქართების მეშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობით არ გახცნობიან მათ. ამიტომ, ბუნებრივია, კოლხური ფორმა შეითვისეს. თუ ეს ასეა, რას უნდა ნიშნავდეს, რატომ უნდა იყოს უ ხმოვნიანი სიტყვები?

წერილობით წყაროებში უ ხმოვნიანი სახელები ყოველთვის, უკლებლივ, წინ უსწრებს. უფრო ადრეა ნახსენები, ვიდრე იგივე სიტყვების ა და ო ხმოვნიანი სახელები. მაგალითად, კულხა მოხსენებულია მერვე საუკუნეში ჩვ. წ.-მდე ურარტულ წარწერებში, კოლხა კი მოგვიანებით ბერძნულ თხზულებებში.

უ უნდა ყოფილიყო ის ბგერა, რომელიც ა-დ და ო-დ დაიყო ქართლურ და კოლხურ ენებში. ოღონდ, არა ჩვეულებრივი, არამედ, მოკლე უ. როგორ გამოითქმოდა ეს ბგერა, წარმოდგენას გვაძლევს სვანური (ქართველურ ენათაგან მას ყველაზე მეტად აქვს შენარჩუნებული ძველებური, არქაული იერი. მთის ერთ-ერთი სახელი სვანურად არის ლეგურევ. აქ უ გაურკვეველ ბგერად ისმის — ნახევარხმოვნად). ამგვარი ბგერა იქნებოდა ზემოთჩამოთვლილი სახელების პირველ მწკრივში (კულხა, თუბალი, მუსკი, კუხეთი, მუშუნ). ხმოვნის ასეთ ცვლას აბლაუტი ჰქვია.

ასე, რომ ქართებს და კოლხებს დაცალკევების პირველ ხანებში თავისთავისთვის უნდა ეწოდებინათ ქურები და კურები (დღევანდელ ქართულ ონომასტიკონში დასტურდება ქურ, კურ, კორ სიტყვების არსებობა). ეს ძირები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მხოლოდ ერთს წინ უზის ქ, მეორეს კი კ.

ქართველურში მსგავს ბგერათა სამეულები გვაქვს. ასეთი სამეული ხუთია. ავიღოთ ერთი მათგანი — გ კ ქ. ამ ბგერების წარმოთქმისას ენას და კბილებს მდგომარეობას არ ვუცვლით. ისინი მხოლოდ სიმკვეთრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ასეც ჰქვიათ: მჟღერი (გ), მკვეთრი (კ), ფშვინვიერი (ქ). ამასთან, ხშირ შემთხვევაში, გ-ს კ-დ ქცევის მიდრეკილება აქვს, ხოლო კ-ს ქ-დ ქცევისა (გურკა-კურკა, სკური-სქური). ეს მიდრეკილება კარგად ჩანს ერთი საკუთარი სახელის მაგალითით. ქართლის პიტიახშს ასფაგური ერქვა, დროთა განმავლობაში ეს სახელი ჯერ ბაკურ-ად გადაკეთდა, ხოლო, შემდეგ — ბაქარ-ად.

მივუბრუნდეთ ქსენოფონტის ცნობას. იგი დაბეჯითებით ამბობს, კარდუხების ქვეყანა გავიარეთო. ძველბერძნულში იყო ქ ბგერა. მას რომ ქართები გაეგონა, ასეც დაწერდა. როგორც ჩანს, თავად კარდუხებმა უთხრეს, ასე გვქვიაო. სიტყვის წინ ისმოდა არა ქ, არამედ — კ. ესე იგი, კ-ს ქ-დ და უ-ს ა-დ გადაკეთება პარალელურად ხდებოდა.

ამრიგად, ქურ-ის და კურ-ის თავდაპირველი სახე გურ უნდა ყოფილიყო. ასე ერქვა, ალბათ, წინარექართველურ ტომს — გურ, გურები.

თუ როგორმე არ შევამოწმეთ ეს ვარაუდი, დამაჯერებლობა აკლია. ჩამოვთვალოთ მტკიცებები:

1. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, საიდან უნდა გაჩენილიყო სატომოს სახელი გურია!

2. რატომ გვეძახიან რუსები გრუზინებს?

პირველ რუსულ წყაროებში ცოტა განსხვავებული სახელი გვერქვა — გურზინ. საიდან მოდის ეს სიტყვა?

რუსებმა ჩვენი სახელი პირველად სპარსელებთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს გაიგონეს. სპარსელები კი ასე გვიწოდებდნენ — გურზან (არაბულად და თურქულად — გურჯ). სპარსელებმა ეს სახელი მეზობლობით მიიღეს ასურელებისგან. ასურელები უწოდებდნენ ჩვენს ქვეყანას გურ-ზან (ანუ გურების ქვეყანა). სამი ათასზე მეტი წლის განმავლობაში ამ სიტყვამ დიდად არ იცვალა სახე.

3. როგორ წარმოიშვა სიტყვა მეგრელი? მეგრელი თავისთავს უწოდებს მარგალს. მარგალი ნიშნავს ზუსტად იმას, რასაც ქართლურად მეგრელი: მეგრ-ელი, მარგ-ალი (ქართლური ე შეესაბამება მეგრულ ა-ს).

ამ სიტყვის წარმომავლობა ასეა გააზრებული. იყო ქვეყანა ეგრისი და მის მცხოვრებს შეერქვა მ-ეგრ-ელი. ამ სახელს მ-არგ-ალ-ში ოდნავ განსხვავებული ძირი აქვს: აქ უდაოდ მეტათეზისი (ბგერათა ადგილის მონაცვლება) გვაქვს. პირველად უნდა ყოფილიყო ეგრ (იგივე აგრ), ან ერგ (არგ). როგორც ჩანს, მეტათეზისი მოხდა მეგრულში. ძველბერძნულ წყაროებში მოხსენებულია კოლხური ტომი მაკრონი, ფუძეა მაკრ. ეს სიტყვა ქსენოფონტმა თვით მაკრონთაგან გაიგონა; ამიტომ, ნამდვილად ასე გამოითქმოდა. აქ კ გ-ს სახეცვლილებაა, ესე იგი, სანამ მეტათეზისი მოხდებოდა, კოლხების ერთ-ერთი ტომი თავისთავს მაკრებს (მაგრებს) უწოდებდა.

ადრე ყოფილა ძირი ეგრ-აგრ, მაგრამ ასეთი სიტყვა ჩვენს ძველ ონომასტიკონში არსად არ დასტურდება.

იქნებ, პირიქით მოხდა; მეგრელიდან წარმოიშვა ქვეყნის სახელი ეგრისი? კაცის სადაურობის მაჩვენებლად ქართულში სხვადასხვა მიზეზის გამო სხვადასხვანაირი საშუალებაა. იმხნელი (იმხანის მაცხოვრებელი), თბილელი (თბილისი), მტბევარი (ტბეთი), მეიფარიანი (იფარი), მეტრეველი (ეტრევი). ძველად უფრო გავრცელებული იყო მ წინსართი და ელი დაბოლოვება (მ-ეტრევ-ელი). წინსართი მ ყოფილი მე-ს შეკვეცილი სახეა, ზოგან ასეც შემორჩა (მეიფარ-იანი). მით უმეტეს ეს უნდა შემორჩენილიყო სატომო სახელში — იგი უფრო მდგრადია. მეგრელი ასე უნდა დანაწევრდეს — მე-გრ-ელი. რადგან ქართულში უხმოვნო ძირი არ უნდა გვქონდეს, — გ-ს და რ-ს შორის წინამდებარე და მომდევნო ხმოვნების გავლენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ამოვარდნილიყო შედარებით სუსტი ხმოვანი (ფუძის ხმოვნის ამოვარდნა ხშირია). ეს ხმოვანი უნდა ყოფილიყო არქაული მოკლე უ. მ ე გ უ რ ე ლ ი ანუ გ უ რ ქვეყნის მაცხოვრებელი.

თანდათან დავიწყებას მიეცა ქვეყნის სახელი გ უ რ. შემორჩა მეგრელი, აქედან კი (ლიტერატურულად) ქვეყნის სახელი ეგრისი. ე ფუძეს მიეკედლა იმიტომ, რომ მე წინსართი უკვე მ-დ იყო ქცეული. (ქვეყნის სახელის დავიწყება სულაც არ არის იშვიათი, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენივე მაგალითი ვნახოთ. იყო ქვეყანა ქართუ, მისგან წარმოიშვა ქართუელი, ქართველი. ქართუ დაიკარგა და ქვეყნის სახელი წარმოშვა თვით ნაწარმოებმა სიტყვამ — საქართველო). ასე, რომ ქართუ, კოლხი, მეგრელი მომდინარეობს ერთი ძირისგან — გ უ რ.

ამ ვარაუდის შემოწმება კიდევ ერთი გზით შეიძლება.

საიდან ჩნდებოდა სატომო (ეთნიკური) სახელები? მხედველობაში მაქვს საკუთარი და არა სხვის მიერ შერქმეული სახელები. საიდან ჩნდებოდა ეს თვითსახელები, ციდან ცვიოდა? ერთი შეხედვით უცნაურია, მაგრამ სწორედ რომ ციდან ცვიდოა (დიდი ხნის წინ მესოპოტამიაში ჩასახლებულ ერთ-ერთ ტომს ერქვა ასურელები, ქვეყანას კი — ასურეთი. რატომ? მათი მთავარი ქალაქი იყო ასურ, აშურ. ქალაქს კი სახელი დაერქვა იმ ტომის მთავარი ღვთაების სახელისგან — აშურ. ესე იგი, იყო ღვთაება, მისი სახელი დაერქვა ადგილს, ქალაქს, შემდეგ, ხალხს და ბოლოს სახელმწიფოს).

თუ ჩვენს წინაპრებს მართლაც გურები ერქვათ, ხომ არ გამოინახება ღვთაება, ეს სახელი რომ ერქვა?!

ის ღვთაება ჩვენებს უნდა ჰყოლოდათ ერთობის დაშლამდე. ამიტომ, იგი არ უნდა იყოს მხოლოდ რომელიმე თემის, კუთხის ან ტომის საკუთრება; მისი კვალი უნდა ჩანდეს ყველა ქართველური ეთნოსის წიაღში.

ქართულ წარმართულ პანთეონში მრავალ ღვთაებათა შორის საერთო, ზოგადქართულია კვირია. ამ საკითხის გამოწვლილვით კვლევამ ივანე ჯავახიშვილი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „ყველა ზემოთნათქვამიდან ცხადი ხდება, რომ რომ სვანური „მურყვამობა" და „საქმისაი"-ს ჩვეულება, იმდაგვარადვე როგორც „ყეენობა", სქესობრივი განაყოფიერებისა, შვილიერებისა და საერთოდ მოსავლიანობის მფარველ ღვთაების კვირიას თაყვანისცემისა და დღესასწაულის ნაშთია... აქ ჩვენ საზოგადო ქართული წარმართობის ნაშთთან გვაქვს საქმე". კვირიასთან დაკავშირებული ჩვეულებები „ყეენობა" და „თულაობა" გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში და ჯავახეთში. იგი (კვირია) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცნობილი ღვთაება იყო, მისი საგალობელი დღესაც ისმის სვანეთში.

ესე იგი, კვირიას კულტი მთელ საქართველოში იყო გავრცელებული — მთაშიც და ბარშიც. მაშ, იგი ქართული ერთობის დაშლამდელი ღვთაებაა.

გავაანალიზოთ ამ ღვთაების სახელი. იგი ასე იწერებოდა კჳრია. ასე იწერებოდა იმიტომ, რომ კ-ს და რ-ს შორის გაურკვეველი მოკლე ხმოვანი იჯდა. უფრო მეტიც: კჳ შეესაბამება არქაულ გ უ-ს (გურტი-კ-ჳირტი, „სიტყვის კონა"). შემდეგ, როცა ასო ჳ ამოვარდა ხმარებიდან, მისი ადგილი ვ-ი-მ დაიჭირა. ასე იქცა გ უ რ კ ვ ი რ ი ა დ (ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს; კუნტრუში-კვინტრიში).

წინარექართული სატომო სახელი მთლიანად ემთხვევა იმ ტომის ღვთაების სახელს.

ი. ჯავახიშვილი ეჭვობდა, კვირიას სახელი ბერძენთა უფლის აღმნიშვნელი სიტყვის — კვირიასგან — ხომ არ არის ნასესხებიო. ეს არ შეიძლებოდა, მომხდარიყო ორი მიზეზის, გამო. ერთი, იმიტომ, რომ კ ვ ი რ ი ა ქართული სიტყვისგან გ უ რ-ისგან არის ნაწარმოები ქართული ენის კანონზომიერების მეშვეობით. მეორეც — თუ წინარექართველებს მესამე ათასწლეულში უკვე ერქვათ ეს სახელი ბერძნებისგან ვერ ისესხებდნენ. იმ დროს ქართველ-ბერძენ ტომებს უშუალო მეზობლობა არ ჰქონდათ. ბერძნები მესამე ათასწლეულამდე კულტურულ ერად არც იყვნენ ჩამოყალიბებული, რომ მათგან ასეთი მნიშვნელოვანი სიტყვა (მთავარი ღვთაება, თვითსახელი) ესესხებინათ. იმ დროს ბერძნები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე არ ცხოვრობდნენ. იქნებ, პირიქით, სესხება აქედან იქით მოხდა! ჯერ დავასკვნათ. სადაც კოლხურ ისტორიაზე, კოლხურ კულტურაზე, აგრეთვე, იბერებზე და აღმოსავლეთ იბერიაზეა ლაპარაკი, იგულისხმება საერთოქართული, ქართველური ისტორია და კულტურა.

თავი მოვუყაროთ, რაც ითქვა. შვიდი ათასი წლის წინ დაიშალა საერთო კავკასიური ერთობა, დაახლოებით ორი ათასი წლის შემდეგ (მესამე ათასწლეულის დასაწყისი) დაიშალა საკუთრივ ქართული ერთობა, პრექართველებს რქმევიათ გურები.

არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური მასალები ამას უჭერს მხარს, მაგრამ მათი მტკიცებები ირიბია, ირიბი მტკიცების დროს, საკმარისია, მტკიცებათა მწკრივიდან ერთი მაინც გახდეს პირდაპირი, არსაეჭვო, რომ „გააცოცხლოს", ძალა მისცეს ირიბ მტკიცებებსაც.

მივყვეთ გურების კვალს. არ დაგვავიწყდეს, გ უ რ ძირი სხვადასხვა დროს კ უ რ, კ ო რ, კ ა რ, ქ ო რ, ქ ა რ, ქ უ რ სახეებს იღებდა. ჩანს თუ არა ეს ძირები პელასგურ, ეტრუსკულ და, ნაწილობრივ, ბასკურ ენებში. (ბასკურში ნაწილობრივ იმიტომ, რომ ამ ენის უძველესი ძეგლები არ გვაქვს. პელასგური და ეტრუსკული წარწერები, მართალია, ძალზე მწირი, მაგრამ მაინც შემორჩა. მათ ორიათასი, ორიათასხუთა-

ხი წლის ისტორია აქვს. აქაურმა კი მის შემდგომ ძალზე იცვალა სახე. იგი ინდოევროპული ენების გარემოცვაში მოჰყვა და მათი გავლენა, რა თქმა უნდა, ენას ასხვაფერებდა).

1. საყოველთაოდ არის ცნობილი ბერძნული მითოლოგია. მას საკმაოდ მწყობრი გენეალოგიური აღნაგობა აქვს.

თავდაპირველი ქაოსის განწვალვის შემდეგ წარმოიშვა ცა (ურანოს) და მიწა (გეა). მათ შეეძინათ შვილები. ურანოსმა იცოდა, რომ ბოლოს შვილი დაღუპავდა, ამიტომ ახალდაბადებულებს ტარტაროსში ტყორცნიდა (ღვთისშვილები უკვდავები იყვნენ) იქიდან დამოუკიდებლად თავის დახსნა მათ არ შეეძლოთ. გეას ეცოდებოდა შვილები ბოლოს. მოაზერხა და ერთ-ერთი ძე — კრონოსი — გადამალა. კრონოსი რომ წამოიზარდა, დედამ მას ნამგალი მისცა, საწოლში დამალა და დაარიგა, როგორ მოქცეულიყო. კრონოსი დარიგებისამებრ მოიქცა; ღამით მამას გამოუხტა და ნამგლით ასო მოხვრა. ურანოსი მოკვდა. მამის ტახტზე უზენაეს ღვთაებად კრონოსი დაჯდა. მანაც იცოდა, რომ შვილი დაღუპავდა. ახლადშობილ შვილებს ყლაპავდა.

აქაც მსგავსი რამ განმეორდა. დედას შეებრალა ბოლო შვილი — ზევსი (ზეუს ბერძნულად — სინათლე) და მეუღლეს ჩვილის ნაცვლად ჩვარში გამოხვეული ქვა გადააყლაპა. ბოლოს ზევსმაც დაამხო მამის ძლიერება და დიდი ომის შემდეგ ოლიმპზე გამეფდა.

ბერძნული ღმერთები ძალზე „ადამიანურნი" იყვნენ. მითების გარკვეულ საფეხურზე ასე ხდებოდა. ახლა ეს არ არის ჩვენი კვლევის საგანი.

სხვა რამეს დავუკვირდეთ. ბერძნულ მითოლოგიაში სამჯერ შეიცვალა პანთეონი, ისე კი, რომ იდეოლოგია არ შეცვლილა. როდესაც ხალხი ეკონომიკის ერთი გარკვეული ფორმაციიდან მეორეზე გადადიოდა (ეს პროცესი დიდხანს მიმდინარეობდა), იცვლებოდა იდეოლოგიაც, მაგრამ პანთეონი იგივე რჩებოდა. ჩვენს შემთხვევაში კი პირიქით მოხდა.

ამდაგვარი ცვლილებები სხვათა მითოლოგიაშიც ხდებოდა. ამის მიზეზი ყოველთვის ერთი იყო ხოლმე: დაპყრობები. დამპყრობელს საკუთარი პანთეონი მოჰქონდა, იდეოლოგიას კი, თუ დაპყრობილი (დამხვდური) მაღალი კულტურის იყო, ზოგჯერ არ სპობდა, უბრალოდ, ღვთაებებს სახელებს უცვლიდა.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სამჯერ შემოვიდა და დასახლდა ხალხი (პელასგები, აქაველები და მათი მონათესავე დორიელები). სამი არქეოლოგიური კულტურაა აღმოჩენილი: პელასგური, აქაური (მიკენის კულტურა) და დორიული (ელინური კულტურა).

თუ სხვა ხალხთა მითოსებს გადავავლებთ თვალს, შევამჩნევთ, დამპყრობლის ღვთაებები დიდი ომის შემდეგ ამარცხებდნენ, ამხობდნენ დამხვდურებისას და თავად ბატონდებოდნენ. ბერძნულში განსხვავებული სურათია — კრონოსი და ზევსი უცხოები კი არა, გენეალოგიურად დაკავშირებული ღვთაებები იყვნენ. ურანოსის შვილია კრონოსი, კრონოსის შვილი კი — ზევსი.

რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ახალმოსულები ცდილობდნენ, იდეოლოგიურად გაემართლებინათ მათი იქ ცხოვრების უფლება. ამას მაინცდამაინც ვერ აზერხებდნენ — დამხვდურები უფრო მაღალი კულტურის იყვნენ. იქ ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად მემკვიდრეობის პრინციპს იყენებდნენ. მთლიანად დამარცხებული და განადგურებულ მტერთან ასეთი რევერანსი არ ჰირდებოდათ ხოლმე, ესე იგი, — მათი წინარე მოსახლეობა გარკვეულ პოლიტიკურ ძალას დიდხანს ინარჩუნებდა, მართლაც, ისტორიულად ცნობილია, რომ პელასგები კიდევ დიდხანს ცხოვრობდნენ ბერძნების გვერდით (სანამ საბოლოოდ არ გაითქვიფნენ მათში). ეს გარემოება „ილიადაშიც" კი გამოსჭვივის. ბერძენი მზედართმთავარი აგამემნონი და პელასგების მეთაური აქილევსი გამუდმებით კრიჭაში უდგანან ერთმანეთს.

ცნობილია, ბალკანეთში შეჭრილმა აქაურმა ტომება პელასგების კულტურის დიდი გავლენა განიცადეს. მათგან მრავალი ცნების და საგნის აღმნიშვნელი სიტყვაც შეიძინეს (ბერძნულში არსებული კავკასიური ლექსიკის შრე). ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო უფლის აღმნიშვნელი სიტყვა — კ ვ ი რ ი ა, კ ვ ი რ ი ო ს.

უკვე ითქვა, ამ სიტყვას ქართველები ბერძნებისგან ვერ ისესხებდნენ, არც პირიქით მოხდებოდა — ჩვენგან ისინი ვერ ისესხებდნენ. არადა, ასეთი დამთხვევა შეუძლებელია. აქ მხოლოდ ერთი ახსნა, შეიძლება იყოს; აქედან წასულებმა წაიღეს სიტყვა და იქ. ადგილზე მოხდა სესხება.

ამით „ცოცხლდება" სხვა შეხვედრებიც.

საყურადღებოა ისიც, რომ იმ ადგილს და ქალაქს, სადაც მითოსით პელასგოსი (პელასგების ეპონიმი) დასახლდა, არგოსი ერქვა. ეს ქალაქი პელასგების მნიშვნელოვანი საყრდენი იყო.

ა რ გ ო ს. ო დაბოლოვებაა. ძირია ა რ გ. ზედმეტია იმის აღნიშვა, რომ იგი მთლიანად ემთხვევა მეგრელთა თვითსახელს, უფრო სწორად, ქვეყნისას, სადაც მეგრელები სახლობენ.

2. ისტორიკოსთა აზრით ეტრუსკები იგივე პელასგები არიან, ოღონდ, აპენინის ნახევარკუნძულზე გადასულნი. ამდენად, მათ და პელასგებს ერთი წარმომავლობა აქვთ.

იტალიის ჩრდილოეთში მოსახლე ერთ-ერთ ეტრუსკულ ტომს ლიგურები ერქვა. თუ წინსართ ლ ი-ს ჩამოვაცილებთ (ეს წინსართი დღესაც აქვს სვანურს), მივიღებთ გ უ რ ძირს.

3. რომაელები თავის თავს კვირიტებსაც უწოდებდნენ. რატომ? გადმოცემის თანახმად რომი დააარსა რომულუსმა. რადგან რომში მცხოვრები ცოტა იყო, ახალდაარსებულმა ქალაქმა მეზობელი ეტრუსკული ქალაქი კ ო რ ე დაიმორჩილა. რომის შემდეგდროინდელი მოქალაქენი, პატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიციება რომის და კორეს მცხოვრებთა შთამომავლები იყვნენ. კორ-მა ლათინურში კვირის ფორმა მიიღო. იმ მოვლენის არდასავიწყებლად რომაელები კვირიტებს უწოდებდნენ თავს. ტყიბულის რაიონში (ოკრიბაში) არის სოფელი კორე-ეთი. ტყიბულთანვე კიდევ ორ ადგილს ჰქვია კორეეთი. სესხება ამ შემთხვევაში, ალბათ, გამორიცხულია.

ე. ძალზე შორს რომ არ მოგვიწიოს მგზავრობამ (ბასკეთი, ბრიტანეთის კუნძულები), ისევ კავკასიისკენ მოვბრუნდეთ. საერთოკავკასიურის დაშლასაც გავადევნოთ თვალი.

კავკასიური ენების დაშლა ნეოლითის ხანას დაემთხვა.

ღვთაებების ჩამოყალიბებამდე ხალხი ტოტემს სცემდა თაყვანს. იგი, თითქოს, ტომის შემქმნელი, წინაპარი და მფარველი იყო. ტოტემი, შეიძლებოდა, ყოფილიყო ცხოველი, მცენარე ან რაიმე მნიშვნელოვანი საგანი. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, რაზე ფუძნდებოდა იმ ტომის ეკონომიკა, რით იკვებებოდნენ, სად ცხოვრობდნენ. ტოტემის განვითარებული სახეა, მაგრამ ღვთაებამდე არმისული, ხატი — ასე გავრცელებული საქართველოში; დღემდე შემორჩენილი.

თუ საერთოქართული უზენაესი ღვთაების სახელი კვირია იყო, მისი მსგავსი რამ უნდა რქმეოდა მის წინაპარ ტოტემსაც. ოღონდ ეს ტოტემი საკუთრივ გურების კი არა საერთოკავკასიური კუთვნილება იქნებოდა.

არც ისე დიდი ხნის წინ ჩვენში ვინმეს სადაურობის გაგება რომ ეწადათ, ეკითხებოდნენ, ვისი გორისა ხარო. (ამ სიტყვისგან — გორი — მივიღეთ გვარი. ქართველურში ო ხშირად ვა-დ იცვლიდა სახეს: ცხორი-ცხვარი, თოლი-თვალი, ცხო-სხვა, არბოტი-არბვატი).

დავუკვირდეთ: რა გორის (გვარის) ხარ კი არა: ვისი გორის ხარო, თითქოს არასწორი ქართულია; მაგრამ თუ აზრს ჩავუკვირდებით, ყველაფერი რიგზე აღმოჩნდება.

გორა, მოგეხსენებათ, მომცრო მთას ჰქია. სალოცავ ბომონებს მაღლობზე აღმართავდნენ და ხატის სახელსაც დაურთავდნენ ხოლმე (ლაშარის გორი). მომცრო მთას მეგრულად გვალა ჰქვია. (ვა იგივე არქაული ო არის, მეგრული ლ კი ქართულურ რ-ს შეესაბამება. გვალა-გორა). სვანურად მომცრო მთის ერთ-ერთ სახელად არის ლ ე გ უ რ ე ვ. ლე წინსართია, ე ვ ბოლოსართი, ძირია გ უ რ.

ესე იგი, კითხვა, ვისი გორისა ხარო, გულისხმობს: რომელი სალოცავის, ხატის ხარო. თავისთავად სიტყვას — გ ო რ — საწყისი მნიშვნელობა ჰქონდა. კავკასიაში მცხოვრებ ტომს ბიზონი ვერ ეყოლებოდა ტოტემად. ბუნებრივია, მთა, გორა ჰქონოდა. რადგან სვანურში (ლეგურევ) ამ სიტყვის ყველაზე ძველი სახეა შემორჩენილი, ტოტემის სახელი გ უ რ უნდა ყოფილიყო და მას სალოცავი მთის მნიშვნელობა ჰქონოდა.

ვ. ხათები სუბარული მოდგმის ხალხი იყო. საკმარისია ერთ-ერთი მათგანის კავკასიურ სამყაროსთან ნათესაობა დამტკიცდეს, რომ მეორეც ჰაითრიოს. სუბარების სახელმწიფოები იყო ურარტუ, ელამი, ბანა, ბაიანა. საყურადღებოა, რომ ამ ტომებს ჰყავდათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაება კ უ ე რ ა. ეს სახელი ქართულ კურიას ეხმიანება.

ზ. სამხრეთით (შუამდინარეთი — დღევანდელი ერაყი) უფრო ადრე სახელმწიფო ჰქონდათ შუმერებს. ისინი თავის თავს „შავთავიანებს" უწოდებდნენ.

ყველა მკვლევარი დარწმუნებულია, რომ შუმერები იქ მისული ხალხია და მისვლისას უკვე საკმაოდ მაღალი კულტურა ჰქონდა (სხვა ხალხებთან შედარებით). კამათია მათი პირველსამშობლოს მდებარეობაზე.

ჩვენი აზრით ისინი ჩრდილოეთიდან უნდა მისულიყვნენ იქ. დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან მისულები შავთავიანებს არ დაირქმევდნენ. იქ ყველა შავთავიანი იყო და არის. თუ კაცი, ან ტომი საკუთარ თავს შავს უწოდებს, უნდა იცოდეს, რომ თეთრიც არსებობს. ესე იგი, შუმერებმა იცოდნენ, რომ ღია ფერის თავიანი ხალხიც არსებობდა. ამ ცოდნას ისინი მხოლოდ ჩრდილოეთში ეზიარებოდნენ. შუამდინარეთის ჩრდილოეთით არის კავკასია.

არ გამოვედევნები შუმერულ-ქართულ შეხვედრებს. ამ თემას კარგი მკვლევარები ჰყავს. მხოლოდ ერთს ვიტყვი.

რადგან შუმერები ტოტემიზმის ეპოქაში უნდა წასულიყვნენ კავკასიიდან, ხომ არ წაუღიათ მისი აღმნიშვნელი სიტყვა? შუმერებს ექვსი ათასი წლის წინ იმდროისთვის მოწინავე კულტურა ჰქონდათ. მათი ნაწერები უამრავი აღმოჩნდა არც ისე დიდი ხნის წინ, ამიტომ, მათ შესახებ გაცილებით მეტი ვიცით, ვინემ შემდეგ მცხოვრებ ხალხებზე.

მათი უზენაესი ღვთაება იყო ენლილი. მას ცხადად ეტყობა ტოტემის ნიშნები. მითოსის ჩამწერი ლირიკული პერსონაჟი ასე მიმართავს მას: ენლილ, დიდო მთავ, შენი თხემი ცას სწვდება. შენი ფესვი წმინდა აბზუშია გადგმული. დიდი მთა ცის და სამყაროს წიაღის — მლაშე წყლის შემაერთებელ ღერძად წარმოიდგინებოდა. შუმერები უზარმაზარ ხელოვნურ მთებს, პირამიდებს აშენებდნენ მის ბანებზე ხეებს რგავდნენ. იქმნებოდა ტყიანი მთის შთაბეჭდილება. ის პირამიდები ენლილის საუფლოდ ითვლებოდა. ეს იმ ქვეყანაში, სადაც, არათუ მთა, ბორცვიც კი არსად მოიძევებოდა, არც ტყე — ხეები არ იყო საერთოდ. (ორმდინარეთის ის მხარე ტიგროსის და ევფრატის მიერ ჩამოზიდული უნოყიერესი შლამით იყო მოსწორებული). ალბათ, არ უნდა დიდი ანალიზი იმის მიხვედრას, რომ შუმერები მთიანი და ტყიანი ქვეყნიდან იყვნენ ჩასახლებული იქ. თან ის ქვეყანა ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო; როგორც ჩანს, პირ-

ველსამშობლოდან დაძვრამდე მთა ჰქონიათ ტოტემად. საყურადღებოა ამ საკრალური მთის სახელი. დიდო მთავ — ქურ-გალ. ასე იწერებოდა და, ალბათ, იკითხებოდა კიდეც შუმერულად. გალ იყო დიდი და ქ უ რ მთა.

შეუძლებელია ასეთი დამთხვევა შემთხვევითი იყოს. მთა კავკასიაშიც და იქაც ტოტემად იყო და ორივეგან ერთიდაიგივე სახელი ერქვა. ჩემი აზრით გავლენები გამორიცხულია.

გავლენა სამგვარად შეიძლებოდა, გავრცელებულიყო: კავკასიური გარემოდან შუმერულში, შუმერულიდან — კავკასიურში ან მესამე სამყაროს მიერ ორივეში.

შუმერებმა ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულში ისე გაუსწრეს კულტურის მხრივ სხვა ხალხებს, ყოვლად წარმოუდგენელია, ასეთი რამ ვინმესგან ესესხებინათ; არც კავკასიას მიუწვდებოდა ამაზე ხელი და არც — სხვა ვინმეს.

იქნებ, პირიქით მოხდა, შუმერების მითოლოგია გავრცელდა კავკასიურ გარემოში? არც ეს ჰგავს ნამდვილს. როგორც ადრე მოგახსენეთ, გ. შეიძლებოდა, კ-დ ქცეულიყო, კ — ქ-დ, ან, გ პირდაპირ ქ-დ. პირიქით არ ხდებოდა, ქ გ-დ არ იქცეოდა. შუმერებს ჰქონდათ ქ (ქურ), კავკასიელებს კი — გ(გურ). თუ დავუშვებთ, რომ ჩვენს სამყაროში შუმერულიდან შემოვიდა ეს სიტყვა, იგი ქ უ რ-ად უნდა მოსულიყო და არა მასზე უფრო ძველი ფორმით — გ უ რ-ად. განა, შესაძლებელია, წარმოებული წინ უსწრებდეს მწარმოებელს! ქ უ რ ძირი კავკასიაში წარმოსდგა კ უ რ-ისგან, კური კი — გ უ რ-ისგან: ასეთი მიმდინარეობით — გ უ რ-კ უ რ-ქ უ რ. შუმერებს კი მისი საბოლოო ფორმა ჰქონდათ — ქ უ რ.

ამიტომ, გავლენები გამორიცხულია. იქნებ შუმერების გარკვეული ნაწილი გადმოსახლდა კავკასიაში და თან მოიტანა სიტყვა? მაშინ, იგი მოიტანდა ქ უ რ ფორმას, ასეთ შემთხვევაში კავკასიაში არ უნდა ყოფილიყო ქ უ რ-ის წინა ფორმები.

ასე, რომ ერთადერთი შესაძლებლობა გვრჩება: კავკასიელები წავიდნენ და თან წაიღეს სიტყვა.

ალბათ, შენიშნეთ, ჩვენ მხოლოდ სიტყვის ერთ ძირს ვდიეთ კავკასიელების და გურების შესაძლო განფენის არეალზე, ისიც ნაწილობრივ; მხოლოდ თითო მაგალითი მოვიყვანეთ, არადა, ამ ძირის სიტყვებით სავსეა კავკასიის, მცირეაზიის, ბალკანეთის, აპენინების და პირინეის ნახევარკუნძულების ონომასტიკონი. რაც მთავარია, ამ ძირის საწყისი მხოლოდ კავკასიაშია, დანარჩენ მიწა-წყალზე იგი მზამზარეული ჩანს, თუმცა, სახეცვლილების სხვადასხვა ეტაპზე. ეს ქრონოლოგიის საშუალებას იძლევა.

კვლევის ასეთი მეთოდი არქეოლოგიურია. თუ დიდ არეზე განფენილ ერთგვაროვან კულტურას გარკვეულ ადგილას საწყისები აქვს, ხოლო, სხვაგან მზა სახით გვხვდება, ეჭვმიუტანლად მტკიცდება: იგი ჩაისახა იქ, სადაც მისი ფესვი და განვითარება ჩანს, ხოლო, იქ, სადაც მზა სახით დევს, მოხუცია, [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჯემალ დავლიანიძე

# თოვლის ქალაქი

### შოთა ჩანტლაძის ლიტერატურული პორტრეტისათვის

ბეღლების ფრთებში აღძრული მსუბუქი ქარის სიმღერით...

ბეღლის ფრთებზე მოფრქვეული ბუსუსთა სიმსუბუქით...

შედედებული წყლის — ყინულის ლოლუების თეთრი წკარუნით...

წყლის სიმრგვალეზე აგორებული გორგალით...

წყალზე ამოსული ხეების სიმძიმით,

დაიძრა თოვლი...

ფიფქების ერთადერთი ნაღდი სიმართლით...

გაჩნდა თოვლი — ფიფქების ნაღდი გარდაცვალებით...

მოვიდა სიცივე... და, დახატა თავისთავი ყინულების უნაზესი, ცივი ყვავილით..

წავიდა მიწა —

ალუბლის ყვავილებისფერი სულით —

დაიძრა თოვლი...

„ფიფქები იყო ძალიან ფართო, ფიფქები იყო ძალიან ხშირი. ფიფქებსა და ფიფქებს შორის აღარ იყო ადგილი ფიფქებისათვის..."

მოვიდა თოვლი... მსუბუქი, წმინდა...

მოვიდა თოვლი, რომ ყველაფრისათვის მიეცა ერთი სილამაზე — სიქათქათე.

დახდო თოვლი და ყველაფერს მიეცა ერთი სილამაზე...

ამიტომ:

„თანდათან შეიცვალა ქალაქიც; ქალაქი აღარ იყო ჩვეულებრივი; ქალაქის ქუჩებმა მიიწიეს ერთმანეთთან" და ქალაქი, თეთრმა თოვლმა ჰქმნა ერთნაირი...

„ფიფქებს შორის აღარ იყო ადგილი ფიფქებისათვის" და, ყველაფერი იყო სავსე, თეთრი, სუფთა, თოვლივით წმინდა.

ქალაქში, დიდ სკვერში, დიდ ფართობზე, ერთადერთი თოვლის ბაბუა იდგა, რომლის ნახშირის ფართო თვალებში გაზაფხულის „ყვავილები დარბიან ველად, დასდევენ ბავშვებს, გარბიან ბავშვები ყვავილს, პატარა ბავშვებს ყვავილები ეპერენ ხელად, მერე ყვავილებს წყვეტენ ბავშვები..."

შენს შემდგომ დროინდელ სიჩუმეზე უფრო სიჩუმის დუმილის კვნესა:

მინდვრის პაწაწა ყვავილები, ახლაც დასდევენ პატარა ბიჭებს... და, ყვავილები ველარ სწყვეტენ შენს პატარებს, რადგან ისინი დაიზარდნენ და გაზაფხულის მინდვრის ყვავილები ქოთნებში დარგეს...

იქ, ახლაც დგას „უცნობი ქალ-ვაჟი ტროლეიბუსის გაჩერებასთან"... აი, „ქალმა აღუთქვა მოსვლა პაემანზე..." და მაღალ ქადრებს, მოსწყდა თოვლის ფანტელი... ფანტელმა აიყოლია სხვა ფანტელები, აგორდა, აგუნდავდა, გაიზარდა და იმ ნაღველად იქცა, თოვლის ცრემლვას რომ შეგიძლია შეადარო მხოლოდ...

შენ, ცრემლიანმა შეუხვიე ბაღში...

ცრემლები კი!

ცარიელი ფურცელი, — სიყვითლეზე დაფერფლილი თეთრი თოვლის სიცარიელე, შენში შემოვა — ორთქლის სახით გარდაიცვლება ცოდვა ცდუნების და ჩამწკრივდება კომშისფერ, დიდ ხნულებში გალღვიებული თესლი სიტყვის თქმის, რომელნიც მოსული თოვლის ბედაურებზე ამხედრებულნი, მწვანე ძარღვებში გამორბიან თავპირის მტვრევით...

შენ:

„მახსოვს სიფითრე და ჩურჩული თქვენი ბაგისა, მეუბნებოდნენ: — ჩამოგყვებით სამარეშიც, სად სიყვარული შეიძლება უსპეტაკესად — სამარადისოდ... ყველამ დამტოვა, დავშთენილვარ თქვენი ამარა, და ახლა ვხედავ — საიქიოს ვლიან ლანდები; დიდი ხანია მე მიმელის ჩემი სამარე; წამობრძანდებით?"

ტანჯვა მაღალი სიამაყის...

დიდი ღრმა სათნოების ღიმილი:

„მე ახლა ვწერ ლექსებს და ცოცხალი ვარ, ოდესმე მეც მოვკვდები, და თუ ჩემზე დაწერენ ლექსებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე სხვისთვის მიწერია ლექსები".

მოსული თოვლის ცრემლები კი:

გარდაცვლილი სიფაქიზით გაყინულ თოვლზე

აცეკვდებიან აზრთა ნახევები... ასოების ჭიანჭველები შეჩერდებიან, დალაგდებიან გამოფიტულ უდაბნოებად... შენი სითბოთი გაჟღენთილი თეთრი ქაღალდი თბება და საკვირველი შეგნება გუინავს — შენ შენში არ ხარ.. შენ, შენს წინ ძევხარ (თბილი ქაღალდის უსასრულობით) და მღერიხარ გარდაცვალების ნათელ სიმღერებს:

„...აი, კვლავ მოვიდა გაზაფხული და ჩემში იგი აღარ იწვევს სიახლის გრძნობას, და მე ვგრძნობ, თუ ვით იბადება ჩემში არყოფნის სურვილი“.

შენი ხმა (გარდაცვალების ნათელ სიმღერებს შორის ჩამკვდარი):

მდინარისპირი, წყნარი წყალი, შერჩეული ქვა, გაქნეული ხელი, წყალზე ხრიალი ერთად შეიკრა და გავიგონე სიპზე მცხოვრები თოვლის ფიფქთა თეთრი გოდება... ნეტავ ვის გასროლილ სიპ ქვაზე ვზივარ, საით მივქრივარ?

და მაინც, იმეორებ, ჯიბრით მარცვლი ფიფქების ართვას:

„სადღაც ფერი გადიარს, სადღაც ღამე დაობდა, ჩემი თეთრი გადია რა უდროოდ დაობლდა, ჩემი თეთრი გადია მოდის სასაფლაოდან“.

შენებური:

ბავშვობიდან მუდამ თან დამდევს ერთი სიზმარი, ერთ სიზმარში მუდამ მოჩანს ერთი სოფელი, სადაც არასდროს არ ვყოფილვარ და მიცხოვრია... სოფლად, ჩვეულებრივად (ამ სიტყვაზე უფრო უბრალოდ) ცხოვრობენ კაცნი, ძაღლები, ინდაურები, ძროხები და ყველაფერი, რაც გინახიათ... ჩემს სიზმარში, მოკლედ რომ ვთქვათ — არის ცხოვრება და... გახაყინად გაცრეცილი წყლის თხელი პიშით მეშინია: მე ხომ ვხედავ პატარა სიზმარს, სადაც ცხოვრობენ... და ნეტავი მე, რომელი გოლიათის სიზმარში ვზივარ?

არ მჯეროდა შენი ნათქვამი:

„როგორც შემოდგომის დაღლილი ფოთოლი, როგორც დაღლილა ხკამი ფოთლოვანი, როგორც დაღლილა ლოდინი როგორც დაღლილია კეთრით კეთროვანი, — ასე დავღლილვარ...“

არ მჯეროდა შენი ნათქვამი, რადგან შენგანვე მქონდა გაგონილი:

„ნაწვიმარია... ვარ მსუბუქი და სხვანაირი, ჰაერი ისე სუფთაა და ისეა ლაღი, რომ ახლა, ალბათ, აწ ჰაერით სუნთქავს ჰაერი“...

შენ კი, შენებური ღიმილით ილიმები და ჯიბრიანად მიმეორებ:

— მოთოვე!

„როგორც დაღლილია ოთხმოცი წელი და შადრევნის წვეთები აუზში, როგორც დაღლილია აუზთან გველი, საარის ზმაური სამყაროს ზმაურში, ისევე დავღლილვარ“...

არ მჯეროდა, რადგან:

წერტილმა დაასვენა კალამი, წერტილმა დაუშვა ალამი, წერტილმა დაამთავრა წერტილი მორჩა. წერტილი (კიდევ) მოკვდა თავისთავში, წერტილმა იმოქმედა: მოქმედება შეაჩერა, თავის თავში ჩაიხრჩო და დაიწყო დამხრჩვალთა ზეიმი. წერტილის გულმა იდუდა — იქით მიაწყდა, აქეთ მოაწყდა, მოიგუდა, დაიძაგრა და... წერტილი, დაბლა — წერტილისავე გულში ჩაეშვა... წერტილმა თავის თავი გაზვრიტა და...

შენ მეტყოდი — „გაქრა წერტილი“.

დაგიჯერო?

ვერ დავიჯერებ, იმიტომ, რომ შენგანვე მახსოვს:

„როგორც ივსება წყარო წყაროს თვალით, — ვივსები ასევე!..“

მოვიდა თოვლი!..

გაისმა მხოლოდ თეთრი ხმაური სიმსუბუქისა...

ფიფქებსაც აქვთ ძარღვები, ფიფქებიც ეჯახებიან ერთმანეთს...

ისმის უმსუბუქესი, თეთრი წკარუნი...

ბრძოლაა შიგნით.. ბრძოლაა გარეთ, გვერდით, ზემოთ და ქვემოთ —

(კითხვა: — ვითომ?)

შენ არა სცხრები:

„სხეულის შეკავებას ცდილობენ ძარღვები, თითქოს ეშინიათ სხეულის დარღვევის, ხელები ებრძვიან ერთმანეთს ხმაურით...“

ამ დროს, მაგონდება ადამიანის ანატომია...

(შენი ლექსიდან — „სხეულის აგონია“)

ჩონჩხი უხორცოდ...

მხოლოდ, მწვანედ ლურჯი (ძარღვთა) აბლაბუდის ანატომია და მაშინებს, რადგან:

„ხელები ებრძვიან ერთმანეთს ხმაურით. მარჯვენა — მარცხენას, მარცხენა მარჯვენას, მარჯვენა — მარჯვენას, მარცხენა — მარცხენას...“

ლექსი მაშინებს (სიმფონიით მედიცინურით)...

შუაღამისას, მეღვიძება და საკუთარ ხელებს ვუმზერ: ერთიც ვნახოთ, მოხდეს განთიშვა (მედიცინური) და საკუთარი, დიდი პატრონი (ჩემმა ხელებმა) ნაირგვარი ტანჯვათა გამო (მე რომ ვაყენებ) უცბად მიახრჩონ...

და, თითქოს უადგილოდ, შორიდან ისმის ქაღალდის ფიფქებით შეკრული ფურცლის ჩურჩული, იქ რომ დასტოვე:

თქვენი...

თქვენ არ იცით, რა მძიმეა ტვირთი ჩემი — სიტყვათა ჯაჭვი, რომელსაც ანთხევთ თქვენს სიმძიმიდან, — თავისუფლდებით და თეთრ სიმჩატეს უკითხავად მე თავზე მახვევთ...

თქვენი...

თქენ არ იცით, რა მძიმეა ტვირთი ჩემი...

როცა აქა ხარ, შენთან „...ოთახში, თეთრი, იდუმალი, არის ხალისი და მაგიდაზე განფენილა ვრცელი ქაღალდი... ტრამვაის ზარის ნერვიული ხმა აღარ ისმის და თეთრ ქაღალდზე დაიღვრება ნელი ლაღადი“.

მას შემდეგ, ექვსჯერ მოვიდა ქალაქში თოვლი.

(ის თოვლი არა, შენ რომ სთქვი ერთხელ: „წავიდა თოვლი“).

დეკემბრის ბოლოს, ჩვენი ქალაქის ძველ უბნებში ისევ დაიკლა საკლავი და...

გახსოვს ექსპრომტი ახალი წლის? სიცილით რომ ვთქვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტის სახლში ლორი დაიკლა... სხვისი ხელით პოეტმა მოკლა სიცოცხლე... როგორც ყოველთვის — წყალი ადუღდა, ლორი გაიფუფქა, თავი მოიჭრა, გულ-ღვიძლი (ანუ ჯიგარი) სიკვდილით აზროტინდა... (მოკლედ) დაკლული ლორი აიქნა, სუკები, ელენთა (იზოლირებულ სახლში) შეიწვა... ღვიძლი, ფილტვები (ჯიგრის ნაწილები) მოითუთქა და ხახვი დაეჭრა.. პოეტის სახლში ლორი დაიკლა.. სხვისი ხელით, პოეტმა მოკლა სიცოცხლე... და როცა სუკები შეიწვა, ხახვი ჩაითუთქა — ყველამ მოისვენა... პოეტმა, სისხლიანი ხელები ჩაიბანა, სათვალეები მოირგო (ან უამისოდ) უკანასკნელი ცნობები (გაზეთების მეოხებით) შეიტყო და მაგიდასთან მოლოდინში შეყოვნდა... ფართო და ნათელ სახლში ყველაფერი დასუფთავდა, იატაკი მოირეცხა, — გამშრალდა და რაღაცა (სანუკვარის) მოლოდინში გაინაბა... ფართო და ნათელ სახლში ყველაფერი დალაგდა, დაწყნარდა: მომცრო მაგიდასთან, ლორის თავთან იდო — კარდიამინის ამპულა, ნიტროგლიცერინი და ვალიდოლი... გაზის ქურასთან, (აწ უკვე) დამარილებული ხორცით სავსე, დიდ ტაშტთან, მამაკაცის (კოხტა) ფეხსაცმელები ეწყო. პოეტი, საკუთარ სამუშაო ოთახში ჩაკეტილიყო... მაგიდაზე, ღამის ლამპა ენთო და პოეტი (რომელმაც ოჯახზე ზრუნვით ცოდვაში ჩადგა ფეხი) შეებრძოლა ფრთათეთრა მუზას...

მას შემდეგ, ჩვენს ქალაქში, ექვსჯერ მოვიდა თოვლი.

(ის თოვლი არა...).

ჩვენი ქალაქი, ისევ-ისეთია, — როგორიც ადრე „...იყო ჩვეულებრივი: ქუჩებით, ადამიანებით, სახლებით, რომლებიც, ერთმანეთს დაცილებულნი იყვნენ საჭირო დისტანციით“.

წლეულსაც — „ზამთრის დღე იდგა ქალაქში. დღე იყო შეუმჩნეველი, როგორც ტრამვაის გაჩერებასთან მდგარი ხის შემდეგ მდგარი ხე. არ იყო თოვლი. არ იყო სიცივე. არ იყო სიბთოც. ქალაქი იყო ისე ჩვეულებრივი, რომ ვერ იფიქრებდი ქალაქზე ვერასგზით...“

ახალი წელი მოვიდა ძველებურად და მე, სხვებთან ერთად, როგორც უწინ — ოთხი დღე ვსვი ჭაჭის არაყი და მხოლოდ მეხუთე დღეს გავიფიქრე: ამ ბოლო დროს, ვამჩნევ — იმაზე უფრო კარგად ვაზროვნებ, რასაც ჰქვია იმაზე ადვილი რომ იაზროვნო... მეხუთე დღეს მივატოვე არყის სმა და უმალ მივხვდი — მე ვაზროვნებდი იმ აზროვნებით, რომლითაც პაპაჩემი აგინებდა, ბაღში საქურდლად გადამძვრალ ბიჭებს...

რედაქციებიც ისევ ისეა...

ძველებურად დავდივართ:

„სადაც კედლების მაერია, სადაც ჭერი იატაკზე მაღლა...“

უნივერსიტეტთან, ჭადრები დგანან... ოღონდ, მგონია, ერთი თუ ორი მათგანი რაღაცეების გამო, ძირფესვიანად მოთხარეს... მაგრამ მაინც, იმ ჭადრების ძირში ძველებური, ლამაზი შემოდგომა მოდის... და, იმ ჭადრებთან ისევ დადის პოეტი, რომელიც იტყვის:

არავინ იცის, რომ ხმელ ფოთოლს, რომელთაც პოეტებმა ათასფერი შემოდგომის ნაირფერი სიმღერა უთხრეს, — არ აწუხებს დარდი, იგი რომ მოსწყდა და აღარ არის...

შენ რომ სთქვი:

„უნივერსიტეტის ბაღის ბოლოდან გადავყურებ ვარაზის ხევს. ხალხი ხევით — მოკლე გზით — მიიჩქარის სტადიონისკენ. ხალხი მხიარული. ხალხი ხალისიანი. მე ნაღვლიანი გადავყურებ ხალხს. მათ შორის ალბათ არ აღმოჩნდება არავინ, რომელიც შეიცვლის განწყობას, დადგება ჩემთან და დაუწყებს ყურებას სტადიონისკენ მიმავალ ხალხს“.

ეს, ახლაც ასეა. ისევ ისეთები არიან...

ერთხელ — უნივერსიტეტის ბაღში (რაღაც შეხვედრაზე):

ტრიბუნაზე იდგა პოეტი, იგი ამბობდა — დედამიწას აქვს ძარღვები — ადამიანის ნახელავი გზები, თემშარები, ბილიკები, მარშრუტები მაღლა თუ დაბლა... გააჩნია რკინის რელსებიც... უნივერსიტეტის ბაღი მომაგონდა და შენი ღიმილით გამეღიმა — პოეტი პოეტია, მას შეუძლია სთქვას ყველაფერი; — თვით ისიც კი, რომ: სახარატო ჩარხიდან იჭვრიტება მინდვრის ყვავილი... მაგრამ... (პოეტმა) რატომ არ იცის, რომ მარადიულ მოსვლა-წასვლის მაცნეები — ყვავილები, ერთხელაც, ადრე თუ გვიან — შურს იძიებენ და მას (პოეტს) მინდვრად (მუზათა დასაჭერად) ფეხშველა გასულს, შეერჭობა ფეხში ეკალი (ყვავილებს შურისძიება)...

ამჟამად:

„შუა ზამთარია ახლა თბილისში, თბილისში ახლა ბუხრის ზამთარია, თბილისში ახლა თოვლი უნდა იყოს კანონით, მაგრამ სადაა თოვლი...“

ახლა, ის დროა, ძუძუთა ბავშვები რომ იღვიძებენ...

ისევ შენებური (ბავშვებზე გამახსენდა):

მე გესროლე, მოგკალ, რატომ არ კვდები! — ახლაც მესმის შენი ძახილი.. მაგიდის ფეხთან ჩასაფრებული, შენ მე მესროდი სათამაშო ქვემეხიდან არაფრის ჭურვებს... მე კი... ველოდი ვახშამს და ვკითხულობდი საღამოს გაზეთს, სადაც იყო აფრიკელთა მომცრო სურათი და წარწერა: თავისუფლებას ვაშა!.. ახლა მარტოდ ვარ... იმ მაგიდასთან, სადაც შენ იყავ ჩასაფრებული, თბილი ცრემლების გორგალი დადის... შენ აქ არა ხარ...

ახლა, ზამთრის შუაღამეა შენს „მაგიდის წიგნში“ —

ქალაქში...

ახლა, ის დროა, როცა ძუძუთა ბავშვები იღვიძებენ...

შენ აქ არა ხარ!..

1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ურუშაძე

# ტრაპიზონის კომნენთა შტო და საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო კარი

თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე საქართველოს არა ერთ სახელმწიფოსთან ჰქონია ახლო პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობა. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია ურთიერთობა ტრაპიზონის იმპერიასთან, შედარებით მომცრო სახელმწიფოსთან, რომელიც მე-13 საუკუნის დამდეგს (1204 წელს) შეიქმნა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მის დაარსებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართველ ბაგრატიონთა სამეფო კარმა, კერძოდ, თამარ მეფემ, რომლის კარზე იზრდებოდნენ მისი ახლო ნათესავები, ტრაპიზონის სახელმწიფოს ფუძემდებლები — ძმები ალექსი და დავით კომნენოსები.

ტრაპიზონის სახელმწიფო უშუალოდ ესაზღვრებოდა საქართველოს — იმ დროს ძლევამოსილ ერთიან სამეფოს, რაც ბუნებრივია, განაპირობებდა ორივე მხარის მჭიდრო ურთიერთკავშირს. ამ პატარა სახელმწიფოს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქართველოსათვის, რამეთუ იგი წარმოადგენდა გამყოფ რეგიონს ჩვენს ქვეყანასა და ბიზანტიის იმპერიას შორის, რომელთანაც ბაგრატიონებს არცთუ ტკბილი ურთიერთობა აკავშირებდათ.

ტრაპიზონის იმპერიის (სხვაგვარად მას საკეისროსაც უწოდებდნენ) მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ლაზები (ჭანები) და სხვა ქართველური ტომები შეადგენდნენ. დღესაც ამ სახელმწიფოს ყოფილი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ლაზიკის (ლაზისტანის) სახელწოდებითაა ცნობილი.

როგორც ბერძნული, ისე ქართული წყაროები მიუთითებს ტრაპიზონის განმგებელ კომნენთა და ბაგრატიონთა არაერთგზის ნათესაურ კავშირზე.

ცნობილია, რომ ბიზანტიის სამეფო კარს ტრაპიზონის იმპერიის შექმნამდე კარგა ხნით ადრე დაუმოყვრდა სრულიად საქართველოს სახელოვანი მეფე დავით მე-4 აღმაშენებელი, რომელმაც თავისი ასული კატაი მიათხოვა ბიზანტიის კომნენოსთა დინასტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს.

ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა კატაის გათხოვების თარიღის თაობაზე. აკად. ივ. ჯავახიშვილი ქორწინების უფრო სარწმუნო თარიღად მიიჩნევს 1116 წელს, თუმცა ამ ბოლო ხანებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს უნდა მომხდარიყო 1118 წელს[1]. ამ მოსაზრების ერთ-ერთ საბუთად მოჰყავთ ის, რომ კონსტანტინეპოლში ჩასული კატაის ამალა ალექსი I კომნენოსის (რომელიც სწორედ 1118 წელს აღესრულა) ძეთა — იოანესა (შემდგომში იმპერატორი) და ისაკის დაჯგუფების ერთ-ერთი დასაყრდენი ძალა უნდა ყოფილიყო.

ჩვენ სავსებით მივიჩნევთ აღნიშნულ მოსაზრებას, რამეთუ:

1. ალექსი I კომნენოსის გარდაცვალება და ტახტისათვის გაფურთქებული ბრძოლა ხელისშემშლელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო 1118 წელს კატაის ბიზანტიაში გათხოვებისათვის;

2. ბიზანტიასა და საქართველოს შორის არ იყო შეხმატკბილებული და კეთილმეზობლური ურთიერთობა (სწორედ ამ ურთიერთობის მოგვარებას ისახავდა მიზნად დავით აღმაშენებლის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი);

3. საფიქრებელია, რომ კატაის ახლდა არა ლაშქარი, არამედ ამალა, რომელიც ბიზანტიაში არსებულ ძალთა თანაფარდობაზე რაიმე რეალურ ზეგავლენას ვერ მოახდენდა;

4. ლაშქარიც რომ ხლებოდა ქართველთა მეფის ასულს (რაც ნაკლებ სარწმუნოა), თუ გავითვალისწინებთ საქართველო-ბიზანტიის მთელ წინარე ურთიერთობას, ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ბიზანტიის საიმპერატორო ტახტი-

---

[1] ვ. კოპალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან — მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968; შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, თბ., 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის ბრძოლაში ჩაერთოთ და გამოეყენებინათ იგი (ეს, ალბათ, უფრო რეალურად გამოიყურება იმ შემთხვევაში, თუ კატაი 1116 წელს მისთხოვდებოდა კომნენოსთა საგვარეულოს წევრს და შესაბამისი ძალები საქართველოს დაიხმარდნენ, როგორც დამოყვრებულ ქვეყანას).

აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზეც, თუ სახელდობრ ვისზე გაათხოვეს კატაი. ბიზანტიური წყაროების თანახმად, კატაი ითხოვა ანაკომნენოსის ვაჟმა. ცნობილი რუსი ბიზანტინოლოგის აკად. თ. უსპენსკისათვის კი გაუგებარია, თუ რა ნათესაური კავშირი არსებობდა კომნენოსებსა და ბაგრატიონებს შორის. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ამ მეტად საინტერესო და საგულისხმო საკითხის ირგვლივ არაფერია ნათქვამი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“-ს რვატომეულში. მასში მხოლოდ გაკვრითაა ნახსენები ვ. კოპალიანის ნაშრომი. არაფერის მთქმელია ამ მხრივ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიაც“. ასე მაგალითად, პირველ ტომში სტატიაში „ანდრონიკე I კომნენოსი“ არაფერია ნათქვამი ამ უკანასკნელის ბაგრატიონებთან უახლოესი ნათესაობის შესახებ. ბიზანტიის კომნენთა დინასტიის ფუძემდებლის ალექსი I კომნენოსის შესახებ სტატიაში ვერაფერს ვიგებთ მის ერთ-ერთ მემკვიდრესთან დავით აღმაშენებლის დამოყვრების შესახებ. ასევე სტატიაში „ალექსი I კომნენოსი, კომნეანოსი, ტრაპიზონის იმპერატორი...“ არაფერია ამაზე ნათქვამი. ენციკლოპედიის მეორე ტომში, მოზრდილ სტატიაში „ბიზანტია, ბიზანტიის იმპერია...“ ისტორიის მიმოხილვისას აღნიშნულია: „...საქართველოს მთავრობამ ბიზანტიას შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ჩამოართვა, ცალკე იმპერია შექმნა და აქ გაამეფა ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი, დედით ბაგრატიონთა ნათესავი“ (რატომ დედით?!).

აღნიშნულ საკითხს სპეციალური შრომა მიუძღვნა ვ. კოპალიანმა. მან გამოთქვა მოსაზრება კატაის ალექსი I კომნენოსის უმცროს ვაჟზე — სევასტოკრატორ და პორფიროგენეტ ისააკზე დაქორწინების შესახებ.

ვიზიარებთ რა ვ. კოპალიანის შეხედულებას, გვსურს ორიოდე სიტყვა ვთქვათ აღნიშნულ საკითხზე.

ტრაპიზონის ცნობილი ქრონიკის ავტორი მიქაელ პანარეტოსი აღნიშნავს:

„მოვიდა დიდი კომნენოსი ბატონი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა იბერიიდან მისი მამიდის თამარის გულმოდგინებითა და ღვაწლითა...“ ალექსი, როგორც ცნობილია, იყო სევასტოკრატორ ისააკის შვილიშვილის შვილი. ამ ცნობას მოეპოვება მყარი საფუძველი:

1. კატაის მეუღლე ისააკი და მისი ვაჟიშვილი ანდრონიკე (რომელმაც შემდგომში, უკვე ხანდაზმულმა იმპერატორობას მიაღწია ბიზანტიაში), რომელნიც სხვადასხვა დროს დევნილნი იყვნენ ბიზანტიიდან, თავშესაფარს ბაგრატიონთა სამეფო კარზე ეძიებდნენ. ასე, მაგალითად, დაახლოებით 1170 წელს ანდრონიკეს დიდი პატივით იღებს თავისთან თამარ მეფის მამა გიორგი მესამე.

2. ანდრონიკეს ვაჟი, სევასტოკრატორი მანუილი, ხედავს რა მოსალოდნელ საფრთხეს 1185 წელს, ბიზანტიის სამეფო ტახტზე მომხდარ გადატრიალებამდე (რომელსაც ანდრონიკესთან ერთად თვითონაც შეეწირა) თავის მცირეწლოვან შვილებს — ალექსისა და დავით კომნენოსებს აგზავნის თამარის სამეფო კარზე, სადაც ისინი იმყოფებოდნენ 1204 წლამდე — ტრაპიზონის საკეისროს დაარსებამდე.

ასეთი ურთიერთობა, ცხადია., განპირობებული უნდა ყოფილიყო ორ სამეფო გვარს შორის არსებული ახლო ნათესაური კავშირით. ამ მოსაზრებას პირდაპირ ადასტურებს ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროთა მონაცემები. მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „...მასვე ჟამსა წარვიდა მეფე (გიორგი მესამე — ლ. უ.) და წარიყვანა ანდრონიკე და მივიდნენ კარსა დარუბანდისასა, მოაოჴრა მუსკური და შაბრანი, აღიღო ქალაქი შაბურანი (რომლისა კარსა მხნედ იხილა მეფემან ანდრონიკე) და მისცა მამისა დისწულსა თჳისსა ქუეყანა ესე...

ამდენად, როგორც ირკვევა, ალექსი და დავით კომნენოსები — ტრაპიზონის იმპერიის ფუძემდებელნი, დავით აღმაშენებლის პირდაპირი შთამომავალნი იყვნენ (მეოთხე თაობა). 1204 წლისათვის, თამარის სამეფო კარზე აღზრდილნი, ისინი ფაქტიურად გაქართველებულნი იყვნენ (თითქმის 20 წელიწადი მცირე დრო როდია სამისოდ!). ეს კი, ბუნებრივია, უფლებასა და პრივილეგიას ანიჭებდა ქართველთა სამეფოს აქტიურად ჩარეულიყო და გადამწყვეტი როლი ეთამაშა ტრაპიზონის საკეისროს დაარსების საქმეში.

საქართველოს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ქართული ორიენტაციის სახელმწიფოს არსებობას, სახელმწიფოსი, რომელიც ურთიერთისაგან გამიჯნავდა ბაგრატიონთა სამეფოსა და ბიზანტიის იმპერიას.

1202 წელს თამარ მეფემ ბასიანის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სულთან რუქნ-ად-დინ სულეიმან შაჰზე, რითაც მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი გამგებლის სახელი დაიმკვიდრა. ამ დროისათვის ბიზანტია საგრძნობლად გახლდათ დასუსტებული შიდაფეოდალური შუღლითა და ომით, გარდა ამისა, 1204 წელს, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობისას, ჯვაროსნებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი და ორად გათიშეს იმპერია. ამდენად, საქართველოს ხელ-ფეხი შეეხსნა — თამარ მეფეს მიეცა რეალური შესაძლებლობა, რათა გაბატონებულიყო შავი ზღვის სამხრეთ-აღ-

მოსავლეთ სანაპიროზე და აქ დაეარსებინა ქართული ორიენტაციის სახელმწიფო.

მოიტანეს რა საბაბად ბიზანტიელთა მიერ თამარისაგან დასაჩუქრებული ბერების გაძარცვა (რასაც მართლა ჰქონდა ადგილი), თამარმა „წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთა იქითნი და წარუღეს ლაზიკა, ტრაპიზონი, ლიმანი, სამისონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა, ამასტია, ერაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადიონიისა და პონტისანი, და მისცა ნათესავსა თვისსა ალექსის კომნიანოსსა ანდრონიკეს შვილსა" — ვკითხულობთ მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში". იმავე 1204 წელს ალექსიმ და მისმა ძმამ დავითმა ქართველთა ლაშქრით დაიკავეს ტრაპიზონი და თამარის მიერ მიმტკიცებული ტერიტორიები.

ასე იწყებს არსებობას ახალი პატარა სახელმწიფო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე — ტრაპიზონის იმპერია (საკეისრო).

ხანამ ტრაპიზონის კომნენოსთა და ბაგრატიონთა შემდგომ ნათესაურ კავშირებს შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვით კვლავ შევეხებით დავით აღმაშენებლის ქალიშვილის ბიზანტიაში გათხოვების თარიღს, კერძოდ, იმ რამდენიმე გარემოებას, რომლებიც ზემოთქმულთან ერთად ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის ვარაუდის სისწორეს. ალექსი პირველ კომნენოსის გარდაცვალების დროისათვის (1118 წ.) ქართველთა გამგებლის ასულის ბიზანტიაში გათხოვება ვერ მოხდებოდა შემდეგ გარემოებათა გამო:

ალექსი კომნენოსი აშკარად ავლენდა თავის სიმპატიებს ქართველებისადმი, რაც მის საწინააღმდეგოდ განაწყობდა ბიზანტიელ დიდებულთა უდიდეს ნაწილს. ჯერ ერთი, ალექსი გახლდათ ბიზანტიის დედოფლის, საქართველოს მეფის ბაგრატ მეოთხის ასულის — მარიამის შვილობილი. ხწორედ მარიამის მხარდაჭერით 1081 წელს ალექსიმ ხელთ იგდო ბიზანტიის სამეფო ტახტი. გარდა ამისა, ალექსი დიდად წყალობდა ქართველ დიდებულებს. სწორედ მისი ზეობის წლებში ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის, მოგვიანებით კი დასავლეთის დიდი დომესტიკოსი, იმპერიის სევასტოსი იყო ტაოელი დიდებული გრიგოლ ბაკურიანის ძე. ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმპერიაში გრიგოლის ძმა, სევასტოსი აბაზ ბაკურიანის ძე. ყოველივე ამით გაბოროტებული ბიზანტიელი დიდებულები, ალექსის მოწინააღმდეგენი, რომელთაც მტრულად ეჭირათ თვალი საქართველოსაკენ, არ დაუშვებდნენ 1118 წელს, ტახტისათვის ბრძოლაში ჩაერთოთ ქართველთა ლაშქარი, მით უმეტეს, ხელი შეეწყოთ ბაგრატიონებთან კომნენოსთა დამოყვრებისათვის.

როგორც აღინიშნა, საკეისროს დაარსების შემდეგ არაერთგზის ჰქონდა ადგილი ორი სამეფო კარის წარმომადგენელთა შორის სისხლით დანათესავებას.

XIII საუკუნის 80-იან წლებში მონღოლთა ბატონობის გამო ძალზე შესუსტდა საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთობანი, რომელსაც ყოველმხრივ უშლიდა ხელს ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე მეორე პალეოლოგის (1282-1328) ანტიქართული პოლიტიკა. ბიზანტიის ამგვარი მოქმედების საპასუხოდ დასავლეთ საქართველოს გამგებელმა დავით მეექვსე ნარინმა 1280 წელს დაიწყო ტრაპიზონზე ლაშქრობისათვის მზადება. 1282 წელს მან ალყაში მოაქცია იმპერიის დედაქალაქი. „აპრილში მოვიდა იბერიის მეფე დავითი, შემოერტყა ტრაპიზონს, მაგრამ ხელცარიელი გაბრუნდა უკან..." — მოგვითხრობს პანარეტოსი. ივ. ჯავახიშვილი დასძენს, რომ ამ პერიოდში საქართველოს გააქტიურებასა და ტრაპიზონში ძველი უფლებების აღდგენის ცდას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ 1281 წელს მიხეილ პალეოლოგის გარდაცვალების შემდეგ ბიზანტიის ტახტზე ავიდა ანდრონიკე მეორე, „...რომელიც მეტად სუსტი მმართველი და უბედო მეომარი გამოდგა".

ბაგრატიონთა სამეფო კარმა დავითის ლაშქრობამდეც სცადა კომნენოსებთან დაახლოვება. 1273 (1274) წელს, დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ, მისი ძე დემეტრე მეორე თავდადებულად წოდებული ცოლად ირთავს ტრაპიზონის იმპერატორის გიორგის ასულს. მისგან დემეტრეს შეეძინა დავითი, ვახტანგი, მანუელი, ლაშა და ერთი ქალიშვილი — რუსუდანი. ვაჟიშვილთაგან ორმა — დავითმა (დავით მერვე, 1293-1311) და ვახტანგმა (ვახტანგ მესამე, 1298, 1302-1308) მეფობას მიაღწიეს.

1297 წელს ტრაპიზონის ტახტზე ავიდა ალექსი მეორე კომნენოსი (1297-1330). მისი ზეობის ხანაში ტრაპიზონი კვლავ მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს, კერძოდ, მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს. ტახტზე ასვლისას ალექსი დაქორწინდა ბაგრატიონთა უახლოესი ნათესავის, სამცხის ერისთავთ-ერისთავის ბექა ჯაყელ-ციხისჯვარელის ასულზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ბექა, რომელიც ქართველთა სამეფოს მანდატურთუხუცესის სახელოს ფლობდა, გამოდიოდა ალექსის მოკავშირედ როგორც ბიზანტიელთა, ისე თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

მანამდე კი, ხანამ ხსენებული ქორწინება შედგებოდა, ანდრონიკე პალეოლოგმა აქტიურად სცადა ტრაპიზონზე ბიზანტიის გავლენის გაძლიერება. ამ მიზნით მან ალექსის თავის ასულზე დაქორწინება შესთავაზა. მაგრამ, საქმის ვითარებას ფხიზლად ადევნებდნენ თვალს საქართველოს ხელისუფალნიც, კერძოდ, ბექა მანდატურთუხუცესი. „საქართველოშიცა და ტრაპიზონშიც ბიზანტიის მთავრობის ნამდვილი ზრახვა და მთელი ამ გეგმის პოლიტიკური შედეგი კარგად ესმოდათ. არც თვით ტრაპიზონის მმართველ წრეებს სურდათ კონსტანტინოპოლის დამამცირებელი ჰეგემონიის მსხვერპლნი

გაძლიერიყვნენ. არც საქართველოს პოლიტიკოსებს მიაჩნდათ შესაძლებლად, რომ მათგან შექმნილს და უმთავრესად მისი მოძმე ლაზების მოსახლეობისაგან შემდგარი მათი მეზობელი სამეფო ბიზანტიისათვის დაეთმოთ, ანდა „ხელში მისი ჩაგდების საშუალება მიეცათ" — აღნიშნავდა ივანე ჯავახიშვილი.

ბიზანტიის გამგებელს ალექსისთან ნათესაური კავშირის იმედი ჰქონდა, რამეთუ ალექსი დისწული იყო მისი. მაგრამ არც ანდრონიკეს ხრიკებმა, არც დედის რჩევამ სასურველი, ბიზანტიისათვის სასარგებლო შედეგი არ გამოიღო და ბიზანტია-საქართველოს ბრძოლა ტრაპიზონზე გავლენის მოპოვებისათვის ამჯერად ქართული საგარეო პოლიტიკის გამარჯვებით დაგვირგვინდა, — ალექსიმ „...ცოლად მოიყვანა ბექას ასული იბერიიდან".

„...ხოლო ქანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კირ მიხაილ (ავტორის უზუსტობაა — ლ. უ.) და ასული ბექასი ცოლად მიიყვანა" — მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი. ალექსისა და ჯაყელის ქალის ქორწინებას აგვიწერს ვახუშტი ბაგრატიონიც.

ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის პახიმერის მიხედვით ალექსიმ „იბერთა ერთი წარჩინებულის ასული მოიყვანა ცოლად".

ალექსი ტახტზე ასვლისთანავე აქტიურად ჩაება თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1301 წელს მან გაილაშქრა ოსმალთა სულთნის, ამ სასულთნოს დამაარსებლის ოსმან პირველის (1281-1324) სამფლობელოებზე, კერძოდ, — კერასუნტზე. მან აიღო ქალაქი და შეიპყრო მისი გამგებელი, უამრავი თურქი გაიჟლიტა, მოგვითხრობს მიქაელ პანარეტოსი. ამ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობა მიუღია ალექსის სიმამრის ბექა ჯაყელის ლაშქარს. იმავე 1301 წელს თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულნი არიან როგორც ბექა, ისე ქართველთა მეფე დავითი (დემეტრე თავდადებულის ძე), რომელიც, როგორც ითქვა, დედით კომნენოსი იყო.

1301 წელსვე გარდაიცვალა ალექსის დედა ევდოკია — ანდრონიკე პალეოლოგის და.

ბექა ჯაყელის ასულისაგან ალექსი მეორე კომნენოსს შეეძინა ოთხი ვაჟი: ანდრონიკე (შემდგომში იმპერატორი ანდრონიკე მესამე, 1330-1332), ბასილი (შემდგომში იმპერატორი, 1332-1340), მანუელი (იგივე მიქაელი) აზახუტლუდ წოდებული და გიორგი. მათ გარდა, ალექსის ჯაყელის ქალისაგან ჰყავდა ერთი ქალიშვილი — ანა, ხუტლუდ წოდებული, რომელიც 1340-1342 წლებში მართავდა სახელმწიფოს.

მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა ბაგრატიონთა სამეფო კართან ტრაპიზონის გამგებელს ალექსი მესამეს (1349-1390). ამ კავშირის ხათავად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა: „6 აპრილს, დიდ ხუთშაბათს, მე-10 ინდიქტიონს იმავე 6865 (ახ. წ. 1357 წელი) წელს იმპერატორს შეეძინა ასული, ქალბატონი ანა"[1]. ეს ანა გახლავთ საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი დედოფალი, ბაგრატ V (1360-1393) მეუღლე.

იმავე წელს, მაისში ალექსის მოუნახულებია და მოუვლია პარხალის წმინდა ადგილები და მისი შემოგარენი.

ანა კომნენოსი ბაგრატ V ცოლად გაჰყოლია 1367 წელს, მე-11 წელში გადამდგარი.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ 1386 წელს თემურ-ლენგმა ბაგრატ მეფესთან ერთად ანა დედოფალიც დაატყვევა: „შემდგომად მოადგნენ ციხესა და მცირესა ხანსა შინა გამოიყვანეს მეფე ბაგრატ დედოფლითურთ თვსით ანნათი... ხოლო თემურ ტყუემყვნა მეფე და დედოფალი" — მოგვითხრობს ვახუშტი ბაგრატიონი.

აღსანიშნავია მიქაელ პანარეტოსის მეტად გულთბილი და ამაღლებული დამოკიდებულება ბაგრატის პიროვნებისადმი. 1372 წელს პანარეტოსი ხწვევია საქართველოს მეფეს. იგი ბაგრატს ახასიათებს, როგორც მეტად გამბედავ, გამჭრიახ მხედართმთავარს და დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს.

ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი დაახლოვება მოხდა, როცა 1377 წელს ალექსი მესამის ძემ, მომავალმა კეისარმა მანუელმა (მანუელ მესამე, 1390-1417) ბაგრატ V-ის დაზე გულქან-ხათუნზე (შემდგომში ევდოკიად წოდებული) იქორწინა. ამდენად, ბაგრატსა და ალექსის შორის ორმხრივი ნათესაური კავშირი დამყარდა.

ჯერ კიდევ 1382 წელს, ალექსი მესამის ზეობისას, უფლისწულ მანუილსა და ევდოკიას (გულქან-ხათუნს) შეეძინათ ვაჟი, მომავალი იმპერატორი ალექსი მეოთხე. მანუილს ეს ერთადერთი შვილი ჰყავდა, რამეთუ მეორე მეუღლისაგან მას შვილი არ შეძენია.

1390 წელს აღესრულა ალექსი მესამე და ტახტზე ავიდა მანუილ მესამე. მასთან ერთად სადედოფლო ტახტს იკავებს ბაგრატ V და ევდოკია, რომელიც გარდაიცვალა 5 წლის შემდეგ, 1395 წელს.

მანუილს მეტად რთულ ვითარებაში მოუხდა მეფობა. როგორც ცნობილია, თემურ-ლენგმა სწორედ ამ დროისათვის დაარბია და დაიმორჩილა არა ერთი სახელმწიფო, მათ შორის მის მიერ რვაგზის დალაშქრული საქართველო.

მანამდე კი, მანუილის მეფობის პირველსავე წლებში ტრაპიზონის სახელმწიფოს უშუალოდ დაუმეზობლდა მძვინვარე იმპერია — ოსმალთა სასულთნო, რომელსაც იმ ხანად ბაიაზედ I ილდირიმი (1389-1402) განაგებდა.

1417 წელს აღესრულა მანუილი და ტახტზე ავიდა მისი ერთადერთი ძე ალექსი მეოთხე

[1] ალ. გამყრელიძე. მიქაელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა", — მსკი, ნაკვ. 33, თბ., 1960.

(იგივე ბასილი. 1417-1446). მასაც მეტად მძიმე დროს მოუხდა სახელმწიფოს მართვა.

მეჰმედ I (1413-1421) და მურადის (1421-1451) ზეობის დროს ოსმალები რეგულარულ თავდასხმებს აწყობდნენ ტრაპიზონის იმპერიის მომიჯნავე ტერიტორიებზე. მაგალითად, 1422 წელს მურად მეორემ დალაშქრა კონსტანტინოპოლი (თუმცა უშედეგოდ). ალექსი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რომ თავიდან აეცილებინა მეზობელ თურქთა შემოსევები. სწორედ აღნიშნულ წლებში ტრაპიზონის საკეისრო უკავშირდება ევროპის სახელმწიფოებს — ვატიკანს, ესპანეთს, ბურგუნდიას. ამ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს სამეფო კარი, რამეთუ ქართველი მეფე-მთავრებიც დიდად იყვნენ შეწუხებულნი ოსმალთა მოსალოდნელი აგრესიის გამო.

ასეთ ვითარებაში ალექსი მეოთხის წინააღმდეგ გამოვიდა მისი ძე იოანე (შემდგომში იოანე მეოთხე) კალოიანედ წოდებული. საბოლოოდ იოანე იძულებული შეიქნა საქართველოში გადმოხიზნულიყო. ხალკოკონდილის ცნობით, აქ მას ცოლად მოუყვანია ალექსანდრე მეფის, ალბათ, ალექსანდრე დიდის (1412-1443) ასული. ამასთან, მას არ გაუწყვეტია კავშირი ტრაპიზონთან და არც მამის ტახტიდან ჩამოგდების განზრახვაზე აუღია ხელი. იოანეს თავის ქვეყანაში მომხრეთა დიდი ჯგუფი ჰყავდა. 1446 წელს იოანეს დავალებით კეისრის მოწინააღმდეგეებმა მოკლეს ალექსი. იმავე წელს ტახტზე ავიდა იოანე (1446-1458). იგი ტრაპიზონის იმპერიის ბოლოსწინა გამგებელი იყო. მისი ზეობის ხანა კი საკეისროს დაცემა-დაქვეითების ხანა გახლდათ.

იოანეს მეფობისას მცირე აზიაში მსოფლიო მნიშვნელობისა და მასშტაბის ძვრები ხდება, რამაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მთელ ქრისტიანულ სამყაროზე. ეს პერიოდი აღინიშნა ოსმალთა იმპერიის უდიდესი აღზევებით, მნიშვნელოვანი დაპყრობითი ომებით. ოსმალეთის ბრძოლას შეეძრა მთელი საქრისტიანო. აღნიშნული მოვლენები დაკავშირებულია სულთან მეჰმედ მეორე ფათიჰის (1432-1481) სახელთან. 1444 წელს ოსმალებმა ვარნასთან სასტიკად დაამარცხეს ჯვაროსნები. 1448 წელს კოსოვოს ველზე მათ გაანადგურეს ევროპელ ხელისუფალთა კოალიციური ლაშქარი. და რაც ყველაზე მთავარია, 1453 წლის 29 მაისს ხანგრძლივი ალყის შემდეგ მეჰმედ ფათიჰმა ხელთ იგდო კონსტანტინეპოლი, რითაც არსებობა შეწყვიტა ერთ დროს მძლავრმა ბიზანტიის იმპერიამ. ამის შემდეგ ტრაპიზონს უკვე ორმხრივ დაუმეზობლდა ოსმალეთი. ცხადი გახდა, რომ ამ, შედარებით პატარა სახელმწიფოს არსებობის დღეები დათვლილი იყო. კონსტანტინოპოლის დაცემიდან სამი წლის შემდეგ იოანე მეოთხემ სულთანს ყოველწლიური გადასახადის გადახდა აღუთქვა, ამდენად, ტრაპიზონმა ფაქტიურად უკვე დაჰკარგა დამოუკიდებლობა.

იოანე 1458 წელს გარდაიცვალა. მას ქართველთა მეფის ასულისაგან დარჩა ვაჟი და ორი ქალიშვილი.

აღნიშნულ წელს ტახტზე ავიდა იოანეს ძმა — დავით კომნენოსი (1458-1461) — ტრაპიზონის უკანასკნელი კეისარი. მისი სამწლიანი მმართველობით დასრულდა ამ სახელმწიფოს 250 წლიანი ისტორია.

რაც შეეხებათ იოანეს შვილებს, საფიქრებელია, რომ მათ საქართველოს, კერძოდ კახეთის სამეფოს შეაფარეს თავი.

დასასრულ, კიდევ ერთ მოვლენას მოვიხსენიებთ. საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ ტრაპიზონის კეისრის მანუილ I კომნენოსის (1238-1263) ერთ-ერთი მეუღლე იყო ქართველი ქალი რუსუდანი, რომლის ვინაობაც დაუდგენელია. მისგან მანუილს ჰყავდა ქალიშვილი თეოდორა, რომელმაც მიაღწია მცირე ხნით ტახტზე ასვლას. ამასთან დაკავშირებით მიქაელ პანარეტოსი გვამცნობს, რომ მანუილს თეოდორა „იბერიიდან მოყვანილ რუსუდანთან ეყოლა". ალ. გამყრელიძე სამართლიანად დასძენს, რომ რუსუდანი არ უნდა ყოფილიყო ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის წევრი, რამეთუ, ეს აუცილებლად იქნებოდა აღნიშნული ორივე მხარის წერილობით წყაროებში. ბაგრატიონთა სამეფო კარზე იმხანად ცნობილი იყო მხოლოდ ერთი რუსუდანი — თამარ მეფის ასული, შემდგომში საქართველოს მეფე, რომელიც სულ ცოტა ათი წლით უფროსი იყო მანუილზე.

ამასთან, ბუნებრივია, ტრაპიზონის იმპერატორი ცოლად ითხოვდა სამეფო გვარის წარმომადგენელს ან უკიდურეს შემთხვევაში, გავლენიანი დიდებულის ასულს. შესაძლებელია, რუსუდანი ყოფილიყო სამცხის ერისთავთ-ერისთავის, სამეფო კართან ერთ-ერთი ყველაზე დაახლოვებული პირის სახლეულის წევრი.

აი, ასეთი გახლავთ ის მჭიდრო ნათესაური კავშირ-ურთიერთობანი, რომლებიც ურთიერთთან აკავშირებდა ორი ქვეყნის, — საქართველოსა და ტრაპიზონის მმართველ სამეფო დინასტიებსა და სამთავრო სახლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ დაუშვილი

# „შანდლის ასული"

ეს პატარა პოეტური კრებული სრულიად საქართველოს იტევს თავისი აწმყოთი და წარსულით, ციხე-კოშკებითა და სალოცავებით, ზნე-ჩვეულებებითა და თქმულებებით, წინაპართა საფლავებითა და გაუქმებული სამრეკლოებით, სვეტიცხოვლითა და არმაზციხით, ბეთანიითა და შიომღვიმით, დიდგორითა და კრწანისით, თუშეთითა და ფშავ-ხევსურეთით, მახვშებითა და ბერიკაცებით, მედუქნეებითა და მუხამბაზებით, შორეულ პალესტინაში ქრისტეს საფლავის მომლოცველი ქართველებით თუ ისპაჰანში გატაცებული ლამაზმანებით, რევოლუციის შიშით გათანგული პეტერბურგით, ფრანგულ ენაზე მოჭორიკნე მადმუაზელებით, აყალმაყალის მაძებარი დუელიანტებით, პუშკინიანითა და შოპენიანით...

ეს არასრული ჩამონათვალი ერთ პატარა პოეტურ წიგნად აკინძული ლექსების კრებულია, რომლისთვისაც მის ავტორს დავით მაღრაძეს „შანდლის ასული" უწოდებია.

წიგნის პირველივე ლექსი მონაზვნად იძულებით აღკვეცილი ქართველი ასულის პირად განცდებს ეხმიანება, რომელშიაც უთავალავი „კაი ყმის" დამკარგავი, ათასგზის ომგამოვლილი ქართველი ერის ტრაგედიაა გაცხადებული:

ცრემლი ქართველისთვის ნაცნობი ჭირია,
ლომების ბეჭედი დაისვეს გავაზე,
ტყე წინამურისკენ გამოფოთლილია,
და ელოდებიან თავად ჭავჭავაძეს..

აქ ქალწულის სევდა გადაწნულია არა მარტო ერის წარსულის ტრაგიკულ მომენტებს, არამედ მის აწმყოსაც:

სავსეა ახლა მაღალი ქალაქი
მითქმა-მოთქმით და პანაშვიდებით...

ყველა ეს ახლობელი თუ შორეული ტრაგედიები გაჯერებულია ავტორისეული თანაგრძნობითა და ნაზი ლირიზმით, სასანთლეებში ჩაგუბებული ცრემლით, ლეკურ ნაბდებსა თუ თუშურ ქურქებში გახვეული ბერიკაცებისა თუ თვლემას მიცემული პირქუში მთების თანადგომით. დიახ, ეს ყველაფერი ერთ ლექსში მოხმობილი პოეზიის არასრული წარმოსახვაა, რამდენი ასეთი მოულოდნელი თანაგრძნობით აღსავსე სტრიქონი ელოდება მკითხველს ამ პატარა წიგნის ფურცლებზე! მკითხველს კი არა ლეგენდებს აჩერებს თინიბექაის ქვრივის თავგანწირული ერთგულება:

პირს შეხმობია ვაჟკაცს ქადილი,
შორით ნაგაზი ყმუის:
დის ცრემლიაო მხოლოდ ნამდვილი,
მეუღლის ცრემლი ტყუის.

არა, ამჯერად მეუღლის ცრემლი არ ტყუის: ერთგულების წმინდა სანთელმა ჭიუხში ზვავები დასძრა, ფეხარეული მთვარე ჯიხვივით მოსწყდა მთის ქიმს, პირზე ღიმილი შეახმა ხახმატს, სიყვარულს, ერთგულებას შეწირული ქალის სანთელი ჩაქრა, მაგრამ მისი შუქი ანათებს მკითხველის შემეცნებას...

პოეტის მიზანი მიღწეულია, მკითხველის თვალწინ ახოცირდება თავფარავანზე მოციალე პატრუქი, რომელიც იწვის და არ ქრება იმ იმედით, რომ დღეს თუ არა ხვალ ამ მიწას ცოცხალი ყოჩივარდები მოჩითავს...

კითხულობ ამ ლექსებს და ისეთი განცდა გეუფლება, თითქოს პოეტმა შენს ბინაში შემოაბიჯა, რათა შეგახსენოს — ხომ არ მოიწყინა კედელთან უსანთლოდ ვაჟას სურათმა და ასე, ლეგენდებიდან სინამდვილეში, ისტორიიდან ცხოვრებაში დადის ახალგაზრდა პოეტი და ხან დავით აღმაშენებლის სინანულის საგალობლებს გასმენინებს, ხან საკურთხეველთან მოკლული კათალიკოსის კირიონის დაუმთავრებელ ლოცვებს, ხან გურამიშვილის ქვრივისათვის თანაგრძნობით ნათქვამ თუშურ დალაის.

პოეტის უმშვენიერეს ტილოზე გაფრთხილებასავით იკითხება შორეული ისპაჰანის დილეგის კედლებზე ქართველი სეფე-ქალების სევდიანი მინაწერი:

არ გვძებნოთ ჰარამხანაში! — რადგან
არ დავთმეთ სჯული, ვასრულეთ სიტყვანი
უფლის ძისანი,

ბნელშიგან ნათლით გასრულდა დღე ჩვენი
ცხოვრებისანი.

მსგავსი განცდებითაა გადმოცემული მშობლიურ იერუსალიმზე მეოცნებე ჰურიათა განწყობილება:

მოხატრებით ქიმკრებს კლდე მიუვალი,
სალი,
გული სულს ლაფავს ქიმებზე:
— შალომ, იერუსალიმ!

და ასე, თეთრი რაშითა და წმინდა სანთლით მიაცილებს პოეტი მკითხველის გულს წარსულიდან აწმყოსაკენ, გულგრილობიდან სათნოებისაკენ, სიძულვილიდან სიყვარულისაკენ:

ფიც-ვერცხლი ვქამე სიჩენჩნეთს
მე ვინმე მესხმა სიროდან:
სად სიყვარული გავქედე,
სუყველგან ბედი მწყალობდა,
ჩემს თავზე ბოლობექედა
გალობდა, მიწყივ გალობდა.

დიახ, სიყვარულზე მღერიან ნადვლიან სიმღერებს მაღალი მთებით გარშემორტყმული თუშები, როცა ულაყების ჭენებით დაღლილნი შეიყრებიან და ჰკილავენ ხალხისგან გამდგარ მარტოსულებს:

ჩამასხდებიან ყვავები
არ გაირევენ ძერასა!

დროის ვითარების, გარემოების რა ზუსტი გათვალისწინებითაა მოხმობილი აქ ეს ხალხური სიბრძნე!

სავიცარ მამულში კი თილისმად მიჩნეული მამალი ყივის, აფხიზლებს ქვეყანას და დეზებით აზრჩობს აპრილის მთვარეს.

ძველებურ სახლში კი, ჩუქურთმიანი აივნის იქით წევს სიტყვის მახვში და ხედავს: არაგვის აყვავებულ ჭალებში თეთრ ცხენებს მოაჭირითებს ნეფე-დედოფალი და ველ-მინდვრებს ავთანდილის სიმღერასავით ეფინება საქორწინო ხმები:

პატარძალს ფერი აქვს ცის,
გოგლაახთ ბიჭი კი ორღობის ბოლოში
ყურებჩამოყრილი ზის...
რას იზამ:
ერთხელ იცის შეყვარება აიაბაგის ასულმა...

ასე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად შემოდის ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში კლასიკა:

მერე ვეწვეოდით დუქნებს ორთაჭალის,
სად სავსე ყანწები ელოდნენ ტიციანს,
სისხლის წვეთი ეცერა საყელოზე,
ბევრმა ახლაც მიხაკად იციან...

დავით მაღრაძის ამ კრებულში საქართველოს შფოთიანი წარსულია გაცხადებული: ხერთვისთან სანთლად ჩამომდნარი თამარ მეფის ცრემლი იქნება ეს თუ პალესტინაში შურით გადახვეწილი რუსთაველი; შაჰ-აბასით გაწამებული თეიმურაზ მეფის უიღბლო ყოფა თუ სისხლში ჩამხრჩვალი მეაბჯრეთა აჯანყება, მარტყოფი თუ კრწანისი, ისტორიის ჟამთასვლას გადარჩენილი ჯვარი თუ სვეტიცხოველი:

არა, მე არაგვს პეშვებით ვხვრიპავ,
გადმოევლება გული ნაპირებს,
მუხლებზე უნდა დავეცე.
პიპა!
მგონი ამაღამ წვიმას აპირებს!

ორბელიანების დაცარიელებული მამულისაკენ გაქცეული მზერა კი პოეტს გულისტკივილით ათქმევინებს:

კარგახანია აქ არავინ არ დაუმარხავთ!

კრებული იხურება „უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე შესვლით იერუსალიმად". სოფლის უკუღმართობებში გაცნობიერებული ახალგაზრდა პოეტი შესაშური მოთმინებითაა აღჭურვილი: „მოთმინებაი ვიმარჯვთ ხალბუნად ჩემდა წყლულისად". ამავე ლექსში ახალგაზრდა პოეტი ქრისტეს ხორცისა და სისხლისმიერობას უფრო შორეული ეპოქებიდან გრძნობს: „დაემხო კერპი არმაზის, შთაინთქა ზუქი შუმერთა, დღისა და ღამის სამანზე გზა გაუნათდათ უმეცართ", ვიდრე ამ სტატიისა და სტრიქონების ავტორი: „ქრისტე ამოდის ჩემგან, ქრისტე იწყება ჩემით".

სასიამოვნო თანხვედრითა და კეთილი სურვილებით დავ, მრავალგზის აენთოს მის გზაზე „სანთელი ტაოსკარისა თუ ჩიჩხითურის,
იმოსოს ქართველმა ნათელი
მამით,
ძით,
სულიწმიდითურთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნინიას ბაღი

## წინასიტყვა

გვიანი შემოდგომა იყო. პირველკლასელი ბიჭუნები სკოლიდან შინ ვბრუნდებოდით. გვშიოდა, თვალი აცა-ბაცა მიგვირბოდა. შარაგზაზე გადმოხრილ, გაკრეფილ ხეხილს ნაღვლიანად შევყურებდით.

— ვაჰ, რა მსხალი! — წამოიძახა ერთმა.

ყველანი ღობეს მივაწყდით. მართლაც, შუა ბაღში ხეჭეჭური მსხლის ხე მოჩანდა, დახუნძლულ ტოტებს ქარი მაცდუნებლად რომ არხევდა. არც დავფიქრებულვართ. ღობე მივსწი-მოვსწიეთ, გასაძრომი გავამზადეთ, მერმე კდურთეთ თავი და სულ მალე ყველანი მსხლის ქვეშ ამოვჩნდით. [illegible] არ დაგვჭირვებია, ბოჯინჯგლებზე ჩამოყრდნობილ ტოტებს ისედაც მივწვდით.

ის იყო, უბეები ავივსეთ და პატრონიც წამოგვადგა თავს. ღჯუ და ჯაჯღანა კაცი იყო, ერთთავად წვერმოშვებული და სახემოქუფრული დადიოდა. მასთან შეხვედრა გზაშიც გვეზარებოდა, ახლა კი მთლად დავიზაფრეთ. მონუსხულებივით გავქვავდით. ფეხის წადგმაც ვერ მოვახერხეთ.

— ჰაიტ, თქვე ძაღლის დაყრილებო, ნინიას ბაღი ხომ არ გეგონათ, რომ დაალირეთ თავი და შემოჯლაგუნდით! — გვიყვირა მან, მერმე უბეები გადმოგვიბრუნა, ჩანთები წაგვართვა, წინ გაგვირეკა, თავისი ეზო გადაგვატარა და შარაგზამდე გინებით მიგვაცილა. სამჯერ თუ ოთხჯერ კიდევ გაიმეორა: ნინიას ბაღი ხომ არ გეგონათო. „ნინინას ბაღი", ალბათ, სხვა დროსაც გამეგონა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა კი გულში ჩამრჩა.

— ნინია ვინაა? — ვკითხე ბებიას, ბაღის პატრონთან რომ წავიდა და ჩანთა მომიტანა.

— ვინ ნინია, ბიჭო?

— რა ვიცი, ნინიას ბაღი არ გეგონოთო და...

— მარკოზამ გითხრათ ხომ — გაიცინა ბებიამ, — ნინია კაი კაცი იყო, შვილო. მარკოზას კი არ ჰგავდა. ჩვენი სოფლის ბოლოს ცხოვრობდა. ისეთი ხეხილი ჰქონდა, რიგი ჰყვაოდა, რიგი მწიფდა, რიგი ძირს ჩამოდიოდა. ბაღის კარი ყველასთვის ღია იყო. მიხვიდოდი, ხილს იხილებდი, მეხილეს კი თუგინდ სულაც ნუ იკითხავდი.

— შენც დადიოდი, ბებია?

— არა, შვილო, მე რომ ამ სოფელში გამოვთხოვდი, ნინია უკვე აღარ იყო, — მიპასუხა მან და მერმე განაგრძო: — ის ცხონებული ისედაც გონიერი კაცი ყოფილა. ლექსის ამოღებაც ეხერხებოდა თურმე. იმდენი შაირები და არაკები იცოდა, როო!..

ამის შემდეგ, „ნინიას" როგორც კი გავიგონებდი, მყისვე ყურებს დავცქვეტდი. შუადღის გაგანია სიცხეში გლეხკაცები კაკლის ჩრდილს მიაშურებდნენ, წამოგორდებოდნენ ძოლზე, პაპიროსს გააბოლებდნენ და მერმე რომელიმე მათგანი წამოიწყებდა: „ნინიამ თქვა"... „ნინიაზე უთქვამთ"... მას სხვებიც მხარს აუბამდნენ და... იყო სიცილი, ღიმილი, ჩაფიქრება... ნინიასეულად ნათქვამი ზოგიერთი არაკი, ოხუნჯობა, თუ ლექსი ისე მომეწონებოდა ხოლმე, უბის წიგნაკში ვიწერდი.

ეს ყველაფერი მერჯევში ხდებოდა. ერთ ზაფხულს ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში მოვხვდი შემთხვევით. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ზოდელებმა მითხრეს: ნინია აქაური იყოო. მისი ნაბალარიც მიჩვენეს.

ახლა, ფოლკლორულ ექსპედიციებში რომ დავდივარ, სხვადასხვა კუთხის მთქმელთა რეპერტუარში ხშირად ვხვდები ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, რომლებიც ნინიასეულად მქონდა ჩაწერილი. თუმცა მთქმელები დაჟინებით მიმტკიცებენ: რასაც გიყვებით, ჩემი კუთვნილებააო, მე მაინც მჯერა, რომ ისინი ნინიას შემოქმედებას მომითხრობენ.

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ მთელი ჩვენი ფოლკლორი მიმაჩნია „ნინიას ბაღად", რომლის კარი მუდამ ღიაა, ყველას შეუძლია შევიდეს, ხილი იხილოს, დატკბეს, ისიამოვნოს. მოხარული ვიქნები, ამ პაწაწინა ნოველებსაც „ნინიას ბაღში" მოკრეფილ ნუგბარ ხილად თუ მიიღებ, მკითხველო!

**ნოდარ შამანაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნინიაზე უთქვამთ

ნინია ქეიფობდა. შესამჩნევად რომ შეთვრა, ღვინის ხმას თავი დაანება. თამადა ჩააცინდა, გინდა თუ არა, დალიეთ. რომ აღარ მოეშვა, ნინიამ ხავსე დოქს ფეხი ჰკრა და წააქცია.

— ეს რა ჰქენი, ნინია?! — შემოუძახეს.

— სჯობს ნუნუა დაიქცეს, ვიდრე ნინია წაიქცეს! — მიუგო მან.

●

ნინიამ მსხალი მოკრიფა და კიდეც აწონა. რვაასი კილო გამოვიდა. მანქანა იქირავა, დატვირთა და დამზადების პუნქტს მიუტანა. აწონეს. სამას ოთხმოცდაათი კილოთ, უთხრეს.

— რაც დამაკელით, ის გამომიწერეთ, ხოლო რაც მითხარით, თქვენი იყოს! — მიახალა ნინიამ.

●

ნინიას თოხი გაუდევს მხარზე და მოდის კოლმეურნეობის ყანიდან. ხვდება ქალაქელი მგზავრი, რომელიც ეკითხება:

— როგორი ანაზღაურება გაქვს, დღეში რა გამოგდის?

— ოფლი.

— ვერ გავიგე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხელზე რა გრჩება?

— ბებერები.

— კიდევ ვერ გავიგე. მე მაინტერესებს, რა გეძლევა, შინ რა მიგაქვს?

— თოხი!

●

ნინია ოთხმოცდაათი წლისა ხდებოდა. რა ხნისა ხარო, რომ კითხავდნენ, უპასუხებდა: სამოცს ვუახლოვდებიო.

— რა სამოცის, რას ამბობ, სიცოცხლის წლებს რატომ იკლებ? — უსაყვედურეს ერთხელ.

— კოლმეურნეობაში ნაცოდვილარ წლებს სიცოცხლედ არ ვთვლი. — უპასუხა ნინიამ.

●

ომის დროს ვინმე ბარამიძე და დვალიშვილი გამოიქცნენ ფრონტიდან და მერე ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. სულ მალე ისინი შეიპყრეს. სწორედ იმ ხანებში ნინია ესტუმრა ნათლიდედას, რომელმაც სუფრა გაუშალა, თან მოუბოდიშა:

— მცირე პურმარილი გაკადრეთ, ქათამი ვერ იქნა და ვერ დავიჭირეთ!

— ბარამიძე და დვალიშვილი დაიჭირეს, თქვენ კი ერთი წრიპა ვარია ვერ დაიჭირეთ? — უსაყვედურა ნინიამ.

●

ნინია კაკლის ნერგს თხრიდა, უნდოდა სხვა ადგილზე გადაეტანა. ფესვები უკვე ღრმად ჰქონდა გატოტვილი, ამიტომ მოთხრა უჭირდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და მოანგარიშემ გამოიარეს.

— ასე ვერ მოთხრი, უფრო შორიდან უნდა შემოუარო! — დაუწყეს დარიგება.

— მაცალეთ, თქვენ მთელი სოფელი მოთხარეთ და არ ჩავრეულვარ! — უპასუხა ნინიამ.

●

მერჯეველ ანთიმოზ წიგნაძეს მიასვენებდნენ. სასაფლაოს გზაზე რომ გავიდნენ, ცოლმა შეკივლა:

— დაახურეთ! დაახურეთ!

— დაახურეთ, თვარა თვალი ბედნიერ ცხოვრებაზე დარჩება! — ჩაილაპარაკა ნინიამ.

●

ნინია ძროხას აბალახებდა. გამოუარა შაქრო დეკანოიძემ, რომელიც გამოუსწორებელ ლოთად ითვლებოდა.

— ძროხისთვის ცდები ამხელა კაცი?! — უთხრა ნინიას.

— რას ამბობ, ძროხას რა სჯობია!

— რა დაგიმალო და, ძროხა ძალიან შემძულდა!

— რძე?

— თვალის დასანახავად მეზარება.

— რატომ, რამ შეგაძულა?

— ცოლმა ღვინოში ჩუმად რძე ჩამირია, ეგონა ღვინო შემძულდებაო. მე რძე შემძულდა!

●

ამერიკელი ტურისტები საჩხერეში ჩავიდნენ. სხვათა შორის, ბაზარშიც მოინდომეს გასეირნება: ვნახოთ, როგორი სიძვირეა, ხელმძღვანელობამ ზომები მიიღო: ჩამოუარეს ბაზარში გლეხკაცობას და გააფრთხილეს, უცხოელებს ყველაფერი იაფად დაუფასეთო. ნინია ინდაურებს ყიდდა. ერთმა ამერიკელმა ყველაზე დიდი ინდაური შეარჩია და ჰკითხა:

— როგორ ყიდი?

— ხუთ მანეთად.

— სამ მანეთს მოგცემ.

— სამ მანეთს ოცი მანეთი დაუმატე და წადი, ქათამი იყიდე, უფრო ადვილად წაიყვან! — სიმართლე გაუმჟღავნა ნინიამ.

●

ნინია იდგა ეზოში და ბიჭის ხან ერთ სახელს გაჰყვიროდა, ხან — მეორეს და მესამეს...

— ვის ეძახი, ნინია? — გადმოსძახა მეზობელმა.

— შვილიშვილი შემეძინა და ვამოწმებ: რომელი სახელი უკეთ ჟღერს!

●

— როგორა ხარ, ნინია?

— კოლექტივის ვენახივით!

●

ნინიას შეეხმიანა მეზობელი, გადმოდი ჩემთან, ხავსე ქვევრს ვხდი და ღვინო დამიჭაშნიკეო.

როგორც კი გადავიდა, მან გალიცლიცებული ჭიქა შეაგება. ნინიამ ღვინო მოსვა, პირში დაიგემოვნა, ორიოდე ყლუპი გადაყლაპა და მერე დინჯად თქვა:

— ასეთ ღვინოს თუ ჩაასხამ, ჭურები კი გექნება სავსე!

●

ნინიამ ყვავი დაიჭირა და შინ წაიყვანა: ჩემი თვალით ვნახო, სამას წელიწადს მართლა თუ იცოცხლებსო. სასაუზმოდ რომ დაჯდა, ყვავიც გვერდით მოისვა. არაყი რომ დალია, ყვავსაც დაალევინა. ყვავმა „უჩვეულო" სასმელი ვერ აიტანა და ფეხები გაფშიკა.

— არაყს თუ არ დალევ, სამას წელიწადს მეც ვიცოცხლებ! — ყვავს ნიშნი მოუგო ნინიამ.

●

ანზორ ქველაძე ნინიასთან მივიდა და ღვინო სთხოვა.

— ჭურჭელი? — ჰკითხა ნინიამ

— აგერ ჭურჭელი! — მუცელზე დაირტყა ხელი ქველაძემ.

— მაგაში ვერ ჩაგასხმევინებ, ღვინოს აფუჭებს!

●

— ლუიზა კიკნაველიძე მოუტაცებიათ!..

— მოიტაცებდნენ, აპა, რა, გაზის ბალონივით სულ შარაგზაზე იდგა! — თქვა ნინიამ.

●

იანვრის სუსხიანი დღეები იყო. კორბოულში გრიპმა იძალა, ბევრი გლეხკაცი გახდა ავად. ნინია კი საღსალამათი იყო და კოლმეურნეობის კანტორაში შეიარა. თეთრი დოლბანდით პირი ჰქონდა აკრული ყველას: თავმჯდომარეს, მეკუჭნავეს, მოანგარიშეს...

— კოლმეურნეობა რომ შეჭამეთ, პირი ახლა აიკარით?! — გაიცინა ნინიამ.

●

— ისეთ რაკეტას გაუშვებენ, ყველაფერი იქნება, ჩვენ კი აღარ ვიქნებით! — მოიმწუხრა მეზობელმა.

— ახლა როგორი რაკეტა გაუშვეს, ჩვენ რომ ვართ და არაფერი აღარაა?! — კითხვა დაუბრუნა ნინიამ.

●

ნიანიას ერთხელ გრიპი გაურთულდა. ყველას ეგონა, ვერ გადაიტანსო. ბევრს ახსოვდა მისი მწარე ენა, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ ემეტებოდათ. მეზობლები და ნათესავები თავს დასტრიალებდნენ. ინახულა აგრეთვე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რომელზეც ავადმყოფი განაწყენებული იყო.

— ნინია, არ გატყდე, მე აგერ ვარ! — გაულიმა მან.

— შენ რომ ხარ, იმიტომ ვკვდები. — ამოიკვნესა ნინიამ.

●

აგიტატორი კოლმეურნეებს ლექციას უკითხავდა თემაზე: „საამური ცხოვრების სოციალისტური საფუძვლები". რომ დაამთავრა, ნინიამ გადახედა და ინატრა:

— ერთი ახლა შენი ბაღის ქლიავი მაჭამა, პირი მაქვს წამხდარი და გამომიკეთებს!

— ოღონდ შენ ამის მერე პირი გამოგიკეთდეს და ქლიავს თუ გინდა ძირიანა მოგითხრი! — შეპირდა ნინია.

●

ნინია ფინაგენტზე განაწყენებული იყო: ხალხს რა წაგლიჯოს, მუდამ ამაზეა გამეცადინებულიო. ჰოდა, ერთ დილას გზაზე რომ შეხვდა, მიესალმა:

— სალამი მშვიდობისა!

— რას ამბობ, რა დროს სალამია, ხომ არ გაგიჟდი შენ?! — შემოუძახა ფინაგენტმა.

— შენ რომ დაგინახავ, თვალთ მიბნელდება! — უპასუხა ნინიამ.

●

ალექსანდრე კუჭალაძე ავად გახდა. ნინიამ ინახულა და ჰკითხა:

— გავიგე, უქეიფოდ არისო, რა მოგივიდა, კაცო?

— გუშინწინ არაყი გამოვხადე, მერე რაღაც ეშმაკად ტანი დავიბანე, ჰოდა, გავცივდი, ალბათ.

— არაყი ხომ ბლომად გამოვიდა?

— კი, ქვა სამოც ლიტრამდე.

— ღვინო რამდენი გაქვს?

— რა დაგიმალო და, ცოტა არც ღვინო მაქვს. ჩასავალი ქვევრი მოყრონჭილია, ზედაში ხუთ კოკაში მისხია, საფერავი კიდევ უჭაჭოდ დავაყენე.

— ლობიოც არ გექნება ცოტა?

— იმე! ცოტა რატომ უნდა მქონდეს, სიმინდისა და ლობიოს თავს ვევლები, მთელ ზაფხულს ჩემი მოსვენება არ არის!..

— ჰოდა, ჩემო ალექსანდრე, რას გეტყვი, იცი? რაკილა სიმინდი, ლობიო და ღვინო ბლომად გქონია, არაყი გამოგიხდია, ტანიც დაგიბანია, ახლა თუ მოკვდები, ნუ ინაღვლებ, ოჯახის წევრები არაფერზე შეწუხდებიან! — ანუგეშა ნინიამ.

●

დეკემბრის სუსხიანი დილა იყო. ნინია [illegible] ჭიგოებს ამზადებდა. თავს წაადგა მეზობე[illegible] ჰკითხა:

— რად გინდა ჭიგო ამ ზამთრის პირ[illegible] ხომ ვერ მიუსობ?

— ზამთარში შეშად ვიხმარ, გაზაფხულზე [illegible] ჭიგოდ გამოვიყენებ. — უპასუხა ნინიამ.

●

ნინია საჩხერის სადგურთან იდგა ორი ვეებ ჩემოდნით. გამოიარა ტაქსმა. ნინიამ შეაჩერა:

— მერჯევში რამდენად ამიყვან?

— ხუთ მანეთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემოდნების წაღებაში რას გადამახდევინებ?

— ჩემოდნებს უფასოდ წავიღებ.

— თუ მაგ სიკეთეს მიზამ, ჩემოდნები წაიღე, ფეხით წამოვალ. — მიუგო ნინიამ.

●

— ატომური ენერგია როგორ წარმოიქმნება? — იკითხა ნინიამ.

— უხილავ ნაწილაკებს შლიან.

— რაღა უხილავს შლიან, ხილული კოლმეურნეობა დაშალონ და გლეხობას ამოგვასუნთქინონ!

●

გერვასი იაკობიძემ ყოყმან-ყოყმანში სამოც წელიწადს გადააბიჯა უცოლშვილოდ. ერთხელ ნინიასთან მოიმწუხრა:

— დავქორწინდები, მაგრამ ცოლმა მერე დიდის წვალებით მიღებული ბინა რომ მომთხოვოს?

— სამოცდაათ წელს მიღწეულ ბერიკაცს ბინას მოგთხოვს, აპა, სხვა რაღა უნდა მოგთხოვოს? — გაუცინა ნინიამ.

●

ნინიამ მთელი წელიწადი ხელებდაკაპიწებულმა იმუშავა კოლმეურნეობაში, შემოდგომაზე კი მხოლოდ შვიდასი კილო ხიმინდი მისცეს.

— რატომ მეტი არ მომეცით? — უსაყვედურა თავმჯდომარეს.

— რაც არა გვაქვს, რა მოგცეთ?! — შემოუძახა თავმჯდომარემ.

— როგორ არა გაქვთ, ასი ტონა სიმინდი გასანაწილებელიაო, ხმა გამოვიდა.

— ის ასი ტონა ღორებისთვისაა განკუთვნილი.

— ჩამწერეთ ღორებში!

●

მიცვალებულს მიასვენებენ. ჭაბუკებს უჭირთ მისი ტარება, ხშირად ენაცვლებიან ერთმანეთს. ჭარმაგები და ხანდაზმულები კი მიჰყვებიან შორიახლოს.

— აფსუს, რა მხმელი იყო!

— აპა!..

— ერთხელ, ქეიფს რომ ვამთავრებდით, ორლიტრიანი ყანწი დალია, კიდევ შემივსეთო, იძახდა.

— ჭამაც მადიანი სჩვეოდა. ბურვაკი შეჭამა ნიძლავზე. მეხუმრები შენე?!

— ბურვაკს ვერ შეჭამდა!

— შვილებს გეფიცები, რავა შეჭამა, იცი? ნაჭერ-ნაჭერ აჭნა, გობი გაავსო, მერე ის გობი უკან მოიდგა, ხელს წაიღებდა უკან, ხორცის ნაჭერს აიღებდა და ქიჩნიდა გემოიანად. ასე რომ, გობს არ უყურებდა: თვალი არ გამიძღესო. ბოლოს ხელს აფათურებდა ცარიელ გობში, მაგრამ ხორცი ველარ იპოვა, ხე, ხე, ხე!

— თქვე კაი ხალხო, სიცოცხლეში რომ ასე შეგექოთ, ალარც მოკვდებოდა! — შენიშნა ნინიამ.

●

ნინია ომის დროს კიდეც სტომატოლოგობდა. თანასოფლელებს მარწუხით აძრობდა დაჭიანებულ კბილებს. ერთხელ მასთან კოლმეურნეობის თავმჯდომარე მივიდა და სთხოვა:

— თუ კაცი ხარ, ორი კბილი მაწუხებს და ამომაძვრე, ამათ ვერ დავეტანჯვინებით.

ნინიამ გაზი მოიმარჯვა, თავმჯდომარეს ვეშაპივით დაღებულ პირში ჩახედა და ღიმილით უთხრა:

— ამ კბილებს ამოხაღები არაფერი სჭირს, ერთ კოლმეურნეობას კიდევ შეჭამენ!

●

ლეო ბარბაქაძე პარტიის რაიკომში მუშაობდა ინსტრუქტორად. ერთ დღეს ხმა გავარდა: თანამდებობიდან გაათავისუფლესო. მის თანასოფლელებს ეს ამბავი ეწყინათ.

— ნეტა, რატომ გაათავისუფლეს? — იკითხა ერთმა.

— კონფერენციაზე ჩასძინებია.

— მერედა, მაგისთვის მოხსნეს?! კონფერენციაზე სხვებსაც კი ეძინათ!

— ლეო ხვრინავდა თურმე! — თქვა ნინიამ.

●

ნინიასთან მივიდა მეზობელი და სთხოვა:

— ხის წებო გექნება და ცოტა მომეცი!

— თავი კიდევ გაიტეხე?! — შეიცხადა ნინიამ.

●

სავლე აბუანდაძე სამ ცოლს გაშორდა და მეოთხე ითხოვა. ნინია ერთხელ მასთან ერთად გაემგზავრა ზესტაფონში. საქმე რომ მოათავეს, სასადილოში შევიდნენ და ოფიციანტი იხმეს.

— მოგვიტანეთ ორი ულუფა ჩახოხბილი. — სთხოვა ნინიამ.

— ერთნახევარი ულუფა! — დააზუსტა სავლემ.

— რა ნახევარი, კაცო, რას ამბობ?! — შემოუძახა ნინიამ.

— მთლიან ულუფას ვერ შევჭამ, რაღაც ვერავარ მადაზე.

— თუ ვერ შეჭამ, დატოვე!

— ვერ დავტოვებ, სირცხვილია!

— სამი პირი ცოლ-შვილი დატოვე და ლუკმის დატოვება გრცხვენია?! — გაიცინა ნინიამ.

●

შაბათობა იყო. კოლმეურნეები ბარ-ნიჩბებით მინდვრად გავიდნენ.

— ათი-ათი ორმო უნდა გათხაროთ! — მისცა მითითება თავმჯდომარემ.

— ორმოს ერთმანეთს რომ ვუთხრით, არ მივათვალოთ? — იკითხა ნინიამ.

●

ნინიასთან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მივიდა და უსაყვედურა, ხორცის გადასახადს რატომ არ იხდიო.

— სადა მაქვს ხორცი! წელიწადია, ჩიჩიაზე კბილი არ დამიდგამს, ჩემიანებმა ქათამი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამიკლან. ან ქათამი უნდა იყოს ავად, ან — მე. — უპასუხა ნინიამ.

●

ნინია საქართველოს იქით არასდროს წასულა. მოდა, ერთხელ როგორღაც იყო, მოსკოვში გაემგზავრა.

— რუსულის უცოდინარობამ არ შეგაწუხა? — ჰკითხეს, რომ დაბრუნდა.

— მე არ შევუწუხებივარ, რუსები კი!.. — უპასუხა ნინიამ.

●

1937 წლის რეპრესიებით გაოგნებულმა ნინიამ ცოლი გაგზავნა ქიათურის რაიონის სპეციალურ განყოფილებაში და შეუთვალა: მე თვითონ მოვიდე, თუ თქვენ წამიყვანთო?!

●

ნინია სიბერეშიც მუყაითად საქმიანობდა: საყოლებელს უვლიდა, ყანას თოხნიდა, ვენახს პატრონობდა, სალამოს შეშას ჩეხავდა, წყალს იმარაგებდა. ხანდაზმულობა იმდენად არ ეტყობოდა, ოღონდ ეს იყო, ხველება დასჩემდა.

— დაიწყებს ახლა ხლუჯუნს. — ტუჩს აიბზუებდა ხოლმე რძალი, ნინია როგორც კი წამოახველებდა.

ერთხელ მან რძლის ბუზღუნს ყური მოკრა და გაბრაზებით ჩაილაპარაკა:

— დედა მაშინ გეტირებათ, რომ აღარ დავახველებ!

●

ჟორა სისვაძე ნინიას ცოლის დისშვილი იყო, რომელიც მესაფლავეთა ბიუროს თავმჯდომარედ მუშაობდა. ნინიას რამდენჯერაც შეხვდებოდა, ეტყოდა: თუ რამე დაგჭირდეს, არ მომერიდოო. ნინიას ამბავი მიუტანეს ერთხელ: ჟორას ინვენტარიზაცია ჩაუტარეს და საქმე ცუდად აქვსო.

— ალბათ, მკვდრები დააკლდა. — თქვა ნინიამ.

●

ნინია მივიდა ექიმთან, რომელმაც ანკეტა წინ დაიდო, ბურთულიანი კალამი მოიმარჯვა და ჰკითხა:

— რა გაწუხებს?

— მთავრობა! — მოკლედ უპასუხა ნინიამ.

●

ნინია თანასოფლელ მწერალს შეხვდა და შეაქო:

— ყოჩაღ, ბიძია შენ, ბოლო დროს შემოქმედებაში წინ წახვედი!

— არც ისე.

— ხომ გამოაქვეყნე ახლა?

— რა?

— რაცხა.

— სად?

— საცხა.

— შენ ნახე?

— არა, ვინცხამ მითხრა.

●

ნინია მოქეიფეთა სუფრაზე მოხვდა ქალაქში. საცეკვაო დაუკრეს. ორი ჭაბუკი მარდად გადახტა და ხელები გაშალა. მჯდომარე ნინიამ ფეხები აათამაშა.

— ფეხზე ამდგარს თუ გიცეკვიათ? — ჰკითხა წარბებშეღებილმა მანდილოსანმა, მის პირდაპირ რომ იჯდა.

— როცა ვდგავარ, საქმეს ვაკეთებ! საცეკვაოდ სად მცალია!.. — უპასუხა ნინიამ.

●

ნინია ხვდება ქორვილელ კოლმეურნეს და ეკითხება:

— რა არის ახალი თქვენს სოფელში?

— თავმჯდომარე მოგვაშორეს.

— სად გადაიყვანეს?

— ორღულში.

— მეც ასე ვშვრები ხოლმე: საბედარი ერთ ადგილას რომ მოძოვს, მოსაძოვებელ სხვა ადგილას გადავაბამ...

●

მოსე ბედიანიძე ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა, ვერ მოხვდა.

— რატომ ვერ მოეწყვე? — ჰკითხა ნინიამ.

— თავში მქონდა, ჯიბეში არა!

მეორე წელს მოეწყო.

— ახლა ჯიბეში გქონდა, თავში — არა? — გაუცინა ნინიამ.

●

ნიკიტა ხრუშჩოვმა რამდენჯერმე დაბეჯითებით გამოთქვა აზრი: ოცი წლის შემდეგ კომუნიზმში ვიცხოვრებთო. ამის შემდეგ კრებებსა და თათბირებზე გახშირდა საუბარი: კომუნისტური საზოგადოება ახლოვდებაო. ერთი ასეთი კრება მერჯევის კოლმეურნეობაშიც ჩატარდა. პარტბიუროს მდივანმა განაცხადა, კომუნიზმის დასაჩქარებლად ვინ რა წინადადებას წამოაყენებსო. ზოგმა თქვა, მეტი ვენახი გავაშენოთ და ყურძნის მოსავალი გავადიდოთო, ზოგმა — მეტი სიმინდი მოვიყვანოთო.

მოდით, მეტი ვილაპარაკოთ! თქვა ნინიამ.

●

გრიშა ლენტორაძე მაჭარს დალვინებას არ აცლიდა, იანვარ-თებერვალში ქვევრებს უკვე გამოწრუპავდა ხოლმე, მერე კი ლლეტური პურის ჭამაზე დადიოდა.

ერთხელ ნინიასაც ესტუმრა. მან სუფრა გაუშალა, ჭიქაში ძველშავის ნალდი წვენი აუკამკამა. გრიშამ ღვინო უსუნთქველად გადაჰკრა და თავი სინანულით გადაიქნია:

— გაგფუჭებია ღვინო!

— ეს ღვინო ახლა მიფუჭდება, შენ რომ სვამ!

●

სოსიკო კავთელაძე მერჯევის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადას ხელმძღვანელობდა. ერთხელ საერთო კრებაზე ნინიამ შესძახა:

— სოსიკო გადაიღალა, გადავირჩიოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე რომ გადვიღალე, ვერ ვიგრძენი, შენ კი მიხვდი, არა?! — გადაუბღვირა ხოხიკომ.

— კი იგრძენი, მაგრამ მშობლიური პარტიის გრცხვენია და ვერ ამხელ! — სიტყვა მოუჭრა ნინიამ.

●

ნინია ბრიგადირმა გაანაწყენა და გაბრაზებულ გულზე კოლმეურნეობასაც შეუკურთხა.

— კოლმეურნეობას ნუ აგინებ, თვარა ეგ გინება შენც მოგიწევს! — უთხრეს.

— ოცი წელიწადია, კოლმეურნეობიდან არაფერმა მომიწია და რაღა გინება მომიწევს! — უპასუხა ნინიამ.

●

ნინია კოლმეურნეობის ყანაში თოხნიდა, რომ დაიღალა, კაკლის ჩრდილში წამოწვა. გამოიარა რაიკომის ინსტრუქტორმა.

— რა დროს მხართეძოზე წამოწოლაა, ხომ ხედავ, სიმინდი გაუთოხრობით ფუჭდება?! — უსაყვედურა სტუმარმა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — ჰკითხა ნინიამ.

— რაიკომიდან ვარ მომაგრებული.

— ხოდა, ბიძია, რაკი შენ მომაგრებული ხარ და მე კი მოფანფალებული, აიღე, თოხი და შემეშველე, მე ჩრდილში მოვისვენებ. — უპასუხა ნინიამ.

●

მეზობელი მივიდა ნინიასთან: ხარ-ურემი მათხოვეო. ათხოვა. სამი დღის შემდეგ ხარ-ურემი კიდევ სთხოვა. კვლავ გაატანა. გავიდა ორი დღე და ასევე დაეღრიჯა, შენს იქით გზა არა მაქვსო.

— ხარ-ურემი სულ წაიყვანე, მიჩუქნია, ოღონდ მე რომ დამჭირდება, მათხოვე ხოლმე! — გამონახა გამოსავალი ნინიამ.

●

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კრებაზე განაცხადა: წინ რომ წავიწიოთ, ყოველ საქმეს ეკონომიურად უნდა მივუდგეთო.

— შემომაქვს წინადადება, თოკები დავზოგოთ, ძროხები კუდებით დავაბათ! — თქვა ნინიამ.

●

ნინია სალუდეში შევიდა.

— სახლი ხომ აიშენე? — ჰკითხა მელუდეს.

— კი ავიშენე.

— გავიგე „ვოლგაც" გიყიდნია.

— ჰო, ვიყიდე.

— აპა, გამივსე კათხა!

●

ნინია შარაგზაზე მიდიოდა. ყანაში ხის ქვეშ ბიჭი და გოგო დაინახა, რომლებიც მის მეზობლად ცხოვრობდნენ. მეორე დღეს ის გოგო ფერნაქცევი შეხვდა, საცოდავად ახლუჯუნებდა.

— რა იყო, რატომ გახველებს? — ჰკითხა ნინიამ.

— გავცივდი, ბიძია!

— ხეზე ნუ მიეყუდები და არ გაცივდები!..

●

— რას ბუტბუტებ, ნინია, შენს თავს ელაპარაკები? — ჰკითხა მეზობელმა სიცილით.

— აპა, რა ვქნა, შენთან რაც ვთქვი, საქვეყნოდ გაახმაურე!..

●

ნინიას საფქვავი მიჰქონდა წისქვილში სახედრით. შემოხვდა ჭაბუკი, რომელმაც ჰკითხა:

— მაგ ვირს ხომ ვერ მომყიდით?

— კი მოგყიდი, ბიძია, მაგრამ ჯერ მშობლებს ჰკითხე: ორ ვირს თუ უპატრონებენ! — მიუგო ნინიამ.

●

კაკლის ჩრდილში გლეხკაცები ქეიფობდნენ. გზაზე ნინია გამოჩნდა. დაუძახეს, მიიწვიეს და სავსე ყანწი მიაწოდეს. მან ყანწზე უარი თქვა, წელში გამოყვანილი ჭიქა აიღო.

— ამხელა კაცი პატარა ჭიქაში ჩაეტევი? — შენიშნა ერთმა.

— შიგ კი არ მინდა ვიბანავო, გადღეგრძელებთ და წავალ! — მიუგო ნინიამ.

●

ნინია შარაგზაზე მიდიოდა. შემოხვდა მეზობელი, რომელსაც ახალი „ჟოკე" ეხურა.

— ქუდი შენ რატომ არ გახურავს? — ჰკითხა ნინიას.

— ცარიელ საბძელს სახურავი რად უნდა?!

●

გოგია ტეფნაძის სიდედრმა ბლის ხეზე თავი ჩამოიხრჩო. ერთი კვირის შემდეგ გოგიასთან ნინია მივიდა და სთხოვა:

— ბლის ნერგი გექნება და მომეცი, თუ კაცი ხარ!

●

ნინია და მისი მეზობელი ბერეთისაში მიდიოდნენ.

— უჰ, ათი ვერსი დაგვრჩა კიდევ, რა გაივლის ამხელა მანძილს! — თქვა მეზობელმა.

— არაფერია, ხუთ-ხუთი ვერსი შეგვხვდება! — დაამშვიდა ნინიამ.

●

ნინია ტროლეიბუსში შევიდა. ვიღაც ბიჭმა ფეხზე ფეხი დაადგა და ვითომც არაფერიო, გაყუჩდა.

— რამდენი წლის ხარ? — ჰკითხა ნინიამ.

— თვრამეტის.

— თვრამეტი წლის ოყლაყი თავის ფეხზე კი უნდა იდგეს!..

●

ნინიამ მარწყვი გაიტანა ბაზარში დილით ადრე.

— რა ღირს მარწყვი? — ჰკითხა ქალმა, ღარიბულად რომ ეცვა. ნინიამ უხმოდ ახედ-დახედა.

— მარწყვი რა ღირს? — გაუმეორა ქალმა კითხვა.

ნინიამ არც ახლა გასცა ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გესმის, კაცო, შენ?

— კი მესმის, მაგრამ შენ ჩემი მუშტარი არა ხარ... მარწყვის მყიდველს ჯერ კიდევ სძინავს — მიუგო ნინიამ.

●

ლევან წიგნაძე ხალიაკვნარი იყო და სალვთო წიგნების მცოდნედ მოჰქონდა თავი. ერთხელ სიტყვა სოლომონ ბრძენზე ჩამოაგდო და მოჰყვა მის ქება-დიდებას.

— შენ ეს მითხარი, ბრძენი რატომ ერქვა, რა იბრძენა? — ჰკითხა ნინიამ.

— რა იბრძენა? ბევრი რამ. აი თუნდაც ეს... ერთი ბალღის დედობას ორი ქალი იჩემებდა. ვერავინ შესძლო სიმართლის დადგენა. ბოლოს საქმეში სოლომონ ბრძენი ჩაერია და ბავშვის დედა კიდეც სწორად ამოიცნო.

— ბრძენი მაშინ იქნებოდა, ბავშვის მამას თუ ამოიცნობდა. — უპასუხა ნინიამ.

●

ნინიას უთხრეს, უყანგბადოდ ყველაზე დიდხანს ვეშაპი ძლებს: ერთხელ რომ ჩაისუნთქავს, მეორე დღემდე არ ამოისუნთქავსო.

— ეგ რა არის, შე კაცო. მე 21-ში რო ჩავისუნთქე, დღესაც არ ამომისუნთქია. — მიუგო ნინიამ.

●

ნინიამ საზღვარგარეთის ტურისტული საგზური მოითხოვა. ვერ გაგიშვებთ. საგზურებს მხოლოდ მინისტრებსა და მთავრობის წევრებს ვაძლევთო, უთხრეს.

— მე მაგათი გულისთვის ვაპირებდი წასვლას. ეგენი თუ მიდიან, აქ ყოფნა მირჩევნია! — უპასუხა ნინიამ.

●

ნინიასთან მივიდა მეზობელი და უსაყვედურა:

— შენი ძაღლი ჩემს საბძელში შეპარულა — მთელი საბუდარი კვერცხები შეუთხვლეპია.

— როდის?

— აი, ამ წუთში.

— შენ აგაშენოს ღმერთმა, რომ მითხარი. ახლა უნდა მეჭმია ძაღლისთვის.

●

ნინიამ ცოლი რომ ითხოვა, ძალიან ღარიბი იყო თურმე. ქორწილზე ნათხოვარი ტანსაცმელი ცმია. ერთი თვის შემდეგ სიდედრი ესტუმრა და ახლადშექმნილ ოჯახში რამდენიმე დღე დარჩა. სურდა გაეგო, სიძე-ქალიშვილი სიამტკბილად თუ ცხოვრობენო. მათ ურთიერთობაში ოდნავი ხინჯიც რომ ვერ აღმოაჩინა, გაუხარდა. მაგრამ ერთმა რამემ გააოცა. თანაც შეაწუხა: თვალი მოკრა, ნინია ლოგინში შარვლიანა ჩაწვა. პირველად იფიქრა ვაითუ ვცდებიო და კარის ჭუჭრუტანიდან დაუწყო თვალთვალი. რამდენჯერმე ერთიდაიგივე რომ გამეორდა და სიძის ახირებულ საქციელში დარწმუნდა, უსაყვედურა: სად გაგონილა კაცი ლოგინში შარვლიანა წვებოდესო.

— ეჰ, ჩემო სიდედრო, ერთი იცი და მეორე არა! — უპასუხა ნინიამ.

სიძის პასუხით უკმაყოფილო სიდედრმა თავისი ქალიშვილი დაიმარტოხელა და ჰკითხა: შენ მაინც გამაგებინე, რას ნიშნავს სიძის პასუხი: ერთი იცი და მეორე არაო?

— შარვალი რომ მაცვია, თვალით ხედავ, მაგრამ უნიფორმოდ რომ ვარ, ეს კი აღარ იცი... — აუხსნა მან.

●

კოლმეურნეობის ფარდულში შრომადღეებზე სიმინდი გაანაწილეს. კოლმეურნეები აბუზღუნდნენ: მეკუჭნავემ სიმინდი სამართლიანად არ გაგვინაწილაო. ზოგს მეტი მიკერძა, ზოგი კი მშრალზე დაგვტოვაო. ნინიამ მათ ბუზღუნს ყური რომ მოკრა: გაიცინა და თქვა: ადამიანების შორის ყველაზე სამართლიანად ჭკუა არის განაწილებული. ჭკუის ნაკლებობის გამო უკმაყოფილება ჯერ კაციშვილს არ გამოუთქვამსო.

●

ნინია ნათლიდედას ესტუმრა. მან ვარია ვერ გაიმეტა, საკრუხალი ჯუჯალი დაკლა, მოხარშა და ნათლიას სუფრაზე მიუტანა. ნინიამ ქათმის ნაჭერი გადმოიღო და გემო გაუსინჯა.

— უჰ, რა მაგარია, ქათამი ბებერი ყოფილა! — თქვა მოურიდებლად.

— რით გაიგე, ბებერი რომ იყო?

— კბილებით.

— ქათამს კბილები რომ არა აქვს? — სიტყვა ბანზე აუგდო მასპინძელმა.

— კბილები ქათამს არა აქვს, მე მაქვს!

●

ნინიასთან მივიდა მეზობელი და სთხოვა: განცხადება დამიწერე, აღმასკომში უნდა წარვადგინოო.

— ვერ დაგიწერ, ფეხი მტკივა. — მიუგო ნინიამ.

— ფეხი რა შუაშია? — გაიკვირვა მან.

— სწორედ ფეხია შუაში... ვის მიმართაც განცხადება დამაწერინეს, ყველამ მე დამიბარა: შენს ნაწერს ვერ ვგებულობთ, მოდი, წამიკითხეო.

●

37-ში ოქრუა ბეცდიანიძე დაიჭირეს. რაღაც საიდუმლოდ ერთი წლის მერე გაათავისუფლეს.

— ჩვენი ოქრუა რომ არ ჩანდა, მიკვირდა. თურმე ციხეში ყოფილა! — უთხრა ნინიამ მეზობელს.

— ციხეში?! მე მითხრა, მთელი წელიწადი ნათესავებთან ვავატარეო.

— მართალი უთქვამს. იმავე ციხეში ხაცოდავი მისი ორი ძმა, ორი ბიძა და ერთი სიძეც მსხდარან.

●

ნინია ყანას თოხნიდა და ფიქრში გართული რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის.

— ვის ელაპარაკები, ნინია?! — შეეხმიანა მეზობელი.

— ჩემს თავს. მიყვარს ჭკვიან კაცთან საუბარი!

●

ნინიას შეხვდა გორისელი გოჩა შეყლაშვილი და მიაძახა:

— მეშველა. ჩვენს უბანში ანკარა წყარო გამოიყვანეს!

— აწი კი დაილევა შენი ღვინო! — მხარზე ხელი დაჭკრა ნინიამ.

●

ერთ ოჯახში წვეულება იყო. ნინია თამადობდა. ერთ ბერბიჭას ხანამ ადღეგრძელებდა, ჰკითხა:

— ცოლ-შვილი გყავს?

— არა.

— მშობლები?

— არა.

— და-ძმები?

— არა.

— გასხეპილი ყოფილხარ ალვისხესავით, ფესი ვერ მოვიკიდე! — ხელი ჩაიქნია ნინიამ სინანულით.

●

ნინია ქუთაისში იყო. მელუდესთან მივიდა და სთხოვა:

— დამისხი ერთი კათხა.

დაუსხა.

— რატომ ბოლომდე არ ავსებ?

— თვალს მაკლია და რა ვქნა, ბატონო!

— თუ ეგრეა ხანდახან თავზეც უნდა გადმოადინო!

— მთლად ბრმა კი არ ვარ, შე კაცო!

●

ნინიას გერონტი კილაძე შეხვდა და უთხრა:

— წამოდი ჩემთან, ერთი ჩავიქეიფოთ გემოაც, ჩემს ქვისლთან ქელეხია!

— ოჰ, იქ ვერ წამოვალ, შორსაა. შენთან რომ იყოს, კი ბატონო! — მიუგო ნინიამ.

●

ნინია მძახალს ესტუმრა. მან არაყი და პურის ხემსი გამოუტანა, თან მოუბოდიშა:

— ვარიას დავკლავ, მაგრამ მის შეწვამდე ვიცი, არ მოიცდი!

— სიმინდი გუშინ დავთესე. მის დატაროებას ველოდები და ვარიის შეწვას როგორ არ მოვუცდი, შე ქალო?! — მიუგო ნინიამ.

●

მანდაეთში ერთმა უცოლშვილოდ ჩაბერებულმა კაცმა თავი ჩამოიხრჩო. ეს რომ ნინიამ გაიგო, სინანულით ჩაილაპარაკა:

— ი შეჩვენებულს ამ ქვეყნად მხოლოდ თავისი თავი უყვარდა და ისიც ჩამოუხრჩვია!

●

— დისწულის ქორწილშიც ვერ მივდივარ ესაა საქმე?! — შესჩივლა ნინიამ ლადიკო ბედიანიძეს.

— წადი, შე კაცო!

— როგორ წავიდე. ყურძენი უკვე მწიფს და მეშინია ვენახი არ გადამიკრიფონ!

— ნუ გეშინია, მე აგერ არა ვარ?!

— შენ რომ ხარ, სწორედ იმიტომ ვერ მივდივარ! — მიუგო ნინიამ.

●

ნინია შარაგზაზე მიდიოდა. წინ ნიკიტა სადუნიშვილი შემოეყარა.

— საით მიიჩქარი? — ჰკითხა ნინიამ.

— ჯონდო ქამუშაძესთან მივდივარ. გამიჭირა საქმე. უჩემოდ ვერაფერს აკეთებს. შემომითვალა: საცოლეს სანახავად მივდივარ და წამყევი, არ მოვტყუვდეო. ამისთვის მცალია ახლა მე?

— ჯონდო, შენს მეუღლეს თუ იცნობს?

— არა. ჯერ არ გამიცვნია.

— გააცანი და საცოლეს სანახავად აღარ წაგიყოლებს!

●

ღრმად მოხუცებული ნინია ბაღში ვაშლის ნერგს რომ რგავდა, მეზობელი გაეხუმრა:

— შებრუნებით ჩარგე. შებრუნებით, საიქიოში რომ მიხვალ, მსხმოიარე დაგხვდესა!

— მე კი დამხვდება... მერმე შენ იქაც არ დამიწყო ღრიჯინი, ვაშლი მაჭამეო. — უპასუხა ნინიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ცისკრის" რედაქციას!

მე, გორის რაიონის სოფელ ქერეში მცხოვრები ელიკაშვილი ეკატერინე ვარ, თქვენი ლამაზი ჟურნალის „ცისკრის" მუდმივი მკითხველი. და აი, ველოდები 1991 წლის 1 ნომერს, ველოდები და აღარ შემიძლია, გული გადამელია იმისი ლოდინით. გვიპასუხეთ — იქნება კი როდესმე? თუკი ასე აპირებდით, რომ ხელმომწერლებამდე არ მიგეშვათ თქვენი ჟურნალი, გეთქვათ თქვე კაი ხალხო და მეც კიოსკებში შევიძენდი. აქამდე კიდევ მოთმინებით ველოდი, მაგრამ როდესაც ფოსტალიონს ვკითხე ამის მიზეზი, მითხრა: იმედი ნუ გექნებათ, არავითარი ჟურნალი არ მოდისო! როგორ თუ იმედი ნუ მექნება, ეს რა ამბავია, რა გემართებათ?! იმედი ჩემს მტერსაც ნუ ჰქონია! თუ ეს თქვენი დანაშაულია პატ. რედაქციავ, ჯერ კიდევ ღმერთმა ნუ დამაჯეროს, უნდა გრცხვენოდეთ. ეს ხომ პატიოსანი ხალხის ძარცვაა, ოფიციალური ძარცვა. თუ გასაჭირი გაქვთ ბატონო, გვითხარით, — ჩვენი დანაზოგიდან დაგეხმარებით, ხოლო ეს მოტყუება რა ამბავია? რატომ გვატყუებთ? თუკი არ გქონდათ იმედი და საშუალება გამოსცემდით თუ არა საკმარისს, რატომღა გვეპატიჟებოდით ხელმოწერაზე? თქვენ ისარგებლეთ „მოყვარულებით", იცოდით უკან არ დაიხევდნენ ფასის ორჯერ გაზრდის შემთხვევაშიც კი!

მარტო ფასის გაზრდა ხომ არ არის მთავარი, თქვენ უნდა გრძნობდეთ პასუხისმგებლობას!

მე მოვითხოვ პასუხს თქვენგან, პატივცემულო რედაქტორო!

14.03. 91 წელი

## ჟურნალ „ცისკრის" მთავარ რედაქტორს

## ბატონ იორამ ქემერტელიძეს!

ბატონო რედაქტორო!

გამოვიწერე თქვენი ჟურნალი, მაგრამ 1990 წლის 12, 1991 წლის პირველი და მეორე ნომერი არ მიმიღია, ალბათ მესამეზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია. დამტარებლები ამბობენ ჩვენთან არ მოუტანიათო. მე თქვენი აქტიური მკითხველი ვიყავი და ვრჩები ისევ. გთხოვთ მიპასუხოთ, ვისი მიზეზით ვერ ვღებულობ „ცისკარს?"

პატივისცემით შოთა კულუა.
სენაკი, ლესელიძის ქ. № 4, 1.IV.91 წელი.

# რედაქციისაგან

ჩვენი მკითხველების ამ გულისწყრომით აღსავსე ბარათებში, რომელთაც ყოველგვარი შესწორების გარეშე ვბეჭდავთ, მრავალი ათასი მკითხველის სათქმელია გაერთიანებული. მსგავსი ბარათები უხვად მოიპოვება სარედაქციო ფოსტაში, ჟურნალის დაგვიანების მიზეზებზე გვეკითხებიან პირადი შეხვედრისას, გვირეკავენ....

მკითხველი, ბუნებრივია, ფიქრობს, რომ ჟურნალის დროული გამოსვლა რედაქციის მიზეზით ჟოვნდება, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. მაგალითად „ცისკრის" პირველი ნომერი, რომლის დაგვიანების გამოც გვსაყვედურობს ქალბატონი ეკატერინე ელიკაშვილი, წარმოებას გასული წლის დეკემბრის დასაწყისში გადაეცა, ხოლო დასაბეჭდად ხელმოწერილი იყო მიმდინარე წლის 30 იანვარს, მაგრამ როგორც ირკვევა, ჟურნალის ეს ნომერი ხელისმომწერლებს მარტის შუა რიცხვებშიც არ ჰქონდათ მიღებული.

დაინტერესებულ მკითხველს უნდა ვაუწყოთ,

რომ ამ საკითხის გადაწყვეტა მარტოდენ რედაქციის მეცადინეობაზე არ არის დამოკიდებული. უკანასკნელ პერიოდში დიდი შეფერხებებია პოლიგრაფიული თვალსაზრისით. სტამბის რიტმულ მუშაობაზე გავლენას ახდენს ევზომ მოძალებული ახალი გამოცემები — უამრავი გაზეთი და ჟურნალი. გაძნელდა ქაღალდით მომარაგება.

ამასთანავე, როგორც ჩანს, „სოიუზპეჩატის" სამსახური დროულად ვერ უზრუნველყოფს ჟურნალის მიტანას ხელისმომწერამდე. მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ საქმისათვის გამოცემის ღირებულების 25%-ს იღებს... გვესმის, რომ ჟურნალის გამოცემისა და გავრცელების მექანიზმის ახსნა მკითხველისათვის ვერაფერი სანუგეშოა, მას უნდა, და სრულიად სამართლიანად, რომ ყოველი ახალი ნომერი დროზე მიიღოს და წაიკითხოს.

ამიტომ, დაბეჯითებით ვთხოვთ ყველა იმ სამსახურს, რომელთაც კავშირი აქვთ „ცისკრის" გამოცემასა და გავრცელებასთან, ჩვენთან ერთად გაითვალისწინონ მკითხველთა სამართლიანი გულისწყრომა და იზრუნონ, რათა ჟურნალი დროულად მივიდეს ხელისმომწერლამდე.

ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ ბოლო დროს მდგომარეობა გარკვეულად გაუმჯობესდა და თუ შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ ტირაჟის დროულ გატანას, იმედი გვაქვს მე-4 ნომრიდან მაინც მკითხველი დროზე მიიღებს „ცისკარს".

იმასაც გაუწყებთ, რომ გარკვეული მიზეზით „ცისკრის" საცალო გაყიდვა „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში მნიშვნელოვნად შემცირდა და დაინტერესებული მკითხველი მხოლოდ ხელმოწერის იმედზე უნდა იყოს, ხოლო ჟურნალის დროულ გავრცელებაზე პასუხს აგებს კავშირგაბმულობის სამსახური.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მარჯანიშვილის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 93-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილის — 93-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 93-64-38; განყოფილებების — 93-58-45; საკორექტორო — 93-64-68.

გადაეცა ასაწყობად 11.03.91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.04.91 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საავტ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 532. ტირაჟი 30.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა,
380009, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло»,
г. Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ფასი 1 მან. 20 კაპ. ინდექსი 762[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

6132/53